

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი

parallel



8

2016

UDC-უაკ
001.92

მთავარი რედაქტორი: **revaz mi Svelaze**

სარედაქციო კოლეგია: მერაბ ახოზაძე
გიორგი გაჩეჩილაძე
ჯემალ გახოვიძე
გიორგი კულდონაშვილი
ვახტანგ დავითაია
ივანე თვალავაძე
იგორ კვესელავა
ჰენრი კუპრაშვილი
შალვა ნაჭყებია
ვაჟა შაპასკირი
გიორგი სალუქვაძე

სოსო სიგუა

(რედაქტორის მოადგილე)

არჩილ ფრანგიშვილი
ქეთევან ქოქრაშვილი
რუსუდან ქუთათელაძე

ზადრი ცხადაძე

(პასუხისმგებელი მდივანი)

თემურ ჯაგოდნიშვილი
მეუფე ანანია ჯაფარიძე

ყდის დიზაინერი **ვახტანგ დავითაია**
კომპიუტერული უზრუნველყოფა **ნონა ცაბაძე**

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა
ტელ.: 577 42 54 72; 597 09 21 48;
ვებ-გვერდი: www.jurnali-paraleli.gtu.ge
ISSN 0235-8417; E-mail: jurnali-paraleli@mail.ru

გთავაზობთ:

proza, poezia

გიორგი სოსიაშვილი.....	5
ვაჟა მელიქიშვილი.....	17
აკაკი ჯობავა.....	22
თემურ ალანია.....	25
თამაზ ხმელიძე.....	28
გიული მურადაშვილი.....	31
ცოტნე სივსივაძე.....	33
ნანა მიქიაშვილი.....	50
ნელი (ლელიკო) ქველაძე.....	51
მარიამ ხუბულური.....	73
ელენე დემეტრაძე.....	74
როზა გაფრინაშვილი.....	85
ირმა კეცხოველი.....	95
ციცინო ნატროშვილი.....	100
გიორგი მალაშხია.....	102

weri l ebi

იგორ კვესელავა _ განათლება და პოლიტიკა (პოლიტიკური მეცნიერებების სწავლების საკითხისათვის უმაღლეს სასწავლებლებში).....	105
რევაზ მიშველაძე _ საქართველო კვლავ განგაშის მდგომარეობაში.....	116
ალექსანდრე მღებრიშვილი _ ცხინვალი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ამავე პერიოდის ქართული პერიოდული გამოცემის მიხედვით ..	123
სოსო ალიშბარაშვილი _ ნიკო სამადაშვილი და ხიდისთავი.....	133
ნაზი ხანიაშვილი _ იოვანე-ზოსიმეს „ქება“ -ს წინასწარმეტყველება.....	139
თამარ ბლიაძე _ დიდი იაკობი.....	148
ნუგზარ (ზაზა) იაშვილი _ იაშვილების გვარის ისტორიის ფურცლები.....	151
ზადრი ცხადაძე _ ანტიკური ქალაქ „Σιδριον“-ის ლოკალიზების მეცნიერული ვარიაციები და ტოპონიმ „სვირის“ ეტიმოლოგია.....	163
ეკა ცხადაძე _ არქაული და თანამედროვე სახე-სიმბოლოები რევაზ მიშველაძის ნოველაში.....	185
სოსო სიგუა _ მტკვარ-არაქსის კულტურა (XXXII-XXII სს.).....	193
ლერი სულამანიძე _ გვარო , ნუ გადაგვარდები.....	213
თამაზ ნუცუბიძე _ მეორე მსოფლიო ომი და „ვეფხისტყაოსანი“.....	223
დემურ კახურაშვილი _ მეცნიერება და რელიგია პასკალის ცხოვრებაში.....	225

დავით ჯოჯუა – ევრაზიული კავშირი და პოსტსაბჭოთა სივრცე **229**

vaJa-fSavel a _ 150

მურმან თავდიშვილი – ვაჟა-ფშაველა, როგორც რუსთველოლოგი..... **237**

pol emi ka

ზადრი ცხადაძე – ცისფერი ჟარგონი..... **247**

STabelldi l eba

მარიამ გაბუნია – „ჰესპერია“ - „მუდმივი ვარსკვლავის ქვეყანა“ (დაუვიწყარი შთაბეჭდილებების კვალდაკვალ) **253**

gaxseneba

ზადრი ცხადაძე – საიუბილეო გახსენება იეთიმ-გურჯის დაბადებიდან 140 წლისთავის გამო

258



giorgi sosiaSvil i

Canawerebi
(nawyvetebi wignidan` „Segebeba“)
sizmari

მაინც მჯერა, რომ ცხადში ვიყავი. თითქო ყველაფერი სინამდვილეში ხდებოდა, ჩემო ძვირფასო მეგობარო.

შენ იქით დარჩი, მე _ აქეთ. ძალით გაგვყარეს, ძალით დაგვაშორეს. თან ისე დაგვაშორეს, რო არც კი ვიცით, როდის დამთავრდება ეს უბედურება, ეს ვაი-უშველებელი. დგახარ და გასცქერი გზას, თვალზე ცრემლი გერევა. ვდგავართ და ჩვენც გამოვცქერით. რა სასაცილო მდგომარეობაში ჩავიგდეთ თავი. ვისი სამასხარაონი გავხდით. ჩვენს ძმობას ეს ეკადრებოდა? სხვანაირად ვიყავით ჩახვეული. სხვანაირი სიყვარული გვქონდა. ეშმაკმა გვაჯობა, უფალს ზურგი ვაქციეთ და არასახსენებელ რქიან, დუჟმორეულ არსებასთან გავაბით კავშირი. არადა, ფიცვერცხლი გვქონდა ნაგემი, ისეთი ძმობა შევფიცეთ ერთმანეთს, რო იმას ვერაფერი მოერევა, ვერაფერი წააქცევს. სხვა სიყვარული იყო ჩვენ მიერ შესმულ „ვახტანგურში“.

მამაშენიც ხშირად მახსენებდა, ის სულკურთხეული და გულმართალი კაცი, რომელიც მთავარანგელოზის ეზოში შემომეგებებოდა ხოლმე. „თამადა მოგვივიდა, თამადა“. ყურში ჩამესმის ძია ნოდარის სიტყვები. ორი ნოდარი დავკარგეთ, ორივე ღირსეული კაცი და გულმართალი პიროვნება. ეს რა გვიყო რუსმა, როგორ გაგვივლეს შუაგულ ქართლში მართულხლართი, თითქო ჩვენ გულეებში გაიარა ფოლადის ეკლებმა, გულის კუნთი გაფატრა. შეუჩერებლად გვდის სისხლი. ვიცლებით, ვიცლებით. დგახარ და გამოსცქერი გზას. ვიცი, როგორ ამოგვიდუღდება ყოველ გახსენებაზე გული და ამოდენა კაცს ცრემლი გერევა თვალზე.

ერთმანეთის „მტრებად“ გადაგვაქციეს. ერთ-ერთი ჟურნალი გადავფურცლე და გადამწვარი ქართული სოფლის ფოტოები გამოექვეყნებინა ერთ-ერთ ქართველ ჟურნალისტს. მიტოვებული საფლავივით გამოიყურებოდა ბალახგადავლილი, გაჯადავებული ქართული სოფელი. ნახანძრალ, ჟანგმოკიდებულ რკინის ჭიშკარზე, ერთ დროს რომ ლურჯად იყო შეღებილი რუსული ასოებით, თეთრი საღებავით მიეწერათ: „Занято Алик Акула“, არ ვიცი, ვინ დაიკავა

ეს მიტოვებული სახლი, ვინ არის ეს ზვიგენი ალიკა, რომელმაც წინასწარ დაადო თითი ქართველების ნასახლარს, მაგრამ ერთი რამ კი შემოდლია გითხრა, ვერაფრით ვერ დავიძინე იმ ღამეს. თვალცრემლიანი ვიწექი გულადმა და ჭოტივით შევკვიოდი მკათათვის ღამეს.

Алик Акула, Алик Акула.

დამშეული ზვიგენებით ესევინ და მიძგნიან ქართველების საცხოვრებლებს. საყრდენგამოცლილი ვაზი ძირს არის გართხმული. „დაკავებულია“. ალიკამ დაასწრო ვიღაცას, თორემ ალიკას ნაცვლად სხვა წარწერა გაჩნდებოდა.

ჩვენები დაბრუნებას ელოდებიან. სხედან და შესცქერიან, რას მოილაპარაკებენ, რას მოიმოქმედებენ.

გაშრა ლოდინში ცრემლი. გახრიოკდა ცრემლის რიყე სულში. გუბეც კი აღარსად ჩანს.

აქეთ აბრა გადმოსვეს რუსებმა. რას გააძღობ მაგათ. ბოლოს, ალბათ, სახლში შემოვლენ და პანლურს გვითავაზებენ. ისეთი შეგრძნება მაქვს, ერთ დღითაც გამეღვიძა და გადაღობილი დამხვდება სახლი. ვინმე დაუშლის თუ...

სულ ამაზე მეფიქრება, სულ ეს ტკივილი მღრნის და მაწვავლებს, იდუმალი ტკივილი, რომელიც სულშია ჩასახლებული და სადღაც ბნელ კუნჭულში ბუდობს.

ქართული სოფლები, ქართული მიწა-წყალი, რუსული ჩექმებით არის გადათელილი.

მონატრების სადღეგრძელო დავლიოთ ხოლმე, ჩემო ოსო ძმაო, სანამ ეს ქარიშხალი გადაივლიდეს, სანამ ეს ქარიშხალი გადაივლიდეს, სანამ ეს უბედურება ჩაცხრება, სანამ მავთულხლართს აახვევენ და ერთმანეთთან ახლოს მივალთ.

შვიდი წელი მოტრიალდა წუთისოფლის ვეება კალოზე. სიბერის ჩრდილი ნელ-ნელა გვეპარება, ფეხაკრეფით გვეპარება. ცხოვრებაც წელიწადის თვეებით არის. მოიპარება ზამთარი და სანამ თოვას დაიწყებს, სანამ შუქმიმცხრალი მზე არ გაცივდება, მანამდე უნდა ვნახოთ ერთმანეთი, უნდა ჩავეჯიგროთ.

ჰოდა, იმ სიზმრით დავამთავრებ, რითიც დავიწყე. ოღონდ არ ვიცი, ცხადს უფრო ჰგავდა, თითქო სინამდვილეში ხდებოდა ყველაფერი. იტყოდი, რო ჩემს თვალწინ იყავი.

გინდოდა რაღაცით მოფერებოდი შენს ახლობლებს, ქართული სოფლებიდან აყრილ, ბუდედანგრეულ ქართველებს. მონატრების მიღმა გაღრჩობდა. ცრემლს ვეღარ იკავებდი. შენ და ცრემლი, მაგრამ ისე გაუგულჩვილებიხარ ომს, ყოველ გახსენებაზე ცრემლები მოგორავდა შენს საცრისხელა თვალეზე.

ღამდამობით გადიოდი მინდორში და გულის მოსაოხრებლად ღრიალებდი, ბოლმას გამგელებული კაცის ბგერებად გზავნიდი ცისკენ. გულმოოხილი ბრუნდებოდი შინ და მერე სიზმრებში იკარგებოდი, გათენებამდე. ერთხელაც, შუალამისას, უჩინარმა ხმამ წამოგაგდო. ლოგინზე წამოჯექი, მძინარე ჯალაბს გადახედე. ვიღაც გიხმობდა. უცბად ჩაიცივი და ხმას მიჰყევი. უღიმღამოდ ბჟუ-

ტავდნენ ვარსკვლავები. მთვარეს ღრუბლებში ჩაეცხრო ვნებები და არაქათ-გამოცლილი ქალივით თვლემდა.

გატარა, გატარა ხმამ და მთავარანგელოზის ნატადრალთან მიგიყვანა. ვეება ქვას დაადგი ფეხი და მიხვდი, რო ფეხშველა იყავი. კედლებდაქცეული, საუკუნეებისგან შეჭმულ ნატადრალს უმზერდი და გეტირებოდა.

ხავსიან კედლებს შეახე ხელი და უცნაური სიცხე იგრძენი. ხელის თითებ-ბიდან დაგიარა მთელ სხეულში და თხემით-ტერფამდე სიცხის ლუკმად იქეცი. თითქო გიორგობისთვის მზეს დაებუდებინა დანგრეულ ტაძარში და მზედ გადაქცეულიყო სალოცავი. მთელი ბავშვობა იქ გვექონდა გატარებული, ყმაწ-ვილკაცობის დღეები თითქო ნატადრალის ირგვლივ მიმოფანტულიყო. თითოეული ლოდი გახსოვდა. გახსოვდა ძველი ქართული წარწერები... „ესე ეკ-ლესია აღვაშენეთ“... ოდესღაც, საუკუნეების წინათ აქაურმა კაცმა მთავარ-ანგელოზ მიქაელის სახელზე ააგო ტაძარი, აღმოსავლეთ კედელზე წარწერა ამოკვეთა... რა იცოდა... გავიდოდა თითქმის ათასი წელი და მავთულხლართით გაყოფილ ტერიტორიას მისაკუთრებდა რუსი. ტაძარიც იქით მოჰყვებოდა.

იდექი და მიშტერებოდი მზე-ტაძარს.

უჩინარი ხმა დუმდა.

ადექი და... ტაძრის აღდგენა დაიწყე.

ასეთი სიზმარი ვნახე... ასეთი ცხად-სიზმარი. და ვიცი, რო ეს ხილვა მოთხრობას დამაწერიწებს, ჩემო ოსო ძმაო!

v a l i

კუნაპეტი ღამე ვნებებს იცხრობს ქოჩორა მთასთან. წყალსაც მორევია თვლელა, სიბნელეში გაყუჩებული უხმაურო ლივლივით მიედინება, თითქო ისიც თავის სიზმარშია ჩაძირული.

მთვარემ თითქო ცის დარაჯად დააყენა ერთი-ორი თამამი ვარსკვლავი, სხვებს ძილი მორევიათ, ესენი ფხიზლობენ. დედამიწას დასცქერიან, სადღაც დღეა, სადღაც ღამე.

ჩვენთან ღამეა. მე და შვილი მომიკნავის სიმინდების გვერდით მიწაზე ვწევართ და სიბნელით შემოსილ მთას ავცქერით. ჩვენ წინ სულ ოციოდე ნაბი-ჯის იქით „საზღვარია“.

საზღვართან ჩვენი სოფლის სარწყავი არხი გადის. ერთ დროს ერედვის მინდორზე ჩამოდიოდა პატარ ლიახვის ტოტი, რომლითაც დიცის ერთი ნა-წილი ირწყვოდა. ომის შემდეგ აღარც სასმელი წყალი მოგვეცეს რუსებმა და აღარც სარწყავი. ორიოდე წელია, არბოში ახალი კაშხალი დადგეს და პატარა ლიახვიდან ამოტუმბული წყალი ჩაუშვეს ამ გაუქმებულ სადინარში, რომელიც კომუნისტების დროს იყო შექმნილი და ომის შემდეგ გამოგვადგა დიცელებს.

ერთმა გაიხუმრა კიდევ, აგინებდით, დასცინოდით კომუნისტებს და, აჰა, მაინც იმათ გაკეთებული რაღაცებით სარგებლობთო.

კომუნისტები, კომუნისტები. ჰაი, დედასა! თითქო მონატრებიან აქაურებს. სინანულით ჩასცქერიან კომუნისტების ნახელავ სარწყავ არხს. ვეება ბეტონის ქვაბებსაც ერთგვარი სინანულით ჩასცქერიან. ყოფილიყვნენ ისინი და ვნახავდით როგორი ცხოვრება იქნებოდა. დაშალეს ქვეყანა. ერთმანეთს წაგვიდეს ერები...

სიმინდებში ვწევართ მე და ჩემი ბიჭი და უძირო ცას ავცქერით ვარსკვლავებიანი ჭილოფის ქუდი რო ჩამოუფხატავს. არის პირზე რახრახებს წყლის ამოსაქაჩი ციცქნა ძრავი და მუშტისსიმსხოდ მოჩქევს პატარა ლიახვის წყალი.

- კაი წყალია _ ჩურჩულებს ძილმორეული ნოდო.
- კაი წყალია, თუ ვადინეთ, გავა მე მგონი და ემველება ნამყენს.
- რა სიცხეები დაიჭირა. ეგეც იღბალია რაა.

- ყველაფერი იღბალია ისე... _ თვითონვე დაასკვნა, _ წყალი რო მოგენატრება კაცს, სარწყავი წყალი, _ დაამთქნარა და ისევ ცას აჰხედა. სადღაც ვარსკვლავი ჩაიკარგა. გამეტებით გაექანა უსასრულობისაკენ.

- ვინ მოკვდა ნეტა, _ გულუბრყვილოდ იკითხა ჩემმა ვაჟკაცმა.
- რას გაიგებ, ახალი ვარსკვლავი ჩამოეკიდებოდა, მაშინვე იცვლება, _ კაი გამოცდილი ასტრონომივით ვუთხარი.

ახლა ქოჩორა მთისკენ გაგვექცა თვალი. მთის წვერზე წითლად ენთო შუქურა. ფერდობზე დროდადრო ცხინვალისკენ მიმავალი მანქანები გამოანათებდნენ შუქი სამხრეთით გამოიტყორცნებოდა ხოლმე. ახლა გზა გაუყვანიათ რუსებს, ქართველების საცხოვრებლის ადგილზე ბეტონის გზა დაუგიათ.

მკათათვის მზით გაფიცებული დედამიწა იკბინება.

რახრახებს წყალსაქაჩი და მოჩუხჩუხებს მუშტის სიმსხოდ წყალი.

- მამა! _ თითქო ნამძინარევი ხმა ჰქონდა ჩემს ბიჭს.

წამოიწია, სიმინდს უაზროდ შეაწყვიტა გახევებული ფოთოლი.

- როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს უბედურება. რაღაც ხომ არ უნდა გვეშველოს, ჰა. ისეთი პატარა ადამიანი ვიყავი... ვგრძნობდი როგორ, დაჩიავდა სხეული და გასრესამდე მისული ჭიადუასავით ჩაკვარულიყავი მიწის ნამცეცებში.

Cxubi „sazRvarTan“

- ხელი, ხელი-მეთქი!
- ვის ეუბნები?
- შენ გეუბნები, თვალებს ნუ აბრიალებს, თორე...
- თორე რა?
- რა და მოგდებ კვინიხში და ეგ იქნება...

- მიდი, აბა!

ნაბიჯი გადადგა მაღალმა, მუშტი ცხვირთან მიუტაბა. ამ დროს ჩაბელტილ რუს პირზე ჩაუცურდა ფეხი და მუხლამდე წყალში ჩავარდა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა. წამიერად ამოხტა რუდან და ისევ მოუღერა მუშტი.

- მუხლზე გადაგიმტვრევ, მუხლზე.

დაბალს მუხლები უთრთის, პირი უშრება, ტუჩებიც უბჭუს, მაგრამ მაღალს როგორ აჩვენებს რო შიშმა კბილი გაჰკრა, მაინც არ ეპუება. თან ერთმანეთს ვერ ხედავენ, წყალი მილიკლიკებს თავისთვის, გამოგვალულ მიწას ეაღერება და ზაფხულის სიზმრებს უყვება. დასიცხულ მწერებს ძილი სულაც მიავიწყდათ, რუსპირზე გამოფენილან, ფეხებს ისველებენ, რუსპირზე ამისისინებული თესლით გრილდებიან და განაბულები ასცქერიან უმთვარო ღამეს.

ესენი კიდევ აგრძელებენ ძიძგილაობას. მაღალი ხან ბარს მოუღერებს, ხან მუშტს მიუტანს ცხვირთან, დარტყმისაგან თავს იკავებს, მაგრამ... იმხელა ხმაზე ყვირის „საზღვარს“ აქეთაც ესმით და საზღვარს იქითაც.

- ე მამაშენი კაცი იყო და შენ ვის დაემსგავსე, ესეთი... თფუი შენი...

- მამაჩემის სახელს ნუ ახსენებ, თორე მართლა ამომივიდა ყელში და მერე ვეღარავინ გამაგდებინებს შენს თავს. _ დაიმუქრა დაბალი... ასაკით მაღალზე უმცროსი იყო.

- ესეთი უნამუსობა კაცო! _ მხრებს თავისთვის იჩეჩავს დაბალზე გულმოსული, _ მთელი კვირა ჭაჭები ჩამაწყდა, ჭაჭები, ვდიე, ვდიე, აქამდე მოვიყვანე, აქამდე. ეს უნამუსო კიდე წყალს მიწყვეტს. შეგნება არ გაქ, შეგნება, მამაშენის პატივისცემას რა ვუყო, თორე, თავს გაგიჭეჭყავდი.

წყალი თავისთვის მილიკლიკებს. ვითომც არაფერი ესმის ამ ორი დამ თხვეულის აყალმყალი. ორივეს რო თავი კაცი ჰგონია, ორივე რო სამართლიანობაზე თავსა დებს. რა უნდა თქვას წყალმა. წყალი წყალია და მორჩა. ადამიანების გარდა სხვებიც ხომ ჰყავს საზრუნავი? ჰყავს. ნახე, როგორც ხვდებიან გვალვისაგან ყელ-ამოხახული მწერები და წყურვილისაგან ფესვებდაოსებული ბალახები. ესენი კიდე...

- აქედან ვერ მორწყამო... _ თავისთვის თქვა დაბალმა.

- შენ ვინ გეკითხება, საიდან მოვრწყამ, შენ წიკებზე ვივლი ზუსტად. ამას უყურე, პაპაჩემისეულ მიწაზე წყალს არ მოგცემო. საქმე-საქმეზე ნუ მიდგება, თორე...

- თორე?

- აგახვევინე აქედანა და ეგ იქნება.

- ვის აახვეინებ შე ტრაკო, ვირიშვილო, მართლა ხო არაფერი გემლება, _ ხელი მიჰკრა მაღალმა... _ ხელი არ ამაწვეინო, თორე დაბინტულს რო მიგიყვანენ სახლში, მერე მოიყვანე კიტრი და პამიდორი.

- სარწყავი აქედან არ გაქვთ თქვენა, გაიგეთ რა!

- აბა, საიდანა გვაქვს, _ ნამალადევი სიმშვიდით ჰკითხა დაბალმა.

- საიდანა და იქიდანა, _ სიბნელეში გაიშვირა თითი, _ დათილას ბაღის თავზე.
- შენ ვინ დაგნიშნა მერუედ და მეველედ.
- ჩემმა თავმა დამნიშნა, გაწყობს? იქიდანა გაქვთ-მეთქი.

წყალი მილიკლიკებს თავისთვის. თავისი ნება რო იყოს, აღმა წავიდოდა და ამ ორ დამთხვეულს სახტად დატოვებდა. იქვე, სულ ასიოდე ფეხის გადადგმაზე მავთულხლართია გავლებული, ცოტა უფრო ზემოთ კი რუსების ახლადამენებული სამხედრო ბაზა ჩახჩახებს. მთის ძირში მიდი-მოდიან მანქანები. უმთვარო ღამის სიბნელეს ჰკვეთს მანქანების სინათლე. ზოგი ცხინვლიდან ახალგორისკენ მიემართება, ზოგი ახალგორიდან ცხინვალში ბრუნდება. მთაზე რუსების მიერ გაყვანილ გზაზე მოძრაობენ ავტომობილები, ისე მშვიდად, ისე ჩვეულებრივად, თითქო არც ომი მომხდარიყოს, არც აქაური მოსახლეობა განედევნოთ. არანაირი ტკივილი არ იგრძნობა, თუმცა მარტო „საზღვარს“ იქით კი არა „საზღვარს“ აქეთაც, მტრისგან სულ ასიოდე ნაბიჯის მოშორებით. ცოტაც და დასცხებენ სარწყავ წყალზე წაჩხუბებული მეზობლები. რა ქნას წყალმა...

omi espaneTSi

- ბუნება? რა ვთქვა, _ მხრებს იჩეჩავს მიგელ-ანხელ ადამსი, _ ჩვენთან არანაკლები ბუნებაა, ესპანეთიც ხომ მთაგორიანი, არც მდინარეები გვაკლია, ანდალუზიის წყაროები... მოკლედ, მაგარია ესპანეთი. თუმცა აქ რაღაცნაირი ბუნება გაქვთ. სხვანაირია ყველაფერი, თითქოს მზეც სხვანაირია, ცაც, მდინარეებიც, ყველაფერი რაღაცით კი ჰგავს ჩვენსას, მაგრამ მაინც სხვანაირია, ქართულია... _ იცინის, _ ყოველ ჩამოსვლაზე სხვანაირად მეხილება თვალები.

ჩემმა ცოლმა, იცი, რა მითხრა? მე მგონი ისე გადაგრია იმ ხალხმა, არ გამოვრიცხავ ერთ მშვენიერ დღეს მოგიაროს სიგიჟემ, გაყიდო აქაურობა და საქართველოში გადაბარგდეთ.

არადა, რა იცის, რო აქაც, ანუ ჩვენთანაც ქართველები ცხოვრობდნენ ერთ დროს. იყო დრო, როცა იბერიელთა სუფრები იშლებოდა ჩვენ მიწაზე. რა არ ვგავართ თუ... _ ახლოს მოიწია და ჩემს მეგობარს _ გურამს მიმართა, _ შემოგვხედე, მე ქართველი ვარ და ეს კი ბასკი, ხო ასეა.

გურამმაც თავი დაუქნია.

_ მართლა, ხომ ვგავართ, _ არ ისვენებს მიგელი.

_ კი, ნამდვილად, ჰგავხართ, გაჭრილი ვაშლებივით. არა, მაგრამ მაინც, _ ჩაეღიმა გურამს.

_ მოკლედ, სუფრაზე რა ვთქვა, ესპანური საჭმელები ძალიან მიყვარს, მაგრამ შენ უნდა გენახე, ჩემი ცოლი რო ხაჭაპურის გულს აკეთებს. ერთი ხანობა იუცხოვა, ეწვალა, ედაგა, არ გამოსდიოდა, მაგრამ ასასივით ვადექი თავზე და

მოსვენებას არ ვაძლევდი. ქართული ხაჭაპურის ესპანური ვარიაცია დავამხეცეთ. გამოგვივიდა. თუ ეცადე, ყველაფერი გამოგივა.

მაგარი ხალხი ხართ, მაგარი... ამიტომაც შემორჩით დედამიწას. ამ პლანეტამ იმდენი ვინმე მოინელა, იმდენი კულტურა შეახრამუნა, იმდენი ცივილიზაცია, გადაშენდნენ ერები, წაიშალნენ, სახსენებელიც აღარ არის მათი.

ამ თვალუწვდენელ ხმელეთზე მართლა ოქროს საწმისივით არის დედამიწაზე დაფენილი თქვენი ქვეყანა. ისმის კოსმოსიდან ჩაკრულო და ამ ღვთაებრივ მუსიკით გაყურსული მინაბული ბრუნავს დედამიწა. გაჩერდება ჩაკრულო და დედამიწის პროწიალიც დამთავრდება. ამიტომ უნდა გაგიფრთხილდეთ, მსოფლიო, უნდა. ღმერთმა არ ქნას ქართული ხმა და მელოდია არ ისმოდეს, თორემ თუ გაკრიჭა დედამიწამ კბილები, – თეთრი კბილები გამოაჩინა მიგელმა.

იმდენი რამ წავიკითხე თქვენ შესახებ, მე მგონი, თქვენც არ გაქვთ წაკითხული. ძალიან კი მიკვირს თქვენი ახალგაზრდობის. საკუთარი თავის ხომ მაინც უნდა იცოდე რამე, ვინ ხარ, საიდან მოდიხარ, რა გაგიკეთებია, რა გინდა და საით მიდიხარ.

ჩვენთან რო დონ კიხოტი წაკითხული არ ჰქონდეთ...

- ჩვენთანაც კითხულობენ, – გააწყვეტინა გურამმა.

– კაი, კაი, – ხელი ჩაიქნია მიგელმა, – თქვენ რას გაგტეხავთ კაცი, სადაც წახვალთ, თქვენი უნდა გაიტანოთ, თქვენი, ფუტკრებით.

– ფუტკრები რა შუაშია-მეთქი.

– ეე, შენ რა იცი, ჩემო კარგო, მე რა ამბავი დამემართა სევილიაში. აი, მაშინ კი დავრწმუნდი, რომ თქვენი სახით, განსაკუთრებული ხალხი აღმოვაჩინე და თქვენი ქვეყნის ხალხის შესწავლის სურვილი კიდევ უფრო გამიმძაფრდა. გავგიჟდი კაცი. ვერ ვიჯერებდი, ის კი არა, ექსპერტებიც კი დავიქირავე. დეტალურად გამოვიკვლიე ფუტკრების ამბავი.

გაშტერებული ვუყურებ სევილიელ სტუმარს. რა ფუტკრები, რის ფუტკრები, ვერ გავიგე მისი (მაპატიოს მიგელმა) ბოდიალი.

– პირველი ჩამოსვლის შემდეგ, – ჭაღარა კეფა მოიქექა მიგელმა. – ორიათასის მაისში ვიყავი, როცა ევროკავშირმა პირველი პროექტი დამიფინანსა.

მაშინ წავიღე აქედან ქართული რაღაცეები, მათ შორის ხაჭაპურის რეცეპტი, ქართული ღვინოები, ყანწები, ნაბადი და შენ წარმოიდგინე, ქართული ფუტკარი.

– რა ფუტკარი? – კიდევ უფრო გავიოცე.

– ფუტკარი, თქვენებური ფუტკარი, – იცინის მიგელ-ანხელ ადამსი, ჩავიყვანე სევილიაში და გვერდით მივუსვი ჩემს ფუტკარს. ომი დაიწყო, – წამიერად დასერიოზულდა სევილიელი.

– რა ომი, კაცო.

პირი დაალო გურამმა.

– რა ომი და ომი. გამოვედი ერთ დილითაც და რას ვხედავ, ფუტკრის ნამქერია ჩემს ეზოში. რა ხდებოდა, ვერაფერს მივხვდი, დიდი გამოცდილი მე-

ფუტკრე მე არ ვიყავი, სულ რამდენიმე სკა მოვაშენე, ისე კი ვაპირებდი ამ საქმის გაგრძელებას.

ჩემ ნაცნობს დავურეკე.

ერთი ის არის კიდევ, მზიანი ამინდია და გამოიშალა, ალბათო.

რა გამოიშალა, გაქანებული ომი ყოფილა თურმე. ფუტკრების ომი. ერთი საათი გაგრძელდა ეს საშინელი ზუზუნნი, ფუტკრების მოსვლა იყო... როცა ეს საშინელი ხმაური მინელდა, ახლოს მივედი და ჩემი თვალით ვნახე ნამდვილი ბრძოლის ველი. დაჭრილი და დახოცილი ფუტკარი, ჩაყურებული სკები.

ქართულმა ფუტკარმა სულ ამოხოცა იქაური ფუტკარი.

სულ ბრძოლა, ბრძოლა. ყველა ერთნაირები ხართ, ადამიანებიც, ფუტკრებიც. _ იცინის მიგელი...

Tamada

_ არასოდეს აღარ დავლევ ამ სადღეგრძელოს, გესმით? _ კი არ საუბრობს ყვირის, ყელზე ნეკის სიმსხო ძარღვები დაბერვია, თვალეზში სისხლი აწვება, _ ღირსები არა ხართ რა.

_ რა უნდა ამ კაცს? _ ვიღაცამ ჭამას თავი მიანება, გაშტერებული უყურებს თამადას.

_ რა ვიცი, კარგად დაიწყო, ბოლოს, გაუჯდა ეტყობა, _ ბუტბუტებს სხვა.

თამადა გულთამხილავივით კითხულობს სუფრიონის აზრებს.

_ რა გამიჯდა, თქვენ მთვრალი ხომ არ გგონივართ, ვინც მთვრალი იყოს, იმის...

_ რა გინდა კაცო, შარზე ხო არ ხარ, _ ვიღაც წამოხტა სუფრიონის ბოლოს, _ თუ ილოცები, დაილოცე.

_ შენ ემანდ დაეტიე, თორე, _ ისეთი ცეცხლი სტყორცნა სუფრის ბოლოში მჯდომს თამადამ, ლამის გაუვიდა წამოყელყელავებულ ბიჭს.

_ გაუშვი, რა გინდა, თქვა მაგის ოხერი, საიდან დააყენეს, მშვენიერ პურს ვჭამდით, _ ამ ყელყელა ბიჭს ამშვიდებს ახლა შუახნის კაცი.

_ არ დავლევ, თქვენ დასალოცი ხალხი არ ხართ, თქვენ იმათი შთამომავლები არა ხართ, უფრო სწორად თქვენ კი არა ჩვენ, მე თქვენზე ნაკლები გოთვერანი ვარ გგონია?

უფრო დააღეს პირი.

_ ჰოო, ჰოო, რას მიყურებთ დოყლაპიებივით, თქვენზე ნაკლები ჩათლახი არც მე ვარ და ჩვენ ყველა ერთად საქართველოს წარმოვადგენთ, რუსთაველის შთამომავლებს, რუსთაველი არ იყო ქართველი, ან ჩვენ არ ვართ ქართველები, შეუძლებელია. თამარი, დავითი, ან ისინიც ჩვენნაირები იყვნენ და ჩვენი მემკვიდრეები გვატყუებენ ან ჩვენ არ ვართ მათი სისხლისა და გენის მატარებელი. მიყურეთ, ეგრე არ გსიამოვნებთ არა, ქება ხომ გსიამოვნებთ? გულზე ხელის ბრახუნი და დიდი სადღეგრძელოები, როდემდე უნდა იყოთ თქვე

უბედურებო სიყალბეში, არ მოგწყინდათ ჩოხა-ახალუხით და ფაფახებით სიბნელეში ჯდომა? ჩვენ ეხლა სხვა ხალხების ხელში სათამაშო თოჯინად გადაქცეული ვართ. ტიკინა ვართ, ტიკინა, ექსპერიმენტს, როგორც უნდათ ისე გვექცევიან, ჩვენ ამ დროს სადღეგრძელოებს ვამბობთ, რა მაგრები ვართო, რა ბრძოლები გამოგვივლია, არადა ქვეშაფსია ხალხი გავხდით, აიქ გააბეს მავთულხლართი და რუსებს მეგაფონებით ვესაუბრებით, დროშებს ვუფრიალებთ, წადით, წადითო. ვაი, ჩვენს პატრონს. ხო, ველოდოთ, როდის წავლენ. ყანწებით მოგვაქვს თავი, ყანწებით და ვერ კი გავიგებთ როგორ გაგვიკეთებენ იმ ყანწებს, თუ გაკეთებულიც არ გვაქვს უკვე. ერთმანეთს ვჭამთ, ერთმანეთს ვლანძღავთ, ერთმანეთს სახლში ვუვარდებით. ვერ დავრწყულდით ერთმანეთის სისხლით. ვართ ასე და რას ველოდებით, ჩვენც არ ვიცით. კუანა ბებრებად გადავიქცეთ, სისხლი შედედდა. ფუი, რა სამშობლო, რის მამული, ყველაფერი ყალბია. ნაექსპერტალი ხალხი ვართ. ლოგინიდან რომ წამოაყენებ, ნახმარ, გამოლტყვილ ადამიანს, აეგრე ვართ, თვალგამოცილებული, მუხლებმოკვეთილი, ხმა ჩავარდნილი. ამიტომ არასოდეს არ დავლევ თქვენს სადღეგრძელოს. მიიხედ-მოიხედა, ჯერ თავში ჩაიბრახუნა მიკროფონი, რომელმაც თოვივით ხმა გამოსცა, მერე სუფრაზე მოისროლა და წავიდა.

zovreTidan wamoyol il i madl i

კრძალვა აღბეჭდილი მზერით გახედავს უფროსი ძმა ვეება სუფრას, სადაც ქართული სულის ზეიმია, თვალს გადაავლებს საპატიო მენინახებს, ქართული ინტელიგენციის ცოცხალ ლეგენდებს, რომელთა მხრებზეც დგას ჩვენი კულტურულ-სამეცნიერო ცხოვრება. მორცხვად შეეფაკლება სახე. უნდა, რო გულიანად დაილოცოს, სათქმელი ბოლომდე თქვას, სიყვარული ბოლომდე გამოხატოს, ტყუილა ხომ არ გამოიარა ამოდენა გზა. ძმის მოსაფერებლად ჩამოვიდა, უმცროსი ძმის. ბიჯოს, შემოგვეპარა მგონი სიბერე. ცხოვრება ნელ-ნელა გაჩვევს, ჯერ ჭადარებს გაგირევს თმაში, მერე ნაოჭებს ამოგიქარგავს. ერთი სიტყვით მოდის ნელ-ნელა ეს დალოცვილი, გვეპარება. სამოცდაცხრისა უნდა შესრულდე, ეს კიდევ ჩემს ხელში გაზრდილი ასე მგონია, გუშინ იყო-მეთქი. როგორ გაიპარა თვალსა და ხელს შუა. ბედნიერი სახე აქვს, თუმცა კრძალვა აღბეჭდია და როდესაც სამადლობელს მოიხდის, ასეთ სიტყვებს წარმოთქვამს სერგო ვარდოსანიძის ძმა. მარტო ამისათვის ღირდა ცხოვრება, რომ ასეთ სუფრაზე ასეთ საზოგადოებაში მოვხვედრილიყავი, ამაზე დიდი ბედნიერება არ არსებობს. მე ბედნიერი კაცი ვარ... ამაზე დიდი ბედნიერება რაღა უნდა გინდოდეს კაცს. ბატონი სერგო მომდიმარი თვალებით შესცქერის ზოვრეთიდან ჩამოსულ ძმას და მერე სუფრიონის გასაგონად იტყვის, როგორ ანებივრებდა ბავშვობაში ბატონი გელოდი, როგორც ჩუქნიდა ათი წლით უმცროს ძმას თანხას იმისათვის, რომ მომავალ მეცნიერს და მოღვაწეს ესწავლა, ად-

რეულ ბავშვობაში დაობლებულ ქართული ეკლესიის მემკვიდრე, ღირსეული ახალგაზრდობა გაეტარებინა. თითქო სათქმელს ვიკოწიწებდი ბატონი გელოდის მისამართით. ცოტა დაამკლდა რო ავდექი და ვუთხარი. ქართული საზოგადოება ვალშია თქვენთან მეთქი. და ამ სიტყვებში ერთი მისხალი სიყალბეც არ იქნებოდა. მადლობის სიტყვები რატომ უნდა დაიშურო იმ ადამიანების მიმართ, ვინც სერგო ვარდოსანიძე გაუზარდა საქართველოს. ილიმება ბატონი გელოდი, ილიმება ბატონი სერგო. საოცარი მადლია ძმების ქართული ცეცხლით ანთებულ თვალებში. რა უნდა ვთქვა იმაზე მეტი, რასაც პატრიარქის ქორეპისკოპოსი მეუფე იაკობი იტყვის ბატონ სერგოზე, მეუფე იაკობი, ერის სამრევლოზე ფხიზლად მყოფი მნათე. გასაოცარი მზერით, ქრისტეზე შეყვარებული და ერის სიყვარულით დაბანგული თვალებით რო უმზერს სულიერ შვილებს. ვება გოდოლოვით რო აღმართულა ქართული სულიერების და ქართული სახელმწიფოს დასაცავად. როგორ უნდა ადღეგრძელო ბატონი სერგო როინ მეტრეველზე მეტად, ცოცხალ აკადემიად აღმართულა დავითის და თამარის ეპოქების დიდი მესაიდუმლე და გატაცებით საუბრობს სერგო ვარდოსანიძის დამსახურებაზე. ვაჟა ლორთქიფანიძეზე უკეთესად როგორ უნდა ჩამოაყალიბო ქართული უნივერსიტეტის თავკაცის დამსახურება ერისა და ქვეყნის წინაშე. დალოცვა კი გინდა, მაგრამ იმაზე მართალი სიტყვები როგორ გინდა მოძებნო ტვინის ხვეულებში, რასაც მამა გიორგი ზვიადი იტყვის სერგო ვარდოსანიძის მისამართით. ამაზე დიდი სამკალი რა გინდა. დგახარ შენ საიუბილეო სუფრასთან უსმებ შენთვის ესოდენ საპატიო ადამიანებს. უსმენ გიორგი ზვიადაძეს, რომლებსაც საქართველოს ისტორია ასწავლე სასულიერო სემინარიაში და მშობელი ქვეყნის გამირულ წარსულზე დასწერე ჯვარი მომავალ პროტოპრესვიტერს, რომელიც ყველა ტაძრის კარიბჭესთან ჯვარაღმართული ხვდება უწმინდესს. სადღეგრძელოებს ტარიელ ფუტკარაძის ხმა შეუერთდება, მისი მართალი, გულწრფელი სიტყვები დაამშვენებს თამაზ ვაჩაძის სადღეგრძელოს, რომელიც იუბილარს მიემდგნა. ვაჩაძე, ვაჩაძე, ტარიელი ერთ-ერთ სადღეგრძელოს შემდეგ იტყვის ამ სიტყვებს და მეც უმაღ ჩამრჩება მეხსიერებაში. გულწრფელობის ჩემპიონია მსოფლიოში თამაზ ვაჩაძეო. თამაზი ჩვეული თავმდაბლობით გასცქერის სუფრას. უდიდის დიდ იუბილარს, რომელსაც იშვიათი შერმადინობით უწევს მეგობრობას ქართულ უნივერსიტეტში. იუბილეც არის და იუბილეც. იუბილარის სადღეგრძელოლებიც არსებობს და იუბილარის სადღეგრძელოლებიც. როცა ასეთი ადამიანები ფეხზე ადგებიან და ერის და დედა ეკლესიის წინაშე გაწეულ ამაგს გიფასებენ. ნამდვილად ღირდა ცხოვრება და ბედნიერების შეგრძ ნების ღირსიც გაგხადა მოწყალე გამჩენმა. დამსახურებებზე გაუთავებლად საუბრობენ და იუბილის სუფრა, ცხადია, ვერც ეყოფა ამ საქმეს. ქართული ეკლესიის მემკვიდრემ ერის მეხსიერებას დაუბრუნა ქართული ეკლესიის მწყემსმთავართა უკვდავი სახელები. მამა გიორგი იტყვის განსაკუთრებული პათოსით. პატრიარქ კირიონის წმინდანად შერაცხვა სწორედ სერგო ვარდოსანიძის დამსახურებააო. არადა, დედა ეკლესიის სამსახურში დაფერფლილი კაცი ლამის ამ უსაშინლესი ცოდვის

ტყვეობაში დავტოვეთ და როგორ ჰგონია მკითხველს, ეს ყველაფერი შემთხვევით მოხდა? ამ უდიდესი მოღვაწის გამოსახსნელად და ერისთვის დასაბრუნებლად სერგო ვარდოსანიძე გამოუგზავნა უფალმა საქართველოს, რომელმაც ეს მისია იტვირთა და კირიონის ტრაგიკული გარდაცვალების ობიექტური სურათი ხელის გულზე დაუდო ჩვენს საზოგადოებას.

* * *

მისი მშვიდი, მადლიანი ხმა იღვრება რელიეტიურიდან. საუბრობს დინჯად, საუბრობს აწონილი სიტყვით და მართალი გულით. პირდაპირი ჩართვა სამების დალოცვილი ტაძრიდან. ამბიონიდან გადმომდგარი მოძღვარი ლოცვას კითხულობს. გუგუნებს სამება. კელაპტრების ალით არის გაბრწყინებული დედა ეკლესია. სადაცაა შობა გათენდება. ვარსკვლავები უღიმიან დედამიწას. მხსნელის მოლოდინშია დიდი და პატარა. სულ რამდენიმე საათი და ძე კაცისა ატირდება ჩვილის ტირილით ბეთლემის ბაგაში. ტელეეტიურიდან სერგო ვარდოსანიძის მადლიანი ხმა იღვრება.

* * *

დააქცევენ და გამარჯვების ყიჟინასაც დასცემენ. სამკაპა კვერთხით დახტის არსახსენებელი. თეთრი ტაძრის წინ დახტის. დამაარსებელთა ძეგლებს კუდს უქიციანებს და მყრალ ოხშივარს აყენებს. დამთავრდა. დაინგრა. ეზოში დააყენებენ ნაგვის გროვად ქართული ლიტერატურის კაბინეტებიდან გამოყრილ საუნჯეს. პორტრეტებს, წიგნებს... ეროვნული ცნობიერება, ქართული სულიერება. აღარავის აღარ სჭირდება ეს ჩამორჩენილთა ფილოსოფია. ახალბედა პროფესორები მიიჩქარიან თეთრი ტაძრისაკენ. სხვა ხალხი აჟრიაშულდება მცირე ხანში და ერთი ღვაწლმოსილი პროფესორი გულმოკლული იტყვის მერე. შევედი და ვაი მის შესვლას, უდაბნოდ იყო გადაქცეული დედა უნივერსიტეტი.

მეცნიერებისა და სულიერების ცენტრზე ფიქრში ათენ-აღამებს უწმინდესი. სხვებიც ტეხენ ღამეს და მცირე ხანში ქართული უნივერსიტეტის სილუეტი წამოიმართება. სწორედ ის იტვირთებს უმუშევრად დარჩენილი ქართული მეცნიერების კორიფების გადარჩენას. სწორედ ის „შეიფარებს“ როინ მეტრეველს. ქართული უნივერსიტეტი გახდება სწორედ ეროვნული ცნობიერების ელმავალი. ამ ელმავალს სერგო ვარდოსანიძე ჩაუდგება სათავეში. დედა ეკლესიის მეთვალყურე გაწირავს თავს.

* * *

ყველას გვეფერება. ყველას თავს დაგვეფოფინებს. ერთ ალაგას ვერ ჩერდება. სუფრას ათვალიერებს. თვალებით გვესიყვარულება. მეუფე იაკობი ფეხზე დგას და ილოცება. სერგო ვარდოსანიძეს მადლობას უხდის ღამაში საღამოსთვის. კარგი ადამიანების თავშეყრისათვის. იუბილევ არის და იუბილევ.

სადღეგრძელოებიც არსებობს და სადღეგრძელოებიც. იმ ადამიან ების შემდეგ, ვინც ზემოთ ჩამოვთვალე, რა უნდა ვთქვა, როგორ უნდა დავილოცო, მაგრამ მაინც შევეცდები ორიოდ სიტყვით მეც მოგეფეროთ, ბატონო სერგო. უფალი გფარავდეთ. დიდი ჯვარი გარგუნათ გამჩენმა, მაგრამ როგორც მეუფე თადეოზი იტყვის, ერთ შესანიშნავ ლექსში, ჯვარს გილოგოთაზე აიტანს გასწევს, ვინც კარგი ხარია. ლაბა ხარის რუდუნებით მიგაქვთ დიდი ჯვარი, ბატონო სერგო. უფალმა შეგაძლებინოთ. ნუმც ჩაგემუხლოთ აღმართზე.

ღაღ

vaJa mel iqiSvil i

სანთელი

ჩემს ზამთრის ქოხში იწვის სანთელი.
დაეშვა ველურ სიჩუმის ფარდა
და თეთრ კაეშანს, თოვლად განფენილს,
გაჰყვა ყოველი, ოცნების გარდა.

ოცნება ძველი, ვით ჟრუანტელი,
უდაბურ ველის მდუმარებაში
დაფრინავს ლაღი და უძლეველი
ფაფარაყრილი ფიქრების რაშით.

ბარდნის და ბარდნის . . . ამ სითეთრეში
თუ ჩაიკარგა ზენარი ვარდი,
ჩაესვენება ბოროტ ხელეშში
სული - ლაჟვარდი! . .

აღიმართება აკლდამა თოვლის,
მკრთალი, ვით მწირი ცხოვრების კვალი,
დაიფერფლება იმედი ყოვლის:
წარსულიც, აწმყოც და მომავალიც.

ბარდნის და ბარდნის . . .
ვით წყრომა ბედის
იღვრება დარდი -
სიმღერა გედის.

ღამე პირქუში და უკუნია.
თოვლმა დაჰფარა გზა ბროლისფერი
და უთვალავი საუკუნეა, -
არავის ველი.

კაემნის ტალღით გადაბანილი
ჟამი განვლილი - მერმისის რისხვა,
ვით მირაჟეთის ლურჯი ყვავილი
დაიცვარნამა და მიინისლა.

გაქრა მაღალი ბროლის ტამარი
და არსაიდან არ არის შველა . . .
მხოლოდ ოცნება მიუსაფარი
დაჰქრის, დაეძებს კვლავ ცისარტყელას.

აქ კი სანთელი მკრთალი ნათელით
ცივ, ბნელ სივრცეში კვდება ეულად . . .
ილევა, დნება სიცოცხლე მთელი
ეფემერულად.

იწვის სანთელი. იწვის ოცნება.
იწვის იმედი. დრო მიდის, მიდის . . .
იწვის წამები ჩუმი წამებით,
ფერთა გამებში ლოცვაა მშვიდი.

მწუხარე შუქი იღვრება ასე
და ტკბილი სევდა მწველი ვედრების.
თვლემს აგონია, ვით სანთლის ტანზე
ჩამოღვენთილი ცხელი წვეთები.

ბარბაცებს მთვრალი ცისფერი ალი,
ჰა, სადაცაა გაქრება სრულად.
დაჰქრის და დაჰქრის ფიქრი ფრთამალი
სიზმარულად.

სევდათა შორის მონანავე სულოს,
ავსებულს ჩრდილთა იდუმალეობით,
ამ გაფითრებულ ღამის დასასრულს
დაენამება ლურჯი თვალები.

ჩემს ზამთრის ქოხში ქრება სანთელი,
რჩება სათქმელი ბედის ამრა.
ფიქრთა კამარამ უკანასკნელი
ზღუდე დაღეწა, დაასამარა!

მაღე იხილავს უცხო სამყოფელს
სული, მავალი ღია სამანით.
სამარადისოდ ტოვებს ამ სოფელს
სევდის ეული იასამანი.

მას სურს სავანე იქ დაიგულოს,
სადაც სიცოცხლე სულ ილოცება.
დარჩება მარად დიდ საიდუმლოდ,
თუ როგორ იქცა სული ოცნებად.

ფურცლავს დრო თავის სევდიან დავთარს,
თრთის და კანკალებს თეთრი სარკმელი.
ისმის გუგუნნი შორეულ ზართა . . .
ჩემს ზამთრის ქოხში ჩაქრა სანთელი . . .

მთვარის სონატა

მზე ჩაესვენა. გრაციით სავსემ
ღრუბლიდან მთვარემ გამოანათა.
დაეშვა ციდან დედამიწაზე
ნაზი ამური - „მთვარის სონატა“.

გული ვერ იტევს გრძნობათა სურნელს,
ზეფიროსების სუნთქვით მონატანს.
სევდის სავანე იხდის საბურველს, -
ძრწის მარტოსული - „მთვარის სონატა“.

ბგერათა ქარვა ჩუქურთმაქმნილი,
ძვალსა და რბილში ჟრჟოლად რომ ატანს,
ატოკებს ეთერს და ისმის მწირის
ჯვარცმული სულის კვნესა - სონატა.

მავანნი შველას ზეცას შესთხოვენ,
იღვრება ჰანგი ცისფერ კონათა.
აღარ ასვენებს ლუდვიგ ბეთჰოვენს
მარადისობის დიდი სონატა.

სერავს სივრცეებს ძველი ტკივილი
ამურის ისრით დაჭრილ მონათა.
ჟღერს უკვდავებად იმ სიმძიმის
მემატიანე - „მთვარის სონატა“.

* * *

ამაოდ ეძებთ სიტყვებს შესაფერს, -
ისედაც ვხვდები, რას მეკითხებით.
ახლა თვალები ნიშნავს ყველაფერს, -
არა სიტყვები.

დაჭრილი ოცნება

ლამაზი ფიქრი, ცაში აჭრილი,
რაისთვის ხდება სურო და ხავსი?!
ო, ვინ გაიგოს უღვთოდ დაჭრილი,
ფრთებდამსხვრეული ოცნების ფასი?!
მსხვერპლი გამხდარა წმინდა სავანე
უგვანო კაცთა უგონო რისხვის.

მშვენივრად ვიცი, რად მძულს მავანი,
მაგრამ არ ვიცი, მიყვარხარ რისთვის.
დუმბილის წუთებს, წუთების დუმბილს
თან მიაქვთ რაღაც უძვირფასესი . . .
ეს იდუმალი სიჩუმე სულის
სწორია ომის უმძვინვარესის!

ცის ლურჯი ფერი

*„განადგურების ეკლიან გზაზე
გულს ბევრი რამ აქვს ხელუხლებელი.“
გალაკტიონი*

ზეცა იმღვრევა, ისევ ვიმღვრევი.
წვიმს, ნიაღვარი გულში მეღვრება.
მძიმედ იმსხვრევა ლეგა ფიქრები,
ქრება იმედი, ჩნდება ვედრება.

ფიქრთა წარღვნაში სმენას კვლავ ესმის
ფოთოლთ ფარული ჟრჟოლა შრიალად.
ხეთა ვარამი სულის კლავესინს -
ჩემს სევდას კდემით შეეხმანა.

ვინ იცის, სულში რამდენჯერ წვიმდა,
მეხმაც რამდენჯერ დაიგრილა?!
ახლა ეს წვიმა ცრემლია წმინდა,
ხოლო გული კი - მისი ფიალა.

ვგონებ, სიცოცხლე უკვალოდ ქრება,
ყველაფრის ბოლო ლეთეს წყალია,
ამაოება არის ცხოვრება
და ყოველივე წარმავალია!

ნუთუ იმისთვის მოხველ ამ ქვეყნად
ბედკრულო სულო, სუსტო ლერწამო,
რომ სიმართლევ გერთყას ნარ - ეკლად
და უსაშველოდ უნდა ეწამო?

სხეული კვდება, სული კი ზეობს.
სიცოცხლის აზრი მართლაც ნისლია!
არ შეგვიძლია არ ვიარსებოთ,
არ მოვკვდეთ, - ესეც არ შეგვიძლია!

„არ შეგვიძლია . . . არ შეგვიძლია . . .“ -
გულში ქვაკვდება ეპიტაფიად
და მაინც მჯერა : სადაც ნისლია,
იქ არიადნეს თეთრი ძაფია.

უსახურ დღეებს არ უჩანს ბოლო
და არ შუშდება იარა ძველი,
მაგრამ სულს შერჩა რწმენის სიმბოლოდ
ცის ლურჯი ფერი.

ეხვევა ჟამთა სიავის სურო
შორი ოცნების ტანკენარალვას.
კამარა შეჰკარ, ნუ უცდი, სულო,
სევდის პირქუში ღრუბლის გადავლას!

ფანტასმაგორია

ამ გაზაფხულზე უცნაური ვიხილე კვირტი
და დავაკვირდი.

აღმოჩნდა მასში სიბილა დიდი.
კრძალვით და რიდით
მე მიაშობდა თვალეზი მშვიდი,
რომ ერთი ვინმე, პლანეტის მკვიდრი
მსხვერპლია ფლიდის,
ჩატეხილი აქვს მომავლის ხიდი,
რომ სიყვარულის მონაა იგი
და ამიტომაც ტანჯვის გზით მიდის.
რა ელის იმას, - ისიც კი მითხრა
და ნაღვლიანი ვფიქრობდი დიდხანს:

„ ასე გაწირვა კაცისა ვინ სთქვა,
რისთვის დაატყდა ასეთი რისხვა? “
შევბედე მაშინ სიბილა - მკითხავს
სულ ერთი კითხვა:

„ რა ხდება, მითხარ? “

მოულოდნელად გაიხსნა კვირტი,
ამოიზიდა ყვავილი ტიტის
და როს მცირედი ხანი გამოხდა,
ყვავილს აღმოხდა :

„ განა რა მოხდა?! “

ჭეშმარიტება ერთადერთია :
ეს საცხოვრისი სიზმარეთია
და რასაც ხედავ ყოველ ცისმარე,
არის სიზმარი;
მე ვარ სიზმარი,
შენც ხარ სიზმარი. “

თავი დამიკრა ტიტამ ლამაზმა,
მორცხვი ყვავილი უფრო განაზდა,
თვალი მოავლო ამ ქვეყანას და
გაქრა ანაზდად.

ბაღ

ღ აკაკი ჯობავა

მე მიხარია, როცა ჩემს გულში,
გრძნობების სიო ისევ იქროლებს,
და ვერ ჩახერგავს ამ წმინდა სულში,
სულ მცირე ფიქრებს, მართალ სტრიქონებს.

მე მიხარია, გრძელი დღეები
როცა ნათელი სინათლის სხივი,
გაცოცხლდებიან თურმე ღმერთები,
არა, არ გინდა ეს უცხო ხილი!

ხმა ჩამესმოდა, ზნელი რითმების,
არ დაწყებულა გუშინ ეს საქმე,
როცა მტვერია ბილწი სიტყვების,
ოღონდ აქ არა, ან სხვაგან სადმე.

შეზინდებისას, მუქი ფერები,
როცა ცხოველი ტყეში იღვიძებს,
მე ისევ გეტყვი, მოგეფერები,
ეს სიტყვა სითბოს აღარ ივიწყებს,

რატომ გავწირე ყველა მიხვდება,
მე მხოლოდ 1, ათასის ნაცვლად,
ჭეშმარიტების მალვა მიხდება,
არ მოინდომო ოღონდაც წასვლა...

არ შევიფარებ ეშმაკის აზრებს,
ნუ დააბრალებ ამას ცხოვრებას,
ჩემში სატანა დიდხანს ვერ გაძლებს
შევაწყვეტინე მე მას ოცნება...

მე მიხარია, როცა წარსული
მოგონებებით ისევ იწყება,
ბევრი დაბრუნდა ჩემგან წასული,
ალბათ, იტირებს, როცა მიხვდება...

* * *

მივიღებდი სიყვარულს,
თქვენ ხელში რომ არ ვიყო
იმედებიც მომპარეს
დრო თავიდან დაიწყო.
აღარ მჯერა ლოდინის
უკვე გულიც არა მაქვს
ეს ტანჯვა ხომ დიდია
მიკვირს, როგორ გადამაქვს.
ვიჯექი და ვფიქრობდი
კალამს ხელში ავიღებ,
რომ წამართვა ქვეყანა,
მე ჩემს სისხლსაც გავიღებ.

აღარ მჯერა სიკეთის,
ბოროტების ალში ვარ.
გამიზრდია ამხელა,
ვიცი, შენთან ვალში ვარ,
ნუ მაყვედრი ცხოვრებას,
სატანა ვარ იცოდე,
სამოთხეში თუ არა
ჯოჯოხეთში ვიწვოდე,
ვიცი შენთან წამოვალ,
100 წელი არ მყოფნის,
თუ საკითხი ასეა,
ჩემი ყოფნა-არყოფნის.

მამინ უკვე მზადა ვარ,
მოლოდინში იცოდეს,
შენ ხომ ერთადერთი ხარ,
შენ ხომ ღმერთი გიწოდეს.
უკვე ძალა აღარ მაქვს
20 წლის ვარ, ვბერდები,
თურმე გაჩენის დღიდან
დედაჩემსაც ვბეზრდები.
ბოროტებაც, სიკეთეც,
გაჩენილი შენია.
წამდაუწუმ სიკვდილი
თურმე განაჩენია.

უპასუხოდ დავრჩები
ცრემლებია მომდგარი,
ჩვენი გაჩენისათვის
ტრაგედია მომხდარი.
მე ხომ ასე მასწავლეს,
ნილაბი არ მჭირდება,
სატანა რომ მიყურებს,
ჩემი ლექსით გიჟდება.
მოგიშორებს ოდესმე,
ეს დღე მალე თენდება,
მაგრამ წლები გაივლის,
გულში გრძნობა ენთება.

აღარ მინდა სამყარო,
ოდესმე თუ გაქრება,
სიცოცხლისთვის ავანთე
ცეცხლი, თურმე ჩაქრება.

* * *

თითქმის პოეტი ვარ,
თითქმის ლექსებს ვწერ,
ზოგჯერ პოეტებს ვადარებ თავს.
ითქმის ყველაფერი, რაც კი მართალია,
იტყვის, ნათქვამია, ნუ ეტყვი კვლავ...
იცის, რა კაცია,
იცის, რა უქნია,
ცუდს არასდროს არ უზამს სხვას,
გზები გაუვლია,
ფრთები გაუშლია,
მაგრამ ვერასოდეს მიწვდომია ცას.
მისი დროც მოვა,
იცის, რომ ადრეა,
ყველაფერს თავისი ადგილი აქვს,
მაგრამ ჯერ ადრეა,
ეს ხომ ასეა,
იტყვიან, ნახეთ მწვერვალზე დგას,
ეს ხომ პოეტია,
ეს ხომ ლექსებს წერს,
ეს ხომ პოეტებს ადარებს თავს...

ბაბ

✎ *Temur al ania*

patara dedofal i

პატარა ნინოს ყოველთვის უნდოდა გაეგო, თუ რა ხდებოდა ღრუბლებს მიღმა სამყაროში. ერთხელ თამაშისგან დადლილ-დაქანცულს ეზოში ხის ქვეშ ჩაემინა, თვალეზი როგორც კი დახუჭა, უმალ სხვა სამყაროში აღმოჩნდა. ცაში ძალიან დიდი კიბე ადიოდა, რომელიც მინდვრის ყვავილებით იყო მოფენილი, ტანთ ქათქათა სამოსი ეცვა, ხელში კი პატარა ციმციმა ჯოხი ეჭირა. კიბეზე ასვლისას ნინოს ფერიები ეგებებოდნენ და თბილად უღიმოდნენ. როცა კიბეზე ავიდა, უცებ კარი გაიღო, რომელიც ღრუბლებში შედიოდა. ღრუბლებს მიღმა სამყაროში პატარა ნინოს ყველა ზღაპრის პერსონაჟი დახვდა, მათმა ხილვამ ნინიკო ძალიან გაახარა. ზღაპრის გმირები მას გარს ეხვეოდნენ და ეთამაშებოდნენ.

ერთმა კეთილმა ფერიამ პატარა დედოფალს ფრენა ასწავლა და ისიც სხვა ზღაპრის გმირებთან ერთად დაფრინავდა. ზღაპრის გმირებმა მას მთელი ზღაპრების სამყარო დაათვალიერებინეს, ყვავილებითა და სათამაშოებით დაასაჩუქრეს.

წასვლის დრო როცა მოვიდა, ნინოს ცოტა არ იყოს, გული დასწყდა, მან ახალ მეგობრებს პირობა მისცა, რომ კიდევ მოვიდოდა მათთან სათამაოდ. კეთილმა ფერიამ ნინოს მხრებზე ჯადოსნური ჯოხი სამჯერ დაადო და ფრთები აჩუქა. პატარა დედოფალი ფრენა-ფრენით ეშვებოდა მიწაზე და თან ლაჟვარდოვანი ციდან ტკბებოდა დედამიწის სილამაზით.

როდესაც გამოელვია უმალ ცას ახედა და გაეღიმა, იმედოვნებდა, რომ კიდევ იმოგზაურებდა ღრუბლებს მიღმა სამყაროში. სიხარულისაგან თვალეზანთებულმა დედასთან მიიბინა და ყველაფერი უამბო. უთხრა, რომ მასაც წაიყვანდა ზღაპრების სამყაროში სამოგზაუროდ, დედას გაეღიმა, შვილი გულში ჩაიკრა და მოეფერა. მას შვიულისთვის არ უთქვამს, რომ ეს მხოლოდ სიზმარი იყო, რადგან გული არ ტკენოდა. დედას უნდოდა, რომ ის სიხარული, რომელიც შვილის თვალეზში ენთო ყოფილიყო უშრეტად მოციმციმე. სადამოს ძილის წინ დედამ ნინოს ის ზღაპრები წაუკითხა, რომლის გმირებთანაც ერთად იმოგზაურა ღრუბლებს მიღმა სამყაროში.

დილით ნინომ ადრიანად გაიღვიმა, ლოგინზე წამოჯდა, თვალეზი მოიფშვინტა თავისი საყვარელი თითებით. დედას დაუძახა და სთხოვა, რომ მისთვის ბევრი ზღაპრის წიგნი ეყიდა, უნდოდა ზღაპრების ბიბლიოთეკა ჰქონოდა, რეა-

ლობაში გადმოეტანა თავისი თავდაგასავალი, მას კიდევ სურდა ზღაპრის გმირებთან მოგზაურობა. ნინო მას შემდეგ სულ ღრუბლებს მიღმა მოგზაურობაზე ფიქრობდა და ბევრ ზღაპარს კითხულობდა.

ერთ საღამოსაც, როდესაც დაიძინა ფანჯარასთან ეტლი ჩამოედგა, რომელშიც თეთრი პეგასები იყო შებმული, ნინომ ფანჯარასთან მიიღბინა და ეტლში ჩაჯდა, კარი როგორც კი დახურა, ეტლი ქარივით გაქროლდა ღრუბლის ბილიკებზე. ირგლივ გამეფებულ სიჩუმეს მხოლოდ პატარა გულის ძგერა არღვევდა. ეტლი, როდესაც გაჩერდა, ელფებმა კარი გააღეს, ნინო დედოფალივით თეთრ და ულამაზეს კაბაში იყო გამოწყობილი, თავზე ოქროსფერი დიადემა ჰქონდა, ხელში კი ისევ ის პატარა ციმციმა ჯოხი ეჭირა. ფართოდ გაიღო ზღაპრების სასახლის კარები, ნინო, როდესაც შევიდა, დაინახა, რომ ყველა ზღაპრის პერსონაჟს უზარმაზარ დარბაზში მოეყარა თავი.

ნინო დედოფალივით გამოიყურებოდა, მისმა თვალისმომჭრელმა სილამაზემ ყველა მოაჯადოვა, ნინიკოს მოსვლამ ძალიან გაახარა ზღაპრის გმირები. მხოლოდ ერთი ბოროტი ჯადოქარი შურიანი თვალებით უმზერდა პატარა დედოფალს, ძალიან გაბრაზდა, რადგან მას ყურადღებას არავინ აქცევდა. უცებ ნინოს მივარდა, დიადემა გამოსტაცა და შემზარავი სიცილით გაეცალა იქაურობას. პატარა დედოფალს თვალებიდან ცრემლები წასკდა, მიწაზე დავარდა და დიდხანს ტიროდა. ჯადოქრის სასახლეში დიადემის დასაბრუნებლად სამი ჯუჯა წავიდა. ზღაპრის გმირები ცდილობდნენ ნინო დაემშვიდებინათ. ჯადოქრის სასახლემდე ჯუჯებს შორი გზა ჰქონდათ გასავლელი, ის ზღვის გადაღმა ცხოვრობდა, ჯუჯები ნავში ჩასხდნენ და ქარს სთხოვეს, რომ სწრაფად სვლაში დახმარებოდა. ქარმა სული შეუბერა იალქანს, ნავი ისარივით გაქროლდა ტალღებზე.

ნინო ცოტა დამშვიდდა, ცრემლები შეიმშრალა და თავისი ლამაზი ხმით ზღაპრის გმირებს მოესიყვარულა. ზღაპრის პერსონაჟებმა პატარა დედოფალს დაუვიწყარი დღესასწაული მოუწყვეს, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ნინოს მინდვრის ყვავილებისგან დაწნულ გვირგვინებს ადგამდნენ თავზე, ხელში აყვანილი დაჰყავდათ. მზეც კი იღიმოდა მათი შემყურე. პატარა დედოფალს შესცივდა, ლოყები გაუფითრდა. მზემ თავისი მოსასხამი მოიხსნა და ნინიკოს მოაფარა, გაუღიმა და დიდი სიყვარულით მოეფერა. ნინო გაახარა მისდამი თბილმა მოპყრობამ, შემდეგ კი ისევ ზღაპრის პერსონაჟებთან თამაშს დაუბრუნდა.

ამასობაში ჯუჯები ჯადოქრის სასახლეში მივიდნენ, დიდხანს მოუწიათ ბნელ ლაბირინთებში გზის გაგნება. ბოლოს, როცა მიაღწიეს, ფრთხილად და ფეხაკრევით შევიდნენ სასახლეში. დიდხანს ეძებეს დიადემა, მაგრამ ვერ იპოვეს, ბოლოს ჯადოქრის საძინებელ ოთახში შევიდნენ. ჯადოქარს ეძინა დიადემა კი იქვე სასთუმალთან ედო. ჯუჯები განსაკუთრებულად ფრთხილობდნენ ჯადოქარი რომ არ გაეღვიძებინათ. როგორც იქნა, მოახერხეს სასთუმალთან მისვლა და დიადემის აღება, ისევ იმავე გზით გამოემართნენ შინ. ჯადოქარს როცა გაეღვიძა, მთელი სასახლე გადაატრიალა, მაგრამ ამაოდ. დიადემა

ვერსად იპოვა. კვილით აიკლო იქაურობა. მისი კვილი გზაში ჯუჯებმაც კი გაიგეს, რაზეც გულიანად გადაიხარხარეს.

ზღაპრის გმირები ისევ განაგრძობდნენ წინოს გამხიარულებას, რაც კარგად გამოსდიოდათ. ქათქათა ღრუბლებზე დარბოდნენ, მღეროდნენ ნიავთან ერთად, მხიარულად მოიარეს ზღაპრების სამეფო.

ჯუჯები როცა დაბრუნდნენ, ძალიან გაუხარდათ მომღიმარი პატარა დედოფლის ხილვა, ოქროსფერი დიადემა ისევ მოწიწებით დაადგეს თავზე და სხვებთან ერთად განაგრძეს მხიარულება.

მხიარულებაში დიდი დრო გავიდა, წინოკოს შინ დაბრუნების ჟამიც მოახლოვდა, მართალია, ამან ზღაპრის გმირები ცოტა არ იყოს დაანაღვლიანა, მაგრამ რას იზამდნენ. ეტლი ისევ ჩამოდგა ზღაპრების სამეფოსთან. პატარა დედოფალი ეტლში ჩაჯდა, ყველას ხელი დაუქნია და შინისაკენ გამოემართა. სულ უკან იყურებოდა, თითოს გული სწყდებოდა. ეტლი ისევ ფანჯარასთან გაჩერდა, წინო ეტლიდან გადმოვიდა და ლოგინს მიაშურა. დილით რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა, თვალები როცა გაახილა, დაინახა, რომ დედა ფანჯარას აღებდა, სხივები ოთახში თამამად შემოიჭრნენ, იქაურობა გაანათეს, პატარა დედოფალს სახეზე ელამუნებოდნენ, თითქოს ეთამაშებიანო, ისე როგორც სიზმარში.

ბაბ

 *Tamaz xmeI iZe*

* * *

მოვდიოდით, უხაროდათ ბაღს და ქუჩებს,
 ეგ თვალეზი თაფლისფერი სანთლებია!
 პირველ ტრფობით ათრთოლებდი ლამაზ ტუჩებს,
 ლამაზ ტუჩებს გული დაუამებია!

ქუთაისში დღეს ჩაეცვა სველი კაბა
 დამეც ცრიდა...
 ეს ცხოვრებაც ზღაპარია!
 ზოგჯერ ვნატრობ ამ ქვეყნიდან ადრე წასვლას,
 მაგრამ რა ვქნა, შენი გული მაბარია...

quTaisi

ქუთაისო, მე შენ დედა გიწოდე,
 თუ ვიცოცხლებ, მხოლოდ შენით, იცოდე!
 დაე, მარად შენს გულმკერდზე ვირწოდე,
 დაე, შენი სიყვარულით ვიწვოდე.

შენს ქუჩა-ბინდს უმღერს ჩემი ლექსები,
 „ოქროს ჩარდახს“ ჩუმი ვეაღერებო!
 ბესიკის ფორს სწვდება ჩემი თვალია,
 სად ტამარი ცალად წამომდგარია,
 ქალაქს იცავს თავისებურ ბუბუნით,
 ძირს რიონი მოიმღერის დუდუნით.
 მიაგორებს ტალღებს ხმაშეწყობილად,
 წყალწითელა გაუხდია მშობილად!

ზე დაჰნათის თაკარა მზის სხივები,
 წყალში ბზინავს ათასფერი მძივები.
 ქუთაისო!
 მკერდში ჩაგეხუტები,
 ხელი არ მკრა, მორჩილად გენუკვები!
 ქუთაისო!
 მე შენ დედა გიწოდე!
 თუ ვიცოცხლებ, მხოლოდ შენით, იცოდე!

* * *

ნურასოდეს ნუ ეცდები
სხვის გაკილვას-დამცირებას,
თორემ ბედი ისე დაგცემს,
ვერ მოასწრებ გაცინებას.

* * *

არ გეგონოს მარტივია ცხოვრება,
როგორც ღვინო ფეშენებლურ შარდენზე...
თბილი ცრემლი _ ჩემი სიამოვნება,
დალექილა გორელ გოგოს ფანჯრებზე!
ისევ გალობს თეთრი ჩიტი პაწია,
იცი, კარგო?
მეგობარი
რა ძვირფასი განძია?!

* * *

ზოგი ტყვილებში არის ნაბანი,
ზოგსაც სიტყვები მრუდედ გადააქვს,
დაიმახსოვრეთ ჩემი ნათქვამი:
ბრიტყვთან დიალოგს აზრი არ აქვს!

* * *

უშენოდ ყოფნა ტანჯვა ყოფილა,
ღამეს ფიქრებში თეთრად ვათენებ,
გული ამ ღამით შენსკენ მოფრინავს,
გამოვატანე ციციანთელებს!

* * *

მესხეთის მთებში ავობდა ქარი,
ვეძებდი უფსკრულს ჩამირულ ღრმულებს,
ო, რა ძნელია გზიბლავდეს ქალი,
ქალი,
რომელსაც სხვა უყვარს თურმე.

* * *

მინდვრის ყვავლებს გიკრეფდი ქარში,
ქარი ყვავილთა ამორძალია!
შენი თვალები შემოხვდათ მთაში,
კამელიებმა მოიწყინეს მაშინ ძალიან!!

* * *

ხონში გოგო დადიოდა
ამაყი და თავნება,
ხონში გოგო დადიოდა,
გოგო ცისფერთვალეზა,
ალბათ, მისთვის ააშენეს
ქართველებმა სამება!

* * *

თუ კატინამ ტატოს ცეცხლი მოუკიდა,
მისთვის თრთოდა, ვით გულთეთრა შველი,
თუ ბესიკმა შეძლო ანა ჰყვარებოდა,
ჩემს სიცოცხლეს მხოლოდ შენდა შველი!

თუ რუსთველმა დიდ თამარის სიყვარულში
მოუსვენრად გაატარა დღენი,
ტაბიძეს თუ აცოცხლებდა სუნთქვა მერის,
ჩემ სიცოცხლეს მხოლოდ შენდა შვენი!

თუ ბულბული ტურფა ვარდის სურნელებით
მთვრალი გალობს, მის სიყვარულს ელის,
შენ ვარდი ხარ, მე ბულბული, ჩემს სიცოცხლეს
მხოლოდ შენი თვალთა კრთობა შველის!

პაპ

giul i muradaSvil i

ra-mzesi

გადაულებლად წვიმდა...

მიწას ასდიოდა სიცივის ოხშივარი;

იჯდა ორი ძე-ხორციელი მყუდრო ქუჩის დასაწყისში, ტოტეგაშლილ მუხასთან ალანძული. მათ სამოსს შერჩენოდა ციხის ნესტი; გაახსენდებოდათ – გათანგული, ჩაულაპარაკებდნენ რაღაცას მოღუშულნი ერთმანეთს – ბრაზი გადაუვლიდათ სახეზე „იყვნენ ფიქრში“.

მუხის ფოთლებს შერჩენილი ნაწვიმარი ერთი-ორჯერ დაეღვარათ სახეზე.

...ნიავექარმა მოკირწყლული ქუჩა მორთო ნაირფერი ფოთლებით.

აქა-იქ შერჩენილი ქათქათა, ზოგან ცეცხლის ალივით ღრუბლები. ცოტა ხანში დაჯაბნა მზემ...

დაეშურნენ.

ამველ-ჩამველნი ათვალიერებდნენ – ყიდულობდნენ ხილს, გაზეთებს, ყვავილებს;

მუსიკოსებმაც დრო იხელთეს: სტვირის, სალამურის, კრიალა, ნიავექარით ტალღამ იმძლავრა... ტოროლების წკრიალა რიალ-ტრიალის მსგავსი გაწვ-და ქუჩას...

სალამური, სტვირი, ლარიჭემის – სევდანარევი სიხარული, მჭრელი, ალალმართალი; ინდიელი მუსიკოსების მოლივლივე – ნარნარი სამოსზე მოსირმულ-მოვარაყებული მზე შეეხმინა შემოდგომის შუა დღეს.

* * *

ყინავს,

დაძრულ თოვლში ხავსი მოჩანს აქა-იქ შეფარვით;

ცეცხლის ალივით გამჭვირვალე ღრუბლებიდან დაშვებულმა მზის სხივმა თითქოს ოქროს ბადეს ჩააწნა ტრიალ ველზე ეული ტირიფი...

რომელიღაც ფრინველი შლის ფრთას მზის სხივთა წნულში – მასთან ერთად უჩინარდება...

იცრიცება ფერები ბინდში.

mogzaurebi

თოვს...

სტუმრობს მეზღაპრე ეზო-ეზო გაკვალული ბილიკით:

– დედამიწიდან შორს, რომელიღაც უცხო მხარეში ბავშვებს უყვარდათ თამაში; მაგრამ ისინი სხვა ბავშვებისგან განსხვავებით – ნავარდობდნენ, ბუქნავდნენ, ყირამალა გადადიოდნენ ღრუბლებში.

ერთ დღეს ბავშვები შორს გაიჭრნენ: მთებივით აწვერილი ნისლი ზღვასავით მოლივლივე სივრცე გაიარეს, ის იყო უკან წასვლა დააპირეს შინისკენ, რომ შორი-ახლო შენიშნეს მზეწული კიბე, ცნობისმოყვარე, სიფრიფანა, ანცი ბავშვები ამავალ-ჩამავალ, გაცისკროვნებულ გზას აღმა-დაღმა აუყვ-დაუყვნენ... იარეს ცის ქვეშეთში... კარგა ხნის მერე მშობლიურ კერიას დაუბრუნდნენ.

გახარებული დედა ნიავეპრივით ევლებოდა ბავშვებს, დიდედა კვირისთავს შეელა: სად იტანტალეთ, ან რა ნახეთო – ჰკითხა.

პატარა მოგზაურებმა ერთმანეთს ანიშნეს: „არა შენ თქვი, არა შენო“.

ამასობაში ყველას დაასწრო ნაზიბროლამ; მაგრამ მის ტიტინს ვინ გაიგებდა, – რა თქვა და რა არა?!

თავიანთები მიუხვდნენ – აქედან არც თუ ისე შორს, დაბურულ, უღრან ღრუბლებში იბურთალებდაო.

უსმენდა დიდედა თან კვირისთავს ატრიალებდა; დროდადრო თვლემას მიეცემოდა, მაფის გორგალი ხელისდან ეშვებოდა... უნდა გენახათ, ბავშვები რომ დაედევნებოდნენ...

...ქარბორბალა თოვლს ნამქერს უმატებს;

მიდამოს ბურავს და აჩენს

მეზღაპრე სარკმელს შორდება, ამბავს განაგრძობს:

– იმ მხარეშიც იცოდნენ გათვლა: „ეხლა შენი ჯერია“! ბავშვებმა გაითვალეს და შუათანამ თქვა შორეული ქვეყნის ამბავი:

– ბალი კლდე-ღრეს ეხმიანებოდა, ვარდი ყვავილნარს ეჯიბრებოდა, ბავშვები შრომობდნენ.

მოივლიდნენო ტყე-ღრესაც – უსმენდნენ, მაგრამ არ იცოდნენ – რა ერქვა ამ ქვეყანას; სახელი „დედამიწა“ იცოდა მრავლისმომსწრე დიდედამ; ცოტა ხნის მერე მან „მზეჭაბუკის“ ზღაპარიც გაიხსენა:

– მოღერებულმა შუბებმა ვერ გაჭრა; მზეჭაბუკმა მხარი ფართით, თავი სიმღერით გაიმხსნევა:

„თემიდად მწევ და მეოხე, ხარი წინამძღოლი.

სიმამაცისა გიპყრია კვერთხი;

ცეცხლოვანი რაშნი მოგაქროლებენ მესამე ცის კამარაზე“

(ჰომეროსის პოემა).



cotne sivsivaZe

unaTI o saukunis aCrdil ebi

*„...და იხილა დედაკაცმა, რამეთუ კეთილ არს ხე ჭამად
და სათნო თვალთათვის ხილვად და შუენიერ განცდად.
და მიმღებელმან დედაკაცმა ნაყოფისაგან ჭამა
და მისცა ემარსაცა მისსა მის თანა და ჭამეს.
და განეხუნეს თუალნი ორთანივე
და აგრძნეს, რამეთუ შიშუელ იყუნეს“
დაბადება, თავი: 3-ე, მუხ.: 6, 7.*

– შენს შეტევას გულ-მკერდის არემი, ნერვული ფონი აქვს, – მეუბნება ექიმი. – ხანგრძლივი და მშვიდი დასვენება გჭირდება.

მაშინვე ცხომარეთში, მამულში გადავწყვიტე გამგზავრება.

დღეს ისე საჭირო გახდა ენდემურ გარემოში ცხოვრება, როგორც არასოდეს. ხელი ჯიბეში მოვიფათურე. ფული იმდენი მქონია, რომ იქ, სადაც საშინაო მეურნეობას ეწევიან, სამიოდე თვით თავს გამატანინებდა. როგორც იქნა, სახლამდე მივალწიე. კარი ღია დამხვდა – ნანიკომ იცის, სად დევს გასაღები. ცხელა და, როგორც ყოველთვის, საცვლებისამარა დაფლატუნობს ოთახიდან ოთახში. ნეტავ განახათ, რა ლამაზია ამ დროს – დედიშობილას, თვალეშში პირველყოფილი ცეცხლი უთამაშებს.

სადილი მოემზადებინა და ახლა ყავას იდუღებდა.

ნანიკო დაუფასებიათ თავაუღებელი შრომისთვის და შვებულება მიუციათ. ისე, ამ ამბავმა გამაკვირვა. ან განა არ უნდა გამკვირვებოდა, ამ ჩვენი გაძლიერებული მონური ეროვნული კაპიტალისტური ექსპლუატაციის პირობებში, როგორც საქართველოში, და არა მარტო საქართველოში, როგორ გაიმეტეს ცოცხალი მუშახელი დასასვენებლად?! მაგრამ ამაზე ბევრი არ მიფიქრია, შეტევის განმეორების შემეშინდა!

– რაო, ექიმმა? – მეკითხება ნანიკო.

– ზედმეტი ფიქრი შეგიწირავსო, მარტო იმაზე იფიქრე სტომაქი როგორ ამოიყროო, სხვა ფიქრი მაინც არაფერს გარგებსო, რას შეცვლიო? ხო და, დასვენება გამომიწერა, – ვუპასუხე ქალს.

– მერე, საით აპირებ?

– ცხომარეთში, მამაჩემის სოფელში.

ნანიკო სიხარულით ცას ეწია, იცოდა, რომ ჩემი სოფელი ტყეშია გაშენებული. საერთოდ, ეს ქალი პირველყოფილ პირობებს ეტანებოდა და ცდილობდა, ხშირად სწვეოდა ასეთ ადგილებს.

– ჰოდა, ნანიკო, ცოტახნით მაინც გავერიდებით ამ სიცრუის, გაუტანლობისა და არაფრისმომცემი საგნების გოდორს, ოცდამეერთე საუკუნის ქალაქი რომ ჰქვია!

როცა შებნეულა და შედარებით აგრილდა, ნანიკომ ჩაიცვა და სახლისაკენ დაუყვა.

მეორე დღეს სადგურის მოედანზე უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. სალამოს მატარებელი, თბილისი-საჩხერე, თვრამეტ საათსა და ოც წუთზე გადიოდა.

სადგურისაკენ ფეხით გავემართე. საშინლად მეზარება სიცხეში სიარული, მძიმე, ძალიან მძიმე სოციალურ პრობლემებზე დაფიქრებულ ადამიანებს შორის, რომელთაც მხოლოდ ყოველდღიური საზრუნავი ჩასდგომიათ თვალებში. ან ვინ აძლევს ამოსუნთქვის საშუალებას? კისრისა და მაჯის მარღვებზე ეტყობათ იმაზე მეტი შრომის კვალი, ვიდრე ადამიანს შეუძლია (მახსოვს, ერთი ახლობელი, ზედმეტი ფიზიკური შრომისაგან, აორტის გაგანიერებით გარდაიცვალა).

სადგურში საშინელი სიბინძურეა, ბაქნებს შორის, გვირაბებში გავლა შეგეზარება.

ჰაერი დახუთულია. ოფლი მასხამს. კედელთან ორი ნამთვრალევი მეძავი მოჩანს, ერთი ქილა კიტრის მწნილისთვის ჩეჩავენ ერთმანეთს. ჩოჩქოლია და სეირის მაყურებლები ჯგუფდებიან. მე აღარ გავჩერებულვარ.

სალაროსთან ნანიკო მელოდებოდა.

ბილეთები ავიღეთ. მათ ფასს არ დავასახელებ. მართლაცდა, ვისაც გაუზარდება, ყველა ჩვენ გვმარცვავს. ჩვენ კი, დროდადრო ხბოებივით თუ ამოვიღმუვლებთ ხოლმე, ისიც ჩვენი სტომაქის გადასარჩენად ან როცა ძალიან შეგვაწუხებს სახრე. მანამდე მოთმინებით ვიტანთ ყოველგვარ დამცირებასა და შეურაცხყოფას! ასეა. ჯერ კიდევ როდის გვეუბნებოდა ერთი ბრძენი მწერალი: ფუნქციონირებულები, საშოვარს გადავეგეთ და გავთითოკაცდითო... დღეს, თუ უარესები არა, ნეტავ რითი ვართ იმაზე უკეთესები, მაშინ რომ ვიყავით?! სანამ სასწაული არ შეგვემთხვევა, ნაჭუჭიდან არ გამოვდივართ!

მატარებელში ჩავსხედით. ჩვენ გარდა მგზავრი არავინაა. გამცილებელს ვთხოვე, კუპეში უბილეთო არავინ შემოემვა.

ნანიკოს ძალიან ვუყვარვარ. ამიტომაც განიცდის ძლიერად ჩემს დამოკიდებულებას გარშემო არსებული არაფრისმთქმელი საგნებისა და ყალბად და უშედეგოდ მიმდინარე მოვლენების მიმართ, ძალიან ბევრს ფიქრობს ჩემზე, იმაზეც კი ფიქრობს, რაზეც მე ვფიქრობ.

ნანიკოს ჩაემინა.

ნანიკოსი რა გითხრათ, მაგრამ მე მართლაც არაერთხელ მიფიქრია იმ მანძილის შესახებ, რომელიც საგნებს ან მოვლენებს შორის არის გაწოლილი. იქნებ მოვლენაა, რომლის მეშვეობით წარმოიქმნება უკვე თავისთავად არსებულის შესატყვისი ესა თუ ის კონკრეტული საგანი? ან იქნებ განსჯის მეშვეობით უჩნდება ამა თუ იმ საგანს კონკრეტული სახელი? განსჯაც ხომ მოვლენაა?

წუთუ აბსტრაქტული სიკეთიდან ხელშესახებ სიკეთემდე ანუ პოზიტიურ შედეგამდე მოვლენაა, რომელიც ადამიანის მიერ აღესრულება?! მაშინ რატომ მიდის ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი უფრო ხშირად ნეგატიურ შედეგამდე?! ეს კითხვები კაცობრიობას კანის მკვლელობიდან აწუხებს, ჩემო ნანიკო და, ალბათ, მეორედ მოსვლამდე უპასუხოდ დარჩება.

ასეა ადამიანი – თუ ეცდება ააშენოს ბაბილონის გოდოლი, ააშენებს ბაბილონის გოდოლს (თუ, რა თქმა უნდა, თავზე არ ჩამოამხო მამაზეციერმა). და თუ ეცდება ააშენოს ღვთის სახლი, ააშენებს ღვთის სახლს (თუ, დააცადეს ძლიერთა ამა ქვეყნისათა). ორივე შემთხვევაში, მოვლენას მივყავართ სავარაუდო დასასრულამდე. უბრალოდ, საქმე კეთებად უნდა ღირდეს. აბა, რა საჭიროა საქმე, თუ ამ საქმემ სიკეთე არ მოიტანა? ჯერჯერობით კი, ადამიანი ხელახლა ააშენებს ბაბილონის გოდოლს და ჩვენც თითო აგურს ვდებთ მის შენებაში... რომ გეღვიძოს, ნამდვილად დამეთანხმებოდი, მაგრამ კარგია, რომ გძინავს და ასეთი აზრებით არ გაფორიაქებ.

მოუთმენლობისაგან ვცმუკავდი, მიხაროდა იქ რომ მივდიოდი, სადაც ჩემი წინაპრები, ჩემი სისხლი და ხორცი ასწლეულების მანძილზე განისვენებს. ასწლეულების მანძილზე იგერიებს იმ კავკასიური მცირე ტომების შემოსევებს, რომელთაც სამეურნეო კულტურა ვერ აითვისეს და ნამარცვით იმედოვნებენ ლელოს გატანას. და მათ შორის წვეთ-წვეთ იცლება ჩემი სხეული სისხლისაგან. განახლება მჭირდება – ხელახლა შობა, მაგრამ მაინც ვდგავარ ჩემი ქვეყნის წინაშე და იმდენი ენერგია შემომრჩა, რომ შევუძახო მას: შენ არ გაქვს უფლება, ადვილად ჩაიმუხლო და უბრალოდ დაუშვა იარაღი!!!

სოფელში ახლა რამდენიმე ადამიანია და ერთი ბრძენკაციც, რომლებიც ამ ცრუ მოვლენების ქაოსში გამოწურულ სისხლს დამიბრუნებენ. ყოველთვის მათ შორის ვემბ სულიერ თავშესაფარს და, სწორადაც ვიმედოვნებ, რომ უკლებლივ გამიმრთელებენ დაჩეხილ სულს, სინათლედაკარგულ თვალსა და დასუსტებულ მარჯვენას. ეს ხალხი, ეს მიწა, ამ ხალხის შეგნება მავსებს შინაგანად და მიყალიბებს წარმოდგენას ჩემი სამშობლოს შესახებ, საიდანაც იშლება მთელი მსოფლიო, მთელი სამყარო და ადამიანთა ამქვეყნიური ცხოვრების ავ-კარგი. მათი განუზომელი სიყვარული მაძლევს სტიმულს, გავუძლო გარემომცველ კაცთმოპულეობას.

რიტრაჟმა კუპეში სხივი შემოაპარა. ფიქრიდან გამოვერკვიე. რა ვნება შეიძლება მოეძალოს კაცს, რომ მძინარე ქალი გააღვიძოს? მონაზვნის სიმშვიდით ეძინა ნანიკოს. უძრავად იწვა გულადმა. სახეზე აღბეჭდილი თითოეული ნაკვთი სიცოცხლის უსაზღვრო სიყვარულს უმხელდა, სხეული კი, თავგადადებული ტრფიალების უსამანო სურვილს. ის ლაღი სიცოცხლისა და უდარდელი სიყვარულისთვის იყო მოვლენილი, და არა ცხოვრების ქაოსური ორომტრიალისათვის.

ნანიკომ იცოდა ეს და ჩვეულებრივ ამბად მიიჩნევდა. ძლიერი იყო პიროვნულად, ნამდვილად ქალური. ისე, რაღა დაგიმალოთ და, ესეც განაპირობებდა მისდამი ჩემს უსაზღვრო პატივისცემას.

მატარებელი მოულოდნელად შედგა. ჰო, მართლა, ეს ახასიათებს ჩვენს მატარებლებს. უცაბედად შეგაფხიზლებენ და აგაფორიაქებენ. ნანიკო შეტოკდა ნარზე, მკლავები გაშალა და მზეზე მცონარე კატის ზმორებით ასწია მაღალი მკერდი და ტანი, ზეწრის ქვეშ აკეცილი მუხლები აუცახცახდა და თმები ბალიშზე ჩამოეშალა. ბოლოს თვალები გაახილა. მე დამენანა, რომ ის ისეც ცრუ მოვლენების ქაოსს შეუერთდა. გადავჯექი, ხელი მოვკიდე და მივუალერსე. ცხელია მისი ნამძინარევი სხეული.

– ჩამოვედით, – გასჭყვივლა გამცილებელმა. – გაემზადეთ!

მატარებელი უკანასკნელი გაჩერებისაკენ დაიდრა.

სადგურიდან ჩემ სოფლამდე ათი კილომეტრია. ტაქსი დავიჭირეთ. რამდენიმე პატარა, თითქმის დაცარიელებული სოფელი მდუმარედ გავიარეთ. ძველი „ნივის“ ძრავის ხმა ყველა სულიერს აფრთხობს ადამიანის გარდა.

აი, პირველი ხიდიც შემხვდა, წყალფინას და ჯრუჭულას შესართავთან რომ არის, უფრო ზემოთ ჯრუჭულას კვერთღელა უერთდება. ხიდეზე სანამ გადახვალ, მარცხენა მხარეს, მთავარ გზას ორი განატოტი აქვს, ერთი სოფელ უზუნთისაკენ შედის, მეორე კი, მის პარალელურად, მუხნარში უჩინარდება ჯრუჭის მონასტრისაკენ.

როგორც იქნა, მივადექით მდინარე ჯრუჭულას. მანქანა გავაჩერებინე მეორე ხიდთან, რომელიც გზას ცხომარეთთან აკავშირებს და კვერთღელაზე გადადის. რიყზე ჩავირბინე და პეშვით დავლიე ჯრუჭულის წყალი. თავზე გადავივლე. გავცოცხლდი. საიდანაც ეს მდინარე მოედინება, დასახლებები არ არის, კამკამა და სანახავად სასიამოვნო. ფსკერზე ნაირნაირი ფერის ქვები მოჩანს და, ხშირად, მოულოდნელად გამოსრიალებული თევზი იტაცებს თვალს. ნანიკომაც მომბაძა. მოუხდა ველურ ბუნებასთან მიახლოება. ტკრციალებდა და გაუთავებლად ტიტინებდა. მძლოს ბარგი ხიდთან დავატოვებინე და გაუშვი. ნანიკომ მაშინვე ტანზე გაიდრო და ხარბად დაეწაფა მთის ანკარა, ცოცხალ წყალს. მან თავისუფლება იგრძნო და მე მაშინ მივხვდი, რომ ადამიანი ბუნების შვილია და მხოლოდ მასთან შეერთებისას გრძნობს ნამდვილ ალტაცებას.

ბუნების სიშიშვლეს დახარბებული ნანიკო ძლივს დავარწმუნე, მდინარიდან ამოსულიყო. ბუზღუნით ამოიტანა თავისი მაღალ-მაღალი მკვრივი მკერდი, ზედ შეცივებული ძუძუსთავეები რომ ამოზურცვოდა, და ბიბლიური თიხით ნამერწი სხეულიც ამოაყოლა, მერე ხელები გაშალა და შეჰყვირა ზეცას:

– მე ვიცნობ ევას, მდინარეში მდგომს, უფალს რომ შესთხოვს მიტევენას შეცოდებათა!.. – მერე მე მომიბრუნდა: – შენ ხარ ადამი, ედემიდან განძევებული, უსაყვედუროდ მიჩენ ადგილს გულის სიღრმეში, და ამიტომაც შენ გმორჩილებ თვინიერი და უდრტვინველი...

მე ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე ახლოს იქნებოდა ნანიკო პოეზიასთან. თავი ვერ შევიკავე, მდინარეში შევვარდი, ქალი ხელში ავიტაცე და დავტრიალდი: ჩემ გარშემო ბრუნავს მთელი სამყარო და მიხარია, რომ მასში არა ვარ მარტო.

ქალი კისერზე მეხვეოდა და ხარობდა სხეულის პირველდაცემამდელი სიშიშვლით.

მეც გამოვცოცხლდი გარდასახვის ბრწყინვალე ბადაგნასვამი. იმედიანად ვუმზერ მშობლიურ მხარეს. ამ ქალთან ერთად მეც ვგრძნობ, რომ სხეული და სული ერთმანეთს უნდა მორჩილებდნენ და რომ მხოლოდ სიკეთე და ბუნების მშვენება მისცემს ადამიანს თავისუფლებას.

* * *

პირი რომ უზუნთისკენ ვიბრუნე, აქეთ მომავალი მეხრე შევნიშნე, კარგად დაუკვირდი, ჩემს სმენას ურმულიც მისწვდა. ნანიკო დავსვი, ჩაცმამი მივე-

შველე. ამასობაში მგზავრიც გამოიკვეთა, უშველელბელი თივის ზვინით დაეტ-
ვირთა აჩაჩა ურემი. მეხრეც ვიცანი, ბიძაშვილი იყო ჩემი, ამირანი. წალდი
გაედო მხარზე, სატევარი უმშვენებდა ახალუხის ფერს და უდარდელად მო-
იმღეროდა. ხშირი უშველელბელი წარბები, მაღალი შუბლი და ღრმად ჩამჯდარი
ღიაწაბლისფერი თვალები, უზარმაზარი მხარ-ბეჭი, თავისი ურმის ხელნის
სისქე მაჯები და ნიჩაბივით ხელის მტევნები რაინდული წარსულის აჩრდილს
მოგაგონებდათ. რომ დამინახა თვალები გაუნათდა, ბავშვივით აღტაცებული
გამოიქცა და თავის ციკლოპურ მკლავებში მომიქცია.

– ქალაქის ღრიალში დაკარგულო მამაჩემის ძმიშვილო, ასე შეიძლება? რა
ნახე იმ სიმყაყეში, ასე ძალღვივით რომ ხარ მიჯაჭვული და მიბმული, ა?

– რა გითხრა, ჩემო ამირან? განა მე მიხარია იქ ყოფნა და ცხოვრება? ხომ
ხედავ, პატარა დრო გამომიჩნდება თუ არა, მაშინვე აქეთ ვუგეზებ ხოლმე? ან
განა მე მეხალისება იმ ორპირობისა და ღალატის გაუსაძლის გალავანში
ცხოვრება? ამ ყველაფერს ახლა ისიც დაერთო, რომ სუნთქვაც ჭირს უკვე.

– გაუსაძლის გალავანში ცხოვრება, ხომ? აგერ ორმოცდაათს მივაღწიე, მარა
ბოვშივით რომ ვარ, ვერ უყურებ? აქ რომ არის ყველაფერი, რაც შენ გჭირდება
და გაგაცოცხლებს, ხომ უნდა იცოდე შენ? ჯერ კიდევ შორიდან შეგნიშნეთ,
რაფერი ბაღნებივით თამაშობდით წყალში, სუ შიშვლები და ტიტლიკანები...
აქოურობა შენთვის რას ნიშნავს, იგება შენზე უკეთაც ქე ვიცი მე. ა? რავა გგონია
შენ?

– ქალაქმა შეიწირა ჩემი განვლილი სიცოცხლე და ენერგია, ჩემო ამირან,
განა არ ვიცი, რომ მართალი ხარ? მაგრამ აქედან ძნელად თუ შეძლებ მოეფერო
და უსალბუნო შენთანებს, ახლობლებსა და სიბერისაგან მიტკალივით გადა-
ფითრებულ შენს ხალხს, რომელსაც ახლა ისე სჭირდება ხელახლა შობა, რო-
გორც არასოდეს!

ნანიკოც მოწესრიგდა. ამირანი ახლა მას მიუბრუნდა:

– რა ჰქვია ამ მშვენიერ ქალბატონს, შენ რომ გახლავს? – ნანიკომ თამამად
უპასუხა, ამირანიც გაეცნო და დააყოლა, დალილები იქნებით ნამგზავრები, –
ურემზე შეაწყო ბარგი და ნანიკოსაც მასზე შეჯდომა შესთავაზა. ქალმა უარი
განაცხადა, ხარებს ისედაც მძიმე ტვირთი აქვთ, მეც რომ არ დავემატო, გარდა
ამისა, ფეხით სიარული უფრო მეხალისებაო.

გზის პირებზე ჩარიგებული მუხების მზისკენ აწვდილ ტოტებზე მსხმოია-
რე ფოთლებს, სასიამოვნოდ აშრიალებდა შუადღის მსუბუქი ნიავი.

* * *

*...ესე იყო გმირი მონადირე წინაშე უფლისა ღმრთისა.
და იქმნა დასაბამ მეფობისა მისისა ბაბილონი...''*

დაბადება, თავი: 10-ე: მუხ.: 9, 10

ჩვენი სოფელი, ცხომარეთი მთლიანად ტყეშია ჩაფლული, ზაფხულში მთა
თხილარიდან, რომელიც სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს, რომ
გადმოხედო, სამოსახლოებს ვერ დაინახავ. ძირითადად, კაკლიანია. ეს უზარ-
მაზარი, გიგანტური სამასწლოვანი კაკლები მთელ სოფელს საჩრდილობლად
ეფარება. ყველა ეზოში ვაშლი, მსხალი, ატამი, ზღმარტლი და რა გინდა, სულო
და გულო, ყველაფერი ხარობს, მაგრამ ეზოები, სადაც ეს ხეხილია გაშენებული,

დიდი ხნის მიტოვებულია. მხოლოდ რამდენიმე კომლიდაა შემორჩენილი, რომელიც მთელი სოფლის მოსავალს უვლის. მათ შეუნახავთ ძმებისა და ბიძაშვილების ბოსტნები და ყანები, რომლებშიც სიმინდი, ლობიო და ვაზია გახარებული და ქალაქში გაქცეულებს ნობათებით ამარაგებენ. სოფლის განაპირას სასაფლაოა. სოფელში შესასვლელიდან, ორღობეს რომ გაჰყვები და მარცხნივ გაუხვევ, პატარა გზაჯვარედინი შეგხვდება, აი, ამ გზაჯვარედინის იქით ცოტაოდენი სიარულის შემდეგ, გამოჩნდება პაპისეული ოდა და მიტოვებული სახლები უმიწოდ დარჩენილი ფანჯრებით, შინ გამეფებული სიცარიელის ნესტიანი თვალებით რომ შემოგცქერიან.

გზაჯვარედინი რომ გადავჭერთ, ტასიკო ბებიას ნეზვი გამოღრუტუნდა, ჩვენმა დანახვამ დააფრთხო და ჭყვიტინით შევარდა მამაჩემის ბიძაშვილის მიტოვებულ ხილნარში. ამ ხილნარში ხეები მძიმე მწიფე ნაყოფით ისე იხუნძლება ხოლმე, რომ ტოტებს ჩამოლეწვას უქადის. იქვე, პლატონის ძალი გამოვარდა, წკმუტუნითა და კუდის ქიცინით აეტოტა ამირანს. ჩემი ბიძაშვილი დაყვავებით მიეფერა ძაღლს და ალერსიანად მოიშორა თავიდან. ისიც, დიდი მეგზურივით, ქოშინით გაგვიძღვა წინ. ცოტაც ვიარეთ და, ჩემი პაპისეული ოდაც გამოჩნდა. აქედანაც ყრუ სიბნელე და ნესტიანი სიცივე გამოდიოდა.

ამირანმა თავისთან შეგვიპატიჟა.

ჩემი ბიძაშვილი ტყის კაცს ჩამოჰგავდა. ისე, იყო კიდევ ტყის კაცი: გაუკრეჭავი წვერი მკერდამდე ჩამოშვებოდა, უშველებელ მხრებს კი, ასევე ხშირი, გაშლილი თმა უფარავდა. ეს კაცი არასოდეს გასცილებია უზუნთის, ცხომარეთისა და ჯრუჭის მიდამოებს. ქალაქშიც კი არასოდეს ჩასულა. აქეთ თუ ჩამოვიდოდნენ ნათესავები და შაქარს, მარილს, ზეთსა და პურის ფქვილს ჩამოუტანდნენ ხოლმე. წალდი და სატევარი მისი განუყრელი ატრიბუტები გამხდარიყო, მუდამ ტყეში დახეტიალობდა. პანტა, მაჟალო, ტყეძალი, სოკო, შეშა ჩამოჰქონდა – ზამთრისთვის ამარაგებდა. არ ვიცი რას დაემებდა ამირანი ტყეში, ის კი ვიცი, რომ ქვეყნის ავ-კარგს კარგად იცნობდა და თანამედროვეობასაც, პროგრესული ადამიანივით, არ ჩამორჩებოდა.

ეზოში პატარა ტაბლა გამოიტანა, ნანიკოს მჭადის ფქვილი, ხის გობი და კეცი მიაჩეჩა, ზედადგარზე წყალი შემოიღვა და თვალსა და ხელს შუა გაუჩინარდა. სანამ მე ცეცხლს ვანთებდი და ნანიკო ფქვილს ზელდა, ამირანი გამოჩნდა და კალთიდან მწვანე ბალახზე მანჭკვალა სოკო წამოაბნია. მერე ოდის ქვეშ ქათამს დასტაცა ხელი, თავისი უშველებელი თითებით თავი თვალისდახამხამებაში წააწყვიტა და კაკლის ხეზე ფეხით დაჰკიდა, თან მეუბნება: „ცხოველი სისხლისაგან თუ არ დაწრიტე, მისი ჭამით განადირდები, აპა? კაცი ღმერთს სისხლისმსმელად არ გოუჩენია, რაფერ იტყვი შენ, ა?“ ქათამი ცხელ წყალში გაპუტა, ცეცხლზე გატრუსა, გამოწელა და, რაღაც მინდვრის მცენარეებით დამზადებული სუნელები, ნიორი და წითელი წიწაკა შეაზილა, მოზრდილ კეცში უკრა თავი და ნაკვერჩხალს მისცა. მე და ნანიკომ ბოსტნიდან პრასი და ნორჩი მწვანელი მოვიტანეთ.

ამირანმა ღარიბული, მაგრამ ისეთი სუფრა გააწყო, კარგად აღზრდილი ინგლისელიც ვერ დამალავდა მადას.

მე შორიდან ვუყურებდი ამ უშველებელ კაცს, ეზოში დადგმულ ტაბლას, ზედადგარს, ხეებს, ყველის დერგსა და ოდის უკან ჩაყრილ ქვევრებს შორის, მურა დათვივით, ბურტყუნ-ბურტყუნით რომ დააბოტებდა. სასაცილოა ასეთი ორმეტრიანი ახმახი სამზარეულოში და ვფიქრობდი, რომ ამისთანა ადამიანი ცოდვა იყო ოცდამეერთე საუკუნისთვის.

იგი ცოცხალი აჩრდილი იყო იმ წარსულისა, როდესაც მეომრები ხმლით იკაფავდნენ ქვეყნის ისტორიულ გზაგასაყარებს სამშობლოს საკეთილდღეოდ. მესმოდა მისი, როგორც ამ საუკუნეთა, მართლაცდა, ნაპრაღზე თავისივე წინაპრებივით, სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის განწირული ადამიანისა.

მშვენივრად იცოდა, რომ მისნაირ ადამიანებზე დგას ქვეყანა და ამიტომ აქვს მის სიცოცხლეს ფასი. რომ მისი არსებობა ფუნქციონირებული კაცის ჩალიჩი არაა, ორასწლოვანმა უსასოობამაც კი ვერ ჩაკლა მასში რაინდიც, გმირიც, მეომარიცა და ეროვნული თუ პიროვნული ღირსებაც, ადამიანის შინაგან თავისუფლებასა და მოქალაქეობას ათასგვარი სიკეთით რომ ამარაგებს.

საბოლოოდ მარილი შედგა ტაბლაზე და თავისებური ბოხი ხმით დაიბურტყუნა:

– მზადაა. დავსხდეთ ახლა და ვისადილოთ! – თვითონ სამფეხაზე ვერ ეტეოდა. კაკლის უზარმაზარ მორს დასტაცა ხელი და ტაბლასთან დააბერტყა. მჭადებიც დამცხვარიყო.

ამაზე გემრიელად, სადმე შეიძლება ისადილო? მისი ეზოს ტალავერის ფრანგულა თაფლწყალივით მირაკრაკებდა ყელში.

ყველანი მდუმარედ შევექცეოდით შემწვარი დედლის მსუყე და ცხიმთან ნაჭრებს. დავნაყრდით და ახლა ღვინის სმასა და ბაასს შევუდექით.

– ამირან, – ვეუბნები მე, – ასე ტყე-ტყე რომ დადიხარ და დათვივით დაეხეტები, გამოიარე ქალაქისკენაც და ნახე, ქვეყანა როგორია, გაიხედ-გამოიხედე, ხალხი დაათვალიერე, რამდენ რამეს გაიგებ ახალს, იცი?

– ბიჭო, – დაიბურტყუნა და გოცებით შემომხედა – ორმოცდაათი წელიწადია აქოურობას არ გავშორებივარ და ახლა გინდა ფესვებიდან ამომავდო?! ტყუილია მაგი, რავარც ახლა მე და შენ ამ კაკალს ვერ ამევიღებთ მიწიდან შიშველი ხელებით, ისე ვერ მომაგლეჯ ცხომარეთიდან! – და სამასწლიან კაკალზე მიმითითა. – მერედა, რა ყრია ამ ქალაქში კარგი? ურთიერთზიზღი, დაკანონებული ძარცვა, მკვლელობა და ძალადობა?! ვერა, ბატონო, ვერა კაცი ვერ დამძრავს აქედან... არ ჯობია, ისევე ჩემ ღობე-ყორეს მივხედო, თითქოს მეღა ვაკლდე ახლა! მე ჩემ გასალეწ კალოს აქანაც კარგად გავლეწავ, გეიგე ადამიანო?! გინდა დევილუპო, ხომ?! თითქოს ჩემი უსუსურობა არ მყოფნიდეს ახლა. აქ ვის ვარგივარ და ქალაქში უარესად არ დევიჩაგრები?! აღარ მიხსენო, იცოდე, აღარ მიხსენო, თუ კაცი ხარ!

ტაბლასთან დუმილი ჩამოწვა.

ამირანმა ჩემი და ნანიკოს სადღეგრძელო წაიბურტყუნა, ღვინო გადაჰკრა, პრასი, ყველი და მჭადი მიატანა. ნელ-ნელა ილუკმებოდა.

უეცრად შემომიბრუნდა და მითხრა:

– იცი, რას ვეძებ, ბიძაშვილო?

– რას მაინც, ამირან? – მეც შევუბრუნე კითხვა.

– იმასვე, რასაც შენ, რასაც ყველა ადამიანი ეძებს.

– ?

– ამირანს ვეძებ, აი იმ ამირანს, ლეგენდაში რომაა... – ამ დროს კისერი მიაბრუნა, წამოდგა და წამოიძახა:

– პლატონ, შემოიხედე ჩვენკენ, იქნება ყანიდან მოდიხარ და, სადილზე დაგვეწვიე!

პლატონი ბიძად მერგებოდა, ბიძად ერგებოდა ამირანსაც, ამავე დროს, მისი გამზრდელიც იყო. ძალიან გაუხარდა ჩემი დანახვა. ეზოში შემოვიდა და გადამეხვია, მომიკითხა, მერე ბალახზე ჩაცუცქდა და ფეხმორთხმით მიუჯდა ტაბლას, სასმისი ასწია და დაილოცა.

– ხო, რას გეუბნებოდი, ბიძაშვილო?

– რაღაც ამირანს ეძებდი, თითქოს.....

პლატონმა ყურები სცქვიტა.

– ხო, შენ დამცინი და, რომ იცოდე, შენ შენს ამირანს ეძებ და მე ჩემსას, გესმის, ბიძაშვილო... ამ სოფელს რომ ვუვლით და ვალამაზებთ, ეს ძლივს გადარჩენილი სამი კაცი, რა გგონია თუ იცი? ან ამ ტყე-ღრეში რომ დავეხეტებით, ხმელ-ხმელი ფიჩხისგან ვასუფთავებთ და იქოურობას ვხშირავთ? ან გაღმა, დანგრეულ ჯრუჭის მონასტერს რომ დავტრიალებთ და გამოღმა მამა-პაპათა საფლავებს? ასეა... ჩვენ იქნება ნაპოვნიც კი გვყავს ჩვენი ამირანი, მაგრამ შენ თუ გყავს ნაპოვნი, არ მეტყვი, ბიძაშვილო? შენ შენებურად ათლი თითო ნაფოტს იმ ხეს, ამირანი რომაა მიჯაჭვული, მაგრამ იცი კი, როგორ აათალო?

ჩემთვის გასაკვირი არ იყო, პლატონის აღზრდილს ასეთი წარმოსახვა რომ ჰქონდა. ბიძაჩემი ამირანს შეუბრუნდა და მიაგება:

– ამირან, ბიძია, კაია მაგისტანა რამეებზე რომ ფიქრობ, მარა შენ რომ ჩამოთვალე მარტო ის არ ყოფნის ამ საქმეს. გახსოვს, გიყვებოდი, ამირანი ღმერთს გაეჯიბრა, მიტომ დასაჯა ნათლიამ, თავისი კვერთხი მიწას დასცა, ხედ აქცია და მას ახლა მთელი დედამიწის ზურგზე აქვს ფესვები გადგმული-თქვა, რაფერ არ გახსოვს, შე კაცო? ეე, ის ფესვებია, ქვეყანაზე გაბნეული ბოროტებით რომ ასაზრდოებს და ახარებს იმ ხეს _ასე მიუჩინა ღმერთმა სასჯელად ამირანს ის, რასთან ომშიაც გაყოფიდა... – ცოტა ხნით შეჩერდა პლატონი და ახლა მე მომიბრუნდა: – იცი რაფერაა საქმე, ბიძია? ის ფესვები მთელი ქვეყნიერების ზეცა რომაა, იმხელა სათნოების, პატიოსნებისა და თავმდაბლობის წყაროთი თუ არ მორწყე, ისე ვერ დაასუსტებ და მოჭრი, იმიტომ, რომ თავისმა ამპარტავნებამ დასცა მიწას და მიწასვე მიაჯაჭვა ამირანი...

– გეთანხმები, პლატონ – გავაწყვეტინე მე, – მაგრამ ისიც ხომ მართალია, რომ კაცთმოყვარეობა, სათნოება, პატიოსნება და თავაზიანობა – ადამიანის მშვიდობიანი არსებობის ეს უმთავრესი ზნეობრივი პოსტულატები, ულტრათანამედროვე ღრიანცელში ღვება, იხრწნება, მტვერდება და მოვლენებს შორის ნაწილ-ნაწილ იფანტება, იკარგება და მათ შორის ქრება?

– არა ბიძია, კი არ იკარგება, ცოტავდება, მაგრამ ყოველთვის შეიძლება მისი გაბეჭვება, თუ კაცმა გონება გამეიჩინა, აჰა?!

– ახლა ის მითხარი, ამირან, – ისევ მას მიუბრუნდა პლატონი, – ქვეყნის ცოდვას ერთი კაცის ლოცვა გადაარჩენს? არ მგონია მე მაგი მასე და არც გამიგია არსად, ბიძია, რაც გინდა ის მითხარი!

– აბა, – ახლა ამირანმა ამოიღო ხმა, – მე რომ საქმეს სიყვარულითა და თავ-
მდაბლობით ვაკეთებ, ისე უნდა თუ არა...

– მართალი ხარ შენ ამირან, ცამდე მართალი, ადამიანმა უნდა აკეთოს
ყველაფერი სიყვარულით, თავმდაბლობითა და სათნოებით და ასე ნაკეთები
საქმით აათალოს თითო ნაფოტი იმ წყეულ ხეს და იქნებ ამის მერე მართლაც
შესუსტდეს და გაქრეს ბოროტების ფესვები. ასე არ არის, ბიძია პლატონ?

პლატონს პასუხი არ გაუცია, შემწვარ ქათამს ბეჭი ააგლიჯა და კბილებით
გაჯიჯგნა. ჩვენ მშვიერი პლატონისთვის ხელი აღარ შეგვიშლია. სადილს რომ
მოვრჩით წამოვდექით. ნანიკომ სცადა ამირანს ალაგებაში მიშველებოდა,
მაგრამ ბიძაშვილმა მტკიცე უარი უთხრა:

– შენ ბუნებასთან ხარ თანაზიარი, თანაც, ტრაპეზი არაა დედაკაცის საქ-
მეო. მერე მე მომიბრუნდა: – წაიყვანე, დაათვალიერებინე სოფელი!

სოფელს რაღა დათვალიერება უნდოდა, ნანიკოს ზემოთ, ტყისაკენ გავუ-
ძები. კვერთღელას მივადექით. ქალმა მაშინვე ფეხი იშიშვლა და წყალში
ჩატყაპუნდა. მე არ ველოდი მის ასე უცაბედ გარდასახვას. ცოტათი მიკვირდა
კიდევ: თითქოს ფერიც იცვალა, მეტი სიცოცხლე დაეტყო, გაველურდა.

– მე მიყვარს ბუნება, აქ ყოველთვის მგონია, რომ თითოეული საგანი – ხე,
ბუჩქი, ნეღლი თუ ხმელი, ნადირი თუ ფრინველი, სუსტი თუ ძლიერი, შინა-
განად ჩემი სიცოცხლის განუყოფელი ნაწილია... და კიდევ რას ვგრძნობ, იცი? –
მკითხა უცებ.

– ?!

– მეჩვენება, რომ ამ თითოეულ საგანს ჩემი ესმის და თითოეულ ჩემ ნა-
ბიჯს, ფეხის სიმძიმეს გრძნობს, გრძნობს სითბოს ჩემსას და მეჩვენება, რომ ამ
სითბოს მუდმივად მიცვლის თავისაში, სანამ მათ შორის შიშველი ვარ. ამი-
ტომაც არ მრცხვენია, როცა აქ დედიშობილა ვდგავარ.

უცაბედად, ტანზე გაიძრო და გზიდან მუხნარში გაუჩინარდა. მეც მივყევი,
თვალს ვადევნებდი და ნელ-ნელა ვრწმუნდებოდი, რომ მართლაც მეუბნებო-
და. ხიდან ხემდე სიცილ-ხარხარით დახტოდა და თითოეულ ტოტს, ფოთოლს
შინაგან განცდამდე ისუნთქავდა.

ასე ირბინა კარგა ხანს, დაღლამდე. მერე ელვისაგან გაგლეჯილი მორი
დაინახა და მასზე ჩამოჯდა... მივუახლოვდი და გვერდით მივუჯექი, ხელი
მოვხვიე და ჩავიკარი. აქამდე არ მენახა ეს ქალი ასეთი ცხელი. მთლად გავე-
ლურებულს, თვალეზში უცნაური, პირველყოფილი სითამამე, სიალალე და
გულუბრყვილობა ჩასდგომოდა. მივხვდი, რომ ნანიკო შინაგანად ახლა წარ-
მოდგა ჩემს წინაშე. მან საკუთარ თავს მიაგნო. უცნაური გრძნობა დამეუფლა
მეც. ჩემ გვერდით ჩვეულებრივ ვნებას დაწაფებული მდედრი ვეღარ ვიგრძენი.
თითქოსდა, მასთან შედარებით, ნელ-ნელა, მხოლოდ მღილიდა რჩებოდა
ჩემგან. მის თვალეზში მისტიური სული გამოჩნდა, ბრწყინვალე და არაადამი-
ანური ძალის, რომელსაც სულიერი და უსულო საგნების შეგონება შეუძლია.

მოულოდნელად, ჩვენგან მარჯვნივ, მუხის ხმელმა ფოთლებმა გაიშრიალა.
ნემოში რაღაცა იყო. დავაკვირდი და უშველებელი, ამირანის მაჯის სისქე,
ნორჩი მუხისქერქისფერი უხსენებელი შევნიშნე. ცოტა არ იყოს, შევმინდი. მახ-
სოვდა, რომ იგი დედაკაცის ქუსლს ეტანება. ნანიკოს ფეხსაცმელები მივაწოდე,
ისე რომ მღელვარება არ შემჩნევია. მან ჩაიცვა ფეხსაცმელი. უხსენებელს

გავხედე. ისევე გაუნძრევლად იწვა და შემოგვცქეროდა. გამახსენდა, ჩემს ბავშვობაში, ეზოში რომ ვთამაშობდით, ღობეში გამოსრიალდებოდა ხოლმე ერთი ყავისფერი ძლოკვი და ჩვენი ცქერით ერთობოდა, ეს სიტუაციაც დაახლოებით იმას ჰგავდა. ამან დამამშვიდა. ნანიკო ხელში ავიყვანე და გზისკენ დავიძარი, თან თვალს არ ვაშორებდი ქვეწარმავალს, რომელიც შორიახლოს მოგვდევდა და თითქოს ეზოსკენ მიგვაცილებდა. ასე გვდია ამირანის ეზომდე, სანამ ქალი მიწაზე არ დავსვი.

ბიძაშვილისთვის არაფერი მითქვამს. ნანიკო მოსასვენებლად წავიყვანე.

* * *

ასე, საღამოს ოთხი საათი იქნებოდა, პლატონმა რომ დაიძახა.

ნანიკომ, როგორც ყოველთვის, ზმორებით გაიღვიძა. აბუზღუნდა _ ცოტათი კიდევ გამოგვიძინა, კარგი იქნებოდაო. ბიძია ჯრუჭულაში სათევზაოდ გვეპატიჟებოდა. ნანიკო ნელ-ნელა იცვამდა, მისი კანი, თითქოს უფრო გამკვრივებულიყო, უფრო მეტი სიცოცხლე გადაჰკრავდა, უფრო მეტად გავარდისფრებოდა სხეული. ვერასოდეს ვიფიქრებდი, თუ ადამიანს ასე შეეძლო გარდასახვა; მისი შინაგანი ცვლილებაც ერთობ მაცოცხლებდა. მივხვდი, რომ თანდათან იფერთხავდა ქალაქის მტვერს, სიცრუის, ღალატის, მოშურნეობის და ცრუ ორომტრიალის კვალი რომ აჰყოლოდა.

_ ჰეი, ძმიშვილო! _ ახლა მე მომამახა პლატონმა, გამოადგი ფეხი, თუარა, დადამდა უკვე! _ გატაცებისაგან გამოვფხიზლდი, ტანზე ჩავიცვი, ნანიკოს ხელი მოვკიდე და ეზოში გავიყვანე. გამიკვირდა რომ სათევზაოდ მიმავალ პლატონს არც ანკესი, არც ბადე, არც მოსმა და არც ცხრილი ხელში არ ჰქონია.

_ როგორ მოგივიდა პლატონ, თევზაობა რომ გადაწყვიტე და ანკესი სახლში დაგრჩა? _ ავურიე მე.

_ ჩვენთან შენი მოსატყუარი თევზი რომ იყოს, ხომ დაშრა ჩვენი მდინარეები?

_ მერედა, პლატონ, განა მე ჩვენებური არა ვარ? _ წყენა დამეტყო ხმაზე.

_ კი, ბიძია, მაგრამ სუნი გაქვს სხვაჲ, სუნი! _ შემაგება პლატონმა.

რას ვიზამდი! პლატონი მართალი იყო, მაგრამ მე მაინც არ მინდოდა დავთანხმებოდი, რადგან ნეშო, რომელზეც გავიზარდე, ამ მიწაში ეყარა.

ცოტა არ იყოს, უცხოდ ვიგრძენი თავი. მიმახვედრა პლატონმა, რომ ჩემსა და მათ შორის სხვაობა იყო; რომ ჩემსა და მათ შორის თანამედროვეობის თვალუწვდენელი უფსკრული დაშვებულებიყო, რომლის იქით ჩემი წარსული იდგა თავისი პირმშოთი, ხოლო აქეთ _ მე, გლობალური აწმყოს შვილობილი, კომპიუტერიზაციის, ინფორმაციული ტექნოლოგიების მორჩილი ლანდი, რომელსაც დიდი ხანია წარსულთან კავშირი გაეწყვიტა. თუმცა, პლატონი ყოველთვის მაგრძნობინებდა, რომ თუ კაცი მოინდომებს, ამ უფსკრულის ამოვსება შეიძლება. „შენ დიდი ხანი გჭირდება ჯრუჭულის წყალში წოლა, ეგ სუნი რომ შემოგეცალოს“.

– კი, პლატონ, შენი მიწა რომ შენი ქვეყანაა, ეგ ნამდვილია, მაგრამ ის ქალაქიც განა შენი ქვეყნის მიწა არ არის? ან, ეს ჩვენი ქვეყანაც დედამიწაზე არ არის მოთავსებული?

– არ ხარ მთლად მართალი, ბიძია, შენი მიწა-წყლიდან იწყება დანარჩენი მსოფლიო და შენი ხალხის გადასახედიდან უნდა ხედავდე მას. არც ის უნდა დაგავიწყდეს, რომ შენ ამ მსოფლიოს ნაწილი ხარ და მის გარეშე არც ეროვნება გექნებოდა განსხვავებული, არც ცხოვრების წესი და არც რელიგია. მხოლოდ შენი კუთხიდან თუ იმზირები, შენი სამშობლოს გარდა ვერაფერს დაინახავ; ხოლო შენი ქვეყნის გადასახედიდან მსოფლიოს დაინახავ ისეთს, როგორც არის და ისე, როგორც სამშობლოს მოყვარულს შეშვენის... თუ შენი სამშობლო, ხალხი და მისი სიკეთე არ გიყვარს, ვერც დანარჩენ მსოფლიოს და მის სიკეთეს დაინახავ და შეიყვარებ ვერასოდეს – შემიბრუნა პლატონმა – მერე ნელ-ნელა რომ აკლდება ეს სიკეთეები ადამიანს და იმ შენს მსოფლიოს, ეს არის ყველაზე დიდი საცოდაობა.

აქ პლატონი მართალი იყო და აღარ შევპასუხებოვარ, როგორც ჩანს, მისი გულიც, ასე თუ ისე, მოვიგე.

ამ საუბარში ჯრუჭულაც გამოჩნდა. ნანიკომ კაბა გაიძრო და საცვლებისამარა მდინარეში გადაეშვა.

– მაინცდამაინც ნუ მიეძალები, – მიაძახა ამირანმა, – თევზი არ დააფრთხო, ნანიკო.

– არ ვიცი, ამირან, რა მემართება, რაც აქ ჩამოვედი, წყლიდან ვერ ამოვდევარ, უცნაურად მიზიდავს, მე თვითონ ვერ გამიგია, ეს რას დავაბრალო, რა ვქნა, რაღა მეშველება? – უპასუხა ნანიკომ.

– იყოს, აცადე, მეიცდის თევზი, ვერ უყურებ რომ სტუმარს ავსებს და ახალისებს ბუნებასთან შეხვედრა? მერედა, – ახლა მე მომიბრუნდა პლატონი – რაც უფრო ახლოა კაცი ბუნებასთან, მით უფრო სწრაფად იხსენებს იმ ცოდნას რაც დაბადებისას უბოძა ღმერთმა იმ სასყიდელის გარეშე, შრომა რომ ჰქვია... და რასაც იმსახურებდა კიდევ, სიკეთისა და ბოროტების არმცოდნე... რას იტყვი, არ ვარ მართალი? ხოლოთ, ადამიანმა ძალზე სწრაფად იწება ეს ცოდნა დაეკარგა და, თანდათანობით, დევიფყა. დღეს კი, დიიდი ძალისხმევა სჭირდება ამ საჩუქრის უკან მისაღებად. ხოდა, იჭყუმპალაოს რამდენიც უნდა! წყალი ყოველთვის იყო, არის და იქნება სამყაროს მუდმივი განახლების სიმბოლო, აპაა!

– იქნებ ნანიკოც შეუცნობლად იმ ცოდნას ეძალება, შენ რომ ამბობ? როგორ გგონია, პირველყოფილი მშვენიერებისკენ ხომ არ უჭირავს თვალი? ცოდვაა, ბიძია, ამისთანა ადამიანი ქალაქში რომ იკარგება, – გავაგრძელე მე, – მხოლოდ ხელშესახები, მკვდარი საგნების გარემოცვაში, მით უფრო, როცა ადამიანების დიდი ნაწილიც ისეთივე მკვდარია და არაფრისმომცემი, როგორც მის მიერ შექმნილი საგანთა ერთობლიობა... იქნებ იმიტომ ეძალება ნანიკო წყალს, რომ მასში უფრო მეტად გრძნობს ნამდვილ სიცოცხლეს და ამით ცდილობს შეიცნოს დაბადების პირველყოფილი ცოდნა... ეს გოგონა განწირულია ჩვენი დროისთვის...

ამასობაში ნანიკო წყლიდან ამოვიდა, იქვე უშველებელ ლოდზე წამოწვა და კატის განცხრომით მიუშვირა მკერდი მზეს.

ამირანმა შარვალი აიკაპიწა, მდინარეში შევიდა და ქვების ქვეშ დაიწყო თევზის ძებნა. უცებ წინ წაიხარა, ყურადღება დაძაბა... მერე წელში გაიმართა და შემობრუნდა. ხელში ასხმარტალეზული წვერა ეჭირა და გვილიმოდა.

– შეხედე, რავა ფართხალეზს? იცის, რაც ელის და იმიტომ! – დაიძაბა და თევზი ნაპირზე მოისროლა.

– რა უცებ დაიჭირა, პლატონ, რა ჯადო იცის ამისთანა? – ვკითხები ბიძაჩემს.

– ჯადო? ჯადოს რა ხელი აქვს ჩვენთან? მაგ ჯადოსგან და ეშმაკებისგან რაც უფრო შორსაა კაცი, მით მეტ თევზს დეიჭერს, აბა?! – მიპასუხა მან.

– როგორ იჭერ თევზს, ამირან? – წამოიძაბა ნანიკომ და ლოდზე წამოჯდა.

შემოდი წყალში და გასწავლი! – გამოსძაბა ამირანმა.

ამასობაში ჩვენც ავიკაპიწეთ შარვლები და მდინარეში გავიფანტეთ.

– ქვის ქვეშ თევზს ალაგიდან გამოსვლის ნება არ უნდა მისცი, – ასწავლის ჩემი ბიძაშვილი ნანიკოს, – ამაზე წინასწარ უნდა დეიჭირო თადარიგი, დანარჩენი შენი მოხერხებისა და სისწრაფის საქმეა.

ნანიკო კარგი მოწაფე აღმოჩნდა. ქალი პანტაპუნტით ყრიდა თევზს ნაპირზე, თანაც ბავშვით დახტოდა და აღფრთოვანებული უსაზღვრო სიამოვნებას გამოხატავდა. ბოლოს ნაპირზე გამოვიდა, ქაოსურად მიმოფანტული ნადავლისთვის რომ წყლით სავსე სათლევში მოეყარა თავი. რიყის ქვევზე კალიასავით დახტოდა და უწყლოდ პირდაფრენილ, თვალებგადმოკარკულ თევზებს სიცოცხლეს უბრუნებდა.

– შეხედეთ, რა უსუსურები არიან, სახლს მოშორდნენ თუ არა გაყუჩდნენ და თვინიერად ელოდებიან სიკვდილს, საწყლები, ჩვენ კი ასე ცოცხლად უნდა გამოვწყოთ. როცა შევატყვე რომ საკმარისი თევზი გროვდებოდა, მდინარიდან ამოვედი და ნანიკოს მივეშველე. ბიძა-მშიშვილი ხელაობას განაგრძობდა. მე და ნანიკომ თევზი ავკრიფეთ და იქვე ამოსული წნორის ჩრდილში დავსხედით.

მაინც ვერ გავიგე იმ მუხისქერქისფერ უხსენებელს რა უნდოდა ჩვენგან. ამჯერად იმ ლოდის ქვეშ შევნიშნე, რომელზეც წედან ნანიკო მზეს ეფიცებოდა. ახლა კი მართლაც შევშინდი, მოზრდილ ქვას წამოვავლე ხელი და პლატონს შევძახე, ლოდის ქვეშ უშველებელი გველია-მეთქი!

– არ ქნა ეგი, არ მოკლა, არ ესროლო! შეჭყვირა პლატონმა და მდინარიდან ამოვარდა, – აბა, სად არის?

– აი, იქ, ლოდის ძირას!..

პლატონი შორიახლოს მივიდა, ჯერ შორიდან შეხედა, მერე მოულოდნელად გაიღიმა, თამამად მიუახლოვდა და ეს უშველებელი გველი ხელში აიყვანა, ცხოველიც ტანზე მოეხვია და ტრფიალებისგან გაბრუებული ქალწულისვით გაინაბა.

– კიდევ კარგი, მითხარი, თვარა ამის სიცოცხლე მთელ დუნიას მირჩვენია.

ნანიკოს არ შეშინებია, მხოლოდ გაცეხული შესცქეროდა პლატონს და სახეზე უფრო მეტი აღტაცება ემჩნეოდა.

მე ვიცოდი, რომ თუ უხსენებელს არაფერს ავნებ, შეიძლება დაგიმეგობრდეს კიდევ. ერთხელ, ჩემს ბავშვობაში, მე და ბიძაჩემი ხევში ვისვენებდით, კუმლისციხეში. თერგისპირს მათვალიერებინებდა, როცა წინ უხსენებელმა

გაგვისრიალა. ბიძაჩემმა ლაყურებში წაჰკიდა ხელი, ახლოს მომიყვანა და მითხრა: _ უყურებ როგორია?! გესლიანი, ცივი და სანახავად შემზარავი, ერთი შეხედვით საშიში, მაგრამ, იცოდე, უმიზეზოდ არაფერს გავნებს. მერე შებრუნდა, უხსენებელს პირი წინ აქნევინა და მსუბუქად, ბალახებზე გაისროლა. ჩემდა გასაკვირად, არ შემოუტევია ჩვენთვის. დაახლოებით, ათი მეტრით გასრიალდა და შემოგვხედა, რამდენჯერმე კიდევ გაიმეორა ასე. უთენია, როცა გავიღვიძეთ და კარვიდან გამოვედი, ის უხსენებელი შორიახლოს იწვა. ბიძაჩემიც რომ გამოვიდა, გასრიალდა და წავიდა. ასე გრძელდებოდა ყოველ დილით, მთელი ჩვენი იქ ყოფნის ორი კვირის მანძილზე. რომ წამოვედით, ბიძაჩემს ვკითხე, რატომ შვრებოდა გველი ასე? მან კი მითხრა, რომ გველი ბუნების შვილია და თუ იგრძნო, რომ შენც მისი ნაწილი ხარ, არაფერს გავნებს. ეს ცხოველი ყველაზე უკეთ ცნობს ადამიანს და ამიტომაც უდევს ბინა მასთან ახლოს. რომ ვკითხე, მაინცდამაინც კარავთან რატომ იწვა-მეთქი, მიპასუხა: გვდარაჯობდა და ნადირისგან გვიცავდაო. ეს ამბავი რომ გამახსენდა, პლატონს ვკითხე:

_ უმიზეზოდ არ გეყოლება მაგი შემოჩვეული, პლატონ, ა, რა არის საქმე?

_ რაფერ იყო, იცი, ბიძია? სამი წლის წინ ზღარბი კლავდა ეზოში და გადავარჩინე, წიწილი იყო ჯერ კიდევ... მას მერე არ მომშორებია, აგერ ნახავ, რამდენ საოცრებას მოახდენს ეგი, უყურე შენ და ნახავ.

_ სახელიც ხომ არ გაქვს შერჩეული, პლატონ?

_ აჰა, არ მაქვს? არშვა დავარქვი, ვაჭმევ და ვასმევ, რძეზე ვზრდი აგერ სამი წელიწადია. უცხო უხსენებელს არ აჭაჭანებს ეზოში, არც ჩემთან, არც ამირანთან. დამე გაწვება ზღურბლთან და დილამდე ფხიზლობს. მისი შიშით არც მელა, არც ტურა და აღარც მგელი შემოდის ჩემს ეზოში.

პლატონისთვის აღარაფერი მითქვამს. უკვე ბინდდებოდა, ნადავლი ავალაგეთ და ნელ-ნელა სახლისაკენ გავუყვით გზას. ნანიკოს უხაროდა _ ყველაზე მეტი თევზი მე მომყვავო.

ამირანის ეზოში დავბრუნდით, ცეცხლი დავანთეთ და კაკლის ძირში თევზის გასუფთავებას შევუდექით. ნანიკომ ერთი შეხედა, პლატონმა როგორ გამოწვლა თევზი და, თავისი გრძელი თეთრი თითებით, საქმეს მიჰყო ხელი. მე და ამირანმაც მივბამეთ. ამირანმა კეცები გამოიტანა და დამარილებული თევზი ლამაზად ჩააწყო, დახუფა და ნაკვერჩხალს მისცა. სანამ თევზი შეიწვებოდა, მარნიდან დოქით არაყი გამოიტანა და ტაბლაზე ჭიქებთან ერთად დადგა, თევზებიც გააწყო, ბოსტნის ცოცხალი მწვანილი და პრასიც მარნიდანვე გამოტანილ ყველს მიუწყო. კარგად ვივახშმეთ. რას შეჭამ კაცი კეცში შემწვარ თევზზე უკეთესს? ტაბლა ავალაგეთ და ცეცხლს შემოვუსხედით.

დიდი ხანი არ იყო გასული, რომ ეზოში მოზრდილმა გარეულმა კურდღელმა გაირბინა, უცებ თვალი ვტაცე არშვას, აგორგლილი, სისინითა და წივილით მისდევდა კურდღელს.

წუთის შემდეგ იგივე გამეორდა საპირისპირო მიმართულებით. ვიცოდი, ამირანს სადაც ედო თოფი, ოდაში შევვარდი, ორლულიანს ხელი დავტაცე და კურდღელს დავუმიხნე. ის-ის იყო, სასხლეტი უნდა დამეშვა, პლატონი მომვარდა და ხელი ამიკრა. თოფი ჰაერში დაიცალა. ამის მერე აღარც კურდღელს ჩამოუვლია და აღარც მის მდევარს.

– რა იყო ეს, პლატონ, ჰა? – გაკვირვებულმა შევმახე მე.

– ჰმ, არშვამ მგონი ნადირი მოდენა ჩვენთვის, პლატონმა კი არ მოგაკვლევინა, – მიპასუხა პლატონის მაგივრად ნანიკომ, – რატომ აუკარი ხელი, ბიძია პლატონ?

პლატონს გაეღიმა, არაფერი უთქვამს და იქვე მიყრილი რამდენიმე კარტოვილი ნაკვერჩხალში ჩააწყო შესაწვავად.

– იცით თქვენ, რომ თითქმის ყოველდღე მოდენის ნადირს? პირველი არაა, რომ მისი მოკვლა არ ვცადე, აჰა? ერთ-ორ საათში ნახავთ, რა ხერი დაადგება იმ კურდღელს. ცეცხლი მიინავლა. ამირანი მოსასვენებლად წავიდა. ცოტა ხანში მე და ნანიკომაც ჩვენთვის განკუთვნილ ოთახს მივაშურეთ დასაძინებლად.

მთვარე ჯერ გადასული არ ყოფილა, პლატონის ჩურჩულმა რომ გამაღვიძა.

– ჩუმად! ჩაიცვი და გამომყევი, გაჩვენებ რაცხას...

მართლაც, ავდექი.

– მომყევი, – მითხრა პლატონმა. მეც გავყევი. შარვალს, ფეხსაცმელებსა და პერანგს დავავლე ხელი და გზადაგზა ჩავიცვი. იმ მიმართულებით წავიდა, საითაც კურდღელმა ბოლოს აიღო გეზი და კვალს მიჰყვა. სოფელს გავცდით. განაპირას, ტყეში შევედით თუ არა, ვარსკვლავების შუქზე არშვა გამოჩნდა, მუხის ძირში, ნეშოში. გვერდით, იმავე ხის ძირში ის გარეული კურდღელი ეგდო. არშვამ ტანი აზიდა, აიგორგლა და გასრიალდა. „მოდო აქეთ“ – თქვა პლატონმა და კურდღლისკენ დაიძრა. მეც მივუახლოვდი მუხას და თეთრად გადაფითქინებულ ნეკნებდალეწილ კურდღელს ყურებში წავავლე ხელი. მემძიმა და მეორე ხელი კუდში მოვკიდე. ნადირი ჯერ კიდევ თბილი იყო. ბიძაჩემმა ქამარში გარჭობილ ქარქაშს შებუთი გააძრო და გალესილი იარაღი, დახელოვნებული ყასაბივით, ყელში გამოუსვა. მუქი შვინდისფერი სისხლით შეიღება კურდღლის თეთრი ბეწვი. პლატონმა ნანადირევი გამომართვა, უკანა ფეხებით დაიჭირა და ასე თავდაყირა დაკიდებული შინისაკენ წაიღო.

– ასეა, ბიძია, ეს ჩვენი ქვეყნის ამბავს ჰგავს, სუსტსა და უმწეოს ან ერთი პირდაფრენილი ნადირი გადასანსლავს, ან მეორე. ახლა, მე რომ ამ კურდღლის კვალზე არ გამოვსულიყავი, დილაამდე არშვა თუ არა, სხვა, რომელიმე ღამის ნადირი უზამდა კბილს.

– რა არის, პლატონ, რატომ აქამდე არ შეჭამა?! – ვკითხე მე.

– რაღა რა არის, ბიძია, აგერ უკვე ორი წელიწადია, წლიდან წლამდე არშვა გვასაზრდოებს... ასეთი არც სადმე მინახავს რაიმე და არც ყური მომიკრავს. მარტო ერთ რამეს შეიძლება დავაზრდო. მე და ამირანს ამ სოფელში არც ბოროტება, არც შური და ვერცხლისმოყვარეობა გვეკარება. არ ვიცი შეიძლება ვაჭარბებდე კიდევ, მაგრამ ის კი გამიგია, რომ უბოროტო ადამიანებისთვის, ხშირად, ცხოველებსა და ფრინველებს მიაქვთ საკვები და, ამიტომაც აღარ მიკვირს ეს ამბავი...

სახლში რომ მოვედით, ტოტებს შორის უკვე დილის პირველი ნათელი იჭრებოდა.

გაოცებული ვიყავი მომხდარი ამბით. ვერ ვუშვებდი, რომ ასე უსასყიდლოდ შეიძლებოდა ლანგარზე მორთმეოდა ადამიანს საზრდო. პლატონს არ

უთქვამს, რას ფიქრობდა ამაზე, ან რა ღვაწლი უნდა ჰქონოდათ მას და ამირანს, ასე რომ ასაჩუქრებდა ბუნება.

მე დასაძინებლად გავემართე. ნანიკოს თვალები დაეჭყიტა. ოთახში შემოსული სინათლე მისი ტანის ნაკვეთებზე სუსტ ჩრდილებს აფენდა, ისე რომ მისი შიშველი სხეულის მხოლოდ სილუეტი გამოჰკრთოდა თითქმის დაბნელებული ოთახიდან. ნანიკო მჯავე წყალზე ჩასული ირემივით დაეწაფა ვნებას. ახლა უფრო მეტად განვიცდიდი სიცოცხლეს და ამ სიცოცხლით მოგვრილი მშვენიერების მისტიკურ ძალას.

ერთი საათით მაინც გამოვიძინეთ და ზევით, კვერთღელასკენ გავემურეთ საბანაოდ. ამ დილით სულ სხვა იყო ნანიკო, არ ჰგავდა გუშინწინდელივით ლითონის ქანდაკივით მძიმედ მოსიარულეს. ქალი წყალში ჩახტა, მეც მივეყვი, აბა, იმას წყალში როგორ შევასწრებდი? მაინც ვერ იყო ხასიათზე, არ იყო მისი გონება ჩემთან, თითქოს ამორდა სხეულს.....სად იყო მისი ვნებიანობა? წყლიდან რომ ამოვედით, უკვე რადიკალური ცვლილება შევამჩნიე, მის სხეულს სულ სხვანაირი, არამიწიერი სილამაზე ამშვენებდა. უფრო მეტი სიმსუბუქე ეტყობოდა, საერთოდ აღარ რცხვენოდა სიშიშვლის. ამჯერად მე შემრცხვა მისი, სასწრაფოდ მოვაცვი პერანგი, ისე, რომ ხელიც ვეღარ შევახე სხეულზე. ნანიკომ გადმომხედა და გაეღიმა. თითქოს ჩემი და მისი სიახლოვე დამთავრდა, თითქოს განუზომელი უფსკრული გაჩნდა ჩვენ შორის... ქალი წინ გამიძღვა. მიდიოდა, მაგრამ თითქოს არც მიდიოდა, თითქოს მიწაზე არ დგამდა ნაბიჯს.

ეზოში მისულმა, არშვას დაუძახა. ოდის ქვეშიდან ბალახებში გამოსრიალდა უხსენებელი. ნანიკოსთან მისრიალდა და მსხვილი ტანით მარცხენა ფეხზე შეაცოცდა. ნანიკომ, ჩემდა გასაოცრად, პერანგი გაიძრო, უხსენებელი შემოეხვია ტანზე, ერთი წრე ფეხზე შემოავლო, მეორე ტანზე, ზურგიდან გადმოსრიალდა, მარჯვენა მხრის გავლით ქალის მაღალ, მკვრივ აწკეპილ ძუძუზე დაასვენა უშველებელი თავი და მონუსხულობით გაიტრუნა. ახლა კი საბოლოოდ მივხვდი, რომ დავკარგე ნანიკო. მან ჩემთვის შეუცნობელში გადაინაცვლა.

იმ დღეს საყურადღებო აღარაფერი მომხდარა, გარდა იმისა, რომ არშვა ნანიკოს, როგორც დედას კვიცი, გვერდიდან არ მოშორებია. უხსენებელი მოჯადოებულობით უჯერებდა ნანიკოს. თითოეული მისი სიტყვა ესმოდა და უსრულებდა, თუმცა ქალი მორიდებით ეპყრობოდა და ზედმეტად არ აწუხებდა. მგონი, თავისი უნარი შენიშნა და, უბრალოდ, გამოსცადა იმ დღეს.

იმ წუთიდან მოყოლებული, ნანამ ყველა ვნებაზე უარი განაცხადა. დღეში რამდენჯერმე მიდიოდა კვერთღელაზე და სრულიად შიშველი ეზიარებოდა კამკამა წყლის საიდუმლოებას. ნანიკო ახლად დაიბადა.

ძალიან გამიჭირდება ნანიკოს გარეშე, ჩემი ნებისყოფა მის ნებისყოფასთან ზღვაში წვეთია. ჩემთვის ძალიან ძნელია მოვწყდე ვნებებს, რომლებსაც პატიმარვით მივჯაჭვივარ და არ მყოფნის ნება, მათგან გათავისუფლებისა, რასაც ნანიკომ ერთი დაკვრით გაართვა თავი და მე მივხვდი, რომ ვიყავი კაცი, რომელიც ვერასოდეს ეზიარებოდა ცხოველი ბუნების საიდუმლოებას; ყოველთვის საკუთარ, შინაგან, ნამდვილ ბუნებასთან ექნებოდა ჭიდილი, და ერთ ჯერზეც კი ვერ მოიპოვებდა გამარჯვებას, ამიტომაც თანდათან შესუსტდებოდა და მატერიის სიმრავლეში განქრებოდა. მასთან ერთად, მისი თავისუფ-

ლებაც უარყოფილი კეთროვანივით დაამთავრებდა არსებობას. ამაზე ფიქრიც კი მაშინებდა... არადა, ისე ვიყავი ყოველდღიურობას მიჯაჭვული, ამ სიცრუესა და ორპირობაზე მორგებულ გარემოცვაში ისე ვიკარგებოდი, როგორც თაროზე მიჩენილი წერილი, რომელიც დროთა განმავლობაში მტვერს უერთდება და ჰაერში იფანტება.

* * *

ცხოვრებაში ვაშლის მწიფობამდე დავრჩი. ერთ მშვენიერ დილას, უთენია გამეღვიძა. ნანიკოს ოთახში შევიხედე, როგორც ყოველთვის. მის ძილში ახლა გარდასახული მშვენება მიზიდავდა. მაგრამ ნანიკო ოთახში არ დამხვდა... გარეთ გამოვედი, ტიტლიკანა ნანა ტოტებდამძიმებული ვაშლის ძირში იდგა და ჯრუჭულადან ამოტანილი წყლით რწყავდა. გაცეზულმა დავუწყე თვალთვალი. მორწყვას რომ მორჩა, ვაშლის ხმელი ტოტებისა და წკირებისგან გამოხშირვას მიჰყო ხელი. აუწონელი სიყვარულით ელოლიავებოდა ხეს. ფრთხილად მუშაობდა. სახეზე უსაზღვრო სათნოება აღბეჭდვოდა და თვალებიდან განუზომელ სიკეთეს ასხივებდა. ხეზეც კი ავიდა და ძირიდან კენწერომდე გამოტოტა იგი. ხე განაახლა. შემდეგ მიწაზე ჩამოვიდა და არშვას დაუმახა. ისიც უმაღ გამოჩნდა, ნანიკოსთან მისრიალდა, ფეხებზე შემოეხვია, როგორც ადრე, ტანზე ააცოცდა და ქალის მარჯვენა მხრის გავლით ვაშლის ხისკენ აიღო გეზი. ნანიკოს სახეზე შემფოთება დაეტყო.

– არა! – შესძახა მან, – ჯერ წყალში უნდა გაიარო, აი, ჩადი სათლში, თუ გინდა მე გადაგავლებ, მხოლოდ ამის მერე მოგცემ ხეზე შესვლის ნებას!

უხსენებელი აიგორგლა, თავი ასწია, კისრიდან კუდამდე კუნთისებური გორგალი ელვის სისწრაფით წრიულად გადაავლო ნანიკოს სხეულს, ენა გამოყო, ნანიკოს წინ შემობრუნდა, უშველებელი ხახა გახსნა, ქალს სახესთან მიუტანა და გაავებულმა დაიწვილა. ნანიკოს არ შეშინებია. მშვიდად იდგა და უხსენებელს უსწორებდა თვალს. განრისხებული მხეცი ჩამდგარიყო არშვას ამირანის მაჯისსისქე ორმეტრიან სხეულში, ეშვები გამოეჩინა და ენას ასავსავებდა.

– გიბრძანებ! – შეჰყვირა ნანამ. – გველი მოსწყდა დედაკაცის სხეულს, მყისიერად დაპატარავდა, დამრგვალდა და ჯრუჭულას წყლით სავსე სათლში მოადინა ტყაპანი. სათლიდან ამოდენილმა შხეფებმა ნანას და ვაშლის ხეს ერთიანად გადაავლო წყალი. ქალს საოცარი ლურჯი ნათელი ჩაუდგა თვალეებში. ვაშლის ხემ ტოტები ასწია, თითქოს აღარც ნაყოფი აწვებოდა და აღარც მისი სიმძიმე. არშვამ თავი ამოყო წყლიდან.

– ჯერ არა! – ისევ რკინა შეურია ნანიკომ თავის წკრიალა ხმას. კვლავაც დაემორჩილა მხეცი. ზუსტად თორმეტი წუთის მერე, გველი ხეს შეაცოცდა. ქალის თავზე კუდით ტოტს დაეკიდა, მშვენიერი, მაღალი, ეგვიპტური კისერი აქვს ნანას, ნახევარი ტანით სწორედ მას შემოეხვია არშვა, თავი მარჯვენა ხელზე წაატანა და ეამბორა. ახლა ქალის მარჯვენა ლოყას მისწვდა...

სუნთქვაშეკრული ვუყურებდი ამ სცენას. კანკალი ამივარდა, ერთიანად მოვიტენთე. ყველა ნერვი და სისხლმარღვი დამეჭიმა, ვედარ ვგრძნობდი თავს მიწის ნაწილად. საგნებს ავცდი, სამყაროს ზემოდან ვუყურებდი. ჩემს წინაშე

გადამიშალა ყველა ცოდვა და ყველა მადლი. შემდეგ უცაბედად მოვწყდი, კეფაში უროჩარტყმულივით დავეცი და პირი მიწაში ჩავყავი; თვალი რომ გავახილე, ნანიკოს მკლავზე მედო თავი.

ქალი იღიმოდა..

– ნუ ღელავ, ყველაფერი კარგადაა. – მითხრა ნანიკომ, – თუ აქ დავრჩებით, აღარც ბოროტი, აღარც შური, აღარც ღვარძლი და არც სხვა მანკიერება აღარ მოგვეკარება. აქ ადგილი აღარ აქვს ბოროტისა და კეთილის თანაყოფას.

მთელი დღე მუნჯივით ვიყავი, ხმას ვერ ვიღებდი. ნანამ გამაფრთხილა, მხოლოდ შენ შეესწარი ამ ამბავსო.

დაახლოებით მივხვდი რაც მოხდა, მაგრამ ვიცოდი, რომ ამაზე ფიქრიც კი საშიში იყო, მე არ ვიყავი ნანასდარი ადამიანი, რომ ამას ბოლომდე ჩავწვდომო-დი.

ის დღე იყო და ის დღე, არშვა ხეს აღარ მიჰკარებია. პლატონი გადაირია: ყოველდღე მასზე ეკიდა, ახლა რაღა მოუვიდაო?

ქალაქში დაბრუნების დრო მოახლოვდა. ნანას ახლა ჩემგან მატერიალური მხარდაჭერა სჭირდებოდა. ქალს ცხომარეთიდან ფეხის მოცვლა აღარ უნდოდა, მე კი – მისი დაკარგვა. არჩევანი უნდა გამეკეთებინა ჩემს ცხოვრებასა და ნანიკოს შორის. წასვლის წინ გამოვუცხადე, თუ დავბრუნდი შენთან დავრჩები, თუ არადა, ნულარ დამელოდები-მეთქი. ამირანსა და პლატონს დავემშვიდობე და დედაქალაქისკენ გავსწიე.

ახლა ჩემსა და ცხომარეთს შორის დროის გარდა მანძილიც გაჩნდა, რომლის იქითა თავში წარსულიდან გადმოშთენილი აჩრდილები იმზირებთან, ხოლო აქეთა თავში მე – მათი მყიფე ლანდი, რომელიც უამრავი ადამიანის უზნეო, მრისხანე და გაბოროტებულ სახეთა ქაოსში დაიძურწება.

ვფიქრობ, პლატონ, და თანდათან ვრწმუნდები, რომ ადამიანის მოკლე და უსაგნო ცხოვრებას, საიდანაც იგი შეუცნობლად გამოსავალს ეძებს, მართლაც სჯობს მარადიული სიცოცხლისაკენ ილტვოდეს, სადაც ყველა საიდუმლოს შესახებ შეიძლება მიიღოს პასუხი და ის სინამდვილე შეიცნოს, რითაც იგი თავისთავად და თავისუფლად არსებობს.

* * *

ზაფხულობით ცხომარეთში ჩავდივარ და სასიცოცხლო ენერგიას ვკრეფ იმ ნეშოდან, ჩემი წინაპრების ძვლებითა და სისხლით რომ არის გაჯერებული. მერე ისევ ამ უკიდევანო ქაოსს ვუბრუნდები, სადაც მუდმივად ცრუ მოვლენებზე ვარ მიხრახნილი, უფრო ხშირად კი იმ მოვლენებზე, რომლებსაც ძლიერნი ამა ქვეყნისანი უქმნიან ადამიანებს...

ბაზ

nana miqiaSvil i

მე შანსიანი ვარ

მე ოპტიმისტი ვარ. მე ვიპოვი და მიპოვიან. არც დამკარგავენ ადამიანები, ვინც მე დამკარგა, არასოდეს არაფერი არ უპოვიათ და, აბა, რას დაკარგავდნენ? ვინც დამკარგა, ჩემს სიკეთეს გამოაყოლა და ცარიელი დარჩა, მე კი სიკეთე გამოიღრმავდა, დაიძრას ჩემი ერთგული მატარებელიც ჩქარა ადგილიდან. მე, ის პიროვნება არ ვარ და არც ვინმეს ვურჩევ გაიმეოროს ჩემს დაწერილ სიმღერაში (ლექსი არის ცნობილი პოეტის ნელი გაბრიჩიძისა)

„დაზამთრდეს მაინც ეს შემოდგომა,
ისე ირთვება, ისე გრძელდება –
დაზამთრდეს მაინც და სიყვარული
უფრო ნაკლებად გამიმძნელდება“.

არ გამიმძნელდება სიყვარულის ნდობა, რადგან სიყვარული სულშია, სად წავა? სული ღმრთისგან არის, ღმერთი კი დაუსრულებელი სიყვარულია, სიყვარული კი შემაველი სიტყვაა, ორი არსების გამაერთიანებელია უკუნისამდე და ადამიანს, როცა არ დაეხმარები, ის ბედშავი დღე უგზო-უკვლოდ, შენ სიცოცხლის დღეებს დააკლდება, როცა ვერ მიხვდები, რომ შანსი დაკარგე, ამიტომ კვლავ ჩემი წარმოდგენით სიცოცხლის შანსი, შანსიანია.

ლექსო, მომბეზნე

ოქროსფერია სიცოცხლე,
მწვანით იფარება სევდა,
ლურჯია ერთგულება,
სხვა რა ფერია ნეტავ?
იისფერია სინაზე,
ცბიერებაა ნეტავ,
არ მიმატოვო ლამაზო –
მალე დამიწყებ ძებნას.

დღეების ბიოგრაფა

შენ, უყვავილო ლედვის ჯიშო და მოდგმავ,
წითელი ვარდის ნისკარტის მკვნეტო,
მწვანე ბავშვობის ყავისფრად მღებო -
ერთგული ფოთლის კედელზე მხვრეტო,

ფერთა წერაში ვერ გნახე ვერსად,
მხატვრის სალონში ხელობის სიცხევ,
ჯანსაღ ცხოვრების ვერცხლის იუდავ,
თეთრი სიცილით ვერ ჩამენაცვლე,
წადი, გამცილდი!

nel i (l el iko) qvel aZE

სვანეთის ლეგენდები

დრამა 3 მოქმედებად
(განკუთვლილი საოპერო ნაწარმოებისათვის)

კონსულტანტები:

1. ჯუმბერ კახიანი – სპორტის ოსტატი, გამოჩენილი მთამსვლელი და მეკლდეური, ინსტრუქტორ-მწვრთნელი
2. იოსებ კვიციანი – თსუ ეთნოლოგიის კათედრის პროფესორი
3. დეკანოზი მამა მერაბ დეკანოსიძე – დიდი დიდმის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ტაძრის წინამძღვარი, ხატმწერი, მუსიკოსი, მაკურთხებელი წინამდებარე საოპერო სცენარისა.
4. მუსიკალური მრჩეველი – ნოდარ ხოფერია, მუსიკოსი, საქართველოს დამსახურებული არტისტი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრის დირექტორი (1953-1990 წწ.), სოლისტი.
5. რედაქტორი – ლევან ფრუიძე, – ეთნოგრაფი, პროფესორი, საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ქართველ საგვარეულოთა კავშირის თავმჯდომარე.

მოქმედების ადგილი: ზემო და ქვემო სვანეთი

მოქმედი პირნი:

1. ბეთქილი – მითიური მონადირე;
2. დალი – ნადირობის მითიური ღვთაება;
3. ზეხალი – ბეთქილის დედა;
4. თამარი – ბეთქილის სატრფო
5. გოჯი, ჯოკია – „მახვშები“, (ოჯახის თავკაცები);
6. ძველი სვანი მონადირეები: გივერგილი, მანგურ, გორვაშ, ბექმურზ, ქემზა, ადსილ, ბათო, განუ, გახა, გაბი და სხვები;
7. მიხეილ ხერგიანი – ლეგენდარული მთამსვლელი;
8. რჩეული სვანი მთამსვლელები;
9. სოფელ მულახის მკვიდრნი;
10. ნანული, დება, ლილი – თამარის მეგობრები.

მოქმედება პირველი

სურათი პირველი

ზემო სვანეთი. მულახი, სოფ. ჟაბეში. უკანა ფონზე მოჩანს მაღალი მთები თოვლიან-ყინულიანი მწვერვალებით, ქვემოთ კი სვანური კოშკები.

წინა პლანზე სვანური სახლის კარ-მიდამოა: საცხოვრებელი სახლის კომპლექსი 6-სართულიანი კოშკით. დიდ დარბაზში, კერიაზე ცეცხლი გიზგიზებს, კედლებზე საბრძოლო და სამონადირეო იარაღი ჰკიდია: მშვილდები, ტყავის კაპარჭში ჩაწყობილი ისრები, შურდულები, შუბები, ხანჯლები, ხმლები, ორლესულები, სატევრები, თხილამურები.

დარბაზი მორთულია აგრეთვე რქამოვერცხვლილი ჯიხვის თავებით. კუთხეებსა და ნიშებში „ჯგირაგის-“ (წმ. გიორგის), „ლამარიას“ (წმ. მარიამის) და წმ. კვირიკეს ხატები ასვენია. შანდლებში თაფლის სანთლისგან ჩამოქნილი კელაპტრები ანთია, ერთ-ერთ ნიშში, თაროზედევს საგვარეულო, მოვერცხვლილი, სადღესასწაულო დიდი კათხა (ხის სასმისი), აქვეა მოვერცხვლილი პატარა ჯიხვები (რქის ყანწები). მოჩუქურთმებულ დედაბოძთან დგას ასევე მოჩუქურთმებული „საკურცხვილი“ (ხის სავარძელი) „მახვშისთვის“.

ადრინანი დილაა... დარბაზში უფროს-უმცროსობის მიხედვით იკრიბენიან დიდი სვანური ოჯახის (ჩვიბშართა) წევრები. დარბაზი თანდათან ივსება და იქ მყოფნი მოთმინებით ელოდებიან ჯოჯახის უფროსის _ „მახვშის“ შემოსვლას. იღება კარები და ცოტა ხნის შემდეგ დინჯად, ნელი ნაბიჯით შემობრძანდება დარბაისელი, ჭარმაგი მამაკაცი, „მახვში“, გოჯი, მოხდენილი სვანური ჩაცმულობითა და მატყლის მოთელილი ქუდით. იგი სასიამოვნო ღიმილით ესალმება იქ შეკრებილ ხალხს.

მახვში: მოგესალმებით და დალოცავთ (პირ-ჯვარს გადასწერს ხალხს). გფარავდეთ მაღალი ღმერთი, მრავალი შვიდობიანი დილა გაგთენებოდეთ. დაე, დაგიცვათ წმ. გიორგის ძლევა მოსილმა მახვილმა, მუდამ წინ მიგიძღვოდეთ წმ. კვირიკეს ხატი!

გუნდი: (დაიგუგუნებს)

იცოცხლე, მახვშო, იცოცხლე!

შენი სიბრძნით და სიკეთით;

არ მოგვეშალოს აროდეს

მახვშის რჩევა და იმედი!

მახვში: (გულზე ხელს დაიდებს) გულითადი მადლობა, შვილნო ჩემნო-, თეთნულდის უბეში გაზრდილნო!

მახვში დინჯად გაეშურება სამახვშო ხის სავარძლისაკენ და ღირსეულად იკავებს მას. ცოტა ხნის შემდეგ იგი ღია კარში გაიხედავს და ტკბება წარმტაცი ლანდშაფტით:

მახვში: მოიხსნა ნისლის პირბადე

თეთნულდმა სხივთა ფენითა,
უშბას გახედა პირქუშსა
დნება ამდენი თმენითა!

გუნდი: სოფელო, თეთნულდის ძირად
ნეტავ ვინ აგაშენაო?
თვრამეტი კოშკი გვირგვინად,
დააგადგა, დაგამშვანაო!

მახვში: თავზე ცა მოგცა ლაჟვარდი,
ნამუსის ქუდი დაგხურა,
დახატა შენი ქალ-ვაჟი,
ღვთიური მადლი გაპკურა;

გუნდი: უხვად მოგმადლა წყარონი,
ცვარ-ნამი გადმოგაფრქვია,
დაჰქარგა მწვანე მინდორნი,
ოქროს სხივებში გაგხვია!

მახვში: კლდეზე იხლტუნონ ჯიხვებმა,
ნისლებმაც აღმა-დაღმაო;
იხაროს იმის ჯილაგმა,
ვინც ცამდე აგამაღლაო!

სურათი მეორე

მახვშს რიგრიგობით უახლოვდებიან გუთნის დედები, მთიბავები, ტყის მჭრელები, და მონადირეები.

გუთნისდედები: დიდო მახვშო! ღმერთის შეწევნითა და თქვენი დავალებით, დროა შევუდგეთ ყანების დახვნას...

მთიბავები: საქონელს საკვები სჭირდება, თივას მოვიმარაგებთ, შევეფინებით ჩვენს ნოყიერ სამოვრებს...

ტყის მჭრელები: კურთხეულ სვანეთში ზამთარი ცივი და გრძელია, შეშას მოვიმარაგებთ...

მონადირეები: სარჩოს მოვიპოვებთ, გავწევთ წანერისა და ტვიბერის საჯიხვეებისაკენ...

მახვში: (წამოიმათება, წვერზე კმაყოფილებით ჩამოისვამს ხელს, შემდეგ კი თანხმობას აძლევს მათ: „დაე, მაღალი ღმერთი იყოსთქვენი მფარველი, მე კი გზას დაგილოცავთ!“).

მახვშის თანხმობით გახარებულ ხალხს საზეიმო განწყობა ეუფლება, გაისმის აღფრთოვანებული შეძახილები: „მადლობა უფალს“, „მახვშო, იხარე ჩვენთან ერთად, მოსავალი უხვი გვექნება, სარჩო-საბადებელი უთვაღავი, საქონელს გავამრავლებთ, ჩვენც გავმრავლდებით და გავძლიერდებით.

ჩაღდება ფერხული და ყველანი ჩაებმებიან, გარდა მონადირეთა გუნდისა, რომლებიც ერთად შეჯგუფულან და ვიღაცას მოუთმენლად ელოდებიან. დაჟინებით გასცქერიან მიდამოს.

მონადირეები: (გახარებულნი)

აგერ გამოჩნდა, გამოჩნდა!
ქვემოთ ეშვება მალლითა,
ბილიკს მოჰყვება, იჩქარის,
ჩვენც დავუხვდებით დაბლითა!

მახვში: (შეამჩნევს მონადირეებს და სათითაოდ მოიხმობს მათ)

მამაცო მონადირენო: გივერგილო, მანგურ, გორვამ, ქემზა, მურათბი, გიო, ადსილო, გახა განუ, რომანოზ, ბექმურზ! თქვენც მოილხინეთ!
(მონადირეები საერთო ფერხულში დგებიან)

მახვში: სად არის ბეთქილი, ჩვენი საგვარეულოს იმედი?!

(ხალხი აჩოჩქოლა: ბეთქილ... ბეთქილ... იმეორებენ ისინი).

ბეთქილი: მოვედი, აქ ვარ! საჯიხვეები შევარჩიე და მზად ვარ კიდევ სანადიროდ თქვენთან ერთად! (გაისმის ძლიერი ხმა და ავანსცენაზე შემოიჭრება მზეჭაბუკივით მშვენიერი, ახოვანი და მკლავმაგარი სვანი ვაჟკაცი) ყველა იქ მყოფი სიხარულის ყიჟინით ხვდება მას, ისინი აღტაცებულნი ათვალიერებენ მის სამონადირეო ჩასაცმელს და იარაღს: გარედან მოსავს მამალი თხის ზოლებიანი „ქვირქვი“ (გარედან მოსაცმელი), შალისგან ნაქსოვი „ზიდჰარალები“ (პაჭიჭები), „ჯაბრალები“ (ბანდულები), მხარზე ლაზათიანად აქვს გადადებული მშვილდი, ხოლო მოვერცხლილ ქამარზე ჰკიდია ტყავის კაპარჭი – ისრებით. ასევე ვერცხლისტარიანი ხანჯალი, მატყლის სვანური ქუდი ახურავს, ზურგზე მოუგდია ტყავის ზურგჩანთა საგზლით: ქალიშვილები მას დროებით ჩამოართმევენ სამონადირეო ნივთებს, ხელში მოწიწებით უჭირავთ და ინტერესით ათვალიერებენ; ბეთქილს კი გუნდის წევრები ფერხულის შუაში ჩააყენებენ და გაისმის მისი საქებარი სიტყვები:

მონადირეები: ძუძუ გაწოვა წანერმა,

ტვიბერმა გითხრა ნანაო,

გივერგილი: გადავლები მთის წვერსა,
ენგურმა მოგცა ძალაო!

მანგურ: სწრაფი ზვავი ხარ, მრგვინავი,
ელვით ნატყორცნი ისარი:

ბექნუ: მთის ბრანებელი არწივი,
მთა-ჭიუხებში მფრინავი!

გორვამ: არ დამარხცდები, არასრდოს,
ჯიხვივით კლდეზე მავალო,
სვანო ვაჟკაცო, მედგარო
სალ კლდეზე უფრო მაგარო!

ფერხული თანდათან იშლება, გუნდის წევრები იღებენ სამუშაო იარაღს და რიგრიგობით მიდიან. მონადირეებიც სათითაოდ ჩამოხსნიან დარბაზის კედლებიდან სამონადირეო იარაღს და აისხამენ... ბეთქილი მიდის დედასთან და მუხლს მოიყრის მის წინაშე.

ბეთქილი: დამლოცე, დედი, დამლოცე!

უვნებლად მოვალ შინაო!

დედა-ზეხალი: მთა-ჭიუხებში გაზრდილო,

დედის იმედო ხვალისა,

დე, მოგვიტანდე საზრდოსა,

შენი ძლიერი მკლავითა.

დაგლოცავ მთელი გულითა,

მასახელებო გვარისა,

გფარავდეს ჩვენი „ჯგირაგი“,

ჩემო სინათლეც თვალისა.

დედა თავის ხელით ჩამოჰკიდებს შშვილდს ბეთქილს მხარზე, გადასცემს სხვა ნივთებსაც, კიდევ ერთხელ გადასწერს პირ-ჯვარს. ბეთქილიც გამოეთხოვება დედას, ხელებს დაუკოცნის, შემდეგ წამოდგება და სხვებთან ერთად სანადიროდ გასწევს.

სურათი მესამე

უკანა პლანზეა მწვერვალი „თეთნულდი“, ქვემოთ, შუაგულ ტყეში, კლდეზე ჩანჩქერი გადმოსჩქეფს. წინა პლანზე ყვავილებიანი მწვანე მინდორია, სადაც ამოჩუხჩუხებს ცივი წყარო – „მორელი“ (სვანურად სუფთა, დაწმენდილი წყალი). წყაროზე შშვენიერი ასულები მოსულან – სურებით, თუნგებითა და კოკებით. აქ არიან: ნანული, დება, ლილი, თამარი... გოგონები ერთმანეთს წყალს ასხურებენ, საამოდ კისკისებენ. ზოგიერთები კი ყვავილებისაგან გვირგვინს წნავენ. თამარმა უკვე დაწნა გვირგვინი, ფეხზე წამოდგა და თავზე დაიდგა. ამ დროს მას მიუახლოვდებიან გოგონები და თეთრ, ყარყარა სურას გაუწვდიან:

ნანული: წყალს აავსებდეს თამარი,

ყელი მიუგავს სურასა,

ვით ამირანის ყამარი,

ჰგავს კალმით ნახატ სურათსა!

თამარი მეგობრებს ჩამოართმევს სურას, და წყაროსთან მივა წყლის ასავსებად. ამ დროს ავანსცენაზე შემოდინ საჯიხვებისაკენ მიმავალი ბეთქილი და მისი მეგობრები. ისინი შეამჩნევენ ლამაზ ქალიშვილებს და წურვილი სულ გადაავიწყდებათ. გოგონებიც იცნობენ ბეთქილს და სიხარულისაგან აჩურჩულდებიან:

ბეთქილი... ბეთქილი... მისი დანახვა განსაკუთრებით თამარს გაუხარდება. ის ყვავილების გვირგვინით თავზე, როგორ ზღაპრული ფერია, წყაროსთან

დგას უკვე ავსებული სურით და დამფრთხალი შველივით შეჰყურებს ბეთქილს. ეს უკანასკნელიც, ჩანს, რომ ძაღვზე მოხიბლულია მისი მშვენივით:

ბეთქილი: წყალი შემასვი, თამარო,
მიხარის შენი ნახვაო;
შვიდ-გზის დამცხრალ მთვარეო,
ცვარ-ნამმა პირი გბანაო;
მონარნარევ და ელვარევ,
გადაპენტილო ფთილაო
იავ, დეკავ და ღვიანო,
ჩემო ოცნებავ, ფთიანო!

თამარი მიაწოდებს სურას და ბეთქილიც მოწყურებული დაეწაფება მისი ხელით მიწოდებულს. ბეთქილი შესვამს ცივ წყალს და, ეტყობა, ძაღვად ეამა, რადგანაც აღტაცებულია...

ბეთქილი: ცივ წყაროვ, „მორელისაო“,
მადლი გაქვს ღვთიურისაო,
შენი შესმა თუ მოვასწარ,
შიშ არ მაქვს მორევისაო!

თამარი: ბროლი ხარ დაუბინდავი,
თვალ-მარგალიტი ულვევი,
თეთნულდის დალაღებისა
გამოგყოლია სურნელი;

ბეთქილი: ცრემლად დაღვრილა მყინვარი,
ჩუხჩუხით გადმომდინარი,
აქ გაცოცხლდება ყოველი,
აქაური თუ სტუმარი

გუნდი: დღეს ნებვირობენ მზის სხივნი,
ღამით კი ციურ-ვარსვეკვლავნი,
შენკენ მოილტივის ყოველი,
ვის კლავს წყურვილი ულვევი;
ცხრა წყარო უკვავებისა,
წყალი კამკამა „მორელი“,
შენი შესმა თუ მოვასწარ,
სიკვდილსაც აღარ მოველი”

მონადირეები ქალიშვილებს ეთხოვებიან.

თამარი: (ავგაროზს ჩამოჰკიდებს ბეთქილს): არ განიშორო იგი არასდროს, და იგი დაგიცავს შენ! (მონადირეები ინაწილებენ სხვადასხვა საჯიხვეებს და სხვადასხვა მიმართლებით მიდიან).

სურათი მეოთხე

წანერის ხეობა... მოქუხს მდინარე მულხურა. მის მარცხენა ნაპირზე წამო-მართულა სალი კლდე, რომლის თავზეც არწივები დანავარდობენ, კლდის ძირში კი ჯიხვები მოჩანან. გამოჩნდება ბეთქილი. იგი მარტოა. ჩანს, რომ გან-ცდებშია, მოხიბლულია ბუნების სურათებით. ის კლდეს მიეყრდნობა...

ბეთქილი: აქეთ წანერია, იქითკენ ტვიბერი,
მოჩანს უღვირი – ქედს გადასასვლელი
ცა მუქი ლურჯია, მთები თოვლიანი,
მულხურა გრუხუნებს ყინულწყლიანი;
ჭრელწჳრელი მინდვრები ხალიჩიც სადარი,
სავსე თავთავთა ნიავეში შრიალი.
გაზაფხულია, თიბათვე დამდგარა,
ისმის მოქნეული ცელების წკრიალი.
ანკარა წყარონო კლეზე ნაჟური,
ტყეები იდუმალი, ხმა – ჯადოსნური,
ფრინველთა ჭიკჭიკი გულდამატკობელი,
ყვავლთა სურნელი ნელდმათრობელი;
მთვარიან ღამეში ჩრდილები ზღაპრული,
ცარგვალზე ვარსკვლავთა გუნდებიც ციალი
ოცნება რჩეულზე, ხილვები ნატრული
ციცინათელების ნაქნარი ცქრიალი,
ფერხულს უვლიან თეთრი მყინვარნი
ცას ეტოლებინ კოშკნი მაღალნი,
მზეს ეჯიბრებიან ქალ-რმალნი წარმტაცნი,
მთებს ეჭიდებიან ვაჟკაცნი – მამაცნი.
განცდები... განცდები... არ მახსოვს ამგვარი,
ბისნდიფერ სოფელში რაცა ვარ სტუმარი,
იქნება დასრულდა ამ ქვეყნად ყოველი,
მართლა სამოთხეა და უკვე მოვედი?!

ბეთქილი ისრის სასროლზე შეამჩნევს ჯიხვს, ფრთხილად მოიმარჯვებს მშვილდს და ისარს სტყორცნის. ჯიხვი ჩამოვარდება კლდიდან. ბეთქილი გა-ხარებულია ჯიხვის მონადირებით. მიუახლოვდება დიდ კლდეს, აიხედავს ზე-მოთ და მაღლობას მიუძღვნის ნადირობის ღვთაებას დალის:

ბეთქილი: მაღლობას გიძღვნი დალ-ბედნიერო
ქალღმერთო ოქროს დალალიანო,
კარგ მონადირის შემწე, დაცველო.
ნადირთმულეტელის ღირსო დამსჯელო!

მოულოდნელად კლდის თავზე აიკრიფება ნისლის ფარდა და გამოსხივებს ოქროს ტახტზე მჯდომარე დალი და ბეთქილს თვალს მოსჭრის. ისიც, მისი სილამაზით გათანგული, ქანდაკებასავით გაქვავდება. დალის მზის შუქი გად-

მოსდის სახეზე, თვალეზში ლურჯი, უძირო ტბები ჩასდგომია, ბაგე ვარდის ფურცლებად ეშლება და ბროლის კბილებს აელვარებს: ჯადოსნურ ხმას გამოსცემს, როგორც სირინოზი. ცხრა ოქროს ნაწნავი მოქნილ ტანზე უცხოდ გადმოშლია, და თითქოს მთელი ვარსკვლავითი ირეკლება მისი ალმასის დიადემაზე...

მოჯადოებული უცქერის ბეთქილი და დალიც მას თვალს არ აშორებს.

დალი: ნადირთა შორის მე _ მარტოსული,
გრძელ ღამეებში დიდხანს გიცდიდი;
გამემეცხადე, ვით უფლისწული,
ნუთუ შენა ხარ, ვისაც ვნატრობდი?

დალიმ ჩამოუშვა თავისი ორქოს ნაწნავები და ბეთქილს ჩამოსძახა:

დალი: ჭაბუკო, შენ გევედები,
ამოდი კლდისა თავსაო,
გადმოგაყარნე ნაწნავნი
მოეჭიდები თანაო!"

ბეთქილი, თითქოს რაიმე უხილავმა ძალამ შეიპყრო, გაიწვდის ხელს ნაწნავებისაკენის, მაგრამ კვლავ მოიკრებს ნებისყოფას და ხელი უკან მიაქვს:

ბეთქილი: მერე რა ვუთხრა დედაჩემს,
რომ არ მიუვალ შინაო,
ოხრად დარჩება სათიბი
მოსამკალ პურის ყანაო!
ცრემლად დადნება თამარი,
წყაროც დაშრება მთისაო,
გამოვაკლდები ტოლ-სწორსა,
მე ვინ გამიგებს, ვინაო?

დალი: შეგბოჭო ოქროს დალაღში,
ჩაგმალო ციურ ნისლშია,
ვერავინ მოგკრას თვალია
გაგხვიო ტრფობის ალშია.

დალი სულ უფრო და უფრო აჯადოებს ბეთქილს, ცდილობს როგორმე ზემოთ აიყვანოს. გაბრუებული ბეთქილი თითქოს ქანაობს და რომ არ წაიქცეს, ხელს ჩაავკლებს მის ოქროს ნაწნავებს. უცებ ჩამოხველდება, წუთის შემდეგ კი კვლავ განათდენა კლდის თავი, სადაც ერთად მოჩანან ბეთქილი და დალი. ეს უკანასკნელი ჯერ გადაეხვევა მას, შემდეგ გვერდით მოისვამს და თავდავიწყებით უმღერის:

დალი: ერთად ვიქნებით დღე-ღამე.
ჩემთან დავიდოთ ბინაო.
გვირგვინად გვადგეს მზე-მთვრე,
ვარსკვლავნი გვეწყოს წინაო!.

სურათი მეხუთე

კვლავ მოჩანს დალის საუფლო კლდე. დაზამთრდა. ბეთქილი ისევ აქ არის დალის ტყვეობაში. იგი ზალზე დაღონებულია. დალი ეფერება და ეალერსება მას. ცდილობს ჯადოსნობით გადაავაწყოს ყველა და ყველაფერი. ბეთქილი თითქოს მშვიდდება. შეუდგება თავისი სანადირო იარაღისა და ტანსაცმლის მოწესრიგებას. გულდამშვიდებული დალი ცოტა ხნით ტოვებს მას და მიდის ნადირთა დასახედად. ბეთქილი მარტო რჩება. მას კვლავ მოუსვენრობა შეიპყრობს, თითქოს სული ეხუთება, საკინძეს შეიხსნის და ხელი მოუხვდება თამარის ნაჩუქარ თილისმაზე. ამოიღებს უბინან, ხელის გულზე დაიდებს, თითქოს გამოდის ძილ-ბურანიდან და ნელ-ნელა თვისუფლდება დალის ჯადოსანგან.

ბეთქილი: ვაიმე, რა დრო გასულა,
თოვლი მოსულა განაო?!
რას ვუცდი, რამ გამაქვავა?
აბა, რა მინდა აქაო?!
დამემსხვრა ყველა ოცნება
და დამცემია ბნედაო.
ო, როგორ მომნატრებია
ჩემი მშობელი დედაო.
ჩემი კერა და ტოლ-სწორნი
აღბათ, მელიან შინაო.
თვალცრემლიანი თამარი,
ვინ დაამშვიდოს, ვინაო?

ბეთქილი ეამბორება თამარის ნაჩუქარ ავგაროზს და განგრძობს:

სატრფოვ, ეგ შენი თილისმა,
ყოველთვის დამაქვს თანაო.
გამიდლიერა გულის ხმა
დედის ხმაც მესმის განაო?

დედა ზეხალი: განაგდე ეგ ძილ-ბურანი,
მამულს სჭირდება შველაო,
მოდით, ზვავისგან გვიხსენი,
უფალმა მოგცეს ძალაო!

უცებ ბეთქილს ძახილი შემოესმის კლდის ძირიდან. იგი ჩამოიხედავს და თავის მეგობარ მონადირეებს დაინახავს. მათ შეუბიშნავთ, თუ როგორ მიეფარა დალი თვალს და ახლა ბეთქილს ეძახიან:

გივერგილი: „შავი ღრუბელი დაადგა უშბას,
განსაცდელსია ჩვენი სვანეთი,
სუდარა შუბლზე წაუკრავთ მანებს,
დედებს ჩაუცვამთ შავი ძაძები.
ადსილი: მწარედ მოსთქვამენ ჩვენი ქალ-რძალნი,
შავმა შეცვალა თეთრი მანდილნი!

ბეთქილი შეშფოთებულია მოძმეთა უბედურებით. იგი თითქოს საბოლოო-
ოდ განთავისუფლდა ჯადოსგან და ახალი ენერგიით აღივსება. ვეფხვივით ის-
კუპებს კლდიდან და მონადირეებთან გაჩნდება.

ბეთქილი: იქნება ცოცხალს მივუსწროთ,
შევიბათ ფრთები არწივთა,
გადავარჩინოთ მოძმენი,
ძვლები არ დახრას ნადირმა!

მონადირეები: წინ გაგვიძეხი, ბეთქილო!
სათემო ფეხზე მდგარია,
ვერ შეგვაშინოს მეწყერმა,
რა არის ჩვენთვის ზვავია!

ისინი ჩქარი, მგლური ნაბიჯით გაეშურებიან ჟამუმისაკენ და სცენიდან
გადიან. ამ დროს გამოჩნდება დალი და რომ ვერ დაინახავს ბეთქილს,
გაშმაგებით დაუწყებს ძებნას. ბოლოს მიხვდება, რომ გაეპარა. უფრო მეტად
აბობოქრდება, კლდის ქიმებს აწყდება, თმები ასწეწია.

დალი: მსურს დავიგლიჯო დალალი,
კლდეებს ვახლო თავია;
თუ გაპატიო დალატი
მე აღარ ვიყო დალია.

სურათი მეექვსე

მულახი. უკანა პლანზე მყინვარები და კოშკები, წინა პლანზე სოფელ
ჟაბუმის ცენტრი. ნახევარი სოფელი ზვავს წაუღია. ჩანს ნგრევის კვალი, ქალები
მოთქვამენ, თეთრ თავსაბურავებს იგლეჯენ და შავებით იმოსებიან, იხოკავენ
ღაწვეებს, ბეთქილს და მის მეგობრებს გამოჰყავთ დაშავებულინი და შემდეგ
გადარჩენილ ჟამუშელებთან ერთად პატივს მიაგებენ დაღუპულთა საერთო
სამარეს. მუჭა-მუჭა აყრიან მიწას, ხალხი გლოვობს დაღუპულებს. სოფლის
ცენტრში დგას მხოლოდ სასწაულებრივად გადარჩენილი ნავერიანთა საგვარე-
ულო კოშკი, რომლისთვისაც ზვავს ვერაფერი დაუკლია. დამწუხრებული
ბეთქილი და მეგობრები შეჩერდებიან კოშკის წინ:

ბეთქილი და გუნდი: ჟაბუმს კოშკი დგას მაღალი,
უწყალოდ დაობლებული,
ვერ შეასრულა სურვილი,
წინაპრის დაბარებული,
წუთში მოისრა ყოველი
ირგვლივ კვლია ზვავისა,
ძამებში გამოწყობილი,
მაწყევარია თავისა;
ვერ შეივრდომა ბავშვები,
ვერ მისცა თავშესფარი,

მულხურას ერთვის ცრემლები,
ხშირად სდის გადმომდულარი;
იმედით ცისკენ მიილტივის,
ზეცას ამალდნენ სულები
რომ შეავედროს ღვთისმშობელს
იქნებ გაუთბოს გულები.
გფარავდეთ სალოცავები,
ჟამუშელებო გამრავლიდით,
წინ მიგიძვოდეთ „კვირიკე“,
გფარავდეთ „ჯგრაგის“ მახვილი!

II მოქმედება

სურათი პირველი

კვლავ დადგა გაზაფხული. მწვანედ ხასხახებს ბეთქილის კარ-მიდამო. ეზოში დგას საუკუნოვანი კაკლის ხე. დალამდა. მთვარეც ამოვიდა. ცა სუფთა და წკრიალაა. სავსე მთვარე დიდებულად არის დაბრძანებული თავის ციურ „სამახვშო“ ტახტზე და თითქოს დირიჟორის ჯადოსნური ჯოხით აწესრიგებს ვარსკვლავთა გუნდების განლაგებას ცის გუმბათზე. გამოკვეთილა მოჩანს ტვიბერისა და წანერის ჩამუქებული ხეობები და თეთრი მყინვარები. მთვარის ვერცხლისფერი სხივების თხელ, გამჭვირვალე ბადეში პატარაძალივით გახვეულა თეთრი თეთნულდი, უშბის ტრფობით გათანგული. იქვე ახლოს მოჩუხჩუხებს წყარო – თეთნულდის ნაჟურით ნაკვები და თითქოს სიყვარულით ეჩურჩულებს ეზოში ბებერი კაკლის ხეს. ხესთან დგას ბეთქილი, რომელიც თამარს ელოდება.

ბეთქილი: „თუ მაპატია თამარმა, აუცილებლად მოვა!“

(თამარის მოლოდინში იგი ხეს ებასება).

ბეთქილი: ხევ, დედისერთავ ორი მყინვარის

ძეო წანერის, ძეო ტვიბერის.

ხეო სამოთხის, ხეო ედემის,

ხეო სიხოცხლის, ხეო იმედის;

მამშვენებელი ორი ხეობის.

ძეგლო, მოწამევ, ბევრი დღეობის,

მოწმე ქორწილთა, მომსწრე ძეობის,

„მახვშო“ ოთახთა მრავალ თაობის

მძლევ ქარიშხალთა, ზვავთა და ჟამთა

მასაზრდოებო დიდთა და ყრმათა

მესაოდუმლევ ქალთა და ვაჟთა.

ამ ბოლო სიტყვების დოს განოჩნდება თამარი. ბეთქილი დაინახავს მას, შეეგებება, წაიყვანს კაკლის ხიხკენ და ისინი ერთად განაგრძობენ:

ბეთქილი: მესაოდუმლევ ქალთა და ვაჟთა.

თამარი: ხევ – მატანევ, სვე-ბედნიერო,
მრავალჯერ მომსწრე ივერთ დიდების,
ხეო ჭაბუკო, ფესვ ღონიერო,
მომნიჭებელი ფრთიან ოცნების!

ბეთქილი: ხევ გოლიათო, ხეო თვალადო,
სიტყვამვირობით მგვანო ვაჟკაცთა,
ჟაბეშში ყველა ხეთა მთავარო
ფოთოლშრიაკით მთქმელო ამბავთა;

ბეთქილი: ხეო, ნატვრის ხევ, სხვა რა ვინასტროთ

თამარი: გვსურს ერთი ნატვრა გაგიზიაროთ,
მოვიდეთ შენთან, შემოგეხვიოთ,
დარში, ავდარშიც შემოგეფაროთ!

ისინი ხელიხელჩაკიდებულნიმიდიან ხის ძირში და ჩაეკვრებიან ხის მსხვილ ტანს.

სურათი მეორე

თეთნულდის უბეში შეყუჟული სოფელი ჟაბეში. მოჩანს მაღალი კოშკები. სოფლის შუაგულში შემალღებულ ადგილზე დგას ეკლესია გაკაშკაშებული სანთლებით. ისმის ზარების საზეიმო რეკვა. თამარი და ბეთქილი ჯვარდაწერილნი ეკლესიიდან გამოდიან. მათ მოჰყვებიან მეჯვარეები ქემზა და დე-ბა. თანასოფლელები მხიარულად ხვდებიან მათ და ულოვაცენ გაბედნიერბას. გაისმის საქორწინო სიმღერა, თანასოფლელები იშიშვლებენ ხმლებს, გადააჯვარედინებენ და ასეთ ცოცხალ „ხეივანში“ გამოატარებენ ნეფე-დედოფალს., რომელთაც წეინ წარუძღვება მახარებელი და მექორწილენი მიემართებიან ბეთქილის კარ-მიდამოსაკენ.

სურათი მესამე

ბეთქილის სცხოვრებელი სახლის ეზო. ჭისკარი ფართოდ არის გაღებული. გაშლილია უხვი საქორწილო სუფრა. ეზოში შემოიჭრება მახარობელი – გივერგილი, რომელსაც კარგი ამბის მოტანისათვის თაფლით პირს ჩაუტკბარუნებენ და რქის ყანწით სასმელს მიართმევენ, წელზე კი მოვერცხლილ ქამარხანჯალს შემოარტყამენ.

გივერგილი: დარახტულია მერანი,
ლურჯას ფაფარი აშლია,
დამრულა მულახ-მუჟალი,
ჟაბეშ ქორწილი არია.

დასაჩუქრების შემდეგ იგი მოზრნდება ეზოში შემომავალი მაყრიონისაკენ:
ხალხმრავლობა ბეთქილთან,
სათემო ფეხზე მდგარია,
არსით ირღვევა წესრიგი,
მახვში საკარცხვილს მჯდარია!

ავანსცენაზე მაყრიონის თანხლებით შემოჰყავთ ნეფე-დედოფალი, მას შეხვდებიან ბეთქილის დედა და ოჯახის სხვა წევრები:

დედა ზეხალი: ბედნიერ იყო ფეხი შენი
და სიხარული შემოგეტანოს!

შემდეგ ნეფე-დედოფალი მიჰყავთ კაკლის ხის ძირას „საკარცხვილზე!“ მჯდომ მახვთან. მახვში წამოიმართება.

მახვში: ბოლომდე შემისვით საგვარეულო ხის დიდი კათხი. გაავსებენ სადღე-სასწაულო ჭურჭელს. მახვში დალოცავს და შესვამს ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს.

მახვში: დავლოცავ ნეფე-დედოფალს,
ღმერთო, ამრავლე გვარია!
წინ წაუმძღვარე მფარველად
ვაზისა წმინდა ჯვარია“

გუნდი: ბევრი მიეცი ბაღია;
თუნდ იყოს ტურფა ქალია,
გვიცავდეს „ჯგირაგ“ მახვილი
და „ლამარიას“ ხატია.

სხვა დარბაისელი მმაცაცები რიგრიგობით შესვამენ სასმელს კათხიდან და დააგუგუნებენ:

გავლადებულვართ ვაჟანი,
დავაგუგუნებთ ლილეოს,
მხნედ ვიბუბუნებთ ჭარმაგნიც
ღვთის სადიდებელ „ლიმზიროს“.

შემდეგ მეჯვარეები ამოუდგებიან აქეთ-იქიდან დედოფალს, მიაცილებენ საქორწილო სუფრასთან, დასვამენ მათთვის განკუთვნილ ადგილზე და თვითონაც გვერდით მოთავსდებიან. ადდილებს იკავებენ სხვა მექოწილენიც. იწყება მეფე-დედოფლის დასაჩუქრება. ჩადდება ლხინი, იმართება ფერხული, რომლის შუაში აცეკვებენ მეფე-დედოფალს...

სურათი მეოთხე

ქორწილი გრძელდება... ბეთქილს თითქოს მოუსვენრობა შეიპყრობს და გულის დასამშვიდებლად თამარს ხშირს შეხადავს ხოლმე.

ბეთქილი: მალ-მალ შევხედავ დედოფალს,
თვალნი აქვს ნუკრის შველისა,
ადარ გამწირავს უფალი,

ალბათ, მომივლენს შველასა!
მეგორები თითქოს მიუხვდებიან ღელვის მიზეზს და ცდილობენ მის დამშვიდებას.

ქეზა: ველარ მიგიხვდეს ბრძენიც კი,
თუნდ გახსნს ცხრაკლიტულია,
კვნესა არ გარგებს ვაჟკაცსა,
არ დაიტანჯო სულია!

ბექმურზ: აბა, რა მოგდის ბეთქილო?
გახევდი, ვითარც ქვისია,
გეჩვენა ოქროს დალალი?
დალისა, აბა ვისია?!

ქორწილი კვლავ გრძლედება... ხალხის მხიარულება თანდათან მატულობს. მექორწილენი ცეკვავენ და მღერიან. ბეთქილი კი კვლავ განცდებშია, თითქოს გული რაღაცას უგრძნობს. ის მოულოდნელად ფეხე წამოიჭრება და გაქვავდება, თითქოს რაღაც ზღაპრული არსება შეამჩნიაო. მალევე მოეგება გონს.; აღელვებული ხელს წინ გაიშვერს და მეგობრებს თითით წინ რაღაცას მიანიშნებს.

ბეთქილი: შეხედეთ, აბა, რა დაჰქრის,
ნუთუ ეს თეთრი ჯიხვია?!

სხვა მონადირეები წამოიშლებიან და განციფრებულნი ისინიც იქით იცქირებიან.

გივერგილ: ჯიხვ თეთრი იყოს არაკად,
ჯერ არსად გამიგონია!

მანგურ: დახეთ, რა უშიშარია!
აბა, რა უნდა აქაო?

ქეზა: ეზოშიც რომ შემოვარდა,
თითქოს დაგვცინის თანაო!

გორვაშ: შეხედეთ, როგორ ნავარდობს,
თითქოს გვევლება თავსაო!

განუ: მაშ, მოვიწმინდოთ სირცხვილი,
ვაჩვენოთ ჩვენი ძალაო!

ადსილ: გვიანდა არის, გაფრინდა,
ვინ დაეწევა, ვინაო?!

გაბი: ბეთქილი, მხოლოდ ბეთქილი
მოინადირებს ჯიხვსაო!

ჟაბუმელები: ჯიხვს დაეწევა ბეთქილი
მუხლი აქვს „კლდის ვეფხვისაო!“

ბეთქილს ქორწილი ავიწყდება, მასში მონადირის ჟინი იფეთქეფს, სწრაფად მოძებნის მშვილდ-ისარს და ჯიხვს დაედევნება.

სურათი მეხუთე

კვლავ „ჩვიბშართა“ დიდი ოჯახის სახლის დარბაზი, კვლავ იგივე ნივთები და ავეჯი. კედლებზე აღარ ჩანს სამონადირეო იარაღი...

ადრიანი დილაა, დარბაზი თანდათან ნათდება. ამომავალი მზის სხივები სარკლემებში შემოიჭრება. საქორწილო სუფრა კვლავ გაშლილია, მაგრამ არავინ არ ზის. თამარი, ისევ საქორწინო კაბაში, ერთ-ერთ ნიშში წმინდა ლამარიას ხატთან დაჩოქილა, ლოცულობს და ღვთისმშობელს გულმხურვალედ შესთხოვს ბეთქილის მშვიდობიან დაბრუნებას: „დედაო ღვთისმშობელო, გვედრები, დამიბრუნე ჩემი ბეთქილი“. მას მიუახლოვდება ბეთქილის დედა.

დედა ზეხალი: თამარ, შვილო! უფალი დიდია, ჩვენს ვედრებას შეისმენს და ბეთქილს მშვიდობით დაგვიბრუნებს!

შემოდინ მახვში დ ოჯახის სხვა წევრები:

მახვში: ვილოცოთ ხალხო, ვილოცოთ,
გული არ მიგრძნობს კარგსაო,
არ ჩანან დალოცვილები,
არავინ აღებს კარსაო!

ამ დროს გარედან მისმის ხალხის ყაყანი, ხმაური თანდათან ახლოვდება და ავანსცენაზე შემოიჭრებიან მონადირეები, მხოლოდ ბეთქილი არ ჩანს მათ შორის.

დედა ზეხალი და თამარი: (ისინი ერთდროულად მივრდებიან)

სად არის ჩვენი ბეთქილი?
ხომ არ სჭირს რამე ავია?!

ადსილ: დაწყნარდით, ახლავე გეტყვით
მახვშო, დაგვიგდე ყურია!

გაბი: მისდებდა, ისარს აყრიდა,
მაგრამ ვერაფერს აწყობდა,
ჯიხვი მიხტოდა, მიჰქროდა
მულხურას ტალღებს აპობდა!

დედა ზეხალი: არ მომწომა მე ეს ამბავი,
ეჭვები მტანჯავს ავია,
დალ არ ერიოს ამაში,
რათა იყაროს ჯავრია!

მახვში: მანგურ, დაძარი ყველანი,
წანერს უყელეთ მაღლითა;
კლდეს არ აგასწოთ ბეთქილმა,
ხმა მიაწვდინეთ გაღმითა.

თამარი: (კედლიდან ამოხსნის ბეთქილის სატევარს და უბეში ჩაიდებს)

იქნებ მოგისწრო, ბეთქილო,
არ გავახარო დალია!

ყველანი გაემართებიან წანერის ხეობისაკენ.

სურათი მეექვსე

წანერის ხეობა. მდინარე მელხურას მარცხენა ნაპირი. დალის საუფლო კლდე. კლდის შუა ნაწილში, კლდის ქიმზე ცალხელზე დაკიდებულა ბეთქილი. ფეხებ ქვეშ კი ერთი ფეხის მოსაკიდებელი დარჩენია. წინ ვეებერთელა გადმოწეული კლდის ქიმი გადალობვია და აღარც უკან დასაბრუნებელი გზა მოჩანს, რადგან მის ქვემოთ კლდე რძისფერნისლშია გახვეული. საშველი არ ჩანს. მდინარე ადიდებულა. მაშველი წყალში ვერ გავა, ამიტომ თამარი და მისი თანასოფლელები კლდის გასწვრივ, მხოლოდ მდინარის მეორე ნაპირზე დგანან და იქიდან შეძახილებით ამხნევენ ბეთქილს.

მანგური: აფრინდი, როგორც არწივი,
როგორც ისარი მალაია,

გირვაშ: ველარ ხვდებოდი, ბეთქილო!
ჯიხვი კი არა, დალია!

ამ დროს კლდის თავი განათდება და გამოჩნდება დალი, რომელიც განრისხებულია და ცეცხლს აფრქვევს.

გივერგილ: აგერ გადმოდგა თეთრ კლდითა,
გაშლილი ოქროს თმებითა;

ბათო: ბეთქილს ჩაჰყურებს კვდომითა,
გულს ცეცხლი შემონთებია.

ქეშა: შემოიწყვიტა საკინძი,
ო, რარიგ მშვენიერია

გახა: გამონათა გულ-მკერდმა,
თეთნულდის სხივთა ფერია

დალი: იქნებ, მოინანიო (მიმართვს ბეთქილს)
რად გიღალატე ვაჰმეო?!
კვლავ გადმოგიშლი ნაწნავენს
მოეჭიდები მალეო!

ბეთქილი: თავისუფლებას არ დავთმობ,
არა ვარ მონა კრულია;
წავალ, წამყვება თამარის
ტრფობით აღსავსე გულია!

თამარი: ეხ, თუ დაჰკარგო, ბეთქილო,
დამიწდეს ჩემი გულია!

დალი: უფსკრული ანდა ნაწნავნი
არ გაიწირო თავია!

გივერგილ: უფსკრულს, გერჩიოს ლოდინი,
შემობრუნდები ნელაო,
არ ჩაწვე ყინულ-ლოგინში
სიცივეა და ბნელაო!

ბეთქილი: (უკანასკნელ ძალას იკრებს)
გთხოვთ, გააჩაღოთ ფერხული,
მომეცეს იქნებ ძალაო,
გავიჭრა როგორც შურდული
ანდა ავფრინდე მაღლაო!

თანასოფლელები კვლავ შემახილებთ ამხნევებენ მას, ხოტბას ასხამენ, მერე კი ფერხულშიც დგებიან, რომლის შუაგულშიც თვალცრემლიანი თამარი, კვლავ საქორწილო ტანსაცმელში გამოწყობილი, თეთრი გედივით დაფარფატებს, მაგრამ ბეთქილს ფეხის მოსაკიდებელი ჩამოეშლება და ახლა ცალი ხელითაა ჰკიდია.

ქემზა: შვეულ კლდეებზე ბეთქილი
ნეკა თითითლა ჯკიდია,
ვაჰმე, ეშლება კლდის ქიმი,
უსკრუკლში გადაეკიდა!

თამარი: (ბეთქილს რომ დაინახავს განწირულს, სასოწარკვეთილი იკივლებს)
მეხი დამეცა, დამწვაო,
ზვავმა წამილო თანაო;
გამიპე გული, დანაო,
ბეთქილ, მოგყვები თანაო!

თამარი გულში სატევარს ჩაიცემს, ბარბაცით მივა ადიდებულ მდინარეს-თან და გადავარდება. კლდე თანდათან ნისლში იძირება და თვალცრემლიანი დალი გაქრება.

ბექმურზ: შეხედეთ, დალიც ცრემლები,
მულხურას ჩაედინება;
კვლავ ჩაიძირა ნისლშია,
ჯიხვიც რქით დაეკიდება!

ხალხი შეძრულია მომხდარი ტრაგედიით. გაისმის სვანური „ზარი- _ დიდი და საყოველთაო გლოვის აღსანიშნავად.

III მოქმედება (XX ს.)

სურათი პირველი

ქვემო სვანეთი. ზესხოს ულამაზესი ხეობა. ალპური ბანკი „ზესხო“. ცამდე აწვდილი მწვერვალების: „შაცი უცნობის“, „თეთრი უცნობის“, „გალაკტიონ ტა-ბიძის“, „აილამას“ და სხვა მწვერველების ძირში უზარმაზარი მდელოა. თითქოს ფერად-ფერადი ყვავილების ხალიოჩა გაუშლიათ. ეს არის „სიყვარულის მინდორი“. ირგვლივკი წრიულად ჩამწკრივებულან მთამსვლელებისათვის

განკუთნილი ლამაზი კოტეჯები. მოჩანს ალპინისტური საჭურველი: წრიაპები, თოკები, ყინულ-საჭრელები, ზურგჩანთები, სპორტული ტანსაცმელი...

ადრიანი დილაა. მზე ის იყო ამოიწვერა და გაანათა მწვერვალთა ყინულიანი თავები, რომლებიც თვალისმომჭრელად ლაპლაპებენ. შუაგულ მინდორში მკვდიდრად დგას ხნოვანებით და დარბაისლობით გამორჩეული საშუალოზე მაღალი ვაჟკაცი სვანური ქუდით. მას სპორტული ტანსაცმელი აცვია. იგი ამ ეგზოტიკური კარ-მიდამოს „მახვშია“, ჯოკია – ძველი მონადირე და მთამსვლელი.

ჩანს, რომ ჯოკია საოცარ მიზიდულობას განიცდის მწვერვლებისადმი, სიყვარულით შეჰყურებს მათ და ტკბება ზღაპრული სილამაზით.

მახვში ჯოკია: მუდამ შენთან ვარ, ხეობა ზესხოვ!

რჩეულ მთამსვლელთა ნავთსაყუდარო,

ო, მწვერვლები, თვალშიედგამო,

ისევ გეწვევით ყინულიანო!

სვანეთო ქვემო, სვანეთო ზემო,

ოცნებავ ჩემო, იმედო ჩემო,

ლენტეხის თემო, მულახის თემო,

ერთადმეკრულო სადროშო ლემო!

ცად ატყორცნილო კომუნო-ზვიადნო,

კლდეს მორკინალო კაცნო და ჯიხვნო.

კახიანებო, ხერგიანებო,

კლდის ვეფხვებო და ყინულის ჯიქნო!

ალპინისტები ტანდათან მიუახლოვდებიან მას, თავის დაკვრით პატივს მიაგებენ, გარშემო შემოეხვევიან ჯოკიას და გულწრფელად უქებენ სტუმართმოყვარეობას.

I მთამსვლელი: სტუმართმოყვარე ჩვენ ჯოკია

ერთი კი არა, ასი კაცია

კაცი კი არა, „სეზხოს ზევსია“

II მთამსვლელი: ამ მთებზე ოქროს ტახტი დაუდგამს

III მთამსვლელი: რამდენი ღამე უთენებია,

ეს რა წალკოტი უშენებია!

IV მთამსვლელი: მისთვის სიტყვა და საქმე ერთია,

კაცი კი არა, ზესხოს ზევსია!

სურათი მეორე

ზესხოს მინდორი... მახვში ჯოკია მადლობას უხდის მათ და სათითაოდ იხმობს რჩეულ მთამსვლელებს: „მამაცო მთის ძმებო! მითიურ ბეთქილის, გივერგილის, მანგურის, გორვაშისა და სხვა უშიშარი მონადირეების ღირსეულო მემკვიდრეებო: ერმინე!

მთამსვლელებს გამოეყოფა მაღალი, ალვის ხესავით აყრილი მთამსვლელი. მისი გამოჩენა ყველას აღტაცებას იწვევს.

I მთამსვლელი: შენც ვეფხვო შეუპოვარო
„ლემის“ გაშლილო ფაფარო.

II მთამსვლელი: ხერგიანს გვერდით უდგახარ,
სვანური კოშკის სადარო!

III მთამსვლელი: გამირული სული ჩაუდგი,
შენსა უმცროსსა ძმასაო.

IV მთამსვლელი: კახიანების ბოკვერნო,
„ბეთქილის“ ჯილაგისაო!

მახვში ჯოკია: – ჯუმ! სად არს კახიანების მეორე ბოკვერი, უშიშარი „ყინულის ჯიქი“?

– აქ ვარ! გაისმის ძლიერი ხმა და ერმინეს გვერდით დაუდგება კარგად ჩასხმული, მკვრივი აგებულების, საშუალო ტანის ვაჟკაცი.

მთამსვლელები გულწრფელ ქება-დიდებას ასხამენ მასაც:

I მთამსვლელი: ზვავი ხარ აღმა მავალი,
„კალდაშის ლოდის- ნატეხი,

II მთამსვლელი: „კლდის ვეფხვთა- თანაზიარი
მთა-ყინულეთის არწივი!

III მთამსვლელი: ყველა პიკს ერთად უმტვრიე
ჯავშანი ყინულოვანი

IV მთამსვლელი: რკინის მკლავ-მუხლი აჩვენე,
ყოფილხარ ლომგულოვანი!

მახვში ჯოკია: აღმაცვირ, უშბის შვილო!

ჭარმაგი ვაჟკაცი: აქ ვარ მახვშო, მთელი სიცოცხლე უშბაზე ასვლაზე ვოცნებობდი, ახალ კი 72 წლის კაცი შვილთან და შვილიშვილთან ერთად დავიპყრობ ამაყ უშბას.

მთამსვლელები: უშბის შვილნი ხართ რჩეულნი,
გვარ-ტომით გამორჩეულნი,
ნეტავ თქვენს დედეებს, არწივნო,
უშბიდან გადმოფრენილნო!

მახვში ჯოკია: (იგი კვლავ იხმობს რჩეულ მთამსვლელებს: – მთის რაინდებო: მთა-ყინულეთის არწივნო: გოჯი! ლევან! ზურაბ! ავთანდილ, ოთარ! რეზო! შოთა! ლაერთ! ომარ! მიტო! მიხო! გივი! სოზარ! გრიშა! შალიკო!“ პირიბე! ზაქრო! ჩხვიმლიან! (მთამსვლელები სათითაოდ გამოდიან და ფერხულში დგებიან, არ ჩანს მხოლოდ მიხეილ ხერგიანი).

ჯოკია: დღეს უშბის სარკეზე მივდივართ,

წინ გაგვიძღვება უშიშარი მიხეილ ხერგიანი!

მთამსვლელები: – ჩხვიმლიან, მიშა ხერგიანო!

„კლდის ვეფხვო“!

მიხეილ ხერგიანი: – აქა ვარ, ძმებო, თქვენს გვერდით! (ავანცენზე შემოიჭრება მოხდენილი, ვეფხვივით მოქნილი ვაჟკაცი, სრული ალპინისტური

აღურვილობით. მისი გამოჩენა საყოველთაო აღფრთოვანებასა და სიხარულს იწვევს).

სურათი მესამე

მთამსვლელებს ფეხრული ჩაუბამთ, შუაში მოუქცევიათ „კლდის ვეფხვი“
_ მიხეილ ხერგიანი და ალატაცებულნი ხოტბას ასხამენ მას.

I მთამსვლელი: _ დევებს შეება ხერგიანია,
ჩვენი მამაცი ფალავანია!

II მთამსვლელი: _ უშიშარი და მხარმაღალია,
ხან ჩანჩქერი და ხანაც ქარია!

III მთამსვლელი: _ უშბის ბალიშზე იზამთრე,
შოტლანდიაში გაფრინდი,
და იქდაგარქვეს პირველად
ბრიტანელებმა „კლდისვეფხვი-“

მახვში ჯოკია: შენ ასახელე სამშობლო,
შენ განადიდე სვანეთი!

მიხეილ ხერგიანი: სვანეთის ცაო ლაჟვარდიანო,
მთებო მაღალნო, ყინულიანნო,
ჩემო მთის ძმებო, შეუპოვარნო,
კაცურ კაცობის გვირგვინიანნო!

IV მთამსვლელი: არ გღალატობენ მშობელი მთები,
ბევრჯერ გაგიხსნეს გულის კარები!

მახვში ჯოკია: გვირგვინად გადგას ცა და მთიები,
მართლაც ვეფხვი ხარ შეუდარები!

მიხეილ ხერგიანი: კვლავ შემობრუნდა სიცოცხლე აღმა,
როგორ მწყურია ვიფრინო მაღლა.

V მთამსვლელი და გუნდი: იცოცხლებ, როგორც ლეგენდა,
ხარ უკვდავება ნამდვილი!

მიხეილ ხერგიანი: შიში რა არის, რა არის დაღლა,
მუდმივი ტრფობის დამეჭდო დამლა!

VI მთამსვლელი: ნაპრალის ქიზე ათევე ღამეებს,
რამდენჯერ შეჰკარ კლდეზე კამარა,
რომ შემოსძახებ ვაჟკაცურ ლილეს,
ბანს გუგუნებენ შხელდა და შხარა!

მიხეილ ხერგიანი: სულში გაისმის ამ მთების ექო!

მთამსვლელთა გუნდი: ხერგიანო მიხეილ!

წინამძღოლო ჩვენო!

გთხოვთ!

ერთხელ კიდევ შემოსძახე ლილეო!

მიხეილ ხერგიანი: გმადლობთ, ძმებო, მთა-ყინულეთის უშიშარო რაინდებო, მაშ ერთად ვიმღეროთ. იგი წამოიწყებს „ლილეოს“, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მოულოდნელად შეჩერდება, თითქოს რაღაც ბედისწერას აუტიანიაო, და-ქინებით იყურება ერთ-ერთი მწვერვალისკენ, რომელიც მას რაღაც ჯადოსნური ძალით მიიზიდავს.

მიხეილ ხერგიანი: ახლა არ დამცე, არ დამწვა, მეხო!

უნდა გამიჭრა საწუთროს ხერხო!

(და თითქოს რაღაცამ უბიძგაო, მოულოდნელად იგი ვეფხვივით ისკუპებს წრიდან, გაიჭრება და სწრაფად მიაშურებს მწვერვალს. მთამსვლელებიც მას დაედევნებიან).

სურათი მეოთხე

შემფოთებული მთამსვლელები: შეჩერდი ხერგიანო, შეჩერდი კლდის ვეფხვო! მაგრამ ხერგიანი შეუსვენებლად სულ უფრო დაუფრო მაღლა მიიწევს მწვერვალზე.

მახვში ჯოკია გუგავა: არა, არ ენდო მაგ მწვერვალს ძმაო!

ეგ სუალტოა საშიში და კლე წვეტიანი.

პირიბე გვარლიანი: ვაგლახ სუალტო დაჰფარა ჯანღმა,

თითქოს აფეთქდა უამრავ დენტში

შალიკო მარგიანი: სივრცე აავსო ლოდმა და ღორღმა,

ნუთუ სიკვდილი გამეფდა მთებში?!

მწვერვალი შავ საბურველშია გახვეული, ჩანს მხოლოდ კლდის წვეტიან ქიმზე ხერგიანის გადაჭრილი თოკი.

ჯოკია გუგავა: კლდეზე ეკიდე შენივე თოკით,

როგორც გივერგილ, როგორც ბეთქილი;

გებრძოდა ქარი ღრიალით, ზათქით,

მოთქვამდა დალი დალაღაშლილი!

ალმაცგირ კვიციანი: ყველგან გეძებენ, ქალღმერთა სატრფოვ!

ურვა და ზარი მეცხრე ცას წვდება!

ჯუმბერ კახიანი: შავი ღრუბელი დაადგა უშბას,

დამწუხრებულა შენი სვანეთი!

ბესარიონ ხერგიანი: რად შემიცვალე ლხენა მწუხართ,

თავს წამაკარი, შვილო, სუდარა!

მიხო ხერგიანი: აღარ გვყავს ვეფხვი ხერგიანებო,

ყველას გვიყვარდა შეუდარები!

ერმინე (იოსებ) კახიანი: (ხერგიანის მეწყვილე დიდ ასვლებში):

ეხ, ხერგიანო, სადა ხარ, ვეფხვო?

ვაგლახ, მეორედ მეხიდამეცა!

გაისმის გულისა და სულის შემძვრელი სვანური ზარი. ხალხის გლოვობს თავის სასახელო შვილს მიხეილ ხერგიანს – კლდის ვეფხვს.

სურათი მეხუთე

სურათი მოულოდნელად იცვლება. ჯანდი სწრაფად გაიფანტება და მზის სხივები მწვერვალს გაანათებენ. მწვერვალის თავზე, ზემოთ, სასწაულებრივად გამოჩნდება თეთრ ცხენზე ამხედრებული მხედარი. ეს მიხეილ ხერგიანია, რომელიც ლაჟვარდ ცაზე უფრო და უდრო, მაღლა და მაღლა მიიწევს. მოულოდნელობისაგან ყველა და ყველაფერი დუმდება და საყოველთაო სიჩუმე გამეფდება (გენერალური პაუზა).

... და ამ სამარისებურ სიჩუმეში თითქოს ზეციდან გაისმის მიხეილ ხერგიანის უძლიერესი ხმა, იგი მოუხმობს უშნაზე, თეთნულდზე, შხარაზე და სხვა ყინულოვან მწვერვალებზე დაღუპულ ალპინისტებს: ალიოშა, სიმონ, პიმენ, ქელებში, კუხო, ჯუმბერ, ილიკო, სერგო, ირაკლი, მურად, დათო, გია, გიორგი, დავით, გურამ... დამელოდეთ ძმებო! მოვფრინავ თქვენკენ! (ზემოთ ნისლში დროდადრო მოჩანან სხვადასხვა წელს ტრაგიკულად დაღუპულ მთამსვლელთა სახეები).

ქვემოთ მყოფნი კი, ყველანი ზემოთ იცქირებიან და მათ თვალს ვერ აშორებენ. უცებ ისინი ამოძრავდებიან და ყველანი ერთად სოლისტები, გუნდი, ორკესტრი იქუხებს (ტუტი):

ო, ეს რა ხდება, სასწაულია?!
გაქრა სიკვდილი! გაბრწყინდა ზეცა,
უკვდავო ძმებო, თქვენთან ვარ მეცა.
სვანეთის ცაო ლაჟვარდიანო
დღეს უკვდავების ამბავს გვიამბობ,
ამაყი უშბა დაგცქერით მაღლით
თქვენ უკვდავების გვირგვინიანო”.

გუგუნებენ ზარები, მზის სხივებზე ლაპლაპებენ მწვერვალთა ყინულიანი თავები, კაშკაშებს მზე. ქუხს ლილეო – მზისა და მარდიული სიცოცხლის საგალობელი.

ფ ა რ დ ა

ბ ა ც

ღ *mariam xubul uri*

ტანჯული დედა ... მარიამი...

მომბეზრდა საწოლში წოლა
და არ მეღირსა გავლაო,
ჩემმა ტანჯულმა ცხოვრებამ
ესეც კი არ მაკმარაო.

შვილებზე ზრუნვით ამქვეყნად
გავლიე წუთისოფელი,
ზოგი სიკვდილმა წამართვა,
ზოგის გზას მუდამ მოველი...

დაგლოცოთ სალოცავებმა
მთისა და ბარისამაო,
მცხეთაში სვეტიცხოველმა,
თბილისში სამებაო,

კახეთში ნინოწმინდამა,
მლეთაში ლომისამაო,
რუსთავში წმინდა გიორგიმ,
ზეცაში მარიამმაო...

ღვ

el ene demetraze

ცუდი დრო იყო...

საშინელი სიცივე და იმ ზამთრის სველი სუსხი ნთქავდა საათებს, უშინავსო და ერთფეროვან დღეებს. თბილისელებს უკვე ეჩვენებოდათ, რომ ჩრდილოეთ პოლუსი სამხრეთში გადმოზარგებულიყო, თუმცა იქ, სადაც საქართველო უკვე რუსეთად იყო გადაქცეული, მოსახლეობის დიდ ნაწილს აღარაფერი უკვირდა, არც კლიმატის ცვლილება და არც გახშირებული „იმპერატორსკი უკაზები“, ამინდებზე უფრო ხშირად რომ იცვლებოდა. მდიდარი ადამიანები და არისტოკრატია სულ იმაში იყვნენ გამეცადინებული, როგორ დაემყარებინათ ახლო ურთიერთობა რუსულ მთავრობასთან, მეფისნაცვალის, მისი მოადგილისა და ქალაქის მმართველ-სარაჯოვის გულის მოღობვას ცდილობდნენ. დაუსრულებლად ეპატიჟებოდნენ თავისთან, ან კიდევ უძვირფასეს საჩუქრებს ჩუქნიდნენ მათთან ბალზე მიწვეულები. მდიდარი სომეხი მოქალაქეები, მართალია, არ გამოირჩეოდნენ კეთილშობილური სისხლით, მაგრამ იყო რაღაც, რაც მათ საერთო დასაყრდენ წერტილს უქმნიდა რუსულ მმართველობასთან, დიდი ალბათობით ეს „რაღაც“ მეფისნაცვლის მესვეურთა სიხარბე, ამასთანავე ქართველთა მიმართ ფარულად მტრული და არასანდო დამოკიდებულება იყო... ხოლო არაქართველების მხრიდან კი – ქართველ თავადაზნაურობასთან პაექრობა, თავის გატოლების სურვილი. კიდევ ის, რომ ფული ბევრს საკითხს წყვეტდა. ღარიბები კი სულ იმის ცდაში იყვნენ, როგორ დამდგარიყვნენ მდიდარი ქალაქელების, ან თავადების მოჯამაგირედ, ანდა (თუ ცოტათი გაუმართლებდათ) ოდნავ უკეთეს მდგომარეობაში თუ აღმოჩნდებოდნენ, ზოგიერთი მარჯვე ყოფილი გლეხი, უკვე საკუთარი ხელობით, მეჩექმეობით ან ჩანთების კერვითა და გასაღების მზადებით ირჩენდა თავს. ისინი მჭედლების მოედანზე სახაზინო სახლში ჩქარობდნენ ხელშეკრულების გაფორმებას, როგორც პატარა დახლის ან სახელოსნოს მფლობელები, რათა ყისმათიანად გაეტანათ თავი, ადათის მიხედვით ეჭამათ დაუყვედრებელი ლუკმა.

* * *

სოლოლაკში, გუდოვიჩის ქუჩაზე ერთსართულიან, რუსულ სტილზე ნაგები სახლის პარმალზე იდგა ლევანი და ძველ ჩექმებს ჩაკირკიტებდა, ვერ გადაეწყვიტა-გადაეყარა თუ შესაკეთებლად წაეღო. მეგობრის ბედიც აწუხებდა, რადგან მთელი საღამოები სამსახურის შემდეგ ნიკო სულ საწოლზე მიგდებული იყო. გუდოვიჩის ქუჩიდან დადიოდა „სუდა ი რასპრავაში“, სულ ფეხით

ჩამოდიოდა იქიდან მესანგრეთა ქუჩამდე და ისე იყო მაშინ სიბრაზისგან კუმტად შეკრული, რომ ჩვეულ დაღლილობასაც ვეღარ გრძნობდა. მარტოხელა მოხელის ლევანის ორიოდე ოთახი ნიკოს იმით ხიბლავდა, რომ არავინ აწუხებდათ, ერთი თანდილა ჰყავდათ – კოჯრელი მოსამსახურე ბიჭი. ის მეფარნის მოვალეობასაც ასრულებდა, საყოფაცხოვრებო საქმეებზე და კურიერადაც ეგზავნებოდა ხოლმე ლევანს. როცა მოსაღამოვდა, თანდილამ წუწუნს უმატა – მაციებსო. მართლაც, საშინლად აჟრიალებდა ტანში და ლევანმა დაინდო ბიჭი, აღარ გაანათებინა ფარნები ეზოში, მიუხედავად იმისა, რომ კედლის საათი უკვე საღამოს რვას უჩვენებდა. მას კიდევ უხაროდა მშობილთან ერთად ცხოვრება, სიმარტოვეს ხომ ეს ერჩივნა... მაგრამ მერე ძალიან რომ შეაგვიანდა ნიკოს, ლევანი შეფიქრებდა, რატომ არ მივაკითხეო მშობილს კანცელარიაში და სოლოლაკის აღმართს დაუყვა. იფიქრა, გზად ეგებ ერთმანეთს შევხვდეთო. ის რა იცოდა, რომ მისი ბავშვობის მეგობარი ამ დროს მეორე მხრიდან ჟუკოვის ქუჩით მოუყვებოდა აღმართს. ჟუკოვისა და გუდოვიჩის გადაკვეთაზე მდებარე პატარა სახლს ძველი ღობე ერტყა მხოლოდ, რომელსაც ღობეს პირობითად თუ დარქმევდა კაცი, იმდენად იყო ღობის ფიცრები ერთმანეთთან დაშორებული. უშუქობაც გაუკვირდა ნიკოს, თუმცა ყველაფერი გუნებაში თანდილას დაუდევრობას დააბრალა. ლევანს დაუძახა ხმამაღლა, მაგრამ ვერაფერი გააგონა, ჩანს, სიცხით გათანგულ თანდილასაც ჩასძინებოდა. გაბეზრდა ნიკო, ღობეს მიეყრდნო, ინანა, გასაღები რომ არ ჰქონდა თან. უეცრად ქალაქის შარიშური მოესმა და შეეყოვნდა. ღობის მეორე მხარეს, ფიცრებიდან მაღალი ოდნავ გასარჩევი სილუეტი დალანდა. ალღოთი მიხვდა, რომ ვიღაც ასდევნებოდა. მას მალულად ეისმონტი ზვერავდა, მაგრამ ნიკომ ჯერ არ იცოდა ეს. ძალიან კი გაუკვირდა, დაიძაბა, ვინ არისო მანდ, შესძახა და პასუხი კვლავ რომ ვერ მიიღო, ჯიქური ნაბიჯით გაემართა უცნობის მხარეს. ჯერ ღობის კუთხისთვის უნდა შემოეფლო. ეისმონტი არ ელოდა ამას, მაგრამ მრავალჯერ ნაცადი ფანდი გაითამაშა: მიწაზე მძიმე ავადმყოფივით გაგორდა და გაირინდა.

– აბა, ვინ ხარ, აქეთ გამოდი! – დაუყვირა ნიკომ, მაგრამ მოულოდნელად მასაც ტალახში აუსრიალდა ფეხი და პირქვე დავარდა, თან თავიდან მაუდის ქუდიც ჩამოუვარდა. ამასობაში კი ეისმონტმა დრო მოიგო და მარდად მოისაზრა, მისთვის რა იყო უმჯობესი; ბედად მშრალ ქუჩაზე დავარდნილი, ზამბარასავით წამოხტა და იქაურობას შურდულივით გაეცალა. ნიკო წამოდგა. რაც სიბნელეში მოახერხა ის იყო, რომ წვალეებით, ხელისცეცებით გახსნა ჭიშკარი და გადაწყვიტა ეზოში დალოდებოდა ლევანს. ვერ გაერკვია, ვინ უნდა ყოფილიყო უცნობი, რისთვის აედევნა? გუნებაში ამ აზრს მაინც უშვებდა, რადგან მას გიმნაზიიდანვე სდევნიდა და ავიწროვებდა ყოველთვის ვიღაც, მაგრამ ახლა? ახლა ვის აინტერესებდა იგი? მთლად ნინოზე ფიქრისგან დაღლილს ვერც კი წარმოედგინა, რომ ახლა თავადი კოტე გადაეკიდებოდა და მოყურადეს მიუჩენდა.

სად იყო და სად არა, ხის კარი გაიღო და ლევანმაც შემოდგა ფეხი ეზოში, რად დაიგვიანეო, მშობილს უსაყვედურა. ნიკომ შეხედა და მის მზერაზე ჩაეცინა, ისე აბრიალებდა მელიქიშვილი თვალებს. არადა, ლევანს ჩვევად ჰქონდა თვალების ბრიალი, როცა ვინმეს გამოტეხა ეწადა. მისი დიდრონი ნაწყენი თვა-

ლები დაჟინებით მისჩერებოდნენ ნიკოს და პასუხს ელოდნენ, მაგრამ ნიკომ კითხვაზე კი არ უპასუხა, არამედ კითხვაზე კითხვით მიუგო:

– აღმართზე ვიდრე ამოდიოდი, მაღალი კაცი არ გინახავს დაბლა ჩამომავალი?

– ლევანმა ამოიოხრა, ხელი ჩაიქნია და ტატოს სახლში შეუძღვა. ნიკოს მაინც არ შორდებოდა თვალთაგან სიბნელეში თავსგადახდენილი სცენა, ეჭვი აედევნა. მობილუბმა თვითონვე აანთეს ფარნები და მეორე ოთახში ბნელ კუთხეში მიგდებულ თანდილასაც უპატრონეს. ლევანმა თავისი ხელითაც დააღვეინა თანდილას პიტნის ჩაი და დოქტორ პრიბილისგან შეძენილი ციების წამლიც მისცა, მაგრამ თანდილამ თითქმის ვერც გაიგო, რა ხდებოდა, ისე იყო სიცხისგან გათანგული. მან მაშინდა მოიკრიბა აზრი, როცა ნიკომ და ლევანმა თავთან ლამპა დაუდგეს და, წინდები ამოაცვეს, თბილი საბანი ამოუგეს და ტკბილი ძილი უსურვეს.



აგენტი ეისმონტი და მელიქიშვილი

ავტორი: ელენე დემეტრაძე

დასხდნენ ძმობილები, ჩაი დალიეს თვითონაც. _ ლევან, ვედარ ვბრუნდები სახლში, კიდეც ცოტას ხანს გამიძელი, _ უთხრა ნიკომ. პასუხს არ დაელოდა (ან რად უნდოდა. იცოდა- ლევანის სამყოფელი მისიც იყო მუდამ), სიგარა ამოიღო და მეგობარსაც შესთავაზა. ლევანს უკვე გაეგო ორბელიანის ქალის რუს გენერალზე დანიშვნის ამბავი და ძმობილს თანაუგრძნობდა, ნინოსთვის კი ვერ ეპატიებინა ეს საქციელი. ტატო დიდხანს უხსნიდა _ იმას ორ ცეცხლში ყოფნა უწევსო, ნინო ან მამის აგრესიას ვერ გაუძლებს, ან ჩემს სიღარიბესო. მერე თავად ლევანსაც მწარედ ჩაეცინა, მასაც ხომ სიღარიბის გამო ვერ მოჰყავდა დანიშნული მაიკო, (თუმცა შეყვარებული ქალი დღეებს ითვლიდა ჯვრისწერამდე), შეიძლება ითქვას, სამსახურში არ უმართლებდა.



ლევანი და ნიკოლოზი

ავტორი: ელენე დემეტრაძე

- ტატოკო, _ უთხრა ისევ მან ნიკოს, _ მოდი ჩუმად დავიწეროთ ჯვარი, შენ შენ ნინოზე, მე მაიკოზე, მერე ჩვენი მეუღლეებიანად გადავიკარგოთ ელიზავეტოპოლისა და ნახჭევანის მაზრებში. რას იტყვი, ჰა? იქ ჰავა ცუდია, თორემ საჩვენო სამსახურს აქაური გუბერნატორი სულ მთავაზობს. იქ ცოტა ხნით მაინც ხელს მოვიმართავთ, ვიმუშავებთ და დავლაგდებით, ფულს შევავროვებთ... ცხოვრებას მიეცემა აზრი!

- ჰო, მიეცემა... მიეცემოდა, უფრო სწორად. _ ამოიოხრა ნიკომ. ლევანი მიუხვდა ძმობილს. ის დარაჯი იყო მოსამსახურე დაროსთან ერთად, როცა თავდავიწყებულ ნიკოს თავადის ქალი არხიერის მოედანზე დაროს თანხლებით ამოჰყავდა. ყაფლან ორბელიანის ძმის-ყორხმაზის მიტოვებული სახლის ბანზე აჰყავდა მოტიკტიკე ნინო, სადაც შეყვარებულები გვიანობამდე კოცნიდ-

ნენ ერთმანეთს და დაუსრულებლად აწყობდნენ მომავლის გეგმებს. ნინოს პლასტიური თიხასავით მოქნილი და საკმაოდ ძლიერი თითები ჰქონდა, ფორტეპიანოზე კარგად გავარჯიშებული. ახალგაზრდა კაცს დიდხანს მიჰყვებოდა კისერზე შეყვარებული ქალის თითების სითბო. ერთხანს ლევანი მძობილს სიფრთხილისკენაც მოუწოდებდა, იმიტომ, რომ მათს ამგვარ ურთიერთობებში დიდ საფრთხეს ხედავდა. ლევანსაც, ისევე როგორც ტატოს, უკვე შეეგრძნო თავისი შეყვარებულის სითბო, სხეულებრივი და რეალური. მათი ქალების სითბო იყო ნაჩვევი სურნელება, რომელიც ახალგაზრდა კაცებს კიდევ და კიდევ, უფრო ღრმად იზიდავდა. მათ უკვე აღარ ძალუძდათ უარი ეთქვათ თავიანთ სატრფოვებზე. ეს ძნელიც იყო და თავისებურად სამარცხვინოც, რადგან ჭორები მოჰყვებოდა. ჭორები, პირველ რიგში, ქალების რეპუტაციაზე აისახებოდა, სულ ბოლოს კი ნიკოს და ლევანს შეეხებოდათ, მაგრამ ისინი მაინც ზედაპირულად, მსუბუქად თუ გაიკილებოდნენ. სულ სხვა რამ იქნებოდა ქალების კომპრომატი – მთის ჩამონგრევის მსგავსი. აჰ, ჩახუტებული წყვილები ასე საჯაროდ რომ ენახა თავად კოტეს, ან თუნდაც მაზრის უფროსს, სმისგან თეთრ საჰაერო ბურთს დამსგავსებულ მელიტონს, ჭკუიდან შეიშლებოდნენ და ნინიკოს დაერქმეოდა სახელი იაფფასიანი გრიზეტკასი, ისეთის, რომელის ნებისმიერი ახალგაზრდა კაცის ცხოვრებაში უამრავი და შემთხვევითი იყო. ისე, ნიკომ კიდევ მოასწრო და გამოიცვალა რამდენიმე გრიზეტკა, ნინო კი საცოლედ ითვლებოდა აქამდე, სანამ საქმე აირეოდა. ასე იცოდა ლევანმა. შარშანწინ კი მოხერხებულად იყო ყველაფერი და ლევანმა ის დღეები გაახსენა, თუ როგორ გაიცნეს ერთმანეთი ნიკომ და ნინომ.

თებერვლიდან სოლოლაკელი, გარეთუბნელი და და ორბელიანთა კუნძულის არისტოკრატი მოსახლეები ყაზახზე იკრიბებოდნენ. ჰოდა, სწორედ იქ ნახეს მათ ერთმანეთი ორი წლის წინ. იქიდან კი ნინოს სახლი სულ ახლოს იყო, მანანა ორბელიანის ბინიდან ხომ მთლად ხელისგულივით მოჩანდა. კოტეს სახლს ულამაზესი ბაღი ერტყა, ნეკერჩხლის, მუხისა და ცაცხვის ხეებით გალამაზებული, მაგრამ ბაღი ოდნავ მეჩხერი და მიმკვდარებული იყო გრანდ ოტელის მხრიდან. აქეთ მხარეს შენობას ყრუ-მუნჯი, მაგრამ ძლიერმუშტებიანი კაცი იცავდა. მაშინ ნიკო ჯერ კიდევ კეთილშობილთა სასწავლებლის სტუდენტი, სადამოხანს მანანასთან ამოვილიდა, სახლის უკანა მხარეს გადიოდა აივანზე და იქიდან ფანჯრის რაფაზე ჩამომჯდარ ნინოს ხელით მუნჯურად ნიშნებს აძლევდა. პირველ სართულზე გაჭრილი თავადის ქალის საძინებლის ფანჯრები დაბლიდან უყურებდა მანანას სახლსაც და გრანდ ოტელსაც. მინიმუმ ნებები კი შემდეგნაირი იყო: გადაჯვარედინებული ხელები შეხვედრის შეუძლებლობას ნიშნავდა, თითებით გულის გამოსახვა – ბაღში ჩამოსვლის ნიშნად აღიქმებოდა, წიგნების ჩვენება – გამოცდების... ჰოდა კიდევ, რა თქმა უნდა, მოწოდების სიმაღლეზე მდგარი დარე (ნინოს მოახლე), ყველა ამურულ ამბებში მონაწილეობის მიმღები.

ნიკო უკვე ფეხზე ამდგარიყო... იგი ფანჯარას მიუახლოვდა, სივარის ნამწვი იქიდან მოისროლა და ასე უთხრა ლევანს:

- არა, შენ ის თუ იცი, ჩემი რამდენი ლექსი მივუძღვენი უკვე ამ ქალს?
- რამდენი, ტატი?

- ცხრა, ლევან, ცხრა! მაგრამ მე არ ვიყო შენი ტატო და ყორხმაზა ორბელიანის ყმადა მცნობდე, თუ ახლავ ცხრავე ცეცხლს არ მივცე! – წამოიძახა გაბოროტებით. ნიკო საოცრად ნერვიული ადამიანი იყო, და ლევანმა იცოდა ეს. უცბად ააღდებოდა ხოლმე და მიუხედავად იმისა, რომ მალე იცოდა დაცხრომა, საშიში მაინც იყო, იმიტომ, რომ სასწავლებელშიც არაერთხელ დაუწევავს ნაწერები, ძმობილის სახლში კი მისი შავი ნაწერები და ზოგჯერ გადათეთრებულიც სულ ინახებოდა. გაბრაზებულს შეეძლო ცეცხლში შეეძახა ნაწერები, ეს კი ლევანს აღიზიანებდა. ამიტომ თითქმის ყველაფერი შენახული ჰქონდა და ადგილსაც ხშირად უცვლიდა ხოლმე. ამას თუგინდ ის ფაქტი აიძულებდა, რომ ადრეულ წლებშიც მათ ხშირად სტუმრობდნენ ჟანდარმები, თუმცა ახლა გაცილებით უფრო საშიშ ნიკოს ლევანი ეგრევე მიუხვდა გულსწადილს. იგი წამოდგა და საპირფარეშოში გასვლა მიმოიხეზა.

- ჰა-ჰა, ახლა, – ხმაძალდა, ნერვულად ჩაიცინა ნიკომ, – მანდ გადამალვა გაკლდა კიდეც, მეტი არაფერი... კარს შემოვამტვრევ და მაინც ვიპოვი! – ამ სიტყვებით ის გაექანა მეორე ოთახისკენ, რადგან თანდილას საძინებლის გავლით უნდა დასდევნებოდა ლევანს. – ვიპოვი და ყველას გადავწვავ! – აჩქარებულად სუნთქავდა და იქადნებოდა ის. თანდილას გაელვება ხმაურზე, მკვირცხლად წამოხტა დაფეხვილი ჭრაჭუნა საწოლიდან და ნიკოს შეჩერება სცადა. თანდილა ძლიერი ყმაწვილი იყო, თუმცა ნიკოზე მეტად ძლიერი მაინც არა, ნიკო ბავშვობიდან კრივში ვარჯიშობდა.

- „დამშვიდდი რამენაირად, თავადიშვილო, შენი ჭირიმე, იქ ნუ შეხვალ!“ – შესძახა თავიდან მორიდებით თანდილამ, მერე წინ გაჯგიმული გადაუდგა, თუმცა მხოლოდ იმდენი მოახერხა, რომ გავარდნილს ფეხი დაუდო და წაქცია, ეგ იყო და ეგ. ჰოდა, სანამ იმან არ გაუშვა თავისი კარებიდან, ლევანმა დახვია ხელი და სახურავზე მკვირცხლად აიტანა საპირფარეშოს სარკის უკან გადამალული შავი ნაწერები. იქ კი ძალი პატრონს ვერ იცნობდა, არამცთუ ძმობილის ეპოვა რამე. ლევანმა გაიმარჯვა. ის იგივე გზით დაბრუნდა უკან, რომ ნიკოს არ აელო ეჭვი.

- თუ გამოტყდება, აბა, სად გადამალა? – თავისთვის ჩაიბურტყუნა ნიკოლოზმა,

- ნუ მებრძვი ტატო, იცოდე, შენთვის კეთილი მინდა! ამას ღმერთი ხედავს, იყავ უფლის მადლობელი!

თვითონაც გაჭირვებულ და სიღატაკის ზღვარს მყოფ ლევანს ერჩივნა ეყურებინა ცოცხალი მეგობრისათვის და ეზრუნა მასზე. რამდენჯერ მძიმე კაემნიდან გამოუყვანია! სასახელოდ მიჩნდა მისი მეგობრობა და ამით სამართლიანადაც მოჰქონდა თავი.

- იცოდე, ტატო, უჩემოდ ნურაფერს წამოიწყებ, ყველაფერში შემითანხმდი, ძმაო, ხომ იცი, სულ გვერდიგვერდ უნდა ვიყოთ, როგორც პერსი და ჯორჯ ბაირონი იყვნენ! – უთხრა და გადაეხვია მეგობარს.

- ლევან, მერე შესაძლებელია ასე, პერსი ბოლოს ხომ გაექცა ბაირონს? – ბავშვურად ჰკითხა ნიკომ. უკვე ეტყობოდა, რომ მოლბა და თითქოს ესიამოვნა, ასე ადვილად რომ გადარჩა მისი ლექსები. გუნებაგამოკეთებულს მთელი სახე უცინოდა.

- გაექცა, ტატო, ჰო, საცოდაობა იყო მერე, წყალმა გამოორიყა პერსი... გვიანია და გთხოვ, დავიძინოთ ახლა. თანდილას იმედი მაქვს, გამოკეთდება და გაგვალვიძებს დილას!" არ დაივიწყო, ხომ იცი, რასპრავაში ხვალ ჯამაგირის დღე გვაქვს! _ მიუგო ლევანმა, სინათლეს ჩაუწია და წამოწვა.

- ჰო, ჯამაგირისთვის დიდი ჯიბის დაკერება არ დაგავიწყდეს! _ ირონიულად აჰყვა ნიკო...

იმ ღამეს მოუსვენრად ეძინა, მოგვიანებით კი უცნაური ზმანება ეწვია: თითქოს შუადამისას ჩაბნელებულ ხეივანში მიდიოდა, რომელსაც მთვარე ალაგ-ალაგ ანათებდა... მიდიოდა და ის უკვირდა, რომ ხეივანი ძალზე გრძელი იყო და აღარ თავდებოდა. ფეხს აუჩქარებდა _ ვიღაცის აჩქარებულ ფეხის ხმას იგრძნობდა უკან, ნაბიჯს შეანელებდა და _ ახლა უკანმდგომი ანალოგიურად იქცეოდა. თითქოს არ უნდოდა, შიშს აყოლოდა, მაგრამ მოიხედა და გვერდიდან აყოლილი საკუთარი ლანდი იცნო. გაბრაზდა ნიკო თავისთავზე, მაგრამ უარესის მოლოდინში წელზე შემორტყმული დამბაჩა რომ მოიხსნა, მერეღა მიხვდა, რომ ეს სხვა კაცის ლანდი იყო. დიახ, სინამდვილეში უცხო ვიღაც მოსდევდა! უცხოს შესაშინებლად რამდენჯერმე კიდეცა გაისროლა ჰაერში, მაგრამ ლანდი უცვლელად დასდევდა, უფრო მეტიც ახლა ვიღაცის კმაყოფილი ხარხარი ჩაესმა... ახლა მეორე მხარეს მოიხედა და დაინახა მაღალი რუხ სამოსში ჩაცმული ცილინდრიანი კაცი, რომელმაც ტროსტი მოუღერა! ამდენს კი აღარ ელოდა იგი, უცნობს ეცა, მუშტი უთავაზა და ძირს დააგდო. დაგდებული წინააღმდეგობას უწევდა მას, თუმცა სახეს არ აჩვენებდა, გვერდზე აბრუნებდა. ამ ორომტრიალში არაქათგამოცლილს და შეშფოთებულს გაეღვიძა. საწოლზე წამოჯდა, ფარდა გადასწია. უკვე თითქმის გათენებულიყო.

ოფიცერ ეისმონტის ჩანაფიქრი. დაპირისპირება

რაზიეზდნოი ფილერმა იმ დღეს მაინც არ დატოვა საქმის ნახევარი გაუკეთებელი ...ორბელიანთა კუნძულზე მდებარე სახლის ფანჯრებს გვიანობამდე უთვალთვალა, თავისთვის რაღაც შეადგინა, შეავსო წიგნაკი. მომდევნო დღეს ეისმონტს ჯიბრის კვალი კიდეც აჩნდა ნამძინარე სახეზე, წესით გუდოვიჩის ქუჩის საქმის წარუმატებლობას არ უნდა წაეხდინა იგი, მაგრამ მარცხს ასე ადვილად როდი ეგუებოდა. მზვერავი სამხედროს სიმარდით ააწყო დაგეროტიპის მიძიმე აპარატი. მერე ნაქირავები სახლის აივნებიდან ქვედა სართულზე მაცხოვრებელ დღენიდაგ მომეცადინე სემინარიელს ალექსი ბუჭყიევი გადასმახა _ გთხოვ ჩემთვის ეტლი გამოიძახო, ქალაქში საქმე მაქვსო. ალექსი გრიგოლ ორბელიანის მშაკაცის _ გენერალ ბუჭყიევის შვილისშვილი იყო. ერთი თავმოყვარე და დამოუკიდებელ ცხოვრებას მონატრებული ყმაწვილი, თითქმის ჯერ ისევ ბავშვი ცალკე გადმოსულიყო არხიერის მოედნიდან აქ საცხოვრებლად. იგი თექვსმეტი წლისა იყო მხოლოდ და მოსწონდა ასეთი განსხვავებული ცხოვრება, სჯულის გარდა დამოუკიდებლად სწავლობდა ანატომიას, ატარებდა ქიმიის ცდებს დაამზადებდა ჰერბარიუმებს. მომავალში ევროპაში გამგზავრებაზე და მეცნიერად გახდომაზე მეოცნებე ყმაწვილმა რამდენიმე შინაურული

წამლის შემზადებაც იცოდა. ეს სანაქებო ოჯახში აღზრდილი ახალგაზრდა ხვდებოდა, თუ რა ჩაკეტილ ცხოვრებას ეწეოდა ეისმონტი: მზვერავს სამეზობლოშიც არ უყვარდა სხვებივით ნავარდი და პირადულობაც არაფერს ამხელდა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, ალექსის საშაზე გაწეული დახმარებისთვის მცირე გასამრჯელოს იმედი სულ ჰქონდა. (დამოუკიდებლად მცხოვრებს ზედმეტი გროში არ აწყენსო _ ასე იმართლებდა ხოლმე თავს ბუჭყიევი).



სონიას სახლი

ავტორი: ელენე დემეტრაძე

ისე კი, ალექსის და საშას მხოლოდ ის აერთიანებდათ, რომ ორივე სირაჩხანის მარცხენა მხარეს წითელი აგურით ნაგებ აივნებიან სახლში იდგნენ – ეისმონტი მეორე, ბუჭყიევი კი პირველ სართულზე, მკითხავ სონა დაიუშჩაიას მოპირდაპირე ბინაში. პირველიდან მეორე სართულზე ხვეული კიბე ადიოდა. ეზოში სულ ნუშის ხეები იყო დარგული. ამ კუთხეს საკატესაც ეძახდნენ უბნელები, რადგან ეზოში სონას კატები ყველას ფეხებში ედებოდნენ, მშივრები დღენიადაგ აგრესიულად ჩხაოდნენ, მეზობელთათვის ყურთასმენა იყო წაღებული. ეისმონტი დახმარებისათვის ალექსის ყოველთვის ულაპარაკოდ აძლევდა მცირეოდენ თანხას. ჰოდა, ბუჭყიევის ვაჟს ახლაც არ დაეზარა და მალევე ეტლი უშოვა.

ეისმონტს სადღაც მაინც ჰქონდა იმის იმედი, რომ გაჭირვების შემთხვევაში ვიღაცას დაეყრდნობოდა. იქნებ ცდებოდა? მაგრამ მაინც იყო ეტლის გამოძახებაზე, ან სადმე გაგზავნაზე ალექსის იმედად (ან იქნებ უფრო უარესის შიშიც ჰქონდა). ადვილი ცხოვრება ნამდვილად არ ჰქონდა ეისმონტს. მას ბეჭედი ჰქონდა ერთი, ოქროსი, ძველებური. ბეჭედზე პაწაწკინტელა კოფო იყო დამაგრებული, სადაც ციანმჟავა კალიუმის ნაერთს ინახავდა. თუ შეპყრობის საფრთხე ელოდა, თავი უნდა მოეკლა. (კოფოს თავს ახდიდა და ნაერთს ენით გამოწოვდა). უარესის მოლოდინში ეისმონტი სულ იყო. ამას პროფესიული ვალი აიძულებდა.

ნაშუადღევს ჩამოზიდა აპარატურა, ეტლში შეზიდა, მეეტლემ მტკვარი გადაიარა და კურსი კუნძულისკენ აიღო. ალაგი ისეთი უნდა ყოფილიყო, რათა ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილება შეძლებოდა და მივარდნილიც, ოდნავ მომადლო მხარე შეარჩია და იქ განთავსდა. მერე მეეტლემ ტერიტორია დატოვა, ოღონდ მოილაპარაკეს, რომ ის საათში ერთხელ ხიდთან გრანდ ოტელის მიმდებარე ტერიტორიაზე შემოივლიდა ცხენებით.



სონა

ავტორი: ელენე დემეტრაძე

* * *

ორბელიანის ქალი იწვა ნერვიულობისგან გათანგული, საწოლიდან ვერ დგებოდა. იცოდა, საღამოს ნიკო ამოვიდოდა და ცდილობდა, ძალები მოეკრიბა. უჩვეულოდ ღელავდა, რადგან დარესთვის სისხამ დილიდანვე გაეტანებინა ხაზინის ქუჩაზე ნიკოზე გადასაცემი ბარათი, ის კი ამ დრომდე არ დაბრუნებულიყო. ნინო ჩქარობდა, რუსზე ჯვრისწერამდე ხომ რაღაც დღეები იყო დარჩენილი... ხომ საშინლად რთული იყო დანიშნული თავადის ქალისთვის ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ როგორ მოითმენდა, რომ ნიკო არ ენახა? ეგ კი არადა, ვაჟისთვის სიცოცხლესაც უსიტყვოდ დათმობდა, ოღონდ არ იცოდა როგორ, რა საშუალებით და რა დროს გაესწორებინა ცხოვრებასთან ანგარიში. გარდაუვალი ბედისწერისადმი შიშს შეეპყრო მისი ცნობიერება. თან სასწაულს ელოდა. ფრთხილობდა და ლოცულობდა.

Экспедиция суда и расправы

კანცელარიის კართან თავდახრილი იდგა დარე, მისკენ ფართო ნაბიჯებით მიმავალ ლევანსა და ნიკოს მორიდებით მიესალმა და ამ უკანასკნელს მოკრძალებით გადასცა ბარათი, _ ბატონო, ნინოსგანაა, როგორც მოიცლით, ამობრძანდით ჩვენსა, სასწრაფოაო, ნინომ!

ბარათაშვილს გააჟრჟოლა, ამ ქალისა ვედარაფერი გაეგო, კიდევ როგორ სწერს, განა არ ეშინია? _ გაიფიქრა გულში.

_ ტატო, მე მივხედავ კორესპონდენციას, შენ უნდა წახვიდე, გარკვეო! _ უთხრა ლევანმა

ნიკო გაფითრებულიყო, ტუჩები მოეკუმდა და კუმტად უცქერდა ძმაკაცს.

_ ვაგლახ! წავალ მოგვიანებით, ასე უფრო უპრიანია. ახლა განა საცოდაობა არ არის, არ მოვისმინო საცოლყოფილის აღსარება? - ირონიულად თქვა ნიკომ.

- არა! - მტკიცედ მოუჭრა ლევანმა.

- ვგრძნობდე, როგორ უჭირს ჩემს ნინოს და იმ რუსის გამო ბედს დავმორჩილდე? წავალ, ლევან, მაგრამ რაც იქ მოხდება, ჩემს თავსაც ვერ მოვთხოვ პასუხს, ეს იცოდე! თავად შენ ხომ ივან-ცბიერიც არ დაინდე მაიკოს გამო და დასჭერ ქალის ენას აყოლილმა! მე რაღად გამამტყუნებ! (ბარათაშვილი ივანე მუხრანსკის გულისხმობდა, ამას რომ ამბობდა) შეიძლება ფულზე იყიდებოდეს ქალი, თან საკუთარი ოჯახის მიერ?... ჰო, ჯობდა სხვაგვარად მომხდარიყო და არა ასე! _ ამას ისე ლაპარაკობდა ნიკო, რომ საკუთარი ხმა აღარ ესმოდა გაშმაგებისაგან, ერთიანად აჟრიალებდა. მაგრამ უმოქმედობა და გაურკვეველობა უფრო რომ თრგუნავდა?

ლევანი ერთხანს დინჯად იყო, საქმეში გართული კაცის იერით ფურცლავდა კორესპონდენციებს, ვითომ ალაგებდა და ახარისხებდა, მაგრამ გონებით ისიც სხვაგან იყო, ძმობილივით. გვიან გამოერკვა, ბევრი საჩივრები იყო კანცელარიაში, ისინი უნდა დაეხარისხებინათ მას და ტატოს. ზოგ საჩივარში მოსამსახურე თავადიშვილს უჩიოდა პანდურის ამორტყმისთვის, ზოგან თავადისგან შეცდენილი და გაუბედურებული ახალგაზრდა ქალი მორალური ზია-

ნის ანაზღაურებას ითხოვდა თავისი გამაუბედურებლისგან, ზოგი ქალი ბავშვისათვის – გვარს. სომეხ ვაჭრებს ქართველ თავადიშვილებზე ჰქონდათ ჰქონდათ სწორება. მათგან ვალების ამოღება ეწადათ და მათ მიერ დაწერილ თამასუქებს უჩვენებდნენ კანცელარიას დართულ საბუთებთან ერთად – სასამართლოში წარდგინებისათვის. იყო ისეთი წერილებიც, სადაც ქალაქის თავს მიმართავდნენ თავადიშვილები ამა თუ იმ მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ეს მოთხოვნები ძირითადად, სოლოლაკსა და რიყეზე წარმოებულ ბინათმშენებლობებს ეხებოდა....

ლევანი უკვე ფიქრობდა, რომ მთელი ქალაქი მომჩივან-მოპასუხეებით იყო დასახლებული.

– ეს ჩვენი ხალხი ხომ სულ ინტრიგანებად და მომჩივნებად ცეკულა, მდიდრული სახლებისა და ფუფუნების სიყვარული კი გვაქვს ქართველებს, ნახე, ტატო, რა აღმოვაჩინე! თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე სწერს ჩვენს გენერალ მაიორ ვოლხოვსკის, ახალი საცხოვრებელი კანონიერად დაუმტკიცოს გალავინსკის პროსპექტზე, გარეთუბანში! მაგრამ დეპნერის სახლიდან გადმოვა ნინა განა? აკი ცალკე ცხოვრებას აპირებდა? ნინა ეგოროვნამ მოთხრა, ნინო არ არის იქიდან წამომსვლელიო.

– ჩანს, აგრე არ იქნება! – ამოიხვნეშა ნიკომ, – ალექსანდრე ცალკე მაინც არ გააჩერებს ქალს, მით უფრო მას მერე, რაც სპარსეთში შეემთხვათ.

ორივემ ერთმანეთს შეხედეს, ჩაეცინათ, ორივეს წარმოუდგათ თვალწინ სიფრთხილითა და ფუფუნებით გარემოცული ცნობილი რუსოფილი თავადი ალექსანდრე ჭავჭავაძე.

– არა! – არ ცხრებოდა ნიკო, – ისე, მართლა რანაირი ბედის არი ზოგი? სიმდიდრე რას არ გააბედინებს კაცს, ახლახანს არ იყო თავის ყმა გლეხს გიორგი მაისურაძეს რომ ხატვის ტალანტი აღმოუჩინა, ვოლნაიას აძლევს და ამზობენ, თვით პეტერბურგშიც კი უპირებს სასწავლებლად გაგზავნასო! ღმერთი დაუფასებს, მაგრამ მამაჩემი კი, მახლას, სრულებით ვერა ხედავს ჩემს უნარსა და არა სურს წარმომიდგინოს უნივერსიტეტში, ან სამხედრო სამსახურში. ლევან, იგი რა ათქმევინა ჩემი ოდნავი კოჭლობის გამო დედას? – თუ არა ინვალიდის კამანდაში, სხვაგან არსად მიგიღებენო! გესმის ლევან, როგორ მეზრძოლება მშობელი მამა? მაგრამ არა, მე ვეცდები ჩემსას მივაღწიო. აი ასე – ან ყველაფერი, ან არაფერი! მაქსიმალისტს დამიმახებ, ვიცი, შენი ამბავი, ჰო! – ჩაცინებით წარმოთქვა ნიკომ...

– მაქსიმალისტს არა, იმას კიდეც, – სიცილით მიუბრუნდა მელიქიშვილი. – შენა ხარ უკანდაუხეველი, მორჩა რაცა ხარ, ეგა ხარ, შე კრისტალის ნატეხო!

ამ საუბარში იყვნენ, რომ სამუშაო დღეც დასასრულს მიუახლოვდა, კანცელარიის მოხელემ იაკობ რიაზანცევმა ხელფასები მოართვა და ქვითრებზე ხელი მოაწერინა – ორივეს ერგოთ ხუთ-ხუთი თუმანი. მერე გარეთ გამოვიდნენ, ნიკოსთვის თავისუფალი ეტლის ძებნა დაიწყეს, ეჩქარებოდნენ.

roza gafrindaSvil i

ცალ-ცალკე მომჩივანი

*„ყველაფერი გაუგო _ ნიშნავს ყველაფერი აპატიო“
(სომერსეტ მოემი)*

ცოლი:

ყველას გაუკვირდა, ჩემზე უმცროსს, უსწავლელ და გაურკვეველი მომავლის ღარიბ ბიჭს ცოლად რომ გავყევი; მაგრამ ისეთი ცქერა იცოდა, შორიდან დაადნობდა გოგოს! ჟრუანტელი რომ დამირბენდა, მაშინვე ვგრძნობდი _ ალბათ სადმე აქაა და მითვალთვალებს-თქო!

მართლაც, კარგად რომ მივიხედ-მოვიხედავდი, მის ნაკვერჩხლებივით მოელვარე თვალებს დავინახავდი, რაც გულს გაურკვეველი სიხარულით მივსებდა.

ნიჭიერი ბიჭი იყო; სწავლა უნდოდა; უსწავლელი ქმარი არც მე მეპიტნავებოდა; ამიტომ, მე და ჩემმა მშობლებმა ყოველნაირად შევუწყვეთ ხელი, რომ მას ესწავლა.

მე სოფელში, ჩემ დედ-მამასთან ვცხოვრობდი, ჩემი სამი შვილით; დედამთილ-მამამთილს, რაც ჰქონდათ, მინაწილებდნენ, მაგრამ აბა, რა შეეძლოთ, დასახმარებლები იქით იყვნენ! ჩემი დედ-მამა ჩემი ოჯახისთვის თავს არ იზოგავდნენ, მე ხომ „თან მყვებოდნენ“, ჩემ ქმარსაც თბილისში უგზავნიდნენ ფულსა და პროდუქტს!

ჩემ ქმართან, ხანდახან, თბილისში მეც ჩავდიოდი, ჩემ შვილებთან ერთად; ჩვენს გამო მას სტუდენტულად ერთი პატარა ოთახი გამოუყვეს, სადაც გაჭირვებით ვთავსდებოდით. მაგრამ ეს იშვიათად ხდებოდა, რადგან მარტონი, ბავშვებს ვერ ვუვლიდით _ ჩემ ქმარს ჩვენთვის არ ეცალა, არც ფული ჰქონდა! მე კი, მცირეწლოვანი შვილებისამარა, ქალაქში ცხოვრება მიჭირდა; ამიტომ, ძირითადად დედ-მამასთან, სოფელში ვცხოვრობდი.

ჩემი ქმარი სულ მალე დაწინაურდა _ თანამდებობა, პრივილეგიები, ბინა, მანქანა, ავეჯი (მაშინ ავეჯს, მანქანას, მაღაზიაში ვერ იყიდდი, ის ჩვენში სხვა ქვეყნიებიდან შემოდიოდა, რასაც აქ, თანამდებობის პირებს, ცენტრალური კომიტეტი _ ცეკა უნაწილებდა)... ყველაფერი მიიღო, რისი მიღებაც მაშინ შეიძლებოდა (საუბარია 60-70-იან წლებზე); მომავლისთვის კიდევ უფრო ბევრის იმედი გვქონდა _ აგარაკი, უცხოეთი, შვილებისთვის პრესტიჟული სასწავლებლები, თანამდებობები, საგზურები! შეიძლებოდა ბედნიერად გვეცხოვრა, მაგრამ აიჩემა _ მთავრობის პოლიტიკა ჩემ პრინციპებს არ შეეფერებოდა და დაიწყო ხელისუფლების კრიტიკა. ვებვეწებოდი, ვსაყვედურობდი (ჩემთან ერ-

თად ნათესავებიც) – გაჩერდი, შეირგე, ქვეყანას შენ ვერ გაასწორებ-თქო, მაგრამ არ ესმოდა! ხანდახან სიცილით ამბობდა – იმიტომ დამაწინაურეს, რომ გავეჩუმებინეთ, მაგრამ არ გაჩუმდებიო!

ხანდახან გვიბრაზდებოდა – თქვენი კეთილდღეობისთვის ნუ მთხოვთ იმას, რაც არ შემოდის! რაც არსებობისთვის აუცილებელია ყველაფერი გაქვთ, დანარჩენზე თვითონ იზრუნეთო!

პრივილეგიებს ებრძოდა – უსამართლობაა, როცა თანამდებობის პირს ცალკე წამლები და საავადმყოფო, დახურული მაღაზიები, განსაკუთრებული აგარაკები და კვება აქვთ! პრივილეგიები მხოლოდ ბავშვებს, ავადმყოფებს და მოხუცებს უნდა ჰქონდეთო და ა.შ.! მაგრამ თვითონ უარს არაფერზე ამბობდა – უხაროდა, როცა საგზურს აძლევდნენ რომელიმე ფემინებლურ სანატორიუმში (სადაც მე და ჩემ შვილებს გვგზავნიდა); უცხოეთში სამოგზაუროდ (იქ თავად დაბრძანდებოდა); არც მანქანაზე უთქვამს უარი, არც ავეჯზე, არც თანამდებობაზე! თავს იმით იმართლებდა, თითქოს კრიტიკა თანამდებობის პირისგან უფრო მიაღწევს მიზანს, ვიდრე რიგითი მუშაკისგანო!

არც დროსტარება დაჰკლებია! მე სოფელში ვზრდიდი შვილებს, თვითონ კი აქ, თბილისში დაგრილებდა – ქეიფობდა, მოგზაურობდა, სახელს იხვეჭდა! სერიოზული რომანიც კი ჰქონდა სხვა ქალთან! ...თუმცა ჩემთან განშორება არც უფიქრია, ალბათ, იმიტომ, რომ ჩემნაირი მომთმენი, ოჯახისა და შვილების ერთგული არავინ შეხვედრია!

კი, მქონია მასთან ბედნიერი წუთები, დღეებიც კი, მაგრამ რაც მე მის ხელში გაჭირვება და უსიამოვნება შემხვედრია, მტერსაც არ ვუსურვებ! მახსოვს, ერთხელ, ჩემმა ნათესავებმა წევულებებში დაგვკატიყეს; იქ წასასვლელად დიდი ამბით ვემზადებოდი, ჩემ ნათესავებს მე უბედნიერეს ქალად მივაჩნდი. მინდოდა მათ თვალში ასეთად დავრჩენილიყავი; ნაცნობი ქალისგან ამოქარგული კოფთა მამასისხლად შევიძინე (მაშინ ასეთი ნივთები უცხოეთიდან მოცეკვავეებს ჩამოჰქონდათ); ფული მე თვითონ მოვაგროვე – ბაზარს ათჯერ მაინც შემოვუვლიდი, პროდუქტები რომ იაფად შემეძინა!

სტუმრად რომ მივედი და სუფრას შემოვუსხედი, იმ ვაჟბატონმა გაცვით შემომხედა და ვითომ ხუმრობით, ყველას გასაგონად მკითხა - ეს რა გაცვია, ვინ გიყიდაო?

მისი ნათქვამი ყველამ ხუმრობად მიიღო და გაიცინეს; მათი აზრით ხომ ის „იდეალური მამაკაცია“ და საჩოთიროს არაფერს იტყვის! რასაც ამბობს, ან სრული ჭეშმარიტებაა ან მოსწრებული ხუმრობა...

ბრაზმა და სირცხვილმა ამიტანა! გუნება მომეშხამა – აღარ მესმოდა სტუმრების ხუმრობები, სიმღერები და სადღეგრძელოები! ის ვაჟბატონი კი, ვითომც აქ არაფერი, თამალობდა, ანეკდოტებს ჰყვებოდა, ქალებს კომპლიმენტებს ეუბნებოდა და მგონი უხაროდა, მე რომ კუთხეში ხმაგაკმენდილი ვიჯექი. ის კი სადღეგრძელოებში სტუმრებს გულუხვად აქებდა, თან, ვითომ ხუმრობით ეუბნებოდათ – სადღეგრძელოში შექება ადამიანისთვის „ავანსად გაღებულო“ დაფასებაა, რომ შეაქებ – გაუხარდება, თავის თავი მოეწონება და იძულებული გახდება, მართლა კარგად მოიქცესო! სტუმრები ეთანხმებოდნენ, გულიანად იცინოდნენ და ერთმანეთს ეუბნებოდნენ – მართალია, ხომ იციო! მე კი ვიცო-

დი, რომ ისინი მლიქვნელობდნენ და ჩემი ქმრის გულის მოგებას ცდილობდნენ!

ასეთი შემთხვევები იშვიათი როდი იყო ჩვენ ცხოვრებაში!

როგორც ვფიქრობდი, ისეც მოხდა – თანამდებობა დიდხანს ვერ შეინარჩუნა (რამდენჯერმე დააწინაურეს და ისევ მალევე მოხსნეს); აბა, რა იქნებოდა, ვინ მოუთმენდა გამუდმებულ კრიტიკას! მართალია, ყველა სიმძიმემ ჩემ კისერზე გადაიარა – ბევრად შეგვიძირდა საოჯახო ბიუჯეტი, დავკარგეთ მანქანა, აგარაკი, საზოგადოების პატივისცემა და ა.შ., მაგრამ მაინც გამეხარდა – გული მომეფხანა, რაკი იმედი მქონდა – როცა იქნება ჭკუას ისწავლის და ბოლოსდაბოლოს რომელიმე თანამდებობას შეინარჩუნებს-თქო, თუნდაც ოჯახის გამო! ის ხომ მართო არ იყო! ჰყავდა ოჯახი, ნათესავები, მეგობრები... რამდენ ვინმეს სჭირდებოდა მისი დახმარება! თანამდებობის გარეშე კი... ჯიბეცარიელი პროფესორი ვის რაში სჭირდება! იცოცხლე, დადიოდა ფეხით ან ტროლეიბუსით, მოღრეცილი ფეხსაცმელებით, წიგნებით და ხელნაწერებით გატენილი ჩანთით და უტიფრად გვიმტკიცებდა – ასე მირჩევნიაო! შემოიკრიბა ბიჭბუჭები და მათთან გააბა მეგობრობა, ვერც ერთს ვერაფერში გამოიყენებდი, პირიქით, იქით სჭირდებოდათ მხარდაჭერა; ყოველ შაბათ-კვირას ერთად დაწაწალებდნენ ექსკურსიებზე.

ჩემი ვაჟბატონი სულ ახალახალ მოგზაურობებს გამოიგონებდა ხოლმე, ვითომ, ხან ხალხის ყოფა-ცხოვრება აინტერესებდა, ხან ბუნება, ხან – კავკასიონის ქედი მონეტრებოდა და სამხედრო გზით მოგზაურობა, ხან რელიგიური დღესასწაულები... ვინ მოთვლის, რა სისულელებით ირთობდა თავს! სრულებით არ ადარდებდა თავისი შვილების ყოველდღიური გასაჭირი, აქაო-და, მე არ მეკადრება ჩაცმა-დახურვაზე და სხვა წვრილმანებზე ზრუნვაო, ჩვენ სულიერი პრობლემების გადაწყვეტით ვართ დაკავებულიო! თითქოს სმა-ჭამაზე და ჩაცმა-დახურვაზე ჩვენ, „დაბალი რანგის ადამიანებმა“ უნდა ვიზრუნოთ, მას კი, ეს არ ეკადრება! უარს კი არასოდეს ამბდა გემრიელ სმა-ჭამაზე! რა უფლება აქვს ჩემი მომსახურებით რომ ისარგებლოს, თან ქედმაღლურადაც მიცქიროს, როგორც „არაინტელექტუალს“? დიდი ამბავი, თუ პროფესორია და მრავალი შრომა აქვს! ვის რაში უნდა მისი დაწერილი წიგნები! ხომ შეიცვალა ყველაფერი, ხომ ტყუილი აღმოჩნდა ძველი შეხედულებები - ხალხი, ხალხიო, რომ დაეყინებინა! ხომ მართალი ვყოფილვარ მე, ჯერ კიდევ მაშინ, კომუნისტების დროს რომ ვეუბნებოდი – მოემვი მაგ ჯდაბნას, ოჯახს მიხედეთქო?

ამას რომ ვეუბნებოდი, ზიზღით შემომხედავდა ხოლმე – ყალბი მე არაფერი დამიწერია, მაგრამ შენ ამას ვერ გაიგებო... მეტყოდა და თავის ოთახში იკეტებოდა ან შვილიშვილს ჩაავლებდა ხელს და მუქარით მეტყოდა – აი, ეს გაარკვევს მომავალში, თუ რამე შემეშალაო! ხან თავის მეგობრებში გარბოდა და გვიანობამდე შინ აღარ ბრუნდებოდა.

ბოლოს გაირკვა რა მეგობრებშიც დაიარებოდა! „დიდი სიყვარული“ ეწვია ვაჟბატონს! მეუღლემ ვერ გაუგო, „მას“ კი ყველაფერი ესმის! არ შეუძლია სულიერი სიცარიელე აიტანოს! თანამოაზრე დასჭირდა!

...მე მაინც კმაყოფილი ვარ, ოჯახი რომ არ დავანგრე! საზოგადოებას ჩვენი ოჯახი მუდამ სანიმუშოდ მიაჩნდა, თუმცა, ახლობლებმა იცოდნენ, რა ჯოჯოხეთი ტრიალებდა შინ!

ახლა, სიბერის ჟამს, შემიძლია ვთქვა, რომ „კარგი ოჯახი“ რასაც ქვია ის არის, რაზეც ჩვენი წინაპრები ამბობდნენ – „შორიდან მტერს უბრმავეებს თვალს, ახლოდან – მოყვარესაო!“

ქმარი

მშობლებს ხუთნი ვყავდით; დედა – დიასახლისი იყო, ოჯახს უვლიდა. მამის შემოსავალი გაჭირვებით გვეყოფნიდა. მახსოვს სიჭაბუკეში ძალიან მიყვარდა სოფელში წასვლა, რადგან იქ ჯერ კიდევ საშუალო სკოლის მოსწავლეს, თბილად მხვდებოდნენ და გულუხვად მიმასპინძლებოდნენ.

სულ მალე ჩემი მასპინძლის ქალიშვილი შემიყვარდა; ის ლამაზი, შეძლებული ოჯახიშვილი, კარგი დიასახლისი და ჩემზე ორი წლით უფროსი იყო, ჩვენი ასაკისთვის მოსაწონ ლექსებსაც წერდა! თექვსმეტი წლის ბიჭისთვის კი, ყველაფერი ეს ბევრს ნიშნავს!

მათი ოჯახის ხშირი სტუმარი გავხდი; მის და-ძმასთან ერთად გემრიელ ვახშამს შევექცეოდი, მამამისის დაყენებულ ღვინოს ვწრუპავდი, „მას“ თვალს არ ვაშორებდი და თავს ბედნიერად ვგრძნობდი. მაშინ სხვა არც არაფერი მინდოდა, მხოლოდ ის მსურდა, რომ დიდხანს გაგრძელებულიყო ასე!

მაგრამ ერთხელ, როცა კაგრად შეღამებულზე მათი ოჯახიდან ღვინისა და მასპინძლის ქალიშვილის ეშხით გაბრუებული გამოვედი, დიასახლისმა გამომაცილა; კარგახანს ჩუმად მივდიოდით. მივხვდი – რაღაც მნიშვნელოვანი უნდა ეთქვა და გულმა გამალებით დამიწყო ცემა. კარგა მანძილი რომ გავიარეთ, დაახლოებით ასეთი რამ მითხრა:

– შვილო, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ, მაგრამ აქ სოფელია, გასათხოვარი ქალის ოჯახში საცოლე ვაჟის სიარულს სხვა თვალთ უყურებენ; თუ რამეს ფიქრობ, ხომ კარგი, თუ არა და, სოფელს ნუ აალაპარაკებ, გოგოს სახელი გაუტყდებო!

აღარ მახსოვს სათქმელს თავი როგორ მოვაბი, მაგრამ ის კი კარგად მახსოვს, რომ დავპირდი: – ამ დღეებში ამოვალ და მოვილაპარაკოთთქო!

მაშინ თექვსმეტი-ჩვიდმეტი წლის ბიჭის ქორწინება ნაადრევად ითვლებოდა; ამიტომ, დედაჩემს რომ გამოვუცხადე ცოლი მომყავს-თქო, ერთხანს გაოცებული შემომაცქერდა, მერე იატაკის საწმენდ ჯოხს დაავლო ხელი და გამეტებით მომიქნია; ცხადია, გამოვიქეცი. მერე ჩემზე ორი-სამი წლით უფროსი ბიჭი შევარჩიე და სასიამოროს ოჯახს მივადექი.

სულ მალე ხელი მოვაწერეთ რაიონული ცენტრის მმაჩის ბიუროში.

სიხარულად ვიყავინ ქცეული! მე, ჩვიდმეტი წლის ბიჭს ლამაზი, მდიდარი და პოეტი ცოლი მყავდა! მიუხედავად ამ სიხარულისა, გადაუდებელი საქმეები მოვიმიზეზე, ახლადშერთულ ცოლთან განმარტოებას თავი ავარიდე, ჩემ სახელში წავედი, ქალი კი თავის მშობლებთან გავუშვი,

მხოლოდ სამი დღის შემდეგ შევხვდი, როგორც ცოლს! პირველი ღამისგან მხოლოდ უხერხული სიტუაციებით გამოწვეული სირცხვილი დამამახსოვრდა, ნაოცნებარი შეხვედრა არ შედგა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ ჩემი მაშინდელი გამოუცდელობისა და უცოდინარობის ბრალი მგონია, მე და ჩემმა ცოლმა ერთმანეთს რომ ვერ გავუგეთ და ძალღურად ვეწევით ოჯახური ცხოვრების ტვირთს; მაგრამ არც მართო ეს პირველი ღამეები იყო ჩვენი შეუთავსებლობის მიზეზი; მე იმავე წელს სტუდენტი გავხდი და თბილისში წამოვედი, ფეხმძიმე ცოლი კი დედაჩემთან დავტოვე, რომელიც მალე შეგვირიგდა.

ჩვენ ერთად ცხოვრების საშუალება არ გვქონდა, უბინაო სტუდენტი თბილისში ცოლ-შვილს შევინახავდი? ალბათ, ამიტომ, ფაქტიურად ცალცალკე ჩამოვყალიბდით. ის – თავისი მშობლების ოჯახში, შვილებში, ნათესავებში, სამზარეულოში... მე – თბილისში ლექციებზე, ბიბლიოთეკებში, მეგობრებში, კინო-თეატრებში... მერე, როცა ქალაქში დავფუძნდი, ბინაც მივიღე და ოჯახის შენახვის სახსრებიც გამიჩნდა, ცხადია, თავი ერთად მოვიყარეთ, მაგრამ ერთმანეთისთვის უცხონი აღმოვჩნდით. რასაც ის ჩემგან მოითხოვდა, ჩემთვის სრულიად გაუგებარი იყო. მაგალითად, მე მიმაჩნდა, რომ ჩვენ ბედნიერები უნდა ვყოფილიყავით, ერთად ცხოვრების საშუალება რომ მოგვეცა; შევიძინე ფოტოაპარატი და დიდი ენთუზიაზმით ვუღებდი ფოტო-სურათებს ჩემ შვილებს.

სულ მალე ავავსე კედლები და თაროები მოყვარულის მიერ გადაღებული, ბაცი ფერის ფოტოებით; ჩემი ცოლი გაწბილებული, შუბლშეკრული დაიარებოდა, ჩემ ენთუზიაზმს არ იზიარებდა და ჩემგან რაღაც შეუძლებელს მოითხოვდა. უნდოდა საკუთარი (და არა სამსახურის) ავტომანქანა, მდიდრული ავეჯი და ძვირფასი ტანისამოსი გვექონოდა; დასასვენებლად სოფელში, მის მშობლებთან კი არა, აგარაკებზე გვევლო, პროტექციებით დავხმარებოდით მის უამრავ ახლობელს, რათა მათ ჩვენი ეამყათ და ყველასთვის მოეთხროთ ჩვენი ბედნიერი ოჯახის შესახებ; მევლო ბაზარში და სანოვაგით მომემარაგებინა სტუმრებით განებივრებული, უმათოდაც დიდი ოჯახი; მე კი მაშინ სადოქტორო დისერტაციაზე ვმუშაობდი, წიგნს ვწერდი, უცხოელებთან მიწერმოწერას ვაწარმოებდი და თან თვალს მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ვადევნებდი. იმდენ ფულს ვერ ვშოულობდი, რომ ცოლის მოთხოვნები დამეკმაყოფილებინა. არც მათი საჭიროება მესმოდა! ხშირად მეგობრების წრე მომენტარებოდა და მაშინ, ცოლის პრეტენზიებს რომ გავქცევოდი, დროს მათთან ვატარებდი.

უცხოელებთან მიმოწერას გარკვეული დრო და სახსრებიც სჭირდებოდა (ჩვენ ერთმანეთს წიგნებსა და ხელნაწერებსაც ვუგზავნიდით). მხოლოდ ამის გამო რამდენიმე „ომი“ გადავიხადე ცოლთან. ის მოითხოვდა, რომ ეს უსარგებლო ურთიერთობა გამეწყვიტა და ოჯახის საჭიროებაზე მეფიქრა. მე კი მიმაჩნდა, რომ, თუ ოჯახის ინტერესები მსხვერპლს მოითხოვდა, ეს უნდა ყოფილიყო ჩაცმა-დახურვაზე გაწეული ხარჯები და არა ჩემი პროფესიული ინტერესები, რადგან ის მიწერ-მოწერა ჩემი და ჩემი კოლეგების აუცილებელ სამეცნიერო მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული.

მას არ ესმოდა ისეთი მეცნიერული საქმიანობა, რომელიც ოჯახის კომფორტს არ ემსახურებოდა, სჯეროდა, რომ პროფესორი უსათუოდ ძვირფასი ავეჯით გაწყობილ ბინაში უნდა ცხოვრობდეს, საკუთარი მძღოლი და ერთი შინამოსამსახურე მაინც უნდა ემსახურებოდა, მეუღლე – კარგად ჩაცმულ-დახურული, საკომისიო მაღაზიებსა და საპარიკმახეროებში უნდა დაიარებოდა, ირგვლივყოფები კი მას უნდა შენატროდნენ! ამის ნაცვლად, ჩვეულებრივი დიასახლისის ცხოვრებით რომ ცხოვრობდა, ამის გამო დიდად განაწყენებული იყო ჩემზეც და მთელ სამყაროზეც.

ერთხელ, ჩემთან შეუთანხმებლად, ძვირფასი ბეწვის ქურქი შეიძინა. გაგჯავრდი; ისიც გაგჯავრდა – უგემოვნო, უნიჟო და ცხოვრების უუნარო მიწოდა. მაშინ მე კატეგორიულად ავეუკრძალე – აღარ გავიგონო ბავშვების კვების თაობაზე წუწუნი, თორე ქურქს დავჩეხავ და გადავყრი-თქო!

ატირდა, მაგრამ არ შემცოდებია, რადგან მიმაჩნია, რომ დიასახლისს, რომელიც ბაზარს გარდა თითქმის არსად დაიარება, არააქვს უფლება ჩაცმ-დახურვის გამო ბავშვებს კვება მოაკლოს და ამის გამო ოჯახში განუწყვეტელი უსიამოვნობები ჰქონდეს! არც იმის უფლება აქვს, რომ მეუღლისგან ის მოითხოვოს, რაც მას არ შეუძლია! რა უფლებით მთხოვს იმაზე მეტ ფულს, ვიდრე ხელფასი მაქვს? მე ხომ მთლიანად მას ვაბარებ მთელ ჩემ შემოსავალს! როცა მეგობრები „გერმანული ანგარიშით“ სადმე მივდივართ (რესტორანში თუ სახინკლეში), ჩემ წილ ფულს სხვა იხდის! არც ზარმაცი ვარ! განუწყვეტლივ ვმუშაობ ჩემ თავზე, რაზეც ხელფასის გაზრდა არის დამოკიდებული – ხან სტატიებს ვბეჭდავ, ხან წიგნს გამოვცემ, ოჯახს ჰონორარებითაც ვეხმარები, მეტი რა გავაკეთო! რას მოითხოვენ ჩემგან! ფულის გარდა მათ ჩემი არაფერი აინტერესებთ (სხვათაშორის, არც შვილებს!).

მიმაჩნია, რომ თუ კაცი ხელფასს ზემოთ ფულს უკანონო გზით შოულობს, ქმართან ერთად პასუხი ცოლსაც უნდა მოეთხოვოს, რაკი ქმრებს ძირითადად ცოლები აიძულებენ ფული თაღლითობით იშოვნონ!

ამასწინათ ნათესავი გვესტუმრა, შვილებით. ისინი გაბრწყინებულები შემომცქეროდნენ; მე მათ ჩემი ახლადგამოცემული წიგნები ვაჩუქე, წარწერებით! უნდა გენახათ რა გახარებულები ფურცლავდნენ... ჩემმა ეგრეთწოდებულმა მეუღლემ კი... – წაიღეთ ახლა ეგ წიგნები და ტუალეტში დაკიდეთო! წარმოგიდგენიათ? ესეც არ იკმარა, მომიბრუნდა და მითხრა – რათ უნდათ შენი წიგნები, ბავშვებს ფული აჩუქე თუ შნო გაქვს, შოკოლადებს იყიდინა! ვის რაში სჭირდება შენი ნაჯღაბნიო!

გავშრიოთ! ხმის ამოღებას ველარავინ ახერხებდა. თვითონაც მიხვდა ცუდად რომ მოიქცა და სამზარეულოში გავარდა. მერე მთელი საღამო შუბლშეკრული დადიოდა და ხმას არ მცემდა, თითქოს მე დავაშავე და არა მან!

ასე თანდათან ჩვენი ურთიერთობა ჯოჯოხეთს დაემსგავსა; ვცდილობ გავუგო, მაგრამ არაფერი გამოდის – მას ჯიუტად სჯერა, რომ თვითონ არის მართალი! არადა წარმოუდგენელია, რომ მისი მემჩანური ცხოვრებით ვიცხოვრო! მე ბევრი რამ გამიკეთებია ისეთი, რაც არ მინდოდა – სტუდენტობისას მშიერს ან ნახევრადმშიერს წიგნებთან და კონსპექტებთან ღამე გამითენებია, ფიზიკურად მიმუშავნია მაშინ, როცა დიდი იყო მეგობრებთან გართობის ცდუნება;

თუნდაც ის ფაქტი, რომ საყვარელი ქალი მიმიტოვებია, რათა ოჯახში, შვილებთან დავბრუნებულიყავი! ოჯახს ხომ მე ვამარაგებ საარსებოდ აუცილებელი საშუალებებით იმ დროს, როცა ჩემი სამუშაო მაგიდა და წიგნები მიზიდავს!

ვინ-ვინ და, მე კარგად ვიცი ადამიანი რომ მხოლოდ სიამოვნებისთვის არაა გაჩენილი! ყოველთვის ვცდილობდი მინიმუმამდე დამეყვანა სიამოვნებისადმი მისწრაფება, თითქმის სულ მოვალეობებით ვცხოვრობ, მაგრამ ვერაფრით ვაიძულებ თავს ის ვიწამო, რაც ჩემი ცოლის უმთავრეს საზრუნავს წარმოადგენს!

მე ყოველდღე მსხვერპლად ვწირავ მას ჩემი ინტერესების უდიდეს ნაწილს, რაც მას არ ესმის და სულ ეცოტავება ეს „მსხვერპლი“, სულ მეტსა და მეტს მოითხოვს, სურს, რომ მთლად გავიზიარო მისი ღირებულებები! ამას რომ ვერ ახერხებს, თავი უბედურად მიაჩნია. მე კი ჩემი თავი გმირი მგონია, ამდენი ყოველდღიური მსხვერპლის გაღება რომ შემიღია ოჯახისა და შვილებისათვის. ძალიან მიძიმს იმის შეგნება, რომ ამ გმირობას ჩემს გარდა ვერავინ ხედავს და ახლობლებს თავკერძა ეგოისტი ვგონივარ.

...ზოგჯერ მტანჯავს იმის გააზრება, რომ ჯერ კიდევ დიდხანს უნდა ვიცოცხლო, მე ხომ ჯერ ორმოცი წლისაც არა ვარ!

საყვარელი

მე ქართულ, რუსულ და ევროპულ ლიტერატურაზე გავიზარდე და დიდხანს ამ ლიტერატურული გმირების იდეალებით ვცხოვრობდი – სიყვარულზე, ერთგულებაზე და ტრადიციულ ოჯახურ ურთიერთობებზე ვოცნებობდი, საკუთარ სურვილებთან ყოველგვარი კონფლიქტისა და იძულებითი თავშეკავებების გარეშე.

მოგვიანებით აღმოვაჩინე, რომ პრაქტიკული ცხოვრების მოთხოვნებისაგან საკმაოდ შორს ვიყავი, ცხოვრება მის ბუნებრივ კალაპოტში უჩემოდ მიედინებოდა. ზოგჯერ ჩემი ასკეტიზმი შიშსაც კი მგვრიდა – ჩემ სრულფასოვან გენდერულ იდენტობაში ეჭვი მეპარებოდა, რაკი საზოგადოებისთვის მიუღებელი სურვილები არასოდეს მაწუხებდა.

ერთხელ, იმ ასაკში, როცა ახალგაზრდებს სასიყვარულო ცდუნებისაგან თავშეკავება უჭირთ, ჩემი მიუკარებლობით შეურაცხოვილმა ერთმა იმედგერეულმა, თავისთავში მეტად დარწმუნებულმა თავყანისმცემელმა მითხრა – შენ ფანატიკოსი ხარ, რის გამოც აუცილებლად დაისჯებიო. მართლაც, ჩემივე იდეალების შესაფერი „თეთრ რაშზე ამხედრებული“ პრინცი, დიდხანს არ გამოჩენილა; გვიან მივხვდი, რომ ამის მიზეზი გარეთ, სხვაში კი არა, ჩემში იყო – სუსტი სასიცოცხლო ინსტინქტების ან ბუნების რაიმე ახირების სახით. ბარემ უფრო მარტივად ვიტყვი – ჩემი იდეალების შესაფერი ოჯახის შექმნა დიდხანს ვერ მოვახერხე, თუმცა, ჩემი ფანატიზმისთვის „საჯელი“ მაინც არ ამცდა, როგორც დიდი ხნის წინ „მიწინასწარმეტყველეს“ (თუ დამწყველეს?) რასაც ვერიდებოდი ანუ რისიც ყველაზე მეტად მეშინოდა, სწორედ ის შემხვდა – ცოლ-შვილიან კაცს შევუყვარდი.

ეს ამბავი ასე დაიწყო: ის ჩემი ლექტორი იყო, ჩემზე ათი წლით უფროსი, სტუდენტებისთვის საყვარელი და პატივცემული ადამიანი; მისმა ლექციებმა მოგვხიბლა, რაკი ის თავისუფალმოაზროვნეობის ნიმუშად მიგვაჩნდა, რის გამოც სხვებთან ერთად მეც ინტერესით, მოწიწებით და პატივისცემით ვუსმენდი. როცა საუბრობდა, მეჩვენებოდა, რომ, მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება სწორედ ამ საუბრებს ველოდებოდი; მისი გარეგნობისთვის კი ყურადღება არც მიმიქცევია; როცა მისი ლექციებით აღფრთოვანებულს „ის“ ქუჩაში შემხვდა, ვერც კი ვიცანი, საღამოზე მხოლოდ ზრდილობისთვის ვუპასუხე.

რამდენჯერმე, ლექციების შემდეგ, ჩვენ – სტუდენტები და ჩვენი საყვარელი ლექტორი შინისაკენ ერთად წამოვედით; როცა საინტერესო საუბრებში გართულები ჩემ შესახვევს მივუახლოვდით, მახსოვს მათ გზა ერთად განაგრძეს, მე კი შინ რაღაცით გულდაწყვეტილი წამოვედი.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა ასპირანტურაში განვაგრძე. „გულმა რეჩხი“ მიყო, როცა ხელმძღვანელად „ის“ დამინიშნეს, მაგრამ უარის თქმა აზრად არ მომსვლია; ხელმძღვანელთან შეხვედრაზე ცოტა შეცბუნებული დავდიოდი; მაშინ ღრმად მწამდა, რომ სანერვიულო არაფერი მქონდა, რაკი ჩემი მთვლემარე ტემპერამენტი და ასკეტური ცხოვრების წესი საიმედო დამცველებად მიმაჩნდა; მხოლოდ ახლა მეპარება ეჭვი – თუ ასე იყო, რატომ ახლდა ჩვენ შემდგომ ურთიერთობას „სასიამოვნო შიში“, ან რატომ ვამჩნევდი „მის“ ყოველ ყურადღებთან გამოხედვას, მოქმედებას და ჩემდამი გულისხმიერ დამოკიდებულებას – იშვიათად საშოვნელი წიგნებით ჩემ მომარაგებას, ხშირ-ხშირად შეხვედრებს ხალხმრავალ კათედრაზე, ჩემს მიერ გაწეული მუშაობის ყურადღებთან მოსმენას, წერითი დავალებების გულდასმით რედაქტირებას და ა.შ. ახლა ვფიქრობ რომ, რაკი მაშინ ყველაფერ ამას „ვამჩნევდი“, ე.ი. მქონდა კიდევ მისი შემჩნევის სურვილი (?).

აი, მაშინ პირველად გამიჩნდა „შიში საზოგადოებრივი აზრის წინაშე“, რისიც უწინ არასოდეს მშინებია, თუმცა ვაჟების გარემოცვას არასოდეს მოვრიდევივარ. ჩემი მეგობარი ვაჟების მიმართ მე მართლაც უანგარო დამოკიდებულება მქონდა; „საზოგადოებრივი აზრის მიმართ შიშიც“ არასოდეს გამჩენია!

ახლა ვფიქრობ, რომ თუკი „მასთან“ ურთიერთობისას „რაღაცის მეშინოდა“, მაგრამ „გაქცევაც“ არასოდეს მიფიქრია, ალბათ, ეს იყო მასთან ურთიერთობის გაუცნობიერებელი სწრაფვა, რასაც თან „სუსტი პიროვნებისთვის“ დამახასიათებელი „რეალობიდან გაქცევის“ სურვილი ახლდა (თუ – „პასუხისმგებლობიდან გაქცევა?“).

ამ სულიერი ფორიაქის ფონზე კი სახეზე იყო მოწაფე-მასწავლებლის გარეგნულად ფრიად მოზომილი ურთიერთობები; უხერხულ სიტუაციებს „ის“ არასოდეს მიქმნიდა, ყოველთვის ახერხებდა „ჩემთვის განკუთვნილი ყურადღების“ ისე გადაწელებას ჩემი მეგობრებისადმი, რომ მათ ეჭვი არ გასჩენოდათ, „მისი“ ყურადღება საეჭვოდ არავის მიაჩნდა და თავს, ამ „უანგარო მეგობრობის“ გამო ბედნიერად ვგრძნობდი. თან, ფარულად და გაუმხელლად ვნერვიულობდი, რაკი მოწაფე-მასწავლებლის ასეთი ურთიერთობები ხშირად იყო ჭორაობის და ზოგჯერ დაცინვის საბაზიცი.

„ის“ ისეთს არაფერს აკეთებდა, რაც „გაქცევის“ ან განაწყენების საბაზს მომცემდა, მხოლოდ გული გრძნობდა რაღაც „სასიამოვნოს, ამაღლებულს და ამავე დროს ავისმომასწავებელს“! ვგრძნობდი მის „დაუინტერესებელ“ გულისხმიერებას, რაც ჩემი ცხოვრების რთულ პერიოდებში ხსნად მომეველინებოდა ხოლმე და რაც წლების განმავლობაში გრძელდებოდა, თანდათან გამოუცნობი ურთიერთობისკენ რომ მიმაქანებდა!

ერთხელ მთელი კოლექტივი წვეულებაში ვიყავით; „ის“ თამადაობდა და როგორც ყოველთვის, სუფრა არაჩვეულებრივად საინტერესოდ მიჰყავდა – ეს არ იყო ჩვეული ტრაფარეტული სადღეგრძელოების კოლაჟი, არამედ იყო თითოეული ლხინის მონაწილის თუ წინაპრის ხასიათის შემოქმედებითად გააზრებული უმთავარესი დადებითი შტრიხის გახსენება, რაც ჩვენთვის და თვით სადღეგრძელოს ადრესატებისთვისაც აღმოჩენასავით განიცდებოდა და აღტაცებას გვგვრიდა. ყველანი მონუსხულები ვუსმენდით და შევცქეროდით, ახალახალი სადღეგრძელოს მოლოდინში; მერე თითოეულ ჩვენგანს გვაძლევდა სადღეგრძელოს უფლებას და ჩვენც, საღერღელ-აშლილები, ჩვენივე თავისთვისაც მოულოდნელად, საოცრად საინტერესო თემებზე, პიროვნებაზე ან რაიმე მნიშვნელოვან მოვლენაზე საუბარს – სადღეგრძელოს ვიწყებდით და ჩვენთვისვე მოულოდნელად აღმოჩენილი „ნიჭიერებით“ თავს ბედნიერად ვგრძნობდით, მაგრამ!

...მაგრამ წვეულების ერთ-ერთი მონაწილე-ქალბატონი ისე მოიხიბლა უჩვეულო თამადაობით, რომ ქალური კდემამოსილება დაივიწყა, ღვინოს მიემალა, სიმღერის საღერღელი აეშალა, მკლავები ლაღად გაშალა, „მას“ თვალები აუჭუჭუნა და საამოდ ამღერდა! ...ვამჩნევდი, „ის“ რომ ამ გამოწვევის მიმართ ემოციას ღიმილით და მომღერლისადმი ჩემთვის უცნობი – ვნებიანი მზერით გამოხატავდა.

ვიგრძენი როგორ „გამიჩერდა“ გული! ერთხანს სუნთქვაც შემეკრა; მერე, როცა „სული მოვიბრუნე“ და სიტუაცია გონებით შევაფასე, სხვებისთვის შეუმჩნევლად სუფრიდან ავდექი და გამოვიპარე.

ენით ვერ გამოვთქვამ რაც იმ საღამოს განვიცადე; ცხადია, ახლობლებთან არაფერი გამიმხელია, ჩავიკეტე და ჩემი განცდების მიზეზებს ჩავუღრმავდი; რაშია საქმე? რატომ განვიცადე ასე მწვავედ სხვის მიმართ მისი აღტაცებული მზერა? აკი ჩვენ შორის მხოლოდ მოწაფე-მასწავლებლის ურთიერთობა ჩამოყალიბდა, მან ხომ მე რამდენიმე სასიყვარულო თავგადასავალი და ზოგიერთი კოლეგის მიმართ გაუმჟღავნებელი „საიდულოც“ კი გამანდო, როგორც სულიერ მეგობარსა და მესაიდუმლეს? რატომ ვერ ავიტანე მისი ვნებიანი მზერა, ის ხომ სხვისკენ იყო მიმართული?“ ნუთუ ვეჭვიანობ? ნუთუ მიყვარს? ...და მე, მის მიმართ პირველი საყვედური გამიჩნდა – რატომ არ მომცა გაბრაზებისა და „გაქცევის“ საბაზი, რატომ „შემომეპარა“ გულში ასე შეუმჩნევლად, ვინა ვარ მე, ბოლოსდაბოლოს, ხომ არ ვეშმაკობდი „მის“ მოსახიბლად, როცა მის ცოლს არაერთხელ გამოვექომაგე, როცა „ის“ ჩემს მეგობრებთან ცოლის მესაკუთრულ ინსტინქტებზე საუბრობდა, მე კი მეგონა, რომ სამართლიანი ვიყავი, რაკი ვამტკიცებდი – ოჯახური ერთგულება ქალსაც და კაცსაც ერთნაირად მოეთხოვე-

ბა-თქო? ვინა ვარ მე, თვალთმაქცი ადამიანი თუ გულუბრყვილო-შტერი გოგო ვინც თავის გრძნობებში ვერ ერკვევა?

ამ ფიქრებში ვიყავი, როცა კარზე „საბედისწერო“ ზარის ხმა გაისმა; მაშინვე გამიელვა _ „ისაა“!

მართლაც! კარი გავაღე და თვალთ დამიბნელდა! ჩემს წინ სევდიანად მომღიმარი „ის“ დავინახე! ...მერე აღარ მახსოვს რა მოხდა. გონს რომ მოვეგე, მის მკერდში თავჩარგული ვტიროდი და ერთსადაიმავეს გავიძახიდი _ არა! არა! არა! ის ცრემლიან თვალებს მიკოცნიდა და თვითონაც ცრემლები ღაპაღუპით ცვიოდა!

...სულ მალე კი მოსკოვში, კვალიფიკაციის ამადლების კურსებზე გავემგზავრე, ჩემი ჭკუით _ გავიქეცი!

ამბის დასასრული

დამთავრდა რომანტიკული ტანჯვის ხანგრძლივი პერიოდი და დაიწყო დრამა _ „სასიყვარულო სამკუთხედის“ ტრადიციული ფინალით _ ქმარი, ცოლი და საყვარელი ქალი!

„საყვარელმა ქალმა“ მისთვისვე მიუღებელი ცხოვრება გააგრძელა. როცა „ის“ სამუდამოდ წავიდა ამ ქვეყნიდან, „საყვარელმა ქალმა“ დანაშაულის განცდით დათრგუნულმა, „მშვიდად“ განაგრძო სამსახური, წინსვლის ყოველგვარი შინაგანი სტიმულის გარეშე; შვილების კეთილდღეობისთვის თავგანწირული ზრუნვით მოახერხა მათთვის განათლებისა და დამოუკიდებლად არსებობის პირობების შექმნა ისე, რომ ყველაფრის მიუხედავად „საყვარელ ქალს“, საყვედური არასდროს არავისგან მოუსმენია.

თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ქალს მრავალი უსიამოვნება შეხვდა უსაყვარლესი ადამიანების ავადმყოფობით და გარდაცვალებით დაწყებული, ეკონომიკური გაჭირვებით დამთავრებული, მაგრამ არასოდეს არავინ გაუკიცხავს, არც გულში ვინმეს მიმართ საყვედური გასჩენია, რაკი ყველა „საფრთხისა“ და დაბრკოლების მიზეზად საკუთარი ცოდვები მიაჩნდა.

P.S. მინდა ეს „ტრაგიკული“ ამბავი მხიარული ანეკდოტით დავასრულო:

ერთხანს, თურმე მოლა ყადის ფუნქციასაც ითავსებდა. მასთან მომჩივანი და მოპასუხე მისულა. მან ჯერ მომჩივანს ყურადღებით მოუსმინა და უთხრა - შენ მართალი ხარო! მერე, როცა მოპასუხემ თავი იმართლა, მოლამ უთხრა - შენც მართალი ხარო და შინ ორივენი მშვიდად გაისტუმრა.

მეორე ოთახიდან ცოლი გამოვარდა _ მოლა, ეგ რა ჰქენი! როგორ შეიძლება რომ ორივენი მართლები იყვნენო? მოლამ მცირე ხანს იყუჩა და მერე ცოლს დაბეჯითებით უპასუხა _ შენც მართალი ხარო!

ამ ანეკდოტის მორალი ასეთია: თუ ადამიანის გასაჭირს გულდასმით მოისმენ, იმას აღმოაჩენ, რასაც ხალხი ამბობს _ „ყველას თავისი სიმართლე აქვსო!“

„ცალ-ცალკე მომჩივანი _ ორივე მართალიაო!“

„სიკეთე და ბოროტება _ ერთი ამბის ორი ბოლოაო!“

 *irma kecxovel i*

მადლიერების კვალდაკვალ

უმადურობის სენმა იმარჯვა
 ყოველდღიურად თავსაც გვახსენებს,
 უმადური ვართ ყოველწამიერ
 ყველაფერზე, რაც ჩვენ გვახვევია;
 პატარა ჩიტზეც ნამცეცს, რომ კენკავს,
 დიდ ცხოვრებაზეც როცა გვწყურია;
 უმადური ვართ, როცა მეგობარს
 ყურადღებით და მზვიდად არ უსმენთ.
 მაშინ, როდესაც გვსაყვედურებენ,
 მშობელი ზრუნვით თავს რომ „გვაბეზრებს“;

უმადური ვართ, როცა ქვეყანას
 თავზე ევლება რაღაც ნათელი,
 რომ გაიელვებს იმედის დილა,
 რომელიც მუდამ თეთრად ანათებს;
 უმადური ვართ შუქნიმანისა,
 გზაზე ხშირად რომ ანცად გვიყურებს,
 თანაც გვანიშნებს თქვენთვის ხომ ვცდილობ,
 ნელა იარეთ, არ შეგაშინებთ;

უმადური ვართ, როც ხელს გვიწვდის
 სამეგობრო და კეთილმყოფელი,
 როცა უფალი მადლსაც დაუშვებს,
 ნება ხომ არის გამომხატველი.
 უმადური ვართ, როცა მადლია
 დილით მზე, ღამით მთვარე ნათელი,
 შუადღის ფერი ცისარტყელებით,
 სანატრელი და ხან კი მდუმარე;

უმაღური ვართ მაშინაც, როცა,
მომავალ ბედზეც ასევე ვბუზღუნებთ,
მაშინაც, როცა ხე იმოსება
სიმწვანითა და მშვენიერებით;
ნუთუ არ გტანჯავთ ამდენი – ვაი,
ნუთუ მაღლისთვის თავს არ იწუხებთ,
ნუთუ გწადიათ აზარფეშები,
მხოლოდ ავხორციტ დაკმაყოფილდეთ;

ნუთუ სიამის ყოფიერება
მხოლოდ თითზეა ჩამოსათვლელი,
ნუთუ სიცრუის ყოველი წამი,
თანამგზავრია თქვენი ცხოვრების,
ვეღარც იხსენებთ თანამეცხედრეს;
ნუთუ არ შეგწევთ ზრახვა კეთილი
გაუთავისეთ სხვასაც სიამე,
ოცნებებს ნუთუ არ მიუმატებთ,
სიხარულსა და ერთგულ კუნჭულებს;

ნუთუ სურვილი არ გაგჩენიათ,
გაიხსენებდეთ ყველა წვრილმანებს,
რომლებიც, ალბათ, გაგონებთ წამებს
მოსაფერებელს, ძვირფას საუნჯეს;
ნუთუ არ გნებავთ გაიმეოროთ,
ოდესმე ბგერა დავიწყებული
ელსმენში ტემბრი ნაცნობი ხმისა,
დარიგება და ზოგჯერ დუმილიც;

ნუთუ მაღლიერ მიწის წინაშე
თავსაც რომ დახრით, გონმოდრეკილი,
მობოდიშებით კვლავ არ ირწმუნებთ,
ანდა იმაზე, რაც ვერ იხილეთ
მაღლიერების გამომხატველი
იმედით ვცოცხლობთ, ასე ვამტკიცებთ,
სიცარიელის აწყურს, რომ ავსებთ,
ნეტავი კიდევ შემახსენებდეთ;

აზარფემებით ხილვას ოცნების
სამადლობელი მადლია დიდი,
ის აგვამაღლებს პირობას გაძლევთ,
კიდევაც ბევრსაც მოინადირებს;
მადლიერებამ მოლოდინია,
ის ხომ ჩვენ ბევრჯერ გაგვახალისებს,
ეს არის მისი ღვთიური ძალა,
მადლიერება შიშსაც ამარცხებს;

კიდევ დაჯაბნის ბილწს და უმადურს,
თან შეგვახსენებს – აქ ვარ, ვარსებობ,
ჩვენთვის და შენთვის ამადგარი ვარ,
თითქოს გვეყოფა ჩამონათვალი
თუ დაგაკელით, გზა ხომ დაგიტმეთ,
სხვა სურვილები გაახალისეთ,
მადლიერების გამომხატველი
სიტყვათა კონა დავიმორჩილეთ;

კიდევ რამდენს, კიდევ ოდესღაც,
ალბათ, შეგვწევდა ძალა, უნარი,
გონი და მადლი ავამომრავეთ,
ყველა იმედი და აღსარება
მოვიშველიეთ, ისე ვიცხოვრეთ;
მადლიც ხომ გვფარავს და აგვამაღლებს;

დიდება ძალას, ღვთიურს და ციურს,
დიდება მათაც ვისაც ვახსოვართ,
მოსაგონი ბევრი ყოფილა
ნება-ნებისა გამომხატველი,
გვფარავდეს ღმერთი მადლიერებით.

ისევ-ისე

რას ველოდები, კაცმა არ იცის,
იქნებ პაწაწა ყლორტის ნიავსა,
რომელიც ითხოვს თავიდან შველას,
ყველას მოუხმობს დასაცავადა.

რას ველოდები კაცმა არ იცის,
იქნება ალერსს ნიავ-ქარისა,
ესალბუნება შენს კარმიდამოს,
როგორც რომ ლეკვი თავის დედასა.

რას ველოდები კაცმა არ იცის,
რომ დავინახე ჭადრის თავზედა,
შემოჯდომოდა ჩიტი ბუდესა
იქნება ისიც ამზავს მოგვიყვა.

რას ველოდები, კაცმა არ იცის,
ნუთუ რომ მოვა, როცა არ ელი,
იქნება თავზეც შემომეველება
დიდი ხნის წინაც, როცა შემპირდა.

რას ველოდები კაცმა არ იცის,
გულმა ჩაფერფლა ყველა ნათქვამი,
ვერ დამეწია, შიმშა იმარჯვა,
უვნებელია მხოლოდ ლაჩარი.

ვითომ იმარჯვა? ვერ გაიმარჯვა,
დარდმა დათრგუნა გულმა კი ვერა.
რა გელოდება კაცმა არ იცის,
ალბათ, იმ დარდმა ისევ იმარჯვა?

* * *

გიმზერ და გიმზერ ნეტავ რა გინდა,
გამოხატვაა უფრო დაკრული,
მზერა რომ იყოს უფრო დართული,
ალბათ, ვიქნები, უფრო ჩართული.

როცა წამომცდა, უფრო ჩაკრული
არ გამოვიდეს რამე ჩარჩული,
ძველი ფანდურით, ალბათ, ვეცადე,
არ გამოვიდეს რამე ბანძური.

ჩართული, ნართული, დათვური, ჩარჩული
ყველაფერია მზაკვრულად ჩართული,
სიმებზე თუკი ოდნავ ჩამოკრავთ
თითქოს გამოდის, მაგრამ რ ა რ თ უ ლ ი ?..

პირობითია. . .

ცრემლნარევია ყველა გულისთქმა,
თითქოს წესია, იქნებ ივარგა,
ნუთუ თავხედი ფიქრთა ამაღლა
დროზე გამოჩნდა, გამომიარა.

სინამდვილეში ჰქვია იარა.
ცრემლნარევია ყველა წარსულიც,
დანამატია ის აღმაფრენაც,
გეწვევა ერთხელ, თან შეფერილი,
მესაიდუმლე ყველა მშვენებით.

ო, რა ძნელია ყველა სულისთქმა,
მის გვერდით ყოფაც სატანჯველია,
ცხოვრება არის ზოგჯერ მუხთალი,
მასზე წუხილიც დამთრგუნველია.

ო, რა ძნელია ის მოძახილიც,
თანმხლები არის ორთა ბრძოლისა,
რომ შემოგიტევს დაუნდობლობით,
ობოლი არის თავის ზრახვითა.

ო, რა ძნელია ის სანუკვარიც,
სასოება ხშირად განგება,
ალბათ იღლება შორეულ გზაზე,
რომ მოინდომა შემოგელვება.
ცრემლნარევია ის, რაც გითხარით,
თუ დაიჯერებ გამეტებულზე,
ირწმუნო წყარო კამკამა ფერით,
გამჭვირვალეა შენი მზანებაც.

ყველა გულისთქმა ცრემლნარევია
თითქოს წესია, რატომ ივარგა,
ნუთუ თავხედმა ფიქრთა ამაღამ
დაიგვიანა, დაიგვიანა.



❧ *cicino natroSvil i*

მიწის ყივილი

ცივია ფანჯრის მინები
 კვლავ აუსვლელი ბუხარი,
 მაინც თბილია სოფელი,
 მე ჩემ თავს ჩუმად ვითხარი.

რადგან სოფელში გავიგე
 ფიფქუფენის ხმა თოვლზე,
 და შუადამეს ტკაცანი,
 შეჭირხლულ ხეების ტოტზე.

სადღაც შორეულ უბანში
 ძაღლის ყრუ ყეფა ჭკვიანი,
 ღუმელში ცეცხლის გიზგიზი,
 მამლის ყივილი გვიანი.

თოვლით დაფარულ ეზოში
 მამის ჩექმების ჭრიალი
 და დედის ლოცვა ახალ წელს,
 სიტყვები ღიმილიანი.

ეს ყველაფერი რატომღაც
 მიწის ყივილად ჩავთვალე,
 ამ ხმის გამოა, რომ ვხვდები
 სოფლის წყნარ სახლში ახალ წელს.

ქ-ნ მარო მაცაშვილს

კოჯორთან სამ დღეს იბრძოდა
 ულამაზესი ასული.
 მის გიშერივით თვალეზში
 კრთოდა სამშობლო ტანჯული.

მან საქართველოს მომავალს
 სიცოცხლე სანთლად აუნთო
 და ზამთრად ქცეულ გაზაფხულს
 თვისი სიცოცხლე დაუთმო!

სხვა სიყვარული ჩაახშო,
საშობლო ხატად იწამა
და ამიტომაც ის იქცა
საშობლოს დამცველ წმინდანად.

ბერი თევდორე

თევდორე ბერმა ჭალებში
დიდხანს ატარა მტერი,
გარს ერტყა მტერთა ლაშქარი,
თვით იყო დაუცველი.

მტრისა ფარ-ხმალის ჟღერიანი
უცებ მოედო ქართლს,
მეფემ ლაშქარი შეკრიბა
და მტერს დაესხა თავს.

მტერმა თევდორე აკაფა,
თუმც მათთვის იყო გვიანი,
მარადისობის ჭიშკარი
ბერმა შეაღო მშვიდად.

სხვათა წმინდანთა მლოცველი,
თვითონ წმინდანად იქცა.
ბერმა სიცოცხლე საშობლოს
მცირე საჩუქრად მისცა.

დას

giorgi mal aSxia

სტილი

კალამს რომ ვიღებ,
 ვწერ მე ლექსს სადას
 არა ტლანქს და რთულს,
 რომ არა ჰგავდეს
 სიჭრელით ფარდას,
 ფერებში ჩაფლულს.
 მეწვევა როცა მე შთაგონება
 ოცნებით გართულს,
 ვით პირმშო, გულში
 რომ მეკონება,
 ვუხმობ იმ ქართულს!
 კალამს რომ ვიღებ,
 ვწერ მე ლექსს სადას,

არა ტლანქს და რთულს,
 რომ ყველა ჩაწვდეს,
 ჩემს აზრებს ცხადად,
 ქარაგმით არ თქმულს,
 და სიხარულით მივწვდები ზეცას,
 ღრუბლებით დახნულს,
 ტკბილ ხმად მივაწვდენ
 მოყვარეს, მტერსაც
 სიტყვას ნაღდ ქართულს!
 სამყაროს ვხატავ,
 როგორც მწამს ისე,
 არ მწყინს მოწოდეთ,
 გინდ მოხალისე!

პოეზია

გულს ავსებს ფიქრი თავამდე,
 ვით ღვინო, ლამაზ სურას,
 ხისტად დამაყრის მკაცრ განცდებს,
 ხან მტანჯავს, ხან კი მკურნავს.
 ზოგჯერ დიდ სიბრძნეს იტევს,
 ხან მჩატობს, როგორც ფთილა,
 მომართულია, ხან მიტევს,
 მიღიმის ხან, ვით დილა!
 ხან ბობოქარი, ვით ქარი,
 შემიცვლის იერს, პოზას,
 ხან ფიცხია და აშარი,
 ხან – მდორე, როგორც პროზა!
 სულ სხვა რამ არის ფაქიზი
 ფიქრი ასხმული ლექსებად,
 აჟღერებული ხმა მისი
 თითქოსდა მეაღერსება!

განა ლექსია

ყველა სიტყვას აქვს მისი ადგილი,
როგორც ვაზის ძირს
და მერცხლის ბუდეც.
იპოვო იგი, აღარ არის სულაც ადვილი,
ვინაც ვერ აგნებს,
სჯობს, რომ დადუმდეს.
სიტყვას, ვით ხორბალს, მისი ფესვი აქვს,
ის უნდა იყოს გალალეზული.
განა სტრიქონი გარიტმული
ყველა ლექსია,
თუ კი არ არის, როგორც კერა,
აალებული!

საქართველოო, უნდა აყვავდე!

ქართული მიწავ, ხარ საწალკოტე,
სულ სხვა ფერი აქვს შენს ტიტებს, ვარდებს,
შენ უნდა შლიდე ნატვრის ხის ტოტებს,
უნდა გაბრწყინდე, უნდა აყვავდე!
ურყევ ფუძედ გაქვს დიდი წარსული,
გყავ ფარნავაზი, სპეტაკი ქუჯი,
გლოცავს თამარის უკვდავი სული,
ხარ სიკეთეთა სავსე საუნჯე,
უქრობი მადლის უხვი წიაღის
მპყრობელადა ხარ შვილთა გულების!
ლალ ოცნებათა ლურჯი ცის თაღის
გედვრება სითბო მარად ულვეცი.
ბუნება გერგო მადლით საზღაპრო,
ძენო კოლხეთის, მხარის ივერთა,
მოყვათთვის მოდგმით ხართ უღალატო,
რისხვა ხართ მხოლოდ მოსისხლე მტერთა!
გიდგანან მარად ბურჯებად ერის
სვეტიცხოველი, გელათი, გრემი...

ციური შუქით , ლაღი იერთ
საქართველოვ, ხარ ბაღი ედემის!
გვამხნევებ სულით დაუდეგარი,
როგორც ენგური, ანცი თერგია,
იდუმალ ფიქრებს გინახავს მტკვარი,
ჩქეფს ერის სიბრძნის ზღვა ენერგია!
დე, ენთოს შენი აზრის ნათელი,
სიტყვა კაზმული, ვით პატარძალი,
სიბრძნის მპყრობელი გონი ქართველის
ელავდეს მძაფრად, როგორც კვაზარი!
დე, ენთოს შენი აზრი ნათელი,
ამაღლდეს შენი მეზაირადე,
ჭემმარიტების აზრის მწვდომელი
ხალხის გულისკუნ ვინც კარებს აღებს!
და მისი ნდობის არის მფლობელი!
ამერ და იმერ, დე, დაინერგოს
წესი ურყევი, ვით კლდე, მაგარი,
ხალხს უნდა ერგოს, უნდა შეერგოს
მისი ნაღვაწი და მონაგარი!
ვერ გვნებდეს, ვით ვეფხს კლანჭები კატის,
თითო-ოროლა შვილი გაგრია,
მიიღებს მისას, ვინაც ღალატით
უწყალოდ გმარცვა და დაგანგრია!
უნდა აყვავდე სიკეთის რწმენით,
ალალ-მართალთა ნუგემ-იმედად,
ხარობდეს მყარად ქართული გენი,
ლოცავდეს შენს დიდ გზას ქართლის დედა!
ქართული მიწავ, ხარ საწალკოტე,
ახარებ მკერდზე ტიტებს და ვარდებს,
შენ უნდა შლიდე ნატვრის ხის ტოტებს,
ედემის ბარად უნდა აყვავდე!





igor kvesel ava

განათლება და პოლიტიკა (პოლიტიკური მეცნიერებების სწავლების საკითხისათვის უმაღლეს სასწავლებლებში)

მსოფლიოს გამოჩენილმა მოაზროვნეებმა, ცოდნის სახით, კაცობრიობას უდიდესი მემკვიდრეობა შეუქმნეს და დაუტოვეს. ცოდნის ამ საგანძურში კი განსაკუთრებული ადგილი უკავია მეცნიერებას პოლიტიკის შესახებ.

პოლიტიკა მოიაზრება როგორც სახელმწიფო საქმეების მართვის მეცნიერება და ხელოვნება, ადამიანთა ურთიერთობის ფორმა, მათი კოლექტიური არსებობის აუცილებელი პირობა და საშუალება.

საყოველთაოდ აღიარებულია, რომ პოლიტიკის გარეშე ადამიანი არ არსებობს. კაცობრიობა არ იცნობს პოლიტიკაზე უფრო ძლიერ ფენომენს, რომელშიც ადამიანი ყოველდღიურადაა ჩართული. თუ გერმანელ მეცნიერს ოსვალდ შპენგლერს დავესესხებით, „პოლიტიკა არის ცხოვრება და ცხოვრება არის პოლიტიკა“. ამაში მსოფლიო პოლიტიკური გამოცდილება გვარწმუნებს, რადგანაც ყოველი მნიშვნელოვანი მოვლენა პოლიტიკას უკავშირდება. საზოგადოების წევრს, ყოველდღიურ ცხოვ-

რებაში, უშუალო და რეალური ურთიერთობა აქვს პოლიტიკის რომელიმე სფეროსთან, რომელსაც მოიხსენიებს სხვადასხვა ცნებებით: „ეროვნული პოლიტიკა“, „საშინაო პოლიტიკა“, „ეკონომიკური პოლიტიკა“, „საგარო პოლიტიკა“, ეკოლოგიური, „საფინანსო“, „საგანმანათლებლო“, „კულტურული პოლიტიკა“ და ა.შ.

ასეთ ვითარებაში საზოგადოების ყოველი წევრისათვის აუცილებელია ასე თუ ისე ფლობდეს ცოდნას პოლიტიკის შესახებ. მით უმეტეს თუ ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული ხელისუფლებასთან, სხვადასხვა სამთავრობო და არასამთავრობო სტრუქტურებთან და ა.შ.

პოლიტიკის ცოდნის გარეშე მდგომი „ელექტორატი“, ანუ ხალხის მასა, ვერ ერკვევა ხელისუფლების ლაბირინთებში, არ იცის ელემენტარული საარჩევნო ტექნოლოგია, აკეთებს ცუდ ან უვარგის არჩევანს და შემდგომში იძულებული ხდება ამ არჩევანის შესაბამისად იცხოვროს.

რაც შეეხება პოლიტიკოსებს, ცალკეულ შემთხვევაში ისინი „თა-

ვით“ ანუ აზროვნებით კი არ ქმნიან პოლიტიკას, არამედ „ხელებით და ფეხებით“ და ასეთ ვითარებაში არც სახელმწიფო ვითარდება და არც საზოგადოება. არ ხდება გონივრული მართვა, ე.ი. ქვეყანაში, კერძოდ მის საგანმანათლებლო სივრცეში არ არსებობს სათანადო პროფესიული მომზადების პირობები.

სამწუხაროდ, ამ მიმართებით არც საქართველოა გამონაკლისი. პოლიტიკური მეცნიერების სწავლებისა და მეცნიერული კვლევის თემა არც ისე ძველია და ორათეულ წელზე ცოტა მეტს ითვლის. ფაქტობრივად იგი დამოუკიდებელი საქართველოს პირველია. დღეისთვის გარკვეულია პოლიტოლოგიის მეცნიერებისა და სასწავლო დისციპლინის დამოუკიდებელი სტატუსი უმაღლესი სასწავლებლებში. განსაზღვრულია, რა მოცულობით უნდა შეისწავლონ პოლიტოლოგია მომავალმა ინჟინრებმა, იურისტებმა, ეკონომისტებმა, ჟურნალისტებმა, პედაგოგებმა და ა.შ.

ცხადია, საკითხის გადაწყვეტა ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან და საზოგადოების მოთხოვნილებებიდან უნდა გამომდინარეობდეს და შორს არ უნდა იდგეს მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების უმაღლესი სასწავლებლების პრინციპებიდან და პრაქტიკიდან.

უსამართლობა იქნებოდა არ შეგვენიშნა, რომ პოლიტოლოგიის სწავლებისა და კვლევის პირველი ნაბიჯები თბილისის სახელმწიფო, ტექნიკურ, აგრარულ და ბათუმის უნივერსიტეტებში გადაიდგა. გამოიცა პირველი სახელმძღვანელოები, სალექციო კურსები, მეთოდური ლიტე-

რატურა. პოლიტიკურ მეცნიერებათა პირველი დოქტორი მომზადდა ტექნიკურ უნივერსიტეტში. ამავე უმაღლეს სასწავლებელში მოხდა პოლიტოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო არეალის გაფართოება. პოლიტოლოგიისა და პოლიტიკური ისტორიის კათედრის ბაზაზე ჩამოყალიბდა „პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების“ კათედრა, რომლის ბაზაზე გაიხსნა კიდევაც „საერთაშორისო ურთიერთობების“ საბაკალავრო და სამაგისტრო სპეციალობები.

მიუხედავად ამისა, პოლიტოლოგია ჯერ კიდევ ვერ დამკვიდრდა სავალდებულო სასწავლო საგნად და მთელ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში ის არჩევითი საგნის სტატუსით ფუნქციონირებს. სახელმწიფო თუ არასამთავრობო სტრუქტურებში მომუშავე მოხელეთა უმრავლესობა სიამოვნებით უწოდებს თავის თავს პოლიტოლოგს, თუმცა ამ მიმართულებით მცირე ცოდნას ფლობს. სხვა საქმეა ტელევიზიებსა და პრესაში პოლიტიკის ექსპერტებად მოვლენილი ადამიანები, რომლებიც შორს დგანან ანალიტიკურობისაგან და „ხელი გავიქნიე ფეხის“ ლოზუნგებით წამლავენ საზოგადოებას, ქადაგებენ სიცრუეს და არიან მკვეთრად მიკერძოებულები.

საინტერესოა, რომ მეცნიერებას პოლიტიკის შესახებ დიდი გაქანება არც სხვა ქვეყნებში აქვთ და კითხვას – რატომ ხდება ეს ასე ერთი პასუხი აქვს: მთავარია მოხვიდე ხელისუფლებაში, დაეუფლო მას, მაგრამ ჩასჭიდო ხელი, ხოლო, რაც შეეხება მის მართვას, არ არის მთავარი როგორ

გამოგია და როგორ მოახერხებ ამას. ასეთ ვითარებაში შეიძლება იფიქრო კიდევაც – პოლიტიკური მეცნიერება სჭირდება ქვეყანას?

სამწუხაროდ, ხელისუფლების ცალკეულ მფლობელებს არ აინტერესებთ პოლიტიკის კულტურისა და სოციალიზაციის სრული დონე, რადგანაც ასეთი საზოგადოება ყოველთვის მზადყოფნაშია კრიტიკულად გაანალიზოს და შეაფასოს ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები, მართვის უუნარობა, საკადრო გადაცდომები, სწრაფვა ელიტარული კორუფციისაკენ და სხვ.

ჩვენ შორს ვართ მოსაზრებისაგან, ექვის ქვეშ დავაყენოთ დემოკრატიული ფასეულობანი, მაგრამ დემოკრატიისადმი მიძღვნილ ასობით ტირადებს შორის, არის განსახვავებული მოსაზრებები:

პლატონის აზრით, დემოკრატია წარმოშობს ტირანიას – სახელმწიფოებრივი მოწყობის ყველაზე უარეს ფორმას;

ჯონ ადამსი – ამერიკის პრეზიდენტი – სახელმწიფოსა და პოლიტიკის შესახებ ფუნდამენტური ნაშრომის ავტორი წერს: „დემოკრატია არასოდეს არ ყოფილა და ვერც იქნება ისე სასურველი, როგორც არისტოკრატია ან მონარქია, მაგრამ სანამ არსებობს, იგი უფრო მეტ სისხლს ღვრის, ვიდრე უკანასკნელნი. დემოკრატია ყოველთვის დღემოკლეა.

გერმანელი სოციოლოგის რობერტ მიხელსის თეზა „რკინის კანონი“, მიიჩნევს, რომ საზოგადოება ვერ აცდება ოლიგარქების ბატონობას, ამიტომ დემოკრატია ამ სიტყვის

სრული მნიშვნელობით, შეუძლებელია.

ფართოდაა ცნობილი უინსტონ ჩერჩილის გამოთქმა: დემოკრატია ცუდია, მაგრამ უკეთესი არ გამოუგონებიათ.

გამოჩენილი ავსტრიელი ეკონომისტის და სოციოლოგის იოსებ შუმპეტერის მონოგრაფიაში „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“. წამოყენებულია კაპიტალიზმის სოციალიზმში თანდათანობით ტრანსფორმაციის კონცეფცია და ევოლუციის ეს პროცესი მიჩნეულია კაპიტალიზმის ეკონომიკურ წარმატებად და არა მის დამარცხებად. ავტორს წამოყენებული აქვს ეკონომიკური და სოციალური დემოკრატიის ახალი თეორია, და დემოკრატიის კლასიკური ფორმა კი სასტიკად აქვს გაკრიტიკებული.

უდავოა, დემოკრატიის ფორმამ და შინაარსმა დიდი ცვლილებები განიცადა საუკუნეების მანძილზე და ეს პროცესი დღესაც გრძელდება.

დემოკრატიაში ხალხი ხედავს სამართლიანობას, სიკეთეს და წესრიგს, კანონიერებასა და კეთილდღეობას, მაგრამ არსებობს საპირისპიროც, უსამართლობა და უკანონობა.

შეგვიძლია ვილაპარაკოთ, რომ სხვადასხვა ხალხებს დემოკრატიის სხვადასხვა მოდელი აქვთ, საკუთარი ტრადიციებიდან, ისტორიული მახსოვრობიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, თუმცა საბოლოო ჯამში მას ეროვნულ განზომილებამდე მიყვავართ.

ქართული პოლიტილოგიური სკოლა პოსტსაბჭოურ საქართველოში 1994 წელს ჩამოუყალიბდა, ივანე

ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში, როდესაც შეიქმნა სამეცნიერო საბჭო და ამით საფუძველი ჩაეყარა სამეცნიერო კადრების ატესტაციის პროცესს.

წინადადებული ნაბიჯები იყო საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა დარგობრივი აკადემიის ჩამოყალიბებაც, რომელსაც პროფესორი ვლადიმერ ჭანუყვამე ხელმძღვანელობდა.

თუ გავვლებთ პარალელს სხვა ქვეყნების სამეცნიერო პოლიტიკურ ცენტრებთან (საფრანგეთი, პოლიტიკური კვლევის თავისუფალი სკოლა, 1871 წ.; ლონდონის პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა, 1895 წ.; პოლიტიკურ მეცნიერებათა ამერიკული ასოციაცია, 1903 წ. და ა.შ.) თანამედროვე საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა კერები და შემადგენლობა მოკრძალებულია, მაგრამ უმართებულო იქნებოდა არ გაგვეხსენებინა, საქართველოში მოქმედი ფაზისის, გელათის, იყალთოს და სხვა უძველესი აკადემიები და სკოლები, რომლებშიც არაერთი ქართველი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე იღებდა წრთობას.

პოლიტოლოგიის როგორც მეცნიერების გაფართოება (პოლიტოლოგია, გამოყენებითი პოლიტოლოგია, შედარებითი პოლიტოლოგია) დღის წესრიგში დააყენა მეცნიერული და პრაქტიკული გამოყენება. სწორედ ამ მიზანს ისახავდა საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 4 ივლისის განკარგულება „საქართველოში პოლიტიკურ მეცნიერებათა კვლევისა და სწავლების შემდგომი გაუმჯობესების გადაუდებელ ღონისძიებათა შე-

სახებ“, რომელიც უმაღლესი განათლებისა და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტების სივრცეში პოლიტიკური დისციპლინების ახლებურად კვლევას, სწავლებასა და გააზრებას გულისხმობდა.

ცხადია, ქართული, დამოუკიდებელი სახელმწიფოს მშენებლობის თანამედროვე ეტაპი მოითხოვდა სადღეისო და სამომავლო ამოცანების, ქვეყნის ახალი ფუნქციური დანიშნულების შესწავლა-გაანალიზებას, სტუდენტების მიერ ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ათვისებას და გაცნობიერებას, პოლიტიკური კულტურის დონის ამაღლებას, იმის ნათლად გარკვევას თუ რა გაკეთდა ქვეყანაში, რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს.

ამ თვალსაზრისით, თანამედროვე საგანმანათლებლო სტატუსის მქონე უნივერსიტეტებში პოლიტოლოგიას განსაკუთრებული როლი ეკისრება. მით უმეტეს საქართველო ხელსაყრელ პოლიტიკურ არეალში და აქტიურად არის ჩართული მსოფლიო პოლიტიკურ პროცესებში. შესაბამისად საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრება თავად კარნახობს სტუდენტობას აეთვისებინათ პოლიტიკური ტექნოლოგიები, წარმოდგენა ჰქონდეს ხელისუფლებაში მოსვლის, ძალაუფლების შენარჩუნების პოლიტიკური პროგნოზირებისა და ანალიზის, პოლიტიკური რეკლამის, პიარის ტექნოლოგიების და სხვა ინსტიტუტებზე.

დაისმის კითხვა: სად ეცნობა პოლიტიკური აზროვნების განვითარებისათვის საჭირო, თუნდაც ზოგად მასალებს ახალგაზრდა თაობა? სკო-

ლებში ამ მიმართულებით არაფერი კეთდება, აბიტურიენტები, როგორც წესი, ამ საგანს მისაღებ გამოცდებზე არ აბარებენ, საუნივერსიტეტო სტატუსის მქონე უმაღლეს სასწავლებლებში კი დამკვიდრდა ტენდენცია სასწავლო გეგმიდან, საერთოდ ამოიღო ეს დისციპლინა, ან არჩევითი და ფაკულტატური გაეხადათ.

შედგება ვიღებთ უმეცარ, დაბალი პოლიტიკური კულტურის, საზოგადოების არასრულფასოვან, მოვლენებისა და პროცესების შეფასების უნარმოკლებულ უმაღლესდამთავრებულებს.

წარმოუდგენლად გვეჩვენება იმის გაფიქრება, რომ ეს ვიღაცის მიერ განზრახ კეთდება, რათა ქვეყანას საზოგადოება კი არ ჰყავდეს, არამედ დაბალი პოლიტიკური კულტურის ბრბო, რომლის მართვა ადვილია შიგა და გარეშე ძალების მიერ.

სხვა მხრივ, სწორედ ასეთი ელექტორატი ირჩევს „რჩეულებს“, საპარლამენტო თუ ადგილობრივ საკრებულოში, რომელთა გარკვეულ ნაწილს ერთმანეთთან გონივრული კამათი და აზრთა ურთიერთგაზიარება არ შეუძლია და ცხვირპირს დამტვრევაზე გადადის. რაც შეეხება საქართველოს დღევანდელი პარლამენტს, მის წევრთა გარკვეულ ნაწილს ელემენტარული პოლიტიკური კულტურა არ გააჩნია, არა აქვს ცოდნა და პარლამენტში აქტიურ მოღვაწეობას კი არ ეწევა, არამედ უბრალოდ ზის და ზიანს აყენებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას.

საქართველოში ქვეყნის ბედს ყოველთვის ხელისუფლების ვიწრო ჯგუფი წყვეტდა, თუმცა დემოკრატი-

ის კლასიკური განმარტების ავტორი აბრამ ლინკოლნი ასე იმოდღვრებოდა „ხალხის მიერ და ხალხისათვის“.

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობა ითვალისწინებს საზოგადოების ჩართვას ამ პროცესში, თუმცა საქართველოში ყოველთვის ცდილობდნენ ეს ზემოდან დიქტატით განეხორციელებინათ, სწორედ ამის გამო გაჩნდა ქვეყანაში სტუდენტების საპროტესტო მოძრაობა და ასპარეზზე გამოვიდა საზოგადოების აქტიური ფენა, რომელსაც აინტერესებს საკუთარი ქვეყნის ბედი და მომავალი, მაგრამ სწორედ აქ ცდილობდა „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლება ეს ყველაფერი სათავისოდ გამოეყენებინა და ემართა სტუდენტური მოძრაობის პოლიტიკური პროცესი. ამ შემთხვევაში გადაგდებული იქნა საკენკი – „ბუჩქებისაკენ“ და ასობით სტუდენტმა ტაში დაუკრა პრეზიდენტ მ. სააკაშვილის ახალი ნეოლიბერალიზმის თეზას – „ბუჩქებიდან“ დანახულ პიროვნულ თავისუფლებას, რომელიც თანდათანობით იცლებოდა ეროვნული, პატრიოტული პოლიტიკისა და სულისკვეთებისაგან.

უდავოა, „ბუჩქის“ იდეოლოგიის თანაზიარ სტუდენტობას ნაკლები დრო და სურვილი ჰქონდა პოლიტიკურ, ფილოსოფიურ, რელიგიურ და სხვა დისციპლინებს დაუფლებოდა. თუ ხელისუფლებისა და სტუდენტობის ურთიერთდამოკიდებულებას სახელმწიფოს პოლიტიკური პორტრეტის ერთ-ერთ შტრიხად ვაღიარებდით, მაშინ აუცილებელი ჩანდა საუნივერსიტეტო განათლების ფარგლებში ისტორიისა და პოლიტი-

კური მეცნიერებების ღრმად გააზრება, სხვადასხვა პოლიტიკური ტექნოლოგიის დაუფლება, სახელისუფლებო კურსის გაანალიზება და დადებითი თუ ნეგატიური მხარეების გარკვევა.

„ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის ტექნოლოგიური პროცესებისაგან სწრაფად თავის დაღწევა ადვილი არ აღმოჩნდა. ახალ თაობას ახლა უწევს იმის გაცნობიერება, რომ მოქალაქის პასუხისმგებლობის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკაფიო გამოვლინება საკუთარი ქვეყნის კრიტიკაა, რომელიც უნდა დაეხმაროს მმართველ რეჟიმს სახელმწიფო სისტემის სრულყოფაში. სხვათა შორის, ეს კარგად ჰქონდათ გაცნობიერებული ერის დიდ მოღვაწეებს, ილიას, აკაკის, ვაჟას და სხვებს, რომლებსაც კრიტიკა პატრიოტიზმის უმაღლეს გამოხატულებად მიაჩნდათ.

როდესაც უშუალოდ ვლადიმერ კობთ პოლიტიკური მეცნიერების სწავლების პრობლემებზე და პერსპექტივებზე, მხედველობაში გვაქვს კონკრეტული მიზანი.

ა) რა პროგრამით სარგებლობენ სტუდენტები და რა სახელმძღვანელოების მიხედვით სწავლობენ სტუდენტები პოლიტოლოგიას;

ბ) სტუდენტთა მოსაზრებები სასწავლო პროცესის შესახებ;

გ) პოლიტიკური მეცნიერების სწავლების დასავლური გამოცდილების მოდელის გაცნობა;

დ) პოლიტიკური მეცნიერების სწავლების სრულყოფის კონკრეტული ამოცანები.

წინამდებარე სტატიაში ვცდილობთ ამ კითხვებსაც გავცეთ პასუხი.

ვერ ვიტყვით, რომ პოლიტოლოგიაში ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე არ არსებობს ლიტერატურა, მაგრამ პრობლემად რჩება არსებული პოლიტოლოგიური ლიტერატურის ხელმისაწვდომობის საკითხი, ამიტომ სასწავლო პროგრამებში შეტანილ უნდა იქნას მხოლოდ ის ლიტერატურა, რომელზედაც სტუდენტებს ხელი მიუწვდებათ. ამასთან დაკავშირებით გამართლებულად გვეჩვენება პოლიტოლოგიის კათედრებთან შეთანხმებული ერთიანი პროგრამის შექმნა, რომელიც სავალდებულო იქნებოდა ყველა უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

ცხადია, პოლიტოლოგიის მეცნიერების დაუფლების მთავარი ობიექტი სტუდენტია. მათი ერთი ნაწილი მას მომავალ სპეციალობად ირჩევს, რაც ამ მეცნიერებისადმი დიდი ინტერესით და პოლიტოლოგიის საზოგადოებრივი სტატუსის მოწონებით გამოიხატება; სხვა უფრო დიდი ჯგუფი ასეთი გადაწყვეტილების მიღების მიზეზად მიიჩნევს მომავალში აქტიურ პოლიტიკაში მოსვლის სურვილს.

თუმცა, გულახდილად რომ ვთქვათ, სტუდენტთა მიერ პოლიტოლოგიური ლიტერატურის წამკითხველთა რაოდენობა ძალიან მცირეა, დაბალია სამეცნიერო მუშაობის, და ლექტორსა და სტუდენტს შორის ინდივიდუალური მუშაობის ინტეგრირება. რაც იმის მაუწყებელიცაა, რომ შრომის ბაზარზე კონკურენტულ სპეციალისტებად ჩამოყალიბება და მათი დასაქმების პერსპექტივა მეტად ბუნდოვანია.

პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა საკმაო ნაწილი ფიქრობს, რომ პოლიტოლოგიის როგორც სასწავლო და საკვლევო დისციპლინის განვითარებაში თავიანთ დროზე შემაფერხებელ როლს ასრულებდა ის, რომ პოლიტოლოგიის კათედრა მეცნიერული კომუნიზმის კათედრის ბაზაზე შეიქმნა და კათედრების წევრების ნაწილი ვერ გამოვიდა კომუნისტური იდეოლოგიის ტყვეობიდან; ორგანიზაციულად ვერ მოხერხდა პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტების ჩამოყალიბება, როგორც ეს მოხდა მოსკოვის, პეტერბურგის, ყაზანის და სხვა უმაღლეს სასწავლებლებში.

აუცილებლად განსხვავებული უნდა იყოს პოლიტოლოგიის სპეციალობის სტუდენტებისათვის ისტორიული საგნების შესწავლის მიდგომები და ძირითადი აქცენტი უნდა გაკეთდეს პოლიტიკურ ისტორიაზე.

დასავლეთის საგანმანათლებლო გამოცდილებიდან გამომდინარე, სტუდენტებისათვის მეტი თავისუფლების თუ არჩევანის მისაცემად უმჯობესი იქნებოდა სოციალურ მეცნიერებათა დისციპლინების ოთხი ბლოკის შეთავაზება. ესენი იქნებოდა: ისტორია, სოციოლოგია, ფილოსოფია და ეკონომიკა, საიდანაც სტუდენტები საკუთარი შეხედულებისამებრ აირჩევდნენ სასურველ საგნებს. ამასთანავე აუცილებელია თანამედროვე რეალიებთან შესაბამისობაში მყოფი ახალი სალექციო კურსების შედგენა.

ცხადია, პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტად ჩამოყალიბების შემთხვევაში უნდა შეიქმნას შესაბა-

მისი პროფილის პროგრამები (მაგალითად, პოლიტოლოგიის, საერთაშორისო ურთიერთობების, საქართველოს პოლიტიკური ისტორიის, პოლიტიკური სოციოლოგიის და ა.შ.).

სხვა შემთხვევაში პოლიტიკური მეცნიერების განუვითარებლობა მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას მოახდენს ქართული სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების მრავალ ასპექტზე. მით უმეტეს, გადაწყვეტილებები ღრმა ანალიზისა და დეტალების დამუშავების გარეშე არ უნდა მიიღებოდეს. ასეთი სამუშაოს ჩატარება კი მხოლოდ სპეციფიკური და ღრმა პოლიტოლოგიური ცოდნის მატარებელ კადრებს შეუძლიათ.

დღეს სტუდენტთა უდიდეს უმრავლესობას მიაჩნია, რომ მიღებული პოლიტოლოგიური ცოდნა პრაქტიკულად გამოუსადეგარია და მათთვის სპეციალობით სამსახურის პოვნის შანსი ძალიან მცირეა.

სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ ყოველივე ამის უმთავრესი მიზეზი არის პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის არარსებობა და მისი სპეციალობის სახით სხვა ფაკულტეტის დაქვემდებარებაში ყოფნა.

ამრიგად, საერთო დაკვირვების სახით შეიძლება ითქვას, რომ პოლიტოლოგიის სპეციალობით ბაკალავრიატდამთავრებული არ არის პროფესიონალი სპეციალისტი, არა აქვს შესაძლებლობა ინტენსიურად შეისწავლოს ორი ან მეტი ძირითადი საგანი, რომლებიც საჭირო დისციპლინების პაკეტის ნაწილს წარმოადგენენ და რომლებიც მათ სპეციფიკური კარიერის შექმნის შანსს აძლევს.

თუმცა გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პოლიტოლოგებზე მასობრივად საზოგადოებრივი დაკვეთა არ არსებობს.

საინტერესოა პოლიტიკურ მეცნიერებათა სწავლების პრობლემა საზღვარგარეთის ქვეყნებში, სადაც იგი ელიტარულ დისციპლინად ითვლება და „არისტოკრატიულ“ მეცნიერებასაც უწოდებენ.

მაგ., ამერიკის შეერთებულ შტატებში პოლიტიკური მეცნიერება მედიცინის, სამართლის თუ კომპიუტერული პროგრამირების ტოლფასია. საქმე ისაა, რომ აქ პოლიტიკის კვლევასა და შესაბამის გამოყენებით ტექნოლოლოგიებზე დიდი მოთხოვნილებაა და არსებობს სოლიდური ბაზარი, რომელზეც ამ დარგის სპეციალისტის ცოდნა და გამოცდილება ძვირად ფასობს.

პროფესიონალ „პოლიტიკის მეცნიერთა ჩამოყალიბებასა და მომზადებაში უდიდეს როლს ასრულებენ უნივერსიტეტები, კერძოდ პოლიტიკურ მეცნიერებათა დეპარტამენტები, რომლებიც დამოუკიდებლად გეგმავენ სტუდენტებისათვის შესათავაზებელი პროგრამებისა და საგნების სიას.

ამერიკის ყველა უნივერსიტეტში არსებობს შესაძლებლობა ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად.

პოლიტიკური მეცნიერებების დეპარტამენტი ყველა უნივერსიტეტში იყოფა რამდენიმე სუბდეპარტამენტად (პოლიტიკური თეორიის, შედარებითი პოლიტიკის, ამერიკის პოლიტიკისა და საერთაშორისო საგ-

რო პოლიტიკის – დიპლომატიის სუბდეპარტამენტები.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობენ ნამდვილი პროფესორები, ამერიკისა თუ უცხოეთის ქვეყნების უნივერსიტეტიდან მოწვეული დროებითი პროფესორები და დროებითი ლექტორები (პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეები, ცნობილი მკვლევრები, რომლებიც კითხულობენ რამდენიმე ლექციისაგან შემდგარ სპეცკურსებს.

თითოეულ ჰუმანიტარულ საგანზე მთლიანი კურსის მოსმენის შემდეგ სტუდენტს ეძლევა 4,0 კრედიტი. ბაკალავრის წოდების მისაღებად საჭიროა 180-210 კრედიტის მოგროვება. უმაღლესი სასწავლებლების ნაწილი ფუნქციონირებს როგორც კვარტალურ, ისე სემინარულ სისტემაზე.

თუ სტუდენტს ნაწილი აპირებს ბაკალავრის ხარისხის მოპოვებას, ის ზოგადი სახის ბაზისურ ინფორმაციას იღებს შემდეგი დისციპლინების მეშვეობით: შედარებითი, ამერიკისა და მსოფლიო პოლიტიკა, პოლიტიკური თეორია, პოლიტიკური ეკონომიისა და სტატისტიკური მეთოდების კვლევა, ანთროპოლოგია და ფილოსოფიის შესავალი, ფაქტობრივად ისინი წარმოადგენენ შესავალ საგნებს, რომლის შემდეგაც სტუდენტს ნება ეძლევა მაღალი კატეგორიის საგნები აიღონ.

რაც შეეხება მაგისტრატურის დონეს, აქ სტუდენტი სპეციალობას ირჩევს. მაგალითად, საერთაშორისო საგარეო ურთიერთობის სპეციალიზაციის შერჩევისას, ის ვალდებულია ამ განხრით მინიმუმ ოთხი კურსი შეარჩიოს შემოთავაზებული უამრავი საგ-

ნის კატალოგიდან. აგრეთვე მის ვალდებულებაში შედის, აირჩიოს 2-2 საგანი ორი დარჩენილი პოლიტიკური სპეციალიზაციიდან, პლუს 2 ნებისმიერი პოლიტიკის მეცნიერების სფეროდან არჩეული საგანი. ანუ ეს შეადგენს ჯამში 10 საგანს პოლიტიკურ მეცნიერებათა ნუსხიდან.

ამასთანავე, სტუდენტს შეუძლია პროფესორის ზედამხედველობით შექმნას საკმაოდ დიდი მოცულობის კვლევითი ნაშრომი.

სტუდენტის უნივერსიტეტში სწავლის პროცესი საკმაოდ დატვირთულია. იგი არა მარტო აკადემიური, არამედ დისციპლინური წნეხის ქვეშაც ექცევა. თითოეული პროფესორი 10-კვირიანი საგნის სწავლების განმავლობაში სტუდენტს ავალებს, წაიკითხოს 6-10 წიგნი, აწარმოოს დამოუკიდებელი კვლევა არჩეული პრობლემატიკის განხრით, საკმაოდ საფუძვლიანად გაეცნოს დამატებით პოლიტიკურ ლიტერატურას თუ პრესას, ინტერნეტის მეშვეობით მოიპოვოს საჭირო ინფორმაცია.

ამასთან ერთად, სტუდენტი ვალდებულია დაწეროს რამდენიმე მოკლე კვლევითი შრომა და ყოველკვირეული საკონტროლოები, წერილობით ჩააბაროს წერიტი საკონტროლი გამოცდები.

ამერიკული სწავლების მოდელის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სასწავლო პროცესის დროს სტუდენტისა და პროფესორის ან ამ უკანასკნელი ასისტენტებთან ხშირი აკადემიური სახის ურთიერთობა.

ამერიკის უნივერსიტეტებში სტუდენტებს სთავაზობენ არა მარტო სასწავლო პროგრამებს, არამედ დახე-

ლოვნების მიზნით შექმნილ საგანგებო პროგრამებს, რომელიც გარკვეულ შეღავათს აძლევს სტუდენტის კანდიდატურას მაგისტრატურაში ჩაბარების დროს. ასეთივე შეღავათად ითვლება სტუდენტისათვის დეპარტამენტისა და რექტორის მიერ ყოველწლიურად წარჩინებულთა სიაში აღმოჩენა.

მაგისტრატურის სტუდენტს შესაძლებლობა ეძლევა, უკვე ოფიციალურად, მონახოს ნახევარგანაკვეთიანი სამუშაოც პოლიტიკურ ცენტრებში, პოლიტიკასთან დაკავშირებულ კორპორაციებში, სახელმწიფო სტრუქტურებში, სხვადასხვა სახისა და დონის საარჩევნო კამპანიებსა თუ აკადემიური მივლინების პროგრამებში.

საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში სათანადო დონეზე არ დგას გამოყენებითი პოლიტოლოგიის შესწავლა და კვლევა.

გამოყენებითი პოლიტოლოგია არის პოლიტიკური მართვის დისციპლინების ერთობლიობა, ანუ ეს არის ცოდნა, რომლითაც ხდება საზოგადოებრივი პროცესების მართვა.

სპეციალისტის მომზადებას პოლიტიკური ტექნოლოგიის მიმართულებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რადგანაც იგი ფაქტობრივად ხელისუფლების განხორციელების ყოველ ნაბიჯზე გამოიყენება (საინფორმაციო-ანალიტიკური, სარეკლამო-იმეჯიკერული, ლობირება, პოლიტიკური კონსულტირება, სახალხო პოლიტიკის ფორმირების რისკის მართვის, კრიზისული და სხვა ტექნოლოგიები).

სამწუხაროდ, ამ მიმართულებით სასწავლო დაწესებულებები ინერტულობას იჩენენ მაშინ, როდესაც ქვეყანა აშკარად განიცდის პოლიტოლოგიაში პროფესიული კადრების ნაკლებობას, რომლებიც რაციონალური ხერხებით შეძლებდნენ რთული პოლიტიკური ამოცანების გადაჭრას.

დღესდღეობით შექმნილია სახელმწიფო სტანდარტები, რომლის მიხედვითაც საგნები სამ ძირითად სფეროდ შეიძლება დაიყოს: პოლიტიკური თეორია, სოციალური თეორიები, გამოყენებითი პოლიტოლოგია.

გამოყენებითი პოლიტოლოგიის სპეციალისტებზე საქართველოში უფრო მეტი მოთხოვნილებაა, ვიდრე თეორეტიკოს პოლიტოლოგებზე.

საქართველოში აშკარად იგრძნობა ისეთი სპეციალობების სწავლების აუცილებლობა, როგორცაა: პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება, პოლიტიკური კომუნიკაციები, პოლიტიკური დოკუმენტების მომზადება, ინფორმატიკა და სხვ. ამაზე მეტყველებს უამრავი სტატია და ის პრაქტიკული მუშაობა, რომელიც მიმართულია ახალი სასწავლო ცენტრების შექმნისათვის გამოყენებითი პოლიტოლოგიის სფეროში.

საქართველოში ამ მიმართულებით გარკვეული ძვრები შეინიშნება ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც შეიქმნა პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების, სახელმწიფო მოხელის მომზადების პროგრამები.

პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ყოფილი კათედრის ბაზაზე გაიხსნა სპეციალობა

„საერთაშორისო ურთიერთობები“, რომელშიც სტუდენტები გადიან შემდეგ დისციპლინებს:

- ა) საერთაშორისო ურთიერთობები;
- ბ) დიპლომატია და რეგიონთმცოდნეობა;
- გ) საერთაშორისო სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანიზაციები;
- დ) პოლიტიკური ტექნოლოგიები;
- ე) ეკონომიკური დიპლომატია;
- ვ) საერთაშორისო და რეგიონული კონფლიქტები და ა.შ.

მეცნიერულ წრეებში დამკვიდრებული ერთგვარი კანონის თანახმად, პოლიტიკური მეცნიერების დამკვიდრებაზე საუბარი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ასე თუ ისე, ფეხმოკიდებულია შესაბამისი სუბდისციპლინები, რომელთა რაოდენობა პოლიტოლოგიაში 80-მდეა.

მიღებული სტანდარტის თანახმად, სუბდისციპლინის არსებობა შეიძლება დაფიქსირდეს მხოლოდ მაშინ, თუკი ამ სფეროში არის ორიგინალური და ნათარგმნი, ათასამდე პუბლიკაცია. სამწუხაროდ, დღეს საქართველოში პოლიტოლოგიის რომელიმე სუბდისციპლინაში კი არა, თავად პოლიტოლოგიაში შეიძლება მთლიანად არ არსებობდეს ამდენი სამეცნიერო პუბლიკაცია.

ბუნებრივია, ასეთი სიტუაცია მავნე გავლენას ახდენს საქართველოს პოლიტიკური ცხოვრების მრავალ ასპექტზე. ეს გავლენა განსაკუთრებით იგრძნობა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც, პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირად სპონტანურ ხასიათს ატარებენ, უკეთეს შემთხვევაში კი მხო-

ლოდ ზედაპირული მსჯელობის საფუძველზე მიიღებინან. ასეთი გადაწყვეტილებები, რა თქმა უნდა, საკმაოდ საზიანოდ მოქმედებს სახელმწიფოზე, მის ყოველდღიურ ცხოვრებასა და ეროვნულ ინტერესებზე.

სპონტანური, გაუაზრებელი, გადაწყვეტილებები მიუთითებს იმაზე, რომ საუნივერსიტეტო პოლიტიკური მეცნიერება არც თუ სახარბიელო მდგომარეობაშია.

მკვლევართა უმეტესობა, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, პოლიტიკურ თეორიაში მუშაობს. გამოყენებითი პოლიტოლოგიიდან უპირატესობას უფრო პოლიტიკური მარკეტინგს ენიჭება. პოლიტიკური მე-

ნეჯმენტი და პოლიტიკური ანალიზი ნაკლებად შეისწავლება.

პოლიტოლოგიის სწავლების განვითარებისათვის შესამუშავებელია პოლიტოლოგიის სასწავლო კურსის რამდენიმე მოდელი აუდიტორიის, ხასიათისა და სპეციალობიდან გამომდინარე. შესაქმნელია ნათარგმნი და ორიგინალური ლიტერატურის ფონდი ქართულ ენაზე.

უკანასკნელ პერიოდში ამ მიმართულებით კონკრეტული ნაბიჯებია გადადგმული საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. მომზადების სტადიაშია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები პოლიტიკურ მეცნიერებებში.





საქართველო კვლავ განგაშის მდგომარეობაშია

ისევ განგაშის მდგომარეობაშია საქართველო. ეს განგაში არა და არ მთავრდება. სწორედ ამიტომ არის, რომ მთელი ქვეყანა პოლიტიზებულია. ყველაფერი იმ შიშიდან გამომდინარეობს, რაც დაბადა ჩვენს წარმოდგენაში ბოლო დროის მოვლენებმა. სამწუხაროდ, მეც იმ ადამიანების რიცხვს ვეკუთვნი, ვინც ფიქრობს, რომ საქართველოს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკივია დაპყრობისა და მსოფლიო რუკიდან წაშლის საფრთხე. გულიბრყვილონი არიან ისინი, ვინც ფიქრობენ, რომ არავითარი საშიშროება არ გველის და არავითარი საფრთხე არ გვემუქრება. ადამიანები ფიქრობენ, რომ ჩვენ დაცულები ვართ. დაცულობის გარანტია კი ამერიკის კეთილი დიმილი ღარიბი ნათესავის – საქართველოს მიმართ, ევროკავშირის რეზოლუციები და ნატოს მატყუარა პოლიტიკაა – ეს არის მთელი პოლიტიკა ჩვენს მიმართ.

ახალმა მოვლენებმა დაამტკიცა, რომ ჩვენი დამცველი არავინ არის. საქართველოსთვის თავს არავინ გამოიდებს. საქართველოს ბედი 2008 წელს გადაწყდა, როდესაც ტერიტორიების მესამედი დაიკარგა. მაშინ ჩვენმა „პატრონებმა“ მხოლოდ და

მხოლოდ ის გააკეთეს, რომ რუსული ტანკები თბილისში არ შემოსულიყვნენ. იმის განსჯაში ნუ შევალთ მართლა სარკოზიმ გააჩერა თუ არა თბილისთან 25 კილომეტრში დამპყრობელი რუსეთის ტანკები. რა მალაპარაკებს ამ საფრთხეებზე, ამის მაგალითია ერთ-ერთი ყველაზე დიდი სახელმწიფო უკრაინა, 50-მილიონიანი ქვეყანა, რომელიც ჩვენ თვალწინ ქრება. ვხედავ, რომ უკრაინის გადარჩენის იმედი დღითიდღე ინავლება. უკვე მოინელა მსოფლიომ ევროკავშირმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა რუსეთის მიერ ყირიმის ჩაყლავა. ახლა საკითხი დგას, შეძლებენ თუ არა ჩვენი ე.წ. მფარველები, როგორმე არ დაიშალოს უკრაინა და აღმოსავლეთი უკრაინა მაინც შეინარჩუნოს. ამ დროს კი მხოლოდ და მხოლოდ ლაპარაკი და აღშფოთება ისმის მათი მხრიდან. სამი სამხედრო ხომალდი, რომელიც შავი ზღვის აკვატორიაში მოემართებოდა, უცებ გაქრა საიტებიდან. შეიძლება ისინი, შემოვიდნენ, მაგრამ უქმად არიან. ამ დროს ამერიკის პრეზიდენტი აცხადებს, რომ ჩვენ რუსეთს არ დავუპირისპირდებით. იმედი გაუცრუვდა საქართველოსაც და უკრაინასაც, რადგანაც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკა

რუსეთის მიმართ რეიგანის დონეზეც კი არ აღმოჩნდა. რეიგანმა მოახერხა, რომ საბჭოთა კავშირი ისეთ ეკონომიკურ ბლოკადაში მოექცია, რომ უზარმაზარი წითელი მონსტრი, იმპერია დაშლამდე მიიყვანა. რუსეთის დაშლას კი არ ვქადაგებ, მაგრამ, ხომ შეიძლებოდა, რუსეთის ეკონომიკური დაჩოქება, ცოტათი მაინც მოეციოთათ იმპერიული კბილები. ესეც არ გააკეთა დასავლეთმა და გამოვიდა ისე, რომ „თხა აქეს, აკუნტრუმეს და მგელს შეაჭამესო“. იმ მგლის წინაშე დგას უძწეო უკრაინა. საქართველოდან გაძევებული და თავშერცხვენილი პოლიტიკოსი, თითქოსდა დემოკრატიის შუქურა, მ. სააკაშვილი, რომელსაც ასე აპარპაშებს უკრაინაში თავის ტერიტორიაზე, მთელ მსოფლიოს იმ სტრატეგიას უმჟღავნებს, რომ სამხედრო ხომალდებმა ბენზინი ვერ ჩასხეს და 87-დან 74 დაუქოქავად ჩაზარდა რუსეთს.

დასავლეთს შეეძლო, უპირველეს ყოვლისა, მოემბნა ალტერნატიული გზები ენერგომატარებლების გადასაზიდად ევროპაში. ასეთი ალტერნატიული გზები უკვე აქვს ევროპას, მაგრამ ჯიუტად ყიდულობს გაზსა და ბენზინს რუსეთისგან, რითაც ამდიდრებს და ამლიერებს ეკონომიკურად საბჭოთა იმპერიის რეანიმაციის გუნებაზე დამდგარ რუსეთს. არაფერი არ გააკეთა დასავლეთმა იმისათვის, რომ რუსეთი სახსარში გადატეხილიყო. თუმცა, გაუთავებლად ატყუებს საქართველოს, როდესაც ჩვენს თავზე დამოკლეს მახვილივით ჰკიდია დაპყრობის საფრთხე. გაიხსენეთ ჟურნალისტების დაკავების ფაქტი, მავთულხლართე-

ბის გაბმის პროცესი. ამ დროს ობამა აცხადებს, საქართველოს ნუ ექნება იმედი, რომ სექტემბერში ნატოს სამიტზე მასს მიიღებსო. ეს არის ნახევრად გაცხადებული ღალატი. სხვა რა შეიძლება ვუწოდო. ეს არის პატარა კრავის შეტოვება მგლის ხახის წინაშე. ამიტომ ვამბობ, რომ საგანგაშო მდგომარეობაა. ეს ჩემი მოსაზრებაა, შეიძლება, ბევრი არ დამეთანხმოს.

* * *

უკვე გამოცხადდა განაჩენი, მაგრამ თურმე ნუ იტყვიო, ქიბარ ხალვაშის პირადი ქონების ერთ ნაწილს კრუხივით აზის „სიმართლისათვის ტანჯული“ „რუსთავი -2“ და, აჰა, საქმე იშოვეს ენაჭარტალა პოლიტიკოსებმა.

კარგად მახსოვს არც ისე შორეული დროის ამბები – ხელისუფლების დამოკიდებლობისა სატელევიზიო არხების მიმართ. მახსოვს „რუსთავი-2“-ში შესული პოლიციელები სარევიზიო ჯგუფთან ერთად და ისიც კარგად მახსოვს, როგორ გამოიყვანა პოლიტიკოსთა ერთმა ჯგუფმა (გვარებს არ დავასახელებ, ისედაც ყველამ იცის, ზოგი მათგანი გარდაცვლილია და ზოგიც სამუდამოდ გადახვეწილი საქართველოდან) ქუჩაში თბილისელი მოქალაქეები და ყოველივე ეს ლამის როგორ გაიდაიზარდა რეჟოლუციაში – „არიქა, ილუპება მედიის თავისუფალი ხმა და ქუდზე კაცი გამოდით მის დასაცავად“.

მართლაც გამოვიდნენ ქუჩაში „ნაცმოძრაობის“ მიერ მოტყუებული მოქალაქეები, მოტყუებულნი იმით, რომ მაშინ „ნაცმოძრაობა“ ცხვრის ქურქში გამოხვეული მგელი

იყო და მისი ნამდვილი ბუნება არ ჩანდა. ასევე მახსოვს დემოკრატიის შუქურა და დემოკრატიის დამცველი „ნაცმოძრაობა“ სააკაშვილის მეთაურობით როგორ ებრძოდნა „იმედს“. მახსოვს იატაკზე წაქცეული და ყელზე ჩექმადაბჯენილი „იმედის“ თანამშრომლები და მბჟუტავ ეკრანზე გამოჩენილი წამყვანი გიორგი თარგამაძე, რომელიც ამბობდა, „დაგვარბიეს, უკვე კიბეებზე ამოდიან, ეს ჩვენი ტელევიზიის სიცოცხლის ბოლო წუთებია ძვირფასო ტელემყურებლებო“.

რა პარალელებს ავლებენ ამ მოვლენებთან თვალთმაქცი პოლიტიკოსები ან ჟურნალისტები? შევარდა ვინმე „რუსთავი 2“-ში, დაარბია იქაურობა ხალხის მოწამვლისთვის და ტენდენციურობისთვის? მართლაც რომ ნამუსი კარგი საქონელია. რატომ ატეხეს წკაწკავე „რუსთავი 2“-ელეგმა, იმიტომ ხომ არა, რომ ემცხეთათ ე.წ. მათი ქონების დაყადაღების ფაქტი? გაირკვა სიმართლე, რაც ქიბარ ხალვაშის არის – წაიღებს, რაც მათია – მათ დარჩებათ.

როგორც საზოგადოებისგან არც თუ შორს მყოფმა კაცმა, უნდა ვთქვა, რომ ახლა არც 2003 წელია და არც 2011. საზოგადოებრივი აზრი, ამ საკითხზე უკვე შექმნილია, ყოველ შემთხვევაში მისმა გონიერმა ნაწილმა მშვენივრად იცის „რუსთავი 2“-ის ანატომია და მისი პოლიტიკური სახე. „რუსთავი 2“-ის დასაცავად (თუმცა ჩემი აზრით, მას დასაცავი არაფერი სჭირს) გამოვა მხოლოდ „ნაცმოძრაობის“ ერთი ნაწილი, ეს არის და ეს. ოპოზიციას კი სურს, რომ „ქართული ოცნება“ დიქტატორ ხე-

ლისუფლებად ჩამოყალიბდეს, მაგრამ ეს უტოპიური ოცნებაა. „ოცნების“ მთელი შემადგენლობა ოდნავ ნიშანწყალსაც არ იძლევა იმისა, რომ ერთპიროვნულ და დიქტატურე დამყარებულ მოძრაობად ჩამოყალიბდეს.

წინასაარჩევნო დოღში ავანტიურების მიმართულებით უკვე საკმაოზე მეტად გამოცდილი „ნაცმოძრაობა“ წუთს არ კარგავს, რომ მოვლენები თავის სასარგებლოდ განავითაროს. საქართველოში ძალიან ადვილია დაჩაგრულის პოზიციაში დგომა. რა თქმა უნდა, საზოგადოების დიდი ნაწილი პოლიტიკურად ნაკლებად განვითარებულია და ხელისუფლების თუ რამდენიმე პარტიის საქმიანობას თავის კუჭზე და ჯიბეზე დამოკიდებულებით ზომავს, მაგრამ გონიერმა საქართველომ კარგად იცის, ვინ ვინ არის.

საზოგადოებამ ძალიან კარგად იცის, რა შედის „ნაცმოძრაობის“ წინასაარჩევნო გეგმებში; როგორ დადიან მოძრაობის ყოფილი ბელადები სოფელ-სოფელ, ვაინაჩრობით როგორ ეძებენ უკმაყოფილო ადამიანებს, პოულობენ მათ, მოუყრიან სოფლის ცენტრში თავს, დასხდებიან ყოვლისმცოდნე, მაგრამ აწ უკვე პოლიტიკურად გაკოტრებულები და იწყებენ სიბრძნის ფრქვევას: „ცოტა კიდევ მოითმინეთ ძვირფასო ქართველებო, ჩენ ვხედავთ რა მდგომარეობაში ხართ, მაგრამ (გაზაფხულზე იონჯა ამოვა, როგორც ერთ იგავ-არაკშია) ჩვენ დავბრუნდებით და ყველაფერი რიგზე იქნებაო“. მე თვითონ არაერთ პოლიტიკურ ბატალიებში გამოვლილ და არაერთ ხე-

ლისუფლებას შემსწრე რევაზ მიშველაძე დავსძენ, ვაი იმ საქართველოს, სადაც ხელისუფლებაში ისევ „ნაცმოდრობა“ დაბრუნდება.

არც მათი წინასაარჩევნო მართონის მეორე ნაწილი იქნება დიდი დივიდენდების მომტანი. მცოცავ ანექსიასთან ატეხილი აჟიოტაჟი, თითქოსდა სიახლე აღმოაჩინეს. რომ გაჰყვირიან ამ ხელისუფლების სისუსტე და უნიათობა რომ არა, ჩვენს დროს რუსები ამას ვერ გაბედავენ. სააკაშვილის შავბნელ ეპოქაში რუსებმა, რომ გაგვიბედეს; 2008 წელს საბოლოოდ რომ წავგართვეს ათასობით კვადრატული კილომეტრი საქართველოს მკვიდრი ტერიტორია და დამატებით კიდევ 157 ქართული სოფელი, გაბედულება სწორედ ის იყო.

„ნაცმოდრობის“ პოლიტიკოსები და მათთან მიტმასნილი ჟურნალისტები რომ მხვდებიან, ვეკითხები, როგორ ფიქრობთ, რა შეაჩერებს რუსულ მცოცავ ანექსიას-მეთქი, ჩვენო, მსაუბოზენ, მსოფლიოში დაფდაფების ცემას ავტეხდით. განა ისე დიდი დრო გავიდა რუსეთთან გადატანილი უმიძიესი ომების შემდეგ, ან „ნაცმოდრობის“ ისტორიულ მეხსიერებას დაავიწყდა მათი ბელადი სააკაშვილი როგორ ხოხავდა გორში მიწაზე, ნუთუ ვერაფერი ისწავლეს? რაო, ვიღაც ბარნოვი რომ მივარდა, ბანერი რომ მოანგრია და მოიქნია, რა შედეგი გამოიღო, შერცხვა იმ ოკუპანტს და გაჩუმდა? თქვენ არ მომიკვდეთ, მეორე დღესვე 200 მეტრით გადმოსწია ის ბანერი, საქართველოს დროშა კინალამ თავზე დაგვამხია და გამოგვიცხადა, აბა, კარგი ბიჭები

ხართ მოდით და კიდევ ერთხელ ამოაძრეთ ეს ბანერიო. სად წავიდა ბარნოვი, თუ ასეთი მაგარი ბიჭია, რატომ ერთხელ არ მივა და არ ამოაძრობს იმ მართლაც და უსამართლოდ დამაგრებულ ბანერს საქართველოს მიწაზე. ბანერების ამოდრობის დრო ნამდვილად დადგება, საბოლოოდ რუსეთს ჰკუას ასწავლიან, მაგრამ გონიერება იმიტომ გვაქვს, რომ სასურველ დროს დაველოდოთ.

2015 წლის 22 ივნისს ევროკავშირის რიგის სამიტი გაიმართა. ამ სამიტზე დიდ იმედს ვამყარებდით. ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლები (პოზიციაც და ოპოზიციაც) გაჰყვიროდნენ: ახლა, რიგის სამიტზე ევროკავშირში შესვლის დოკუმენტს არა, მაგრამ ვიზალიბერალიზაციას მაინც მოგვცემენო.

სამიტზე მიღებულმა დეკლარაციამ ცივი წყალი გადაგვასხა; საქართველომ ვიზალიბერალიზაციამდე, არც მეტი არც ნაკლები, რვა საშინაო დავალება უნდა შეასრულოსო. ამ რვიდან ერთი – ტერიტორიული მთლიანობის საკითხის მოგვარება, თითქმის, შეუსრულებადია (ყოველ შემთხვევაში უახლოეს ხანებში მაინც). ასე რომ, ეს პრობლემა კიდევ რომ მოგვარდეს (მეტი არაა ჩემი მტერი) ევროკომისია შარს მოგვცდებს, სამართლიანობის აღდგენა და კოპუფციის წინააღმდეგ ბრძოლა არ დგას თქვენთან სათანადო სიმალეზეო.

ასე რომ, ვიზალიბერალიზაციის იმედმაც კი, ჩაილულის წყალი დალია.

ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ჩვენ ევროპა და ამერიკა სერიო-

ზულ სახელმწიფოდ არ გვთვლიან და ღარიბი ნათესავით ტყუილებით გვკვებავენ.

მეორე მაგალითი ჩვენი აბუჩად აგდებისა;

რიგაში ჩვენი დელეგაციის პარალელურად მიწვეული გახლდათ ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი. ბედის (თუ ევროკავშირის) დაცინვა სწორედ ის იყო, რომ ირაკლი ღარიბაშვილი და დამნაშავე სააკაშვილი, რომელიც ჩვენი პროკურატურის მიერ ძებნილად არის გამოცხადებული) ერთ სასტუმროში ცხოვრობდნენ.

რა სტატუსით მონაწილეობდა რიგის სამიტზე სააკაშვილი. ვინ ჩასვა იგი საპატიო სტუმართა სიაში?

ვინ და ამერიკამ, ანუ იმ „ხესახელმწიფომ“, რომელმაც ამ პოლიტიკურ გვამს ხელშეუხებლობა მიანიჭა.

„რუსთავი 2“ ამ შემთხვევას ხელიდან როგორ გაუშვებდა და თავისებური, სულელური ღიმილით გამოგვეცხადა სააკაშვილი ცისფერ ეკრანზე.

ჩვენაო, ე.ი. „ნაცმოდამამ“ საქართველოს ურემს ვუბიძგეთ და აღმოსავლეთის პარტნიორობის ხელშეკრულებამდე მივაგორეთ. ახლა თქვენ, ქართველებო, თქვენი უნიათო ხელისუფლების წყალობით ერთ ადგილს ტკეპნით, არც ევროკავშირში (ნატოზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია) მიგიღებენ და არც ვიზალიბერალიზაციას მოგცემენო.

ამას ნიშნისმოგებით, სიხარულით ამბობდა ეს „მაოხრებელი გზირი“.

უცნაური რამ თურმე წინ გველოდა:

გამოქვეყნდა ინტერნეტის საიტზე დეკლარაცია და დაიწყო მკითხაობა:

ჩვენი დელეგაციის წევრები ერთხმად აცხადებენ: ჩვენ გავიმარჯვეთ! ვიზალიბერალიზაციის მოცემაზე პოლიტიკური გადაწყვეტილება უკვე მიღებულიაო. ახლა ტექნიკური საკითხების მოგვარება დარჩა და ამ წლის ბოლოდან საქართველოს მოქალაქეებს თავისუფლად შეეძლებათ უვიზოდ ევროპაში და ამერიკაში გამგზავრებაო.

მსგავსი რამ, ორაზროვნად, რეზუსულად შედგენილ ევროკავშირის რიგის სამიტის რეზოლუციაში არ წერია.

ნუთუ საქართველოში კაცი არ აღმოჩნდა, რომ ამ რეზოლუციიდან სწორი შინაარსი გამოიტანოს.

ჩვენ ვიძახით, ვიზალიბერალიზაცია მოგვესო, ევროკავშირის 28 წევრიდან ოცდარვავე ამბობს, მოტყუებული ბატკნის კუნტრუმს და ხბოსადტაცებას თავი დაანაბეთ, ვიზალიბერალიზაციამდე ჯერ კიდევ შორი გზა გაქვთ გასავლელიო.

ასევე გვატყუებს დასავლეთი უნაპირო დაპირებებით, ხოლო ჩვენ ევროპულ სატყუარაზე კბილდაჭერილნი სულელური გამომეტყველებით ერთმანეთს ვატყუებთ.

30 აგვისტოს ნატოს გენერალური მდივანი სტოლბერგი (ენის მოსატეხი გვარი აქვს) ჩამოვიდა და თბილისთან ახლოს ნატოს საწრთვნილი ბაზის გახსნას დაესწრო.

მეგონა, ეს ფაქტი რუსეთს ცოტათი მაინც შეაკავებს-მეთქი, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ, რუსმა სალდათებმა „საზღვარი“ მეორე დღესვე

30 მეტრით გადმოსწიეს და ამით საბოლოოდ დასცინეს „ნატოს“. კიდევ მეტი: რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლავროვმა (თბილისელი სომეხია) განაცხადა: რაკი საქართველო ნატოსკენ სწრაფვას არ იშლის, აწი რაც მოუვა, თავის თავს დააბრალოსო.

უმწეო, დაუცველი საქართველო რუსეთის მორიგ პროვოკაციას ელოდება.

ტელევიზიებმა უჩვენეს „ვირის ტაჭკაზე“ მჯდომი ჩვენი გაუბედურებული გლეხები, რომელთა სახნავსათესი და საძოვრები „რუსის შემოღობილში“ დარჩა.

მავთულხლართების მიღმა აღმოჩნდა ბაქო-სუფსის ნავთობსადენის ნაწილიც.

მამ ასე, მცოცავი ანექსია გრძელდება.

რუსს იმდენად არაფრად მივაჩნევართ, იმდენ „პატივსაც არ გვცემს“, რომ პირდაპირ ტანკები შემოიყვანოს, როგორც ეს უკრაინაში გააკეთა. ასე, მცოცავი ანექსიით ნელნელა გვიპყრობს და მალე გორი კი არა, თბილისი და ქუთაისიც რუსეთის ხელში აღმოჩნდება.

ატეხა კაკანი ჩვენმა ტელევიზიამ, მაგრამ „თეთრმა დათვმა“ ყურიც არ შეიბერტყა.

დაჩიავებულმა საქართველოს ხელისუფლებამ ისიც ვერ გაბედა, ამ ვანდალური ფაქტის გამო რუსეთისთვის საპროტესტო ნოტა გაეგზავნა.

ვთქვათ, საქართველო არაფრად უღირს გაეროს და ევროკავშირს, ნავთობსადენის მიტაცება-შემოღობვის გამო მაინც ხომ უნდა აეტეხათ განგაში.

ნავთობსადენი ხომ საერთაშორისო საკუთრებაა.

ვერ გავიგე, რა ხდება.

ერთი ნაბიჯი რჩება საქართველოს სრულ ოკუპაციამდე, ჩვენ კი მატყუარა ევროკავშირის და ცრუიმედის თითის ლოკვის ანაბარა ვართ.

ახლახან ტელევიზორში თვალი მოვკარი ვაკის პარკში შეკრებულ ხუთასამდე ახალგაზრდას.

გულს იმედი ჩამესახა.

როგორც იქნა, ქართველი ახალგაზრდები გამოსულან და რუსეთის თავგასულობას აპროტესტებენ-მეთქი, გავიფიქრე.

ვაი შენ, ჩემო თავო, თურმე სადა ხარ, რა სისულელე გიფიქრია.

მისწიეს ახლოს კამერები და პირკატა მეცა:

თვალზე ცრემლმომდგარი, ჯანღონით სავსე, საჯიშე ახალგაზრდები გაჰყვიროდნენ: სამი დღეა, აქ, ვაკის პარკში ვათენ-ვადამებთ! სამი დღეა ბარსელონა-იუვენტუსის საფეხბურთო მატჩის ბილეთებს ველოდებით და გაყიდვა ჯერად არ დაუწყიათო.

ვაი, უბედურო, საქართველოვ.

სამშობლოს, მიწა-წყალს ართმევენ და, თურმე, ახალგაზრდებისთვის მთავარი საზრუნავი დღეს, მთავარი საქმე ფეხბურთის ბილეთის შოვნა ყოფილა.

ნოემბრის პირველ დეკადაში ორი ახალი პოლიტიკური „გასართობი“ მოუვლინეს საქართველოს:

პირველი ის გახლდათ, რომ ტელევიზიებმა ზედიზედ, ერთმანეთის მიყოლებით უჩვენეს უკრაინულ საიტზე გამოქვეყნებული საიდუმლო ჩანაწერები ოდესის გუბერნატორ მიხეილ სააკაშვილსა და მის ერთგულ

დამქაშებს შორის. ვინ არიან ეს „დამქაშები“? გიგა ბოკერია, ნიკა გვარამია, სოფო ნიჟარაძე (აფსუს ლამაზო და ნიჭიერო სოფო?!), ნუგზარ წიკლაური და გივი თარგამაძე. რა იყო საუბრის შინაარსი? სააკაშვილის მეთაურობით „ნაცმოძრაობას“ (ვითომდა „რუსთავი 2“-ის დასაცავად) რევოლუცია უნდა მოეხდინა და „ოცნების“ ხელისუფლება უნდა დაემხო. ჩვენმა „ფხი-ზელმა“ პროკურატურამ ზემოთხსენებული შეთქმულნი, რომელთაც გამოქვეყნებული ჩანაწერების უარყოფა არც უცდიათ, ექვს-ექვს საათიანი დაკითხვის მერე გაათავისუფლა. რა ხდება? რომელი ჭკუათმყოფელი ხელისუფლება ჩაიდენდა იმას, რომ შეთქმულების მონაწილენი არ დაეპატიმრებინა.

მეორე „გასართობი“ კარგახანია გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ „რუსთავი 2“-ის ქონება მის კანონიერ მფლობელს ქიზარ ხალვაშის მიაკუთვნა და ორი დროებითი მმართველიც დაუნიშნა „რუსთავი 2“-ს, ურჩი ყოფილი დირექტორი ნიკა გვარამია „რუსთავი 2“-ის შენობაშია მცირე რაზმით გამაგრებული და იმუქრება: „აბა, გაბედოს ხელისუფლებამ ჩემი აქედან გამოყვანაო“.

შემკრთალი ხელისუფლება ვერ ბედავს თვითმარქვია გვარამიას ყურში ხელი მოჰკიდოს და პანდურისკვრით გამოაძევეს.

საოცარი ამბები ხდება საქართველოში.





al eqsandre mRebriSvil i

ცხინვალი XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე ამავე პერიოდის ქართული პერიოდული გამოცემების მიხედვით

ცხინვალი და მისი შემოგარენი ყოველთვის მოქცეული გახლდათ ქართული პერიოდული პრესის ყურადღების ცენტრში. კეთილჰაეროვან სოფლად, ხან მცირე ქალაქად მოხსენიებულ ცხინვალის მცხოვრებთა შორის უპირველესად მოხსენიებული არიან ქართველები, სომხები და ურიანი. მტრისათვის რთულად მისადგომი ცხინვალის სანახები არაერთხელ გამხდარა მეფეებისა და მათი ამალის თავშესაფარი.

ცხინვალის რეგიონის ისტორიული წარსული ყველაზე მეტად მაჩაბელთა საგვარეულო სახლთან არის დაკავშირებული, რომელიც ცხინვალთან ერთად, გარკვეულ პერიოდში, ერთგვარ ცენტრს წარმოადგენდა. სოფრომ მგალობლიშვილის მიერ „მაჩაბლების სადგურად“ [1] მოხსენიებული თამარაშენის შესახებ გიორგი ლეონიძე წერდა: „თამარაშენი – ქალაქი დაარსებულია მეთორმეტე საუკუნეში მეფის თამარისაგან, რომელიც ყოფილა მისი ერთ-ერთი საზაფხულო რეზიდენცია და სულ მალე გამხდარა მსხვერპლი ჯალალედ-დინის მძვინვარების. მაგრამ ეს ჩრდილო სტრატეგიული და კომერციული პუნქტი შემდეგაც ყოფილა

მნიშვნელოვანი და XVIII საუკუნის პირველ ნახევარში ისევ იხსენიება ქალაქად. თუმცა „მცირედ“ ქართველობასთან ერთად სომხური და ებრაული მოსახლეობით.

ამ კომერციული ელემენტების აქ დაბინადრებთან აიხსნება, რომ თამარაშენი ყოფილა დიდი ლიახვის ეკონომიური ცენტრი, რომლის ფარგლებშიც შედიოდა: ხევისკარი და რაჭის მთიულეთი.

თამარაშენიდან ექსპორტი გადიოდა დვალებში.

თამარაშენი ერთეულია იმ მძლავრი ფეოდალური ოლქის, რომელსაც ძველი საქართველოს ადმინისტრაციულ წყობილებაში სამაჩაბლო ერქვა და, რომლის ტერიტორიასაც შეადგენდა: დიდი ლიახვის და ფაცის ბასეინები, კავკასიონი მთავარი ხეობებით“ [2].

ს. მგალობლიშვილის მიხედვით, ლიახვის პირას ჩამწკრივებული სოფლები: აჩაბეთი, ქურთა, კეხვი და მათ შორის თამარაშენი „ეკონომიურად უფრო მომძლავრებულები არიან, სახლები უმეტესობას მიწის ზემოთ უდგას“ [3].

ზემოთ დასახელებული ავტორების გარდა, ვახუშტის მიერ წალკო-

ტოვან, ვენახოვან და საზრდილით მამლრად წოდებული, ცხინვალის რეგიონის თემატიკით ხშირად ინტერესდებიან: ა. თუთაევი [4], ი. ალხაზიშვილი [5] და სხვები. ცხინვალში თავმომწონედ გადმოდგმული ყავრით დახურული ქვიტკირის სახლების, საცხინვალო ვენახების, ხტუნვითა და ჩქროლით მორბენალი დიდი ლიახვის და ერთმანეთზე მიყრილი მთების შესახებ გამორჩეული სითბოთი ესაუბრება მკითხველს ნიკო ლომოური თავისი „მგზავრის წერილებიდან“.

„სადამო ჟამი მოტანებული იყო, როდესაც მე აღმოსავლეთის სიმაღლედამ გადავხედე ცხინვალსა. ეს პაწაწა ქალაქი სძევს დიდი ლიახვის დეღეში. აღმოსავლეთით და დასავლეთით კედლების გვარად უდგანან იმას პატარა ამღლებული ალაგები; ხოლო ჩრდილოეთიდან დასცქერიან კიბე-კიბე ასული დიდი ტყიანი მთები, რომელნიც პატარა იალბუზის ღრუბელში გამქრალი წვეროთი თავდებიან. მშვენიერი სანახავია ეს მთები: ერთმანეთზედ მიყრილნი და ჩაჯგუფულნი, ერთი ერთმანეთზედ ამღლებულნი თითქო სცდილობენ ყველა თავის ამღლებას და თავიანთ მეფე-ბრუტი საბძლის-წინ ერთგულობისა და მორჩილების გამოჩენას...“

ამ მთებშივე არის დიდი ლიახვის სამშობლო... მე გამიგონია, სამშობლო ყველას უყვარსო, მაგრამ ლიახვი, იბადება თუ არა თავის თეთრ თავშალმოხვეული და მწვანე კაბაში მჯდომიარე დედისგან, შეუყოვნებლივ ანებებს მას თავს და, ჯერ სუსტის ხმით, მერმე მაღალი ჩქრიალით, შემდეგ საშინელის ხუილით, ხტუნვით და ცკკვით გამორბის ცხინვალი-

საკენ. ლიახვს ეს პატარა მხიარული ქალაქი, როგორც ეტყობა, უყვარს: აქამდინ ღრიანცელით მომჩქეფარე ლიახვი, აქ იკრიფება ერთად და, თფილისში ახლად ჩამოსული ქართველივით, ნელ-ნელა და გაშტერებული მიზუზუნებს გორისკენ. ცხინვალებეზმაც კარგად იციან ეს სიყვარული და თავიანთ მხრიდამაც არ აკლებენ იმას სიყვარულს: ზაფხულის თითქმის ყოველ საღამოს შეიყრებიან ხოლმე ლიახვის ხიდზედ ცხინვალები, გამართავენ გაცხარებულ ზაასს და ვინ იცის, რაზედ არ ლაპარაკობენ...

მაგრამ მე რომ საღამოს მოგახსენებთ, ხიდზედ სრულიად არავინ არა სჩანდა... ხიდს თვალი მოვაშორე და თვით ცხინვალს დაუწყე ცქერა. ცხინვალის შენობა ზემოდამ დახედვით სწორეთ რომ მოსაწონია: ყავრით დახურული ქვიტკირის ორ-სამ ეტაჟიანი სახლები, თავიანთ კარგა გრძელი ლიახვზედ გადმოკიდებულის ბალკონებით, მოეგებება პირველსავე შეხვედრაზედ თქვენი თვალის მხედველობას. ამასთანავე ოთხივ-კუთხივ შემოხვეული მწვანე ვენახები რაღაც ნაირს სიამოვნებას სახვენ თქვენს გულში. საითკენაც გაიხედავთ ცხინვალის არე-მარეზედ, ყოველგან ლამაზი გაშენებული ვენახი წარმოგიდგებათ. თითქმის მთელი საცხინვალო მინდორი ვენახებათ არის გადაქცეული, ასე რომ სახნავ-სათესი მამული აქაურებს ძალიან ცოტა აქვთ“ [6].

აღებულ პერიოდში ცხინვალის მოსახლეობის შესახებ არაერთი ცნობა არსებობს და ჩვენ სხვადასხვა დროს არაერთხელ შევხებივართ ამ საკითხს. ამჯერად მოგვყავს ი. მეგრელიძის მიერ გამოქვეყნებული ინ-

ფორმაცია, რომელიც 1867 წელს გაზეთ „დროებას“ [7] ეყრდნობა. ამ წყაროს მიხედვით, ცხინვალს რომ მარცხნით მთა აკრავს, იქ დასახლებული არიან ახლად მოსული ოსები, ხოლო ცხინვალში მცხოვრები ხუთასი კომლი შედგება მართლმადიდებელი ქართველების, გრიგორიანის სომხების და ებრაელებისაგან.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რიგ საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით, ნაშრომში – ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი) საგულისხმო დასკვნას აკეთებს ა. თაბუაშვილი. კერძოდ: „XVIII საუკუნის ბოლოსათვის ქალაქი ცხინვალი და მისი მიმდებარე სოფლები ქართული მოსახლეობით იყო დასახლებული. მცირე რაოდენობით სახლობდნენ ებრაელები და სომხები. ოსური ეთნოსით დასახლებული სოფლები გვხვდება მხოლოდ დიდი და პატარა ლიახვის ხეობათა ზედა ნაწილში, ისიც მცირე რაოდენობით. ამ დროისათვის რეგიონში ქართველები აბსოლუტურ უმრავლესობას წარმოადგენდნენ“ [8].

მეფის რუსეთის მიერ საქართველოში ფეხის მოკიდების კვალდაკვალ ოსური ელემენტი თანდათანობით ორგანული ხდება ცხინვალისა და მისი შემოგარენისათვის. მიუხედავად ამისა ეს გარემოება ჯერ კიდევ ნაკლებადაა საგრძნობი XIX საუკუნის 70-ანი წლების ბოლოს. 1876 წლის „დროების“ კორესპონდენტის მიხედვით სომხები შვილებს ასწავლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, ანგარიშს. ებრაელი ხახამი ახალგაზრდებს ასწავლიდა თავის რჯულს, წერა-კითხვას და ქართულ წერა-კითხ-

ვას, ე.ი. ცხინვალში ძირითადი სალაპარაკო და საურთიერთობო ენა ქართული იყო და ადგილობრივი მოსახლეობის პატივისცემით სარგებლობდა [9].

ენასთან ერთად განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენდა სარწმუნოების თემა. თუკი ქართული ენა პოპულარობით სარგებლობდა საქართველოს ტერიტორიაზე ჩამოსახლებულ ოსთა შორის [10] იმავეს თქმა მნელია ჩრდილოეთ კავკასიიდან მომავალთა შორის ქრისტიანული სარწმუნოების გავრცელების კუთხითაც. „სამაჩაბლოს მოსახლეობას შეადგენდა: ოსები და მთიდან ჩამოხვეწილი ელემენტები, დაკავშირებულნი საქართველოსთან ეკონომიკურად, პოლიტიკურად და რელიგიითაც, მაგრამ აქ, ჩრდილოეთში, სადაც ქრისტიანობა უმეტესად მახვილით ვრცელდებოდა, სადაც საშუალო საუკუნეებშიც ჰყვოდა წარმართობის კულტი, ამ მრისხანე და მეომარ თემში, ეკლესია შესამჩნევ როლს არ თამაშობდა“ [11].

ამგვარი პრობლემების მოსაგვარებლად და იმავე დროს ჩრდილო კავკასიელებზე საკუთარი პოლიტიკური გავლენის გასავრცელებლად მეფის რუსეთის სამოქმედო არსენალიდან განსაკუთრებული მონდომებით გამოიყენებოდა ისეთი სტრატეგიები, როგორებიც იყო სამხედრო და მიგრაციული პოლიტიკა XIX საუკუნის პირველი წლებიდანვე, რასაც კვლავ დაემატა მისიონერული საქმიანობა. ვგულისხმობთ გორის არქიეპისკოპოს დოსითეოს ფიცხელაურის პროექტის [12] საფუძველზე 1814 წლიდან „ოსეთის სასულიერო კომისიის“ აღდგენის [13] ფაქტს.

კავკასიაში მოსახლე არაქრისტიანი მოსახლეობის მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე მოქცევის მისიონერულ კამპანიაში აქტიურად იყო ჩართული ქართველი სამღვდლოება. 1853 წელს მოსკოვში გამოქვეყნებული ერთ-ერთი წყაროს მიხედვით [14] ჯერ კიდევ 1820 წლის 9 აპრილს რუსეთის წმინდა სინოდის დადგენილებით დაჯილდოებულ სასულიერო პირთა შორის არიან: ნ. სამარღანიშვილი, პ. ავალიანი, ვ. ცერამე, გ. ამირიძე, ი. ლომოური, ა. მაჭავარიანი, ზ. მამაცაშვილი, ი. ელიოზიძე, ბ. ილუარიძე, გ. სამაგლიშვილი და სხვები, ხოლო ამოთვლილ პირთაგან, კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში დაცული ცნობის მიხედვით, გამოირჩეოდა ნიკოლოზ სამარღანიშვილი. ამ უკანასკნელმა თავისი მუხლჩაუხრელი მისიონერული მოღვაწეობის შედეგად დიგორელ და ბასიანელ ოსთა შორის მცირე დროში ორას ოცდაათი ადამიანის ქრისტიანად მოქცევა მოახერხა [15].

როგორც ვახსენეთ, ცხინვალის ხშირად ექცეოდა ქართული პრესის ყურადღების ცენტრში. სხვადასხვა პერიოდულ გამოცემათა კორესპონდენტები ხშირად მოუთხოვრებენ მკითხველს აქ მიმდინარე კულტურული და საზოგადოებრივი მოვლენების შესახებ, განიხილავდნენ კულტურულ ღონისძიებებს, იუწყებოდნენ ბუნებრივი მოვლენების თუ უბედური შემთხვევების მიერ გამოწვეული მიმდევრების შესახებ და ასე შემდეგ.

ნათქვამის საილუსტრაციოდ შეიძლება დასახელდეს გაზეთი „ცნობის ფურცელი“, რომელმაც ვრცლად

გააშუქა ცხინვალში ხანძრით გამოწვეული ტრაგიკული მოვლენები.

„მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ ცხინვალს დიდი უბედურება ეწია: ნახევარი დაბა თითქმის სულ ერთიან გადაიბუგა. ია ამის შესახებ რასა სწერენ გაზეთ „კავკაზ“-ს: ცეცხლი პირველად ერთის ებრაელის სახლს წაეკიდა, მიზეზი გაუფრთხილებლობა იყო. ცოტა ხანს უკან ელვასავით მოედო ცეცხლი ებრაელთა უბნის ხის სახლებს. რამდენისამე წუთის შემდეგ მთელი ეს უბანი ერთ უშველებელს კოცონს წარმოადგენდა. შეშინებული ხალხი სარჩო-საბადებლის გადარჩენას-ღა ჰფიქრობდა, მაგრამ ბევრი ვერაფერი გადაარჩინა. ძალიან ძნელი იყო ცეცხლთან ბრძოლა, მით უმეტეს, რომ დაბაში არავითარი საქრობი მანქანა არ მოიპოვება. ბოქაულმა, რა ვაი-ვაგლახით, ის მოახერხა მხოლოდ, რომ წყალი აზიდვინა ლიახვიდანა და სარწყავ არხებიდან და ცეცხლი სხვა უბანში აღარ გადაუშვა... სამწუხარო ის იყო, რომ მახლობელ სოფლების ოსები ამ ქონების ტაციობასა და ქურდობას შეუდგნენ... დაიწვა 300 სახლი და 1300 სული საქონელი, ცხინვალის მცხოვრებთა მესამედი, უსახლკაროდ დარჩა“ [16].

ბუნებრივია, ქვეყნის მოსახლეობა გულგრილი ვერ დარჩებოდა ცხინვალში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების მიმართ. შესაბამისად, იქმნებოდა კომიტეტები გორის მაზრაში, თბილისში გუბერნატორის კანცელარიაში [17] სხვადასხვა სახის შემოწირულობების მისაღებად და გაჭირვებულთა დასახმარებლად. ხანძრისაგან დაზარალებულთა დასახმარებლად შექმნილი

კომიტეტი შეხვედრებს მართავდა ცხინვალში. პირადად ეცნობოდა მოვლენათა ეპიცენტრს, ზრუნავდა დაზარალებულთა მკურნალობისა და კვების ხარჯების მოსაძიებლად, ხანძრით გამოწვეული ზარალის ზუსტი ოდენობის დასადგენად, დროებითი თავშესაფრების მოსაწყობად. „კომიტეტმა დაადგინა ჯერჯერობით უფასოდ ურიგოს საკვები დაზარალებულთა და გამართოს უფასო სასადილო. ამასთან კომიტეტმა გადაწყვიტა შეკვირბოს ნამდვილი ცნობები დაზარალებულთა შესახებ, რათა გაიგოს, ვინ რამდენად არის გაჭირვებული. შემწეობის საქმის მოსაწყობად კომიტეტმა საჭიროდ სცნო, ადგილობრივ მომრიგებელ-მოსამართლის თავმჯდომარეობით, შეადგინოს განსაკუთრებული კომისია. შემდეგ კომიტეტმა დაადგინა, გამართოს გორის მაზრაში ხელის მოწერა, დააწესოს, რამდენადაც შესაძლებელია, როგორც ეკლესიებსა, ისე ებრაელთა თორებში ფულის მოკრება, გამართოს წარმოდგენები, მიჰმართოს შემწეობისთვის ებრაელთა საზოგადოებებს ტფილისსა, ქუთაისსა და პარიზში“ [18].

უნდა ითქვას, რომ ხანძრისგან დაზარალებულთა დასახმარებლად შექმნილი კომიტეტის დადგენილებები არ რჩებოდა მხოლოდ ქაღალდზე არსებულ დოკუმენტად. როგორც ჩანს, დიდი ყურადღება ეთმობა მიღებული გადაწყვეტილებების სისრულეში მოყვანას და „ცნობის ფურცელი“ ყურადღებით ადევნებს თვალს მოვლენათა განვითარების მდინარებას. 1902 წლის 24 აგვისტოს გაზეთის ინტერესი კვლავ ცხინვალს უტრიალებს. კორესპონდენტი „ცხინ-

ვალის“ ფსევდონიმით მკითხველს აუწყებს უბედური შემთხვევით დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად გამართული წარმოდგენის შესახებ. თანაც ჩანს, რომ ეს არ არის ამ მიზნით ცხინვალში გამართული პირველი ღონისძიება.

„გადამწვართა სასარგებლოდ 10 ამ თვეს კნეინა ელისაბედ ივანეს ასულის მაჩაბლისა და ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლის მეუღლის თაოსნობით გაიმართა მეორედ წარმოდგენა ცეკვა-თამაშით. წარმოდგინეს ქართულად ორ-მოქმედებიანი ვოდვეილი „დროებით სიყვარული“. მონაწილეობას იღებდნენ ქ. ბ. ს. ი. სულხანოვისა, ქ. ი. იარალოვისა, ს. ი. მაჩაბელი, გ. თ. მაჩაბელი და ი. ს. მაჩაბელი. ყველამ საუცხოოდ შესარულა თავისი როლი. მერმე წარმოდგინეს რუსულად ვოდვეილი-ფარსი „Синяя борода“. თამაშობდნენ კნ. ნ. და მ. პ. ბარათაშვილი; კნ. თ. ვ. მაჩაბლისა, ი. ა. მაჩაბელი, გ. ი. პაპიევი და ბ. კარპოვი. ამათაც კარგად ჩაატარეს პიესა. ქალებს მიართვეს მშვენიერი თაიგულები. ანტრაქტებში უკრავდა სამხედრო მუსიკა, გამოწერილი გორიდან. წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ევროპიული ცეკვა და ლეკური“ [19].

ცხინვალის თემატიკას „ცნობის ფურცელი“ სხვა დროსაც არაერთხელ უბრუნდება [20]. უნდა აღინიშნოს, რომ სხვა პერიოდულ გამოცემათა გვერდით, ცხინვალური ამბებით „დროების“ კორესპონდენტებიც ხშირად ამარაგებენ მკითხველს. მაგალითად, კორესპონდენტთა ინტერესის ობიექტი ხშირად გამხდარა ცხინვალის ეკონომიკური მდგომარეობა, სტატისტიკური მონაცემების კვლევა,

ენის სიწმინდის დაცვის საკითხები, ეროვნებათმორისი ურთიერთობები, კლასობრივი ურთიერთობები, საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი ეკონომიკური პროექტების განხორციელება და ა.შ. სწორედ ამ უკანასკნელ დონისძიებათა რიგს მიეკუთვნებოდა „დროების“ დაინტერესება ცხინვალში საერთაშორისო მნიშვნელობის გზებისა და რკინიგზის ხაზის მშენებლობის საკითხით. ჯერ კიდევ 1876 წელს ი. ალხაზიშვილი წერდა: „კოშკას ზევით რკინიგზა დასავლეთისაკენ ჯომალის ხეობაში შეუხვევდა. ამ ხეობის შემდეგ ტონელს გაიყვანდნენ და ზედ იმ ალაგას გაახედებდნენ, სადაც ვერცხლისა და ტყვიის ზავოდი იყო სოფ. საიდონაში ვლადიკავკაზის ოკრუგში“ [21]. ალხაზიშვილის აზრით, მსგავსი საქმიანობის წამოწყებით რეგიონში, ერთის მხრივ, შედარებით გაუმჯობესდებოდა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ხოლო მეორეს მხრივ ეს გააუმჯობესებდა ოსთა ცხოვრებასაც იმ თვალსაზრისით, რომ ეს „უსაქმური ხალხი თავს დაანებებს ქურდობა-ავაზაკობას და უფრო სვინდისიანი ოფლით ლუკმა-პურს შესჭამს“ [22].

ცხინვალში რკინიგზის გავლის შედეგად პერსპექტივაში არსებულ სიკეთეებზე ყურადღებას ამახვილებდა ალალო თუთაევიც: [23] „თუ მართლა გაივლის რკინიგზა ცხინვალზე, კარგი იქნება...“ – წერდა იგი [24].

რკინიგზის ხაზზე უფრო ადრე, ცხინვალიდან რუსეთისაკენ მიმავალი სახმელეთო გზის მშენებლობის თემა გაცილებით ადრეული პერიოდიდან გახლდათ აქტუალური. ამ

იდეით დაინტერესების ფაქტების შესახებ ინფორმაცია მოიძიება კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტების კრებულში [25], ხოლო მოგვიანებით კი საკითხით დაინტერესება გამოხატა რუსეთის მეფისნაცვალმა კავკასიაში მ. ვორონცოვმა [26].

ვორონცოვის ცხინვალში სტუმრობის და მისი მდებარეობის გულდასმით შესწავლის შემდეგ გააქტიურდა რუსეთთან შემაერთებელი სახმელეთო გზის ცხინვალზე გავლის საკითხი. საგულისხმოა, რომ ამ მიმართულებით დაწყებულა კიდევ გარკვეული სამუშაოების ჩატარება, ცალკეულ მონაკვეთებზე გზის მშენებლობა ინტენსიურადაც მიმდინარეობდა, მაგრამ მკაცრი გარემო პირობების გამო პროცესი მალევე შეფერხდა [27].

ამგვარად, მოხმობილი მასალები ცხადყოფს, რომ ცხინვალი და მისი შემოგარენი ხშირად ექცეოდა სხვადასხვა ქართულ პერიოდულ გამოცემათა ყურადღების ორბიტაში. მკითხველს ჰქონდა შესაძლებლობა, თვალი ედევნებინა რეგიონის ცხოვრებისათვის, იქ განვითარებული მოვლენებისათვის, აქტიურად ჩართულიყო და მიეღო მონაწილეობა ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხოლო მეორე მხრივ, ადგილობრივ ჩინოვნიკთათვის არ მიეცა მოდუნებისა და უმოქმედობის საშუალება. რამდენად ახერხებდა ამას, ეს მკითხველის განსჯის საგანია.

საბედნიეროდ, ცხინვალის და ცხინვალის რეგიონისადმი ქართული პრესის ყურადღება არც მომდევნო პერიოდში განელებულა.

ALEKSANDRE MGBRISHVILI

**TSKHINVALI AT THE END OF XIX CENTURY AND IN THE BEGINNING
OF XX CENTURY BASED ON GEORGIAN PERIODICAL PUBLICATIONS
OF THAT TIME**

Summary

Tskhinvali and its outskirts were always in the centre of attention of Georgian periodical press. Georgians, Armenians and Jews are mentioned to be the first inhabitants of Tskhinvali, which was considered to be a village either a town. Outskirts of Tskhinvali being complicated to access for the enemy used to be the shelter for the Kings and their retinue many times.

After Tsarist Russia gained the foothold in Georgia, Ossetian element gradually becomes organic for Tskhinvali and its outskirts. However, this fact is not that obvious at the end of seventies of XIX century. According to the correspondent of "Droeba" of 1876, Armenians used to teach their kids Georgian reading and writing, calculation. Jewish Khakhami was teaching the youngsters their religion, reading and writing and Georgian reading and writing. Accordingly, main spoken and communication language was Georgian and local population respected it.

Except the language, another significant issue was faith. If Georgian language was popular among Ossetians settled in the territory of Georgia, we cannot say the same about the North Caucasians in terms of spreading Christianity.

To solve such problems and expand its political influence upon North Caucasians, in the beginning of XIX century Tsarist Russia added missionary activities to such strategies as military and migration policy actively used before. We mean the reestablishment of "Spiritual Committee of Ossetia" in 1814 based on the project of Gori Archbishop Dositeos Pitskhelauri.

Georgian society was actively involved in the process of converting non-Christian population inhabited in Caucasus to Orthodox faith.

As we have mentioned above, Tskhinvali was frequently in the centre of attention of Georgian periodical press. Correspondents of different periodical publications often told the readers about the cultural and social events of Tskhinvali, discussing cultural events, reporting about natural phenomena or the results of different accidents and etc.

გამოყენებული ლიტერატურა და შენიშვნები:

1. გაზ. „დროება“, 1884, №166;
2. ჟურნ. „მნათობი“, 1924, №2, გვ. 159;
3. გაზ. „დროება“, 1884, №166;
4. გაზ. „დროება“, 1878, №117;
5. გაზ. „დროება“, 1876, №126;
6. ნ. ლომოური, პუბლიცისტური წერილები, თბილისი 2002, გვ. 11;
7. ი. მეგრელიძე, სიმკვლეები ლიახვის ხეობაში, თბილისი 1984, გვ. 11;

8. ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საუკუნის II ნახევარი), თბილისი 2013, გვ. 26;
9. გაზ. „დროება“, 1876, №126;
10. ოსთა შორის ქართული ენის პოპულარობაზე მიუთითებს ა. სონდულაშვილი ნაშრომში - „სამხრეთ ოსეთი“ საქართველოში?!, თბილისი 2009; ამავე საკითხს არაერთხელ ეხებიან XIX საუკუნის ოსეთი რუსული წერილობითი წყაროები, როგორებიცაა: 1. О. Евецкий, Статистическое описание Закавказского края, Санкт-Петербург 1835; 2. П. Надеждин, Опыт географии Кавказского края, Тула 1891; და სხვ.
11. ჟურნ. „მნათობი“, 1924, №2, გვ. 160;
12. მ. ტყავაშვილი, ქსნის ერისთავების მამულების საკითხი დოსითეოს ფიცხელაურის „ოსეთის სასულიერო კომისიის“ პროექტში, კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები (ა. სონდულაშვილის რედ.), №2, თბილისი 2009, გვ. 295;
13. ე. ბუბულაშვილი, „ოსეთის სასულიერო კომისიის“ მოღვაწეობის ისტორიიდან, კრებ. ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები (ა. სონდულაშვილის რედ.), №2, თბილისი 2007, გვ. 234;
14. История Грузинской иерархии с присовокуплением обращения в христианство осетин и других горских народов по 1-е января 1825 года, Москва 1853, стр.85;
15. Акты собранные Кавказской Археологической Комиссией (ред. А. Берже), Т. VI, ч. I, Тифлис 1874, стр. 402;
16. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902, №1871, გვ. 3;
17. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902, №1871, გვ. 3;
18. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902, №1873, გვ. 3;
19. გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902, №1905, გვ. 3;
20. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ცხინვალში არსებული სკოლის პრობლემების, იქაური საზოგადოების შეკრების, მათი მთავრობის კომისიის წევრებთან შეხვედრისა და გლეხთა მოძრაობის ამსახველი მასალები (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, №2771, გვ. 2), ნ. ლომოურის მცდელობები კლასობრივი დაპირისპირების ცალკეული ეპიზოდების მოსაგვარებლად (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, №2857, გვ. 3), ცხინვალში ჩაყენებული ეგზიკუციის მძიმე შედეგების შესახებ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, №2886, გვ. 4), კრიმინალური მდგომარეობის (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, №2777, გვ. 1; გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1905, №2780, გვ. 2) და მრ. სხვ.
21. გაზ. „დროება“, 1876, №126;
22. გაზ. „დროება“, 1876, №126;
23. ადამიანი თუთაევის პიროვნება საინტერესოა იმ კუთხითაც, რომ იგი ქართული თეატრის ერთ-ერთი მოამაგეთაგანია. ივანე მაჩაბლის მეგობარი ნიკოლოზ დიასამიძე თუთაევთან ერთად საკუთარი ურმით უზიდებოდა ქვიშას და აგურის ნატეხებს ჭაობის ამოსაშრობად, ამ ადგილ-

ზე ასევე საკუთარი სახსრებით ე.წ. „როტონდის“ (ადგილი სცენისათვის) გასამართავად (გორში). მათ საკუთარი წვლილიც შეჰქონდათ თეატრის რეპერტუარის გამრავალფეროვნებაში. თანამშრომლობდნენ პრესაშიც.

გაზ. „თემის“ ფურცლებზე ს. მაგლობლიშვილი წერდა: „დაუფასებელი ღვაწლი დასდეს გორის სცენას ა. თუთაევმა და ნ. დიასამიძემ, ასე რომ, მომავალი მემატიანე ჩვენი თეატრის აღორძინებისა, უყურადღებოდ არ დასტოვებს იმათ ღვაწლს. ეს ორნი ყველა საზოგადო ქართულ საქმეს ხელს უწყობდნენ“ (გაზ. „თემი“, 1911, #4). (ამ საკითხთან დაკავშირებით დამატებით იხ. ალექსანდრე მღებრიშვილი, ცხინვალის ლიტერატურული და კულტურული ცხოვრების ისტორია, თბილისი 2011).

24. გაზ. „დროება“, 1878, №117;
25. მეფისნაცვალ ერმოლოვის პერიოდში გააქტიურდა საკითხი ცხინვალის-სალუგარდანის მონაკვეთზე გზის გაყვანის შესახებ. ამ გზის უმოკლესი და შესაბამისად მოსახერხებელი მარშრუტის შესახებ ცნობების მოძიება დაევალა ქართველ სასულიერო პირს ნ. სამარღანიშვილს, რომელიც ეწეოდა მისიონერულ მოღვაწეობას და აქტიურად იყო ჩართული ჩრდილოეთ კავკასიის ოსთა (ძირითადად დიგორელებსა და ზასიანელებს) შორის ქრისტიანობის გავრცელების საქმეში (Акты собранные Кавказской Археографической Коммиссией (ред. А. Берже), Т. VI, ч. I, Тифлис 1874, стр. 402);
26. საქართველოში ფეხის მოკიდების შემდეგ, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, რუსულენოვანი ბიუროკრატიული ფორმალიზმის გაძლიერება ამ ენის ნაკლებად მცოდნე საქართველოში ხშირად ხდებოდა გარკვეული უკმაყოფილების საფუძველი. პეტერბურგი შემფოთებული გახლდათ ამიერკავკასიის საქმეთა მოუწესრიგებლობის გამო, ამიტომ, იმპერატორის გადაწყვეტილებით, 1845 წელს კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე დაინიშნა იმპერიის ერთგული მსახური მიხეილ ვორონცოვი. ეს გონივრული გადაწყვეტილება მისასაღმებელი გახლდათ, როგორც რუსული სახელისუფლებო წრეებისათვის, ისე კავკასიელთათვისაც. კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე დანიშნასთან ერთად ვორონცოვმა იმპერატორისაგან მიიღო მანამდე და მას შემდეგაც უპრეცედენტო, შეუზღუდავი ძალაუფლება. მ. ვორონცოვის პერიოდის ქართულ კულტურაზე საუბრისას წინა პლანზე იწვევებენ ისეთი რანგის მოღვაწეთა სახელები, როგორიც იყვნენ: გიორგი ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი და სხვები. ვორონცოვი არა მარტო მხარს უჭერდა ქართულ კულტურულ საქმიანობას, არამედ ნივთიერი დახმარებითაც უწყობდა ხელს. ამ პერიოდში დაარსდა თბილისში საჯარო ბიბლიოთეკა, გაიზარდა თავადაზნაურთა რაოდენობა, იმატა ხაზინის ხარჯზე რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნილი ქართველი ახალგაზრდების რიცხვმა. ვორონცოვის ფინანსური მხარდაჭერით და პლატონ იოსელიანის რედაქტორობით დაიბეჭდა ძველი

ქართული მწერლობის ხუთი ტომი. გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით ორი წლის მანძილზე შეუფერხებლად გამოდიოდა ქართული ჟურნალი „ცისკარი“. გ. ერისთავისავე ინიციატივით საფუძველი ჩაეყარა ქართულ თეატრს.

ვორონცოვი განსაკუთრებულ ზომებს მიმართავდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების კუთხით. ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის, მეღვინეობის, მებაღეობის, მეაბრეშუმეობის და სხვა დარგების განვითარებას. მის დროს დაიწყო ტყიბულის ქვანახშირის დამუშავება, გაიხსნა ლითონჩამომსხმელი, მარმარილოს დამმუშავებელი და სხვა ტიპის სახელოსნოები, მუშაობა დაიწყო მაუდის ქარხანამ და ა.შ.

სხვათა გვერდით, მეფისნაცვლის განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ მოექცა კავკასიაში განათლების, მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებისათვის ზრუნვა. ვორონცოვს კარგად ესმოდა კავკასიის უძველეს ცივილიზაციათა შესწავლის მნიშვნელობა, ამიტომ, მისი მოწვევით მომუშავე მეცნიერთა ჯგუფის მიერ შექმნილმა შრომებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მხარის მეცნიერულ შესწავლაში საქმეში.

დედაქალაქში მისი საქმიანობის ნაყოფს წარმოადგენდა ხიდების მშენებლობა მტკვარზე, დიდი ორსართულიანი თეატრის შენობა, რომელშიც რუსულენოვანი წარმოდგენებისა და იტალიური ოპერის ჰანგების გვერდით ფეხის ადგმა დაიწყო ქართულმა სასცენო ხელოვნებამ. განსაკუთრებული არქიტექტურის ახლად ამენებულ შენობებში განთავსდა ისეთი დაწესებულებები, როგორებიც იყო: თბილისის საქალაქო პოლიცია, ამიერკავკასიის მთავარი სამმართველო და მისი კანცელარია, დაარსდა ნამესტნიკის კანცელარიის ტიპოგრაფია, საჯარო ბიბლიოთეკა, ქუთაისის გიმნაზია და სხვ. განსაკუთრებული როლი მიუძღვის ვორონცოვს ბორჯომის განვითარების ხელშეწყობაში.

კავკასიის მეფისნაცვლის თანამდებობაზე მოღვაწეობისას, მისი თაოსნობით და მეთვალყურეობით საქართველოში არაერთი საინტერესო კულტურული პროექტი განხორციელდა. გაიხსნა თეატრი, დაარსდა საჯარო ბიბლიოთეკა, დაარსდა რამდენიმე პერიოდული გამოცემა ქართულ და რუსულ ენებზე, ქართული კულტურის და ზოგადად კავკასიათმცოდნეობის მნიშვნელოვანი პრობლემატიკის შესახებ გამოიცემოდა ქართველ და არაქართველ ავტორთა მნიშვნელოვანი ნაშრომები, ხელი ეწყობოდა მშენებლობის, სამრეწველო წარმოების, სოფლის მეურნეობის და სხვა მნიშვნელოვან დარგთა განვითარებას. [აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დამატებით იხ. ალექსანდრე მღებრიშვილი, რუსულ-ქართული ლიტერატურულ-კულტურული ურთიერთობების ზოგიერთი საგულისხმო საკითხის შესახებ (XIX საუკუნე. მეფისნაცვალ მ.ს. ვორონცოვის პერიოდი), გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მეშვიდე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის შრომების კრებული, თბილისი 2015, გვ. 556];

27. გაზ. „დროება“, 1887, №42;



soso al imbarasvil i

ნიკო სამადაშვილი და ხიდისთავი



როგორც ჩანს, პირდი ცხოვრების მოუწესრიგებლობა დიდი ადამიანების თანმდევი თვისებაა. ეს, ალბათ იმითაცაა გამოწვეული, რომ პირადზე მეტად მათ ქვეყნისა და საზოგადო სატკივარი აწუხებთ. ამიტომ მასზე ფიქრსა და საქმიანობას მეტ დროს უთმობენ.

ერთ-ერთი ასეთი დიდი ადამიანი ნიკო სამადაშვილი იყო. მას ჯერ კიდევ ჭაბუკობისას უწინასწარმეტყველა მომავალი გალაკტიონმა: „დავრწმუნდი მე თქვენს სიძლიერეში, მომავლისაკენ, წინ იერიშიო!“ ფაქტია, რომ გალაკტიონი ასეთ დითირამებს ყველას არ უძღვნიდა და ქართული პოეზიის ლეგენდა არც შემცდარა.

ოდნავ მოგვიანებით, ასევე ცნობილი ლიტერატურათმცოდნე რუსთველოლოგი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გაიოზ იმედაშვილი, ნიკო სამადაშვილს „პოეზიის ფიროსმანს“ უწოდებდა.

ცხოვრების 58 წლიდან ნიკო სამადაშვილმა ბავშვობისა და ყრმობის 23 წელი ხიდისთავში გაატარა.

სამადაშვილების ოჯახი ცხოვრობდა აზერბაიჯანის ქალაქ აგდემში. ორი წლის იყო ნიკო (დაიბადა 1905 წლის 19 ივლისს), როდესაც მამა ფილტვების ანთებით გარდაიცვალა. დიდედა ეფემიამ ნათესავის ცხედარი ხიდისთავში გადმოასვენა და მცირეწლოვანი ნიკოც თან წამოიყვანა, როგორც ნიკო სამადაშვილის ქალიშვილი მზია სამადაშვილი წერს, იმ იმედით, რომ „შემდგომში როგორც მამულების პატრონი, მეურნე დამდგარიყო“.

1913 წელს, რვა წლის ნიკო, ჯერ გორის სასულიერო სასწავლებელში შეიყვანეს, ხოლო მისი დამთავრების შემდეგ, 1917 წელს გორის ვაჟთა გიმნაზიაში გააგრძელა სწავლა და 1924 წელს უკვე გორის ჰუმანიტარული ტექნიკუმის სახელწოდებით დაამთავრა.

გორშივე გაიცნო მან ცნობილი საზოგადო მოღვაწე - ერეკლე ტატიშვილი, რომელიც წლების განმავლობაში მზრუნველობას უწევდა ნიკოს და თავისი ხარჯით ასწავლიდა თბილისში.



სურ. მამა - მიხეილ სამადაშვილი, პატარა ნიკო, დედა - ოლა კობერიძე და გამზრდელი ეკატერინე. 1906 წელი (ვსარგებლობთ წიგნიდან: მზია სამადაშვილი, „უცნობი ნიკო სამადაშვილი“, თბ., 2002)

ხიდისთავში ცხოვრებისას, ახალგაზრდა და ნიჭიერი ნიკო აქტიურად მონაწილეობდა კულტურულ ღონისძიებებში. ამ სოფლის მკვიდრსა და თბილისის დრამატული სტუდიის მოსწავლეს - ირინა ამბრიაშვილს, ადგილობრივი და სოფელში სტუმრად ჩამოსული ახალგაზრდებისაგან ჩამოუყალიბებია თეატრისმოყვარეთა დასი, რომელშიც ნიკოს როლიც დიდი იყო. იმის გამო, რომ ახალგაზრდებს შესაფერისი შენობა არ ჰქონდათ, წარმოდგენებს მართავდნენ ეზოებში. რამდენადაც სოფლის საზოგადოება სპექტაკლებს დიდი კმაყოფილებით ესწრებოდა, სოფლის მესვეურებს ზედაველას მთის ძირში აუშენებიათ უბრალო ხის კლუბი, სადაც ადგილობრივი გაბო დალაქიშვილის ხელმძღვანელობით დაუდგამთ ოპერეტა - „არშინ მალალან“. თეატრისმოყვარეთა დასს დაურწმუ-

ნებია ხიდისთავის საბჭოს თავმჯდომარე სიკო ოქრიაშვილი, რომ თბილისელი ინჟინერი - ალიბეგოვისათვის ჩამორთმეული სახლი მათთვის დაეთმო და, დიდი ძალისხმევით შემდეგ, მიზნისათვისაც მიუღწევიათ. სამი ოთახის ტიხრები დაუნგრევიათ და კლუბად გადაუკეთებიათ. აქ ირინე ამბრიაშვილის ხელმძღვანელობით დაუდგამთ „გაყრა“, „დავა“, „ხანუმა“, „მზის დაბნელება საქართველოში“ და სხვა სპექტაკლები.¹

ახალგაზრდები ამ საქმეში იმდენად დახელოვნებულან, რომ წარმოდგენებს მეზობელ სოფლებშიც მართავდნენ.

ხიდისთაველების გატაცებას თეატრისადმი ადგილობრივი პრესაც გამოხმაურებია. გაზეთ „წითელი ქართლის“ კორესპონდენტი - ა. მზარულიშვილი 1925 წლის იანვარ-თებერლის სხვადასხვა ნომრებში იუწყება, რომ ხიდისთავში მოქმედებს სახალხო თეატრი, სადაც კომკავშირელთა მიერ იდგმებოდა პიესები და მოსახლეობაც ხალისით ესწრებოდა.

ამავე გაზეთის 1925 წლის 15 მარტის ნომრის ერთი კორესპონდენციიდან ვიგებთ, რომ თეატრის მოყვარულებს დახმარებია რკინიგზის მთავარი სამმართველოც, რომელიც შეფობას უწევდა ხიდისთავს. მათ თეატრისთვის საფარდე ქსოვილი შეუძენიათ და დეკორაციებსაც შეჰპირებია.

¹ დაწვრ., ამ საკითხზე იხ.: ჩვენი სტატია „თეატრალური ტრადიციები ხიდისთავში“, გორის სახელმწიფო-სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი“, №22, 2013 წ., გვ. 51-54.



საგასტროლოდ მიმავალი ხიდისთავის სცენისმოყვარულთა დრამურის წევრები. მარჯვნივ – ნიკო სამადაშვილი, მის გვერდით ირინე ამბრიაშვილი, ფოტო გადაღებულია 1920-იან წლებში.²

ცალკე უნდა აღინიშნოს ნიკო სამადაშვილის შემოქმედების ის ნაწილი, რომელიც ხიდისთავში გატარებულ წლებს ასახავს. მიუხედავად იმისა, რომ მამა თითქმის არ ახსოვდა, მისი საფლავი ახალგაზრდა პოეტში სევდიან მოგონებებს აღძრავდა. ზედაველას შესახებ, სადაც ხიდისთავის სასაფლაო მდებარეობს, ნიკო სამადაშვილის შემდეგი ჩანაწერი აქვს: „სოფელ ხიდისთავს სამხრეთიდან ხრიოკი და მოტიტვლებული ქედი მიბჯენია - როგორც ბაბილონის გოდოლი. ამ ქედის ბეჭზე გაჭიმულია მწირი, ურწყავი მიწები. ზედაველა მიერეკება ველებს, ხრიოკებს და ზედ რუს დაჰყურყუტებს. ერთ-ერთი ქედის მხარზე, მხვიერი კლდის ნაშალზე და თიხანარევ მიწაზე ხიდისთაველებს სასაფლაო გაუშენებიათ. უწესრიგოდ მიყრილ სამარის ლოდლებს

² ფოტო ქვეყნდება პირველად მოწოდებისათვის მადლობას ვუხდით ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორს, ქალბატონ თამილა გოგოლაძეს.

და ჭირისუფალ დაკარგულ საფლავებს რომ აჰყვე, მიაწყდები რკინის ნამუაჯირალ ხიწვიან ბალახით შესუდრულ სამარეს, საფლავის ქვა ნეკნებამდე რო ჩაფლულა მიწაში, სადაც განუწყვეტლივ ზენა ქარი სისინებს”.

საკუთარი და მამის ტრაგიკული ბედისწერა ნიკო სამადაშვილმა თითქოს ერთ-ერთ ლექსში იწინასწარმეტყველა:

„ვიღაც, დიღინით ჩემს საფლავზე
ბალახს გათიბავს,
იტყვის: რა კრულვით დაილუპნენ
მამა და შვილი!
თან კლდის ნატეხზე მიაწერავს
ოდნავ ირიბად:
(აქა მარხია ჩვენი ნიკო
სამადაშვილი)“.

ნიკომ მშობლიურ სოფელს არაერთი ლექსი მიუძღვნა. ამ ლექსებში ნათელი ფერებით ცოცხლდება სოფლის ხალისით სავსე ყოველდღიური ყოფის სურათები: „საყდრის გადასწვრივ ჟღრიალა ლხინი, ცეკვა დავლური ლეჩაქის ქროლა“, „სალამურის ხმა ქვევით საყარზე“, „ლამზე ბლლამუნი, ცურვა-მკლაური“, „კაკას ფერდაზე“ მაღალი ალუჩები და ალუბლის წვენი „გათხუნული ტუჩები“ (ლექსი „ნახული“), სიმღერა „შუშის ფარნებით“ („ძალო ეკატერინეს“), „ფშანში ფაცრის დაგება“, „ყაჩაღების ბუდობა, ღამე ყურძნის ქურდობა“, „სახრის ზურგზე გადაწნა, კვერცხზედ ვაშლის გადაცვლა“ („ყველიერის შაირი“), მეთევზეების მიერ ტანის ტოტის დაწყვეტა, ფაცრის დაგება და ნარიყის მოგროვება, მთებზე ზოზინით მიმავალი ნახირი („ჩემი სოფელი“). სოფლის რელიგიური დღესასწაული, გართობა და ტრადიციები: „ფერიცვალეა“, საფ-

ლავზე ხილის გატანა, „ამბრიანი ოჩას“ დუქნის წინ დუდუკების ფონზე ჭრაქებზე ლხინი, „ბარბარუკა“ და „ნიშხა-ნისა“ („ჩემი სოფელი“), „უბნის გუბე ჭოჭები, ყველიერის კოჭები“ („ყველიერის შაირი“). სოფლის კოლორიტები: ღვთისნიერი „ძია ყიყიტა“ („ნახული“), „თატინას გინება“ („ყველიერის შაირი“), ჭარმაგი ნალბანდები ხიდის ყურზე, „ამბრიანთ ოჩა“ თავისი დუქნით („ჩემი სოფელი“). პოეტს არც ადგილობრივთა სიამაყის საგანი – „ხიდისთაური“ რჩება ყურადღების მიღმა: „ორი ხელადა ჩამოგვისხეს ხიდისთაური, თან ფიცგლობდნენ, უნაკლოა, სუფთა, ღმერთმანი!“.

მშობლიური სოფლის პეიზაჟებსა და პერსონაჟებს ნიკო სამადაშვილმა რამდენიმე პროზაული ნაწარმოებიც მიუძღვნა და მათი ერთ-ერთი პერსონაჟი თვითონაცაა. „მეწისქვილეში“ საკუთარი თავი „მგოსნის“ სახით ჰყავს გამოყვანილი. ნაწარმოებში დიდი ადამიანური სითბო და სიყვარული იგრძნობა ჭადარაშერეულ ანდრია მეწისქვილის მიმართ, რომელსაც წისქვილში ყოფნა „დედის კალთასავით“ უყვარდა. ადამ და ევას დროინდელი ზღაპრები და არაკები ბლომად იცოდა, მაგრამ ბოლომდე – არც ერთი. ვერც ანგარიშით იწონებდა თავს, რადგან ასამდე თვლას ძლივს ახერხებდა.

სამაგიეროდ, ღვთისნიერ და „ბადაგივით გულის მფლობელი“ იყო, ფანდური უყვარდა, წკრიალა ხმა და „მოჭიკჭიკე ფრინველების სადარი სმენა“ ჰქონდა, მისი დღენიადაგ საწუხარი ის იყო, რომ „ადამიანებმა ერთმანეთი აითვალისწუნეს, კაციკაცს გადაემტერა, ზურგს უკან საფლავს უთხრის“ და ამის მიზეზად მო-

მეტებული სწავლა-განათლება მიაჩნია: „თქვენი ბრალიც არის, შვილო, ნასწავლმა ხალხმა რა არ მოიგონეთ, რომ ქვეყანა ამტუტოთ და ამოწყვიტოთ. თუ წინათა ხმალდახმალ გადავიჭრებოდით ხოლმე, ეხლა ზარბაზნებით, ჰაელოპრანით, პულიმენტრით და, არ ვიცი, რა ჯანდაბა და დოზანა არ შემოიღეს!“ მიმართავს „მგოსანს“ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესით გამოწვეული ადამიანური თვისებების გამო „შემფოთებული“ გულუბრყვილო და გულალაღი მეწისქვილე.

ანდრიას ოქროთი მოოჭვილ სრასასახლეებზე არასოდეს უოცნებია, მისთვის მთავარი ნეტარება „დოლაბის ხმაური, წყლის ჩქაფაჩქუფი და ხვიმირას დაგდაგი“ იყო. ამიტომაც მუშტარი არასოდეს ელეოდა, მის წისქვილთან ზამთარ-ზაფხულ ურემების რიგი იდგა, მათ შორის, მეზობელი სოფლებიდანაც.

ამავე ნაწარმოების პერსონაჟთა ენაჭარტალა ჯეკეტაანთ სქელგავიანი კოჭლი მაკრინე, რომელიც დღედაღამ კარდაკარდაიარებოდა და ოდნავ ჭორს ყურს მოკრავდა თუ არა, მაშინვე „ერთი-ათასად“ გადააქცევდა, მათ შორის მუდმივად ჭორავდა ქალების მუსუსს – ანდრია მეწისქვილესაც.

ნაწარმოებში ფრაგმენტულად ჩანან რეალური პიროვნებები: სოფლის მკითხავი ქარქუსაანთ თეკლე, ხეჩიკაანთ თედო, წრუტაანთ გიგა, ტლაშაანთ ლექსო, ოქუაანთ ჩელა, დვალიაანთ სოსა და სხვები.

მწერალს არც ბარაქიანი შემოდგომის სოფლის თვალწარმტაცი პეიზაჟების აღწერა რჩება ყურადღების მიღმა: სახლების ბანებსა და ჯინის სახურავებზე გაფენილ ლასტებზე, ჩელტებსა და ხახლებზე ქლიავის,

ჭანჭურის, ალიბუხარის, გაიპარას, სახლუჩი ატმის ჩირები, აივნებზე გამოკიდული გადაფსკვნილი ყვითელი გოგრები, კომმისა და ყურძნის ჯაგნები, წითელი წიწაკის ასხმულები და ნივრის გალები, სარზე ჩამოკონწიალებული ჩურჩხელები.

სოფლის პეიზაჟები და პერსონაჟები ცოცხლდებიან „უცნაურ ხელობაშიც“, რომელშიც ცნობილი პოეტის დაკრძალვის ცერემონიალია აღწერილი (არ უნდა გამოვრიცხოთ, რომ მასში სამადაშვილი საკუთარი თავის დაკრძალვის იმიტაციას აღწერს): ხრიოკი ზედაველა, კარიბჭიანთ ფაშა ქალბატონი, ტვლეპიანთ ვანესა, მუენიანთ კატოს ბიჭი, ქარუმანთ კინკილა, ჯირკველაანთ სანდრო, ოხერელი პავლე, ბოშურელი ურიკინე და სხვ., მაგრამ, ყველაზე უკეთ სათქმელ-სატკივარს ნიკო სამადაშვილი მაინც ლექსში „ჩემი სოფელი“ გადმოსცემს. ლექსი XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოქარი ცხოვრების, ხიდისთავში გატარებული წლებისა და პოეტის დაუოკებელი სულის გამოძახილია. გარდა შესანიშნავად გადმოცემული სოფლის იმდროინდელი პეიზაჟებისა, ლექსში საოცარი სინაზე იგრძნობა პოეტის პირველი სიყვარულის მიმართ, სევდა და ტკივილი ეძალება მამის საფლავზე გასვლისას. როგორც ჩანს, ნიკო სამადაშვილი, სხვა დიდი პოეტების მსგავსად, წინასწარ გრძნობდა, რომ მისი ცხოვრება ია-ვარდით მოფენილი არ იქნებოდა. ამიტომ საკუთარ სოფელში სიკვდილს ამჯობინებს, თუნდაც მტკვარმა „გინებით სადმე გარიყოს“. ასევე ნაღველი აწვება და „ვათვათი სჭვალავს“, როცა იგონებს „ხვართქლანარევ ორღობეს“, „გვირილის ფრთებივით მოჭედილ ჭალას“, „ეტი-

დან-ეტში³ იების გუბეს“, წისქვილის წინ ძველ სახლს, რუს ჩხრიალის ფონზე ნამკვებთან გატარებულ საღამოებს.

ამავე ლექსშია გაჟღერებული მისი სურვილი, ბალღამნარევი სიცოცხლის შემდეგ მშობლიურ სოფელში დამარხვისა, რომელსაც მეტად შთაბეჭდავი სიტყვებით გადმოგვცემს:

„როგორ მინდოდა იქ
მომკვდარიყავ,
დურდლო სიცოცხლე კი
ქარს წაელო...“

სამწუხაროდ, პოეტს ეს სურვილი არ აუსრულდა. მალე დიდება ეფემიასთან მიწის თაობაზე კონფლიქტი წარმოიშვა და საქმე სასამართლომდე მივიდა. როგორც ზემოთ ითქვა, ეფემია იმედებს ამყარებდა, რომ ნიკო მამულებს მოუვლიდა⁴, თუმცა, მის ამ სურვილს ასრულება არ ეწერა. როგორც პოეტის ქალიშვილი მამისადმი მიძღვნილ წიგნში იგონებს, „ვენახში სამუშაოდ გაგზავნილ მამას რომელიმე ხის ძირას ნახულობდნენ წიგნით ხელში, რაც დიდებას რისხ-

³ ეტი - მწკრივში გაშენებული ვაზი.

⁴ როგორც ცნობილია, ზემოხსენებულ წლებში საქართველოში „კოლექტივიზაციის“ მშენებლობა რეპრესიებისა და განკულაკების ფონზე მიმდინარეობდა და ხიდისთავი გამონაკლისი არ იყო. საბჭოთა ხელისუფლება მიწას ართმევდა ნებისმიერს, ვინც მას არ ამუშავებდა, ან სოფელში მუდმივად არ ცხოვრობდა. ასე აღმოჩნდნენ ხიდისთავში „შერისხულთა“ შორის, ცნობილი მწერალი დავით ლუკაშვილი, აგრონომი გიორგი კარიჭაშვილი და სხვები. ამ ფონზე გასაგებია, რით იყო გამოწვეული ეფემიას შიში.

ვას იწვევდა“. სხვაგან აღწერილია, თუ ათიოდე გოგო-ბიჭი საკუთარ ვენახში როგორ წაიყვანა ნიკომ და სიმინდის ტარობით, საუკეთესო მსხლითა და ატმით გაუმასპინძლდა, ხოლო, როდესაც ეფემიამ ვენახში „ქურდების“ კვალი აღმოაჩინა, ნიკომ როგორ დაამშვიდა: „ნუ გაჯავრდები, დიდედა, იქნებ როგორ უნდოდათ, ღმერთმა შეარგოთ“. ბუნებრივია, ამგვარი მეურნე ეფემიას ვერ გამოადგებოდა.

სამწუხაროდ, სასამართლოზე ეფემიას მხარე დაიჭირა მისმა დამ, ნიკოს გამზრდელმა ეკატერინემაც.

საბოლოოდ, დიდედები და ნიკო გაიყარნენ. გორის სახელმწიფო არქივში დაცულია ერთი დოკუმენტი (აქტი), რომელიც 1937 წლის 26 ნოემბერს არის შედგენილი გორის რაიონის უფროსი მიწათმომწეობის – გ. გომართელის მიერ. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ 1933 წელს პატარა ოხერის მკვიდრ ეკატერინე ოქუაშვილსა და მის დისშვილ – ნიკო სამადაშვილს, ჰქონიათ საერთო უძრავ-მოდრავი ქონება და ამავე წელს გაყრილან. ნიკო სამადაშვილს საკუთარი წილი მოძრავი ქონება გაუყიდა და თბილისში წასულა, ხოლო დეიდასთან სადავო ბაღ-ვენახი საკუთარი სურვილით გადაუცია სასოფლო საბჭოსათვის. საბჭოს ეს ვენახი მიუზომია არსენ ფუხაშვილისათვის, როგორც საკარმიდამო მინიმუმ ნორმაზე მცირე მქონესათვის, ამიტომ ეკატერინე ოქუაშვილის მოთხოვნა მიწის უკან დაბრუნების შესახებ არ დაკმაყოფილებულა.

ზემოთქმულის მიუხედავად, ნიკო ყოველთვის პატივს სცემდა გამზრდელ დიდედას და ლექსიც კი მიუძღვნა („ძალო ეკატერინეს“), რო-

მელშიც მოწიწება, პატივისცემა და მადლიერებაა გამოხატული და სინდისის ქეჯნასაც კი გრძნობს ახალგაზრდული სიფიცხისა და დიდედას სურვილის ვერ შესრულების გამო:

„მე არ ვიცნობდი დედის
ალერსს, მაგრამ შენს ზრუნვას
ხომ დავზმუოდი, ჩემო ძალო,
როგორც მოზვერი.

...როგორ ნაღვლობდი როცა
ავცდი გზას და ქვეყანას,
როცა სარდაფებს მივაშურე
ბედის ურგებმა.

მითვლიდი, ბიჭო! მაგ ღვთის
ცეცხლში რაზე ყაყანებ,
ნუთუ სიმშვიდე დაგავიწყეს
საძნე ურმებმა?

მოშორდი ქალაქს, დამიხედე შენს
კარმიდამოს,
დარგავ ყვავილებს, ამყნი თუთას,
ან უსურვაზებს,

შემოუკვართავ ძველი სახლის
ფუტურო ბოძებს,
და შენ სიცოცხლეს ოდნავ მაინც
გაალამაზებ.“

(„ძალო ეკატერინეს“)

მზია სამადაშვილის გადმოცემით, ეკატერინესაც მალევე გაუცნობიერებია მომხდარი, სიკვდილის წინ თურმე ნიკოს ნახვას ნატრობდა და „ნიკუმას“ ძახილში ამოხდა სული, მაგრამ გულნატკენი ნიკო ხიდისთავში აღარ დაბრუნებულა.

XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს გადაწყვეტილა ხიდისთავში ნიკო სამადაშვილის სახლ-მუზეუმის გახსნა. საამისოდ მის ნასახლართან ტერიტორიაც შეურჩევიათ, მაგრამ ეს კარგი წამოწყება, 90-იანი წლების დასაწყისში ქვეყანაში განვითარებული ცნობილი მოვლენების გამო, ვეღარ განხორციელდა.

არც ახლავა გვიან...



იოვანე-ზოსიმეს „ქებად“-ს წინასწარმეტყველება

*ბოლოდ ყოვლი დამალული
საქმე ცხადად გამოცხადდეს-
შოთა რუსთაველი*

ქართული სასულიერო მწერლობის უმნიშვნელოვანესი ძეგლის „ქებად და დიდებად ქართულისა ენისა“-ს ოთხი ხელნაწერია დღემდე მოღწეული. ყველა ხელნაწერი გადაწერილია საბაწმინდის ლავრაში, იერუსალიმის მახლობლად და დაცულია სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტერში, სადაც ქართველები ადრიდანვე მოღვაწეობდნენ.

მიჩნეულია, რომ „ქებად“-ს ნუსხები X საუკუნის ცნობილი მწიგნობარისა და მოღვაწის იოვანე-ზოსიმეს ხელითაა გადაწერილი და ჩართულია ხელნაწერებში.

ამ ხელნაწერთა შორის ყველაზე ადრეული „ქებად“-ს ტექსტი 1883 წ. ჩამოიტანა ა. ცაგარელმა, რომელმაც გამოაქვეყნა 1888 წ. და დღემდე დაცულია პეტერბურგის საჯარო ბიბლიოთეკის ხელნაწერთა ფონდში. 1902 წელს შედგა სამეცნიერო ექსპედიცია სინაზე ნ. მარის და ივ. ჯავახიშვილის მონაწილეობით. მათ მოიძიეს იოვანე-ზოსიმეს ხელნაწერთა კრებული „სინური მრავალთავი“, რომელიც სხვადასხვა სიძველის, ხა-

სიათისა და ლიტურგიული დანიშნულების ხელნაწერებისაგან შედგება და სწორედ აქ აღმოაჩინეს „ქებად“-ს ოთხივე ხელნაწერი, რომელსაც ბოლოში ერთვის სამიებელი-ჩამონათვალი ამ კრებულში შესული ხელნაწერებისა. სამიებელი მიგვითითებს, რომ ხელნაწერთა კრებული მთავრდება 21-23 ნომრით – „შესხმად ქართველთა და ქართველთა ენისა“.

იოვანე-ზოსიმეს „ქებად“-ს ოთხივე ხელნაწერის ფოტოასლი ინახება თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდში. ისინი გამოქვეყნდა 1940 წ. ნ. მარის და ივ. ჯავახიშვილის მიერ. ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ოთხი ხელნაწერიდან პირველი სამი თითქმის ერთნაირია, დაწერილია ნუსხა-ხუცური ანბანით და მიწერილი აქვს, რომ გადამწერი იოვანე-ზოსიმეა. ხოლო მეოთხე – განსხვავებული ტექსტია, ასომთავრულითაა შესრულებული და არა აქვს მიწერილი გადამწერის ვინაობა, ე.ი. ავტორი უცნობია. მეცნიერები თვლიან, რომ მეოთხე ხელნაწერი არაა იოვანე-ზოსიმესი.

ბევრმა ქართველმა მწერალმა იმუშავა „ქება“-ს ტექსტზე. მათ შორის იყო პავლე ინგოროყვა, რომელმაც ძირეულად შეცვალა „ქება“-ს ზოსიმესული ტექსტი. სწორედ ამის შედეგად წაიშალა ძირითადი არსი „ქება“-ს წინასწარმეტყველებისა, თუ ვის, რატომ და როდის უნდა ველოდოთ და როდის უნდა მოხდეს ქართული ანბანის საიდუმლო კოდის გახსნა. შედეგად, ქართველ საზოგადოებას მოევლინა ახალი, XX საუკუნეში დაწერილი „ქება“, რომელსაც ნამდვილ „ქება“-სთან მცირედენი მსგავსებადა შემორჩა (იხ. პ. ინგოროყვა „თხზულებათა კრებული“, ტ. III. 1965 წ.). პ. ინგოროყვას „ქება“-ს ტექსტია დაბეჭდილი „ქართული პროზა“-ს I ტომში და ნებისმიერ ქართულ პუბლიკაციაში, ხოლო ავტორად ცხადდება იოვანე-ზოსიმე ან საერთოდ არავინ. მეცნიერები შეისწავლიან და განიხილავენ არა იოვანე-ზოსიმეს, არამედ პავლე ინგოროყვას „ქება“-ს ტექსტს. ქართულ ტაძრებშიც და ლაზარობის სადღესასწაულო წირვაზეც იკითხება „ქება“-ს შეცვლილი ტექსტი. „ქება“-ს ნამდვილ ხელნაწერებში საერთოდ არაა ნახსენები სიტყვები: „მესიისა“, „ას ოთხი ესე წელი და წილი ანბანისა“ და სხვა. ვის სჭირდება „ქება“-ს ტექსტის ასეთი შეცვლა?! ვიმედოვნებ, რომ ეს შეგნებულად არ ხდება.

იოვანე-ზოსიმეს „ქება“-ს ხელნაწერები შეიქმნა და გადაიწერა X საუკუნეში ისეთ წმინდა ადგილას, როგორცაა იერუსალიმის საბაწმინდის ლავრა და ამჟამად ინახება სინას მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის

ხელნაწერთა საცავში. „ქება“ არის წინასწარმეტყველება ქართული გენის, ანბანის და ენის უდიდესი კოსმიური და ღვთიური მისიის შესახებ. „სინური მრავალთავი“, გადაწერილი იოვანე-ზოსიმეს მიერ, რომელშიც „ქება“-ს ხელნაწერებიც შედის, ქართველი ერისთვის და არა მარტო ჩვენთვის, ფასდაუდებელი სულიერი ღირებულებისაა.

ასეთ წმინდა ადგილზე დაწერილ და ერისთვის უდიდესი მნიშვნელობის ტექსტში, როგორცაა იოვანე-ზოსიმეს „ქება და დიდება ქართულისა ენისა“, რომელიც დაწერილია „სახელითა ღმრთისადათა“ („ქება“-ს მეორე და მესამე ხელნაწერებს აწერია ზემოთ), არ შეიძლება არამც თუ ტექსტის ძირეული შეცვლა, არამედ ყოვლად დაუშვებელია თუნდაც ერთი ასო-ნიშნის გამოკლება, დამატება ან გადანაცვლება. ძველი სიბრძნე გვეუბნება, რომ „სახელითა ღმრთისადათა“ დაწერილ ტექსტებში ყოველი უმნიშვნელო ცვლილებაც კი „სამყაროს დასასრულს“ მოასწავებს. იმედს ვიტოვებ, რომ აღნიშნული საკითხის გამოსასწორებლად აქტიურ მონაწილეობას მიიღებს როგორც საპატრიარქო, ასევე ქართული სამეცნიერო საზოგადოება. ქართველმა ერმა უნდა იხილოს იოვანე-ზოსიმეს „ქება“-ს ნამდვილი ტექსტი, რომელიც სულაც არ არის რთული მოსაპოვებელი – სამივე ხელნაწერის ფოტოასლი თბილისის ხელნაწერთა ინსტიტუტის საცავშია დაცული. გთავაზობთ იოვანე-ზოსიმეს (X-ს) სამივე ხელნაწერის შეჯერებულ ტექსტს.

სახელითა ღმრთისადათა „ქება და დიდება ქართულისა ენისაჲ-

- დამარხულ არს ენაჲ ქართული დღედმდე მეორედ მოსლვისა მისისა საწამებელად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა.
- და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან.
- და ახალმან ნინო მოაქცია და ჰელენე დედოფალმან, ესე არიან ორნი დანი, ვითარცა მარიამ და მართაჲ.
- და მეგობრობაჲ ამისთვის თქუა, ვითარმედ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს.
- და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის თქუა დავით წინასწარმეტყუელმან, რამეთუ „წელი ათასი ვითარცა ერთი დღა“.
- და სახარებასა შინა ქართულსა, თავსა ხოლო მათესსა, წერილი ზის, რომელ ასოჲ არს და იტყვს ყოვლად ოთხ ათასსა მარაგსა: და ესე არს ოთხი დღა:
- და ოთხისა დღისა მკუდარი, ამისთვის მის თანავე დაფლული სიკუდილითა ნათლისღებისა მისისადათა.
- და ესე ენაჲ, შემკული და კურთხეული სახელითა ო -ისადათა (უფლისადათა), მდაბალი და დაწუნებული, მოელის დღესა მას მეორედ მოსლვასა -ისასა (უფლისასა).
- და სასწაულად ესე აქუს **ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა ქრისტეს მოსლვითგან ვიდრე დღესამომდე.**
- და ესე ყოველი, რომელი წერილ არს, მოწამედ წარმოგითხარ ასი ესე წელი ანზანისაჲ.

იოვანე-ზოსიმე (X ს.).

იოვანე-ზოსიმეს „ქება“-ს ხელნაწერებთან დაკავშირებით, ჩემი გამოკვლევები გამოიცა წიგნად: „**შესხმაჲ ქართველთაჲ და ქართველთა ენისაჲ**“ (2004წ., 2010წ.). „ქება“-ს ხელნაწერებში გადმოცემულ დაშიფ-

რულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, გთავაზობთ ჩემს მოსაზრებას.

ჯერ კიდევ პირველ ადამიანებს მიაჩნდათ, რომ ღმერთმა სამყარო შექმნა ასო-ნიშანთა განსაკუთრებული წყობით. თითოეულ ასო-ნიშანს

ღმერთის ფუნქციას ანიჭებდნენ და ციფრებით მოიხსენიებდნენ. მათი ცოდნა ღმერთზე. ადამიანსა და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე, დაშიფრული სახით გადმოცემულია ქართულ ანბანში. ამავედროულად, ეს ცოდნა დაკავშირებულია სამყაროს გენეტიკური კოდის კოსმიურ პროცესთან და დღეს საზოგადოება მას ბიბლიური „კაბალას“ სახელით იცნობს. იგი მოიცავს ჩინეთის „იძინს“, ეგვიპტის „ტაროს არკანებს“, შუმერების „მე“-ს „ხვთაებრივ კანონებს“ და ევროპელთა „რუნებს“. ეს ცოდნა ათასწლეულების მანძილზე იყო ქურუმთა დიდი საიდუმლო. ჰეროდოტეს 341 ქურუმის ქანდაკება აჩვენებს ეგვიპტელმა ქურუმებმა, რომლებიც მონაცვლეობით იყვნენ ანბანის კოსმიური საკრალური საიდუმლო ცოდნის მფლობელები. მაგრამ მათ იცოდნენ, რომ მოვიდოდა დრო, როცა ბიბლიური კაბალას კოსმიური საიდუმლო ცოდნა ანბანის, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდის შესახებ, უნდა გაცხადებულიყო, რომელიც მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება.

სწორედ ამ საკითხს უკავშირდება იოვანე-ზოსიმეს „ქება“, სადაც მრავალი მინიშნებაა ენის ანუ ანბანის საიდუმლოს გახსნის თარიღთან დაკავშირებით. ვინაიდან „კაბალას“ ცოდნა მსოფლიოში არსებულ ანბანთა შორის მხოლოდ ქართულ ანბანში აისახება. ამიტომაც მნიშვნელოვანი ქართული ანბანის საიდუმლოს გახსნა და ეს ხდება მაშინ, როდესაც სამყარო გენეტიკური კოდით ამთავრებს ადამ და ევას პერიოდში არსებობას და იწყებს გადასვლას ახალ ცივილიზაციაში.

თქვენ წინაშე წარმოვაჩენ ნაწყვეტებს წიგნიდან „შესხმა ქართველთა და ქართველთა ენისა“, რომელიც ეხება იოვანე-ზოსიმეს „ქება“-ს ტექსტის განხილვას.

[2] „ესე ენა მძინარე არს

დღესამომდე და სახარებასა

შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვან-

„ენა მძინარე არს“ ნიშნავს, რომ ამ ენამ უნდა „გაიღვიძოს“, როცა ამის დრო მოვა, რათა ქართული ენით ემცნოს ყველას ანბანის ჭეშმარიტი არსი, მისი უდიდესი კოსმიური მნიშვნელობა. ქართული ენა გაიგივებულია „ლაზარესთან“.

ვინ არის „ლაზარე“ წარმართობის პერიოდში და რატომ აიგივებს „ქება“-ს წინასწარმეტყველება ქართულ ენას, ქართულ ანბანს მაინც-დამაინც „ლაზარესთან“?

ქართული მითოლოგიით ლაზარე არის დარისა და ავდრის წარმართობის პერიოდის ხვთაება, თუმცა ცა-ღრუბლის ბატონად ელია ითვლება. ელია ლაზარეს ორეულია, ნაყოფიერების ხვთაებაა.

კახეთში გვალვისას გოგონები აკეთებენ თიხის „ლაზარეს“, კარდაკარ დადიან შესაბამისი სიმღერით და რომელ სახლთანაც მივლენ, „ლაზარეს“ წყალს მიასხამენ.

სამხრეთ საქართველოში ლაზარეს კი არ აკეთებენ, არამედ ქალს ამოირჩევენ და კარდაკარ სიარულის დროს წყალს ასხამენ.

ხევსურებს ცა-ღრუბლის გამგედ „პირიმზეც“ (მდედრია) მიაჩნდათ. სვანურად „ელვა“ ნიშნავს „მზეს“.

აფხაზეთში ამ დღესასწაულს „ლაზარობა“ ჰქვია. გვალვის დროს ქალიშვილები „დედოფალს“ აკეთებდნენ. თეთრ მატერიაგადაფარებულ ვირზე დასვამდნენ და ისე დადი-

ოდნენ კარდაკარ. შემდეგ „დედოფალს“ წყალში ჩააგდებდნენ და თვითონაც ჭყუმპალაობდნენ.

მითოლოგიასა და რელიგიურ წეს-ჩვეულებებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ „ლაზარე“ მდებდრობითი სქესის ნაყოფიერების „ცა-ღრუბლის“ ხვთაებაა, იგივე „დედოფალი“ – „პირი-მზე“ (ზოგიერთი უძველესი ხალხი მზეს „პირის“ სახით გამოსახავდა). „ლაზარობის“ რიტუალში მხოლოდ გოგონები იღებდნენ მონაწილეობას. უძველესი წარმართობის დროს საქართველოში მზე მდებდრობითი ხვთაება იყო, რაც ძალიან იშვიათია და ჩვენი ხალხის უძველესი ცივილიზაციის წარმომავლობაზე მიგვანიშნებს.

ქართულ ლექსიკონებში „ელია“ ნიშნავს „უფალო ღმერთო“-ს. „ელი“ – „ელია“ – „ელიაზარ“ – „ლაზარე“ მეოხი და „ხვთის შეწვენა“.

მეტად საგულისხმოა, საქართველოს სამხრეთით, თურქეთის ტერიტორიაზე შემორჩენილი ელიას ხეობის ქართველთა სარიტუალო სიმღერა: „ელია გოგო, ელია, ...წითელ კაბას ჩაგაცვამ, თორმეტ ოქროს შაგაბამ...“ ოდნავი გაანალიზებაც საკმარისია შემდეგი დასკვნის გასაკეთებლად: ქართველები სიტყვებით – „ელია გოგო“, „წითელი კაბა“, „თორმეტი ოქრო“, ცეცხლის სტიქიის ქალღმერთს „ელია“ – „ელი“ – „ელვა“-ს უმღერიან.

ჭადრაკში დიდი კოსმიური საიდუმლო ინფორმაციაა ჩადებული. განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ჭადრაკში დედოფალს „ლაზიერი“ – „ლაზი-ერი“ ჰქვია და ორივე სიტყვა – „ლაზი“ და „ერი“ ქართული ენიდან მოდის. სიტყვა „ერი“ ქართულ, შუმერულ და ბასკურ ენებ-

ში ერს ნიშნავს და უკავშირდება „ერთს“ და „ღმერთს“. სიტყვა „ლაზი“-ს ნაცვლად უნდა იყოს „ლას“, რომელიც არის ქართული ანბანის 12-ლ-ლას-30 ასო-ნიშნის სახელი, რაც ქართული წარმართული პანთეონის თევზის ხვთაებაა. ამ კუთხით ქართული ანბანის ლას ასო-ნიშნის კოსმიური არსის განხილვა ბიბლიური კაბალას საკრალური ცოდნის მიხედვით, ძალიან მნიშვნელოვანია და ცალკე საუბრის თემაა. დავათის სტელაზე (ძვ. წ. 680 წ.) და დავით გარეჯის ერთ-ერთი კლდის ფერდობზე გამოსახულია თევზი თავით ქვემოთ, რომელშიც ჩაწერილია ქართული ანბანი. მსოფლიოს ხალხთა მითოლოგიაში ანბანის მფლობელი დამწერლობის ქალღმერთია.

მამასადამე, „ქება“-ს წინასწარმეტყველება ქართულ ენას და ქართული ანბანის „გაცოცხლება-გადვიძებას“ აკავშირებს ლაზარესთან, რომელიც ქართველთათვის არის „ცა-ღრუბლის“ ხვთაება, „ნაყოფიერების ქალღმერთი“, დედოფალი, მზე, ვენერა, აფროდიტა, ცისკრის ვარსკვლავი, ქალღმერთი დალი, „ყველა მხარის ქალბატონი“, შუმერების ქალღმერთი ინანა, იზიდა, სამყაროს დედა – იბერიის ხვთისმშობელი. მსოფლიოს სხვადასხვა ხალხი მას სხვადასხვა სახელით მოიხსენიებს.

„ქება“-ს წინასწარმეტყველების მიხედვით, ქართული ანბანის „გადვიძება-გაცოცხლება“ უკავშირდება სამყაროს დედის – ნაყოფიერების ქალღმერთის „მეორედ“ მობრძანებას.

იოანეს სახარებაში მაცხოვარი ეუბნება თავის მოწაფეებს, რომ „მომავალში სულიწმინდამ უნდა ამხილოს სოფელი ცოდვისათვის და მოჰ-

მადლოს რჩეულებს ჭეშმარიტი საღვთო სიბრძნე'. ერთ-ერთ ძველ აპოროკიფში ქრისტე სულიწმინდას დედას უწოდებს. საქართველო არის წილხედომილი ხეთისმშობლისა, ხოლო ხეთისმშობელი სულიწმინდის მიწერი გამოცხადებაა. სულიწმინდის ნების განმცხადებელი, მისი „პირი“ გაბრიელ მთავარანგელოზია. ჯერ კიდევ წარმართულ პერიოდში ქალღმერთ იზიდას გაბრიელ მთავარანგელოზთან აიგივებდნენ.

„ქებაა“-ს ერთ-ერთ ხელნაწერში არის ერთი სიტყვა „დღემმდე“, სადაც სამჯერ მეორდება ასო-ნიშანი

„მ“, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია და მიგვანიშნებს იმაზე, რომ „ქებაა“-ს სამივე ტექსტი უფლის და უფლის ანგელოზთა მიერ მოწოდებული კოსმიური ინფორმაციაა. ამაზე მიგვანიშნებს ასევე „ქებაა“-ს ტექსტის თავზე იოვანე-ზოსიმეს ხელით გაკეთებული წარწერა „სახელითა ღმრთისათა“. ეს საკითხი საუბრის დიდი თემაა (ნახეთ წიგნი: ნ. ხ. „ქართული გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან“, 2012 წ. – „აღვანეთი კავკასიის ალბანეთის ისტორიული სახელია...“).

ქართული ანბანი

1	Ⴀ	Ⴁ	Ⴂ	Ⴃ	1	20	Ⴅ	Ⴆ	Ⴇ	Ⴈ	200
2	Ⴉ	Ⴊ	Ⴋ	Ⴌ	2	21	Ⴎ	Ⴏ	Ⴐ	300	
3	Ⴑ	Ⴒ	Ⴓ	Ⴔ	3		Ⴖ	Ⴗ	Ⴘ		
4	Ⴕ	Ⴖ	Ⴗ	Ⴘ	4	22	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	400	
5	Ⴝ	Ⴞ	Ⴟ	Ⴐ	5	23	Ⴒ	Ⴓ	Ⴔ	500	
6	Ⴑ	Ⴒ	Ⴓ	Ⴔ	6	24	Ⴖ	Ⴗ	Ⴘ	600	
7	Ⴚ	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	7	25	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	700	
8	Ⴒ	Ⴓ	Ⴔ	Ⴕ	8	26	Ⴗ	Ⴘ	Ⴙ	800	
9	Ⴖ	Ⴗ	Ⴘ	Ⴙ	9	27	Ⴛ	Ⴜ	Ⴝ	900	
10	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	Ⴒ	10	28	Ⴜ	Ⴝ	Ⴞ	1000	
11	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	Ⴒ	20	29	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	2000	
12	Ⴒ	Ⴓ	Ⴔ	Ⴕ	30	30	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	3000	
13	Ⴖ	Ⴗ	Ⴘ	Ⴙ	40	31	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	4000	
14	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	Ⴒ	50	32	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	5000	
15	Ⴖ	Ⴗ	Ⴘ	Ⴙ	60	33	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	6000	
16	Ⴖ	Ⴗ	Ⴘ	Ⴙ	70	34	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	7000	
17	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	Ⴒ	80	35	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	8000	
18	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	Ⴒ	90	36	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	9000	
19	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	Ⴒ	100	37	Ⴟ	Ⴐ	Ⴑ	10000	

ქართული ანბანის საიდუმლოს გახსნის თარიღთან დაკავშირებით „ქებაა“-ს ტექსტში ერთ-ერთი მინიმუმ ასეთია: „ოთხმეოც და ათოთხმეტი წელი უმეტეს სხუათა ენათა“.

ვიდრე ამ სიტყვების განხილვას დავიწყებთ, მინდა აღვნიშნო, რომ როგორც „ასომთავრული“, ისე „მხედრული“ ასო-ნიშნები გამოცხადებით მიღებული ინფორმაციაა, ორივე ან-

ბანი ერთდროულადაა „შექმნილი“, ვინაიდან ჩემს ხილვებში „ასომთავრული“ ასო-ნიშნები მამა ღმერთს თავზე ადგას, ხოლო „მხედრული“ – კოსმიურ მხედარს შუბლზე აწერია. აქედანაა მათი სახელები „ასომთავრული“ და „მხედრული“. ორივე ანბანი მონაწილეობს კოსმიურ პროცესში გენეტიკური კოდის სახით, ჩადებულია მიკრო და მაკრო სამყაროში, დრო ქართული ანბანის გვერდით მიწერილი ციფრების მიხედვით მიედინება ანუ „ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის“.

დავუბრუნდეთ „ქებად“-ს ზემოთ მოყვანილ სიტყვებს. „უმეტეს სხუათა ენათა“-ში მოიაზრება ქართული „ასომთავრული“ და „მხედრული“ ანბანები. როცა მათი სხვაობა გახდებოდა „94“, მაშინ დადგებოდა ქართული ენის და ანბანის საიდუმლოს გაცხადების ჟამი. ქართული საზოგადოებისთვის დღეს ცნობილი „ასომთავრული“-ს 37 და „მხედრული“-ს 33 ასო-ნიშანი ასეთი სახით XX ს. დასაწყისში ილია ჭავჭავაძემ „დაალაგა“, რაც მოგვიანებით 1984 წელს აღმოჩენილ დავათის სტელას (ძვ. წ. 680 წ.) ანბანს დაემთხვა. აღმოჩნდა, რომ „ასომთავრული“ ანბანი „მხედრულზე“ ოთხი ასო-ნიშნით მეტია, რომელთა ანბანთრიგის შეჯამებით, მივიღებთ: $A+e+ჟ+მ=8+15+34+37=94$

დღეისათვის „ასომთავრული“ ანბანი მართლაც 94-ით მეტია „მხედრულ“ ანბანზე, რაც მოიაზრება სიტყვებში – „უმეტეს სხუათა ენათა“. „ქებად“-ს ამ მინიშნებით სწორედ ახლა, III ათასწლეულის დასაწყისში დადგა ჟამი „ქებად“-ს წინასწარმეტყველების ასრულების: უნდა წარმოჩინდეს ის დაფარული საიდუმლო კოსმიური ცოდნა, რომელიც ჩადებულია ქარ-

თულ ანბანში – ეს არის ბიბლიური კაბალას გენეტიკური კოდის საიდუმლო საკრალური ცოდნა.

გავიხსენოთ სიტყვები მოციქულ იოანეს გამოცხადებიდან: „მე ვარ ანი და ოხი (ალფა და ომეგა), პირველი და უკანასკნელი, დასაბამი და დასასრული“ (გამოცხ. 1,8). ე.ი. ანბანი თვით უფალია, მაგრამ ეს სიტყვები ყველა ანბანს არ ეხება ანუ ეს სიტყვები ეხება მხოლოდ იმ ანბანს, რომელშიც კაბალას ცოდნა აისახება. ასეთი კი მსოფლიოში არსებული 14 ანბანიდან მხოლოდ ქართული ანბანია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ქებად“-ს საიდუმლოს გახსნა ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისაა.

ახლა, ა.წ. III ათასწლეულის დასაწყისში, დადგა სამყაროს IV-ც-ცეცხლის სტიქიის კოსმიური პერიოდი, რომელიც არის „ოქროს საწყისის“ – კოსმიური „და-ძმის“, ორი პირველსაწყისის – ინ და იან-ის შეერთების, გამთლიანებული აზროვნების ათასწლეული. ქართველთა მითოლოგიით, კოსმიური და-ძმა არიან ხვთიშვილი იახსარი და სამძივარი, რომლებიც ორი „ნახევარმზებია“ და უნდა შექმნან მთლიანი „მზე“. „ქებად“-ს ტექსტით, ერთი არის „დღე“ (ქართულ უძველეს ხელნაწერებში სიტყვა „მზე“-ს ნაცვლად ზოგჯერ „დღე“-ს წერდნენ. ქართული ცნობიერებისთვის „მზე“ და „დღე“ ერთია), ხოლო მეორე არის „ასი ესე წელი ანბანისად“ ანუ „მზე“. ქართველთა ცნობიერებით, მზე მდებდრი ხვთაებაა. „ასი ესე წელი ანბანისად“ ქართულ ანბანში არის 19-რ-რა(რაე)-100 ასო-ნიშანი, რომლის შესატყვისი სახელი, ბიბლიური კაბალას ცოდნის მიხედვით, არის „მზე“. რ. პატარიძის გამოკვლევით, მსოფლიოში არსებული ანბა-

ნებიდან „რ“ ასო-ნიშანი მე-19 ადგილზე მხოლოდ ქართულ ანბანშია. ეს ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი მინიშნება იმისა, რომ კაბალას ცოდნა მხოლოდ ქართული გენის ფენომენია. მაშასადამე, „ქება“-ს ტექსტი „ორი მზის“ მოსვლაზე მიგვანიშნებს, რომელთაგან ერთი არის „მზე“, ხოლო მეორე არის „დღე“ (ნახეთ წიგნი: ნ. ხ. „ოქროს საწმისი – ორი მზის საიდუმლო“, 2013).

ძველი სიბრძნე ამბობს: „არ არს საიდუმლო, რომელიც არ გაცხადდების“, „ყველაფერს თავისი დრო აქვს“.

აი, რას გვეუბნება ამის შესახებ ერთ-ერთი ქართული ხალხური ლექსი:

**„რა ვქნისა ციხე ავაგე, ჯავრი
შავაბი კარადა.
საიქიოდან მოსულან ამ ციხის
სანახავადა;
ბევრი უარეს გარშემო, კარ ვერ
შაადეს ძალადა,
თქვეს, რომე დრონი მო-ალის,
კარ გაიღების თავადა“.**

აქ გადმოცემულის მიხედვით, როცა „ალის“ – ცეცხლის სტიქიის აქტივობის პერიოდი დადგება, სამყაროს ყველა საიდუმლო ტაძრის კარი თვითონ გაიღება.

ეს დრო უკვე მოვიდა, დადგა „ცეცხლის სტიქიის“ ათასწლეული. დადგა დრო ქართული ენის გენის და ანბანის კოსმიური საკრალური ცოდნის საიდუმლოს გახსნისა. ბიბლიური კაბალას ცოდნა თავის სამშობლოს, საქართველოს დაუბრუნდა. ქართულ ანბანში სრულად აისახება: როდის დაიწყო ადამის ცივილიზაცია, როდის მოხდა წარღვნა და ბაბელონის გოდოლის დანგრევა, რა არის გრალის თასი და ოქროს საწმისი, სამყაროში „ქართულითა ენითა

ჟამი (დრო) შეიწირვის“, დაიწყო „ჰჰჰჰ_9000“ ასო-ნიშნის კოსმიური ათასწლეული და სხვ. სამყაროს ყველა საიდუმლო ქართულ ანბანსა და ქართულ ენაშია.

„ქება“-ს წინასწარმეტყველება ეხება არა მხოლოდ ქართველ ერს, არამედ მთლიანად ადამის ცივილიზაციას. ახლა, როდესაც აშკარაა დედამიწაზე მიმდინარე უდიდესი კოსმიური ცვლილებები, „ქება“-ს ტექსტის წინასწარმეტყველების სწორად გაგებას და წარმოჩინებას უდიდესი ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა აქვს, რაც შექმნის ისეთ კოსმიურ ენერჯიას, რაც კაცობრიობას დაუმკვიდრებს გზას მარადისობისკენ.

ქართველ მეცნიერთა და საზოგადო მოღვაწეთა შეფასება იოვანე-ზოსიმეს „ქება“-ს „საგალობელისა“ შემდეგია: „ქართულის გამორჩეულობას, მის ხვთაებრიობას მრავალი საიდუმლო ნიშანი გვიმოწმებს. აკეთებენ ჩამონათვალს ქრისტიანულ სიმბოლიკაზე დაფუძნებულ ამ ნიშნებისას და ამით გვაუწყებენ ქართული ენის საკითხში მესიანისტური კონცეფციის ეზოთერულ საფუძველს. მიუხედავად მეცნიერთა მცდელობისა, დღეს ყველა ამ სიმბოლოს ბოლომდე გახსნა კიდევ ვერ ხერხდება, მაგრამ ძეგლის საერთო ჩანაფიქრი, იდეა, გამოკვეთილია: „ქართული ენა ყოველთა ენათა უპირატესია, საღმრთო ენაა, რომელიც წმიდად ინახავს თავს მეორედ მოსვლამდე“. („ქართული მწერლობა“, ლექსიკონი – ცნობარი, წიგნი I, თბილისი, 1984 წ. გვ. 132).

ქართული ენა სამყაროს ქვეცნობიერი აზროვნების ენაა. სამყარო მხოლოდ ქართულ ენაზე ლაპარაკობს (ნახეთ წიგნი: ნ. ხ. „ქართული

გენი იბერიის ცივილიზაციათა სათავეებთან”, 2012 წ. – „სამყარო ქართულ ენაზე ლაპარაკობს“, გვ. 84).

იოვანე-ზოსიმეს მიერ ათასი წლის წინ „ქებად“-ს საგალობელის სახით დაწერილი წინასწარმეტყველება ქართული ენის და ქართული ანბანის საიდუმლოს შესახებ, დღეს უკვე გაშიფრულია.

იოვანე-ზოსიმე „ქებად“-ს „საგალობელით“ წარმოაჩენს ქართული ენისა და ქართული გენის უპირატესობას და რჩეულობას: კაბალას ბიბლიური კოდის საიდუმლო ცოდნა „ამას ენასა შინა დამარხულ არს“ და „ყოველსა ენასა ღმერთმან ამხილოს ამით ენითა“.

ბიბლიური კაბალას ცოდნა თავის საშობლოს – საქართველოს დაუბრუნდა, რომელიც არის დედამიწის პირველ ადამიანთა მეტაფიზიკური საკრალური ცოდნა ღმერთზე, ადამიანზე და სამყაროზე, როგორც ერთიან კოსმიურ სინთეზზე.

ბიბლიური კაბალა ქართული გენის ფენომენია. სწორედ ეს არის ყველაზე დიდი მინიშნება იმისა, რომ ქართველი ერი, ქართველი ხალხი და კავკასია არის ცივილიზაციათა საწყისთა საწყისი.

ქართული ანბანი, როგორც სამყაროს გენეტიკური კოდი, იქნება მომავალი 2000 წლის მანძილზე სამეცნიერო კვლევის უმნიშვნელოვანესი საკითხი.





დიდი იაკობი

(იაკობ გოგებაშვილის დაბადების 175-ე წლისთავისათვის)

იდგა მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარი.

რუსეთის იმპერიის დაჟინებული მცდელობა – გაერუსებინა საქართველო (პოლიტიკურ-იურიდიულად საქართველო ამ დროს რუსეთის გუბერნია იყო და სხვა არაფერი), ნელ-ნელა ფრთებს ისხამდა.

რუსებმა მიაღწიეს იმას, რომ გააუქმეს საქართველოს სახელმწიფოებრიობა, გააუქმეს ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალია, სახელმწიფო ენად საქართველოში რუსული ენა გამოაცხადეს (საკანცელარიო მიმოწერაში ქართული ენა სასტიკად იკრძალებოდა), ძლივს-ძვეთქავ სახალხო სკოლებში და ლიცეუმ-სემინარიებში სწავლება, რასაკვირველია, რუსულ ენაზე მიმდინარეობდა.

მიუხედავად ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა თავდადებული მცდელობისა – გარუსების არტახებისგან გამოეგლიჯათ საქართველო, ქვეყანა მაინც გარუსების სავალალო გზას ადგა.

რუსული ცინიზმი იქნამდე მივიდა, რომ ქართული სამეფო გვარის წარმომადგენლები, ბაგრატიონები – უკლებლივ ყველა, რუსეთში გადასახლეს, ხოლო თავად-აზნაურთა გვარებს რუსული დაბოლოებები

მიუმატეს (მაგ.: თუმანიშვილი – თუმანოვად იწერებოდა, ბარათაშვილი – ბარათოვად).

სწორედ რუსული დიდმპყრობელური შოვინიზმის მძვინვარების პერიოდში, 1876 წელს, გამთენიისას თბილისში კინტოები თავზეშემდგმულ, მწვანილეულით სავსე გოდრებთან ერთად დაატარებდნენ პატარა, ნაცრისფერ წიგნს და გაჰყვიროდნენ: „იყიდეთ, იყიდეთ ვისაც ჯერ კიდევ ქართულად გიცემთ გული! იყიდეთ პირველი ქართული საკითხავი წიგნი „დედა-ენა“! იგი თქვენთვის დაწერა იაკობ გოგებაშვილმა!“

მეწვრილმანე-გამყიდველათათვის შექმნილი ამ პირველი სარეკლამო ტექსტის ავტორიც თვით იაკობ გოგებაშვილი გახლდათ.

ამ წიგნის დაბადება მეხის გავარდნას ჰგავდა.

იგი გარუსების წინააღმდეგ ქართველი კაცის მიერ ნასროლი ყველაზე ძლიერი ყუმბარა იყო.

ხომ დიდ, საშვილიშვილო საქმეს აკეთებდნენ ქართველი სამოციანელები თავიანთი უზადო მხატვრული შემოქმედებით, ხომ ერის გამოღვიძების ზარებს რეკავდნენ „ცისკარი“, „ივერია“, „დროება“ და სხვა ჟურნალ-

გაზეთები, მაგრამ „დედა-ენის“ ეფექტი სხვა იყო.

„დედა-ენა“ ლამის წერა-კითხვა-დავიწყებულ ქართველს კაკალ გულში მოხვდა.

ეს მაშინვე იგრძნო მეფის ჟანდარმერიამ. დაფაცურდნენ პოლიციელები. არაერთს ქუჩაშივე (გამყიდველსაც და მყიდველსაც) წაგლიჯეს ხელიდან ეს „უცნაური“, „მკრეხელური“ და „ანტირუსული“ წიგნი, მაგრამ უკვე გვიან იყო.

დედა-ენა ელვის სისწრაფით ვრცელდებოდა.

მას უკვე გზა გაეწალდა ქართველთა თითქმის მინავლული ეროვნული ცნობიერებისაკენ და აკეთებდა იმ საშვილიშვილო ისტორიულ საქმეს, რა საქმეშიც „დედა-ენის“ როლი დღესაც შეუცვლელია.

ავტორი ამ წიგნისა იმ პერიოდის საქართველოსთვის შედარებით ნაკლებად ცნობილი, სამოციანელთა მეგობარი და მათი ამქრის ერთგული წევრი, იმდროისთვის მხოლოდ თითო-ოროლა საბავშვო მოთხრობისა და პუბლიცისტური წერილების ავტორი, 36 წლის, ჭლეკით დაავადებული ახალგაზრდა კაცი, ვარიანელი იაკობ გოგებაშვილი გახლდათ.

დღეს შეიძლება თამამად ითქვას, რომ იმ ეპოქაში „დედა ენის“ შექმნა და გამოცემა ოდენ დიდი მოქალაქეობრივი გაბედულება კი არა, ამკარა გმირობა იყო.

„დედა ენამ“ შემოაბრუნა ქართველთა მთელი თაობები ქართველობისკენ.

საუკუნეების განმავლობაში ეს წიგნი ერთადერთი სახელმძღვანელო იყო, ჩვენმა ხალხმა დედისძუძუსავით რომ შეისისხლხორცა, შეიყვარა და შეითვისა.

„დედაენა“ ერის გადარჩენის გარანტიად იქცა.

იაკობ გოგებაშვილის ფასი კარგად მოეხსენებოდათ სამოციანელებს და ამიტომაც ბრძანა აკაკი წერეთელმა: ჩვენი დამსახურება რა მოსატანია იაკობის ღვაწლთან შედარებით. ძეგლი მე და ილიას კი არა, იაკობ გოგებაშვილს უნდა დაუდგათო.

„დედა ენა“ ყოველწლიურად არნახული ტირაჟით იბეჭდებოდა.

თუ თავდაპირველად, ხელმოკლე იაკობი თავისი მწირი დანახოვით ისტუმრებდა სტამბის ხარჯებს, მერე დამერე „დედაენის“ მამამ არა მარტო „ყრმათათვის საკითხავის“ გამოსაცემი ფული დააგროვა, არამედ საბავშვო ჟურნალების – „ნობათის“ და „ჯეჯილის“ სტამბური უზრუნველყოფაც მოახერხა.

ამ ხარჯებიდან და თავისი გამუდმებული მკურნალობიდან მორჩენილ ორიოდე გროშს უცოლშვილო იაკობ გოგებაშვილი ილია ჭავჭავაძესთან ერთად შექმნილ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ ახმარდა, დანარჩენს კერძო პირებზე ანაწილებდა. ვინ იყვნენ ეს კერძო პირები, იაკობის „დედაენის“ გაყიდვით ნაშოვნმა თანხამ ლუკმაპური რომ გაუჩინა? პირველ რიგში, მრავალშვილიანი ღარიბი ოჯახები და ე.წ. „ქვრივ-ოხრები“, მერე – პეტერბურგში სასწავლებლად წასული ხელმოკლე ქართველი სტუდენტები და ციმბირში გადასახლებული ქართველი ეროვნული მოღვაწეები. იაკობი არც თბილისელ ღარიბ სემინარისტებს ტოვებდა უყურადღებოდ.

1912 წელს თბილისში გარდაცვლილ დიდ იაკობს დასაფლავებისას გულზე თავისი ძვირფასი პირშმო – „დედაენა“ ედო.

სამგლოვიარო მიტინგზე წაიკითხეს დიდი მოძღვრის ანდერძი: იაკობ გოგებაშვილი მთელ თავის უძრავ-მოძრავ ქონებას წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უტოვებდა. ამ საზოგადოებასვე უანდერძა იაკობ გოგებაშვილმა „დედაენის“, „ბუნების კარის“ და „რუსკოე სლოვოს“ საგამომცემლო უფლებაც.

თავდაპირველად დიდი ქართველი მწიგნობარი, ქართული პედაგოგიკის მამა, მეცენატი და ქველმოქმედი (კაცი, რომელსაც მივარდნილ სოფლებში თავისი ეტლით ჩაჰქონდა „დედა ენა“ და ღარიბ ბავშვებს უსასყიდლოდ ურიგებდა) მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში დაკრძალეს, ხოლო 1940 წელს, დაბადების ასი წლის იუბილესთან დაკავშირებით, მთაწმინდის პანთეონში გადაასვენეს..

1976 წელს თბილისში „დედაენას“ გამოცემის ასი წლისთავის იუბილე გადაუხადეს.

ეს გახლავთ პირველი შემთხვევა საქართველოში (და მგონი მსოფლიოშიც), რომ მწერლის კი არა, მხოლოდ წიგნის იუბილე რომ აღნიშნულიყოს.

თბილისში დგას „დედაენის“ ძეგლი, თვით იაკობ გოგებაშვილის ძეგლი კი არ დგას, თუმცა ილია და აკაკი დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ იაკობ გოგებაშვილსთვის დაედგათ ძეგლი.

და განა „დედაენის“ ძეგლი თვით იაკობ გოგებაშვილის ძეგლიც არ არის?

რა ბედი ეწიათ ამ ჩვენს აწ გაბედნიერებულ, საუკუნოვანნატვრაახდენილ, დამოუკიდებელ საქართველო-

ში იაკობს და მის უკვდავ „დედაენას“?

გამოჩნდნენ „ორიგინალურად მოაზროვნე“ ინტერპოლატორები“. აქაოდა, გოგებაშვილის „დედაენა“ მოძველდაო, ჯერ მისი შერყვნა-შესწორება სცადეს, მერე ისე გათამამდნენ (თუ გათავებდნენ), რომ მათ მიერ შესწორებულ დედაენას საკუთარი უზადრუკი გვარები დააწერეს და ქვემოთ ფრჩხილებში – „იაკობ გოგებაშვილის მიხედვით“.

გავიდა წლები... გლობალიზაციის ტალღაზე მოსულმა სააკვილის ხელისუფლებამ საქართველოს განათლების მინისტრის, ვინმე შაშკინის (!!) ხელდასხმით იაკობ გოგებაშვილის გვარი სრულიად გააქრო „დედაენის“ სატიტულო ფურცლიდან და არც ახლანდელი „ოცნების“ ხელისუფლებას მოუკლავს თავი იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ ქართულ ეროვნულ სკოლაში დასაბრუნებლად.

რა ხდება?

განა იფიქრებდნენ ილია, აკაკი და იაკობი, რომ ოდესმე საქართველო რუსეთის კლანჭებიდან თავს დაიხსნიდა და იქ, ახალ სკოლაში, იაკობ გოგებაშვილის „დედაენის“ ადგილი არ იქნებოდა?

...არა და, მსოფლიოს დაწყებით წიგნებში ვერ იპოვით ყრმის ბავშვულ უფრო მორგებულ, ადვილსათქმელ, უკვდავ ფონეტიკურ კომბინაციას, ვიდრე არის „დედა ენის“ პირველივე ფრაზა – „აი ია“!

ნუთუ თურაშაულის პატრონი ტყეში პანტას უნდა დავეძებდეთ?





nugzar (zaza) iaSvil i

იაშვილების გვარის ისტორიის ფურცლები

იაშვილი ერთ-ერთი უძველესი გვარია საქართველოში. ვახუშტი ბატონიშვილი თავის ცნობილ ნაშრომში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“-ში ამ გვარს მოიხსენიებს როგორც ერთ-ერთ წარჩინებულ თავადურ გვარს რაჭაში: „...ხოლო რაჭას წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე...“ (იხ.

„ქართლის ცხოვრება“, ტომი IV, თბილისი, 1973 წ.). სულ ამ შრომაში გვარი იაშვილი ნახსენებია ცხრაჯერ, მათგან რამდენიმეჯერ როგორც სოფელ სადმელისა და ციხე კვარას მფლობელნი (იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტომი IV. გვერდები: 856, 860, 886, 864, 865, 869, 878, 885, 889).



კვარა ციხეს ხედი კლდისუბანში

სადმელელი მღვდელი თედორე შარაბიძე, რომელიც 1902 წელს გარდაიცვალა მრავალი გადმოცემისა თუ

ლეგენდის მცოდნე იყო. მისი ერთ-ერთი შრომა (ხელნაწერის სახით) „იაშვილები და საიაშვილო რაჭაში“

ინახება საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივში. ამ შრომაში თ. შარაბიძეს გადმოცემული აქვს ლეგენდა იაშვილების რაჭაში დამკვიდრების შესახებ.

ამ ლეგენდის მიხედვით იაშვილები თითქოსდა წარმოშობით ყოფილან ჩერქეზეთიდან. სამი ძმა – გობეჯა, ხამიჯა და ია რაღაც დანაშაულის ჩადენის გამო იძულებულნი გამხდარან მიეტოვებინათ თავიანთი მხარე და იმერეთის მეფე ალექსანდრე V-თან (მეფე სოლომონ I-ის მამასთან) ჩამოსულან. იმერეთის მეფეს მოსწონებია ძმები და მათ სამოსახლოებს შეჰპირებია. ერთ-ერთ ძმას ხამიჯას მოუხსენებია მეფისათვის, რომ იგი ძმებს მხოლოდ წამოჰყვა და რადგან მას თვითონ დანაშაული არ ჩაუდენია, იგი აპირებს უკან დაბრუნებას. მეორე ძმას – გობეჯას მეფისათვის უთხოვია თავისუფალი მთიანი ადგილი და საცხოვრებლად მიუღია სოფლები ღები და ჭიორა. უმცროს ძმას – იას კი სამოსახლოდ მოუთხოვია ადგილი, სადაც მას მგზავრობისას მელია მოუკლავს. ამ სოფლისათვის შემდგომში სადმელი დაურქმევიათ. სწორედ ამ სოფელში აუშენებია იას ციხე-სიმაღლე, შეურთავს ცოლი (წერეთლის ქალი) და გასჩენია ხუთი შვილი – ვაჟები. იასათვის ერთგული სამსახურისა და გამოჩენილი მამაცობისათვის მეფეს თავადობა უბოძებია და გვარად უქცევია მისი სახელი იასშვილი (იაშვილი).

შემდგომში იაშვილებს მეფისაგან დაუმსახურებიათ სხვა სოფლებიც: ძირაგული, ღვიარა და ბოსტანა, „...მთით, ბართა და მიწა-წყლით, თავისი მოსახლეებით“. ამის შემდეგ იაშვილებმა მიიღეს საკუთრებაში სოფელი კრიხი და საწირე ოკრიბაში და

„... შეიქმნენ მდიდარნი, როგორც მამულით, აგრეთვე ყმით და მოსამსახურით“ – წერს თავის ხელნაწერ შრომაში მღვდელი თედორე შარაბიძე.

ალბათ, ეს ძველი თქმულება გაუღეკსავს სომიწოელ არისტო იაშვილს, მაგრამ მის ასევე ხელნაწერ პოემაში შეინიშნება რამდენიმე განსხვავება თ. შარაბიძის ვერსიისაგან.

მაგალითად, სამი ძმიდან ერთ-ერთს არისტო იაშვილთან ჰქვია ხამირა და არა ხამიჯა, თითქოსდა ისიც დარჩენილა საცხოვრებლად რაჭაში და თავის ძმა გობეჯასთან ერთად დასახლდა სოფელ ღებში. აი, როგორ აღწერს ძმების მგზავრობის ამბავს თავის პოემაში არისტო იაშვილი:

„ერთხელ თურმე გადაღმიდან,

კავკასიის მთებს იქიდან,

გადმოხვეწილ სამ ჭაბუკსა

იმ ადგილას გაუვლია.

უცაბედად იქვე ტყიდან

შავი მელა გადმოშტარა.

გადურბინა მგზავრებს წინა

მათ მგზავრობა უმზაკვარა.

მათგან უმცროსს მშვილდ-ისრითა

ის მელია იქ მოუკლავს

გაუძვრია მისთვის ტყავი,

ცხენის უკან შემოუკრავს.

შეისვენეს ამ ადგილსა

და გაუდგენ ისევ გზასა –

იმ განზრახვით მისულიყვნენ

იმერეთში მეფის კარსა“.

ამის შემდეგ ძმები იმერეთის მეფის სასახლეს მისდგომიან. მეფემ მოუსმინა ძმებს და გამოუყო მათ სამოსახლო ადგილები. ერთ-ერთ ძმას იას მეფისათვის უთხოვია ის ადგილი, სადაც მან მელია მოჰკლა.

„მეფემ ბრძანა დაესახლოს,

სად მოუკლავს ამას მელი,

**ის სოფელიც მიეკუთვნოს
და ეწოდოს მას სადმელი.
იაშვილნი იასაგან
წარმოიშვენ ჩვენში გვარად
იმერეთის სასახლეში
მეფებთან იყვნენ მარად”.**

დანარჩენ ორ ძმას კი სხვა ადგი-
ლი ხვდა საცხოვრებლად:

**„ძმები ღებში დაესახლნენ,
იქ დაიდევს იმათ ბინა.
გვარად გობეჯიშვილები
გობეჯადან მოგვევლინა.
ხამირა კი გადაშენდა
ვერ დასტოვა გვარი მისი
რადგან იმას ბე არ ესვა
ქალები კი იყვნენ სხვისი”.**

იაშვილების გვარის წარმოშობის
ეს ლეგენდა ნაკლებად სარწმუნოა.
უნდა ითქვას, რომ იაშვილების გვა-
რეულობა უკვე მეთხუთმეტე საუკუ-
ნეში დასტურდებოდა რაჭაში. თე-
დორე შარაბიძის ხელნაწერებში გან-
საზღვრული იაშვილების სათავადოს
ტერიტორია კი ისტორიული საბუ-
თებით მტკიცდება. თავად იაშვი-
ლებს თურმე ორი სასახლე ჰქონიათ:
ერთი სოფელ ღვიარაში, მეორე კი
სოფელ კლდისუბანში, სადაც დღე-
საც დგას ციხე-სიმაგრის ნანგრევები
მდინარე რიცეულას ნაპირთან, გო-
რაკზე. ამ

ციხის ორი კოშკი შედარებით
კარგად შემონახულა, აქვეა წყაროც.
ამ სასახლესთან იმარხებოდნენ ია-
შვილების გვარის წარმომადგენლები
კარის ეკლესიაში, მაგრამ არა მიწაში,
არამედ უშუალოდ ეკლესიაში გაკე-
თებულ აკლდამაში.

არქეოლოგმა გ. ბოჭორიძემ, რო-
მელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის
რაჭის ისტორიის შესწავლაში, ამ ეკ-
ლესიაში ნახა ვერცხლით გაწყობილი
მოოქროვილი ღვთისმშობლის ხატი,

რომელსაც შემდეგი წარწერა ახლდა:
„... ქრისტე, ყოვლადწმიდის ხატი,
მოვჭედე მე, ჯავახ თანამეცხედენმან
ჩემმა ასთანდარ საოხად და სახსრად
სულისა ჩვენისა”.

ისტორიულ წყაროებში გვარი
იაშვილი პირველად გვხვდება 1432
წელს. ერთ-ერთ ისტორიულ საბუთ-
ში კოტრიძეთა საქმის გამო „სადარ-
ბაზოდ მოწვეულ „მოსამართლეთა”
შორის მოიხსენიება ვინმე სამადავლე
იასვილი (იაშვილი). (ს. კაკაბაძე
„ვახტანგ უცნობი XV ს. აფხაზეთ-
იმერეთის მეფეთაგანი და მისი მემ-
კვიდრე მეფე გიორგი”, თბილისი
1912 წ. გვ. 9). ერთ-ერთი კოტრიძე
მოუკლავს ერისთავ ციცი ჭარულა-
ძეს. საპასუხოდ კი კოტრიძეებმა და-
არბიეს ერისთავის სამი სოფელი: ონ-
ჭევი, სოგრითი და ჭურისთავი. სწო-
რედ ამ საქმის განსასჯელად შედგა
სასამართლო და აქ იქნა მიწვეული
სამადავლე იაშვილი.

მეცნიერი ს. სოსელია გამოთქვამს
ვარაუდს, რომ სწორედ ამ სამადავლე
იაშვილის მიერ იქნა აგებული 1493
წელს ბეთლემის ღვთისმშობლის ეკ-
ლესია. ამ ეკლესიის სამხრეთის კედ-
ლის დაზიანებულ წარწერაში ვკი-
თხულობთ:

„... იასვილი სა... რომლისაგან
აღეშენა ეკლესია სახელსა ზედა
ბეთლემისა ღვთისმშობლისა ქორო-
ნიკონსა რაა”. აქ რაა – 1493 წელია.
უფრო გვიანდელ 1494-1510 წლების
ერთ-ერთ სასისხლო სიგელში მეფის
მიერ მოწვეულ დარბაისელთა შორის
პირველ რიგში იხსენიება ვარდან ია-
შვილი (ო. სოსელია „ნარკვევები ფე-
ოდალური ხანის დასავლეთ საქარ-
თლოს სოციალურ-პოლიტიკური ის-
ტორიიდან”, თბილისი, 1973, გვ. 120-
132).

ამავე მკვლევარის აზრით, სამადავლე და ვარდან იაშვილებზე უფრო ადრინდელი ჩანს ვინმე ჯავახ იაშვილი, რომელმაც სოფლ კლდისუბნის ეკლესიის ღვთისმშობლის ხატი მოაჭედინა. ამ სოფლის მცხოვრებნი იაშვილები თავიანთ წინაპრად სწორედ ამ ჯავახს თვლიან.

შემდგომ ისტორიულ საბუთებში იაშვილთა გვარი დიდხანს აღარ ჩანს. მხოლოდ 1651 წელს იმერეთის მეფის ალექსანდრეს „ფიცის წიგნში“ მოიხსენიებიან იაშვილთა გვარის წარმომადგენლები, ქაიხოსრო და ორი კაცია იაშვილები. ამათგან ქაიხოსრო სხვა დიდებულ თავადთა შორის მეექვსე ადგილზეა მოხსენიებული. მისი სახლიკაცები ამავე დროს მეორეხარისხოვან თავადებად მოიხსენიებიან – ოცდამესამე და

ოცდამეთხუთე ადგილებზე. ამ დროს იმერეთის სამეფოში იაშვილთა სათავადოს მეთაურ ქაიხოსროზე წინ პატივით მხოლოდ ხუთი თავადი დგას (რაჭის ერისთავი პაპუნა, ციხისთავი თეიმურაზი, პაატა ჩიჯავაძე და სახლთუხუცესი ზურაბი).

როდესაც 1651 წელს რუსეთის ელჩები ტოლოჩანოვი და იევლევი რაჭას იმყოფებოდნენ, მათ სხვა დიდებულებთან ერთად ქაიხოსრო იაშვილი მიეგება, რომელიც ოქრომკერდიან ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. 1669 წელს იმერეთის მეფის რუსეთის ხელმწიფისადმი გაგზავნილ წერილში „დიდ ბაიარად“ დასახელებულია მამუკა იაშვილი.

იაშვილთა სათავადოში ძირითადად ოთხი სოფელი შედიოდა: სადმელი, ძირაგეული, კლდისუბანი და ბეთლევი. XVII საუკუნის შუა წლებში ისტორიული წყაროებით დასტურდება, რომ თავადი იაშვილები

გარდა ზემოხსენებულ სოფლებისა ფლობდნენ სოფელ კვარასა და მის ციხე-სიმაგრესაც. ამრიგად, იაშვილების სათავადოს საზღვრები ასე გამოიყურებოდა: აღმოსავლეთით ერისთავების სამფლობელო სოფელი წესი და ნინიას-ციხე, დასავლეთით – სოფელი ბოსტანა, სამხრეთით – მდინარე რიონი და ჩრდილოეთით – წულუკიძეთა სოფელი ველიეთი.

თავად იაშვილების რეზიდენცია სოფელი სადმელი იყო. აქ მათ სასახლე, კარის ეკლესია და ციხე-სიმაგრე ჰქონდათ. იაშვილებს საგვარეულო სასაფლაო თავდაპირველად ნიკორწმინდის ეკლესიაში ჰქონდათ, შემდეგ კი მათ საგვარეულო სასაფლაოდ ზარათის ეკლესია მიეცათ.

XVIII საუკუნის დამდეგიდან იაშვილებს მეტად მძიმე სამეზობლო პირობები შეექმნათ. ცენტრალურ ხელისუფლებასთან ბრძოლაში იაშვილები ერთ დროს ერისთავებს ემხრობოდნენ, მაგრამ გაძლიერებულმა ერისთავმა რაჭა-ლეჩხუმის სამეფოს ცალკე შექმნა გადაწყვიტა და ახლა თავის მომხრეებსაც შეუტია, წაართვა მათ კვარას ციხე, „გამოაძო რაჭიდან“ და იაშვილთა „მამულნი“ თვითონ დაიპყრო.

იაშვილთა სათავადოს რაჭის ერისთავმა მოუღო ბოლო. XVIII საუკუნის დასაწყისიდან, მთელი 50 წლის განმავლობაში, საიაშვილო, როგორც სათავადო, რაჭაში არ არსებობდა. მხოლოდ რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ (1769 წ.) დაეუფლნენ იაშვილები თავიანთ მამაპაპეულ მამულს – სადმელს მისი ციხით, ძირაგეულსა და სხვ.

რაჭიდან გამოდევნილი იაშვილები ერისთავის წინააღმდეგ მებრძოლმა ცენტრალურმა ხელისუფლე-

ბამ შეიწყალა და 1703 წელს გიორგი იმერთა მეფემ ვარდისგორის, რცხი-ალთისა და მუხურის საყვარელიძეების ყმა-მამული ლევან იაშვილს უბოძა. იაშვილები განაგრძობენ ბრძოლას რაჭის ერისთავის წინააღმდეგ. 1728-1732 წწ. იაშვილები ერთხანს ისევ ეუფლებიან თავიანთ საგვარეულო მამულს და კვარას ციხეს. ეხმარება მათ მეფეც. მაგრამ ამ ციხეს მომდგარი ერისთავი მისი დაპყრობისათვის იბრძვის.

რა თქმა უნდა, ხშირად ამოდიოდა მეფის მხედართმთავარი წერეთელი და მეფის დანაბარებს გადასცემდა იაშვილებს. არის მოსაზრება, რომ სიმღერა „წერეთელმა დაგვიბარა“ ამ პერიოდს შეეხება. იმდროინდელ ძალთა შეფარდებით, ცხადია, გამარ-

ჯვება ერისთავს უნდა დარჩენოდა. ამგვარად, რაჭის ერისთავმა, სხვა სათავადოებთან ერთად, იაშვილთა სათავადოს ბოლო მოუღო.

გიორგი მეფის მემკვიდრემ – ალექსანდრემ ლევან იაშვილს 1720 წელს მაღალი თანამდებობა – მეღვინეთუხუცესობა მისცა, რომელიც თურმე, ადრე მის წინაპრებს ჰქონდათ. იმავე ლევანს 1749 წელს სიგელით „ზარათს ხატის კაცები და საყდარი სასაფლაოთი“ უბოძა.

მეფის ამავე წლის მეორე სიგელში ლევანი მდივანბეგად იხსენიება. როგორც ჩანს, შემორიგების შემდეგ მეფეს მისთვის მეღვინეთუხუცესობის ნაცვლად უფრო საპატიო თანამდებობა – მდივანბეგობა მიუცია.



თავად იაშვილების საგვარეულო გერბი

თავად იაშვილებს, რა თქმა უნდა, თავიანთი აზნაურებიც ჰყავდათ. დადგენილია, რომ იაშვილების აზნაურები იყვნენ ტუნაძეები და მხეიძეები, მათ სხვა „ყმიანი“ აზნაური-

შვილებიც ჰყოლიათ, მაგრამ მათი გვარები საბუთებში არ გვხვდება. იაშვილების სათავადოში მესტუმრისა და ხელოსნის სახელები არსებობდა და ეს ადგილები კერესელი-

ძეებს ეჭირათ, მდივნად კი ვინმე შიო ბეჯალაძე მოიხსენიება. იაშვილების სათავადოში შედიოდნენ ყმა გლეხები: დიაკონიძეები, ტოფაძეები, რევიშვილები, კაპეტავაძეები, გოგიაძეები, აგლაძეები, ჭაბუკიანიები და სხვები.

მე-18 საუკუნის დასაწყისში მთელი პირველი ნახევარი იაშვილების სათავადო რაჭაში არ არსებობდა, მხოლოდ რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ 1769 წელს იაშვილები ისევ დაეუფლნენ თავიანთ მამაპაპისეულ მამულებს – სადმელს, ძირაგულს და სხვა სოფლებს. XVII საუკუნეში იაშვილები ფრიად გავლენიანი თავადები იყვნენ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ქართლის მეფემ გიორგი XI-მ თავისი ძმისშვილი ელენე ქაიხოსრო იაშვილს მიათხოვა (ვახუშტი „საქ. ისტორია“. გვ. 213).

მე-18 საუკუნეში იაშვილები რაჭის ერისთავმა კვლავ შეავიწროვა: წართვა მათ კვარას ციხე, გაამევა რაჭიდან და მათი მამულები თვითონ დაისაკუთრა (ვახუშტი, „საქ. ისტორია“. გვ. 228).

1728-1732 წლებში იაშვილები ერთხანს კვლავ ეუფლებიან თავიანთ საგვარეულო სადმელის ციხეს, მაგრამ XVIII საუკუნის დასაწყისიდან მთელი ორმოცდაათი წლის მანძილზე საიაშვილო, როგორც სათავადო რაჭაში აღარ არსებობდა და მხოლოდ 1769 წელს რაჭის საერისთავოს გაუქმების შემდეგ ისინი კვლავ დაეუფლნენ თავიანთ მამაპაპისეულ მამულს – სადმელს ციხითურთ, ძირაგულს და სხვას.

ცხადია, რომ რაჭიდან გამოძევებულ თავად იაშვილებს ცენტრალური ხელისუფლება უნდა დახმარებოდა და ასეც მოხდა. 1703 წელს იმერეთის მეფე გიორგიმ თავად ლე-

ვან იაშვილს ვარდისგორის, რცხილათისა და მუხურს საყვარელიძეების ყმა-მამული უბოძა (ქუთაისის მუზეუმის საბუთი #843). გიორგი მეფის ძემ ალექსანდრემ იმავე ლევან იაშვილს საპატოო მაღალი თანამდებობა – მეღვინეთუხუცესობა მისცა, რომელსაც იაშვილები ადრეც ფლობდნენ. შემდეგ იმავე ლევანს მდივანბეგობაც დაუმსახურებია (ქუთაისის მუზეუმის საბუთი #1611).

იმერეთის მეფე სოლომონ პირველიც წყალობდა იაშვილებს. თავისი მეფობის პირველსავე წლებში (1752-1753 წ.წ.) გეგუთის სამოურავო ვახტანგ იაშვილს უბოძა.

სოლომონ მეორის მეფობს დროს იაშვილებს კვლავ გეგუთის მოურავობა ეკავათ და ეს თანამდებობა მემკვიდრეობით მამიდან შვილზე გადადიოდა. მეფე ერთ-ერთ საბუთში მას „დედიდაშვილს“ უწოდებს და იგი მისი „დარბაზის“ წევრია.

იმერეთის მეფე ალექსანდრე V-ის დროს იაშვილთა გვარის წარმომადგენლებს საეკლესიო სფეროშიც დიდი წარმატებისთვის მიუღწევიათ: ერთ-ერთ იაშვილს ცაგერის ეპისკოპოსის ხარისხი დაუმსახურებია, შემდეგში კი მაქსიმე ჯერ ბედიის მიტროპოლიტი, ხოლო 1763-1769 წლებში ხონის მთავარი ეპისკოპოსი გამხდარა.

დასავლეთ საქართველოში სათავადოების შექმნა-ჩამოყალიბების ისტორია შესწავლილი აქვს ისტორიკოსს, პროფესორ ო. სოსელიას. მისი დასკვნით იაშვილები მიეკუთვნებოდნენ უფროსი თავადების ე.წ. „დიდებული თავადების“ კატეგორიას. როგორც აღვნიშნეთ, ყველაზე ადრინდელი ცნობა იაშვილების საგვარეულოს შესახებ 1432 წლით არის

დათარიღებული. ქ. ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული საბუთით (N484) იაშვილების სათავადოში მოიხსენიება თავადთა მოსამსახურეთა სხვადასხვა თანამდებობები - ე.წ. „სახელოები“: მდივანი, მესტუმრე, ხელოსანი.

საქართველოს მთავარმართებლისა და იმერეთის მმართველის დავალებით 1811 წელს ჩატარდა რაჭის სოფლებისა და მოსახლეობის აღწერა. ამ მონაცემების მიხედვით რაჭა შედგებოდა ოთხი საბატონოსაგან (სათავადოსაგან): საერისთავოს, საწულუკიძის, საჯაფარიძისა და საიაშვილოსაგან (იხ. კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტები, ტომი IV, გვ. 91).

1703 წელს არზრუმის ფაშა ქოსა ხალილმა დაიპყრო სამეგრელოს, გურიის და იმერეთის სოფლები და ქალაქები. მაგრამ შემდეგ იგი იძულებული გახდა ოსმალეთს დაბრუნებულიყო. მან იმერეთის სამეფოსაგან მოითხოვა, რომ მისთვის ძველებურად ეხადათ ხარკი, მეფედ გიორგი ბატონიშვილი დაესვათ და შორაპნის ციხე დაენგრიათ. როდესაც ოსმალები გზას გაუდგნენ, მათ დაეწიათ იმერელთა, რაჭველთა და ლეჩხუმელთა ლაშქარი ქაიხოსრო იაშვილის მეთაურობით და ფერსათის მთაზე ოსმალებს დიდი ზარალი მიაყენა: მოკლეს კოლის ფაშა, დაჭრილი იქნა ახალციხის ფაშა, ხოლო უწესრიგოდ გაქცეულმა მტერმა დატოვა „ურიცხვი ალაფნი, ცხენნი, ჯორნი, აქლემნი, მძევლები და სხვა“ (იხ. „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, გვ. 865).

რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ მმართველობის ახალი, რუსული ფორმების შემოღებისთანავე იაშვილთა სათავადო სხვა

სათავადოთა მსგავსად გაუქმებული იქნა (ქუთაისის მუზეუმის საბუთი #1484). რუსეთის მეფის მთავრობამ იაშვილების ნაწილს მემამულეთა უფლებები დაუტოვა, ხოლო მისი მოწინააღმდეგე იაშვილებს მამულები ჩამოართვა და საქართველოდან გაასახლა რუსეთის სხვადასხვა გუბერნიებში.

1812 წლის საფრანგეთ-რუსეთის ომში არაერთი ქართველი მონაწილეობდა. აღნიშნულ ომში სამოცდაათ ქართველს მიუღია მონაწილეობა, მათ შორის თორმეტი გენერალი ყოფილა. სინამდვილეში ომის მონაწილეთა რიცხვი, რა თქმა უნდა, უფრო დიდი იყო, რადგან ამ სიაში არ მოხვედრილან რიგითი მებრძოლები, რომელთა შესახებ წყაროებს არავითარი ცნობები არ შემოუნახავთ. სიაში დასახელებულ თორმეტ გენერალს შორის ორი ბაგრატიონია, ორი ფანჩულიძე, სამი ჯავახიშვილი, შალიკაშვილი, განგებლიშვილი, ბიბილური და ორი იაშვილი.

სანკტ-პეტერბურგის ზამთრის სასახლის გამირთა გალერეაში სხვა გამირთა პორტრეტებს შორის არის მხატვარ დოუს ნახატი „გენერალი ლევან იაშვილი“. არტილერიის სრული გენერალი ლევან იაშვილი იმ იშვიათ სამხედრო მეთაურებს ეკუთვნოდა, რომლებიც ორჯერ იყვნენ დაჯილდოებული ოქროს ხმლით წარწერით „მამაცობისათვის“. მის მმას გენერალ-მაიორ ვლადიმერ იაშვილსაც სხვა მრავალ დაჯილდოებთან ერთად მიუღია ოქროს ხმალი.

საინტერესოა, თუ როდის და როგორ მოხვდნენ მძევი იაშვილები რუსეთის მეფის არმიას? ქართველ სამხედრო მოღვაწეთა ერთი ნაწილი რუსეთში ჯერ კიდევ 1724 წელს ქარ-

თლის მეფის – ვახტანგ VI-ის ამაღლის შემადგენლობაში მოველინენ რუსეთს. მეორე ნაწილი კი რუსეთში 1801 წლის შემდეგ გამოჩნდა.

ამ წლიდან 1812 წლამდე მეფის რუსეთის მთავრობამ საქართველოს სამეფო ოჯახის თითქმის ყველა წევრი თანმხლებ პირებთან ერთად სამშობლოდან რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქში გადაასახლა. მათ შორის 1812 წლის ომის მონაწილენიც ყოფილან. ძმები იაშვილების რუსეთის მეფის სამსახურში გამწესება იმპერატორ ეკატერინე II-ის დროს მომხდარა. გენერალ ტოტლებენის მითითებით, რუსეთში სამხედრო საქმის შესასწავლად გაგზავნილ ქართველ ყმაწვილებს შორის ორი ძმა იაშვილებიც ყოფილან. ეს, სავარაუდოდ, 1784 წელს მომხდარა. ამ დროს ვლადიმერი 20, ხოლო მისი ძმა ლევანი 16 წლისა იყვნენ. მათ სამხედრო საქმის სწავლება კადეტთა კორპუსში დაუწყიათ. ორივე ძმამ რუსეთის სამხედრო სამსახურში 30 წელზე მეტი გაატარა და სამხედრო კარიერის მწვერვალზე მიაღწია. ვლადიმერ იაშვილი გენერალ-მაიორი გახდა და 1815 წელს გარდაიცვალა, მეფისაგან შერისხული, დაპატიმრებისა და გადასახლების მოლოდინში.

უფრო წარმატებული აღმოჩნდა უმცროსი ძმის, ლევანის სამხედრო კარიერა. მან გენერალ-ლეიტენანტის წოდების შემდეგ 1819 წლიდან არტილერიის სრული გენერლის ტიტული დაიმსახურა. ძმებიდან უფროსი ვლადიმერი მონაწილეობდა რუსეთის იმპერატორის, პეტრე I-ის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულებაში, რის გამოც პავლე პირველის შვილმა, იმპერატორმა ალექსანდრე I-მა იგი თავის მამულში, კალუგის გუბერნიაში,

სოფელ მურომცევოში გადაასახლა და პოლიციის მეთვალყურეობა დაუწესა.

1850 წლის 6 დეკემბერს რუსეთის მთავრობამ თავადის ხარისხში დაამტკიცა და „ხავერდის წიგნში“ შეიტანა იაშვილთა რამდენიმე ოჯახი. როგორც ცნობილია, იმერეთის სამეფოს 1818-1820 წლების აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ ყველაზე დიდი სიმძლავრით რაჭაში გამოვლინდა. ეს აჯანყება მეფის რუსეთმა სისხლში ჩაახრჩო, მაგრამ ისტორიამ შემოგვინახა მრავალი მამაცი გმირის სახელები, რომელთა შორის მოიხსენიებიან სადმელები – აღმასხან, ჯავახ და ხოსია იაშვილები და სომიწოელი ივანე იაშვილი. ამ აჯანყებაში თავად იაშვილების თითქმის ყველა წარმომადგენელი მონაწილეობდა, მხოლოდ იესე იაშვილი და მისი ძმები დარჩენილან აჯანყებაში მონაწილეობის გარეშე.

მოგვიანებით, ქართველი ხალხის უკვე ბოლშევიკური რუსეთის მონობისაგან თავდახსნის ერთ-ერთი წარუმატებელი ცდის – 1924 წლის აჯანყებაში მონაწილეობდნენ ჭუნია და დავით იაშვილები, რომელთაგან ერთი – ჭუნია იაშვილი, ბოლშევიკებმა შორაპნთან ახლოს, მატარებლის საბარგო ვაგონებში სხვებთან ერთად დახვრიტა, ხოლო დავითი კი ქ. ქუთაისის ე.წ. „განსაკუთრებულმა სამეულმა“ 1924 წლის სექტემბერში „გაასამართლა“ და დახვრიტა.

უახლოეს წარსულშიც იაშვილების საგვარეულოდან მრავალს უსახელებია თავი შრომითი საქმიანობითა და სამშობლოსადმი უანგარო სამსახურით. ყველა მათგანის ჩამოთვლა შეუძლებელია. დავასახელებთ მხოლოდ და მხოლოდ საქვეყნოდ ცნო-

ბილგბს: პოეტი და საზოგადო მოღვაწე პაოლო (1894-1937 წწ.), რომლის ცხოვრება და შემოქმედება ჯერ კიდევ ელის მკვლევარს; მედიცინის დარგის გამოჩენილი მოღვაწეები, პროფესორები დავით ქაიხოსროს ძე (პედიატრი, 1892-1972 წწ.); ვლადიმერ ელიაზარის ძე (ფსიქიატრი, 1904-1971 წწ.); რევაზ ნიკოლოზის ძე (პროქტოლოგი, 1927-1994 წ.წ.); ვიქტორ მიხეილის ძე (ქირურგი, 1948-2001 წწ.); დამსახურებული პედაგოგი სეით ლუარსაბის ძე (1875-1966 წწ.); კომპოზიტორი, პირველი ქართული საბავშვო ოპერის „ბაბაჯანას ქოშების“ ავტორი, ლილი მიხეილის ასული (1920-1983 წწ.); ცნობილი მუსიკოს-მევიოლინე, პროფესორი, პედაგოგი ლუარსაბ სეითის ძე (1907-1966 წწ.); საესტრადო მომღერალი, ანსამბლ „ორერას“ სოლისტი და ხელმძღვანელი – ზურაბ დავითის ძე (1936-1987 წწ.); საქართველოს დამსახურებული არტისტი, სუბიშვილების ანსამბლის სოლისტი, როსტომ მიხეილი ძე (1934-1999 წწ.) მხატვარ-კერამიკოსი, ახალი ქართული მხატვრული კერამიკის აღდგენა-აღორძინების წამომწყები, რევაზ იოსების ძე (1929-1996 წწ.); მთარგმნელი, გერმანული ენის სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პავლე ბესარიონის ძე (1894-1989 წწ.); ექიმები – ქირურგები, პედიატრები და თერაპევტები აბელ ოქროპირის ძე (1860-1921 წწ.); დავით იულონის ძე (1914-1982 წწ.); მამული (იულონ) დავითის ძე (1942-2000 წწ.); მურმან ონისიმეს ძე (1934-1995 წწ.); ნუგზარ ნოეს ძე (1945-2000 წწ.); სიმონ იორამის ძე (1888-1957 წწ.); ომარ ვლადიმერის ძე (1935-1995 წწ.); ზომაიდა დავითის ასული (1945-1992 წ.წ.); ვიქტორ ვიქტორის ძე (1934-1997 წ.წ.); მამა-შვილი, ნიადაგმცოდნე პროფესორი ნიკოლოზ სოლომონის ძე (1900-1981 წწ.) და პროფესორი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1938-2005 წწ.). მუსიკათმცოდნე, მეცნიერებათა კანდიდატი, ქალბატონი მზექალა (მზია) (1932-1998 წწ.) და კიდევ სხვა მრავალი. ყველანი ისინი იაშვილები იყვნენ და თითოეული მათგანი იმსახურებს უფრო ვრცელ საუბარსა და მათი ღვაწლის ფართოდ გაშუქებას.

ბილგბს: პოეტი და საზოგადო მოღვაწე პაოლო (1894-1937 წწ.), რომლის ცხოვრება და შემოქმედება ჯერ კიდევ ელის მკვლევარს; მედიცინის დარგის გამოჩენილი მოღვაწეები, პროფესორები დავით ქაიხოსროს ძე (პედიატრი, 1892-1972 წწ.); ვლადიმერ ელიაზარის ძე (ფსიქიატრი, 1904-1971 წწ.); რევაზ ნიკოლოზის ძე (პროქტოლოგი, 1927-1994 წ.წ.); ვიქტორ მიხეილის ძე (ქირურგი, 1948-2001 წწ.); დამსახურებული პედაგოგი სეით ლუარსაბის ძე (1875-1966 წწ.); კომპოზიტორი, პირველი ქართული საბავშვო ოპერის „ბაბაჯანას ქოშების“ ავტორი, ლილი მიხეილის ასული (1920-1983 წწ.); ცნობილი მუსიკოს-მევიოლინე, პროფესორი, პედაგოგი ლუარსაბ სეითის ძე (1907-1966 წწ.); საესტრადო მომღერალი, ანსამბლ „ორერას“ სოლისტი და ხელმძღვანელი – ზურაბ დავითის ძე (1936-1987 წწ.); საქართველოს დამსახურებული არტისტი, სუბიშვილების ანსამბლის სოლისტი, როსტომ მიხეილი ძე (1934-1999 წწ.) მხატვარ-კერამიკოსი, ახალი ქართული მხატვრული კერამიკის აღდგენა-აღორძინების წამომწყები, რევაზ იოსების ძე (1929-1996 წწ.); მთარგმნელი, გერმანული ენის სპეციალისტი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პავლე ბესარიონის ძე (1894-1989 წწ.); ექიმები – ქირურგები, პედიატრები და თერაპევტები აბელ ოქროპირის ძე (1860-1921 წწ.); დავით იულონის ძე (1914-1982 წწ.); მამული (იულონ) დავითის ძე (1942-2000 წწ.); მურმან ონისიმეს ძე (1934-1995 წწ.); ნუგზარ ნოეს ძე (1945-2000 წწ.); სიმონ იორამის ძე (1888-1957 წწ.); ომარ ვლადიმერის ძე (1935-1995 წწ.); ზომაიდა დავითის ასული (1945-1992 წ.წ.); ვიქტორ ვიქტორის ძე (1934-1997 წ.წ.); მამა-შვილი, ნიადაგმცოდნე პროფესორი ნიკოლოზ სოლომონის ძე (1900-1981 წწ.) და პროფესორი ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე (1938-2005 წწ.). მუსიკათმცოდნე, მეცნიერებათა კანდიდატი, ქალბატონი მზექალა (მზია) (1932-1998 წწ.) და კიდევ სხვა მრავალი. ყველანი ისინი იაშვილები იყვნენ და თითოეული მათგანი იმსახურებს უფრო ვრცელ საუბარსა და მათი ღვაწლის ფართოდ გაშუქებას.



პოეტი პაოლო იაშვილი

შეუძლებელია არ გავიხსენოთ სულ ახლახანს გარდაცვლილი ნიჭიერი მსახიობი დავით ლევანის ძე იაშვილი („იაშკა“). იგი 36 წლის ასაკში გარდაიცვალა ამსტერდამში.

დავით იაშვილი რუსთაველის თეატრის მსახიობი იყო. განსაკუთრებული პოპულარობა მსახიობს კი-

ნოროლგმა მოუტანა. იგი თამაშობდა გახმაურებულ სერიალში „სტალინი ლაივ“, ერთ-ერთი მთავარი როლი ჰქონდა ლევან თუთბერიძის მრავალსერიან ფილმში „ქალაქის ტყვია“. ბოლო კინოროლი მსახიობმა დიტო ცინცაძის ფილმში „მედიატორი“ შეასრულა.



მსახიობი დავით იაშვილი ცნობილ სარეკლამო რგოლში

იაშვილებს სპორტშიც გამოუჩენიათ თავი. ფეხბურთის ბევრ ძველ მოყვარულს უნდა ახსოვდეს თბილისის „დინამოსა“ და „ლოკომოტივის“ ფეხბურთელები მამული (იულონ) და მერაბ იაშვილები. მამის ტრადიცია გააგრძელა მამულის უმცროსმა ვაჟიშვილმა, ალექსანდრე იაშვილმა („იაშკამ“), რომელიც მრავალი წელია გერმანიის წამყვანი გუნდების ძირითადი მოთამაშე და საქართველოს ნაკრების უცვლელი წევრი იყო. საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი, ალექსანდრე იაშვილი.

ადრეულ წლებში საფრანგეთის მორაგბეთა ნაკრებში თამაშობდა ქართველი ემიგრანტის – შალვა იაშვილის ვაჟი მიშელი. მამის კვალს გაჰყვნენ მისი ვაჟიშვილები: დიმიტრი და გრეგუარი, რომლებიც რაგბში ერთ-ერთ მსოფლიო ჩემპიონატში (ავსტრალია), საფრანგეთსა და საქართველოს ნაკრებ გუნდებში თამაშობდნენ.

შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, რომ ფეხბურთში თამაშის წესების ერთ-ერთი ცვლილების ავტორია ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი სულხან იაშვილი. უკვე მრავალი წელია მთელს მსოფლიოში, ფეხბურთს

სულხან იაშვილის მიერ შემოთავაზებული წესით თამაშობენ, რომლის თანახმადაც საჯარიმოს ფარგლებს გარედან აიკრძალა ბურთის საკუთა-

რი მეკარისათვის მიწოდება, რომელმაც უფრო მიმზიდველი და დინამიური გახადა ყველასათვის საყვარელი თამაში.



ცნობილი ფეხბურთელი ალექსანდრე იაშვილი

იაშვილების საგვარეულოს მრავალი წარმომადგენელი დღესაც ერთგულად ემსახურება ქვეყანას. დავასახელებთ მხოლოდ ზოგიერთს. ესენი არიან დამწვრობის ცენტრის ხელმძღვანელი, საქართველოში პლასტიკური ქირურგიის ერთ-ერთი მოთავე, აკადემიკოსი ბესარიონ იაშვილი; ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორები, ქიმიკოსები რევაზი და საქართველოს ეკოლოგიური აკადემიის აკადემიკოსი თენგიზ იაშვილები, გამოთვლითი ტექნიკის სპეციალისტი, პროფესორი გენადი იაშვილი; მექანიკოსი, აკადემიკოსი სულხან იაშვილი; ექიმები, მედიცინის მეცნიერებათა აკადემიური დოქტორები: ლაშა, ნინო, ნოდარი, მარინა, დავითი და ვლადიმერი; ჰიდროგეოლოგები, მეცნიერებათა დოქტორები გია და თემური; ინგლისური ენის სპეციალისტები, მეცნიერებათა დოქტორი თამარი და მეცნიერებათა აკადემიური

– პორფირე; პროფესორ ლუარსაბ იაშვილის ქალიშვილები, სახელგანთქმული მევიოლინეები – მარინე, ნანა და ირინე; კავშირგაბმულობის დარგის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, მეცნიერებათა დოქტორი ავთანდილი; სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი გელა; სამთო ინჟინერი, მეცნიერებათა დოქტორი ვიქტორი; ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორები: მიხეილი, ლერი და გია; ავტომატიზაციის დარგის ინჟინერი, გამომგონებელი, საინჟინრო აკადემიის წევრი ნუგზარი (ზაზა); საქართველოს რადიოში მოღვაწე, რეჟისორი ჯიმშერი; ჟურნალისტები – მანანა, მარინა და თეონა; მხატვრები – ნანა, მიხეილი, თენგიზი, გია და მალხაზი; არქიტექტორები – კონსტანტინე და ზაზა; ექიმები – ლიანა, მარინა, ნინო, მია, ლაშა, ზაალი, ლევანი, ნოდარი, დავითი, არჩილი, გურამი, ამირანი;

სტომატოლოგები: ნატო და ნინო, კომუნალური დარგის გამოცდილი სპეციალისტი, ინჟინერი ბახვა, ინჟინრები _ დავითი, ნუგზარი, კოკა, გურამი, კოტე, ირაკლი და გიგი; ნახევარგამტარების მიმართულების გამოცდილი სპეციალისტი ზაზა, იურისტები _ დემონი, ირინე და ირაკლი, ისტორიკოსი, მეცნიერების კანდიდატი მზია, ეკონომისტები _ მიხეილი, ლერი, რამდენიმე წიგნის ავტორები, მამა-შვილი თამაზ და ნინო, ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტი მაგდა, მოდელიორი ნათელა, ქიმიკოსები _ ნათელა და ნანა; ბიოლოგები – ნანი, მზია, ვალიდა და მანანა; გერმანული ენის სპეციალისტები, პედაგოგები – ცისანა, ციური, გორის უნივერსიტეტის ღვაწლმოსილი პედაგოგი ლევანი, თბილისის საოპერო თეატრის მომღერალი და სამების საკათედრო ტაძრის სტიქაროსანი ზურაბ, მსახიობები ზურაბ და შალვა, ტანსაცმლის დიზაინერი ქეთევანი, საინფორმაციო ტექნოლოგიების ახალგაზრდა სპეციალისტები ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური დოქტორი ლაშა, ლევანი და გიორგი, ეს უკანასკნელი ინტელექტუალურ თამაშში „რა, სად, როდის“ სუპერლიგის გუნდის მოთამაშეა, „მის თბილისი-2003“ კონკურსის გამარჯვებული ნინო, ფეხბურთელები

სანდრო, გიორგი და დავითი და სხვა მრავალი. (ბოდიშს ვიხდით, რომ ყველა იაშვილს აქ ვერ დავასახელებთ). რაჭიდან იაშვილები საქართველოს სხვადასხვა მხარეში მოხვდნენ, მათგან ნაწილი იმერეთში დასახლდა, ნაწილი კი თბილისში ცხოვრობს. ამჟამად, იაშვილები ცხოვრობენ თელავსა და გორში, კასპსა და ყვარელში, რუსთავში, ვანში, სამტრედიიაში, საჩხერეში, ტყიბულში, გარდაბანში და საქართველოს სხვა ქალაქებსა და რაიონებში. ამ ლამაზი გვარის წარმომადგენლებს შეხვდებით აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთაც: რუსეთსა თუ უკრაინაში, საფრანგეთსა თუ ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და შორეულ არგენტინაშიც.

სულ დღეისათვის საქართველოში ორი ათასზე მეტი იაშვილი ცხოვრობს.

ღმერთმა ამრავლოს ამ ლამაზი და სასახლო გვარის წარმომადგენლები!

და ბოლოს, ყველაზე მთავარი და სასიამოვნო ამბავი იაშვილების გვარის ცხოვრებაში: 2010 წლის 2 მაისს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია II სამების საკათედრო ტაძარში დალოცა იაშვილების გვარი და აკურთხა მათი საგვარეულო ხატი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. სოსელია. ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს ისტორიიდან. თბილისი, მეცნიერება, 1966 წ.
2. რ. ჭელიძე, შ. ჭელიძე. რაჭა. თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1971 წ.
3. ქართლის ცხოვრება თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1973 წ.
4. ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. თბილისი, 1990 წ. ტომი 5.
5. გ. გასვიანი. დასავლეთ საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური ვითარება და რუსეთთან შეერთება. თბილისი. მეცნიერება. 1989 წ.
6. იაშვილების საგვარეულო (შემდგ. ნიკო იაშვილი), თბ. 2002.



badri cxadaZe

ანტიკური ქალაქ „Ξιόριον“-ის ლოკალიზების მეცნიერული ვარიაციები და ტოპონიმ „სვირის“ ეტიმოლოგია

(რეცენზია, კრიტიკული ესე, ეტიმოლოგიური ძიებები და სხვა...)

2014 წელს გამომცემლობა „არტანუჯმა“ ვანის რაიონის ძველი, ახალი და უახლესი ისტორიის, ეთნოლოგიისა და ფოლკლორის კვლევების ცენტრის“ ეგიდით, ანოტაციის გარეშე, გამოსცა არქეოლოგ გურამ ყიფიანის წიგნი-მონოგრაფია ქალაქი „Ξιόριον“-ი [1]. როგორც სატიტულო ფურცელი გვაუწყებს, „ნაშრომი შესრულდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პალეოურბანული კვლევების ლაბორატორიაში“. წიგნი ეძღვნება ვანის რაიონის საზოგადოებას, ხოლო წიგნის გამოცემა შესაძლებელი გამხდარა ბატონ მურად ახვლედიანის თანადგომითა და ვანის მუნიციპალიტეტის ფინანსური მხარდაჭერით. წიგნის სამეცნიერო რედაქტორი გახლავთ საქართველოს ეროვნული მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე, ხოლო წიგნში თარგმნილი ადგილები ეკუთვნის ლელა დუმბაძესა და მედეა ხორავას.

წიგნის ბოლოს ე.წ. საგამომცემლო ჯგუფის წევრებად მოხსენიებული არიან: ეთერ ბაიდოშვილი, ლიკა სხირტლამე, ილია ხელაია, ალექსანდრე ჯიქურიძე.

სამწუხაროდ, ვინაა წიგნის გამოცემის რედაქტორი, კორექტორი ან სტილური რედაქტორი, არსაიდან ჩანს. უნდა ვიფიქროთ, ეს ფუნქცია წიგნის ავტორთან ერთად ე.წ. „საგამომცემლო ჯგუფის“ წევრებს უკისრიათ. საგამომცემლო ჯგუფის ერთ-ერთი ქალბატონის აქ მოხსენიებულ „მართლზომიერ“ სახელს თუ ვენდობით, ადვილი წარმოსადგენია, ტექსტის როგორ სწორებასთან უნდა გვქონდეს საქმე.

შენიშვნა 1: მონოგრაფიის ტექსტი აიკრიფა ირინე ამირიძისა და მადონა მშვილდაძის მიერ (მათ კორექტურულ-ორთოგრაფიული შეცდომებისათვის ნაკლებად მიუძღვით ბრალი).

წიგნის სამეცნიერო რედაქტორი გ. ლორთქიფანიძე, რომელიც გ. ყიფიანის წინამდებარე სარეცენზიო წიგნს შინაარსეულად კარგად იცნობს, თავის, როგორც რედაქტორის, წინასიტყვაობაში („პტოლემეოსეული გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაციის პრობლემები“) [2]. სათაურშივე და თავისი ბოლო სამეცნიერო რეგალიის დასახელებისას, როგორც ჩანს, თანამედროვე არასალი-

ტერატურო ენის „თავისებურ და მისეულ ნორმებს“ ამკვიდრებს (თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების მიხედვით იწერება: „პტოლემეიოსისეული“ და არა „პტოლემეიოსეული“; „წევრ-კორესპონდენტი“ და არა: „წევრ კორესპონდენტი“, გვ. 5-7; „რამდენიმე“ და არა „რამოდენიმე“, გვ. 5). ეს, რაც შეეხება მის საკუთარ, რედაქტორისეულ ტექსტს.

ამკარად საგრძნობია, რომ როგორც წიგნი და მისი ავტორი, ისე სამეცნიერო რედაქტორიც, ასევე ვანის რაიონის საზოგადოება ქალაქი „Σίνριον“-ის ლოკალურ მდებარეობის განსაზღვრა-დადგენისას, როგორც მკითხველებს, მაინდამაინც ვანის ნაქალაქარისაკენ მიგვაქანებენ. მაგრამ მაინც მივყვეთ წიგნის დასაწყისისა და მის დასასრულამდე მათ მეცნიერულ პოსტულატებს, ლინგვისტურ-ტოპონიმისტურ პროცედურებს და არგუმენტებს, რამდენად თვითმიზნური ან დამაჯერებელია ეს.

სამეცნიერო რედაქტორის შეფასებით, გ. ყიფიანის მონოგრაფია (აქ ვიგებთ, რომ ნაშრომი ჩვეულებრივი წიგნი კი არაა, მონოგრაფიაა, ბ. ცხ.) „ემძვნება პტოლემეიოსთან და უფრო ადრე პლინიუს უფროსთან (ახ. წ. 23-79 წწ.) მოხსენებულ ქალაქს „სურიონის“ ადგილმდებარეობის გარკვევა-დაზუსტების საკითხებს; მისი სახელწოდების გააზრების, და მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი კულტურულ-ისტორიული საკითხების გარკვევას. დამაჯერებელია ავტორის ეტიმოლოგიური ძიებანი. „სურ“ ფუძე თეოფორიული (მართებულია: „თეოფორული“, ბ. ცხ.) სახელწოდების ჩანს, და ძველადმოსავლურ ნაყოფიერებათა ქალღმერთების (ანაპი-

ტა და სხვ.) წრეს უკავშირდება. „სურ“ ძირიანი ტოპონიმიკა (უნდა: „ტოპონიმია“, სამწუხაროდ, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი სასაფუძვლო ტერმინებს ტოპონიმიას ტოპონიმიკისაგან ვერ ასხვავებს. ამის განზოგადება მეცნიერი-მკითხველისათვის მიგვინდვია, ბ. ცხ., თუმცა ზოგიერთ რამეზე მაინც აქვე მივანიშნებთ:

ამ სპეციფიკური ტერმინების (ტოპონიმი, ტოპონიმია, ტოპონიმიზაცია, ტოპონიმიკა, ტოპონიმიკონი, ტოპონიმიკური, ტოპონიმური და მისთ.) შესახებ ქართულ ენაზე არსებობს გამარტებითი ლექსიკონი (მათი შედარება-განმარტებისათვის იხ. პ. ცხადაია, [3] სურ ძირი უცხო არ არის საქართველოს ტოპონიმიაში,, გავიხსენოთ სურები გურიაში და სურამი მდ. სურამულათი – ქართლში პტოლემეიოსის ასახელებს ქალაქ „სურა“-ს, რომლის ადგილმდებარეობას ბატონი გ. ყიფიანი სოფ. არადეთის სახეებში ვარაუდობს“ (გვ. 6).

შენიშვნა 2: სამეცნიერო რედაქტორის სტილი დაცულია. ამ ამონარიდში სამეცნიერო რედაქტორის სტილურ „თავისებურებებს“ – მის ცდომილებებს რომ გავყვეთ, ჩვენი სარეცენზიო ნაშრომის პრობლემას – საკვლევი ტოპონიმების ურთიერთმიმართებას – ტოპონიმ „სვირის“ ეტიმოლოგიას და ქალაქი „Σίνριον“-ის ლოკალიზაციას

ავცდებით. ამიტომ ამ ნაწყვეტის სტილისტური ხარვეზების პოვნა კვლავ საქმეში ჩახედული მკითხველისათვის მიგვინდვია.

წიგნის ავტორი გ. ყიფიანი ზედმეტად რომ არ შევაწუხოთ, ისევ სამეცნიერო რედაქტორის დასკვნით შეფასებას მოვიშველიებთ. როგორც ბატონი გ. ლორთქიფანიძე წერს, „პირუთვნელი მკითხველის ინტერესს აღვივებს ის გარემოება, რომ „სურის“ ლოკალიზაცია ავტორმა უყოყმანოდ „ვანის ნაქალაქარს“ დაუკავშირა. იმ კლასიკურ ძეგლს, რომლის არქეოლოგიურ კვლევას ე. თაყაიშვილმა ჩაუყარა საფუძველი, პროფ. გ. ყიფიანი მრავალი წლის განმავლობაში შეისწავლიდა. მისი აგეგმილია „ახვლედიანების გორაზე“ გამოვლენილი ანტიკური ხანის მთელი რიგი ხუროთმოძღვრული ძეგლი. მრავალწლიანმა გამოცდილებამ, ნაქალაქარის ტოპოგრაფიაზე დაკვირვებამ მონოგრაფიის ავტორი მიიყვანა შემდეგ დასკვნამდე „ვანის ნაქალაქარის“ აკროპოლისი მდებარეობს სოფელ ციხესულორში, რომელიც „ახვლედიანი გორის“ დომინანტია“ (გვ. 6).

შენიშვნა 3: სამეცნიერო რედაქტორის სტილი აქაც დაცულია. რედაქტორისეულ „წვრილმან“ ენობრივ ლაფსუსებს აქ არ „გამოვეკიდებით“.

მაშ ასე: გავიგეთ წიგნის ავტორის „უყოყმანო და დამაჯერებელი“ ეტიმოლოგია და ანტიკური ხანის ქალაქ „Σιρσιον“-ის ლოკალიზაციის შესახებ: ავტორისა და წიგნის სამეცნიერო რედაქტორის დაკონკრეტებით, „Σιρσιον“-ი ანუ „ვანის ნაქალაქარის- აკროპოლისი მდებარეობს სოფელ ციხესულორში, რომელიც „ახვლედიანი გორის“ დომინანტია“.

ამრიგად, ანტიკური ქალაქ „Σιρσιον“-ი, ავტორისა და რედაქტორის გააზრებით და ურთიერთგაზიარებით, დღევანდელი სოფელი ციხესუ-

ლორი ანუ „ახვლედიანის გორა“ ყოფილა.

ახვლედიანებს, XIX საუკუნის 40-იანი წლების ცნობარით, იმერეთში, გარდა ვანისა, თერჯოლაში, ინაშაურში და ღარიხევში უცხოვრიათ [4] რც შეეხება „ახვლედიანი გორის დომინანტს“ სოფელ ციხესულორს, იგი იმერეთში ამ ცნობარის მიხედვით უცნობია. ჩანს, სოფელს თუ უბანს სახელი გვიან შერქმევია (სავარაუდოდ XIX საუკუნის მეორე ნახევრის შემდგომ). ამავე ცნობარით, სულორში ახვლედიანის გვარი არ ჩანს.

რა გამოდის? ავტორებს, თუ წიგნის ავტორსა და მის მეცნიერ-რედაქტორს ამ ტოპონიმთა ქრონოლოგია-წარმოშობა ვერ დაუდგენიათ და ანტიკური ქალაქი „Σιρσιον“-ის ლოკალიზაციას ადგენენ?!

შენიშვნა 4: აღსანიშნავია, რომ მდინარე სულორის ზემო წელზე, მის ორივე სანაპიროზე მდებარეობს ვანის რაიონის (მუნიციპალიტეტის) კუთვნილი, დღევანდელი სახელდებით სოფ. სულორი და ამავე სახელწოდების რესპუბლიკური დაქვემდებარების კურორტი. გ. ყიფიანის ინფორმაციით, სოფ. სულორის სახელწოდება სოფ. დვალიშვილებს 1930 წელს მიენიჭა. ამავე წელს ე.წ. დვალიშვილების აბანოს ტერიტორიას კურორტი სულორი უწოდეს. იხ. [5, 601]. ღირსსაცნობია ისიც, რომ ციხესულორი 1925 წლისათვის ქუთაისის მაზრის ვანის თემში შემავალი სოფელი იყო და 350 კომლს ითვლიდა 2994 მცხოვრებით. [6, 102] ციხესულორი, როგორც სოფლის სახელდება და ტოპონიმი საერთოდ არაა შეტანილი. ამით იმის თქმა გვიწევს, რომ თუნდაც ერთი საუკუნის განმავლობაში იცვლებოდა სოფლის მიკრო და

მაკროტოპონიმია, სოფლის სახელწოდებაც და მისი მოხმარების არეალი და ლოკალიზაციაც. ამის შემდეგ მწელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, საუკუნეების განმავლობაში, ანტიკური ხანიდან დღემდე, როგორ და რამდენად შეიცვლებოდა როგორც ტოპონიმის გარეგნული და შინაგანი მხარე, ისე მისი ლოკალიზება. ამიტომ, ვფიქრობთ, მაინცდამაინც საჭირო არაა, თვითმიზნურად სულორი, ვანი, ციხესულორი თუ სირიუმი და სურიონი ერთი და იმავე ტოპონიმის სახესხვაობად მივიჩნიოთ.

ჩვენი აზრით, ზედმეტ ჰიპოთეტურ მსჯელობას ასეთ შემთხვევაში უნდა მოვერიდოთ, თუმცა ჩვენი სარეცენზიო მონოგრაფიის ავტორი ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევს: კერძოდ, გ. ყიფიანის მონოგრაფიაში არერთგზის არის ხაზგასმული, რომ სულორი წარმომდგარია არარსებულ, ჰიპოთეტური სურორფორმისაგან: სურორ \rightarrow სულორ დისიმილაციით. ეს თეორიულად (ლინგვისტურ-ფონეტიკურად) მართლაც შესაძლებელია, თუმცა დოკუმენტურად და წერილობით ასეთი არქაული ფორმა სინამდვილეში ანუ უცხოურ და ქართულ ისტორიულ ანალებში არ არსებობს.

მკვლევარი გ. ყიფიანი გზადაგზა ემყარება არქეოლოგ ნ. ხომტარიას ახნას (ნ. ხომტარია ვანის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელი 1948-1963 წწ-ში, რამდენიმე არგუმენტის მოშველიებით ამტკიცებდა ახვლედიანთა უბნის, ანუ ვანის ნაქალაქარის სახის ანტიკური ქალაქ სირიუმის (პტოლემეოსით – „სურიონი“) ერთსადაიმავეობას და ამავე დროს მიიჩნევდა, რომ ქალაქი გრძელდებოდა ახვლედიანთა უბნის მიმდებარე,

სოფ. ციხესულორის ტერიტორიაზეცო, – იმოწმებს გ. ყიფიანი (გვ. 10, სქოლიო 3)[7, 223]. მკვლევარი გ. ყიფიანი პლინიუსის მიერ დასახელებულ სირიუმს, თითქოს სოფელ ციხესულორის ტერიტორიაზე განფენილს, სარგის კაკაბამეც იზიარებდა ყოველი არგუმენტების მოშველიების გარეშე [8, 65] მაგრამ ეს „არგუმენტები“, ჩვენი აზრით, ნამდვილ და უეჭველ არგუმენტაციად მაინც ვერ გამოდგება. ფაზისის ლოკალიზების არაორდინარულ-ჰიპოთეტურ ვარიაციას გვთავაზობს ი. ღამბაშიძე, რომლის ვარაუდით, კოლხეთის დაბლობში (2500-3000 წლის წინათ) ღრმად შეჭრილი ზღვის ვრცელი უბე დიოკურიიდან დაწყებული ურთის მთის ძირად გადიოდა და მისი აღმოსავლეთი ნაპირი სოფ. ციხესულორამდე აღწევდა. „უბეს ეჭირა +40 ჰორიზონტალის დაბლა მოქცეული ფართობი დაახლოებით 3-4 ათას კვ. კმ-ის რაოდენობით [9, 183] ამ ვარაუდს და პოსტულატებს არ იზიარებს მ. პაჭკორია, რადგან ი. ღამბაშიძის ნაშრომი „სავარაუდო-ჰიპოთეტური ხასიათისაა და საკითხის დაყენების მხრივ არ შეიძლება მან მკვლევართა და მკითხველთა ყურადღება არ მიიქციოს“ [10, 3-4]. ვფიქრობთ, მკვლევართაგან სანამ ისტორიული ფაზისის ლოკალიზება არ მოხდება, მანამ ქალაქ „სირიუმის“ ადგილმდებარეობის ზუსტ განსაზღვრაზე მწელია ლაპარაკი.

დაისმის კითხვა: თუკი ტოპონიმი ვანი ანტიკურ წყაროებში არსებობდა (ეს ასეცაა!), მაშინ როგორ გადაფარა იგი სირიუმ უცხოურმა სახელწოდებამ? სულორის გამო? მაშინ გამოდის, რომ სულორი იგივე ვანი და სირიუმ-სირიონი სინონიმები ყო-

ვილა. ისე, ჩვენში დარჩეს და... ამგვარივე დაკვირვებით სირიუმ-სირიონ-ი, ერთი შეხედვით, ძალიან წააგავს მდინარე რიონის სახელწოდებას და ა. შ.

ასეთ მსჯელობას და ეტიმოლოგიურ დაკავშირებას, ვფიქრობთ, უფრო სჯობს საბჭოურ საქართველოში არსებული საფეხბურთო გუნდის „ვანის სულორის“ სახელდების ავტორ-ნათლიის მეცნიერულ-ლოგიკურობა, ვიდრე ზემომოყვანილი „არგუმენტებით შეკოწიწებული~ ჩვენი მეცნიერების „ტოპონიმიკური ლოკალიზაციის“ ცდა.

ვანის ნაქალაქარში აღმოჩენილი წარწერის ერთი ადგილი „სურის“ არ ნიშნავს იმას, რომ იგი მაინცდამაინც ვანის ვარიაციული სინონიმური სახეა, თუმცა გ. ყიფიანი დაბეჯითებით ცდილობს დაამტკიცოს, რომ ვანი და სულორი, ისე როგორც სირიუმი ერთი და იგივე გეოგრაფიული პუნქტია (გვ. 20). და ისიც, რომ „კლავდიოს პტოლემეისიოსი ქალაქ ფასისის, ისევე როგორც სურიონის ადგილმდებარეობას მინუტებითაც აზუსტებს“ (გვ. 28), მით უმეტეს, როცა იმავე გვერდზე ბატონი გ. ყიფიანიც აღიერებს, რომ „არქეოლოგიურად კვლავ დაუდგენელია ფასისის ზუსტი ადგილმდებარეობა“. ჩვენი (და არა მარტო ჩვენი) ვარაუდით, საუკუნეების წინათ ძველი ფაზისი ნამდვილად არ უნდა იყოს დღევანდელი ფოთი. იგი შავი ზღვის შემოტევის გამო ზღვაში უნდა იყოს ჩაძირული, ისე როგორც ატლანდიდა (როგორც მეცნიერები ფიქრობენ ბერმუდის სამკუთხედის „ქვეშ“, ოკეანეში, რობოტის მეშვეობით, შარშან აღმოჩნდა ჩაძირული ქალაქი, რომელსაც ატლანდიდასთან აიგივებენ. მკვლევართა მიერ ასეთ

აღმოჩენილ „ანტლატიდებს“ იაპონიის და სხვა ოკეანეებისპირა ქვეყნების სანაპირო მისადგომებთანაც იპოვით).

შენიშვნა 5: ჩვენი აზრით, სულორი რომ არქაული, ისტორიული ტოპონიმია, ამტკიცებს გვარსახელი სულომე, რომლისგვარს ბაღდათის რაიონში, სოფელ ზეგანში უცხოვრია, (1840-იანი წლების ცნობარის მიხედვით). სწორედ ეს გვარი შეიცავს სულო ძირს (შდრ. სულამე, სულიაშვილი, სულაბერიძე, სულავა, სულაკაური, სულიკაშვილი... არაა გამორიცხული ამ გვარებში არსებული სულ //სულა // სული ბერძნული წარმოშობის „სულ“ სიტყვისაგან მომდინარეობდეს), რომელიც სულორში გვაქვს, ამ უკანასკნელში კი _ ორ სუფიქსად გამოიყოფა. შდრ. კოდ-ი _ კოდ-ორ-ი, გვარები: კოდუა, კოდმანიძე; სხვიტ-ორ-ი, შდრ. სხვიტ-ი, გვარი სხვიტარია; კიჭ-ორ-ი (რიყის პატარა ზომის მრგვალი ქვა), კიჭ-ი (პატარა ბავშვის კბილი), კოჯ-ი (სვან, „კლდე“) – ტოპონ. კოჯ-ორ-ი, იმერ. მეტსახელი კოჯ-ორ-ი, ქართ. კოჯ-რ-ი და სხვ.-ორ სუფიქსი უცხო არ იყო ძველი ქართულისათვის [11, 653-656].

ტოპონიმ „სვირის“ ეტიმოლოგიზებისათვის

ზოგი მეცნიერი _ ქართველი თუ უცხოელი, დღევანდელ ტოპონიმ სვირს ანტიკური ხანის სირიუმს და სირიონს უკავშირებს. ამასთან დაკავშირებით: ი. ვინოგრადოვი, წერს (ვიმოწმებთ გ. ყიფიანის სარეცენზიო ნაშრომიდან), რომ მას არასაკმარისად მიაჩნია მხოლოდ სიტყვათა მსგავსების ნიადაგზე წარწერისეული „სურის“ ვანის ნაქალაქართან გაიგივება (რამიც ჩვენც ვეთანხმებით, ბ. ცხ.) და მიიჩნევს, რომ სირიუმის ლოკალი-

ზებისას არ იყო გათვალისწინებული პტოლემეოსისა და პლინიუსის სრული კომპლექსი [12, 59]. მაგრამ ლატიშევის რუკაზე სირიუმი მდინარეების რიონისა და ცხენისწყლის შესაყართანაა დატანილი (შესაბამისად, მდ. სულორთან) და ამასთანავე რავენელი ანონიმის მიერ დასახელებული პუნქტი „შურტუმ- სურიუმად მიიჩნია [გვ. 20].

შენიშვნა 6: საერთოდ, ჩვენში მტრად მოსული მოყვარე თუ „დაუძინებელი“ მტერი არაიშვიათად ამა თუ იმ ტოპონიმს ან ჰიდრონიმს „თავისებურად“, დამახინჯებით გადაიტანდა, გადააკეთებდა, გადათარგმნიდა თავის ენაზე სხვა სახელს დაარქმევდა შდრ. თურქ. ჩურუქსუ „დამპალი წყალი“ და ქართ. ქობულეთი; ცხუმი _ თურქ. სუხუმ, აფხ.-აფსურური აკუა) ან კიდევ: ცხენისწყალი, რომლის ბერძნული სახელწოდება ჰიპპოსი გახლავთ, არაფრით არ უკავშირდება ცხენს (ან კიდევ ქართული ხალხური ეტიმოლოგიით: ამ მდინარეში ასი ცხენი დაიხრჩო და იმიტომ დაერქვა ცხენისწყალიო. უფრო სამწუხაროა ის, რომ დღევანდელ სასკოლო სახელმძღვანელოებში წიგნის ავტორები ანტიმეცნიერულად ასე უხსნიან ამ მდინარის სახელს ქართველ მოსწავლეებს). როგორც ჩვენმა კოლეგამ, ტოპონიმისტმა პ. ცხადაიამ გაარკვია, ცხენისწყალი მიღებულია ცენისწყლისაგან, ცენა კი ძველად სვანეთში რომელიღაც მცენარეს ერქვა (ცენიან ადგილს და იმ სათავეს, საიდანაც ეს მდინარე გამოედინება). მეტიც: ჩვენი აზრით, მდინარე ცენას, ასევე ბალახისა და მცენარის სახელი ცენა და ქართული აღმოცენების ცენ და მცენარეს ცენ

ძირი წარმოშობითი და იგივეა. [ხომ არ მომდინარეობს ცენ ძირისაგან ცინ? ცენ _> ცინ: მცენარე _> მცინარე; შდრ. მცინარე/მცინარი _> გვარსახელი ცინარიძე.

ეგევე შეიძლება ითქვას ვარდციხეზეც, რომელსაც ძველად და ბერძნულ წყაროებში ბერძნულივე თარგმანით როდოპოლისად მოიხსენიებენ. მომხდურმა, როგორც ჩანს, იგი ტერიტორიის დაპყრობისთანავე თარგმნა და გააბერძნულა. შემდეგ კი ხალხის „მოკლე მეხსიერებამ“ პირვანდელი შინაარსი დაბინდა, გადაივიწყა და... ვარდციხე _> ვარციხედ იქცა. ასე მივიღეთ ქართლში ქალაქ გორთან ჩამდინარე მდინარე მუჯუდას სახელი: მეჯუდისხევი _> მეჯვდის ხევი _> მეჯვრის ხევი. ასე რომ, სიტყვა „ჯვარი“ არ არაფერ შუაშია... [13] (იხ. ამ და მსგავსი ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების შესახებ ბ. ცხადაძე, ხალხური ეტიმოლოგია და ისტორიული ხსოვნა. საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი სტუ თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის 10 წლისთავისადმი თემაზე: „წარსული მკვიდრი საძირკველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა“ (ილია მართალი). თბილისი, სტუ, 2011 წლის 14-15 ნოემბერი).

ძველ ისტორიკოსებსა და ძველ ისტორიოგრაფებს არაეთხელ შეშლიათ კავკასიის მთის თუ კასპიის ზღვის ან დარიალის ადგილსამყოფლის ლოკალური განსაზღვრა და სახელდება. ეს არცთუ გასაკვირია. მომხდურმა, თუნდაც მეცნიერმა, ზუსტად არ იცოდა ესა თუ ის ტოპონიმი, თუ ჰიდრონიმი სად იყო, ამიტომაც, უნებლიეთ, აღრევით, ერთის ნაცვლად მეორეს წერდა.

ზემოთ აღსანიშნავი დაკავშირება სირი-უმ-სირთუმისა ნაწილობრივ ქართ-ველ ისტორიკოსს ნ. ლომოურსაც აქვს გაზიარებული [14, 109-110] (იხ. ნ. ლომოური, ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. „შრომები“, IV. ნაკვ. I. თბ., 1958, გვ. 109-110). მეტიც: სომეხი მეცნიერის ს. ერემიანის მსგავსად [15, 109] მან სურიუმ-სურტუმი სოფელ სვირთან (დღევანდელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტი) გააიგივა [16, 109]. Н. И. Ломоури, Из исторической географии древней Колхиды. ВДИ. 1957. №1. с. 109).

გ. ყიფიანის აზრით, ს. ერემიანი ცდება (ამავე შეცდომას იმეორებს ი. ვინოგრადოვიცო, – დასძენს იქვე შენიშვნის სახით), რადგან სოფ. სვირს მდინარეების ყვირილასა და რიონის შესართავთან ასახელებს. ეს პუნქტი 24 კმ-თაა დაშორებული მდინარეთა ხერთვისს (გვ. 20 შენ. 3).

შენიშვნა 7: გ. ყიფიანის ამ შენიშვნასაც ბოლომდე ვერ გავიზიარებთ, რადგან არავინ იცის, სად იწყებოდა ან სად თავდებოდა ძველად სვირის ჭალები („ჭალები“ სწორედ მდინარის ან მდინარეების არსებობას გულისხმობს სათანადო ლოკალიზებით).

სვირი, როგორც ტოპონიმი ლოკალიზებულიც არის და იმავდროულად მიგრაციულიც: სვირი ტოპონიმია (სოფელს ჰქვია მესხეთში, ახალციხის რაიონში, ისე როგორც ზოვრეთი), სვირი ტოპონიმია იმერეთში (1930 წლიდან, საბჭოური დაყოფით ერთი სოფლიდან გაჩნდა ორი სოფელი: პირველი და მეორე სვირი (არაიმერლების წოდებით ზედა და ქვედა სვირი) ზესტაფონის მუნიციპალიტეტი, ისე როგორც ზოვრეთი),

სვირა მაღალი (ახლანდელი სახელდებით სვეტიმალა) სოფელი ზესტაფონის მუნიციპალიტეტში სოფელ მეორე სვირიდან რამდენიმე კილომეტრში, ახალი სვირი ანუ სადგური სვირი სოფელია ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, ტერიტორიულად სვირამალასა და მეორე სვირს შორის მდებარეობს; სვირევანი ანუ სურევანი სოფელია ტაო-კლარჯეთში და ა.შ. ისე როგორც ყვირილა მდინარეებს ჰქვია იმერეთში და ტაო-კლარჯეთში. ამიტომ კიდევ ერთხელ ხაზგასმით ვამბობთ, ზედმეტი ლოკალიზებით ნუ ჩავეძიებთ ამა თუ იმ ტოპონიმს, მით უმეტეს, ანტიკურ ხანაში დამოწმებულს, თორემ კვლევისას ჩვენი ძირითადი მიზანი იდეაფიქსად შეიძლება გვექცეს.

შენიშვნა 8: სირიუმი გარეგნულად, აღნაგობით ძალიან ჰგავს გვარსახელებს სირამეს, სირიას, ტოპონიმებს: სასირეთს, მაგრამ ამ უკანასკნელთა სახელდებები, შინაარსობრივად, თვით ძირი სულ სხვა წარმომავლობისაა, ძველ ქართულად „სირი“ ჩიტს ნიშნავს, ასე რომ, გვარსახელები სირია და სირამე ეტიმოლოგიურად ნიშნავს „ჩიტამეს, ჩიტეიშვილს, ჩიტაიშვილს, ჩიტეიშვილს, ჩიტაიას, ჩიტუნძეს“...

შენიშვნა 9: სვირი, ისე როგორც სირიუმი, ფორმოზრივ, თითქოს ახლოს დგას ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთი არაბული ქვეყნის სახელწოდება „სირიასთან“. ეს ტოპონიმები ისტორიულად რა კავშირშია ერთმანეთთან ძნელი სათქმელია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ ძველ ისტორიულ წყაროებსა და ანალებში „თეთრსირიელი“ იგივე ლეგოსირიელი, რომელიდაც ქართველ ტომთაგანს ნიშნავს. მაგ., კურციუს რუფუსი

(ახ. წ. I ს.) კასპის ზღვის სამხრეთ სანაპიროდან მიმართული მზერის ქვეშ ჩამოთვლილ ტომთა შორის, მოსინიკებთან და ხალიბებთან ერთად, ასახელებს ლევკოსირიელებსაც. ასევე სტეფანე ბიზანტიელი, ეფორე, ფსევდო-სკიმნი (II-I სს), ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ ქ. ამიმოსი ლევკოსირიელების მიწაწყალზეა. მეტიც: იოანე ცეცის (XII ს.) მიერ ლიკოფრონის „კასანდრას“-თვის დართულ კომენტარებში ვკითხულობთ: „კოლხები, რომელნიც ლაზებდაც იწოდებიან, _ ეგვიპტიდან არიან გადმოსახლებულნი, ცხოვრობენ აბასგების მახლობლად; კოლხები იწოდებიან აგრეთვე აზიელ სკვითებად და თეთრსირიელებად, ცხოვრობენ აზიის ფარგლებში, მდ. ფასისთან (იხ. ვრცლად: [17, 118-121 და სხვ].

შენიშვნა 10: კასპის, კასპის ზღვის და კავკასიონის ურთიერთმიმართებაზე, ასევე ამიმოსისა და ამორძალების ანუ ამაზონების შესახებ, მათ ქართველურ ტომობაზე, სპეციალურად ჩვენც გვაქვს ნაშრომები [18], [19], [20] და სხვ.

შენიშვნა 11: ახალციხის რაიონისა და მესხეთის ბრწყინვალე კულტურულ წარსულზე ლაპარაკობს ცნობილი ქართველი მეცნიერი ალ. ხახანაშვილი, რომელიც მესხურ სოფლებს შორის მოიხსენიებს სოფელ სვირსაც [21, 28-29]. ჩვენი აზრით, სოფელი სვირი, როგორც ტოპონიმი, მიგრაციულია, მოსახლეობის შედეგად მიღებული. სპეციალური კვლევა საჭირო, რომ საბოლოოდ დადგინდეს, რომელია პირვანდელი ტოპონიმი _ იმერეთის სვირი თუ ახალციხის სვირი.

შენიშვნა 12: დაინტერესებული პირი ინტერნეტში „გუგლით“ უც-

ხოურ გვარს „სვირი“-საც (სვირი) იპოვის, მაგრამ მას არაფერი აქვს საერთო ამ ქართულ გვარსახელ სვირავასთან და ტოპონიმ სვირთან.

შენიშვნა 13: სვირი მდინარეს ჰქვია რუსეთში, ჩამოუდის მოსკოვს. იგი მიღებულია რუს. `ствирел~და არაფერი საქვს საერთო ქართულ სიტყვა სვირთან.

* * *

დავუბრუნდეთ პირველთქმულს: რას ნიშნავს სიტყვა სვირი, როგორია მისი ეტიმოლოგია?

ცნობილი ქართველი მოაზროვნე, მწერალი გრ. რობაქიძე სვირს ძველ ქართულ სიტყვად მიიჩნევს და „ციხის მცველად“ განმარტავს. მწერალი ერთგან წერს: „სვიმონ აბაშიძე: გავიცანი სვირში, სანდრო აბაშიძესთან, კაცხიდან ჩამოსული. 1915 წელს, ზაფხულში, სტუმრად (ნათელმეფენი ივერიული პროფილითაც, შენი ნამდვილი ნაშიერი იყო, კარდუ, ეს დაუვიწყარი მოხუცი). სვირი დედუღია ჩემი, საცა სწორედ მის მიჯნაზე ობჩასთან, ამ სოფლად ავიხილე თვალი. „სვირი“ ძველს ქართულში „მცველს“ ნიშნავს“ [22] (იხ. გრ. რობაქიძე, საუბარი კარდუსთან (ქართული შაირი) დამოწმებულია წიგნიდან: გრ. რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, თბ., 1996). შდრ. ტოპონიმები სურიუმი-სირიონი და ციხესულორი.

მეორეეტიმოლოგიური ძიება და სვირის წარმომავლობის აზხსნა-განმარტება ეკუთვნის ცნობილ კავკასიოლოგ-ქართველოლოგს, ქართველური ენების მკვლევარს, პროფ. გ. როგავას. მისი აზხსნით, სახელდება სვირი წარმომდგარია სტვირ'-ისაგან (მეგრული სვირი „არყის გამოსახდელი

მილი“ <_ სტვირი[23, 102]. მართლაც სვირი ზანური ვარიანტია სტვირისა: სტვირი >_ სვირი. ამის დასტურია სამეგრელოში გავრცელებული გვარსახელი სვირავა და თვით სიტყვა სვირი, რომელიც ნიშნავს 1. „თოფის ლულას“; 2. არყის გამოსახდელი ქვების მილს.

* * *

სვირი ისტორიული და არქეოლოგიური მონაპოვრებითაც იქცევს მკვლევართა ყურადღებას. მაგალითად, მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის სტალინისდროინდელი საბჭოური საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში შეტანილია ბრინჯაოს ლავები სვირისა(და ლეჩხუმის სოფლის ლაილაშის არქეოლოგიურ მონაპოვართან ერთად), დაცულია ქუთაისიცი სახელმწიფო მუზეუმში.

ხოხოლუას ტერიტორიაზე (პირველი სვირი) დგას VII საუკუნის ეკლესია, წმინდა გიორგის სახელობისა, ე.წ. ვირსაყდარა, სოფლის ტერიტორიას ამშვენებს სამეთვალყურეო კომპოცი.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს იყოფას ციხე // ნაპურადევის ციხე, რომელიც სოფელ მეორე სვირისა და სოფ. პირველი სვირის საზღვართან მდებარეობს. მის შესახებ წერილობითი ცნობები არ მოგვეპოვება. არსებობს მხოლოდ ლეგენდა, რომ ამ ადგილებში ვახტანგ გორგასალს უნადიმია, ადგილი მოსწონებია და ციხის აშენება უბრძანებია. ციხე საშუალო ზომისაა, კედლები და მდინარეში ჩასასვლელი გვირაბი დანგრეულია. ჩაკირული მრავალი ჭური (იმერეთში ჭური ქვევრს ჰქვია, „ქვევრიც“ იხმარება, ოღონდ ის პატარა

ჭურის მნიშვნელობით, ბ. ცხ.) დეფორმირებული ციხის ტერიტორიაზე არაერთია და მის ჩრდილო-აღმოსავლეთით მრავლად მოიპოვება ანტიკური ხანისა და უფრო გვიანდელი პერიოდის თიხის ჭურჭლის ნატეხები.

ფიქრობენ, რომ სოფლის ტერიტორიაზე არსებული ნაპურადევის ციხის სახელწოდება მისი თავდაცვითი ფუნქციიდან მომდინარეობდეს (იხ. ინტერნეტით ვებგვერდი: სოფ. მეორე სვირი). ვინ იცის, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“ საბას მიერ განმარტებული სვირი – „ციხის მცველი“ სწორედ ამ ტოპონიმს უკავშირდებოდეს (რომელიც მერე, მოგვიანებით, სოფლის სახელწოდებად იქცა).

მეორე სვირის ვებგვერდზე (27. 2014 წლის ივნისი) ერთ-ერთი სტუდენტი (არქეოლოგიის განხრით) ითხოვს ადგილობრივთაგან დახმარებას – ცნობების მიწოდებას ნაპურადევის ციხის შესახებ სადიპლომო ნაშრომისათვის „აღმოსავლეთ კოლხეთის სასიმაგრო ნაგებობები“. ვნახოთ, კვლევის შედეგი როგორი იქნება.

ჩემი ფიზიკის მასწავლებლის ქალიშვილს, შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტის ყოფილ მეცნიერ-მუშაკს, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს (დ. წაქაძეს) თუ ვერწმუნებით, შაველა დელის გაღმით, იქვე, დღევანდელი სოფელ პირველი სვირისკენ მდებარე იყოფას ციხეს მის გვირაბს არქეოლოგის წერაქვი დღემდე ელოდება. ქალბატონ დალის ახსნით, გვირაბი რამდენიმე კილომეტრიანი უნდა იყოს, გადმოცემით თურქეთის საზღვრის იქითაც კი სწვდებაო. მას, როგორც ძველი ქართული ლიტერატურის

სპეციალისტს, მონღოლების შემოსევისას, ქართველ მეფეთაგან გადამაღული საგანძური, მათ შორის ძველი ხელნაწერები, ამ ჩანგრეულ და დაქოლილ გვირაბში ეგულება. ვინ იცის...

(ქალბატონი დალი თავისი საკუთარი მასალების გადმოცემასაც დამპირდა..., მაგრამ ჩვენი შეხვედრა აღარ შეეძა).

სიძველეთა არსებობაზე მთელ იმერეთში (ისე როგორც ქართლში და „ახალციხის მაზრაში“) ხატებსა და ჯვრებზე, სახარებებსა და სხვა წიგნებზე, ეკლესიის კედლის ქვის ზოდებზე – მრავლად არსებულ წარწერებზე მიუთითებს ცნობილი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე, რომელსაც საქართველოს სოლიდური ნაწილი ფეხიფეხ „არქეოლოგიური ექსკურსიით“ მოიარა და აღწერა [24, 109]. ასე რომ, იმერეთის სიძველეთა ისტორიულობა, ვფიქრობთ, საკამათო არ უნდა იყოს.

იმერეთი (კერძოდ, სვირის ეკლესია, სვირის სიძველენი) მეოცე საუკუნის პირველ მეოთხედში (1919-1923 წწ.) აღწერა ცნობილმა ქართველმა ეთნოგრაფმა და „სიძველეთა მცველმა“ გიორგი ბოჭორიძემ [25]. გ. ბოჭორიძის იმერეთში „ისტორიული მოგზაურობის“ არსებობა 1990-იან წლებამდე უცნობი იყო. მას მიაკვლია ხელოვნებათმცოდნე ციციჩო ჩაჩხუნაშვილმა, დაცულია ავტოგრაფის სახით ძველთა დაცვის მთავარი სარესტავრაციო სახელოსნოს არქივში (მოგვიანებით, XX საუკუნის მიწურულს, ძველთა დაცვის საპროექტო ინსტიტუტი „საქპროექტრესტავრაცია“ რომ ეწოდა). მასალები მოთავსებულია ორ საქალაქო #83 (35 რვეული) და #86 (46 რვეული).

აკლია 3, 5, 32, 34 და 39 რვეულები. როგორც ცნობილი ეთნოგრაფი ლევან ფრუიძე წერს, „გ. ბოჭორიძე რომ არა, 20-30-იან წლებში ანტირელიგიური ლაშქრობების დროს, მთლიანად მოისპობოდა საქართველოს საეკლესიო განძი, როგორც ილეკროს (ძვირფასი ლითონების) ნივთები, ისე ხელნაწერები. გ. ბოჭორიძემ სიძველეთა საცავებში არა მარტო უამრავ ექსპონატს მოუყარა თავი, არამედ ეკლესიებიც აღწერა, რომელთაგან ბევრი უკვე დანგრეულია, და უმდიდრესი ეპიგრაფიკული მასალა დაღუპვისაგან იხსნა“. ასე რომ, ექვთიმე თაყაიშვილის გზაზე მავალ მამულიშვილს, გ. ბოჭორიძეს უნდა ვუმაღლოდეთ როგორც რაჭა-ლეჩხუმის, სამცხე-ჯავახეთის, თუშეთის, ისე იმერეთის ისტორიული ძეგლებისა და სიძველეების (აღწერით ძვირფასი განძის) გადარჩენას. გთავაზობთ გ. ბოჭორიძის მიერ სვირის მაშინდელი ეკლესიის შესახებ მოპოვებულ მასალას.

**„სვირი
სვირის ეკლესია
სიძველენი:**

1. (ქ. 130). კარედი ხატი ღვთისმშობლისა, 19¼ 16¼ სმ, ირგვლივ დაბალი ვერცხლით შეჭედილი, ნაწილობრივ ოქროს წყალში დაფერილი; ხატი შემკულია 8 თვლით და მარგალიტის მძივებით; კარებებიც მარგალიტებით არის შემკული (უკანასკნელთ აკლიათ); ხატი დაზიანებულია, მარცხენა კარი ავარდნილი აქვს.

მხედრული წარწერა:

ა. მარჯვენა კარზე, მარჯვენა მხარეს: ქ. ში უზეშთაეს ძირა მხარეს: სერაბინთაო: უმაღლესო მარცხენა

მხარეს: ცათაო და უწმიდესო მჩიბნ-თაო(?)

ბ. თვით ღვთისმშობლის ხატ-ზე: მცობო და მხსნელო:.

გ. მარცხენა კარზე: სასო და: სი-ქადულო ჩვენო: ყოვლად: წმდაო: დედოფალო უბ(ი)წოდ: მშ(ო)ბ(ე)ლო:

მაცხ(ო)ვრ(ი)ს(ა)ო:

და უმეტესად:

კურთხეულო და დიდ(ე)ბულო:

ღმრთის _

მშბლო მ(ა)რ(ა)დს ქ(ა)ლწულო

მარიამ: შ(ე)წ: მოწყალე:

გვ(ი)ყავი: ძე შენი

ცოდვილის: სულის:.

ს(ა)ხსრ(ა)დ:

ბეხაზა ჩიჯავადის: ქალს:

ბეჩმიკაცს (?)

სდღ(ე)გმ(ე)ლოთ ს(ა)ოხ(ა)დ:.

2. (ქ. 131). ფიცარზე ნახატი წმ. გიორგის ხატის (რუსული ხელოვნების). ზურგიდან აღებული თითბრის ფურცელი წარწერით, რომელიც იხსენიებს საქართველოს მეფის გიორგის ძის თეიმურაზის და მისი მეუღლის მეფის სძლის ელენე ამილახვრის ასულის მოძღვარს მღვდელმონაზონს ვიქტორიოს გიორგაძეს, 1884 წ., ზომა ფურცლისა 62 $\frac{3}{4}$ X50 $\frac{1}{2}$ სმ.

3. (ქ. 132). გარდამოხსნა, ოქრომკედით და ფერადი ძაფით ნაკერი, 117X73 სმ, დაზიანებული.

4. (ქ. 133). ოდიკი 1822 წლისა.

5. (ქ. 65). კონდაკი, ნუსხური ნაწერი, მრავალი ფურცელნაკლები.

6. (ქ. 66). მოსკოვს დაბეჭდილი (1823 წ.) სახარებიდან ამოღებული წინა ორი ფურცელი, რომელიც შეიცავს სიას ვიქტორიოს გიორგაძის მიერ შემოწირული ნივთებისას.

როდინოულის ეკლესიაში ინახებოდა ფიცარზე ნახატი ხატი აჯამეთის მაცხოვარისა, 8X5 (დაახლ.), შეჭედილი ვერცხლით და შემკული 30 წლის წინათ აჯამეთის წერეთლების კარის ეკლესიიდან. იგი დაუმტკვრევიათ 1923 წელს (გვ. 72-74).

ჩვენი მინაწერი: 1. ადვილი შესაძლებელია, ყოველივე ეს, დაკარგული იყოს (ნაკლებ სარწმუნოა, ვინმეს ოჯახში ინახებოდეს). სწორედ ამიტომ არის ძვირფასი მეცნიერებისათვის გ. ბოჭორიძისეული სვირის ეკლესიის ეს აღწერა. დასადგენია, რომელი ეკლესიაა ეს. იქნებ ის საყდარი, დღევანდელ პირველ სვირში რომ იყო, სადაც, როგორც საგვარეულო სალოცავში, სიქთარველი ცხადაძეები სალოცავად აქ გამოდიოდნენ ადგილობრივ, სვირელ ცხადაძეებთან ერთად (ცნობა მომაწოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა, ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტმა, სიქთარველმა ქეთევან ცხადაძემ სიცოცხლის უკანასკნელ წლებში). 2. გასარკვევია, საქართველოს მეფის გიორგის ძის თეიმურაზის და მისი მეუღლის მეფის სძლის ელენე ამილახვრის ასულის მოძღვარი მღვდელმონაზონი ვიქტორიოს გიორგაძე სვირელი ხომ არ იყო (დღევანდელი სოფელ მეორე სვირის გიორგაძეების უბნიდან) და მანვე ხომ არ შესწირა ეს სიძველე სვირის ეკლესიას. 3. დასადგენია გ. ბოჭორიძის მიერ ამოკითხული „ბეხაზა ჩიჯავადის ქალის ბეჩმიკაცის“ ცხოვრების წლები და მისი (და მამამისის) სახელების უტყუვრად წაკითხვა.

ამრიგად, სვირი ძირძველი, ისტორიული, „ნაკოლხარი“ ტოპონი-მია.

სვირი საქართველოს უახლეს ისტორიაში იმ კუთხითაც შევიდა, რომ აქ, სვირის ჭალებში, ვალიკო ტალახაძეს ხალხი დაუხვრეტია (XX საუკუნის ბოლშევიკური ყოფის 70-წლიან ისტორიაში ცნობილია ჯალათთა სამეული: სერგო გოგლიძე, ზოგდან (ბახჩო) ქობულოვი, ვალიკო ტალახაძე [ეს უკანასკნელი შემდეგ იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი სახელმწიფო და სამართლის თეორიაში, მონაწილეობა ჰქონდა მიღებული ივანე ჯავახიშვილის „დამუშავებაში“]) – სადამსჯელო ოპერაციების ერთ-ერთ ხელმძღვანელს, 1924 წლის აგვისტოში რკინიგზის ვაგონში ხალხის დახვრეტის ორგანიზატორი იყო, იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე, 1937-1938 წწ. რესპუბლიკის პროკურორი) [26, 31]. ამ ცნობით ძნელია, სვირის რომელ ჭალებზეა ლაპარაკი. რადგან სიტყვა „ჭალა“ მდინარეს (მის ორივე ნაპირს ჭალებითურთ), ხეობას გულისხმობს, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს სადამსჯელო აქტი, სვირთან ახლოს, მდინარე ყვირილას ჭალებში უნდა მომხდარიყო, ახლანდელ სოფელ ახალ სვირთან (იგივე სადგური სვირი).

„წერილები სახალხო განათლებაზე“, ასე ჰქვია ერთ-ერთ ქვეგანყოფილებას ბოსლეველის წიგნისას [27, 285-286] (იხ. ბოსლეველი, ნაწერები, ს. ხუციშვილის რედაქციით, გამოკვლევით, შენიშვნებითა და საძიებლით. თსუ გამომცემლობა, თბ., 1961 285-286), რომელშიც გამორჩეული ადგილი 1874 წელს სვირში დაწერილ-დათარიღებულ (1874 წლის 10 მარტი და 18 ივლისი) საგაზეთო წერილებს ეთმობა. ბოსლეველი ანუ ესტატე მჭედლიძე (1954-1885 წწ.) XIX

საუკუნის მეორე ნახევარში ცნობილი პუბლიცისტი და ლიტერატურის კრიტიკოსი იყო. მისი ნაწერები ქვეყნდებოდა გაზეთებში („შრომა“, „ივერია“, „დროება“...). ბოსლეველის ზრუნვის საგანი ქართველი ხალხის გონებრივი წვრთა, პოლიტიკური და ეკონომიური გათავისუფლებისათვის ბრძოლა იყო. ესტატე მჭედლიძის, იმავე ბოსლეველის აზროვნების პოლიტიკური სიმახვილე მის ნაწერებში დასმული მწვავე სოციალური და ეკონომიური საკითხების გადაწყვეტა აახლოვებს ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის მეთაურებთან. ბოსლეველის წერილები მწვავეა და საქართველოში სკოლების, კერძოდ, სამრევლო სკოლების, იმდროინდელი განათლების პრობლემატიკას ეხება.

* * *

სვირი და სვირელები არაერთხელ ასახულა ქართველ მწერალთა ნაწერებში, არაერთგზის გამხდარა ქართველ პოეტთა მუზაც. მაგ.,

სვირი ნახსენებია:

1. კონსტანტინე ლორთქიფანიძის რომან „კოლხეთის ცისკარში“: „იმ ეტლებში სიცხითა და ბაზრის ხმაურით შეწუხებული ქალები სხედან და ზანტად ემუსაიფებიან ერთმანეთს. მათ უკვე მოუთავებიათ ვაჭრობა და ახლა მოუთმენლად იცქირებიან სვირელი გლეხების ურმებისაკენ, სადაც მათი კაცები ცოლიკოურით „ასველებენ“ პარასკეობაზე შეძენილ საქონელს“ [28, 64].

2. მურმან ლებანიძის უსათაურო ლექსში, რომელიც პოეტს 1981 წელს გამოუქვეყნებია:

ახმეტა! სვირი! ნატანები! მო-
ლითი! ვანი!

მიყვარდა, მიყვარს საქართველო
ყოველთვის მწვანე!

ჩა! ტუნგო! ვაზი! ფორთოხალი
იმედად ხვალე!

მიყვარდა, მიყვარს საქართველო
– ქვეყანა მწვანე! [29, 102] ; (მ. ლებ.
გვ. 102).

* * *

სოფელ მეორე სვირის ბოლოს, ტოპონიმ ციხურასა და ახლანდელ სოფელ სადგურ სვირს შუა. ე.წ. გოგია ჯუღელის ტყის პირას, სოფელ მეორე სვირის ღვინის მარნის გვერდით, ზემო მხარეს, ახლაც დგას ოდასახლი დადიანისა, რომელსაც სვირელები „დადიანის ნამოსახლს“ უწოდებენ. რომელი დადიანის იყო, ეს სპეციალურად საკვლევია. ჩვენი აზრით, არაა გამორიცხული, იგი ცნობილი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის შალვა დადიანის მამა-პაპას ეკუთვნოდეს, რადგან, როგორც 68 წლის ასაკში მყოფი ბატონი შალვა დადიანი იგონებს, იგი ზესტაფონში დაბადებულა. მისი მოგონებით, „ბავშვობის დროის მოგზაურობიდან ყველაზე პირველად მახსენდება იმერეთში, სოფ. სვირიდან სადგურ აჯამეთამდე გამგზავრება. ნათლად მახსოვს, ლაზარე რატიანს, მამიჩემის ამ ერთგულ კაცს, ვუჯექ ცხენზე უნაგირის წინ“ [30, 159]. „3-4 წლის ვიქნებოდი მაშინ, როდესაც პირველად მაზუთის სუნი მომედინა.

რკინიგზის სადგურთან, მაღლობზე ვცხოვრობდით და ყოველდღე ვუყურებდი მატარებლის მიმოსვლას, განსაკუთრებით ცალკეული ორთქლმავლის „მანიოვრებს“ (იქვე,

გვ. 160). ამავე მოგონებაში ბატონი შალვა დიდი სიყვარულით იხსენებს ახალგაზრდა სვირელ გლეხს გოგიტას: „აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი მშვენიერი ადამიანი, წარმოსადეგი ახალგაზრდა, შავთვალწარბა, მხარბეჭიანი, ნიჭიერი და მახვილი სიტყვის პატრონი გოგიტა. სამწუხაროდ, გვარი აღარ მახსოვს. ეს სვირელი გლეხი იყო და ბეზიაჩემს, მარიამ აბაშიძის ქალს, ხაბაზად ჰყავდა.

მუდამ მხიარული, ხალისიანი და საკუთარი შაირების გამომთქმელი. ყველას უყვარდა და მე ხომ თითქმის არ ვიშორებდი, რადგან დიდი გამომგონებელი და გამკეთებელიც იყო სხვადასხვაგვარის სათამაშოსი: ხან მეტად მოხდენილს ფანჩატურს ამიშენებდა გვიმრის ფოთლებით გადახურულს, მხოლოდ ისეთ მომცროს, რომ შიგ თითქმის მარტო მე ვეტეოდი, ეს შალვას სასახლეაო და ზედ არავის არ აკარებდა, სანამ ზაფხულის თქემმა არ ჩაგვინგრია საბურველი და გაანადგურა ჩემი ყურე.

შეიძლება „შალვას ყურეს“ სიყვარული აქედანაც ჩამენერგა (შენიშვნა: ერთხელ „შალვას ყურე“ დავარქვი პაწია აგარაკს თბილისის მახლობლად, სოფ. ბაგებში). ერთხელ კიდევ ხის ორთქლმავალი გამომიკოპიტა. ეს, ახლა რატომ ვიხსენებ, მართლაც საუცხოო მოდელივით იყო გამოყალიბებული. საყვირიც კი მოაწყო, მაგრამ ჩემთვის ყველაზე გამხარებელი მისი ორ-ორ წყვილად მორგებული ბორბლები იყო, რომელთაც კბილანა ამომრავებდა. სხვადასხვაგვარ ბურთებს, ბეწვეულის თუ წითელყვითელ მემისას ხომ ხშირად მიკეთებდა და აგრეთვე ნაირ-ნაირ ბზრიალებს. დაატრიალებდით მიწაზე, ან კიდევ უფრო კარგად ხის იატაკზე,

და დიდის სისწრაფით „დაკვიწილ-
დებოდა“. ან ზონარგაბმული თხი-
ლის კაკალი, ძაფების გაწევ-გამოწე-
ვით თან რომ ტრიალებდა და თან
რომ „ღუოდა“.

მამამ ამ გოგიტას ქართული წე-
რა-კითხვა ასწავლა უკვე 22-23 წლის
ვაჟკაცს და უნდოდა სადმე ზეინკ-
ლობა მაინც შეესწავლებინა თურმე,
აქედან გაიკვლევს გზასაო, მაგრამ
გოგიტას დედამ შვილი მალე დაა-
ცოლშვილა და თითონ გოგიტასაც,
საერთოდ, დიდხანს აღარ უცოცხ-
ლია.

მისი ნაშაირევიდან მხოლოდ ერ-
თი სახუმარო ლექსი შერჩა ხსოვნას.

ზესტაფონში იმ დროს ცხოვრობ-
და მერაბ ლორთქიფანიძე, მამა ჩვენი
ცნობილი მწერლის ნიკო ლორთქი-
ფანიძისა. მას, სხვათა შორის, ერთი
ლამაზი უფროსი ქალიშვილიც ჰყავ-
და, სახელად ივდითი, რომელსაც,
ცხადია, იმ არემარეს ახალგაზრდობა
ეტრფიალებოდა. გოგიტას, რასაკვირ-
ველია, იმ დროს და იმ მდგომარე-
ობის კაცს, როგორც თვითონ იყო, მე-
რაბის ოჯახთან ხელი არ მიუწვდე-
ბოდა, მაგრამ გული მაინც ასე მო-
იოხა თურმე:

„დედალ-მამალო ფუტკარო,
ლორთქიფანიძეს უთხარო:
ან მომეც შენი ივდითი,
ან ზესტაფონში ნუ ხარო!“
(იქვე, გვ. 163).

* * *

სვირი და სვირის რკინიგზის
სადგური რამდენჯერმე აქვს მოხსე-
ნიებული ცნობილ ქართველ მწერალ-
სა და მოაზროვნეს გრიგოლ რობაქი-
ძეს რომანში „მეგი ქართველი გოგო-
ნა“ (გამოქვეყნდა 1932 წელს ტიუ-

ბინგენში (გერმანია) რაინერ ვუნდერ-
ლიხის გამომცემლობაში, რომანის
თავდაპირველი სათაური „მედეას
ნაწნავეები“ იყო. როგორც ჰანს ჰატო
ფონ ველტჰაიმისადმი მიწერილი წე-
რილიდან ირკვევა, მწერალს ორიგი-
ნალის ტექსტი რუსულ ენაზე შეუქმ-
ნია. ეს ფაქტი გრიგოლ რობაქიძეს ასე
აქვს ახსნილი: „მამინ უკვე მქონდა
საიდუმლო განზრახვა გერმანიაში
გაპარვისა. მინდოდა გერმანული
ტექსტი ხელთ მქონოდა. ჩემი მეგო-
ბარი რაინჰოლდ ჩაკერტი, რომელიც
ამ წიგნის მთარგმნელად არის დასა-
ხელებული, ქართულს არ ფლობდა.
ორმაგი სამუშაო რომ თავიდან ამეც-
დინა, ჯერ ქართულად დამეწერა რო-
მანი და მერე რუსულად მისთვის,
„მეგის“ ორიგინალური ტექსტი იმ-
თავითვე რუსულად შეიქმნა“). რომა-
ნის დასაწყისშივე, მეორე აბზაცში
მწერალი წერს: „მკითხველს ვთხოვ,
კავკასიის რუკა მოიმარჯვოს და თბი-
ლისიდან ბათუმისკენ მიმავალი რკი-
ნიგზის ხაზი მონახოს. ამ გზით ვიმ-
გზავრე და რვა საათში სვირის პატა-
რა სადგურში ჩავედი. საზღვარი ზე-
მო და ქვემო იმერეთს შორის სწორედ
ამ ადგილას გადის“. მწერალი იქვე,
რომანის პროლოგის პირველსავე აბ-
ზაცში სვირს კვლავ ახსენებს: „ოქტო-
მბრის საღამო იდგა, სვირში რომ
ჩავედი. სადგურში ერთი ჩემი ხანდა-
ზმული ნათესავი დამხვდა და სოფ-
ლისკენ ცხენებით გავუდექით გზას“
[31, 17]. (იხ. გრიგოლ რობაქიძე, მეგი
– ქართველი გოგონა, გერმანულიდან
თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა. ჟ.
„ცისკარი“, #11-12, 2012, გვ. 17).

შენიშვნა:

სვირი ორჯერ ნახსენებია ჩვენს
პიესაში „გენიუს ლოც (ადგილის დე-
და)“ [32], რომელიც ფაქტობრივ 1995

წელსდაიწერა, გასრულდა და საბოლოოდ რედაქტირებულ იქნა 2008 წელს. ეს რადიოპიესა 2011 წელს გამოქვეყნდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალ „პარალელის“ მეორე ნომერში. პიესა ეძღვნება 1930-1937 წწ. რეპრესირებულ ქართველ შემოქმედთ (მწერლებს: გრ. რობაქიძეს, მ. ჯავახიშვილს...). პიესის ავტორი ერთ ადგილას ზემოიხსენებული კილოთი მწერალ გრიგოლ რობაქიძესთან შეხვედრისას ასე ალაპარაკებს სერგო ორჯონიკიძეს: „...რა დაგიწერია, კაცო, ესე, რა, რაიი? რაღაც იბერიული... რასსიული... ქართული... ურაპატრიოტული, ულტრანაციონალური?! კაი კია დაააა! ხომ გაგიგონია შენე, იმერეთში, სვირში, შენს დედულში, ერთ ლამაზ ქალზე რომ უზნობდნენ ჯუღელეების უბანში: „კაი ქე ხარ, ვინცხასი ხარო? აი, ისტრე მომხიბლავი და კაია, კაი, შენი „ლამარაი“!... ხო-ხო-ხო-ხო... იიი, რა სპექტაკლი იყო, ბოშოოო, ააა ?!“ (იხ. სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი „პარალელი“ #2, 2011, სტუ გამომცემლობა, გვ. 23); ამავე პიესის მეორე ადგილას გრიგოლ რობაქიძეს, როგორც პიესის ერთ-ერთ მთავარ გმირს, დრამატურგი ასე ამეტყველებს: „ღირს-საცნობია და ფრიად საცნაური... რომ გველის პერანგის პარალელურად ქართულ ზეპირმეტყველებაში... მაგალითად... იმერულ კილოში... გველის კანიც დასტურდება. მე თვითონ გამიგონია ჩემსობას... ბავშობაში... დედულში... სვირში... თურმე არც ჩვენი ენა ჩამორჩება ამ მხრივ რუსულს (და არა მარტო რუსულს...)“ (გვ. 25). პიესაში მესამედ, „მეთხოთმეტე კამარედის“ მინაწერში, უცხოეთში გადახვეწილი და საბჭოურ ყოფას განრიდე-

ბული გრიგოლ რობაქიძე მწერალ მიხეილ ჯავახიშვილისადმი გერმანიიდან გაგზავნილ წერილში წერს: „P.S. ძალიან მენატრებით: ჩემი მეგობრები. ჩემი სახლი. ჩემი შემოგარენი. ჩემი საქართველო. ხევსურეთი. იმერეთი. სვირი.შაველა დელე, ცხრამუხა (სოფ. როდინოულში), ოზჩა და ჩხარი, მატასი ბიცოლა, დები და დის შვილები. ხოპის წმინდა გიორგის ეკლესია და მისი მოძღვარი ოზჩაში. დედული და მამული. იმერულად ისრიმ-მაცვალში ჩაწყობილი შემწვარი ქათამი. ძველი ტფილისი. ქართულ ჯილაგი. ადგილის დედა – გენიუს ლოც... იმედია, მალე გნახავთ“ (გვ. 45).

* * *

სვირმა და სვირის კულინარიულმა ხელოვნებამ თანამედროვე ქართულ სიმღერებშიც შეაღწია. 2013 წლის 13 მარტის ტელემაუწყებლობა „მაესტრო“-ს ეთერში მომღერლებმა ზურაბ მანჯავიძემ და გია კორკოტაშვილმა, გიტარის აკომპანიმენტის თანხლებით, ასე დაიმღერეს:

„...რადიო მაქვს, რა რადიო,
ვუსმენ ლონდონს, ტოკიოსა,
ვუსმენ სვირში რაფრა კეპენ
გობზე პარკის ლობიოსა!“

(იხ. 13.03.2013. „მაესტროს“ გადაცემა „თავისუფალი დრო“).

ხის გობზე ახლახანს ქვაბიდან მოხარშულ პარკილობიოს, შეკმაზულს და ოხშივრიანს, რა სჯობს, როცა ხის გობზე ოჯახის დიასახლისი მარცხენა ხელში ხის ჩოგნით, მარჯვენაში – „ფრიალა“ საინით აღჭურვილი ერთდროულად რომ კეპავს მონოტონური კაკუნით, და მართლაც: „ვუსმენ სვირში რაფრა კეპენ გობზე

პარკის ლობიოსა". კარგად შეუნიშნავთ ლექს-სიმღერის მთქმელთ – სვირში მყოფ „სტუმარ-მასინძლებს“.

* * *

სვირი (და მისი სანახები) ქართველი მხატვრების მუზაც გამხდარა. პირველ რიგში უნდა დავასახელოთ გენიალური მხატვრის ნიკო ფიროსმანის ნახატი „სვირი“, რომელშიც, უპირველეს ყოვლისა, მნახველს სვირული შემოდგომის, სვირული ვენახების, „გამმა“, სვირული ყურძნის ჯიშისანი მტევნების ხილვა იტაცებს. დიდი მხატვარი, როგორც გავარკვიეთ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობდა (იმერეთი, სამეგრელო და სხვ.), მეტიც: ერთ დროს, მოკლე ხნით, მატარებლის „პრავადნიკადაც“ უმუშავებდა, თავის შემოქმედებით „მარშრუტში“ სოფელ სვირის ასახვაც არ გამოჩენია. სწორედ ამდროინდელია მისი ფერწერული სურათი „სვირი“:

ფიროსმანის „სვირი“

ფიროსმანი „სვირი“ [სურათის მარჯვენა მხარე]

ფიროსმანი „სვირი“ [სურათის მარცხენა მხარე]

შენიშვნა 14: ამ სურათზე (მხატვრის მიერ სვირის სადგურიდან დანახული) დახატული მომადლო ადგილი – გორა, ჩვენი აზრით, ციხურა უნდა იყოს.

* * *

ადგილობრივი წარმოშობისა და დასახელების ღვინო „სვირი“ გეოგრაფიულად, მევენახეობის თვალსაზრისით, სპეციფიკურ ზონას წარმოადგენს. იგი მდებარეობს მდ. რიონის შენაკადში. ყვირილას მარცხენა სა-

ნაპირო ზოლში, ჩრდილო განედის 420071 და აღმოსავლეთ გრმედის 420551 კოორდინატებზე, შუა იმერეთის სამხრეთი მთისწინების ჩრდილო დაქანებებზე. მოიცავს ქვემო იმერეთის სოფლებს: პირველი სვირი, მეორე სვირი, როდინაულის ადმინისტრაციული საზღვრებს. აბსოლუტური სიმაღლე ზღვის დონიდან საშუალოდ 220 მეტრის.

როგორია სვირის კლიმატი?

კლიმატის მიხედვით, ზემოაღნიშნული სპეციფიკური ზონა მიეკუთვნება ზღვის ნოტიო სუბტროპიკული კლიმატის ოლქს და ხასიათდება რბილი, თბილი ზამთრითა და ცხელი ზაფხულით.

შენიშვნა 15: ერთხელ, ჩემი ასპირანტურაში სწავლის პერიოდში თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში, ძველი ქართული ენის კათედრაზე ლამის ასწელს მიღწეული, მსოფლიოში ცნობილი ენათმეცნიერი აკაკი შანიძე გავიცანი. გაცნობისთანავე გამომიტოხა სადაურობა და მითხრა: „ – სვირში ვარ ნამყოფი, ძალიან ცხელი აგვისტო იცისო“. მოგვიანებით ჩემი თანამეგვარისაგან (მღვდლის შვილიშვილისაგან) შევიტყვე, რომ ბატონ აკაკის სვირში, დიალექტოლოგიური მოგზაურობისას, „მცირე რომანი“ ჰქონია – ერთ-ერთი მღვდლის და (გვარად ცხადაძე, რომელიც მსახიობი ყოფილა) ცოლად უნდა შეერთო, მაგრამ ეს ამბავი „ჯვრის ფსკვნით“ არ დამთავრებულა (ამის შესახებ სხვა დროს).

* * *

მართლაც, საქვეყნოდ განთქმულია სვირული ღვინო. თვით ე. წ. საბჭოურ-კომუნისტურ ხანაში, XX

საუკუნეში, ამავე სახელდებით სამარკო ღვინო „სვირიც“ კი არსებობდა.

შენიშვნა 16: სვირი, როგორც ღვინოს ერთ-ერთი სახელდება, საერთაშორისო ტერმინადაც კი იქცა. იგი ასეა განმარტებული და ტექსტობრივად დამოწმებული: Свири (სვირი) сорт марочного столового вина. «Во все города Советского союза, в Германскую Демократическую Республику, Польшу, Чехословакию и другие страны отгружаются знаменитые грузинские вина Цицка, Цоликаური, Свири...» (Газ. «ЗаряВостока», 11.08. 1970 г.). ამ სიტყვამ სვირულის სახით რუსულ მხატვრულ ლიტერატურაშიც კი შეაღწია: «...смелым медленным жестом наливает два стаканчика бледного, чутьмутноватого свирского» (П.П.Павленко, Кавказская повесть) [33, 46].

სამწუხაროდ, დღეს სვირული ღვინოს ასეთი სამარკო ჩამოსხმა აღარ ხორციელდება... ღვინოს, როგორც ცნობილია, ვაზის კულტურა და მისი თვისობა განაპირობებს. „მზიგულში“, „დობილო“ ადგილას ვენახის დარგვა-მოშენებას სულ სხვა შედეგანი მოსავალი მოაქვს. თვით იზაბელა ჯიშის მაღლარი ყურძენი, ე. წ. „ადესა“-ც კი არომატულობით, სიმჟავე-სიტკბოთი სწორედ ვენახის „გაშენიანების“ – ადგილის – ნიადაგის მიხედვით განირჩევა. სპეციალურ ლიტერატურაში (პროფ. კ. მოდებამე და სხვ.), სვირისა და სვირული ღვინოების შესახებ აღნიშნულია:

„სვირის მიკრო რაიონი მდებარეობს აჩხეტას ღელესადამდ. ლუხუტას

შორის, ე.ი. სოფ. კვალითისა და სოფ. როდინოულის საზღვრებს შორის. ეს მიკრორაიონი მარტოსოფ. სვირისაგან შედგება. ნიადაგების თვისებებისა და, მასთან დაკავშირებით, ღვინოების ხასიათის მხრივ, სვირის მიკრორაიონი ოთხ უბნად იყოფა: 1) თეთრ ღელედ ან დაწყებული როდინოულის საზღვრამდე, მეტად მძიმე ტიპური ეწერი მიწებით, იძლევიან ძლიერ მაგარ, მძიმე კრახუნას ღვინოს, რომელსაც აქ თავისი სპეციფიკური თვისებები მკაფიოდ გამოსახული არა აქვს. 2) თეთრ ღელესა და შაველას შუამდებარე უბანი. ნიადაგი ამ მეტად მძიმე, საკმაოდ ნოყიერი თიხნარებისაგან შედგება, მხოლოდ თეთრი ღელეს ნაპირად სამხრეთით-ჩრდილოეთისაკენ მდ. ყვირილამდე მიიმართება ეწერის ვიწრო ზოლი, სადაც სვირულ კრახუნას თავისი ენერგიული და „ვაჟაკური“ ტიპური სახე ნათლად აქვს გამოსახული. 3) შაველა ღელესა და კვალითის საზღვარს შუამდებარე, ეგრეთწოდებულ „პირველი წვერი“ ორ ზოლად იყოფა: ა) ქვედა ზოლი, მძიმე თიხნარი ნიადაგებით, ჩვეულებრივ მაგარ, სხეული ან, ტიპურ დუნე იმერულ ღვინოებს იძლევა, ბ) სვირის მთების კალთებისაკენ მიმართული ზედა ზოლი, კირნარ-თიხნარ, რამდენამდე ჩონჩხიანი ნიადაგებით, მეტად სასიამოვნო, ნაზ და ჰარმონიულ ციცქის ღვინოს წარმოშობს, გ) სვირის მთების კალთებზე მდებარე უბანი, დაწყებული შაველას ღელედან მდ. ლუხუტამდე, თიხნარ-კირნარი ნიადაგებით. აქროგორცცეცქა, ისე ცოლიკურიც, მშვენიერ ნაზ, შინაარსი ან პროდუქტს იძლევა“ (პროფ. კ. მოდებამე) [34].

* * *

XIX საუკუნის 40-იანი წლების იმერეთის ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი მოსახლეობის მონაცემებით (ცნობარი შედგენილია საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით – იხ. ქუთაისის ცენტრალურ სახელმწიფო არქივში დაცული აღსარების მთქმელთა სიები) ამ დროს სოფელ სვირის მოსახლეობა წარმოადგენილია ისეთი გვარებით, როგორიცაა: აბულამე, ამირეჯები, ამირეჯიბი, არსენამე, ბეშიმე, ბოჭოიძე, ბოჭორიშვილი, ბრეგვამე, ბურჯანამე, გაბეხამე, გამრეკელაშვილი, გეწამე, გიორგამე, დავლამე, დეკანოიძე, დეკანოსიძე, დოლაკიძე, ედიბერიძე, ზიბზიბამე, თუთარაშვილი, თხელიძე, კავთელამე, კაკაურიძე, კამლამე, კანთელამე, კაპანამე, კვანტრეშვილი, კვანტრიშვილი, კვესიტამე, კვეტენამე, კიკნამე, კობახიძე, კობზირიძე, კოვზირიძე, კუპატამე, ლომინაშვილი, მალაღურიძე, მარგველაშვილი, მალლაკელიძე, მერკვილაშვილი, მერკვილიშვილი, მესხი, მოლარიშვილი, ნაცვლიშვილი, ნიქაბამე, რობაქიძე, როფაქიძე, სულაქველიძე, შერეკილაძე, ჩარკვიანი, ჩიხლამე, ჩუბინიძე, ჩუხამე, ჩხიკვაძე, ცადრეიშვილი, ცერცვაძე, ცხადაძე, წაქამე, წიგნამე, ჭანტურიძე, ჭულუხამე, ჭურამე, ჭყოიძე, ხათრიძე, ხვინჩიაშვილი, ხიდაშელი, ხიხამე, ხუტაშვილი, ჯუღელი (მ. კეზ.).

აქ დასახელებულ გვარსახელთა რაოდენობა 68 ერთეულია. ამჟამად სოფელში (რომელიც ფაქტობრივ ორ სოფლადაა გაყოფილი – პირველი და მეორე სვირი,

აგრეთვე ამ უკანასკნელში საბჭოური პერიოდის დროს შემავალი ახალი სვირი – ეს უფრო ოფიციალური სახელდება!) ანუ სადგური სვირი, მის გვერდით, ქუთაისისკენ მიმართული რკინიგზის გასწვრივ მდებარე სვირამალაი, რომელსაც ამჟამად ოფიციალურად სვეტმალად მოიხსენიებენ), გვარების რიცხოვნობა ბევრად მეტია.

* * *

დღეს ამ თემის ცენტრად სოფელი ახალი სვირია მიჩნეული (იქ, სადაც რკინიგზა გადის და რკინიგზის სადგურია). სვირი (როგორც პირველი, ისე მეორე) ზღვის დონიდან 230 მეტრ სიმაღლეზეა. პირველი სვირი ქალაქ ზესტაფონს 7 კილომეტრით შორავს. მეორე სვირში, 2002 წლის მონაცემებით, 4569 ადამიანი ცხოვრობს, პირველ სვირში – 3068, ეროვნული და სარწმუნოებრივი შემადგენლობა პირწმინდად ქართველი მართლმადიდებელია.

* * *

და ბოლოს: რატომ მოვიყვანეთ ამდენი „მხარეთმცოდნეობითი ექსკურსი“ სვირის და მისი სანახების დასახასიათებლად?

ღრმად ჩახედული მკითხველი გაგვიგებს და ადვილად ჩასწვდება ჩვენს გუმანს: არ შეიძლება საკვლევი თემის მხოლოდ ერთი რაკურსით ხედვა (და მხოლოდ „პტოლემეოსის გეოგრაფიით“ ტოპონიმების დადგენა) და განსჯა, იქით-აქეთაც უნდა გავიხედოთ. ვინც ერთხელ მაინც მანქანით გაივლის ვანიდან და სულორიდან ბაღდათისა და ოზჩა-სვირის მიმართილებით, უმაღლეს შემაჩნევს,

ერთნაირ რელიეფს, ბუნებას, დასერილ მთა-გორაკიან ადგილებს ნაკლებარ ტოპონიმებსა (დიმი, ფერსათი, ვარციხე, ხოპი, სვირი...), წინარეკრისტიანული – ანტიკური ხანის რეალიებს, ასევე ქრისტიანული პერიოდის რეალიებს, არქეოლოგიებს. არქეოლოგებს გვინდა შევხსენოთ (თუმცა მათ კარგად მოეხსენებათ): საქართველოში ყოველი გოჯი მიწისა, ისტორიულია, მაგრამ ჩვენ მხოლოდ ნაწილი ვიცით და მცირედენი მოვიძიეთ. მოსაძიებელი ფაქტები, ქართული მიწის წიაღი კვლავ ელის არქეოლოგ მეცნიერებს, მათ შორის „სვირის ქვეყანაც“, თავისი იყროყას (ნაპურადვეს) ციხით, ციხურით, გვიმათით, ჯიკვათირით, ზობოთით, სორგათით, ხოხოულით, ყიფიანის სილებით, დადიანის ნამოსახლით საველა დელით და სხვა ისტორიული ადგილებით.

შენიშვნა 17: აკად. ა. შანიძის თანაკურსელის პროფ. არისტარხ ცხადაძის გამოკვლევით [35]. სვირის და სვირის ახლომახლო, მეზობელ, სოფლებზე ნათქვამია: „მარგველები (ვიწრო გაგებით, ბ. ცხ.) სოფელ არგვეთას, ისე როგორც ყვირილას მარცხნით მდებარე სოფლებს (როგორცაა: ოზჩა, როდინოული, ცხენთარო) მარგვეთად არ თვლიდნენ. მაგრამ ამავე დროს არც რაიმე სხვა სახელწოდებას აძლევდნენ: „ეგენი მარგველები კი არაა, მარა მაინც არგვეთს უფრო ეკუთვნიენო“. ყოველ შემთხვევაში, ტერიტორიას, რომელიც მდებარეობს მდინარე ძირულის დასავლეთით აჯამეთის ტყემდე, ისევ უფრო არგვეთს აკუთვნებდნენ, ვიდრე ქვემო იმერეთს. „ქომოურები (ე.ი. ქვემო-იმერლები) აჯამეთს იქით არიენ, აჯამეთამდე უფრო ჩვენებურობა ეთ-

ქმისო“, ამბობდნენ ძველად. არისტარხ ცხადაძე ამავე ნაშრომის შესავალ ნაწილში, დასაწყისშივე, უფრო დაწვრილებით მარგვეთის ახლო მდებარე ტერიტორიას და მის არეალში მოქცეული სოფლების დახასიათებას კვლავ უბრუნდება. იგი წერს: „არგვეთის სამხრეთით, მდინარე ყვირილას გაღმა იწყება ფერსათის მთის კალთები სოფელთა საკმაო რაოდენობით; მათ შორისაა აგრეთვე სოფელი სვირიც. გარკვეული სახელწოდება ამ ტერიტორიას ჰქონდა არგვეთში: „ეგ გაღმართია, სხვა მაგას რა სახელი უნდა დოჟმახოო“, – იყო ხოლმე პასუხი მკითხველებზე ამ ტერიტორიის სახელწოდების შესახებ“.

არისტარხ ცხადაძის დის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილი ლექტორის, ძველი ქართული ლიტერატურის სპეციალისტის, ივ. ჯავახიშვილის სახელობის მედილის მფლობლის ქალბატონ ქეთევან ცხადაძის თქმით, სოფელ სიქთარვას (სადაც ცხადაძეები ამჟამადც კომპაქტურად სახლობენ, არისტარხი (ქეთევანი და იგივე ალისტარხო, როგორც შინაურები და კოლეგები უწოდებდნენ, ამ სოფლიდან იყვნენ) და სვირს, მათ მცხოვრებლებს ძველად მჭიდრო ურთიერთობა ჰქონიათ. სიქთარვას და სვირს, ამჟამად ტერიტორიულ-ადმინისტრაციულად სხვადასხვა რაიონში მოქცეულთ (პირველი თერჯოლის რაიონს ეკუთვნის, მეორე – ზესტაფონს), კერძოდ, სიქთარველ და სვირელ ცხადაძეებს, ერთი საერთო სალოცავი სოფელ სვირში ჰქონიათ. ეს სალოცავი „ჭაბუკთა წმინდა გიორგის“ სახელით იყო ცნობილი.

შენიშვნა 18: ძველად, როგორც ჩანს, სიქთარვიდან გზა პირდაპირ

სვირისა და ბაღდათისაკენ მოემართებოდა. ქეთევან ცხადაძის თქმით, დიდი ქართველი მწერალი გრიგოლ რობაქიძე, სვირში (დედუღეთში) დაბადებული, სოფელ ჩხარ-ეწრიდან იყო, სვირის სადგურში ჩამოივლიდა და ჩხარში ისე გავიდოდაო [36, 4].

შენიშვნა 19: სვირის ლოკალური ტოპონიმები ციხურა, ისე როგორც ბოზოთი სახნავ-სათესი ადგილებია (ამჟამად მეორე სვირელი ცხადაძეები ფლობენ). ეს მაღლობი (გორაკი) ციხურა არქეოლოგიურად ძალიან საინტერესოა (მას XX საუკუნის მიწურულს არქეოლოგი, ჩვენი მეგობარი და კოლეგა კარლო კალანდაძე იკვლევდა. მკვლევარმა ეს არეალი, აგრეთვე ჩოლაბურისა და ყვირილას შესართავი – „ხერთვისი“, მიმდებარე სანახებიტურთ, ანტიკური ხანის „აია ქალაქად“ წარმოიდგინა). მისი ვარაუდით (რომელიც მან ჩვენთან საუბრისას გამოთქვა), ამ რეგიონს – ყვირილა-ბუჯა-ძუსა-ჩოლაბურითურთ

ძველად დიდი როლი უნდა ეთამაშა სტრატეგიული თვალსაზრისითაც.

* * *

სვირის ეტიმოლოგია ბოლომდე გარკვეული არ არის, ჩვენ ის ნაკოლხარი გვგონია და არც იმას გამოვიცხავთ, რომ ისტორიულად, ანტიკურ ხანაშიც, სვირი, სვირიუმი და ს[ვ]ირიონი ერთი და იგივე ოდენობა იყოს.

მეცნიერ-არქეოლოგებო, ნუ დაივანებთ მხოლოდ დედაქალაქში და ისტორიულ ვანში! საველე სამუშაოები კვლავ გელოდებთ ყველგან ახალ-ახალი აღმოჩენებით.

P.S. ჩვენ, პირადად, ამ მიზნით, ერთი ათეული წლის წინ მიემართეთ არქეოლოგიურ ცენტრს, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინ „ბრიჯით პეტროლიუმის“ ფინანსებით დაინტერესებულმა კოლეგებმა – ო. ლორთქიფანიძის სახელობის „არქეოლოგიური ცენტრის გამგებლებმა“ – „იეროყას ციხის არქეოლოგიური მისადგომები“ ვერ დაინახეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლ. ყიფიანი, ქალაქი „Σιρίσιον“-I, „არტანუჯი“-, თბ., 2014
2. ლორთქიფანიძე გ., „პტოლემეიოსეული გეოგრაფიული პუნქტების ლოკალიზაციის პრობლემები“. იხ. ლ. ყიფიანი, ქალაქი „Σιρίσιον“-I, „არტანუჯი“, თბ., 2014
3. ცხადაია პ., ონომასტიკურ ტერმინთა განმარტებითი ლექსიკონი, შ. აფრიდონიძის რედაქციით. თსუ გამომცემლობა, 1988.
4. ქართული გვარსახელები იმერეთში XIX საუკუნის 40-იანი წლები (ცნობარი) შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა მერაბ კუზევაძემ, ქუთაისი, 2004.
5. ქსე, ტ. 9, თბ., 1985
6. საქართველოს სსრ ადმინისტრაციული დაყოფა, ტფ., 1925, გვ. 102, ხოლო 1987 წლის (1 იანვრის მდგომარეობით) საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით (იხ. მეხუთე შევსებული და გადამუშავებული გამოცემა, თბ., 1987)

7. ხომტარია ნ, ანტიკური ხანის ძეგლები დასავლეთ საქართველოში. საქართველოს არქეოლოგია, თბ., 1959, #4;
8. კაკაბაძე ს., უძველესი ქართული ქალაქი „საბჭოთა ხელოვნება“, 1950, #5;
9. დამბაშიძე ი., ბერძენ და ლათინელ ავტორთა ამოუხსნელი ცნობები ძველ კოლხეთზე, ჟ. „მნათობი“, #6, 1948;
10. პაჭკორია მ., ქალაქ „ფაზისის- ლოკალიზაციისათვის.იხ. მ. პაჭკორია, ფურცლები კოლხეთის ისტორიიდან, თბ., 1974;
11. ცხადაძე ბ., -ორ სუფიქსი ძველ ქართულში. სმამ. 1986. 124. #3;
12. Ю.Г.Виноградов, Бронзоваяплита... с. 59],
13. ამ და მსგავსი ტოპონიმებისა და ჰიდრონიმების შესახებ იხ. ბ. ცხადაძე, ხალხური ეტიმოლოგია და ისტორიული ხსოვნა. საერთაშორისო კონფერენცია, მიძღვნილი სტუ თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის 10 წლისთავისადმი თემაზე: „წარსული მკვიდრი სამიწველია აწმყოსი, როგორც აწმყო მომავლისა“ (ილია მართალი). თბილისი, სტუ, 2011 წლის 14-15 ნოემბერი).
14. ლომოური ნ., ძველი საქართველოს სავაჭრო გზების საკითხისათვის. „შრომები“, IV. ნაკვ. I. თბ., 1958;
15. С.Т.Еремян, ТорговлепутиЗакавказьявэпохуСасанидов. ВДИ. 1939, №1;
16. Н.И.Ломоури, ИзисторическойгеографиидревнейКолхиды. ВДИ. 1957. №1.
17. გოზალიშვილი გ., მითრიდატე პონტოელი, მეორე გამოცემა, თბ., 1965, გვ. 118-121 და სხვ.).
18. ცხადაძე ბ., კასპის, კასპიის ზღვის, კასპიებისა და კავკასიის ლექსემათა ურთიერთმიმართებისათვის (ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ანალიზი) [ე. ცხადაძის თანაავტორობით], ღია დიპლომატიის ასოციაციისა და სამეცნიერო ჟურნალის „ხელისუფლება და საზოგადოება (ისტორია, თეორია, პრაქტიკა)“ ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენცია. 2010 წლის 12 ივნისი [ჩატარების ადგილი: საქართველო, თბ., სტუ;
19. ორონიმიკავკასია და მისიგანაყარიძირები ქართულ ენობრივ სივრცეში (ლინგვისტურ-ეტიმოლოგიური ანალიზი) ჟ. ხელისუფლება და საზოგადოება (თეორია, ისტორია, პრაქტიკა), # 2 (14), 2010);
20. ამაზონ (ამაზუნ, ამოზონ), ამორმალ ეთნონიმის ეტიმოლოგიისათვის: თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა მე-7 რესპუბლიკური სამეცნიერო კონფერენციის მასალები. თბ., 2000, გვ. 84-92. და სხვ.
21. М. Хаханов, Месхи (Этнографический очерк) этнограф. ж. «этнографический обозрение», 1891г. №3;
22. რობაქიძე გრ., საუბარი კარდუსთან (ქართული შაირი) დამოწმებულია წიგნიდან: გრ. რობაქიძე, ჩემთვის სიმართლე ყველაფერია, თბ.,1996).
23. როგავა გ., ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები. I. ხმოვანთა ისტორიის ზოგი საკითხი ქართველურ ენებში, სმა გამომცემლობა, თბ., 1962;

24. დუმბაძე მ., ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე (ცხოვრება და მოღვაწეობა) ბათუმი. 1950;
25. ბოჭორიძე გ., იმერეთი (იმერეთის ისტორიული ძეგლები). წიგნი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ლ. რატიანმა, ნ. შოშიაშვილის რედაქციით. თბ., 1995].
26. ბოჭორიძე გ., იმერეთი (იმერეთის ისტორიული ძეგლები). წიგნი შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ლ. რატიანმა, ნ. შოშიაშვილის რედაქციით. თბ., 1995.
27. ბოსლეველი, ნაწერები, ს. ხუციშვილის რედაქციით, გამოკვლევით, შენიშვნებითა და საძიებლით. თსუ გამომცემლობა, თბ., 1961 285-286);
28. ლორთქიფანიძე კ., რჩეული ნაწერები, ორ ტომად. ტ. I. კოლხეთის ცისკარი (რომანი), სახელგამი, თბ., 1955 გვ. 64;
29. ლებანიძე მ., რჩეული, ლირიკა. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1987;
30. დადიანი შ., რაც გამახსენდა. ჟ. „ლიტერატურული პალიტრა“. ## #7, ივლისი, 2013, გვ. 159;
31. გრიგოლ რობაქიძე, მეგი – ქართველი გოგონა, გერმანულიდან თარგმნა ნანა გოგოლაშვილმა. ჟ. „ცისკარი“, #11-12, 2012.
32. ცხადაძე ბ., გენიუს ლოც („ადგილის დედა~). პიესა. სალიტერატურო-სამეცნიერო ჟურნალი „პარალელი“. თბ., 2011, #2, 2011;
33. Г.Г.Голетиани, Грузинская лексика в русском языке, Тбилиси, 1972;
34. გელაშვილი ნ., მეღვინეობა, თბ., 1961.
35. ცხადაძე არ., „იმერული დიალექტის მარგვული მეტყველება (გრამატიკული მიმოხილვა და ლექსიკონი). I.-II. თბ., 1986“ (საწერ მანქანაზე ნაბეჭდი ხელნაწერი სადისერტაციო ნაშრომი;
36. ცხადაძე ე., გრიგოლ რობაქიძის დრამათა წარმართული სამყარო, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1997,





არქაული და თანამედროვე სახე-სიმბოლოები რევაზ მიშველაძის ნოველებში

რევაზ მიშველაძე თანამედროვე ქართველი მწერალია, უახლესი ტენდენციების ამსახველი და პროგრესულ-პატრიოტული სულისკვეთების გამომხატველი. საყოველთაოდ ცნობილია მწერლის სათუთი დამოკიდებულება ისტორიასთან, საკუთარ ტრადიციებთან და მემკვიდრეობით ბოძებულ ღირებულებებთან.

რევაზ მიშველაძე რეალისტია, რომელიც მის რეალისტურ ხელწერაში არცთუ იშვიათად მიმართავს ირაციონალურ თემატიკასაც. არქაულ-ატავისტური დეტალები ძალიან უხდება ხოლმე სიტყვის ოსტატს, რომელიც ჟამიდანჟამ გრძნობს იდუმალის ძვრას საკუთარ ქვეცნობიერში. არც რევაზ მიშველაძეა გამონაკლისი, მიუხედავად მისი ერთხელ და სამუდამოდ აღიარებული და მიღებული რეალიზმის პრინციპებისა, მწერალი დროდადრო არქაიკას და იდუმალსაც მიაპყრობს მზერას. ამ დროს იფეთქებენ ჩვენი თანამედროვეობისაგან ქრონოლოგიურად დაშორებული სახე-სიმბოლოები, ჰიერატული პასაჟები და იდუმალი მოლანდეზები.

ჩვენ წინაშეა რევაზ მიშველაძის სამი ბიბლიური თემატიკის ნოველა: „მთვლემარე კაცობრიობა“, „იუდა“ და „ვირი“.

სამივე ნაწარმოებს იესოს სახეზე აერთიანებს; წარმართობისა და მრავალმერთიანობის დამამხოველი,

ადამის ცოდვის გამომსყიდველი ღმერთკაცის ამქვეყნიერი ცხოვრება შთააგონებს.

„მთვლემარე კაცობრიობა“ ეხება მამა ღმერთისა და მისი ძის მცდელობას, იზრუნონ ადამის მოდგმაზე და შეძლებისდაგვარად გააღვიძონ კაცთა შორის დაფარული ღვთაებრივი პოტენციალი.

იესო მიმართავს ზეციერ მამას:

„მამაო, მე მზად ვარ. რაც უფრო ახლოვდება ჟამი, მით უფრო მძიმდება სხეული ჩემი და სული ზეცად ისწრაფვის. შენს მარჯვნივ დაჯდომად თავი არ მეღირსება და ვერ გაგბედავ, მაგრამ მანდ, ზეციურ სასუფეველში მეკელაპტრედ მაინც თუ მიმიჩნევ, ბედნიერი ვიქნები. რაც მომიწოდე და დამავალე, აღვასრულე. შევავლიძე ბნელით მოცული კაცობრიობა და მოვაქციე შენდა დიდებად. ვასწავლე ყველას, რომ წუთისოფელი მტრობად და შურად არ ღირს. ოდენ სიკეთის ქმნით უნდა შეამზადო სული შენი საუკუნოდ განსასვენებლად. ჩემი ერთგული მოციქულნი განასრულებენ ჩემთა საქმეთა. განჰკურნავენ სნეულთა და უგუშაგებენ ქვეყანას ცოდვათა ასაცილებლად.“

იესო ზეციერ მამას თავისი ამქვეყნიური ცხოვრების და საქმიანობის შედეგს უყვება, იგი ადამიანების

ცხოვრების წესის შეცვლის იმედს ახმოვანებს, სწამს რომ „ბნელით მოცული“ კაცობრიობა შემზადებულია საუფლო წესებისთვის. იესოს დიდი იმედი აქვს თავისი მოწაფეების, რომლებიც მის ქადაგებას საყოველთაოდ განავრცობენ და შეეწირებიან.

მწერალი არქაულ ლექსიკას მიმართავს სახარებისეული სიუჟეტის ინტერპრეტაციისას, ეს სრულიად გასაგები და მისაღები ხერხია, მრავალგზის აპრობირებული ქართულ სინამდვილეში, უკვე მოწონებული და ტრადიციული. მაგრამ იესოს ვნებების ასე უშუალოდ გადმოცემა და თავად უფლის პროტაგონისტობა უახლეს ქართულ მწერლობაში მართლაც უჩვეულოა.

ფრაზაში „შენს მარჯვნივ დაჯდომდა თავი არ მეღირსება და ვერ გავბედავ“... წამსვე „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ სტრიქონებს გვახსენებს: „მამისა ტახტსა საჯდომად თავი არ ეღირსებოდა“... ეს არის ძალიან თვალშისაცემი ალუზია, რომელსაც აქვს ქვეტექსტი – ნებისმიერი თავდაჯერებული და ბრძენი მამა თავის რჩეულ შვილს უმძიმესი ტვირთის ზიდვას ავალებს, ესაა მისი მამობრივი სიყვარულის გამოხატულება. „მამა შვილშია და შვილი მამაში“ – გვიქადაგებს გრიგოლ რობაქიძე, როცა მემკვიდრეობითობასა და ცხოვრების მარადიულობაზე ფიქრობს. ყველაფერ ამაში არის თავგანწირვის და თავის შეწირვის იდუმალი მაგია. რევაზ მიშველაძე ქვეცნობიერად გრძნობს ამას და მიუხედავად ნოველის იუმორული და სარკასტული ტონისა, მას მაინც სჯერა, რომ „მთვლემარე კაცობრიობა“ იესოსნაირი გამომხსნელის ღირსია.

სიმბოლო _ „მამა და შვილი“ ანუ „მამა უფალი“ და „მხსნელი შვილი“ არქაული ჰიერატია უძველეს ეპოქაში შემუშავებული, რომელსაც დღემდის არ დაუკარგავს ხიბლი და ძალა.

ნოველაში იესოსთან ერთად იაკობი, იოანე და სიმონ-პეტრეც მონაწილეობენ, ისინი ვერ ახერხებენ უდარაჯონ თავიანთ მასწავლებელს, რომელიც ჯვარზე გაკვრისთვის ემზადება და მათ ღვიძილისკენ მოუწოდებს. აღმოჩნდება, რომ მოციქულები სრულიადაც არ არიან მზად მცირედი (ძილი) მოიკლონ და გაამხნევონ უფალი.

მამა ღმერთი შვილს ამშვიდებს: „რაც შეეხება ჩათვლემას, სხვათა სენის გულგრილად ცქერას და შეგუებას მოყვასის მძიმე ხვედრისადმი, ეს ყველაზე აუცილებელი ნიშანია ადამის ძეთ რომ დავანათლეთ და ვუგულისყურე. ადამიანს რომ ეს თვისება არ ჰქონდეს, დაიღუპებოდა კაცობრიობა. ასე რომ, შენ ფიქრი ნუ გაქვს, ისინი სწორედ მაშინ გაიღვიძებენ, როცა მათი გაღვიძება იქნება საჭირო!“

უნდა ითქვას, რომ რევაზ მიშველაძის სარკაზმი ადამის მოდგმის მიმართ ძალიან ჰგავს მიხეილ ბულგაკოვისეულ მოსაზრებებს კაცობრიობაზე, მის სიხარბესა და „ზოგჯერ“ გამოვლენილ თანაგრძნობაზე, ფულის სიყვარულს გადაყოლილებს შიგადაშიგ ლმობიერება რომ „შემოეპარებათ“ ხოლმე. ბულგაკოვის „ოსტატი და მარგარიტა“ იესოს (ჰა-ნოცრი) უკანასკნელ დღეებზეა, რომელსაც არავინ გამოუჩნდა თანამგრძნობელი პროკურატორის წინაშე ეულად დარჩენილს. რომელმაც თავად, დაუხმარებლად გადალახა არარსებობის შიში და სძლია სიკვდილს.

თანამედროვე პერიპეტეზების გავალისწინებით, ეჭვქვეშ არც დგება მამაღმერთის სიტყვები იესოსადმი:

„კაცობრიობის ერთი რწმენით შეკვრას და ერთი დროშის ქვეშ დგომას ამაოდ ველით მე და შენ. ცათ ამაღლების შემდეგაც ბევრს რასმე ასწავლი ყველას, ვინც ყურს მოგაპყრობს...“

„ერთი რწმენა“ და „ერთი დროშის ქვეშ დგომა“ არის ის თეორიული მოცემულობა, რომელსაც არასოდეს ჰქონია ადგილი რეალურ ისტორიულ მოცემულობაში. ამ ფილოსოფიურ თეზას ყოველთვის ომი და არეულობები სდევდა თან და რევაზ მიშველამის განზოგადებით, ვერანაირ ძალას შსწევს უნარი მსგავს იდილიას მიაღწიოს და თვით უფალიც უძლურია საკუთარ ძესთან ერთად.

მწერალი ახსენებს „განკაცების დროს“, რომლის გახანგრძლივება იესომ მოითხოვა, მაგრამ მამაღმერთი არ მიიჩნევს ამას საჭიროდ. იესომ მოგვცა თავშეწირვის მაგალითი, ნებაყოფლობით ჯვარზე გაკვრის მაგალითი და ეს საკმარისია.

თავშეწირვის მისტერიებს იესომდე იცნობდა კაცობრიობა, მანამდეც არსებობდნენ ვნებული და მოკლული ზეკაცები, რომელთა სიმბოლიკით გაჯერებულია ძველი ლიტურგიული ტექსტები, თიხის ფირფიტები, პაპირუსები და საღვთო წიგნები.

დუმუზის აზიურმა ხატმა ბერძნულ დიონისეში ჰპოვა ასახვა, ხოლო დიონისოს მეტამორფოზებმა იესო ნაზარეტელში დაივანა. რევაზ მიშველამემ ძალიან კარგად იცის თავისი წინამორბედები როგორ თამამად მიმართავდნენ მამა ღმერთის და ძე ღმერთის სახეს, მისთვის ძვირფასია „დიონისოს ღიმილიც“ და „მთვარის

მოტაცებაც“, „გველის პერანგიც“ და „სანავარდოც“... მოკლედ, მთელი ქართული კლასიკა, რომელიც იესოს და მისი წინამორბედების სიმბოლიკით არის გაჯერებული და სრულიად ბუნებრივი და ორგანულია რევაზ მიშველამის დაინტერესება კვდომადი და აღდგომადი უფლის სახებით.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რევაზ მიშველამის ნოველა „იუდა“, სადაც ამ საყოველთაოდ საბუღველი გამცემის შინაგანი ბუნება და სულიერი მდგომარეობაა დახატული. „იუდა“ ენობრივად განსხვავდება „მთვლემარე კაცობრიობისგან“, რადგან ამ უკანასკნელში მწერალი ხანდახან არქაულ ლექსიკას იყენებს ხოლმე. ორივე ნოველაში დალატისა და ერთგულების პრობლემაა წამოწეული, ცოდვისა და მონანიების მომენტებია განსჯილი და წარმოჩენილი.

იუდა კაიაფას მიმართავს:

„განა ქრისტეს მოვლინებაც ღმერთის ნება არ არის? იქნებ უკვე იმის დროა, რომ მოსეს ცნებათა შორის ზოგი შესწორდეს, ვინ გითხრა, კაიაფა, რომ ქრისტე მოსეს მთლიანად უარყოფს?“

„მოსე“ პატრიარქალურ საზოგადოებას წარმოადგენდა თავისი იერარქიული საზოგადოებით, კანონისადმი დამოკიდებულებით და ძლიერი ხელისუფალის კულტით. „იესო“ მთლიანად თუ არა ნაწილობრივ მაინც ანგრევდა კაიაფას ძალაუფლებას, რომელიც მკაცრად მიჯნავდა ერთმანეთისგან მაღალ და დაბალ ფენებს. იესო თანასწორობას და ყველასადმი პატივისცემას ქადაგებდა, თანაც ეს უფლება მას იმავე წიაღისაგან ებოძა, რამაც მოსესაც თავის დროზე უწყალობა იგი.

რევაზ მიშველაძე ერთმანეთს კა-
იაფას და იუდას უპირისპირებს, მაგ-
რამ სინამდვილეში, ერთი უფლისგან
სხვადასხვა დროს გამორჩეულ ზე-
კაცებს და მათ მრწამსს დააჯახებს,
მათ მსოფლმხედველობას აპირისპი-
რებს.

რევაზ მიშველაძის დიალოგში
იუდასა და კასიაფას შორის კარგად
ჩანს ახალი ერის, ახალი მსოფლმ-
ხედველობის და თუ გნებავთ, ახალი
ადამიანის ჩასახვის მომენტი. საო-
ცარი ისაა, რომ ამ სიახლის გადმო-
ცემად და დამცველად კაიაფას წინაშე
სწორედ იუდაა წარმოგვიდგა. ეს მო-
მენტი რევაზ მიშველაძის ორიგინა-
ლურ აზროვნებას ახალი კუთხით
გადმოგვიშლის, მისი მსოფლმხედვე-
ლობის მრავალმხრივობას გვიდას-
ტურებს.

მოსე, როგორც სახე-სიმბოლო
უპირისპირდება იესოს, როგორც ახა-
ლი ცხოვრების სიმბოლოს. ამავე
დროს ორივე მათგანი ერთი საწყისი-
დან არიან მოვლენილნი და ორივეს
კაცობრიობის არსებობის მოწესრიგე-
ბა დაევალა თავის დროზე.

მოსე, როგორც მომწესრიგებელი
და იესო, როგორც განვითარების ახა-
ლი საფეხურის მაცნე, მწერალს სჭირ-
დება ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრე-
ბის გასააზრებლად. მწერალი გვიყვე-
ბა ამაღლებულსა და ზეციურ პიროვ-
ნებებზე, მაგრამ იქვე ამაფრებს ეჭ-
ვებს, შეგვიძლია ჩვენ უბრალო მოკვ-
დავებმა, შევიფეროთ და შევიმეცნოთ
ღვთიური და ამაღლებული? ეს კი-
თხვა არის მთავარი, რაც აღელვებს
მწერალს, რაც საფუძველია იუდას სა-
ხე-სიმბოლოსი და რასაც კაიაფას პი-
რით გვიცხადებს:

„არ დაიჯერო, იუდა ეგ ამბავი.
თქვენ გიყვართ სიმშვიდეში თქვენი

წინამძღოლი. გიყვართ თქვენი დამ-
პურებელი და ფეხის დამბანი, მაგრამ
როგორც კი საშიშროებას იგრძნობთ,
ცხვრებივით შემოეფანტებით.“

რევაზ მიშველაძე გამოთქვამს
ეჭვს და ეს ეჭვი საფუძველიანია, იგი
ადამიანის ბუნების კარგი ცოდნიდან
მომდინარეობს და სრულიად გა-
მართლებულია. ანუ უზენაესს იუდა
სწორედ ამ ეპიზოდისთვის სჭირდე-
ბა; სჭირდება, რომ მისმა ძემ მოწა-
მებრივი სიკვდილი მიიღოს და კა-
ცობრიობას ახალი სააზროვნო სივრ-
ცეები გაუხსნას. თავად იუდამაც
იცის საკუთარი მასწავლებლის მნიშ-
ვნელობა, საკუთარი ადგილი მის
მიმდევრებში; თავისი თვალთახედ-
ვით ის აშკარად უსწრებს დროს და
კარგად იცის სამომავლო ტენდენცი-
ები.

როგორც ვხედავთ, იუდა რევაზ
მიშველაძისთვის გაცილებით უფრო
მნიშვნელოვანი და საჭირო სახეა,
ვიდრე კანონიკური და დოგმატური
შეხედულებებიდან შევისისხლხორ-
ცეთ. თანაც, მას ეძლევა საშუალება
ამგვარი რეზიუმე დაურთოს ნოვე-
ლას: „...არ არსებობს ბოლომდე ერთ-
გულეობა, შენი ყველაზე ახლობელიც
კი ერთხელ მაინც გადალატებს“.

ბიბლიური მოტივები გრძელდე-
ბა ნოველაში „ვირი“, რომელიც გა-
რეგნული სიმარტივით და რთული
ქვეტექსტებით გამოირჩევა.

ნოველაში მოციქულები იესოსთ-
ვის სახედარს ეძებენ, რომ მასწავ-
ლებელი იერუსალიმში შესაფერი სა-
ხით წარდგეს მომლოდინე ხალხის
წინაშე. ფაბულა ძალიან მარტივი და
ყოველდღიურია, მშვენიერია სოფ-
ლური გარემოც:

„ფილიპე და თომა კედრონის
ხევისკენ დაემშენენ.

რომ გაივაკეს, იქვე, სასაფლაოს მარცხნივ, მინდორზე მართლაც იხილეს მოკლე ბაწრით დაბმული ვირი, რომელსაც ირგვლივ ხტუნვა-ხტუნვით უვლიდა ულამაზესი შუბლხალიანი, შემოდგომის ნეკერჩხლისფერი ჩოჩორი.

მოშორებით, წყაროსთან, სოფლელები ჩამომხსდარიყვნენ და თავიანთ სოფლურ ჭირლობინზე ყაყანებდნენ.

ფილიპემ ვირი ახსნა, თოკი მოკლეზე დაიჭირა და გზაზე გამოვიდა.

ჩვენ წინაშე სოფლის ყოველდღიურობაა წარმოდგენილი, სოფლელები თავიანთ გასაჭირზე ერთმანეთში საუბრობენ, დაბმული ვირი ბალახს ძოვს, ჩოჩორი მას გარე უვლის.

მწერლის ნარატივში სიმშვიდეს არაფერი არღვევს, ყველაფერი დუნედ, წყნარად და აუზღვრევლად არის. სოფელში არაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ მალე ყველაფერი შეიცვლება, აქვე დაბმულ ვირზე მალე კაცობრიობის მხსნელი ამხედრდება, ვირის პატრონი უდიდესი მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდება და უწყინარი ცხოველი ამქვეყნად ყველაზე აღმატებული წმინდა წიგნების ბინადარი გახდება.

რევაზ მიშველაძეს წყნარად, იდილიურად და შემპარავად შევეყვართ დიდი ცვლილებების ეპიცენტრში. ის გვიამბობს:

„რა იცოდა ვირმა, რომ სულ რაღაც ერთი საათის შემდეგ მაცხოვარს შეისვამდა ზურგზე, ფეხქვეშ პალმის და ზეთისხილის ტოტებს დაუფენდნენ და ლოცვა-ზეიმით მიაცილებდნენ იერუსალიმის ტაძრამდე.

რა იცოდა, რომ იგი სამუდამოდ შერჩებოდა ოთხივე სახარებას უკვდავ სახედრად; ქრისტეს დიდებულ სამსახური რომ გაუწია.

იქ კი, იერუსალიმის ტაძართან, ვირისა და მისი პატრონისთვის ყველაფერი ისე ჩვეულებრივად წარიმართა, რომ სამოციქულო წიგნთა და ფსალმუნთა ავტორებმა ორი სიტყვის ღირსადაც არ ჩათვალეს.“

ნოველას ვირი კი ჰქვია, მგრამ მწერლისთვის ის ისეთივე უმნიშვნელო არსებაა, როგორც სახარების ავტორებისთვის. ცხოველი მხოლოდ იმიტომ გახდა საჭირო, რომ ფეხმტკივანი უფალი სათანადოდ შესულიყო მამის ამქვეყნიურ სახლში და მორჩა.

მთავარი ნოველაშიც და ცხოვრებაში ასეა ფორმულირებული:

„ _ შენ ფიქრი ნუ გაქვს. ასე ბევრ სულიერ მოძღვარს და მთავარსარდალს შეხვედრიან. გაივლის ხანი და პირველნი სწორედ ისინი იყვირებენ: „ჯვარს აცვი, ჯვარს აცვიო!“ ბრბოს ბელადები უფრო ჩქარა ბეზრდება, ვიდრე ჩვენ გვგონია, _ თქვა კაიაფამ.“

ხალხის და ბრბოს პრობლემას რევაზ მიშველაძე მოგვიანებით „ჩურჩულს გადაჩვეულ კაცში“ დაუბრუნდება და მასზე საფუძვლიანად შეჩერდება, მაგრამ ამ ნოველაში მხოლოდ კაიაფას სიტყვებს უნდა დავეყრდნოთ, მის სიბრძნეს უნდა ვენდოთ.

რევაზ მიშველაძის დისკურსში კაიაფა არაა სამულველი და გამიზნულად ბოროტი, ის არის პატრიარქალური საზოგადოების სახე და სიმბოლო, თავისი წინაპრების ტრადიციებს მორგებული კაცი, რომელმაც იცის ხალხის ცვალებადი ბუნება, მისი მსწრაფლმორწმუნეობა და არამდგრადობა.

კაიაფა არის სახე-სიმბოლო უფლის ამქვეყნიური გამოცდის და განსაცდელის, ერთი უმთავრესი რგოლი

ახალი ცხოვრების ეკლიან გზაზე. კა-
იაფა აუცილებელი წინაღობაა, მთა-
ვარი ეტაპია იესოს ღმერთად მეტა-
მორფოზაში. ასე ესმის რევაზ მიშვე-
ლაძეს არქაული სახე-სიმბოლოების
მნიშვნელობა.

ზეციური უფალი, მხსნელი იესო,
ვერაგი და ბრძენი კაიაფა, ცვალება-
დი და მოწყვლადი კაცობრიობა –
ყველაფერი ეს, რევაზ მიშველაძის
მხატვრულ ნარატივში დასამახსოვ-
რებელ და ორიგინალურად ინტერ-
პრეტირებული სახე-სიმბოლოები
არიან, შესაბამისად დიდია მათი
მნიშვნელობა თანამედროვე ქართულ
მწერლობაში.

რევაზ მიშველაძის სამყაროში არ-
ქაული მოცემულობების კვალდა-
კვალ თანამედროვე სიმბოლოების
სათანადოდ წარმოჩენა და გააზრება
ხდება, ჩვენ თვალწინ იქმნებიან ახა-
ლი და ორიგინალური სახე-სიმბო-
ლოები და ისინი ღირსეულად მკვი-
დრდებიან მხატვრულ მოზაიკაში.

დაუფიქრარია ტერენტი გრანე-
ლის სახე, რომელიც ქართული ბო-
ჰემის უმთავრეს სიმბოლოს წარმო-
ადგენს და ყოველივე იმის განსახი-
ერებაა, რაც თავის თავში აერთიანებს
ნიჰს, ბახუსს და ფატალიზმს.

ტერენტი გრანელი ცხოვრების
წესით ნამდვილი ბოგანო იყო, დრო-
ებითი საცხოვრებელიც ხშირად არ
ჰქონდა; სასაფლაოზე ათენ-აღამებდა,
ამქვეყნიური, მატერიალური ფასეუ-
ლობები არ აინტერესებდ; დები და
დედინაცვალი სამეგრელოში ამოდ
ელოდებოდნენ; გალაკტიონი უყვარ-
და და მასთან მეგობრობდა; სიკვდი-
ლი მისი მთავარი მუზა იყო, ყოფიე-
რების პრობლემა სიკვდილის მეშ-
ვეობით უნდოდა აეხსნა და ეს აწუ-
ხებდა.

მურმან ლებანიძემ კარგად ახსნა
ტერენტი გრანელის შემოქმედების
და გავლენების აურა:

„გააჩმახაო ამდენი სიკვდილებით!“ –
ტერენტი გრანელზე იტყვიან
პოეტები –

ხბოს აღტაცებით
დამუხტული, ხორციანი,
მხნე
პოეტები...
„გამოადლო
სამეგრელომ უხვანჯროდ კარში!
რა იცოდაო
უკვდავების, თუ მმა ხარ არსი
უწიგნურმა
მეგრელმა
წიემ?!“

„ვერ ამოუდგაო ეპოქას მხარში!
შეშინებული
სიკვდილისგან
იყო ბავშვი!
უცნობ კუბოებს
დაჰყვებოდა თოვლიან ქარში!“-
ამასაც
იტყვიან...
ხბოს აღტაცებით დამუხტული
ხორციანი,
მხნე
პოეტები...“

მურმან ლებანიძემ სრულად აღ-
წერა ტერენტი გრანელის ამქვეყნიუ-
რი ცხოვრების გზა და მისგან მოგ-
ვრილი გრძნობები. პოეტი მეტაფო-
რულად გვაწვდის ტერენტის სამეგ-
რელოდან წარმოშობის და მისი გა-
ტაცებების ამბავს. ბოჰემას თავისი
მიმზიდველობა აქვს და ის ხელოვ-
ნების ატრიბუტია, მაგრამ რესპექტა-
ბელური და სწობური საზოგადოება
მხოლოდ ზედაპირულად იხიბლებს
მისით, მხოლოდ დროებით საზრდო-
ობს მისგან განცდილი შთაბეჭდილე-
ბებით.

რევაზ მიშველაძემ ტერენტის ცხოვრებისაგან განდგომა, მისი მისტიციზმი და ვნებები სრულიად სხვაგვარად წარმოგვიდგინა. მწერალმა გრანელი თავიდან ყურადღებით გარემოცულ პოეტად დასახა, რომელსაც ფეხქვეშ ვარდებს უყრიან და დაფნის გვირგვინით მოსავენ, შემდეგ წითელი ტერორის მსხვერპლად მოიხარა, რომელიც ბოლშევიკებმა მარო მაყაშვილის ცხედრით დაიჭირეს.

მწერლის ინტერპრეტაციით, ტერენტი გრანელის ცხოვრებაში გარდატეხა სწორედ პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის მარცხის შემდეგ მოხდა. უსაზღვრო დაღვრილი სისხლის შემდგომ მიეჯაჭვა სასაფლაოებს და სულმა სხეულს უმცირეს საზრდოზე უთხრა უარი. ტერენტი გრანელის ტრაგედია ქვეყნის ტრაგედიას გადაეხა, აქედან მისი აპოლოგია არამქვეყნიურის და შეუცნობელისა.

რევაზ მიშველაძის „ტერენტი გრანელი“ ლიბრეტოა პანტომიმის თეატრისთვის და შესაბამისად სპეციფიკურია, ერთ ეპიზოდში ვკითხულობთ:

„ტერენტი ისევ შეშლილია. ის ახლა მხოლოდ 35 წლის არის, მაგრამ თითქმის მობერებულია.

თავდახრილი, მწუხარე, შავოსანი ქართველები თითქმის ყურადღებას არ აქცევენ, თავიანთ საქმეებზე მიიჩქარაან.

რა მოხდა?

რატომ გაუფლგვრილდა ქვეყანა ასე პოეტს?

წითელი რუსეთისგან დამონებული საქართველოს აღარ „სცხელა“ პოეზიისთვის.

ტერენტი-შეშლილი, ტანსაცმელფეხსაცმელ შემოხეული პოეტი ხარ-

ხარით სცენის ხან ერთ კუთხეში გამოჩნდება, ხან მეორეში.

ადამიანები გაურბიან.

ჯიბიდან მიხაკს ამოიღებს.

უნდა აჩუქოს ხან ერთს, ხან მეორე გამვლელს.

არავინ ართმევს პოეტს გამოწვდილ მიხაკს.

ისევ გიჟის სიცილი, ისევ სასოწარკვეთა.

„ო, დედამიწავ, უფრო მაშინებ, როცა ფიქრებით ზეცას მოვიარ, წმინდაო ღმერთო! რად გამაჩინე, მე ხომ სიცოცხლე არ მიტხოვია.“

...და უეცრად გაქვავდება.

თითქოს რაღაც მოიფიქრაო, რათა შემკრთალი ბრბოს ყურადღება მიიპყროს.

სამრეკლოზე ადის და რეკავს ზარებს.

რეკავს. რეკავს. რეკავს. ქანცგაწყვეტამდე.

რეკვაზე თითქოს ნახირიშედეგაო ნელა გროვდებიან სამრეკლოსთან, პოეტის ირგვლივ.

ნელა ირხევიან, მოძრაობენ ადამიანები.

თითქოსდა ისევ მოვიდა პოეზია მათთან, ისევ გაიგეს გრძნეული სიტყვის და გრძნეული კაცის ფასი.

ამ დროს ისევ მრისხანე ნაბიჯების ხმა.

შემოდინ კონუსისქუდიანი, წითელვარსკვლავიანი მილიციელები.

ტერენტის შუაში ჩაიყენებენ და მიჰყავთ.“

როგორც ვხედავთ, ტერენტი გრანელი დამცრობილი და დამარცხებული ხალხისთვის იმის შეხსენებას ლამობს, რაც თითქოსდა ზედმეტია ამ ტრაგიკულ ყოფაში. ტერენტი სამრეკლოს ზარების მრეკავია, იგი ახალი ხელისუფლებისთვის საშიში პი-

როვნებაა, პოეზიის სიმბოლოა, მსხვერპლი და ნებაყოფლობით გვემუღია.

ტერენტი გრანელი რევაზ მიშველაძისთვის ჯვარზე გაკრული ქრისტეა, შანდორ პეტეფის ჯუფთი მოღვაწე და მგოსანია, ყოფიერებას ვერშეთვისებული მამულიშვილის სახესიმბოლოა.

მწერალი ისეთივე რუდუნებით აღწერს პოეტის ცხოვრებას, მისდამი ჩვენს გულგრილობას და სიუცხოვეს, როგორც ვნებითაც სახარებისეულ ისტორიებს გადმოგვცემდა. როგორც „მთვლემარებაში“ მყოფ და გასაღვიძებელ საზოგადოებაზე დარდობდა და იმედოვნებდა.

როგორც ვხედავთ, არქაული და თანამედროვე სახესიმბოლოები, მათგან მოგვრილი შეგრძნებები და დადებითი მუხტები, მათი მხატვრულ-ფილოსოფიური გააზრება და ინტერპრეტირება უმნიშვნელოვანესი პლასტია რევაზ მიშველაძის დიდ და ვრცელ შემოქმედებაში.

მწერლის უახლესი ისტორიებით გაჯერებულ მხატვრულ სამყაროში უძველესი სახესატების შემოჭრა

სრულიად კანონზომიერ მოვლენად გვეჩვენება, რადგან დასაბამიერი და ტრადიციულ-შესისხლხორცეული თემები ყოველ ეპოქაში ახალი ელვარებით და იდეური დატვირთვით წარმოჩინდებიან ხოლმე.

მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ რევაზ მიშველაძისგან მოულოდნელი იყო მამაზეციერის, მისი ძის და მოციქულების ისტორიების შექმნა. მოულოდნელი იყო იმიტომ, რომ მწერალი მუდამ თანამედროვე ცხოვრების რიტმს აკვირდებოდა და უახლესი მოვლენებით იყო დაინტერესებული, ხოლო მისი მხატვრული დისკურსის მრავალრიცხოვანი პერსონაჟები სამყაროს ყოფას ყოველთვის ისე მიწიერად უფიქრდებოდნენ, რომ რელიგიურობას და ეკლესიურობას არც ამყდავენდნენ.

ნოველები „მთვლემარე კაცობრიობა“, „იუდა“, „ვირი“ და პანტომიმის თეატრისათვის შექმნილი ლიბრეტო „ტერენტი გრანელი“, მხოლოდ ნაწილია იმ დიდი ნარატივისა, რომელსაც „თხუთმეტსაუკუნოვან მთლიანობაში“ რევაზ მიშველაძის შემოქმედება ჰქვია.





მტკვარ-არაქსის კულტურა (ძვ. წ. XXXII-XXII ს.ს.)

ქრონოლოგია და განფენის არეალი. მტკვარ-არაქსის კულტურის შემქმნელი არიან, როგორც მიიჩნევენ მეციერთა უმრავლესი ნაწილი, ძირითადად – იბერიულ-კავკასიური, ნაწილობრივ – ინდოევროპული ტომები.

გიორგი მელიქიშვილი მას ინდოევროპელებს განაკუთვნივდა.

ბორის კუფტინის აზრით, მისი საწყისი არ იყო VI-V ათასწლეულების ადგილობრივი კულტურა. ასევე მიიჩნევენ რ. მუნჩაევი.

თითქოს იგი უნდა შემოსულიყო მცირე აზიიდან.

ახლა მიიჩნევენ შემდეგ, რაც აღმოჩნდა ახალი არქეოლოგიური მასალები, რომ მტკვარ-არაქსის კულტურა მოდის ადგილობრივი ნეოლითური ძირებიდან, მაგრამ ერთვის სამხრეთული ნაკადი.

განფენილია იმავე გეოგრაფიულ არეში – ეს არის მტკვარ-არაქსის ორმდინარეთი, ანატოლიის აღმოსავლეთი, ირანის ჩრდილო-დასავლეთი, გადადის კავკასიონზე და აღწევს მაიკოპის კულტურამდე. მაგრამ საწყისი ბირთვი უნდა ჰქონოდა ქვემო ქართლში.

დასაწყისად მიიჩნევენ ძვ. წ. IV ათასწლეულის შუა ხანებს, XXXII საუკუნეს, XXIX საუკუნეს.

ქრონოლოგია მნიშვნელოვანია, ასევე – განვითარების პერიოდები, რადგან ათასწლეულის მანძილზე შიგნითაც იცვლებოდა მატერიალური ძეგლები, კერამიკა, მეტყველება, ბრინჯაოს საგნები, ტომთა საცხოვრისები, დამარხვის წესი.

მტკვარ-არაქსის პერიოდიდან იწყება ქართველური ეთნოსის, ქართველური ენებისა და კულტურის ნელი და ხანგრძლივი ფორმირების პროცესი.

მატერიალური ერთიანობა არ ნიშნავს გენეტიკურ ერთიანობას, მაგრამ უძველეს დროში სწორედ სისხლით ნათესავ ტომებს უნდა ჰქონოდათ კავშირები, რასაც მოჰყვებოდა მატერიალური ერთგვარობაც.

ასე იყო ევროპისა თუ აზიის სხვადასხვა რეგიონში.

მტკვარ-არაქსის პერიოდში არსებობს არაერთი, მისგან დამოუკიდებელი კულტურა: საბერძნეთში – კრეტა-მიკენის, გერმანიისა და საფრანგეთის ტერიტორიაზე – მიხელსბურგული, გერმანიისა და ჩეხეთის ტერიტორიაზე – უნეტიცის, ინგლისში – მეგალითური, დუნაის აუზში – ბადენის, ჩრდილო კავკასიაში – მაიკოპის, ინდოეთში – ხარაპას, ჩინეთში – ლუნშანის, რაც გახდა კონსოლიდირების ბაზისი.

მანამდე მტკვარ-არაქსის სიახლოვეს, VI-V ათასწლეულებში დასავლეთ ანატოლიაში არსებობდა ჩათალ-ჰიუკის კულტურა, ჩრდილო მესოპოტამიაში – ჯერ ჰასუნასა (VI-V ათასწლ.) და შემდეგ ჰალაფას (V-IV ათასწლ.), V-IV ათასწლეულში – შულავერის კულტურა.

ისინი დაშალა და მოსპო ტომების მიგრაციამ, უცხო ნაკადის შემოსვლამ და ადგილობრივთა განსახლება, დაღუპვამ და ასიმილირებამ.

ენეოლითური ძირები. მტკვარ-არაქსის ბრინჯაოს მატერიალურ კულტურას, მისი განფენის არეალში, უსწრებს V-IV ათასწლეულების ენეოლითური (გარდამავალი პერიოდი ქვიდან სპილენძისაკენ) კულტურა (ლათ. eneos-სპილენძი, ბერძნ. lithos – ქვა).

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ტომები ცხოვრობენ მღვიმეებში, ან აქვთ ტოტემისაგან სარებზე მიწნული, ორმხრივ თიხით შელესილი საცხოვრისები, მრგვალი და ოთხკუთხა, მეგრული ფაცხის მსგავსი.

ფართი – 12-13 კვ. მ. სიმაღლე – 2,5 მ. ჰქონიათ ორმოები წყლისა და სურსათის შესანახად.

ცდილობდნენ კერაზე უქრობი ცეცხლის დაცვას.

ძველ ინდოელებში, ხეთებში, ირანელებში, რომაელებში ცეცხლის კულტი უკავშირდება კერას, შუაცეცხლს, რომელიც გარს იკრებდა და აერთიანებდა გვარის წევრებს.

ცეცხლი სიცოცხლისა და ნათესაობის სიმბოლო იყო.

დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მრავლად არის აღმოჩენი-

ლი შრომის იარაღები, გარეული და შინაური ცხოველების ძვლები, ასევე – კერამიკა.

აღმოსავლეთში იარაღებსა და სამკაულებს ამზადებენ ქვისა, ძვლისა და რქისაგან, კერამიკას – სხვადასხვა მინარევის თიხისაგან.

ზოგი ჭურჭელი შეღებილია. ჭურჭლის მძერწავები, ალბათ, აქაც ქალები იყვნენ.

მოჰყავთ ქერი, ხორბალი, ღომი. ხის სახვნელს უკეთებენ ქვის სახნისს. ჰყავთ ცხვარი და ხარ-ძროხა. იციან მიწის მორწყვა.

VI ათასწლეულის ფენებში, ქვემო ქართლში, სოფ. იმირში აღმოჩენილია მეღვინეობის კვალი.

გავრცელებული ყოფილა ობსიდიანის (ვულკანური მინა) იარაღები.

მოღწეულია ქალისა და ხარის ქანდაკებები, ქალის სქემატური გამოსახულებები. ნაყოფიერების ღვთაება წარმოდგინათ ქალის სახით. მას ახლავს მზის დისკოს ნიშანი (ტ. ჩუბინიშვილი) ანუ მზის ღმერთქალი უნდა ყოფილიყო მთავარი ღვთაება.

გაბატონებულია მატრიარქატი. არსებობს ხარის კულტი.

მიცვალებულს კრძალავენ სამოსახლოს ტერიტორიაზე, ზოგან – ყორღანებში.

სამოსახლოები მიიწევენ მთების კალთებისაკენ.

მოხატული კერამიკა, სამკაულები, ალიზის აგურები ავლენენ სიახლოვეს ირანულ და ჩრდილო მესოპოტამიურ წრესთან. შეიძლება იმითომაც, რომ V-IV ათასწლეულებში სამხრეთ კავკასიის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ტერიტორიას იკავებს შუამდინარეთიდან ლტოლვილი მოსახლეობა (ვ. ფიცხელაური).

ასე ახასიათებენ არქეოლოგები მტკვარ-არაქსის წინამორბედ ენეოლითურ კულტურას, რომელიც ერთგვაროვანია.

სპილენძის გამოჩენა წამოსწევს მამაკაცის ძალას.

იგი არის მონადირე, მეჯოგე, მჭედელი, შემდეგ – მეომარი.

ახალი ვითარება თანდათან ცვლის მატრიარქატს და ამკვიდრებს მამაკაცის ძალაზე დამკვიდრებულ უფლებებს.

იარაღი აძლიერებს აგრესიას და ტომს უკვე სჭირდება არა მხოლოდ ნადირისა ან სტიქიისაგან, არამედ – მოპმისგანაც თავის დაცვა.

მტკვარ-არაქსის კულტურა პატრიარქატის კულტურაა, რომელიც იწყება ენეოლითურ პერიოდში და წყდება ბრინჯაოს ხანაში.

ზოგი მიიჩნევს, რომ IV ათასწლეულშიც შუამდინარეთიდან წამოვიდნენ ტომები და მათ მისცეს ბიძგი ამ კულტურას.

ისინი გადავიდნენ ჩრდილოეთშიც და მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს მაიკოპის კულტურის განვითარებაში.

ბრინჯაო და მატერიალური ერთგვარობა. მტკვარ-არაქსის კულტურის ადრეულ პერიოდში ჩნდება გვარ-ტომის სამოსახლოები, როცა საცხოვრისები მჭიდროდ არის თავმოყრილი.

ოჯახი შედგება 15-20 სულისაგან. შემდეგ მცირდება სულადობა ანუ იყოფა ოჯახები.

სახლებს აქვთ ოთახი და დერეფანი, შემადლებული ადგილი რიტუალებისათვის, დედაბოძი, კერა. მაგრამ არა ბედელი და ბოსელი – ისინი ცალკეა.

კერა არის კეთილდღეობის სიმბოლო. აქ ტარდება რიტუალები. აქ ათავსებენ კერპების გამოსახულებებს, განაყოფიერების გამომხატველ მამაკაცის ქანდაკებას, ფალოსის მოყვანილობის ვერძის რქებს.

მამაკაცის პატარა თიხის ქანდაკებებს აქვთ ღვთაებრიობის ნიშანი, რაც პატრიარქატის დასტურია.

მამაკაცის დაწინაურებას აჩვენებს ყორღანული სამარხებიც. მამაკაცს ატანდნენ იარაღებს, ჭურჭელს, შეწირულ ხარს, ქალს – სამკაულებს.

დასახლებებს სამაროვნები და მსხვერპლშეწირვის ადგილი აქვთ მთაზე. მარხავენ როგორც ინდივიდუალურ და კოლექტიურ სამარხებში, ისე ორმოსაფლავებში. ზოგჯერ კრემაციასაც მიმართავენ.

ზოგან ცალკეა დამარხული თავმოკვეთილი მიცვალებულები, ზოგან – მხოლოდ თავის ქალები. თავის ქალა სულის სამყოფლოდ მიიჩნეოდა.

მაგ., გერმანიის ტერიტორიაზე აღმოჩნდა წითელ, ჟანგმიწიან ორმოში უამრავი თავის ქალა და სამკაული.

არსებობდა კოლექტიური ლოდ-სამარხებიც-დოღმენები.

განსხვავებული დამარხვის წესი შეიძლება ჰქონოდათ სხვადასხვა ეთნოსის ტომებს, შესაბამისად – არც მეტყველება ექნებოდათ ერთნაირი.

საერთოდ, უმველესი დროის კულტურული პანორამის აღსადგენად საჭირო მონაცემებს იძლევა სამარხები, შრომისა და ბრძოლის იარაღები, სადგომები და საცხოვრისები, სიტყვის ძირების რეკონსტრუქცია.

ლითონის აღმოჩენა რადიკალურად ცვლის როგორც ცნობიერებას, ისე ცხოვრებას.

სპილენძისა და ბრინჯაოს ჭედვა-წითობას ძლიერი ცეცხლი სჭირდებოდა. ეს ზრდიდა მზისა და მისი მიწიერი ნაწილის – ცეცხლის მნიშვნელობას. ცეცხლის მხურვალეობის გარეშე ლითონს ვერ დაიმორჩილებდნენ.

ბელადის, ქურუმისა და მწყემსის შემდეგ ტომს გამოეყოფა მჭედელი. მას ლითონზე გადააქვს მეთუნის გამოცდილება, ჭურჭლის დამზადების ხელოვნება.

მჭედელი სჭირდება ბელადს, ქურუმს, მწყემსს, მონადირეს, ტომის ყოველ მამაკაცს. მამაკაცები მოიპოვებენ მადანს, მართავენ საწრთობ ქურას და ამზადებენ ბრინჯაოს იარაღსაჭურველს, სატევრებს, დანებს, ცულეებს, შუბისა და ისრის ბუნიკებს, აგრეთვე – ვერცხლისა და ტყვიის სამკაულებს. ასევე მზადდება ერთიანი სახის მოხატული კერამიკა. ჭურჭელს უჩნდება ორი და სამი ყური.

კერამიკაზე გამოსახავენ ვერძს, წეროს, გველს, ირემს, ქალის სქემატურ გამოსახულებას, მზის სიმბოლო სპირალს.

ცალკეული რეგიონები საკმაოდ ყოფილა დასახლებული (მაგ., შიდა ქართლი).

აქაც ცხოვრობდნენ ალიზით ნაგებ მრგვალ სახლებში.

აქაც ამუშავდნენ მეგალითურ ციხე-დარბაზებს. გავრცელებული ყოფილა მენჭირები (ქვის სვეტები) და „ვეშაპები“ (მიწაში ჩარჭობილი ქვის სალოცავი თევზები), როგორც გვიჩვენებს ლეონ მელიქსეთ-ბეგი.

მტკვარ-არაქსელი ტომები ეწევიან ბინადარ ცხოვრებას, ამუშავებენ მიწას, იყენებენ პირუტყვს, მიწის სახნავად იშველიებენ საქონლისა და ირმის რქებს, მისდევენ მესაქონლე-

ობას, მიმართავენ მსხვერპლშეწირვას (მაგ., ჩვილ ბავშვთა); არიან მიწათმოქმედნი, მეჯოგენი, ხელოსნები, მჭედლები, მეთუნეები.

არ იყენებდნენ ოქროს, თუმცა, ალბათ, იცნობდნენ, რადგან ამ დროს განეკუთვნება საყდრისის ოქროს მოპოვების კერა (ბოლნისის რაიონი). ეს მაშინ, როცა მტკვარ-არაქსელთა თანამედროვე მაიკოპელები ზოგს საიუველირო ხელოვნების მოთავეებად კი მიაჩნია.

ამ კულტურის ჩასახვა, ერთგვარობა და ტომთა შეზრდა-ნათესაობა დაკავშირებულია სპილენძის გამოჩენასთან (ნ. მარის ახსნით, სპერის/ისპირის მადანი), სპილენძის მეტალურგიასთან, რომელიც ცვლიდა ქვის იარაღებს.

ბრინჯაოს სახელი მოდის სპარსული ბირინჯისაგან, რაც გვიანდელი მოვლენაა, კალა (თუთია) – ქალაქ კალაჰიდან.

ასე რომ, სპილენძისა და ბრინჯაოს სხვა სახელით იხსენიებდნენ ქართველური ტომები. მათი აღმნიშვნელი სიტყვები, ალბათ, იმიტომ დაიკარგა, რომ მტკვარ-არაქსიდან დევნილმა და დამარცხებულმა ქართველურმა ტომებმა შეწყვიტეს ლითონის დამუშავება.

ამ ტრადიციას მიუბრუნდნენ მოგვიანებით და ახალი სახელები მიიღეს. სპილენძის პირველად მომჩენი მწყემსები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც სეზონურად გადაადგილდებოდნენ ბარიდან მთაში. აქ ნიადაგი გადარეცხილია და მოჩანს მადნის მარღვი – პირველმჭედლები და სპილენძის ნივთების გამავრცელებელიც ისინი იქნებოდნენ.

იბერიელ-კავკასიელებიც ადრევე იწყებენ სპილენძის გაცხელებას, ჭედ-

ვას, გაღობასა და დაყალიბებას, რაც დაერთო ძელისა და ქვის დამუშავების ხელოვნებას.

შემდეგ შემოდის ბრინჯაო (90% სპილენძი, 10% კალა ან 10-22% დარიშხანი) – III ათასწლეულის შუახანებში. ზოგან – გაცილებით ადრე (მაგ., მესოპოტამიაში – VI ათასწლეულიდან), ან გვიან (მაგ., კუნძულ კრეტაზე – 2 200 წლისათვის).

ასე მიიჩნევენ ა. პერშიცი, ა. მონგაიტი, ვ. ალექსევი.

უკვე ცეცხლგამძლე თიხისაგან ამზადებენ ციფხვებს, ტიგელებს, ყალიბებს.

სპილენძის საბადოები იყო მცირე აზიასა და წინააზიაში, კალასი – დღევანდელი ირანისა და არაბეთის ტერიტორიაზე. ეს სიახლოვე ხელს შეუწყობდა მტკვარ-არაქსელებს, რომ ბრინჯაოზე გადასულიყვნენ.

სპილენძის დნობის ტემპერატურაა 700-900°, ბრინჯაოსი – 1083°, ვერცხლისა – 960°, ოქროსი – 1064°, ხოლო რკინისა – 1,528°.

რკინა ძნელად დასამუშავებელი ლითონია.

ბრინჯაოს შრომისა და ბრძოლის იარაღები უფრო ეფექტური იყო, ვიდრე ხის, ქვისა და სპილენძისა.

ამიტომ მოხდა ტომების კონცენტრირება ბრინჯაოს გარშემო. სპილენძის მადნის მოპოვება, გადატანა და დამუშავება, შემდეგ – დამზადებული ნივთების ტრანსპორტირება და გავრცელება შეუძლებელი იქნებოდა, რომ არ არსებულიყო საზიდრები და გამწევი ძალა – ხარი, სახედარი, გვიან – ცხენიც.

ბორბლიანი საზიდარი გამოიგონეს IV ათასწლეულის ამიერკავკასიასა და ზედა მესოპოტამიის ზონაში.

იგი წინ უსწრებს ბრინჯაოს მეტალურგიას, ურომლისოდაც ვერ შეძლებდნენ ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას, ტექნიკის განვითარებას.

შემდეგ საზიდრებს მოჰყვა საომარი ეტლები, რომლებშიც თავდაპირველად სახედრებს აბამდნენ.

ეს იყო ტექნიკური რევოლუცია, რომელმაც შეცვალა ადამიანი და საარსებო პირობები.

ქვის ხანა, რომელიც 1,5 მლნ წელი გრძელდებოდა, დასრულდა სულ რაღაც 5000 წლის წინათ. ამის შემდეგ პროგრესის საფუძველია ლითონების გამოჩენა, ათვისება, დამუშავება და სრულქმნა – სპილენძი, ბრინჯაო, ოქრო, ვერცხლი, ტყვია, რკინა, ფოლადი ანუ ტექნიკის განვითარება და ტრანსფორმაცია, რამაც შექმნა სახელმწიფო და შემდეგ იგი მრისხანე მმართველებმა აქციეს ძალაუფლების შენარჩუნებისა და გავრცობის, აღმშენებლობისა, ჩაგვრისა და კეთილდღეობის საშუალებად.

ბრინჯაო და რკინა ძალა იყო, ოქრო-ვერცხლი და ძვირფასი თვლები – კომფორტი და სილამაზე, ცეცხლი – ლითონის გამლღობი და თბილი კერა.

ბრინჯაოს იარაღები ზრდიდა როგორც შრომის ნაყოფიერებას, ისე აგრესიას, სივრცის ათვისებისაკენ სწრაფვას, რასაც მოჰყვა ომები, ომებს – ბარბაროსული ინტეგრირება და იაფი მუშახელი, ინტეგრირებას – გაერთიანებათა და პრასახელმწიფოთა წარმოქმნა, ბელადის წამოწევა და სამხედრო დემოკრატია, მატრიარქატის – მამაკაცის ძალისა და უფლების განმტკიცება.

ერთი ფაქტორი ბიძგს აძლევდა მეორეს, მეორე – მესამეს და ასე საფეხურებრივად მიდიოდა ადამია-

ნი პროგრესისა და შეუცნობელი მომავლისაკენ. ეს არ ხდებოდა კომუნიკაციის გარეშე.

ამიტომ „ენობრივი სისტემა შეიძლება დავაკავშიროთ განსაზღვრულ არქეოლოგიურ კულტურასთან“ (თამაზ გამყრელიძე), ხოლო ენა არ იქმნება ეთნოსის გარეშე.

ასე რომ – ერთ ტრიადაში უნდა განვიხილოთ მტკვარ-არაქსის კულტურა, ეთნოსი და ენები. ამ კულტურის შიგნით არსებული მრავალი ვარიანტული სახესხვაობა მონათესავე ტომთა სიმრავლის ნიშანი უნდა იყოს.

პროტო-ენები და ტომთა ნათესაობა. ვრცელ არეალში ტომთა კომუნიკაციას საერთო ან მსგავსი მეტყველება სჭირდებოდა. ენის გარეშე ვერც კონტაქტი, ვერც ნდობა ვერ იარსებებდა. სხვათა გამოცდილებაც გაუზიარებელი დარჩებოდა.

კონტაქტებს ამნელებდა ვრცელი განფენა, უგზობა, უდაბური გარემო, უცხოთა სიმრავლე, გადაადგილების საშუალებათა უქონლობა – ჯერ არ იცნობენ ცხენს.

ჰყავთ გამწვევ ძალად ხარი და სახედარი.

უძველეს დროში ყველა ტომი თავის პროტო-ენაზე მეტყველებდა (სიმონ ჯანაშია). ეს ენები არ იყო სტრუქტურულად მყარი, ლექსიკურად მდიდარი. ამიტომ სწრაფად იცვლებოდა – ძველს ჰკარგავდა და ახალს იძენდა, მაგრამ ათვისებაც იოლი იყო სხვათა მიერ.

მტკვარ-არაქსელთა წინარე ტომებსაც პრეისტორიულ საუკუნეებში ექნებოდათ მრავალი პროტო-ენა. მხოლოდ კონტაქტების შემდეგ შეიძლებოდა მათგან დიალექტური ბირთვების შედედება ან ერთ გვარ-ტომს

ძალადობრივად მოეხდინა სხვათა ასიმილირება. ისტორიული ქარიშხლები, ომები, ახალი ტექნიკა, იძულებითი გადაადგილება წარმოშობს ინტეგრირების სტიქიურ აუცილებლობას, რაც ენაშიც ვლინება, ინტეგრირება ააქტივებს ცნობიერების ფორმირებასაც.

ენის შემოქმედი არის ხალხი, ტომი, გვარ-ტომი.

სახელმწიფოს დაცემა, ხალხის განადგურება, ახალი ნაკადების შემოჭრა და ტომთა აღრევა იწვევს ენის სიკვდილს, ან ახლებურ მოდელირებას, რომელიმე დიალექტის გაძლიერებას ან შეზრდას დამპყრობლის ენასთან.

ასე მოხდა ბაბილონში, ეგვიპტეში, ურარტუში, რომში, ბიზანტიაში, ხეთაში, ასურეთში, ისრაელში.

საუკუნეების მანძილზე კონტაქტებით, გეოგრაფიული სიახლოვით და ურთიერთშედევის პროცესში ტომებს უყალიბდებოდათ ერთიანი ლექსიკური ფონდი, ფონეტიკური და სინტაქსურ-მორფოლოგიური სტრუქტურა (მაგ., იბერიულ-კავკასიური ენებისათვის საერთო აბრუპტიული ანუ მკვეთრი-ხორხსზედა თანხმოვნები: პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ).

კავკასიაში IV ათასწლეულიდან უნდა დაწყებულიყო პროტო-ენების შეზრდის პროცესი, რაც წარმოქმნიდა ზეენას ანუ ფუძე-ენას. ამის გარეშე ვერ იქნებოდა კომუნიკაცია, ვერც საერთო სახის კულტურა იარსებებდა.

შემდეგ წარმოიქმნებოდა განსხვავებული დონის ენები, დიალექტები. დარჩებოდა პროტო-ენებიც. ბევრიც გაქრებოდა.

კულტურის შემქმნელი, შემნახველი და გადამტანი ყველა დროში არის საზოგადოების მაღალი ფენა –

ელიტა. მისი შუქი ეცემა მიწურებსა და ქოხმახებსაც, მონასა და მიწის მუშასაც.

ელიტას ქმნიდნენ ქურუმ-ბელადები და ქურუმები, უხუცესები. ისინი იქნებოდნენ საერთო ენის შემქმნელი და მქონენი, რასაც პირობითად ვუწოდებთ იბერიულ-კავკასიურ ფუძე-ენას (იხ. „გვარ-ტომი და ფუძე-ენა“).

ამ ენას ერთგვაროვანი და მრავალრიცხოვანი რიტუალებით ამკვიდრებდნენ და ავრცელებდნენ ქურუმები. მათ ჰქონდათ ენის საიდუმლო ნიშნებიც, რომელიც მასს არ უნდა სცოდნოდა.

ეს საიდუმლო აკავშირებდა ქურუმთა კასტას, აკავშირებდა მისტერიებსა და რიტუალებს, გეოგრაფიულად დაცილებულ პუნქტებს.

მსხვერპლშეწირვის სისხლი, გლოვა და ტრიუმფი აერთიანებდათ ღმერთებს, ქურუმებს, მეომრებს, მასის რიგით წევრებს. ეს უნდა მომხდარიყო მაშინ, როცა საცხოვრისს, კერას გამოეყო სამაროვანი და მსხვერპლშეწირვის ადგილი.

გამოყოფა სიმბოლურად კრავდა ტომებს, რომელთაც ერთი სისხლი ჰქონდათ, ერთი სამლოცველო და ერთი სასაფლაო.

დიფერენცირება-ინტეგრირება მუდმივი და პარალელურად მიმდინარე პროცესებია (არნ. ჩიქობავა).

პროტო-ენები და დრო-სივრცე. არქაულ დროში, როცა არ არსებობს სახელმწიფო და ომები, როცა არ ჩამოყალიბებულა ერთგვაროვანი მატერიალური კულტურა, გვარ-ტომები და ტომები ცხოვრობენ იზოლირებულად, დახურულ სივრცეში, ერთნაირი საგნებისა და გარემოს ტყვეობაში.

მათ აქვთ სიტყვები მცენარეთა, ცხოველთა, ცისა და მიწის, მზისა და მთვარის, ბუნების მოვლენებისა და დროის ცვალების, სექსისა და კვების, სხეულის ნაწილების, მშობლებისა და ნათესავების, ფიზიოლოგიური პროცესების, იარაღების, რიტუალების, ხილული გეოგრაფიული ადგილების (მდინარე, ზღვა, მთა) გამოსახატავად.

ასეთივე მცირე ლექსიკური მარაგი აქვთ სხვა ტომებსაც, სინტაქსი – მარტივი, სახელები – დაუნაწევრებელი, ბრუნება და უღლება – ლაბილური.

ეს საკმარისია კომუნიკაციისათვის. ექსპრესიას ავლენს აფექტების სიძლიერე, რაც გამოხატულია ჟესტიმიმიკით, მოქმედებითა და ბგერათნაკადით.

ამიტომ ადვილია როგორც გაგებინება, ისე სიტყვათა ჩანაცვლება.

კონტაქტები ტომებს შორის იშვიათია და შემთხვევითი.

მათ არ უწევთ გადაადგილება, გასვლა მშობლიური ოიკუმენიდან.

ეს უწევთ მონადირეებსა და მეჯოგეებს. მათ გადააქვთ და შემოაქვთ სარჩო, კერამიკა და იარაღი, მონაწილეობენ ქალთა გაცვლა-გატაცებაში.

ესენი არიან ვაჭრებისა და თარჯიმნების წინაპრები.

სტაბილური, ერთსახოვანი, უცვლელი გარემო არ იძლევა ცნობიერების გააქტივების საშუალებას, რაც წარმოქმნის ახალ ნივთებს. ახალ ნივთს, დაკვირვებას, დეტალიზებას სჭირდება ახალი სახელდება, ან – სხვათაგან შემოტანა, სესხება.

ამიტომ სტატიკურ, ინერტულ დროში ენაც არ ვითარდება, როგორც ეს მოხდა აფრიკულ, ავსტრალიურ და ინდიელთა ტომებში. მათ აურა-

ცხელი ენა აქვთ დღესაც, რაც წარმოგვიდგენს ჩვენს პრეისტორიასაც.

როცა გაჩნდა ბორბალი და სპილენძი, უნდა წარმოქმნილიყო ახალი სიტყვები როგორც მათი, ისე მათთან დაკავშირებული პროცესებისა და საგნების აღსანიშნავად, გადაადგილებისა და კონტაქტებისათვის.

ამიტომ არის იბერიულ-კავკასიური ენების ოჯახი კონვერგენციული გზით წარმოქმნილი (კონვერგენცია – შეზრდა, ინტეგრირება).

ეთნარქის ლეგენდა. საპირისპიროა დერივაციული (ლათ. გამოყვანა) ანუ ძალადობრივი გზა, როცა ერთი გვარი და გვარ-ტომი იერთებს და სპობს სხვა გვარ-ტომებს, ითვისებს ახალ სივრცეს, დემოგრაფიულად ცვლის მოსახლეობას.

ასე მოხდა ინდო-ევროპელების ვრცელ ტერიტორიაზე განფენა, მუდმივი სვლა და ახალი მიწების ძიება.

შედგება ინდო-ევროპულ ენათა ოჯახის ფუძე უფრო გამჭვირვალეა, ისევე როგორც სემიტური, თურქული, მონღოლური ენების ოჯახისა.

ისტორიულ-ლეგენდური ტრადიციაც ტომსა და ხალხს ერთი გვარის წევრებად, ერთი დედის ან მამის შვილებად მიიჩნევდა.

ასე შეჰქონდათ სინათლე ტომებისა და ენების, ღმერთებისა და წესჩვეულებების დახლართულ სისტემაში. ამის მიხედვით ეძებდნენ და იგონებდნენ ეთნარქებს, რომლისგანაც მოდის ქვეყნის ყველა კონკრეტული ეთნიკური მოსახლე, შესაბამისად – ენაც.

მაგ., ძველი ხეთების მეფე (ხასსუ) ხათთუსილი I (ძვ. წ. XVII საუკუნე) თავის ქვეშევრდომებს თვლის ერთი გვარის წევრებად, ერთი დედის მიერ

შობილად (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი).

ეს მატრიარქალური თვალსაზრისია.

ბერძნები თავიანთ პირველწინაპრად მიიჩნევენ ჰელინოსს, ლათინები – ენეასს, კავკასიელები – თარგამოსს, ქართველები – ქართლოსს, სომხები – ჰაოსს, არმენ-სომხები – არამს, ჩინელები – ფუსს, კორეელები – ტანგუნს, მონღოლები – ბორტე-ჩინოს („ლურჯი მგელი“).

ეს პატრიარქალური თვალსაზრისია.

ლეონტი მროველის მიხედვით, თარგამოსი ყოფილა თარშის ძე, იაფეტის ძმისწული, ბიბლიური ნოეს შთამომავალი, ვინც თავისი კიდობნით წარდგენისაგან გადაარჩინა ადამის მოდგმა და ყოველი სულიერი.

ეთნარქი გვიჩვენებს, რომ ეთნოსებს აინტერესებდათ თავიანთი წარმომავლობა, დასაბამი, მაგ., ბაგრატიონები თავიანთ გვარს დავით წინასწარმეტყველთან აერთებდნენ.

ქართველურ ტომებს სცოდნიათ, რომ იბერიულ-კავკასიელებს შორის არის ნათესაური კავშირი, რომ ერთი ძირიდან მოდიან. ამის გამო, ბიბლიის მოდელზე, ლეონტი მროველმა შეთხზა ქართველური ტომების ეთნარქების ლეგენდა.

ერთხანს გაუგებრად მიაჩნდათ თუ რატომ მოიხსენებდა ძმებად ქართლოსსა და ჰაოსს, ქართველსა და სომეხს. მაგრამ შემდეგ გაირკვა, რომ ჰაოსი არის არა ინდო-ევროპელი არმენების, არამედ იბერიულ-კავკასიელი სოხმების (ზოხმების) ეთნარქი, რომ ხეთური წყაროებით ცნობილია ხაიასას (ჰაიასას) ქვეყანა, ქალაქი haii.

ი. დიაკონოვის აზრით, იგი მოდის სწორედ ხათიდან (Hatti).

ნ. მარის აზრით, სომხები (სომხები) იყვნენ ქართველური ტომები, სხვათა აზრით – ხურიტული.

ერთი გვარის, ერთი ეთნოსის შვილებს ენაც ერთი ექნებოდათ, რომელსაც ისინი გადასცემდნენ შთამომავლებს.

ქართულში ნათესავი არის ერთი თესლისაგან შობილი, რუსულში – გვარისაგან (род და родственник), რომელსაც აქვს თავისი წრე. ძვ. ინდურში, ხეთურში, ავესტაში, სპარსულში, ძვ. გერმანულში, ძვ. სლავურში ქალი და ცოლი ერთი სიტყვით აღინიშნება.

ხოლო კაცი არის პატრონი, ბრძალებელი.

ბერძნულში ქალი არის gine, გვარი გენოს ანუ გვარის სათავე არის ქალი. დედის ფაქტორი გადამწყვეტი იყო ეგვიპტეში, ხეთებში, კრეტაზე, ფრიგიაში, ელამურ ირანში, მონღოლურ ტომებში, ინკებში.

ინდო-ევროპულში კაცი იქცა ადამიანის სინონიმად (ძვ. ინდური manus – კაცი, ადამიანი, შდრ., ქართული კაცობრიობა, რუსული человек, გერმანული – die Menschheit).

კონვერგენციის პროცესში ჯერ უნდა წარმოქმნილიყო ენათა ფილუმები, შემდეგ – ოჯახი, რომელსაც მოჰყვებოდა განშლა და დიფერენცირება.

ასეთი გზა უნდა გავლოთ იბერიულ-კავკასიელებს მტკვარ-არაქსის კულტურის ათასწლეულში.

ენობრივ-ეთნიკური ბირთვი. მტკვარ-არაქსის კულტურის წიაღში ყალიბდება იბერიულ-კავკასიური ენობრივ-ეთნიკური ბირთვი. მაგრამ დიფერენციაციაც აქედანვე იწყება (ო. ჯაფარიძე).

ორივე პროცესი უკავშირდება სპილენძისა და ბრინჯაოს გამოჩენას, მათი ტექნოლოგიის განვითარებას.

იბერიულ-კავკასიური ტომებისა და ენების შორეულ გენეტიკურ ერთიანობას ავლენენ ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემები, ვინ და რა სახელთა კლას-კატეგორიები, ლექსიკური ძირები, ენების აგლუტინაციური ტიპი და ერგატიული კონსტრუქცია, აგრეთვე – რასობრივ-ანთროპოლოგიური ნიშნები, ისტორიულად არსებული გეოგრაფიული და კულტურული სიახლოვე.

ნათესაურ კავშირს ჩრდილო-კავკასიურ ენებთან ამტკიცებდნენ ივ. ჯავახიშვილი და არნ. ჩიქობავა, მათი მოწაფეები და მიმდევრები. მაგრამ საეჭვოდ მიიჩნევენ გ. წერეთელი, გ. მელიქიშვილი, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, უარყოფდნენ ნ. ტრუბეცკოი, ჟ. დიუმეზილი.

ამ ერთიანობას იცავდა ნ. მარი, მაგრამ მას კავკასიური ენები სემიტური სამყაროს მონათესავედ მიაჩნდა, ვიდრე იაფეტიდები არ გამოაცხადა სემიტებსა და ინდოევროპელებზე უძველეს ფენად, იაფეტური – კულტურის განვითარების სტადიად.

ენობრივი ნათესაობა ამოდის ეთნოსიდან, ენის შემოქმედი ტომებიდან.

ერთი ხსნის მეორეს და პირიქით. აქაც აზრთა სხვადასხვაობაა. ბევრი მიიჩნევს, რომ მტვარ-არაქსის კულტურას ქმნიდნენ ადგილობრივი, უძველესი დროიდან აქ მოსახლე და შესაბამისად – მონათესავე იბერიულ-კავკასიური ტომები (რ. მუნჩაევი, ო. ჯაფარიძე, ე. კრუპნოვი).

მაგრამ უნდა არსებულიყო მნიშვნელოვანი ინდოევროპული ნაკადი, რაც აირეკლა ქართველურ ენებში,

მათ ლექსიკაში, ვოკალურ და კონსონანტურ სისტემებში (გ. მელიქიშვილი, გ. კლიმოვი, თ. გამყრელიძე, გ. მაჭავარიანი).

ზოგი მას განაკუთვნებს ინდოევროპელ ხეთებს (მაგ., ლ. ვული).

იბერიელ-კავკასიელთა კუნძული მოქცეული იყო ინდოევროპულ და სემიტურ ზღვაში. ალბათ. მოხდებოდა ინდოევროპელთა ნაწილის ასიმილირებაც, რაც შეცვლიდა აბორიგენტთა ბუნებასაც.

იბერიულ-კავკასიური, ინდოევროპული და სემიტური ნაკადები ერთმანეთს ხვდებოდნენ სამხრეთ ამიერკავკასიაში, მესოპოტამიის ჩრდილო ნაწილში, რასაც ახლდა ურთიერთშედწევა და სესხება, ტომების სახეცვლა.

მტკვარ-არაქსის კულტურის წილში უნდა მომხდარიყო იბერიელ-კავკასიელთა განყოფა ხურიტულ და ხათურ ნაკადებად.

როგორც ვნახავთ, ხათების მონათესავენი არიან ქაშქური, კოლხური, მუშქური და სოხმური ტომები, ალბათ, პელაზგებიც. შესაბამისად – ენებიც, როგორც პროტო-ხეთური ფუძის დაშლა-განვითარების შედეგი.

პირველი მიგრაცია დაენობრივ-ეთნიკური დაყოფა (XXIII-XXII სს). III ათასწლეულის შუა ხანებიდან ირღვევა მშვიდი, სტაბილური ცხოვრება. მტკვარ-არაქსელები უკვე საცხოვრებლად ირჩევენ შემადლებულ ადგილს, საცხოვრისს ამაგრებენ ქვის გალავნით, აგურ-ალიზის ზღუდით, ზოგან თხრილს ავლებენ ანუ მტრისაგან თავს იკავებენ.

შემდეგ კი სულაც სტოვებენ საცხოვრისს, წინაპართა მიწას, გორებზე ქრება მოსახლეობა კვალი.

ძირითადი მასა იფანტება სხვადასხვა მიმართულებით, როგორც ფუტკრები სკიდან – დასავლეთით, სამხრეთით, სამხრეთ – დასავლეთით (თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, ლ. ვული, ჩ. ბარნეი, ო. ჯაფარიძე, რ. გორდეზიანი).

უკან ტოვებენ ნახანძრალ გორებსა და სამლოცველოებს (გ. მელიქიშვილი, ალ. ჯავახიშვილი, ლ. ლლონტი, ტ. ჩუბინიშვილი, ლ. ვული).

ეს იყო პირველი დიდი გაფანტვა, სწრაფვა ახალი მიწებისაკენ, უცნობი სივრცისაკენ.

დასრულდა ათასწლეოვანი ერთიანობა და სტაბილური ცხოვრება.

მთავარი მიზეზი უნდა ყოფილიყო ჩრდილოეთიდან და სამხრეთიდან შემოჭრილ ინდოევროპულ და სემიტურ ტომთა ნაკადები.

მათ დაარღვიეს როგორც მატერიალური, ისე გეოგრაფიული და ენობრივი ერთგვარობა.

ამ მხრივ საინტერესოა ცარცის გორაზე ნაპოვნი ოთხკუთხა ხიშტი, რომელიც ისეთივეა, როგორც ასურეთში აღმოჩენილი ორი ხიშტი:

ერთს აწერია სარგონ აქადელის შვილის სახელი – მანიშტუსუ (XXV ს), მეორეს – ელამის მმართველის პუზურ შუშინაკის (XXII ს.) სახელი. ასევე ნაპოვნია შუბისმაგვარი, წინააზიური იარაღები (III ათასწ. II ნახევარი).

ალბათ, აქადელებმა და ელამელებმა დალაშქრეს მტკვარ-არაქსის ტერიტორია და ეს იარაღებიც ამ ფაქტის ნიშანია.

საერთოდ მიგრაცია, ტომთა დიდი მასების გადაადგილება, ტომთა შერწყმა, კულტურათა სინთეზი ააქტივებდა ადამიანის უნარს, განავრცობდა თვალსაწიერს და იყო პროგ-

რესის ერთ-ერთი სათავე (ედ. მაიერი, არნ. ტოინზი, თ. გამყრელიძე, ვ. ივა-ნოვი).

ტომების მოძრაობა, აყრა, გადა-სახლება, წინაპართა მიწის მიტოვება სხვადასხვა მიზეზით ხდებოდა – ეს იყო ნიადაგის გამოფიტვა, მიწისძვრა, საძოვრების ძებნა, გვალვა და უწყ-ლობა, პოპულაციის ზრდა, ეპიდემია, შემოსევები ან – დაპყრობითი ომები.

ისინი დიდხანს ინარჩუნებდნენ მოგონებას და სევდას მიტოვებულ მიწა-წყალზე. მაგ., ბარბაროსი მონ-ლოლებიც გულდაწყვეტით იხსე-ნებდნენ ალტაის მთებსა და მდინა-რეებს, მღეროდნენ ნაღვლიან სიმღე-რებს.

III ათასწლეულის დამლევს მრავალი ტომი იცვლის საცხოვრისს. ამ დროს შედიან აქაველები და დორი-ელები ბალკანეთის ნახევარკუნძულ-ზე. მაშინ უნდა გადმოსულიყვნენ ჩრდილოეთიდან კავკასიაში ნესიტი ხეთების წინაპრები, რომელთაც გა-ნაგრძეს მიგრაცია მცირე აზიისაკენ (ტ. ბარტონ-ბრაუნი). ნაწილი კი აქ დამკვიდრდა.

ასე რომ – ამიერკავკასიაში ერთ-მანეთს ენაცვლებოდნენ ჩრდილოე-თიდან და სამხრეთიდან შემოჭრილი ტომები.

აბორიგენებისათვის ადგილი აღარც დარჩა.

მიგრაცია და ომი. მიგრანტთა ნა-კადები არღვევდნენ შემხვედრი ტო-მების მყუდროებას, იწვევდნენ კონფ-ლიქტებსა და სისხლისღვრას.

ადამიანთა დიდი მასა იოლად სძლევდა დაბრკოლებებს.

ჯერ სახელმწიფოები არ არსე-ბობს, ახლად იწყება ომები. ხოლო ლოკალური კონფლიქტები საერთო წონასწორობას ვერ არღვევენ.

საკუთარი საცხოვრისიდან აყრი-ლი ნათესავი ტომები ეძებენ უკეთეს გარემოსა და მიწას, ან – გაურბიან მომდგარ მიგრაციის ტალღას (მაგ., აქადები შეიჭრნენ შუმერში, ებრაე-ლები – ქანაანის მიწაზე, აქაველები, დორიელები და ეოლიელები – ბალ-კანეთის ნახევარკუნძულზე, ხეთები – ხათების ქვეყანაში, ვედეები – ინ-დოეთის ნახევარკუნძულზე...).

ისინი მკვიდრდებიან ახალ, უც-ხო მიწაზე, სადაც ყველაფერი მტრუ-ლი თვალებით იმზირება.

ამიტომ ამზადებენ იარაღებს, აგებენ სიმაგრეებს. აქედან აგრძელებენ დაკავებული სივრცის ათვისებასა და გავრცობას, რაც სტიქიურად მი-დის ერთობამდე, დამხდური ტომე-ბის ასიმილაციამდე ან – პირიქით – მომხდურები ერწყმიან ადგილობრივ მოსახლეობას.

სისხლით ნათესავი გვარ-ტომები და ტომები ქმნიან პირველ გაერთიანებებს, მიკროსამეფოებს, პრასახელმ-წიფოებს, რომელთაც განამტკიცებენ ღმერთები, ქურუმ-ბელადები, სალო-ცავი კერები, უხუცესები და მეომრე-ბი, ცხოვრების საერთო წესი.

მაგ., XIX საუკუნეში აფრიკული ტომები ებრძოდნენ დამპყრობელ ინგლისელებს. მათმა ბელადებმა – დინგისვაიომ, ჩაკამ, მოსელეკატსემ, ლობენგულამ დაიმორჩილეს მეზო-ბელი ტომები და შექმნეს სამხედრო ორგანიზაციები. ცხადია, დამარცხდ-ნენ, მაგრამ აგრესიულმა ფაქტორმა და გადარჩენის ინსტინქტებმა ინტეგ-რირებისაკენ უბიძგათ. ხოლო მტრის ხატმა და დაღვრილმა სისხლმა შეკრა ტომთა კავშირი (მაგ., ზულუსები).

სახელმწიფოები დედამიწის სხვა-დასხვა წერტილში ერთმანეთისაგან

დამოუკიდებლად და თითქმის ერთ-
დროულად ჩნდებოდა:

მვ. წ. IV ათასწლეულის ბოლოს
ნილოსის დაბლობსა და შუამდინა-
რეთში, III ათასწლეულის ბოლოს –
ინდის აუზში, II ათასწლეულში –
ეგეოსის ზღვის აუზში, მცირე აზი-
აში, ფინიკიაში, სამხრეთ არაბეთში,
ხუანხეს აუზში (ა. პერშიცი, ა. მონგა-
იტი, ვ. ალექსევი).

ადამიანის მოქმედებას წარმარ-
თავდა შიში და აგრესია, რაც არღ-
ვევდა იზოლირებულ არსებობას და
სტიქიურად უბიძგებდა ინტეგრირე-
ბისაკენ.

ძალა კვეთდა არსებობის ახალ
ფორმებს, რომელთა გარდასახვას
აღარ ყოფნიდა ნადირობა, ცხვრის
მოვლა თუ ჭურჭლის ძერწვა.

იარაღი – შუბები, მშვილდ-ის-
რები, ცულები და მახვილები.

როგორც ჩანს, იბერიელ-კავკასიე-
ლები გადარჩენას ცდილობდნენ არა
დაპირისპირებით, არამედ – მიგრა-
ციით.

დამლა და აყრა რომ იძულებითი
იყო, ამისი დასტურია დიდი ხანძრის
კვალი და ნაცარი სხვადასხვა პუნ-
ქტში:

ახალციხის ამირანის გორაზე,
მეტეხის ნასახლარზე, აბასთუმნის
ყანობილის ნასახლარზე, სოფელ
ზველის სამარხებში, ქულბაქების ნა-
სახლარზე, ილტოში, ბეშთაშენში,
ოზნის, თრელის, ურბნისის ქვაცხე-
ლებში, სამშვილდის ნასახლარებზე,
წნორის ყორღანებში.

ზოგი მიიჩნევს, რომ ეს არის არა
ხანძრის, არამედ – სამარხებზე დან-
თებული ცეცხლის კვალი, მაგრამ
ფაქტად რჩება, რომ აყვავებული ად-
გილები მოსახლეობისაგან დაიცალა
(ო. ჯაფარიძე).

მტკვარ-არაქსელი მიგრანტები.

მიგრაცია თავიდანვე მასიური უნდა
ყოფილიყო. უგზოობის დროს უცხო
მიწისაკენ ვერ დაიძვროდა მცირე
ნაკადი – ერთეულებს დაღუპვა ელო-
დათ. ბოლოს მოუღებდათ შიმშილი
ან დამხდურის ისარი.

თან უნდა წაეყვანათ ბავშვები,
ქალები, მოხუცები, ცხვარი, ძროხა
თუ ძაღლი, წაეღოთ შრომისა და
ბრძოლის იარაღები.

ეყოლებოდათ ბელადები, რომ-
ლებიც აწესრიგებდნენ მოძრაობას,
რაც უცხენობის გამო სწრაფი ვერ იქ-
ნებოდა.

ტიგლათფილესერ I ერთ-ერთ
წარწერაში დეტალურად აღნიშნავს
თუ როგორ იკაფავდა გზას უცხო ტო-
მებს შორის, როგორ სძლეოდა ბუნებ-
რივ დაბრკოლებებს.

ის მეფე იყო და ჯარი ჰყავდა.
ხოლო ცუდად აღჭურვილ მიგრან-
ტებს, თანაც 1000 წლით ადრე, მეტი
სიმძნელე შეხვდებოდათ. მსხვერპლიც
იქნებოდა, ვიდრე რომელიმე პუნქტ-
თან შეჩერდებოდნენ. რომელიმე ად-
გილი უდაბური, რომელიმე დასახ-
ლებული ბრძოლით უნდა დაემორ-
ჩილებინათ, როგორც მოსეს 12 ტომს.

ადამიანთა მასას, რომელიც ნიაღ-
ვარივით მოედინებოდა, ცალკეული
დასახლებანი ვერ შეაკავებდნენ. ამი-
ტომ მოსახლენი უნდა დაეხოცათ, ან
– მონებად ექციათ, რომლებიც შეეშ-
ველებოდნენ გზის გაკაფვაში.

ტომთა ნაწილი ადგილზე დარჩე-
ბოდა, რადგან შეუძლებელია ყველას
ჰქონოდა ასეთი მასშტაბური ლტოლ-
ვის სურვილი ან არსებულები საამი-
სო კომუნიკაცია ვრცელ არეალში.

ეს იყო თავისებური განდევნა სა-
მოთხიდან თუ გამოსვლა ეგვიპტი-
დან ანუ ტომების დაბადება.

მოსეს ლიდერობით ებრაელები 40 წელი მიდიოდნენ ქანაანისაკენ და სისხლით შექმნეს ნაციონალური ერთობის მითოსი.

მტკვარ-არაქსიდან წასულ მასებსაც დიდი დრო დასჭირდებოდათ, ვიდრე ახალ მიწაზე ფეხს მოიკიდებდნენ. შეიძლება ეს ყოფილიყო თანდათანობითი, მრავალწლიანი გადაადგილებაც, როცა უკან სტოვებდნენ მომეტა ახალ სამოსახლოებს, სტოვებდნენ ახლობლებს.

როცა ბრიტანეთის კუნძულებზე შეიჭრნენ ანგლო-საქსები, წინ მიუძღოდათ ტყუპი ძმები – ჰენგისტი და ჰორზა.

მათ ცხენის სახელები ერქვათ:

ლიდერი აწესრიგებს და მიმართულებას აძლევს ტომებს, მათ მოქმედებასა და გადაადგილებას.

ქართველურ ტომებს არც მსგავსი ბელადები ჰყავდათ, არც მემატინე. მაგრამ, როგორც ვთქვით, სწორედ დიდი განსაცდელი, სისხლი და მსხვერპლი, ტრიუმფი ან ტრაგედია აძლევს უსახო, ინერტულ მასას ერთიან სახეს – ტომობრივს თუ სახელმწიფოებრივს.

ჩვეულებრივ, მომთაბარე მეჯლოგე ტომები იცვლიდნენ ადგილს, მაგრამ მასიური აყრა და გადასახლება იშვიათად ხდებოდა. მომთაბარენი მეომრებიც იყვნენ. მტკვარ-არაქსის ტომები უფრო მიწის მუშები ჩანან, მკვიდრ ცხოვრებას ეწევიან, თუმცა იყვნენ მესაქონლენიც.

ისინი მიდიოდნენ არა სამარცვა-ვად, არამედ – სიცოცხლის გადასარჩენად.

ბარბაროსული ტომების მოძრაობა, გადაადგილება, მშვიდობიანი თუ აგრესიული, სამოვრების სამეგ-

ნელად თუ სამარცვა-ვად, – ხშირი მოვლენა იყო.

სუსტი ტომები, ტომთა გაერთიანებები თუ პრასახელმწიფოები მათ ვერ აჩერებდნენ. ისინიც იჭრებოდნენ უცხო გარემოში – სხვადასხვა მიზეზით, სხვადასხვა ძალითა და მასშტაბით.

ბარბაროსულ ტომთა და ურდოთა დრეიფი არ იყო ერთჯერადი ან რამდენიმეთვიანი ლაშქრობა. ისინი ათწლეულების მანძილზე იცვლიდნენ საცხოვრისს, გადადიოდნენ მთებსა და მდინარეებზე, მკვიდრდებოდნენ ახალ მიწაზე, ან – ერწყმოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას.

ასე მოხდა ინდოევროპული ტომების განფენა ევროპასა და აზიაში დღევანდელი გერმანიიდან ინდოეთამდე.

ერთი უფრო კონკრეტული მაგალითი:

მ. წ. V საუკუნის ბოლოს ალპებიდან დაემზა კელტების ურდო აპენინის ნახევარკუნძულზე, დაიკავა ეტრუსკული ციხე-სიმაგრეები და გამარცვა რომი.

IV საუკუნეებში გადავიდნენ ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

ერთი ფრთა მისწვდა დუნაის, დაარტყა ბერძნებს, გასცურა დარდანილი და დასახლდა მცირეთაში მთიანეთში.

მეორე ფრთა გადაეფარა სენას და რაინს.

ბარბაროსი კელტები მივიდნენ ოკეანემდე. დაიკავეს ბრიტანეთის კუნძულები, დაძლიეს ბისკაის ყურე და დამკვიდრდნენ პირენეებზე.

425-225 წლებში მათ შეძრეს ელინურ-ელინისტური სამყარო, მაგრამ შემდეგ ამ ქვეყნების მიერ იქნენ ასიმილირებული (არნ. ტონიზი).

მტკვარ-არაქსელების ოდისეა არ ყოფილა ასე ხანგრძლივი და მასშტაბური, მაგრამ მცირე აზიასა და წინააზიაში საკმაოდ გადაადგილდნენ და შეცვალეს დემოგრაფიული სურათიც. შეიცვალნენ თავადაც.

მიგრაციის ნაკადები. როგორც წყაროების შეჯერება აჩვენებს, პირველი მიგრანტები არიან ხურიტული ტომების წინაპრები. ისინი III ათასწლეულის შუა ხანებიდან სტოვებენ მტკვრისა და არაქსის ორმდინარეთს. მიდიან დასავლეთითა და სამხრეთით, აღწევენ დღევანდელ ერაყს, ისტორიულ კაპადოკიასა და კილიკიას, შეერივნენ ჩრდილო მესოპოტამიასა და ზაგროზის მთიანეთზე მოსახლე მონათესავე ტომებს. ურმიის ტბის მიდამოები და ჩრდილო მესოპოტამია უნდა ყოფილიყო ის ადგილი, სადაც მოხდა ხურების ეთნიკური ჯგუფისა და დიალექტების ჩამოყალიბება.

შემდეგი ნაკადი უნდა ყოფილიყო ხათური (პროტო-ხეთური).

ისინი ტოვებენ ზაგროზის მთიანეთსა და ჩრდილო მესოპოტამიას. მიდიან დასავლეთისაკენ, იკავებენ მცირე აზიის აღმოსავლეთ ნაწილს (გ. მელიქიშვილი), დრო – XXIII საუკუნე.

მათ მიჰყვებიან ინდოევროპელები, რომელთა ფორმირება მოხდა მცირე აზიაში ნესიტების, ლუვიელების, ფალაელების სახელით.

სულ ბოლო, IV ნაკადი უნდა ყოფილიყო ქართველური, ხათური განშტოება.

ისინი ჯერ არ არიან აქტიური ძალა, არ ახასიათებთ ხურიტების მსგავსი ექსპანსია და ბრძოლის უნარი.

ალბათ, იმიტომ, რომ ახლა, მიგრაციის შედეგად, იწყება მათი ენობრივ-ეთნიკური ფორმირება.

ქართველურ ტომთა წინაპრების ნაწილი რჩება მტკვარ-არაქსის არეალში, სადაც ქართული დიალექტი ენად გამოიკვეთა.

მეორე ნაწილი დამკვიდრდა ანატოლიასა და ჭოროხის ხეობაში – კოლხთა და სვანთა წინაპრები. მესამე ნაწილი, მათი განაყოფი, გადადის ბალკანეთში, პელოპონესში. მათ პელაზგებს უწოდებენ ბერძნები. ეს იყო წინარე ბერძნული მოსახლეობა, რომლის დაშლა-დიფერენცირება გაგრძელდა (რ. გორდეზიანი). მათთან უნდა ყოფილიყვნენ ხურიტული და ადგილობრივ ტომებიც.

გენეტიკოს-ანთროპოლოგები (მაგ., გერმანელი ვოლფგანგ ჰააგი) მიიჩნევენ, რომ ინდო-ევროპელთა მიგრაცია – ევროპისაკენ დაიწყო სტეპებიდან, ჩრდილო შავიზღვისპირეთიდან 4500 წლის წინათ. ამ დროს უნდა დამრულიყო მიგრაციათა ახალი დიდი ტალღაც კავკასია-ანატოლიიდან ევროპისაკენ.

ანატოლიაში პროტო-ხეთური ტომები ერთმანეთს ებრძვიან ჰეგემონისათვის, ისევე როგორც კოლხთა და სვანთა წინაპრები.

ჯერ იმარჯვებენ ბითხანა და მისი ძე ანიტა. ქუსარის მეფე (ბელადი) ბითხანამ აიღო ნესა, ხოლო ანიტამ დაანგრია ხათუსა.

მათი მთავარი ღმერთი იყო ხალმაშიტა.

შემდეგ მათ ცვლის ლაბარნას – მის მოწინააღმდეგეთა დინასტია. მათ საგვარეულო სახელად აქციეს ხუცია, იმ კაცის სახელი, ვინც დაატყვევა ანიტამ.

ისინი უზენაეს ღვთაებად აცხადებენ ასევე პროტო-ხეთურ ვურუსემუს – არინას მზის ღმერთქალს. ხათუსა კი აღადგინეს და დედაქალაქი გახდა (გ. მელიქიშვილი).

პროტოხეთებს ანათესავებენ უბიხებთან და მათ ენასთან (ი. მესაროში), ქაშქებთან და აფხაზ-ადილეველებთან (გ. მელიქიშვილი, გრ. გიორგაძე, ვ. გეორგიევი, თ. გამყრელიძე, ვ. ივანოვი, ვლ. არძინაზა, ტ. შომახოვა, ხ. პხტიკოვა), ხურიტულ ტომებთან, შემდეგდროინდელ ქაშაგებთან და ვაინახებთან.

ხათურის განშტოება ჩანს კოლხური ნაკადიც, როგორც ცხადყოფს ტომთა სახელები და ონომასტიკა (გრ. გიორგაძე).

მაგრამ ეს ატომატურად ნიშნავს ქართველთა ნათესაობასაც.

ვ. ივანოვის აზრით, აფხაზ-ადილეველთა და ვაინახ-დადესტნელთა წინაპრები გადავიდნენ მცირე აზიიდან აპენინის ნახევარკუნძულზე და მათი შთამომავლები იყვნენ ეტრუსკები.

მიგრაციის პროცესი, ერთობლივი ბრძოლა და თავდაცვა, დაბრკოლებათა ძლევა, მსხვერპლი, სისხლი და სექსი კრავდა ცალკეულ ნაკადებს, უყალიბებდა ერთგვაროვან წეს-ჩვეულებებს, რელიგიურ წარმოდგენებს, რიტუალებს, რაც მთავრდებოდა ტერიტორიის – საარსებო სივრცის მოპოვებით.

ოთხი ძირითადი ენა. მიგრაციის შედეგად უნდა დასრულებულიყო ოთხი ძირითადი დიალექტის ენობრივი ფორმირება.

ისინი წარმოშვა განსხვავებულმა ნაკადებმა, წიაღიდან დაცილებამ. ახალი საგნები, ახალი კავშირები, დროთა მანძილზე ურთიერთიზო-

ლირებული ცხოვრება ხელს უწყობდა ენების განტოტვას. მითუმეტეს, რომ, ალბათ, ერთად მიდიოდნენ მონათესავე ტომები.

შეიძლება იყო სხვა ენობრივი ბირთვიც, მაგრამ ისტორიის სიღრმიდან რამაც გამოაღწია, ის არის რეალობა.

ამრიგად, III-II ათასწლეულთა მიჯნაზე ნათესაურ და გეოგრაფიულად ახლობელ ტომთა სიმრავლიდან უნდა გამოკვეთილიყო ოთხი ეთნიკური ჯგუფი, რომლის გამოხატულებაც ოთხი ძირითადი ენა, როგორც თვლიან სპეციალისტები:

1. ხურიტული – მისგან წარმოიქმნა ურარტული → ალბანური → ნახურ-დადესტნური;

2. ხათური – მისი განაკადის გაშლაცა ქაშქური → ქაშაგური → აფხაზურ-ადილეური; ახალი თვალსაზრისით, ხათური არის წინაკოლხური ენა (გრ. გიორგაძე, ნ. ხაზარაძე, ლ. გორდეზიანი).

3. ხათურიდან გამოსული ქართველური – იყოფა მოსოხურ-მესხურ (ქართულ), სვანურ და კოლხურ ენებად (გ. დეეტერსის სქემით, ქართველური იშლება სვანურ და ქართულ ენებად. ქართულს გამოეყოფა კოლხური, კოლხურს – მეგრული და ლაზური). ზოგიერთი მეცნიერი (მაგ., რ. გორდეზიანი) მას განაკუთვნებს პელაზგურსაც.

4. ინდოევროპული – აქედან გამოდის ნესიტურ-ხეთური, ლუვიური, ლიდიური, ფალური.

ახალი ისტორიული ქარტეხილები დაშლის ამ ენებსაც, რაც ეკუთვნოდათ ყველაზე ძლიერ და მრავალრიცხოვან ტომებს.

ეს იქნებოდა ტრანსფორმაციის ზიგზაგოვანი პროცესი – ზოგი ტომი გადაშენდა, ზოგი – ნაკლებად განვითარდა ან ძირითადი პლასტიდან რომელიმე შტო გამოიყო.

განაყოფი ტომები მთელი ნაწილია. ისინი ცალმხრივად ავითარებენ ძირითად ბირთვს, დიალექტებს აქცევენ ენებად და ასე თანდათან სცილდებიან საწყის ფუძეს, ზოგჯერ იმდენად, რომ ჭირს ნათესაური კავშირების მიგნება; ჰკარგავენ დიდ ტრადიციებსაც და მიდიან დეგრადაციის გზით, მაგ., ძველი ეგვიპტელების შთამომავლები არიან თანამედროვე კობტები, რომლებმაც დაივიწყეს წინაპართა ენა, რელიგია, დაკარგეს სახელმწიფო, თუმცა არ გადაშენდნენ და შეეფარნენ ქრისტეს სჯულს.

ეროვნულ-ეთნიკური კატასტროფის შედეგად ნადგურდება ელიტა, ქურუმთა კასტა და ტრადიციას აგრძელებენ პლეზეური ნაკადები, დიალექტებისა და მცირე კულტურის მქონენი.

ასე უნდა დაცემულიყო მტკვარ-არაქსელთა ელიტა და კულტურაც, ან გადაგვარებულიყო ხათების მსგავსად (იხ. „ხეთური ფედერაცია“).

ჭოროხის ხეობასა და ზღვისპირეთს იკავებენ სვანთა და კოლხთა, ხოლო მცირეაზიაში მკვიდრდებიან აფხაზ-ადიღეველთა შორეული წინაპრები. მათ წრეში უნდა ყოფილიყვნენ და განეცადათ ენობრივი ზეგავლენა სვანურ ტომებს.

აქ ქაშქების (ქასქების) სახელით მოხდა ერთი ნაკადის ფორმირება, როცა არაინდოევროპელი ხათები ჩაძირეს ინდო-ევროპელმა ნესიტებმა და თავად იწოდნენ ხეთებად.

ქაშქუ ხათურ ენაზე მთვარის ღვთაებაა (გრ. გიორგამე) ანუ მთვარე იქნებოდა ხათების განაკადთა შთამომავალი ქაშქების მთავარი ღმერთი, რომლის კულტი მტკვარ-არაქსიდან უნდა წაედოთ (ხურიტული ქუშუმთვარე).

ცხადია, მაშინ მკვეთრი სხვაობა არ იქნებოდა ხურიტულ და ხათურ ენებს შორის.

ეს სიახლოვე და მსგავსება დრომ და გარემომ მინიმუმამდე დაიყვანა, რასაც პოულობენ სპეციალისტები.

ძვ. წ. III-I ათასწლეულებში მთელს კავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში, მესოპოტამიასა, ირანსა და ეგვიპტეში ცხოვრობენ მხოლოდ სამი ენობრივი ოჯახის ტომები და ხალხები – სემიტები, ინდოევროპელები, იბერიელ-კავკასიელები.

ცალკე არიან ხათური, შუმერული და ელამური ენები.

არც მანამდე, არც შემდეგ ახ. წ. XI საუკუნემდე არავინ შემოდის.

ბუნებრივია, რომ მათი, ვინც არ არის სემიტი ან ინდოევროპელი, დაკავშირება ვცადოთ იბერიელ-კავკასიელებთან.

ამიტომ ეძებენ მსგავსებას და სიახლოვეს შუმერულთან (მაგ., ივ. ჯავახიშვილი), ელამურთან (მაგ., გ. მელიქიშვილი), ხათურთან (მაგ., ვ. ივანოვი, ჰ. ფენრიხი, გრ. გიორგამე).

ხათები არ არიან არც სემიტები, არც ინდოევროპელები.

ესეც არის ერთ-ერთი ირიბი არგუმენტი, რომ იბერიულ-კავკასიურ ტომთა განსახლების არეში მოქცეული ხათები მათ ნათესავებად ვიგულებოთ.

დღეს ისეა განტოტვილი იბერიულ-კავკასიური ენები, რომ არათუ აფხაზი ვერ უგებს ქართველს, და-

დესტნელებსაც არ ესმით ერთმანეთის – ამ ჩრდილოკავკასიურ ეთნოსს აქვს 20 ენა (მოსახლეობა – 1,600 ათასი, ტერიტორია – 50,000 კვ. კმ), მათგან 5 სალიტერატურო.

როგორც შენიშნავს არნ. ჩიქობავა, დადესტნურ ენებს შორის ისეთივე არსებითი სტრუქტურული სხვაობაა, როგორც, ვთქვათ, ქართველურ და დადესტნურ ენებს შორის.

ალბანელებსაც ასევე მრავალი ენა ჰქონდათ.

ამიტომ ასეთი რადიკალური დიფერენცირება დროით, რელიეფით ან თვითიზოლირებით კი არ არის გამოწვეული, არამედ – ხურიტულურარტულ-ალბანური მრავალენოვნების უძველესი ტრადიციით – კონსოლიდირების არქონით, პროტოენების შემორჩენით. ზოგი თვლის, რომ თუ არსებობდა ნათესაობა იბერიულ-კავკასიურ ტომებსა და ენებს შორის, მისი საწყისი უნდა ყოფილიყო გაცილებით შორეულ დროში, იმდენად დიდია განსხვავება. მაგრამ დადესტნური ენებიც კი იმდენად დასცილდნენ ერთმანეთს, რომ შეუძლებელია კომუნიკაცია.

ასე რომ, იბერიულ-კავკასიურ ენებში უფრო სწრაფი იყო დიფერენცირების პროცესი, ვიდრე ინდო-ევროპულ ენებში, რადგან ვერ გამოავლინეს ინტეგრირების ფაქტორი – სახელმწიფოებრივი ძალა.

პრეისტორიის ფანტომები. შეიძლება გადასახლებულ ტომთა ერთ ნაკადს, რომელთა აზიაში დარჩენილ ნათესავებს შემდეგ კოლხები ეწოდათ, განეგრძო მიგრაცია და გადასულიყო ეგვიპტეში. ისინიც ისევე დოლიქოცეფალები იყვნენ, როგორც პელაზგები და ეტრუსკები, ბასკები და იბერები.

ეს თეორია, რომელიც ევროპელი მეცნიერებისა და ნიკო მარისაგან მოდიოდა, ერთხანს ჩვენში დაამკვიდრა სიმონ ჯანაშიას ავტორიტეტმა.

XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გერმანელმა ორიენტალისტებმა წამოსწიეს ქართული და კავკასიური ფაქტორი (ლენორმანი, ლემან-ჰაუპტი, ჰომელი, დირი, ვინკელი, ჰარნაკი, მაიერი). ისევ გაიხსენეს უძველესი ცნობები.

შემდეგ ეს პათოსი პოლიტიკაში გადავიდა, რასაც განამტკიცებდა, ერთი მხრივ – ანტიცარისტული სულისკვეთება, მეორე მხრივ – მარქსისტული იდეოლოგია, მესამე მხრივ – გერმანული კულტურის, აზროვნებისა და სახელმწიფოებრიობის ძალმოსილება (მაგ., ი. ჭავჭავაძეს, გრ. რობაქიძეს, კ. გამსახურდიას სანიმუშოდ მიაჩნდათ გერმანელები).

ნ. მარისა და ევროპელ მეცნიერთა კვალდაკვალ სიმონ ჯანაშიამ მიიჩნია, რომ ექვსი ათასი წლის წინათ მცირეაზიასა და წინააზიაში, ამიერკავკასიასა, ბალკანეთის, პირენეისა და აპენინების ნახევარკუნძულებზე ერთი მოდგმის ტომები ცხოვრობდნენ – ხეთურ-იბერული.

II ათასწლეულში მათ გამოეყვნენ ხეთები და სუბარები, შემდეგ – მუსკები, თუბალები და ურარტუელები. მათი ნაწილი იყო დღევანდელი საქართველოს მოსახლეთა წინაპრები, რომლებიც განადგურებასა და ასიმილირებას გადაურჩნენ.

უკრიტიკოდ მოიხსნა ივანე ჯავახიშვილის პოპულარული ქართველურ ტომთა სამხრეთიდან გადმოსახლების თეორია, რომელიც ასევე ევროპელი მეცნიერებისაგან მოდიოდა.

ს. ჯანაშიას კონცეფცია აღადგენდა დამარცხებულ ქართველთა ნაცი-

ონალურ სიამაყეს და უჩვენებდა საბჭოთა ერებს, რომ ასეთი უძველესი და უდიდესი წარსულის მქონე ქვეყანამ წარმოშვა ახალი დროის მესია, მსოფლიოს მშრომელთა ბელადი, უდიდესი სახელმწიფოს მმართველი სტალინი, რომ ქართული ელემენტი ისევ ძალმოსილი ხდებოდა.

ასეთი სულისკვეთებით დაწერილ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოს (ს. ჯანაშია, ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი) მიენიჭა სტალინური პრემია – სსრკ-ის უმაღლესი ჯილდო. ბუნებრივად დგებოდა ოსმალებისგან მიტაცებული უძველესი ქართული მიწების დაბრუნების საკითხიც (1945 წლიდან).

მეცნიერები ცდილობდნენ ამ კონცეფციის სხვადასხვა მიმართულებით გაგრძელებასა და დაკონკრეტებას: პ. ინგოროყვა წერდა გამოკვლევას პრაქტულ ხეთურ სამყაროზე, ხეთურ-ქართველურ იეროგლიფურ დამწერლობაზე და მისგან გამოყვანილ ქართულ-ბერძნულ ანბანზე, პ. ბერაძე ჰომეროსის დაქტილური ჰეგზამეტრის ქართულ საწყისებს პოულობდა, ნ. მარი და მარისტები ყველა ენასა და კულტურაში იაფეტურ სტადიებსა და პლასტებს ხედავდნენ, შ. ნუცუბიძე პეტრე იბერს ფსევდო-დიონისე არეოპაგელთან აიგივებდა, ისევე როგორც ს. ყაუხჩიშვილი ქართველურთან – წინარე ბერძნულ, პელაზგურ მოსახლეობას; გ. მელიქიშვილი ქართულ ტომებს უნათესავებდა ლულუმბის ტომებსა და ელამურ-ზაგროსულ სამყაროს, შ. ნუცუბიძე და მ. ჩიქოვანი ამტკიცებდნენ, რომ პრომეთეს მითი ამირანის მითისაგან ისესხეს ელინელებმა; ივ. ჯავახიშვილი სკვითებსა და

სარმატებსაც ქართველურ და იბერიულ-კავკასიურ ტომთა მონათესავედ მიიჩნევდა; ქართული ანბანის შექმნას ძვ. წ. VII საუკუნეს განაკუთვნიებდა.

მატერიალურ დადასტურებასაც ხედავდნენ – ეს იყო მტკვარ-არაქსისა და თრიალეთის კულტურების აღმოჩენა (ბ. კუფტინი), კოლხური კულტურის განფენა, გათხრები მცხეთა-ბაგინეთში, უძველესი სამარხები, სამკაულები, დასახლებანი, შრომისა და ბრძოლის იარაღები, ქალაქებისა და ციხეების ნაშთები, არმაზის ბილინგვა (გ. წერეთელი).

ქართული მწერლობა არ გაჰკვიდებია პრეისტორიის ფანტომებს.

იგი უფრო მცხეთა-არმაზის გარშემო დაკონკრეტდა – თითქმის ერთდროულად იწერება კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, კ. ჭიჭინაძის „სერაფიტი“, ს. ჩიქოვანის „არმაზის აჩრდილები“, გრ. აბაშიძის „მევახ პიტიახშ“, ირ. აბაშიძის „მცხეთა“, გ. ქიქოძის „ძველი იბერიელების ფსიქოლოგიიდან“.

პოეტები და მწერლები უფრო ნაკლებად ფანტაზიორები აღმოჩნდნენ, ვიდრე ისტორიკოსები.

შემდეგ, პოლიტიკური სიტუაცია რომ შეიცვალა, ს. ჯანაშიას კონცეფციაც შეუმჩნეველად მოიხსნა: გ. მელიქიშვილმა ქართველურ ტომებს ჩამოაცილა ხურიტულ-ურარტული, როგორც ადრე ბ. ჰროზნიმ – ხეთური სამყარო.

მაგრამ ასე არ მოხდა ენათმეცნიერებაში, სადაც ნ. მარისა და მისი მოწაფე-მომდევრების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც დიდხანს აგრძელებდა არნ. ჩიქოვავა, მოულოდნელად სტალინი ჩაერია.

მარი და მარისტები ისე შერის-ხეს, როგორც გენეტიკოსები.

ნ. მარის დამარცხებით ისარგებლეს რუსმა და რუსოფილმა მეცნიერებმა და ამ დიდ მეცნიერთან ერთად უკანა პლანზე გადასწიეს იბერიულ-კავკასიური სამყარო, მისი არქაიკა, ასევე – არნ. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, შ. ნუცუბიძე, ბ. კუფტინი.

დავიწყების ნისლმა დაფარა პელაზგები, ეტრუსკები, ბასკები, ტაბალები. ველარც წარმართული ჟამის ანბანი აღმოჩნდა.

გ. მელიქიშვილს მიენიჭა ლენინური პრემია – სსრკ-ს უმაღლესი ჯილდო სტალინის შემდეგ.

ეს ხდებოდა სტალინ-ბერიას დაგმობის პარალელურად, რათა მათთვის ნაციონალური კვარცხლბეკიც გამოეცალათ.

ხრუმოვის შემდეგ, ახალი მონაცემების საფუძველზე, ისევ განახლდა ოცნება ესტრუსკებზე, ბასკებზე, პელაზგებზე (შდრ., რ. თვარაძის „ოცნება ესტრუსკებზე“).

უძველესი მედიტერანული ერთიანობა შესაძლებლად მიიჩნია რ. გორდუზიანმა. მან გამოჰყო ქართველური ენობრივი ფენა და ქართველური პარალელები წინარე ბერძნულსა და ესტრუსკულში, რაც ახსნა ქართველური ტომების მიგრაციით ეგვიპტეში III-II ათასწლეულთა მიჯნაზე.

ესპანეთში ფრანკოს რეჟიმის შეცვლის შემდეგ სსრკ-ში აქტუალური გახდა ბასკურ-ქართული ნათესაობის თემაც (შ. მიძიგური), რასაც ადრევე იკვლევდა რ. ლაფონი.

ბოლოს ამ ოცნების რეანიმაცია სცადა ზ. გამსახურდიამ („საქართველოს სულიერი მისსია“), რათა ისევ აღედგინა ნაციონალური მითოსი.

დღეს ისეა შეცვლილი სიტუაცია, ისე განდევნა სკეპტიციზმმა რომანტიზმი, რომ ჩვენთა წინაპართა კვალი არათუ ბალკანეთსა, აპენინებსა და პირენეებზე, ლამის მცირე აზიაშიც დაიკარგოს, ლამის ჩრდილო კავკასიური ენებიც ჩამოგვაცილონ.

მითის თხზვაში ბოლო წლებში პოლიტიკოსების, ლინგვისტებისა და ისტორიკოსების შემდეგ ჩაერთვნენ გენეტიკოსებიც.

ეგვიპტელი და შვეიცარიელი გენეტიკოსები ტუტანჰამონის, მისი ჩვილი ბავშვების და სხვათა მუმიებიდან აღებული დნმ-ის ანალიზით ამტკიცებენ, რომ მათი წინაპრები 9,500 წლის წინათ წასულან კავკასიიდან, სავარაუდოდ – დღევანდელი საქართველოს ტერიტორიიდან.

ამასთანავე, გენეტიკოსები მიიჩნევენ, რომ მილიონი წლის წინათ ადამიანის მაგვარი მაიმუნები აქ მოვიდნენ აფრიკიდან.

ნეოლითის (ახალი ქვის) პერიოდში მოხდა სწორედ მათი შთამომავლების გაფანტვა ევროპისა და აფრიკის მიმართულებით.

თითქოს მართლდება ჰეროდოტე, რომ ჩვენ ეგვიპტელებს ვენათესავეებით!

თითქოს მართლდება მარი, რომ იბერიულ-კავკასიური ენები სემიტური ოჯახის ენებია!

უფრო მეტიც, ჩვენი შორეული წინაპრებიდან წამოსულა მთელი ევროპეიდული – თეთრი რასა, თუმცა მაშინ არც ერი არსებობს და არც ეთნოსი!

ამერიკელი და ბრიტანელი გენეტიკოსები (მაგ., ანდრეა მანიკა) საწურბლიას მღვიმესა და კოტიას კლდეში ნაპოვნი ორი კრომანიონელის ნაშთების დნმ-ის ანალიზით

(13-10 ათასი წლის წინანდელი) ასკვნიან, რომ საქართველოს ტერიტორიიდან 5-6 ათასი წლის წინათ წასულა ევროპისაკენ პოპულაციის მეოთხე ტალღა.

ამ კრომანიონელთა წინაპრები სამხრეთ კავკასიაში დამკვიდრებულან 40-45 ათასი წლის წინათ და აქ იზოლირებულად უცხოვრიათ 20.000 წელი გამყინვარების პერიოდში.

ვნახოთ, რამდენად შეძლებენ გენეტიკოსები ანთროპოლოგების, პალეონტოლოგებისა და ლინგვისტების კონცეფციების შერყევას.

უნდა გვახსოვდეს, რომ საუკუნეები ცვლიან თაობათა დნმ-საც. მაგ., დღევანდელი თურქეთის მოსახლეობის მხოლოდ 5% უკავშირდება ალტაურ ძირებს. დნმ-ზე უფრო კონსერვატიულია ენის სტრუქტურა.

შესაბამისად – არქაული კულტურის ისტორიის კვლევა უნდა წარიმართოს არქეოლოგიურ, ლინგვისტურ და გენეტიკურ მონაცემთა ინტეგრირებით (ვ. ივანოვი).





I eri sul amanize

გვარო, ნუ გადაგვარდები

ლერი სულამანიძე რამდენიმე ათეული წელია, რაც ქართულ გვარებს იკვლევდა. მკვლევარი სხვადასხვა წლებში პერიოდულ პრესაში – საქართველოს ჟურნალ-გაზეთებში აქვეყნებდა ამა თუ იმ გვარის შესახებ არსებულ ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ხასიათის მასალებს – ნარკვევებს, სამეცნიერო ეტიუდებს, რომლებშიც წამყვანი ადგილი ეჭირა მისეულ ლინგვისტურ-ისტორიულ წიაღსვლებს, ეტიმოლოგიურ ინტერპრეტაციებს. მისი ეტიმოლოგიური ნარკვევები არის ერთგვარი მასალა ქართული გვარების ეტიმოლოგიური ლექსიკონის შესაქმნელად. აღსანიშნავია, რომ ლ. სულამანიძე კარგად იცნობდა ქართულ ლინგვისტურ სამეცნიერო წრეებს, მათ წარმომადგენლებს, განსაკუთრებით აღიარებულ ქართველოლოგს, ენათმეცნიერს, ქართული გვარებისა და სახელების, მიკრო- და მაკრო ტოპონიმიკის სპეციალისტს ბატონ ზურაბ ჭუმბურიძეს. სწორედ მასთან კონსულტირებით არკვევდა, აჯამებდა და მკითხველთა სამსჯავროზე გამოჰქონდა ამა თუ იმ გვარის შესახებ არსებული ჰიპოთეტური თუ დოკუმენტური არგუმენტირებული ეტიმოლოგიები.

სამწუხაროდ, ლ. სულამანიძე ვერ მოესწრო ამ პუბლიკაციის გამოქვეყნებას. იგი 2015 წელს გარდაიცვალა.

ამჯერად ჩვენი ჟურნალის მკითხველებს ვთავაზობთ ლ. სულამანიძის ზოგიერთი ქართული გვარის ეტიმოლოგიას. დაინტერესების შემთხვევაში ჟურნალ „პარალელის“ რედაქცია მზადაა მსგავსი პუბლიკაციების გამოქვეყნებისათვის.

რედაქციის სახელით, ბ. ცხადაძე

ადონია

1. ადონი ბიბლიური სახელია, რომლის მნიშვნელობაარის “იელოვა ჩემი ღვთაებაა” (Бинл. энци.);

2. ადონია მამაკაცის სახელია ლეჩხუმში (ა. ღლ.);

3. ადონა სახელი დადასტურებულია კოლხეთში;

4. შესაძლოა, გვარი მომდინარეობდეს იადონიდან, თავკიდურა ი-ს ჩამოცილების შემდეგ. იადონი – პა-

ტარა მაგლობელი ფრინველი, ბულბული (ქეგლ). ებრაულშიც არის სიტყვა იადონი, იქ ის აღნიშნავს მსაჯულს (Бинл. энци.).

ადონია → ადონია

იადონი → იადონია → ადონია

ალფაიძე

მომდინარეობს ალფასიძისაგან. ეს უკანასკნელი მოხსენიებულია XVI საუკუნის I ნახევრის საბუთში (პალ., I, გვ. 85). ალფასიძის ფუძეა საკუთა-

რი სახელი ალფეზი, რომელმაც გვარში მცირეოდენი ფონეტიკური ცვლილებები განიცადა.

ალფეზი → ალფეზიძე → ალფა-სიძე → ალფაიძე

არაჩემია

ძველად ბევრ ხალხში გავრცელებული იყო ცრურწმენა – თუ ოჯახში ბავშვები უკვდებოდათ, მათი შენარჩუნების მიზნით, საჭირო იყო ავი სულელების შეცდომაში შეყვანა, რისთვისაც ახდენდნენ ბავშვის დაკარგვის ინსცენირებას – იგი ქოხიდან გაჰყავდათ, „კარგავდნენ“ და უკან ბრუნდებოდნენ „სხვა“ ბავშვით, რომელსაც აძლევდნენ ამგვარ მეტსახელებს: ქართველებში – არაჩემიას (ან ნაპოვნს, აქედანაა გვარი ნაპოვნიშვილი), რუსებში – найденыш (Н. К. Никонов. შდრ. Ненашев, Ненашкин), ყირგიზებში – ტაბაღდს.

არაჩემი → არაჩემია || არაჩემიშვილი (შდრ. საპირისპირო ჩემია, ჩემინავა)

ბაგრატიონი

ბაგრატი → ბაგრატი + ანი

-ანი წარმოშობის, კუთვნილების აღმნიშვნელი ბოლოსართია. მოვიყვანოთ მაგალითები: ჩვენნიანი, თქვენიანი, თითქმის ყველა სვანური და უამრავი მეგრული გვარი ბოლოვდება -ანით (შევნიშნავთ, რომ მეგრულში ბოლოკიდური ნ იკარგება).

შემდგომ გვარში გაგრძელდა ქართული ენისათვის დამახასიათებელი ფონეტიკური სახეცვლილებანი:

ბაგრატი → ბაგრატი + ანი → ბაგრატივანი → ბაგრატოვანი ბაგრატიონი → ბაგრატიონი

შდრ.: ამ წიგნშივე იხილეთ გვარები: ჩიქოვანი, გელოვანი, ხიშტოვანი, კიტოვანი.

ბოგველაძე

გვარი შესაძლებელია წარმოშობილი იყოს შემდეგი ტოპონიმებისაგან:

1. ბოგა – სოფელი ახალციხის რაიონში;
2. ბოგვეთი – სოფელი გალის რაიონში;
3. ბოგვი – სოფელი თეთრიწყაროს რაიონში.

ბოგა → ბოგაელი → ბოგაველი → ბოგველი → ბოგველაძე || ბოგველიშვილი, ბოგოლაიშვილი, ბოგოლიშვილი, ბოგოლაშვილი, ბოგველი, ბოგვერაძე

ბოგვეთი → ბოგველი → ბოგველაძე

ბოგვი → ბოგველი → ბოგველაძე

გარაყანიძე

მიგვაჩნია, რომ გვარი მოდის ტერმინ განაყარიდან, ანუ საუბარია მასზე, ვინც ვინმეს (ძმას, სხვა ახლობელს) გაეყარა. გვარის ფუძეში მოხდა ბგერების გადაადგილება.

განაყარი → გარაყანიძე

შდრ. შეყრილაძე.

გელოვანი

გვარის ფუძეა ერთ-ერთი უძველესი ქართული საკუთარი სახელი გელა (გელი), რომლიდანაც წარმოშობილი გვარები ქვეყანაში გამოირჩევა როგორც ფორმის, ისე მათი მატარებელი ადამიანების რაოდენობითაც.

გელი (გელა) → გელიანი → გელივანი → გელოვანი → || გელოვანიშვილი, გელოვნიშვილი, გელოვანიძე, გელიაშვილი, გელიშვილი, გე-

ლიძე, გელაშვილი, გელაძე, გელავა, გელაური, გელიკაშვილი, გელიკოშვილი, გელუაშვილი, გელუკაშვილი

გერგაული

გვარის ფუძეა გიორგი. ამ სახელმა გვარში განიცადა რიგი ფონეტიკური ცვლილებებისა.

გიორგი → გიორგაული → გივრგაული → გიერგაული → გერგაული

დვალი

გვარის ფუძედ ხშირად გვევლინება ეთნონიმი, რისი დადგენაც მეტწილად სირთულეს არ წარმოადგენს. თუმცა გაცილებით ძნელი ხდება თვით ეთნონიმის ეტიმოლოგიის გამოკვლევა.

განსახილველ გვართან მიმართებით საქმე გვაქვს სწორედ ასეთ შემთხვევასთან:

ცხადია, ეს გვარი წარმოიშვა ერთ-ერთი უძველესი ქართული ტომის დვალთა (დვალეთის) სახელწოდებიდან, მაგრამ, რაც შეეხება თვით ეთნონიმის ეტიმოლოგიას, ტერმინის სიძველიდან გამომდინარე, მის გამოკვლევას მეტი ძალისხმევა დასჭირდა...

აი, ჩვენ მიერ წარმოდგენილი ვერსია:

1. ეთნონიმი დვალი სათავეს იღებს ჯერ კიდევ ბიბლიაში მოხსენიებული ტერმინ თუბალისაგან, რომელსაც მეცნიერები პროტოქართველების სახელწოდებად მიიჩნევენ.

2. თვით ტერმინ თუბალ-ტაბალისთვის ამოსავლად იქცა წყალსაცავის _ ტაბ-ის _ აღმნიშვნელი სიტყვა. ლოგიკა ასეთია _ ადამიანი პირის იდენტიფიცირებას ხშირად ახდენს მისი საცხოვრებლის, ადგილმდებარეობის მიხედვით:

მთა → მთიელი, ქალაქი → ქალაქელი, სახლი → მოსახლე, ბინა → ბინადარი და ა.შ. ასეთივე გზით მიღებულად გვესახება თუბალ-ტაბალიც – ტერმინი გამოიყენებული იქნა ტაბ-ის (→ ტბის) პირას მოსახლეთა აღმნიშვნელად. აქვე აღვნიშნავთ, რომ დღევანდელ ქართულშიც საკმაოდ არის შემორჩენილი უძველესი ტერმინ ტაბ(ა)-ის კვალი სიტყვებში: ტაბახმელა, ტაბაწყური, ტაბაკინი, ტაბარუკი, ტაბანათი, წყალტუბო, ატაბე. მკვლევარ გ. ღვინფაძეს მიაჩნია, რომ ზემოთ აღნიშნული გადასვლითი სქემის მიხედვით არის მიღებული თევზის სახელწოდებაც: ტაბ → ტაბისი → ტებისი → ტებზი → თებზი (დასავლეთ საქართველოს დიალექტებში სწორედ ეს ფორმაა შემორჩენილი, ასევე გვაქვს მსგავსი წარმოშობის სიტყვებიც: ტოფი, ტოფობა) → თევზი.

ტაბ → დაბა, დაბლობი, (თბილი – მდინარესთან შედარებით ტაში გაცილებით მაღალი ტემპერატურის მქონე წყალია!) → დაბელი → დბელი → დველი → დვალი || დვალაძე, დვალიძე, დვალიშვილი, დვალაშვილი, დვალანიძე, დვალანიძე, დვალიაშვილი

ედიბერიძე

ედიბერიძეს ი. მაისურაძე მიაკუთვნებს ბერ ძირის გვარებს. მართალია, ცნობილი არის საკუთარი სახელები ედია და ედი, მაგრამ ისინი ედიშერიდან მომდინარეობს.

ჩვენი აზრით, ედიბერიძე მიღებულია ედიშერისაგან შ-ს ბ-დ აღქმის ნიადაგზე.

ედიშერი → ედიშერიძე → ედი-
ბერიძე

ელკანაშვილი

1. ელკანა ბიბლიური საკუთარი
სახელია, (ძვ. ებრ.) ნიშნავს _ ღმერთი
ფლობს, პერობს (Библи. Энци.);

2. ელყანა || იელყანი ქართული
სიტყვაა და აღნიშნავს მომცრო ქორს
(ი. ბაგრატიონი, საბუნებ. განმ.
ლექსიკონი);

3. სვანურში არის საკუთარი
სახელი ელყან.

ელკანა → ელკანაშვილი

ელყანა → ელყანაშვილი →
ელკანაშვილი ||

ელყანაძე, ელყანიძე

ელყან → ელყანაშვილი → ელ-
კანაშვილი

ვაშალომიძე

რთული აგებულების გვარი ჩანს:
ვაშა (შდრ. ვაშაძე) + ლომი (ლომიძე).
მსგავსი აგებულებისაა ვაჩიბერიძე;
ვაჩა (ვაჩაძე) + ბერი (ბერიძე).

ვაშა+ლომი → ვაშალომიძე || |
ვარშალომიძე, ვარშალამიძე

ზამთრელი

ზამთარეთი სოფელია ჯავის რა-
იონში, გვარი ზამთრელი ტოპონიმუ-
რი წარმოშობის სიტყვაა, რომელმაც
მცირე ფონეტიკური ცვლილება გა-
ნიცადა – მასი ჩავარდა ა ხმოვანი.

ზამთარეთი → ზამთარელი →
ზამთრელი || ზამთრეული

ზღაპარაძე

ჩანს, ამ საინტერესო გვარის ფუ-
ძედ იქცა მეტსახელი ზღაპარა, რო-
მელიც უწოდეს ზღაპრების მთქმელს,
ავტორს ან შესაძლოა, უზომოდ ტრა-
ბახა ადამიანს.

ზღაპარი → ზღაპარა → ზღაპა-
რაძე

თაბორიძე

1. თაბორი მთას ჰქვია ნაზარეთ-
თან, მჭიდროდაა დაკავშირებული
იესო ქრისტეს სახელთან. საქართვე-
ლოში ჰქვია ქედს, სოფელს ცაგერის
რაიონში, ციხე-სიმაგრეს თბილისში;

2. თაბორი პიროვნული სახე-
ლიც იყო, ერქვა საქართველოს კათა-
ლიკოსს დაახლოებით VII საუკუნე-
ში.

თაბორი → თაბორიძე

თათუხაშვილი

1. თათუხი (ქართლ., მთიულ.) _
გემრიელი პური (ე. ბაბუნ., ლ. კაიშ.,
ა. ლ.);

2. თავთუხი (ქიზიყ., ლეჩხ.,
კახ.) _ ხორბლის ჯიში (ა. ლ., გ.
მაჭავარ.);

3. თავთუხი მაგარი ხორბლის
ქართული ჯიშია, სითბოს და ტენის
მოყვარული მცენარე (ქეგლ).

თათუხი → თათუხაშვილი

თავთუხი → თათუხაშვილი || |
თათხაშვილი, თათხიშვილი

იგრიაშვილი

1. იგრი-ბატონი ქართული მი-
თოლოგიის პერსონაჟია;

2. ისტორიულ წყაროებში ფიქ-
სირებულია გვარი ვიგრიაშვილი,
კერძოდ, _ ბერი ივანე ვიგრიაშვილი.
არ გამოვრიცხავთ, იგრიაშვილი მი-
ღებული იყოს ამ გვარისაგან თავკი-
დური ვ-ს დაკარგვის შედეგად.
თვით ვიგრი კი ზღვის თევზია _
ფარსა ვიგრისა მეფისასა (ქცხ. IV 108,
2).

იგრი → იგრიაშვილი

ვიგრიაშვილი → იგრიაშვილი

კალანდაძე

გურიაში ახალწელს კალანდას
ემახიან. აქედან მოდის საკუთარი სა-

ხელი კალანდა, რომელსაც არქმევდნენ ახალ წელს დაბადებულს. ამავე ძირისაა კალანდია.

კალანდა → კალანდაძე || კალანდია

კინწურაშვილი

კინწი კოლხეთში პირსახელია. კინწურა მისი მოფერებითი ვარიანტია (პ. ცხადაია. გვარები...). თუმცა ზოგიერთ დიალექტში სუფიქსი ურ აწარმოებს სადაურობის აღმნიშვნელ სახელს, მაგალითად, კაკაბეთი → კაკაბური (კახურში), სალიტერატურო ქართულში გვაქვს ქუთათური, გურული... (ბ. ჯორბ., მ. კობ.). მამასადაძე, მოსალოდნელია, რომ სოფელ კიწისაგან (მარტვილის რაიონში) მიღებული იყოს სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვა კიწური (ი. ყიფშ.), აქედან კი – გვარი.

კინწი → კინწურა (შდრ. ეწერი → ენწერი, ზეწარი → ზენწარი) → კინწურაშვილი

კიწი → კიწიური → კიწურაშვილი → კინწურაშვილი || კინწურაია, კინწურავა, კინწურია, კინწურეიშვილი

ლასარეიშვილი

1. ლასარა (მეგრ.) – სიპი, პიტალო კლდე;

2. ლასარა – მაგარი, შეუვალი, აზრშეუცვლელი კაცის ეპითეტია (პ. ცხადა.);

3. ლასარი შესაძლოა საკ. სახელ ნასარის სახეცვლილი ფორმაა (შდრ. ნემსიწვერიძე – ლეფსიწვერიძე; ნუცუბიძე - ლუცუბიძე);

4. გვარი მიღებულია ლაზარეიშვილის სახეცვლილებით.

ლასარა → ლასარეიშვილი

ნასარი → ნასარიშვილი → ნასარიეშვილი → ლასარეიშვილი

ლაზარეიშვილი → ლასარეიშვილი

მანანაშვილი

მანანა:

1. ბიბლიის მიხედვით, ტკბილი და ნოყიერი საქმელი, რომელიც ზეციდან უცვივოდან ებრაელებს უდაბნოში მათი მოგზაურობისას;

2. საბას განმარტებით, ველური თაფლია;

3. ქალის სახელია.

მანანა → მანანაშვილი || მანანაძე, მანანია, (სავარაუდოდ) მალანია.

შევნიშნავთ, რომ ი. ახუაშვილი ბოლო გვარს უკავშირებს ხერხემლის მალას. ჩვენ განსხვავებული მოსაზრება გვაქვს. მართლაც, მანანია → მალანია-ს მსგავსი გადასვლები სხვა შემთხვევებშიც შეიმჩნევა, მაგალითად, მონაზონი → მალაზონი.

მაქანდარაშვილი

1. მაქანდარა საკუთარი სახელია;

2. შესაძლოა გვარის ფუძეა სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვა, რომელიც მომდინარეობს მცხეთის რაიონში მდებარე სოფელ ქანდასაგან;

3. ფუძედ არ გამოირიცხება მექანდარეც – ქანდარების დამამზადებელი ხელოსანი.

მაქანდარა → მაქანდარაშვილი || მაქანდარიშვილი, ქანდარია

მექანდარე → მექანდარაშვილი

ნატრიაშვილი

ნატრია საკუთარი სახელია, ნანატრის მარცვალჩავარდნილი ფორმა. ასეთი სახელიც არსებობს – ნატრული.

ნანატრი → ნანატრია → ნატრია
→ ნატრიაშვილი || ნატროშვილი

ნოლაიდელი

1. ნოლას სახელწოდებას საქართველოში რამდენიმე სოფელი ატარებს. სავარაუდოდ, არსებობდა სოფელი ნოლაითიც (ი. მაის.);

2. ნოლაიდი სოფელი იყო აჭარაში.

ნოლაითი → ნოლაითელი → ნოლაიდელი

ნოლაიდი → ნოლაიდელი → ნოლაიდელი

ოქროჭელიძე

ზ. ჭუმბურიძემ გამოთქვა ვარაუდი, რომ გვარი ჭელიძე მიღებულია მჭედლიძისაგან თავკიდური მ-ს ჩამოცილებისა და ლ თანხმოვნის ჩავარდნის შედეგად. ასეთი ფონეტიკური ცვლილებების მოხდენის შესაძლებლობას, ვფიქრობთ, უტყუარად ადასტურებს გვარი ოქროჭელიძის მაგალითი.

ოქრომჭედლიძე → ოქროჭელიძე
პაიკიძე

სავარაუდოდ, გვარის ფუძე უნდა იყოს ფაიქი _ მალემსრბოლი (საბა).

ფაიქი → ფაიქიძე → პაიკიძე || პაიკაძე, ფაიქაშვილი

პაპავა

სიტყვა პაპა კაცობრიობის ლექსიკური მარაგის უძველეს ფენას განეკუთვნება. იგი მრავალ ენაში გვხვდება. მამის, ბაბუის მნიშვნელობითაც.

პაპა → || | პაპავა, პაპასკირი, პაპასკუა, პაპაშვილი, პაპიაშვილი, პაპიშვილი, პაპიძე, პაპავაძე, პაპისაშვილი

ქალიძე

1. ქალეთი (ნ. ბერძ., გზები რუსთ. ეპ. საქ.-ში);

2. ქალი _ შავ-მოწითალო (საბა);

3. შესაძლოა მოხდა გადასვლა

ქვალი → ქალი.

ქალეთი → ქალელი → ქალელიძე → (მარცვლის ჩავარდნით) ქალიძე

ქალი → ქალიძე

ქვალი → ქვალი → ქალიძე

რესულიძე

ლესა სოფელია ლანჩხუთის რაიონში. ლესური სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვაა. გვარის წარმოშობისას მოხდა მეტათეზისი.

ლესა → ლესელი (ლესური) → ლესურიძე → რესულიძე || ლესელიძე

სატანაშვილი

სატანი:

1. (თუმ., ქიზიყ., ფშ.) _ ის, რაც პურთან ერთად იჭმევა: ყველი, ერბო, ხაჭო (თ. უთურგ.);

2. ჩასატანებელი, შესატანებელი (ქვლ);

3. საერთოდ, ყველი (ა. ჭინჭარ.). ამრიგად, ჩვენი ვარაუდით, ამ გვართან მიმართებით „ემმაკეულნი“ არაფერ შუაშია, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგჯერ ქართველი კაცი ასეთ ძაღვსაც იუმორით უყურებს (ფოლკლორში კარგად აისახება) და მათ სახელწოდებებს მეტსახელადაც იყენებს, რაც გვარებშიც აისახება ხოლმე: ემმაკურაშვილი, ჭინკაძე.

სატანი → სატანაშვილი

ულრელიძე

1. ი. მაისურამის თვლის, რომ ულრელიძე ფონეტიკურად სახეცვლილი უგრელიძეა;

2. შესაძლოა, გვარი ტოპონიმური წარმოშობის იყოს. თ. ჟორდანია მოიხსენიებს თიანეთის რაიონის სოფელ უღლისას (შევნიშნავთ, რომ დღეს ამ რაიონში მდებარეობს სოფელი ცალუღელაანთკარი).

უგრელიძე → უღრელიძე

უღლისა → უღლელი → უღლე-ლიძე → უღრელიძე

მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ნაცვლად ჰაპლოლოგიის მოხდა განმსგავსება. შდრ. დავლაშელიძე → დავლაშერიძე.

უშარაული

გვარის ფუძედ იქცა ეპითეტ უში-ში, უშიშარის შეკვეცილი ფორმა.

უშიშარი → უშიშარა → უშიშარაული → (ჰაპლოლოგიით) უშარაული

ფრანგიშვილი

გარდა საფრანგეთში მცხოვრები ძირითადი ეთნოსის აღმნიშვნელისა, ფრანგს ძველად ჩვენში, ზოგადად, ევროპელის მნიშვნელობაც ჰქონდა. მაგრამ გვარის ფუძედ აღებული იქნა ამ სიტყვის სხვა, მესამე მნიშვნელობა – ქართველი კათოლიკე.

ფრანგი → ფრანგიშვილი

ფხეიძე

ეს გვარი მხეიძის ფონეტიკურად ნაცვალად ფორმას, რომელიც დამოუკიდებელ გვარად იქცა.

მხეიძე → ფხეიძე

ქავზინაძე

1. ქავზი, ქაუზი სვანური სახელებია (ა. ლ.);

2. ქავზინი (იგივე ჭაპალა) შუა საუკუნეების ციხე-სიმაგრეა ბოლნისში. მისგან მომდინარეობს სადაურობის აღმნიშვნელი სიტყვა ქავზინელი;

3. გასათვალისწინებელია ტოპონიმი ქვაზვინეთიც – იმ მთის სახელწოდება, რომელიც მდებარეობს მესხეთის ქედის ჩრდილო კალთაზე, საკრაულისა და ბჟოლისხევის აუზების წყალგამყოფზე (ქსე, X ტ.).

ქავზი → ქავზიანი → ქავზიანაძე → ქავზინაძე || ქავზიანი, ქავზინიძე, ქავზინიძე, ქავზირიძე

შდრ. დობორჯგანი → დობორჯგინიძე.

ქავაზინი → ქავაზინელი → ქავაზინელაძე → ქავზინლაძე → ქავზინაძე

შდრ. ბეთანლიშვილი → ბეთანიშვილი.

ქუთელია

გვარი ქუთელია ფონეტიკური ცვლილების, კერძოდ, ჰაპლოლოგიის შედეგად იქცა ქუთელიად.

ქუთაისი → ქუთათელია (ეს გვარი აღარ შემორჩენილა) → ქუთელია || ქუნთელია (ნ შემდგომ არის განვითარებული)

ღვინეფაძე

საქართველოში მრავლადაა გვარები, რომელთა ეტიმოლოგია ღვინოს უკავშირდება, რაც სავსებით ბუნებრივია. მაგრამ ასევე ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს ქვეყანაში ღვინის, მევენახეობის კულტთან დაკავშირებული ბახუსის, დიონისეს ფუნქციური დატვირთვის მქონე ღვთაებების არსებობაც. არის კიდევ, მაგალითად, აგუნა. რაც შეეხება მოცემული გვარის ეტიმოლოგიას, ჩვენი აზრით (ლ. სულამან., გ. ღვინეფ.), იგი, სავარაუდოდ, უნდა უკავშირდებოდეს ღვინობა (ღვინება) უძველეს ღვთაებას (გავიხსენოთ ღვინობისთვე), რომლის სახელწოდება სავარაუდოა, მამაკაცის

სახელადაც ქცეულიყო (შდრ. ხარება || ხარობა).

ღვინო → ღვინობა (ღვინება) → ღვინებაძე → ღვინეაძე

აქვე ვსარგებლობთ შემთხვევით და გამოვთქვამთ მოსაზრებას (ლ. სულამან., გ. ღვინეფ.), რომ თვით ღვინის სახელისათვის ფუძეა ხვია (ხვიარა) ტერმინი. ვაზიც ხომ სწორედ ასეთი მცენარეა! გარდა ამისა, ვფიქრობთ, ჩვენს ჰიპოთეზას ამაგრებს სხვა ფაქტებიც – ხვ (ღვ) ბგერათკომპლექსი გვხვდება ამ მიმართებით ბევრ სხვა საინტერესო ტერმინშიც:

ღვენთვა, ღვარი, ღივ (მცენარის თესლი ღივ-დება), ხვან-ჭკარა, ღვანკითი, ღვთაება, ხვითო, ხვრეპა და სხვ.

შაბერიშვილი

სავარაუდოდ, ეს გვარი უნდა მოდიოდეს ამაყად დაკარგული შაბერიშვილისაგან (შდრ. შაბერუაშვილი) ვ-ს ამოვარდნის შედეგად.

შაბერიშვილი → შაბერიშვილი || შაბერიძე

შაბურიშვილი

შაბური (შაბურა) აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში გავრცელებული სახელი იყო.

შაბური → შაბურიშვილი || შაბურაშვილი

ტაბარუკიშვილი

1. სიტყვა ტაბარუკი გვხვდება რამდენიმე დიალექტში და ძირითადად მას შეჭირვებული, უქონელი ადამიანის მნიშვნელობა აქვს, რისი მიზეზიც, ჩვენი აზრით, იკვეთება საბასეულ და სხვა მეცნიერთა განმარტებაში – გლეხი ახალმოსული (საბა, ნ. ჩუბ., დ. ჩუბ.). ლოგიკა ასეთი უნდა იყოს:

ტაბარუკი სოფელია, თბილისთან ახლოს, ლისის მიდამოებში. სავარაუდოდ, მტრის ერთ-ერთი მორიგი თავდასხმისას ამ სოფლიდან მრავალი ადამიანი აიყარა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს შეეხიზნა. ბუნებრივია, ყოფილ ტაბარუკელებს დალხინებული ცხოვრება ვერ ექნებოდათ და სადაურობის აღმნიშვნელმა სიტყვამ შესაბამისი ელფერი მიიღო;

2. გურულ დიალექტში ტაბარუკს კიდევ ერთი, განსხვავებული მნიშვნელობაც გააჩნია – ტყავის ჩანთა, ზურგზე მოსაკიდებელი, მონადირენი ხმარობენ (გ. შარაშ.). შდრ. გუდაძე.

ტაბარუკი → ტაბარუკიშვილი || ტაბარუკაშვილი, ტაბაროკიშვილი, ტაბაკურაშვილი

ტაბარუკი → ტაბარუკელი → ტაბარუკელიშვილი → (ჰაპლოლოგიით) ტაბარუკიშვილი

ჩიქოვანი

ჩიქოვანი წარჩინებულ საგვარეულოთაგანია ძველ საქართველოში. ისინი იყვნენ ოდიშის მთავრები.

გვარის ფუძედ მკვლევარები მიიჩნევენ საკუთარ სახელ ჩიქას (ი. მაის.). ამ აზრს ჩვენც ვიზიარებთ. მხოლოდ არ ვეთანხმებით მოსაზრებას, რომ გვარი ჩიქოვანი წარმოიშვა ჩიქა სახელისათვის ოვან ბოლოსართის დამატებით: ჩიქა+ოვან.

ჩვენი აზრით, გელოვანის მსგავსად, ეს გვარიც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

ჩიქა → (ჩიქა+ანი) ჩიქანი → ჩიქავანი → ჩიქვანი (დასავლეთ საქართველოში ჩიქოვანის გვარის ხალხს ზოგჯერ დღესაც ასე მოიხსენიებენ.

შდრ. ჩიქვანაია) → ჩიქვანი → ჩიქვანი || ჩიქვანი, ჩიქვანია, ჩიქვანაია, ჩიქვინაია, ჩიქვინია, ჩიქვა, ჩიქვანია, ჩიქვაიძე, ჩიქვინაძე, ჩიქვილაძე, ჩიქვილაძე, ჩიღვინიძე, ჩიქვანი

ცინცაძე

შესაძლოა, ცინცაძე გურიაში გავრცელებული სხვა გვარების მოდიფიკაციას წარმოადგენდეს:

ცინცაბაძე → ცინცაძე

ცინცქალაძე (იხ.) → ცინცქალაძე → ცინცაძე

ცინცქალაძე

ცინცქალა (გურ.) – ცოცხალი, მოძრავი, საყვარელი (გ. შარაშ.). ვფიქრობთ, გასათვალისწინებელია აგრეთვე ტერმინი ცინცხალი.

ცინცქალა → ცინცქალაძე || ცინცქალაძე

ცინცხალი → ცინცხალაძე → ცინცქალაძე

ციცქიშვილი

ციცქვი (ქიზიყ.) – ცქვიტი, მარდი. ზაგისმიერი ნ ბგერა ხშირად ქრება გვარებში -შვილის წინ, მაგალითად, ცქვიტიშვილი → ცქიტიშვილი, თუმცა არის გვარი ცქიტიშვილიც.

ციცქვი → ციციქვიშვილი → ციციქიშვილი

ცხადაძე

სავარაუდოდ, გვარი მცხვედაძის სახეცვლილებით არის მიღებული. გვარებს მცხვედაძეს, მცხვედიანს, ჩანს, ფუძედ დაედო მცხუედი – გვიან დაბადებულთათვის შერქმეული სახელი ან დამგვიანებულებისათვის – მეტსახელი.

მცხვედაძე → ცხადაძე || ცხადიაშვილი

შდრ.: გვიანაძე, გვიანიძე, გვიანიშვილი.

ცხელაშვილი

ცახი სოფელია ამბროლაურის რაიონში. გვარი ტოპონიმური წარმოშობისაა.

ცახი → ცახელი → ცახელაშვილი → ცხელაშვილი

ძამანაშვილი

ძამანა ძმის სააღერსო-მოფერებითი ფორმაა. ასე უწოდებენ მეგობარს, ამხანაგსაც.

ძამანა → ძამანაშვილი || ძამანაძე, ძამანაშვილი, ძამანაშვილი, ძამანაშვილი, ძამუკაძე, ძამასაშვილი, ძამუნაშვილი, ძამაშვილი

ძეგლიგაშვილი

1. ძეგლიგა Fთოფია ძველებური, კაჟიანი (ვაჟა, მცირე ლექსიკ.);

2. ძეგლაგა (თუშ.) – დაბალი, ჩასკვნილი კაცი (პ. ხუბ., ა. ღლ.).

ძეგლიგა → ძეგლიგაშვილი

ძეგლაგა → ძეგლაგაშვილი → ძეგლიგაშვილი

წაბელაშვილი

წიაბეთი ნასოფლარია (ქართ. სამ. ძეგლები, გვ 981). გვარი ტოპონიმური წარმოშობისაა.

წიაბეთი → წიაბელი → წიაბელაშვილი → (ხმოვნის ჩავარდნით) წაბელაშვილი

წერელაძე

წერეთი სოფელია გორის რაიონში. აქედან მოდის საყოველთაოდ ცნობილი გვარი წერეთელი (ი. მის.), მაგრამ წერეთელი გვარის გვიანდელი ფორმაა, ხოლო ადრინდელი შემოგვინახა წერელაძემ.

წერეთი → წერელელი → (ჰაპლოლოგიით) წერელი (ასეთი გვარიც

არსებობს) → წერელაძე || წერელიძე, წერელიანი

ჭოხონელიძე

ჭყონი სოფელია სამეგრელოში, საიდანაც, სავარაუდოდ, უნდა წარმოშობილიყო გვარი ჭყონელიძე (რომელიც ზუსტად ასეთი ფორმით ამჟამად არ ფიქსირდება). წარმოთქმის გაადვილების მიზნით, გვარში მოხდა შემდეგი ცვლილებები:

ჭყონი → ჭყონელი → ჭყონელიძე → ჭყონელიძე → ჭოხონელიძე

ჭყოიძე

1. ჭყონი (მეგრ.) – მუხა. შდრ. მუხაძე, მუხაშვილი;
2. ჭყონი სოფელია სამეგრელოში;
3. მიღებულია ჭყონიძისაგან ნ-ს ამოვარდნის შედეგად.

ჭყონი → ჭყონია → ჭყონიძე → (ნ-ის ჩავარდნით) ჭყოიძე

ჭყონი → ჭყონელი → ჭყონელიძე → (ჰაპლოლოგიით) ჭყონიძე → (ნ-ის ჩავარდნით) ჭყოიძე || ჭყონია, ჭყონიძე

ხარებავა

ხარება ერთ-ერთი საუფლო დღესასწაულია. ამ დღეს დაბადებულს არქმევდნენ ხარებას.

ხარება → ხარებავა || ხარებაშვილი, ხარებაძე, ხარაბაძე (შდრ. გაბედავა → გაბედაძე || გაბადაძე).

ხაჩიძე

გვარისფუძე – ხაჩიარისთავიანი ჯოხი, ჩოგანი, რომელიც გამოიყენება საბავშვო თამაშ ხაჩაობაში (ქეგლ). შდრ. ჯოხაძე, ჩოგანიძე, ჩოგანაძე.

ხაჩი → ხაჩიძე || ხაჩიშვილი, ხაჩიაშვილი, ხაჩოშვილი

ჯანბერიძე

გვარი მომდინარეობს ივან ბერიძიდან. არის გვარი იანიძე და ისტორიული წყაროებიდან ცნობილია გვარი იან ბერაძეც (პალ. II, გვ. 395).

ივანბერიძე → იანბერიძე → ჯანბერიძე

ჯანგულაშვილი

სავარაუდოდ, მომდინარეობს ივანგულაშვილიდან.

ივანგულაშვილი → იანგულაშვილი → ჯანგულაშვილი

ჯანყარაშვილი

სავარაუდოდ, მომდინარეობს ჯანყარაშვილიდან. ნიშნავს იანყარში დაბადებულს. შდრ. იანყარაშვილი.

იანყარი → იანყარაშვილი → ჯანყარაშვილი → ჯანყარაშვილი

ჯელია

ჯელია ტოპონიმური წარმოშობის გვარი უნდა იყოს. ჯელი სოფელია ოჩამჩირის რაიონში.

ჯელი → ჯელია

ჰრიკული

ჰრიკული → ხრიკული || ხრიკაძე, ხრიკვაძე, ხრიკულაშვილი, ხრიკული

შეენიშნავთ, რომ ჰ-თავკიდურიათა ქართული გვარსახელები არ არსებობს. ჩანს, ამ გვარის წარმოშობა კორექტურული შეცდომის შედეგია.

შდრ. ჰასან და აქედან გვარები: ასანიძე, ასანიშვილი; ჰუსეინ, აქედან: უსენაძე, უსეინაშვილი.





მეორე მსოფლიო ომი და „ვეფხისტყაოსანი“

შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ მრავალჯერ არის გამოცემული როგორც ქართულ, ასევე მსოფლიოს მრავალ ენაზე. მათგან გამოყოფილი ორს, რომლებსაც თარგმნის, ბეჭდვის და გავრცელების საინტერესო ისტორია აქვთ: შალვა ნუცუბიძის მიერ მოსკოვში 1941 წელს გამოცემული „ვეფხისტყაოსანის“ რუსულ ენაზე სრულ პოეტურ თარგმანს და დავით ხელაძის მიერ ბერლინში 1943 წელს ქართულ ენაზე გამოცემულ „ვეფხისტყაოსანს“.

საბჭოთა კავშირი გერმანიის მოკავშირედ გამოდიოდა და თავადაც მონაწილეობდა ევროპის გადანაწილების პროცესში. მას თითქოს საფრთხე არ ემუქრებოდა და ხალხი მშვიდად ცხოვრობდა.

1941 წელს მოსკოვში მასიური ტირაჟით გამოქვეყნდა შალვა ნუცუბიძის მიერ პატიმრობაში შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური რუსული თარგმანი „რითაც დაგვირგვინდა სტალინისათვის ესოდენ მნიშვნელოვანი მიზანი – მსოფლიომ დაინახა და დარწმუნდა, რომ დიდი ბელადი უდიდესი ცივილიზაციის მქონე ქვეყნის შვილის იყო“.

„ვეფხისტყაოსნის“ შალვა ნუცუბიძისეული რუსული პოეტური თარგმანის სულისჩამდგმელი და არაოფიციალური რედაქტორი სტალინი

იყო, რომელმაც თავად ბრძანა, რომ მისი სახელი პოემაში არსად ხსენებულიყო.

სტალინმა შალვა ნუცუბიძეს კრემლში თავად გადასცა თავისი ხელით ჩასწორებული და რედაქტირებული „ვეფხისტყაოსნის“ სასიგნალო ეგზემპლარი, რომლითაც ხელში შალვა ნუცუბიძე ომში მოსკოვის თავდაცვისათვის სიკვდილ-სიცოცხლეს ებრძოდა. შალვა ნუცუბიძეს „ვეფხისტყაოსნის“ საკმაოზე თხოვნა წაეწერა: „თუ დავიღუპე, გთხოვთ, მკვნელმა სტალინის ხელით ჩასწორებული „ვეფხისტყაოსანი“ ლიტერატურის მუზეუმს გადასცეთ“.

„გოსლიტი ზდატმა“ აღნიშნული თარგმანის პირველი და მეორე გამოცემა მასიური ტირაჟით გამოსცა, რომელიც მალე გაიყიდა. ჰონორარიც ძალიან სოლიდური იყო, მაგრამ იგი მთარგმნელს არ მიუღია.

შალვა ნუცუბიძეს დააწერინეს განცხადება, რომ „ვეფხისტყაოსნის“ რუსულ ენაზე მთარგმნელმა პროფესორმა – შალვა ნუცუბიძემ ჰონორარი მთლიანად შეიტანა თავდაცვის ფონდში. აღნიშნული გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდის“ მოწინავეში, რამაც სტიმული მისცა კულტურის მუშაკებს, თავიანთი ჰონორარი შეეტანათ თავდაცვის ფონდში და გაემდიერებინათ ქვეყნის თავდაცვა.

1943 წელს გაზაფხულზე ბერლინში ცნობილმა ქართველმა გამომცემელმა დავით ხელაძემ გერმანული მხარის დაფინანსებით, ქართულ ენაზე დაბეჭდა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც განკუთვნილი იყო მეორე მსოფლიო ომის პერიოდში გერმანელებთან ტყვედ ჩავარდნილი ქართველი ჯარისკაცებისათვის – „ლეგიონერებისათვის“. კარგა ხნის განმავლობაში ქართული საზოგადოებისათვის უცნობი იყო ინფორმაცია აღნიშნული გამოცემის შესახებ, თუმცა სპეცსამსახურებისათვის ეს ცნობილი იყო და მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა. ლეგიონერებიც ერიდებოდნენ ამ საკითხზე საუბარს. მხოლოდ სამოციან წლებში ფართო რეაბილიტაციის შემდეგ ნაწილობრივ გახდა ცნობილი.

ამ გამოცემის შესახებ სრულ ინფორმაციას ფლობდნენ ტყვედ ჩავარდნილი ქართველები, რომელთა უდიდესი ნაწილი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა.

როგორც მკვლევარებისათვის ცნობილი გახდა, „ვეფხისტყაოსნის“ ნაწილი გამოცემული იყო თავფურცლით ხოლო ნაწილი – მისგარეშე, „რადგანაც ემიგრანტთა ნაწილი არ იზიარებდა გერმანულ იდეოლოგიას“.

ლეგიონერებს თავად ჰქონდათ ამოხეული წიგნებიდან თავფურცელი, „რადგან, როგორც საბჭოთა, ასევე მოკავშირეთა ჯარისკაცები ლეგიონერებს დაემბდნენ და „ვეფხისტ-

ყაოსანი“ თავისი წინასიტყვაობით ნივთმტკიცება იყო.

საინტერესოა მკვლევართა მიერ მოძიებული ერთ-ერთი მამაცი ლეგიონერის ოჯახში მოკვლეული წინასიტყვაობა: „თავისუფლებისათვის განუწყვეტელ გმირულ ბრძოლებითა და კულტურული შემოქმედებით აღსავსე ათასი წლის სახელოვანი წარსული უზრუნველყოფს ქართველი ხალხისათვის საპატიო ადგილს ევროპის ერთა შორის. გერმანიის მეთაურობასაც ამიტომ აქვს მიზნად დასახული, დამსახურებისამებრ თავისუფალჰყოს რუსულ-ბოლშევიკური უღლიდან ეს რიცხვით მცირე, მაგრამ სულიერად ძლიერი ერი.

ახალი ევროპის ფარგლებში საქართველო გერმანიის ერთგული და თანასწორუფლებამოსილი თანამშრომელი გახდება მრავალტანჯული კონტინენტისა აღორძინების საქმეში და თავის ნაცად შემოქმედებით უნარს მიმართავს ყველა თავისუფალ ერთა საკეთილდღეოდ.

ხელახლა უნდა აღსდგეს ქართული კულტურის მაღალი დონე, რომელიც გამოსჭვივის სულმნათ შოთა რუსთაველის უკვდავ ნაწარმოებში.

დიდებული ქართველი მგოსნის თხზულების გერმანელების მიერ ეს გამოცემა უტყუარი ნიშანია ორივე ჩვენი კულტუროსანი ხალხის სულიერი კავშირისა.

ბერლინი
გაზაფხული _ 1943 წ.”





 *demur kaxuraSvil i*

მეცნიერება და რელიგია პასკალის ცხოვრებაში

სულისმიერი განსჯის მორალი
საცინლად იგდებს გონებისმიერ
განსჯის მორალს.
„აზრები“, 4.

პასკალის „მემორიალში“ კარგად ჩანს ავტორის წინააღმდეგობრივი ალთქმა მეცნიერებისა და რელიგიისა, ფილოსოფიისა და თეოლოგიისა. „მემორიალში“ პასკალი საკუთარ თავს ებრძვის. ნებისმიერი ჩვენგანის ცხოვრებაც წინააღმდეგობრივია, არასწორხაზოვანი, რადგან ჩვენი ბედი მარტო ჩვენს ხელთ არაა-გარემოება (დრო, საზოგადოება...) დიდ გავლენას ახდენს პიროვნების ბედზე. პასკალის „მოქცევები“ ამის დასტურია. საკუთარ ცხოვრებაში ამას, უბრალოდ, ვერ ვამჩნევთ, პასკალის ბიოგრაფია კი კარგადაა შესწავლილი, ამიტომ ჩანს.

მე ღრმა პატივს ვცემ მათ, ვისაც ღმერთი სწამს და მათ, ვისაც ღმერთი არ სწამს, რადგან ასეთ პირად არჩევანს შემთხვევით არ აკეთებენ. რაც შეეხება ღმერთის არსებობა-არ არსებობას, მთელი ცივილიზაციის შეგნებული ცხოვრების-60 საუკუნის მანძილზე დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება არ ეყოფა მის გადაწყვეტას. უფრო მეტიც-ამ საკითხს კაცობრიობა, ალბათ, ვერასოდეს გადაჭრის, რადგან მისი ამოხსნა უკავშირდება სამყაროს შექმნა-არსებობას, რომე-

ლიც ურთულესია ყველა დასმულ საკითხთა შორის... თუმცა ასე ძალიან გვჭირდება სამყაროს წარმოშობის ამოხსნა, როცა დედამიწაზე ჯერ კიდევ გვშია, გვწყურია და გვცივა? განა „მიწიერი“ საკითხები უკვე გადავჭირით, რომ სამყაროს პრობლემებს ვეპოტინებით?

პასკალის აზრებს შეიძლება დავეთანხმოთ, შეიძლება უარვყოთ – „გემოვნების“ საკითხია, მაგრამ ფილოსოფოსის დამსახურება სხვაშემან შეძლო დავეფიქრებინეთ ცხოვრების არსზე, აგწვია ცხოველურ დონეზე მაღლა, გაგვხადა უფრო მოაზროვნენი. ის, რაც პასკალმა მეცნიერებაში შექმნა, ჩემთვის მისაღებია; რაც რელიგიაში-მიუღებელია, უბრალოდ, არარაციონალურია. პასკალის გენიალობა ღვთისმოსავ ტრაქტატებში კი არა, კოსმოსის მისეულ ალთქმაშია. მან დაინახა და თქვა ის, რაც სხვებმა ვერ გაბედეს. მან შეხედა ცარგვალს, ჩვენ კი თავის აწვეის გვეშინია-პასკალი ბევრად თამამია ჩვენზე.

მეცნიერები თვლიან, რომ პასკალის ღვთისმეტყველების არგუმენტები ორდინალურია, ზოგი-საეჭვო, ზოგიც-სად აზრს მოკლებული. დღეს

მისი ქადაგებები ირონიულ ღიმილს იწვევენ. სხვა საქმეა ფილოსოფიური აზრები სამყაროზე, ადამიანზე, ყოველდღიურობაზე. პასკალის კრიტიკული აზროვნება ამ მიმართულებებით სამაგალითოა დღესაც და, შესაძლოა, არც არასოდეს დაძველდეს. პასკალი ადამიანს-პიროვნებას უპირისპირებს არა საზოგადოებას, კოლექტივს, როგორც, მაგ., ვაჟა ფშაველას აქვს, არამედ-სამყაროს! ადამიანს უპირისპირებს უკვდავებას და მოკვდავობას, მარადიულს და ცვლადს, რწმენას და ურწმენობას,... პასკალი უნებლიეთ ეხება რევოლუციას და ევოლუციას...

ფრიად საყურადღებოა პასკალის აზრი მეცნიერებაზე და თავის ადგილზე მასში: „მე ბევრი დრო შევადიე განყენებულ მეცნიერებათა შესწავლას, მაგრამ რაკი ბევრი ვერა შევიძინე რა, ბოლოს გული ავიყარე მათზე. მერე ადამიანის შესწავლას მივყავი ხელი და მივხვდი, რომ განყენებული მეცნიერებანი სრულიად უცხოა ჩვენთვის, ვინაიდან მე-მათ მგოდნეს-უფრო ნაკლები მესმის, რა ადგილი მიჭირავს სამყაროში, ვიდრე იმას, ვისაც წარმოდგენაც არა აქვს მათზე.“ „აზრები“, 118. მეცნიერებაში პასუხები ახალ, უფრო მეტ კითხვას ბადებენ. სხვანაირად მეცნიერება წინ ვერ წავიდოდა; ასეც უნდა იყოს, რატომ უკვირს პასკალს? მეცნიერება ამოუწურავია. ჩვენ არასრულყოფილები ვართ, რომ საკუთარი პოტენციალი ვერ გამოვავლინეთ პასკალის დონემდე, მაგრამ ბედნიერნი ვართ, რომ შევძელით პასკალის სიმაღლის აღთქმა, დავაფასეთ ის. დაინახო სხვაში დიდება, რომელიც განგების წყალობით შეიძლება შენც გრგებოდა,

ბედნიერებაა. შენი მოდგმის წარმატება განა შენი წარმატებაც არაა?

რა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ პასკალის „აზრები“ ჭეშმარიტებაა? განა პასკალი ისეთივე ორფეხა ცხოველი არ არის, როგორც ჩვენ? მისი ტვინი ჩვენსაზე ორჯერ მეტია თუ სამჯერ მძიმეა? ბევრ ადამიანს მოსდის თავში საინტერესო აზრები, მაგრამ ისინი მათ არ აფიქსირებენ პასკალივით. ამიტომ ჩავთვალოთ ისინი პასკალზე ნაკლები ჭკუის პატრონებად? აზრები, შესაძლოა პასკალზე და სხვა ფილოსოფოსებზე უკეთესი, სხვებსაც მოსდით თავში, მაგრამ მათ ცივილიზაცია არ მიიჩნევს გენიოსებად იმ უბრალო მიზეზით, რომ მათ შესახებ... არაფერი იცის (!). პასკალმა, არისტოტელემ, პლატონმა, ჰეროდოტემ, სოფოკლემ, რუსთაველმა, შექსპირმა და სხვებმა შესძლეს თავის ნააზრევის დაფიქსირება. ამაშია მათი დამსახურება კაცობრიობის წინაშე.

რატომ მოგვწონს პასკალის „აზრები“? იმიტომ, რომ პასკალის აზრები სინამდვილეში ჩვენი აზრებია, პასკალის ენით გამოთქმული. განა კი რას იტყოდა პასკალი განსაკუთრებულს, ისეთს, ჩვენ რომ არ გვაწუხებდეს ყოველდღე ან ხანდახან მაინც? აღთქმის რა ფენომენი ექნებოდა პასკალის ტვინს ჩვენგან განსხვავებული? პასკალმა, უბრალოდ, შესძლო სახალხო საფიქრალის დაფიქსირება ქაღალდზე, დამუშავება და ისეთი სახით წარმოდგენა, რომელიც ჩვენი სულის სიმებს შეეხო. განა კი მწერალი სხვა რა არის! აი აქ, აზრის შექმნა-დამუშავება-გადმოცემაში დევს ფრანგი ფილოსოფოსის სახალხო წარმატების საიდუმლო. თუმცა რა საიდუმლოა ის, რაც ყველამ კარგად ვი-

ცით, მაგრამ გამოთქმას ვერ ვახერხებთ?!

„პასკალი შეიძლება გამოდგეს წარმოსახვის მოქმედების საოცარ მაგალითად ორად დაყოფილ ტვინის ერთ ნახევარსფეროში გენიალური და მეორე ნახევარსფეროში ნახევრად-შეშლილი ადამიანისა (საუბარია პასკალზე-დ.კ.). შეშლილობასაც და სიბრძნესაც თავისი განყოფილებები ჰქონდათ მის ტვინში, ერთმანეთისგან „ტიხარით“ გაყოფილი“-ლამეტრი, „ადამიანი-მანქანა“, „მსჯელობა ბედნიერებაზე“.

პასკალი მიზანდასახული ადამიანი იყო. ცხოვრების პირველ ეტაპზე მისი მოქმედების არენა იყო მეცნიერება, მაგრამ მიღწეულმა წარმატებებმა ვერ დააკმაყოფილეს მისი სულიერი მოთხოვნილება, ამიტომ თავი რელიგიას „შეაფარა“. იპოვნა იქ რამე თუ არა, არ ვიცით. უბრალოდ, ცივილიზაცია მის რელიგიურ „დამსახურებებს“ არ ცნობს (ჰქონდა კი?), სამეცნიერო დამსახურებები კი სახეზეა.

ხშირად სვამენ კითხვას, ბედნიერი იყო თუ არა პასკალი ცხოვრებაში? მოდით, ჯერ გავარკვეოთ რა არის ბედნიერება? არსებობს მისი მარტივი ხალხური განმარტება: ბედნიერებაა, როცა დილით საქმეზე მიდიხარ ხალისით ანუ აკეთებ იმას, რისი კეთებაც გინდა და საქმის შემდეგ მოდიხარ უკან ხალისით ანუ ბრუნდები მათთან, ვისთან ყოფნაც გინდა. ეს ნიშნავს, რომ საინტერესო და საჭირო საქმეს აკეთებ გარეთაც და სახლშიც, ე.ი. საზოგადოებრივი და ოჯახური ბედნიერება გაქვს. სანამ პასკალი სამეცნიერო საქმიანობას ეწეოდა, „გარეთ“ ბედნიერი იყო, „შინ“ კი რა მოგახსენოთ-დაოჯახებულყო და შვილები გააბედნიერებდნენ, ვინ უშ-

ლიდა? თუ თავი ვერ მოაბა ოჯახს, ვისი ბრალია?... მას შემდეგ, რაც მეცნიერება მიატოვა და რელიგიაში გადავარდა, „გარეთ“ ბედნიერებაც დაკარგა ანუ შინ და გარეთ უბედური გახდა. ამნაირ კაცს რელიგია უშველიდა?

პასკალს ფული აკლდა, ნიჭი თუ ცოდნა? განა მეცნიერთა წრეში მიღებული კაცი არ იყო? რატომ გაანება მათ თავი, რამ აიძულა? რას ეტმასნებოდა მაღალ საზოგადოებს, თუ არ უნდოდა, ვინ ეხვეწებოდა? ან ოჯახს რატომ არ მოეკიდა, შარლოტა არ მოეწონა? ქალს არც წოდება აკლდა, არც ფული და, ალბათ, არც სილამაზე, რადგან ხელის მთხოვნელები არ ელეოდა.. ის კი პასკალს ელოდა... გაუგებარია, ვის ეპრანჭებოდა პასკალი? მაღალი საზოგადოება ზედაპირულიაო. ჯერ ერთი, ეგ მაღალი საზოგადოება პასკალის დასაწუნი არ იყო-საკმაო ინტელექტი ჰქონდა, მეორეც, თუ ზედაპირული იყო, დაბრუნებულიყო მეცნიერებთან, არ მიიღებდნენ? ან მისულიყო „დაბალ“ საზოგადოებაში, ვინ უშლიდა?

მარია სტიუარტის არ იყოს, შოტლანდიის დედოფლობა მიწადა და ამავე დროს ქუჩის ქალივით მოიქცა. არ იცოდა, რომ დედოფლობა და ქუჩის ქალობა შეუთავსებელი იყო? იმიტომაც აუხედრდნენ შოტლანდიელები. 20 წელი ინგლისის დედოფალ ელისაბედის საპატიო ტყვე იყო და რა აკეთა ამ დროს თავისი ხალხისთვის? არაფერი! ისევ დედოფლობაზე ოცნებობდა, შეთქმულების გეგმებს აწყობდა... იყო კი ღირსი შოტლანდიის დედოფლობისა? ვიცი, ზოგიერთი შოტლანდიელი გამინაწყენდება, მაგრამ არ ვთქვა სიმართლე?

ასეა პასკალიც. განგებამ ასეთი ნიჭი მოგცა, გაგიმართლა მეცნიერებაში... რა მიგარბენინებს ეკლესიაში? გამოიყენე ეგ ნიჭი მეცნიერებაში-შენთვისაც ხეირია და ქვეყნისთვისაც... არა, 24 საათი უნდა ილოცოს! ჰაერი გაარხიოს? გინდა თუ არა, უნდა ვიტირო, რომ უბედური ვარო, აცხადებდა პასკალი. რატომო? იმიტომ, რომ მოვკვდებიო. კი მაგრამ სხვებიც ხომ მოკვდავნი არიან და რატომ არ ტირიანო? მიდი და ამის მერე ჭკუა ჰკითხე დიდ ფიზიკა-მათემატიკოსს; რა ლოგიკაა მის ტირილში? ტრაგიკული ბედი მაქვსო, რომ ამბობს, არ რცხვენია? დალოცვილო, არ გშია, არ გწყურია, თავზე არ გაწვიმს და არ იყინები; ხელი არ გაკლია და ფეხი, ნიჭიც გაქვს და ფულიც... მიდი, საქმე აკეთე, რა თავში იცემ ხელს? პასკალის ტირილის მოტივაცია გაუგებარია, აუხსნელი, დაუსაბუთებელი...

სიცოცხლის ბოლო წლებში პასკალის პარიზელი კარის მეზობლები მას გიჟად, ჭკუიდან გადაცდენილად თვლიდნენ, თუმცა სინამდვილეში ცივილიზაციას იშვიათად ჰყოლია მისი გონების დარი ადამიანი. იტყვიან, სხვა სხვის ომში ბრძენიაო. ფუთი მარტილი უნდა შეეჭამათ იმ კარის მეზობლებს პასკალთან ერთად, რომ მის სულსა და გონებაში გარკვეულიყვნენ. მხოლოდ სიკვდილიდან ათეული წლების მერე გამოჩნდა მისი გენიოსობა, რომელიც დროთა განმავლობაში აჩქარებას იძენს მთიდან დაგორებული ზვავივით.

სამწუხაროა, რომ პასკალის ყოველდღიურობას ბედნიერებას ვერ დავარქმევთ ცხოვრებისეული გაგებით. ამ შემთხვევაში ათეულ წლობით და საუკუნეობით დაგვიანებული მსოფლიო აღიარება ბნელის გამკვალავ კაცისთვის უკან დადევნებულ ლამპარს ჰგავს-რაში არგო პატივმა და დიდებამ სიკვდილის შემდეგ? ალბათ, ვერავინ შეაფასებს პასკალის გულის ტკივილს, როცა თავისი „აზრების“ გამოუქვეყნებელ ხელნაწერებზე მუშაობდა. სამწუხაროდ, ცივილიზაციამ ბევრი იცის სიკვდილის შემდეგ დაფნის გვირგვინით შემკობის მაგალითი. მოსკოვის ტაგანკის თეატრის დიდი (სწორედ რომ დიდი!) დრამატული მსახიობი ვლადიმერ ვისოცკი (მისი თამაში თბილისშიც გვინახავს) 700 ლექსის ავტორი იყო, რომლებსაც უდიდესი წარმატებით ასრულებდა ესტრადაზე გიტარის თანხლებით. მთელი საბჭოთა კავშირი მღეროდა (ახლაც მღერის!) მათ-მეტი აღიარება შეიძლებოდა? ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებმა კი არაპოპულარობის მოტივით (?) 700-დან მხოლოდ 2 ლექსი გამოუქვეყნეს (!). რით განსხვავდებიან ეს რედაქტორები პასკალის მეზობლებისგან? დაბრმავდნენ?

უნდა ვუსურვოთ კაცობრიობას მსგავსი შეცდომები ნაკლებად დაუშვას-თავს სინანული სჯობია ბოლოჯამ დანანებას!





daviT j o j u a

ევრაზიული კავშირი და პოსტსაბჭოთა სივრცე

პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის დომინირებული პოზიციის აღდგენა რუსეთის პრეზიდენტის, ვლადიმერ პუტინის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. სწორედ აღნიშნულს მისაღწევად შეიქმნა ევრაზიული კავშირი, რაც რუსეთის სახელმწიფოს ინტერესების გამტარებელი და კრემლის პრინციპების მიხედვით ჩამოყალიბებული ეკონომიკური თანამეგობრობაა. მის წევრებს გააჩნიათ რუსეთთან ვაჭრობის პრივილეგიებული სტატუსი, თუმცა პოლიტიკურ პრიორიტეტებს მოსკოვი აწესებს. მისთვის მთავარია, რომ ევრაზიული კავშირის საშუალებით შეინარჩუნოს კონტროლი მისთვის სტრატეგიული მნიშვნელობის ტერიტორიულ ერთეულებზე, რომელთა შორის უპირველესია ყირიმი და სევასტოპოლი, სადაც რუსეთის სამხრეთის ყველაზე მნიშვნელოვანი სამხედრო-საზღვაო ბაზა მდებარეობს.

მოსკოვმა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია საგარეო პოლიტიკის სფეროში. 2007 წელს, თებერვალში, როდესაც მიუნხენის კონფერენციაზე გამოსვლისას ვლადიმერ პუტინმა ჩამოაყალიბა რუსული საგარეო პოლიტიკის ახალი კურსი, იგი ითვალისწინებდა აგრესიულ და გაბედულ ნაბიჯებს ყოფილ საბჭოთა კავშირის, ევროპის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და არქტიკასთან დაკავშირებით. საქართველოსთან 2008 წლის აგვისტოს ომი მნიშვნელოვანი დას-

ტურია რუსეთის თვითდამკვიდრების აგრესიული გზის არჩევისა, რომლითაც ჩანაფიქრისკენ აღებული გეზით მიემართება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთის მთავრობა საშინაო თუ საგარეო პოლიტიკაში უამრავი პრობლემის წინაშე დადგა, თუმცა ბორის ელცინის პრეზიდენტობის პერიოდში არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება ამ კუთხით. ვლადიმერ პუტინის ქვეყნის სათავეში მოსვლამ კი დიდი ცვლილებებიც მოიტანა. მისი გამჭრიახი გონების მეშვეობით მან თავდაპირველად საშინაო პოლიტიკაზე იზრუნა და რუსეთისა და პირადი ინტერესების სასიკეთო რეფორმებიც გაატარა.

საგარეო პოლიტიკაზე მძაფრად ზრუნვა იმ დროს დაიწყო, როდესაც რიგ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ე.წ. რევოლუციები განხორციელდა და ევროპისაკენ მავალ გზაზე მორიგი ნაბიჯები გადადგეს. როგორც უკვე აღვნიშნე, ვლადიმერ პუტინის მიზნები აღნიშნულ სივრცესთან დაკავშირებით იმთავითვე ცხადი გახლდათ. ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის კვლავ შემოსაზღვრა და ერთი მმართველის ქვეშ მოქცევა ძლიერ სურვილად ექცა. დამადასტურებელ უამრავ მაგალითს კი ამ დროიდან დღემდე ბევრს შევხვდებით თემაში. ევრაზიული კავშირის შექმნაც სწორედ ამ მიზანს ემსახურება. საინტერესოა ევრაზიული კავშირისა

და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების ურთიერთობა, მათი დამოკიდებულება რუსეთის ქმედებებისადმი, რომელსაც იგი ახორციელებს საკუთარი მიზნის განხორციელებისაკენ მავალ გზაზე.

ევრაზიული კავშირის შექმნამდე რუსეთმა გარკვეული საგარეო პოლიტიკა აწარმოა ყოფილი საბჭოთა სივრცის ქვეყნების მიმართ. ვლადიმერ პუტინის მიერ განხორციელებული საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის კვლადაკვალ საქართველოში, უკრაინასა და ყირგიზეთში ე.წ. ფერადი რევოლუციები მოხდა, რამაც დაადასტურა, რომ კრემლს აღნიშნული პოლიტიკური მიდგომა უნდა შეეცვალა. შესაბამისად, პრეზიდენტმა მოქმედების ტაქტიკა შეცვალა, რამაც გაამართლა კიდეც. პუტინმა საგარეო პოლიტიკაში ეკონომიკის როლი გაამლიერა. ოლიგარქების მემწეობით კრემლმა შექმნა ალიანსი, რომელშიც შედიან რუსეთის უმსხვილესი კომპანიები – „გაზპრომი“, „როსნეფტი“, „ლუკოილი“, „რაოეისი“, „რუსალი“ დაა.შ. ალიანსი აკონტროლებს ენერჯეტიკის სექტორს რუსეთის მეზობლების უმეტესობაში.

ჩემი აზრით, პუტინის ეს ნაბიჯი განმსაზღვრელი გახდა მისი მომავალი მიდევნებისა საგარეო სფეროში.

უზბეკეთის პრეზიდენტი ისლამ კარიმოვი პუტინის ერთ-ერთი უახლოესი მოკავშირე გახდა. მან დააფასა რუსეთის დახმარება, რაც ოპოზიციის შევიწროებასა და დასავლეთთან მისი რეჟიმის დაცვას გულისხმობდა ქვეყანაში გაუარესებული ადამიანის უფლებათა მდგომარეობის გამო. ასევე, უმსხვილესმა უზბეკურმა კომპანიებმა დადეს გრძელვადიანი თანამშრომლობის ხელშეკრულებები რუსეთის „გაზპრომსა“ და „ლუ-

კოილთან“ აღნიშნულ სახელმწიფოში არსებული გაზის საბადოების ერთობლივ ათვისებაზე.

ვფიქრობ, უზბეკეთი არა მარტო მაღლიერების გრძნობის გამო გახდა კრემლის მეგობარი, არამედ ეს მის ეკონომიკურ თუ საგარეო პოლიტიკურ უსუსურობაზე მიუთითებს.

რაც შეეხება ყაზახეთს, იგი კორუფციაში ჩაფლული გახლდათ, თუმცა მიუხედავად ამისა ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ ქვეყანას წარმოადგენდა ცენტრალურ აზიაში. ყაზახეთის საგარეო პოლიტიკა ფრთხილი იყო, ხოლო მთავარი პრიორიტეტი ეკონომიკური ზრდა და განათლებაა. ნურსულთან ნაზარბაევი კავშირები გააბა ჩინეთთან და დასავლეთთან. რუსეთ-ყაზახეთის საზღვარი ყველაზე გრძელი სახმელეთო საზღვარია მსოფლიოში. ყაზახეთის მოსახლეობის დაახლოებით ერთი მესამედი ეთნიკური რუსია. 2002 წელს სატრანზიტო დამოკიდებულებამ აიძულა ყაზახეთი ხელი მოეწერა ყაზახური ბუნებრივი აირისა და ნავთობის რუსეთის გავლით ტრანსპორტირების გრძელვადიანი ხელშეკრულებებზე. მიუხედავად ამისა, ყაზახეთმა მაინც გამოთქვა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობ-სადენზე მიერთების სურვილი. ყაზახეთი გახლდათ სწორედ ის ქვეყანა, რომელმაც ბელორუსიასა და რუსეთთან 2014 წლის მარტში ერთად ხელი მოაწერა ხელშეკრულებას ევრაზიული ეკონომიკური კავშირის ჩამოყალიბების შესახებ, რომელიც ძალაში 2015 წელს შევიდა. ხოლო უფრო ადრე, 2011 წელს ევრაზიული საბაჟო კავშირი ჩამოაყალიბეს. აღნიშნული ტრიუმფირატი ქმნის ევრაზიული კავშირის დასაბამს, როგორც განხორციელებულ იდეას.

ჩემი აზრით, ყაზახეთს შეეძლო რუსეთისგან დამოუკიდებლად განვითარებულიყო, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფო ჩაფლული იყო კორუფციაში. დიდი ბრძოლის შედეგად ერთ დროს კორუფციაში ჩაფლულმა საქართველომ შეძლო რუსეთისგან დამოუკიდებლად განვითარება. თუმცა ყაზახეთმა, როგორც ჩანს, უფრო მარტივი გზა აირჩია და რუსეთზე უფრო დამოკიდებული გახდა.

კრემლის ძალაუფლება ყველაზე დიდია ტაჯიკეთში, გადატაკებულ ქვეყანაში, რომელიც მთლიანად რუსეთზე არის დამოკიდებული. სწორედ რუსული ჯარის დახმარებით გაიმარჯვა პრეზიდენტმა ემომალ ირახმონოვმა 1997 წელს ხუთწლიან სამოქალაქო ომში. რუსეთში არალეგალურად მომუშავე ნათესავებისგან მიღებული შემოსავლები თითქმის ერთადერთ საარსებო წყაროს წარმოადგენს ამ ქვეყნის მოსახლეობისთვის. რუსეთი გაზის წარმოებაზე კონტრაქტების საშუალებით თითქმის მთლიანად აკონტროლებს ტაჯიკეთს. ქვეყანა დიდად არის დამოკიდებული საკუთარი რესურსების მოსაპოვებლად საჭირო რუსულ ტექნოლოგიებსა და დაფინანსებაზე.

შესაძლოა ითქვას, რომ ტაჯიკეთი იმდენად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რომ, ვფიქრობ, მისთვის უკეთესიც კი არის რუსეთთან მეგობრული კავშირი.

საბჭოთა სოციალისტური ბანაკის დაშლის შემდეგ ყირგიზეთის პრეზიდენტს გარკვეული დროის განმავლობაში დასავლეთისკენ ჰქონდა გეზი აღებული. ფიქრობენ, რომ „ტიტების რევოლუციის“ შემდეგ კორუფციაში ჩაფლული ყირგიზეთი

მზად არ აღმოჩნდა ძირეული ცვლილებებისათვის ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკურ სფეროში, თუმცა მყარი ურთიერთკავშირის დამყარება ვერც რუსეთთან მოახერხა. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ამ უკანასკნელის ვალები ყირგიზეთს საკმაო ოდენობით გააჩნია. მსხვილი საწარმოების წილების, ქარხნების და თმობისა და სახელმწიფოს ტერიტორიაზე ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის მიუხედავად, ქვეყნის ვალები უმნიშვნელოდ შემცირდა. რუსეთს დათვის ბრწყალქვეშ ჰყავს მოქცეული ყირგიზეთი.

2014 წლის დეკემბერში ყირგიზეთის ევრაზიულ კავშირში შესვლის შესახებ შეთანხმებას მოეწერა ხელი ევრაზიის უმაღლესი ეკონომიკური საბჭოს სხდომაზე. ატამბაევმა 22 მაისს ხელი მოაწერა კანონპროექტს რესპუბლიკის კავშირში შესვლის საერთაშორისო შეთანხმებების რატიფიკაციის შესახებ. ყველა სარატიფიკაციო პროცედურა ყირგიზეთის კავშირში გაწევრიანების შესახებ ამ უკანასკნელის ყველა წევრ ქვეყანაში დასრულებულია.

თურქმენეთი რუსეთის შემდეგ თავად წარმოადგენს გაზით მომმარაგებელ ქვეყანას. დიქტატორ – საფარ მურატნიაზოვის გარდაცვალების შემდეგ, შეზღუდვების დიდი ნაწილი გაუქმდა გურბანგულ იბერდი მუხამედოვის მიერ, რამაც დაასუსტა ქვეყნის იზოლაციონისტური მიდგომა. რუსეთის გავლენაც შესაბამისად უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც გაიზარდა.

რუსულ კომპანიებს უკრაინაში მსხვილი ინვესტიციები აქვთ ჩადებული და რუსულ ბუნებრივ აირზეც საკმაოდ არის ქვეყანა დამოკიდებული. მას დიდი დავალიანებაც გააჩნია

ამ უკანასკნელის მიმართ. ეს მიზეზი კრემლმა კარგად გამოიყენა 2006 წელს „გაზისომის“ დროს, როდესაც უკრაინას ზამთარში მიწოდება შეუწყვიტა, თუმცა უკრაინამ ალტერნატიული გზა გამოიყენა, რამაც ევროპა დააზარალა. შესაბამისად, რუსეთი იძულებული გახდა გაზის მიწოდება აღედგინა.

რუსეთის ამჟამინდელი პრეზიდენტი – ვლადიმერ პუტინი – ვერ შეეგუა ყირიმის ტერიტორიის „დაკარგვას“ და კვლავ მოისურვა რუსეთის ნაწილად მისი ქცევა. თუმცა, ფაქტები იმაზე მეტყველებს, რომ მოსკოვს არა მარტო ყირიმი, არამედ სრულიად უკრაინა აინტერესებს. ანექსირებული ტერიტორიები ნელ-ნელა სცდება ყირიმის საზღვარს და ფართოვდება. ეს კი პუტინის მთლიანად უკრაინისადმი მტრულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს.

2013 წლის ნოემბერში უკრაინის ხელისუფლებამ, პრეზიდენტ ვიქტორ იანუკოვიჩისა და პრემიერ-მინისტრ ნიკოლაია ზაროვის ხელმძღვანელობით, უარი თქვა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე. მაშინ, ალბათ, ვერავინ წარმოიდგენდა, რომ დაიწყო კრიზისი, რომელსაც დიდი ცვლილებები მოჰყვებოდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით. უკრაინის ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებას მოჰყვა მრავალათასიანი საპროტესტო გამოსვლები უკრაინის დედაქალაქში, რომლებმაც ევრომაიდნის სახელწოდება მიიღო. მოვლენებმა კულმინაციას 2014 წლის თებერვალში მიაღწია, როდესაც უკრაინის მთავრობამ პროტესტანტების წინააღმდეგ სნაიპერები გამოიყენა, რაც, საბოლოო ჯამში, ასზე მეტი ადამიანის მსხვერპლით დასრულდა.

პრეზიდენტი იანუკოვიჩი იძულებული გახდა, წასულიყო შეთანხმებაზე, რომლითაც 2014 წლის 21 თებერვალს ახალი მთავრობა შეიქმნა და 25 მაისისთვის დაინიშნა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები.

ის 22 თებერვალს თანამდებობიდან გადააყენეს. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა „ბატკივშიჩინას“ ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრ ტურჩინოვი.

24 თებერვლიდან კი პუტინმა უკრაინისთვის მოიცალა და ამავე დღეს ყირიმში დაიწყო პრორუსული ძალების აქციები. გამოჩნდნენ ე.წ. „მწვანე კაცუნები“, რომლებიც შეიარაღებული იყვნენ და ვითომ ადგილობრივი თავდაცვის ორგანიზებით იყვნენ დაკავებული. რეალურად კი, რუსულმა სამხედრო შენაერთებმა, რომლებიც განთავსებული იყვნენ ყირიმში, სულ რაღაც რამდენიმე დღეში ფაქტობრივი კონტროლი დაამყარეს ყირიმის ავტონომიასა და ქალაქ სევასტოპოლზე. 1 მარტს რუსეთის დუმამ უფლება მისცა რუსეთის პრეზიდენტს, საჭიროების შემთხვევაში, შეეყვანა „სამშვიდობო ძალები“ უკრაინის ტერიტორიაზე. ამავე დროს, ყირიმში შექმნილმა ახალმა მთავრობამ, რომელსაც სათავეში ყირიმში მოქმედი პარტია რუსული ერთობის ლიდერი სერგეი აქსიონოვი ჩაუდგა, გამოაცხადა რეფერენდუმი, რომელიც ჯერ უნდა გამართულიყო 25 მაისს, შემდეგ მისი ვადა გადმოიწია 30 მარტზე, ბოლოს კი გადაწყდა 16 მარტი.

რუსეთმა ოფიციალურად მიიერთა ყირიმი და ამას პრაქტიკულად არანაირი წინააღმდეგობა არ შეხვედრია უკრაინის მხრიდან.

ევროპელმა ლიდერებმა და საერთაშორისო საზოგადოების წარმომადგენლებმა, უკრაინაში მიმდინარე

მოვლენების გამო შეშფოთება გამო-
თქვეს და რუსეთს ძალადობის შე-
ჩერებისკენ არაერთხელ მოუწოდეს.
შეშფოთებას და მკაცრ განცხადებებს
მოჰყვა სანქციები.

რუსეთი „დიდი რვიანიდან“ გა-
რიცხეს. აშშ-მ და ევროკავშირმა რუ-
სულ ნავთობისა და გაზის კომპანი-
ებს სანქციები დაუწესა.

2015 წელს რუსეთი და უკრაინა
ზავზე შეთანხმდნენ საფრანგეთისა
და გერმანიის შუამავლობით. 15 თე-
ბერვალს ზავი ძალაში შევიდა. თუმ-
ცა სავარაუდოა, რომ დიდხანს ვერ
გასტანს და ბრძოლა ისევ გაგრძელ-
დება, როგორც მანამდე დადებული
ზავების შემთხვევაში. მოგვეხსენება,
ზავი ხელშეკრულების ყველა მონა-
წილის გარკვეულ ინტერესს ემსახუ-
რება. უკრაინისათვის ერთადერთი
შანსი ამ ომიდან ღირსეულად თავის
დაღწევისა დასავლეთის სიმპათიისა
და დახმარების მიღებაა. განსაკუთ-
რებით კი სამხედრო დახმარებისა.
მანამდე, უკრაინამ უნდა აჩვენოს,
რომ ყველა ძალას იყენებს მშვიდო-
ბიანი გზით ომის შეჩერებისათვის.
თავისთავად, უკრაინის პრეზიდენტი
უმოქმედოდ ვერ იქნება და ეცდება
უფრო დიდი ძალაუფლება მოიპო-
ვოს ომის აქტიურად წარმართვისათ-
ვის. იმ შემთხვევაში, თუ ზავის პი-
რობები დაირღვევა, რაც მოსალოდ-
ნელია რუსეთის მხრიდან, უკრაინა
ეცდება პარლამენტის დაყოლიებას
სამხედრო ან საგანგებო მდგომარე-
ობის გამოცხადებისათვის ქვეყანაში.

რუსეთმა კარგად იცის, თუ რა
მოტივები ამომრავებს უკრაინასა და
მათ შუამავლებს, შესაბამისად ისინი
მოლაპარაკებიდან მოლაპარაკებამდე
ცდილობენ დაპყრობილი ტერიტო-
რიის სიდიდისა და სტრატეგიული
მნიშვნელობის გაზრდას. კრემლის

საბოლოო მიზანია ე.წ. „ნოვოროსიის“
შექმნით რუსეთის ტერიტორია დაპყ-
რობილ ყირიმს დაუკავშიროს და
უზრუნველყოს ყირიმის მომარაგება,
დაცვა უშუალოდ ხმელეთზე აგებუ-
ლი სტრატეგიული ობიექტებისა და
კომუნიკაციების საშუალებით.

გერმანიისა და საფრანგეთის
მთავრობამ ინიციატივა გამოიჩინა,
რადგან ამერიკის შეერთებული შტა-
ტები მზად არის უკრაინას იარაღის
მიწოდებით დაეხმაროს. ამერიკელები
ეცდებიან დაეხმარონ უკრაინელ
ხალხს ტერიტორიული მთლიანობის
შენარჩუნებაში, ამიტომ გააქტიურდა
გერმანიის კანცლერი, რომელსაც სავ-
სებით გასაგები მიზეზების გამო დი-
დი ომის გაჩაღება ევროპის საზღვ-
რებთან აბსოლუტურად არ სურს.

მამასადამე, საზავო ხელშეკრუ-
ლება რუსეთ-უკრაინის ომს ვერ და-
სრულებს, პირიქით, იგი ბრძოლას
გაამწვავებს იმის შემდეგ, რაც ორივე
მხარე ცოტა ხნით შეისვენებს და სა-
ბრძოლო ძალებს მოიკრებს.

დღესდღეობით მათი ურთიერ-
თობა ეკონომიკური სანქციებით შე-
მოიფარგლება.

ბელორუსია საბჭოთა კავშირის
დაშლის მიუხედავად რუსეთის უახ-
ლოეს მოკავშირედ დარჩა. თუმცა ეს
მთლიანად ნებაყოფლობითი გადაწყ-
ვეტილება არ იყო. ლუკაშენკოს სურ-
და ერთიანი კავშირის შექმნა, თუმცა
ვლადიმერ პუტინი, რასაკვირველია,
არ დაუშვებდა კავშირის თანასწორო-
ბის საფუძველზე შექმნას, ამიტომ
საჭიროდ მიიჩნია პოლიტიკურამდე
ეკონომიკური ინტეგრაცია. ამ შემთხ-
ვევაში რუსეთის ეკონომიკა ლო-
გიკურია გადაფარავდა ბელორუსი-
სას. „ფერადმა რევოლუციებმა“ გა-
მოიწვია პუტინისა და ლუკაშენკოს
გაერთიანება. ამან ხელი არ შეუშალა

რუსეთს გაემძვრებინა გაზი ბელორუსისთვის. რამაც, 2007 წელს, გამოიწვია ლუკაშენკოს მიერ „გაზპრომისთვის“ ეროვნული ენერგოკომპანიის „ბელ-ტრანსგაზის“ აქციათა ნახევრის 2.5 მილიარდ დოლარად დათმობა. სანაცვლოდ „გაზპრომმა“ გაოთხმაგების ნაცვლად გაუორმაგა ბელორუსიას ბუნებრივი აირის ფასი.

პუტინი 2001 წლიდანვე მხარს უჭერდა მოლდავეთის ხელისუფლებას პრეზიდენტ ვლადიმერ ვორონინის მეთაურობით. შედეგად, მიუხედავად რუსეთის მიერ დნესტრისპირეთში სეპარატისტების მხარდაჭერისა, ურთიერთობები საკმაოდ ნორმალურად ვითარდებოდა. მოლდავეთი პოლიტიკურად და ეკონომიკურად სუსტი ქვეყანა იყო, შესაბამისად დასავლეთის პოლიტიკამ მარცხი განიცადა. ქვეყნის ეკონომიკა დამყარებულია გადაუმუშავებელი ხილისა და იაფფასიანი ღვინის ექსპორტზე, რაც რუსეთში ხდება. ყოველი დასავლეთის მიმართულებით გადადგმული მცირე ნაბიჯი რუსეთის მხრიდან ემზარგოს დაწესებას გულისხმობს, რაც ძლიერ დარტყმას აყენებს ქვეყნის ეკონომიკას. მოსკოვს გავლენა აქვს სეპარატისტულ რეჟიმზე დნესტრისპირეთში, რაც კიდევ ერთ ბერკეტს წარმოადგენს.

რუსულ ენერგოიმპორტზე ყველაზე დამოკიდებული ქვეყანა პოსტსაბჭოთა სივრცეში სომხეთია. რუსული კომპანიები ფლობენ ყველა მეტნაკლებად ღირებულ აქტივს ამ რესპუბლიკაში.

ერთადერთი გაზსადენი, საიდანაც სომხეთი ბუნებრივ აირს იღებს და ერთადერთი დერეფანი, რომლის გავლითაც სომხური ტვირთი და მგზავრები რუსეთში შედიან, საქართველოზე გადის. შესაბამისად, სა-

ქართველოს წინააღმდეგ მიმართული ნებისმიერი ქმედება რუსეთის მხრიდან ენერგეტიკულ თუ სატრანსპორტო ბლოკადაში მოქცევის სახით აზიანებს სომხეთსაც. სწორედ აღნიშნული მიზეზით დაიწყო „გაზპრომმა“ სომხეთის ირანთან დამაკავშირებელი გაზსადენის მშენებლობა.

საბაჟო კავშირის საფუძველზე შექმნილ ევრაზიულ კავშირს 2015 წლის 2 იანვარს ოფიციალურად სომხეთი შეუერთდა. ევრაზიული კავშირის წევრებს საერთო ეკონომიკური საზღვრები და საბაჟო ტარიფები აერთიანებთ. თუმცა, ერევანში ამ კავშირს ეკონომიკურზე მეტად პოლიტიკურ გაერთიანებად აღიქვამენ და სომხეთის მასთან შეერთების მიზეზებიც უმეტესად პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებს უკავშირდება. ოპოზიცია და ექსპერტების ნაწილი სომხეთში ამბობენ, რომ ევროინტეგრაციაზე უარი და ევრაზიულ კავშირში გაწევრიანება იძულებითი ნაბიჯი და მოსკოვის მხრიდან ზეწოლის შედეგი იყო.

2012 წლის ბოლომდე სერჟ სარგსიანი აცხადებდა, რომ ევროინტეგრაციის მომხრეა, იმავე პოზიციაზე იყვნენ ოპოზიციური ძალებიც. თუმცა, ოპოზიციის უდიდესმა ნაწილმა, პარტია მემკვიდრეობის წევრთა ნაწილის გარდა, შეხედულებები ხელისუფლებასთან ერთად უცებ შეიცვალა. სომხეთში ძალაუფლებისთვის ბრძოლა რუსეთზეა დამოკიდებული. თუ მთავრობამ გადაუხვია რუსეთის ინტერესებს, ოპოზიცია მიიღებს მხარდაჭერას რუსეთიდან – ფინანსებს, მედიამხარდაჭერას და ა.შ. და ხელისუფლების შეცვლას რამდენიმე კვირა დასჭირდება.

სომხეთის გაწევრიანება ევრაზიულ კავშირში ამ ორგანიზაციის ეფექტურობაზე მეტყველებს.

ვლადიმერ პუტინმა მიზნად დაისახა აზერბაიჯანთან ურთიერთობების გაუმჯობესება, რათა კასპის ზღვაში რუსურსების მოპოვების შემაფერხებელი პრობლემები გადაეჭრა. მას სჭირდებოდა აზერბაიჯანისა და ყაზახეთის მხარდაჭერა. ამ დროიდან რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის ურთიერთობები გაუმჯობესდა. თუმცა, არსებობს პრობლემა, რომელსაც მთიანი ყარაბაღი ჰქვია. რუსეთი კონფლიქტში მხარს უჭერს სომხეთს. მთლიანობაში აზერბაიჯანის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი რუსეთსა და დასავლეთს შორის ყოველთვის დაბალანსებულ პოლიტიკას ატარებდა.

უკრაინის კრიზისის გამო რუსეთსა და დასავლეთს შორის მკვეთრად გამწვავებული ურთიერთობის ფონზე, აზერბაიჯანის საგარეო პოლიტიკაში პრორუსული გავლენა თანდათან უფრო ძლიერდება, ხოლო ქვეყნის შიგნით ანტიდასავლური განცხადებები გახშირდა. საქართველოში განხორციელებული 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ მტკიცებულება გახლდათ ქვეყნის დასავლეთისა და ევროპისაკენ აღებული გეზის სიმყარისა. საქართველომ უარი თქვა დსთ-ზეც, რუსეთმა ტაქტიკა შეცვალა, მაგრამ ბოლომდე უარი არ უთქვამს საგარეო პოლიტიკაში საბჭოთა მიდგომაზე, რაც ძირითადად სამხედრო ძალასა და იდეოლოგიას ეფუძნება. ამის დადასტურება 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი გახლდათ. ამავდროულად, საქართველოს ეკონომიკის ძირითად ელემენტებზე კონტროლის გაზრდა გადაწყვიტა. 2003 წლის ივლისში „გაზ-

პრომმა“, რომელიც საქართველოში ბუნებრივი აირის უმთავრეს მომწოდებელს წარმოადგენდა, 25-წლიანი ჩარჩო-ხელშეკრულება გააფორმა საქართველოს ხელისუფლებასთან გაზის მიწოდებაზე, მილსადენების ქსელის რეაბილიტაციაზე და სომხეთში გაზის ტრანზიტზე. აგრეთვე, „რაო-ეესმა“ შეიძინა ენერჯოკომპანია „ეი-ეს-თელასი“ და რამდენიმე ჰიდროელექტროსადგური. რუსულმა „ენეშტორგ ბანკმა“ 2005 წლის იანვარში მოახერხა „გაერთიანებული ქართული ბანკის“ საკონტროლო პაკეტის შეძენა, რომლის მეშვეობითაც დაფუძნა კომპანია „ენერჯი ინვესტი“. 2005 წლის სექტემბერში ამ უკანასკნელმა შეიძინა სამხრეთ კავკასიაში ერთ-ერთი უმსხვილესი ქიმიური საწარმო „აზოტი“. 2006 წელს კი დაასრულა 100 მილიონი დოლარის ღირებულების აირტურბინული ელექტროსადგურის მშენებლობა. იმავე წელს, ივლისში საქართველოში შემოვიდა რუსეთში ყველაზე დიდი ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანია, სავაჭრო მარკით „ბილაინი“.

დღესდღეობით ევროკავშირისკენ სწრაფვა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს პროდასავლური კურსის არაც გამოიხატება ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაში. 2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩათვლით. თუმცა საზოგადოების ნაწილს მაინც მიაჩნია, რომ ევროპა საქართველოსთვის არ უნდა წარმოადგენდეს სასურველ მიზანს და რომ საქართველოს მომავალი ევრაზიული კავშირის წევრობაშია.

რეზიუმე

ევრაზიული კავშირი – ეს არის ორგანიზაცია, რომელიც რუსეთის ინტერესების გამტარებელია და კრემლის პრინციპების მიხედვით მოქმედებს. იგი მიზნად ისახავს პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნების გაწევრიანებას, როგორც რუსეთის ტერიტორიის შემავსებელ და ყოფილი საბჭოთა კავშირის აღმდგენი უმნიშვნელოვანესი ელემენტებისა. პოსტსაბჭოთა სივრცეში შემავალი (არსებული) სახელმწიფოები გარკვეულწილად დამოკიდებულები არიან რუსეთზე, შესაბამისად კრემლს გააჩნია ბერკეტები მათი მანიპულირებისა. რიგ ქვეყნებში წარმატებას მიაღწია რუსეთმა და ევრაზიული კავშირის წევრი ქვეყნების რაოდენობა ხუთამდე გაიზარდა. რუსეთი არ ერიდება არც ეკონომიკურ სანქციებს და არც ძალადობრივ მეთოდებს არაწევრ ქვეყნებში, რასაც დღევანდელი რეალობა ნათლად გვიჩვენებს.

Summary

EurasianUnion- this is an organization which conducts Russian interests and acts according the principles of the Kremlin.It's aim is to join post-Soviet countries as a replenishment of Russian territory and the main elements of rebuilding Ex-Soviet Union. Post-Soviet Union countries are partly depended on Russia, accordingly to this Kremlin has levers of manipulation. In some countries Russia has succeeded and the number of members of the Eurasian Union has increased to five. Russia doesn't feel shy for economic sanctions and even not for violence methods in nonmember countries, which is clearly seen in our reality.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ტოროშელიძე ი., „პუტინის საგარეო პოლიტიკა“. ბტკკ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, ბტკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია. თბილისი 2008.
2. სალდაძე მ., „პოსტსაბჭოთა საზოგადოება და ხელისუფლება რუსეთში. ბტკკ-პოლიტიკის კვლევის ჯგუფი, ბტკკ-ს საერთაშორისო პოლიტიკის კვლევების სერია. თბილისი 2008.
3. „ზავი, როგორც ომის გაგრძელების საშუალება“. იხილეთ: <https://state-interest.wordpress.com/tag/რუსეთ-უკრაინის-ომი/> (ნანახ.4.06.2015)
4. S. Frederick Starr, Svante E. Cornell. „Putin's Grand Strategy: The Eurasian Union and Its Discontents.“ Central Asia-Caucasus Institute & Silk Road Studies Program – A Joint Transatlantic Research and Policy Center (2014).



*murman TavdiSvil i***ვაჟა-ფშაველა როგორც რუსთველოლოგი**

მეცხრამეტე ასწლეულის ბოლო ოცი წელი, როცა სამწერლო ასპარეზზე აქტიურად მოღვაწეობს ვაჟა-ფშაველა, გამოირჩევა რუსთველის პიროვნებისა და მისი პოეზიისადმი საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღებით. საგულისხმოა, რომ სწორედ ამ ხანებში დაგვირგვინდა ვეფხისტყაოსნის ტექსტის შემსწავლელი პირველი კომისიის საქმიანობა – 1888 წელს გამოვიდა ცნობილი ქართველიშვილისეული გამოცემა. შევიხსენოთ, რომ ამ კომისიის წევრები იყვნენ გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე. საზოგადოდ, სამოციანელებს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით პოემისადმი ცხოველი ინტერესის კიდევ მეტად გაღვივებაში. ისიც საგულისხმოა, რომ აკაკიმ, მეცხრამეტე საუკუნეში პოემის ტექსტის ერთ-ერთმა საუკეთესო მცოდნემ, ლექციების ციკლიც კი წაიკითხა, სადაც დააყენა ქართველი ტომების ხასიათისა და ბუნების პოემაში გამოხატვის პრობლემა. ამ საკითხზე მოგვიანებით აკაკისა და ილიას შორის პოლემიკაც გაიმართა; ამავე ხანებში გამომცემლები ლამობენ პოემის გამოქვეყნებას; მზადდება ილუსტრაციები /მაგალითად, ზიჩისა/; მეცნიერები იკვლევენ სხვა-

დასხვა რუსთველოლოგიურ პრობლემას.

ლუკა რაზიკაშვილი, როგორც დიდი მწერალი, ამ პროცესებისაგან განზე გამდგარი ვერ დარჩებოდა; როგორც პატრიოტსა და ნიჭიერ პიროვნებას, მასაც მღვივედ აინტერესებდა მრავალი საკითხის გარკვევა. სწორედ ამის დასტურია ის ფაქტი, რომ შეთხზა ორი საკმაოდ ვრცელი წერილი. მათში მოსაწამა ნათლად გამოხატა თავისი მოსაზრებანი. აქვე ითქვას: როგორც ეს საერთოდ დამახასიათებელია კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენლებისათვის, მწერლის ყველა დებულება მკაფიო, იოლად გასაგები და მისაწვდომია. პირველი ნაშრომის სათაური ასეთია: „წერილი რედაქციის მიმართ“. ის შეთხზულია 1890 წელს; მეორე ასეა სახელდებული – „ფიქრები ვეფხისტყაოსნის შესახებ“ და შექმნილია 1911 წელს.

პირველი წერილი გამომახილია ალექსანდრე ხახანაშვილის სტატიისა, რომელიც „ივერიაში“ /1890, ##25/ დაისტამბა. ლუკა რაზიკაშვილს არ მოსწონებია ავტორის ეჭვიანი კილო და კვლევის მეთოდი.

აღნიშნული რომ უკეთ გავიგოთ, დავიწყოთ შორიდან.

რაც კი რუსთველოლოგიური კვლევის პროცესი დაიძრა, ჩამოყალიბდა მკვლევართა ორი გუნდი: პირველი კრიტიკულად, ეჭვის თვალთვლით უცქერდა პოემის ტექსტის თითქმის ყველა სტროფსა და ქვეთავს; მეორე ჯგუფი შედარებით უფრო ლოიალური გახლდათ, უფრო ფრთხილად ეკიდებოდა ყოველ სტროფს და უკიდურეს ვითარებაში თუ იტყოდა უარს რომელიმე მათგანზე.

თითქოსდა რა უნდა გვქონდეს სასაყვედურო მკვლევართა პირველი ჯგუფის მიმართ: განა კრიტიკულად არ უნდა დადგინდეს ტექსტი და მკაცრად გაცხრილული არ უნდა მივაწოდოთ საზოგადოებას? ჩვენ ხომ რუსთველის ხელიდან გამოსული ქმნილება გვაინტერესებს და არა ინტერპოლატორთა, ანუ სტროფების ჩამმატებელ-ჩამსწორებელთა, ნაჩხირკედელავები?!

მაგრამ უნდა გაცხადდეს შემდეგი:

1990-იან წლებში ზვიად გამსახურდიამ აღადგინა ერთ-ერთი ძველი ვრცელი და სანდო გამოცემა; გამოაქვეყნა საუკეთესოდ გაფორმებული. წინასიტყვაობაში ის წერს: ისტორიამ გვიჩვენა, რომ ტექსტისადმი ლიბერალური მიდგომა უფრო გამართლებული გამოდგა, ვიდრე კრიტიკული და მკაცრი.

ეს დებულება სწორია!

ჩემს წიგნში, რომელიც თითქმის ექვსასგვერდიანია და რომელსაც აღნიშნული თვალსაზრისით საგულისხმო სათაური აქვს – „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“ – მე ვუჩვენე, თუ როგორ და-ცა-ფანტეს, მიმოაბნის, გადაყარეს და მიაფუჩეს ამ ტიპის მკვლევარებმა დაახ-

ლოებით 60 სტროფი, აშკარად რუსთველის ნახელავი. 60 რუსთველური სტროფი ხომ, ფაქტობრივად, აკაკი წერეთლის პოემა „გამზრდელზე“ დიდია!

ეს იდეა განვაავითარე ჩემს წიგნში „ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები“ /1991/, მაგრამ საგულისხმოა, რომ ამ მხრივ მაგულიანებდა დიდი მგონის ვაჟა-ფშაველას ნასიბრმნი, რაიც ეხებოდა პროლოგს: „ასე მკვეთრად, ლამაზად და მოხდენილად მარტო რუსთაველი იტყოდა და სხვა – ვერავინ- /ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, 1986, გვ. 721/.

მიაქციეთ ყურადღება!

ამას ვაჟა-ფშაველა ამბობს, რუსთველის შემდეგ ყველაზე დიდი ეპიკოსი პოეტი.

რატომ მივაქციე ესოდენ დიდი ყურადღება პროლოგისა და ბევრი სხვა სტროფის ყალბად გამოცხადების ამბავს? იმად, რათა გიჩვენოთ:

ჯერ კიდევ მაშინ, დიდი რუსთველოლოგიური კვლევა-ძიების კვირამალზე, ლუკა რაზიკაშვილი მკვეთრად ილაშქრებდა ამგვარი საეჭვო მკვლევარების წინააღმდეგ. ის წერდა: „მარტო ბ-ნი ხახანაშვილი არ უცქერის ვეფხისტყაოსანს, ცოტა არ იყოს, ეჭვიანის თვალთ... სხვანიც მოიპოვებიან ჩვენში ამ აზრისანი... ეს ეჭვიანი ხალხი კარგად არ ჩაჰკვირვებია თვით თხზულებას და არ შესწევთ ძალ-ღონე ინდივიდუალური შემოქმედება გაარჩიონ“ /იქვე, გვ. 637/.

იმავე აზრს პოეტი-მკვლევარი უფრო მკაცრად მეორე წერილში ავითარებს: „ბატონ მარს მიმზამველნი აღმოუჩნდნენ – მკვლევარნი, შეჰხედეს ვეფხისტყაოსანს კრიტიკულის თვალთა: დაიწყო განქეცილებები.

ერთმა ყალბი ადგილები აღმოაჩინა, რაც მართალია, მაგრამ თავი ვერ შეიკავა და ყალბს ადგილებს ნამდვილი რუსთაველის დაწერილი ტაეპებიც ზედ მიაყოლა; მესამემ სრულიად უარჰყო ვეფხისტყაოსნის წინა და უკანასიტიყვაობა- /714/.

როგორც ვხედავთ, დიდმა მგოსანმა სწორად იგუანა, რომ ამ ტიპის მკვლევარები საქმეს ცუდად წაიყვანდნენ.

ახლა გადმოვხატეთ მომდევნო საუკუნეში და ვთქვათ სათქმელი: ცნობილმა რუსთველოლოგმა და შესანიშნავმა პოეტმა კონსტანტინე ჭიჭინაძემ მთელი ცხოვრება ამგვარ მკვლევართა წინააღმდეგ ბრძოლას შესწირა. საგულისხმოა, რომ მას ამ ქარცეცხლიან ბრძოლაში მხარს უზამდნენ სწორედ ნიჭიერი მწერალი-ეპიკოსები: მიხ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია, აკ. გაწერელია და თვით ეპიკური სახელმწიფოს შემქმნელი იოსებ სტალინი, მაგრამ, როცა მ. ჯავახიშვილი მოკლეს, ხოლო ი. სტალინი მიიღვალა, კ. ჭიჭინაძეს უნიჭო პროფესორებმა სისხლი გაუშრეს.

აქვე აღვნიშნავ: მთელი ჩემი რუსთველოლოგიური შემოქმედების ოთხმოცი პროცენტი – ეს არის შეუდრეკელი და სასტიკი ბრძოლა კ. ჭიჭინაძის ხაზის დასაცავად და ალ. სარაჯიშვილის ხაზის საწინააღმდეგოდ.

გულწრფელად უნდა მოგახსენოთ:

ამ ბრძოლაში მე უღმობელი და დაუნდობელი ვარ!

გამოგიტყდებით: სასტიკად გავაკრიტიკე კ. კველიძე, აკ. შანიძე, ტექსტის დამდგენი მეორე კომისია, ალ. ჭინჭარაული და სხვები.

ამრიგად, ყალბი თუ მართალი ადგილების პრობლემა რუსთველოლოგიის ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა.

როგორც ვხედავთ, ამ მხრივ ვაჟა-ფშაველას იმთავითვე სწორი ორიენტაცია აუღია. ისტორიამ მისი ვარაუდი გაამართლა – პროლოგი დღეს მთლიანად რუსთველის ქმნილებად არის აღიარებული. ამ მხრივ სწორუპოვარმა ეპიკოსმა მგოსანმა ბევრი ისეთი იდეა განავითარა, დღესაც რომ დროშად გვაქვს აღმართული.

თავის მეორე სტატიაში იმავე წინასიტყვაობაზე პოეტი ბრძანებს: „იცის აგრეთვე მშვენივრად ხელოვნების თეორია; ამ თეორიის ლექციას თანამედროვე პოეტებსაც უკითხავს“ /721/.

მამასადამე, პროლოგის ის ადგილები, სადაც პოეტიკური მსჯელობებია, ლუკა რაზიკაშვილს უდავოდ რუსთველისეულად სამართლიანად მიუჩნევია. კიდევ მეტი, იქვე ავითარებს ერთობ საინტერესო იდეას: „ამ წინასიტყვაობაში ყალბი ადგილებიც კი არის, როგორც, მაგალითად, ის ადგილი, სადაც ვითომ შოთა პირდაპირ მოურიდებლად სიყვარულს უცხადებს თამარს და კადნიერად ამბობს: „ანუ მომცეს განკურნება, ანუ მიწა მე სამარიო“; ეს სტრიქონები თუნდა რუსთაველისა იყოს, თამარის სიცოცხლეში ამას ვერ გამოაქვეყნებდა ვერა დროს“ /721/.

ვხედავთ: მგოსანს სავსებით სამართლიანად ჰგონია, რომ შეუძლებელია რუსთველს ინტიმური სიყვარული ჰქონოდა თამარის, ქმრიანი ქალბატონის, მიმართ. არადა, ასე ეგონა ბევრს და მითითებული ტაეპის ამგვარი გაგება დღესაც შეგვხვ-

დება /სხვათა შორის, სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს – აკადემიკოს ალექსანდრე ბარამიძეს კატეგორიულად არ მიაჩნდა მართებულად ამ ტაიპებში თამარ-რუსთველის ტრფიალების დანახვა/; მაშასადამე, ბევრს რაც დღესაც ვერ გაუგია, უკვე 1911 წელს შეგნებული ჰქონდა ლუკა რაზიკაშვილს. ჩემს წიგნში, რომელიც 80 წლის მერე, ანუ 1991 წელს, გამოქვეყნდა, თამარ მეფისა და რუსთველის ინტიმური სიყვარულის ამბავი სასტიკად არის გაკრიტიკებული. საამისოდ ბევრი სამეცნიერო არგუმენტი მოვიხმე და იმ სამეცნიერო მონოგრაფიის მონაკვეთს ასე ვუწოდებ – „აქა ქართული ხალხური ზღაპრის დასასრული“.

მაშ, რუსთველის თამარისადმი ინტიმური სიყვარულის იდეას მე „ქართული ხალხური ზღაპარი“ ვუწოდებ. აქვე მოგახსენებთ: ამის საფუძველი მომცა იმან, რომ გავარკვიე, თუ ვის გულისხმობს ტაეპი: „ვის მორჩილობს ჯარი სპათა, მისთვის ვხელობ მისთვის მკვდარი“; აღმოჩნდა, რომ ეს „დამაბნეველი“ სტრიქონი გულისხმობს არა თ ა მ ა რ ს, არამედ პოემის მთავარ პერსონაჟ ტ ა რ ი ე ლ ს; ამის შემდეგ გადაჭრით განვაცხადე, რომ სწორი იყო ვაჟა-ფშაველა, როცა ამგვარი სიყვარულისა არაფერი სჯეროდა-მეთქი /მ. თავდიშვილი, ვეფხისტყაოსნის დაფანტული სტროფები, 1991, გვ 17, 18/.

მაშასადამე, ლუკა რაზიკაშვილი იმდენად იყო დარწმუნებული, რომ რუსთველს თამარისადმი ინტიმური გრძნობა ვერ ექნებოდა, პროლოგის ზემოდანახელებულ ტაეპებს ყალბადაც კი აცხადებდა, თუმცა იქვე გენიალურად გრძნობდა, რომ ეს ტაე-

პები მხატვრული ძალმოსილებით რუსთველისეულსა ჰგავდა. ამიტომაც იქვე დასძენდა: „ეს სტრიქონები თუნდაც რუსთველისა იყოსო“.

მაშ, აქაც არ მოტყუებულა და თავისი ღვთაებრივი გუმანის წყალობით იგრძნო, რომ ეს ტაეპებიც რუსთველის ჯადოსნურ კალამს ეკუთვნოდა.

პროლოგის ცალკეულ ტაეპთა სიყალბესთან დაკავშირებით მოაზროვნე სხვაგან ასე მიუთითებს: „უკაცრავად ნუ ვიქნებით და გამორკვევა იმისა, რუსთაველისაა თუ არა ტაეპები „ვეფხისტყაოსანში“, ჩვენმა მკვლევარებმა რომ პოეტებს მიანდონ, უფრო ბევრს მოიგებენ, რადგან თავად არავითარ უნარს არ იჩენენ ამ შემთხვევაში: ერთმა მათგანმა „ვეფხისტყაოსნის“ წინასიტყვაობის 32 ტაეპიდან რუსთაველს მხოლოდ სამი ტაეპი მიაკუთვნა, დანარჩენი ოცდაცხრა ყალბად აღიარა. ამ ვაჟბატონს რომ უნარი ჰქონიყო ნამდვილი პოეტური გამოთქმისა და რუსთაველის პათოსის შეგნებისა, თუ იმას ვერ მიჰხვდა, რა აზრით დაწერა შოთამ ეს ტაეპები, მათ სიყალბეს მაინც ვერ იტყოდა“ /724/.

ეს სხვა არაფერია, თუ არა ზუსტად ის, რაც მე არაერთგზის დამიბეჭდავს ალექსი ჭინჭარაულის საწინააღმდეგოდ. მაშ, დღესაც იმისი თქმა მიხდება, რასაც ასე მკვეთრად, ნათლად და სამართლიანად ბრძანებდა დიდი მგოსანი ჯერ კიდევ 1911 წელს. ჩემი დიდი წიგნი გამოვიდა 1991 წელს. მაშასადამე, 8 0 წელი ისე გავიდა, ქართულმა რუსთველოლოგიურმა მეცნიერებამ ვერაფერი ი ს წ ა ვ ლ ა! მან ვაჟა-ფშაველას

სწორი ფუძემდებლური იდეაც კი ვერ გაისივრებინა.

პროლოგიდან მგოსანს საილუსტრაციოდ მოჰყავს მოსაზრებანი მიჯნურობაზე და შემდეგ დასძენს: „რუსთაველის გარდა, ასე ლამაზად, ასე მკვეთრად სხვა ვერავინ იტყოდა“ /724/; იქვე მსჯელობს სტროფზე „მიკვირს, კაცი რად იფერებს“ და დასძენს: „რა ვქნა, მე ამ ტაეპის სიყალბეს ვერ ვიტყვი, რადგან, სხვას რომ თავი დავანებოთ, სიტყვები „კეკლუცთა ზედან ფრფენითა“ მხოლოდ შოთას შაეძლო ეთქვა“ /724/.

ეს არის რუსთაველის გენიალური მხატვრული ფიგურის გენიალური შეფასება.

კიდევ ერთხელ მძლავრად მოიქნია თავისი ბატის ფრთა მთის მგოსანმა მეორე წერილის ბოლოს; მას მოჰყავს პოემის შიგნიტექსტის რამდენიმე საოცარი სტროფი და დასძენს: „ჩვენ კი ამისთანა მარგალიტებს არაფრად ვაგდებთ, ნაგავს ვაყოლებთ და სანაგვეზე გაგვაქვს, როგორც „ინტერპოლატორული“ რამ უვარგისობა“ /729/.

საინტერესოა, რა მოსაზრებანი განავითარა ვაჟა-ფშაველამ თავად არაკის (ამბის) თაობაზე.

ამ საკითხს დაინტერესებულნი მწერალი პირველივე სტატიის შიგნით, აღნიშნა: „მაშინაც კი... თუ ტარიელის ამბავი უცხოეთიდან არის შემოტანილი, იმდენად ქართულია „ვეფხისტყაოსანი“, იმდენად ამოღებულია ქართველის გულიდან, იმდენად გამომხატველია მთელის ერის არსებისა, ამიტომ შეიყვარა ქართველობამ ეს პოემა და შეისისხლხორცა“ /638/.

მამასადამე, ისეთი რამ ბრძანა მგოსანმა, რომ ამ არგუმენტის წინაშე

აზრი ეკარგება იმის ძიებას, თვით ფაბულა /ფაბლიო/ ეროვნულ ნიადაგზეა შემუშავებული თუ უცხოურია.

შემდეგ გაშლილია მსჯელობა და ნაჩვენებია, რომ ბევრი რამ, რაც პოემაშია გამოხატული, უკვე მოხდა საქართველოს სინამდვილეში. მაშ, ავტორს ეროვნული ისტორიის ფაქტებით უსარგებლიაო. ყველა ამგვარ ფაქტს ვერ გამოვეციდებით, ოღონდ ერთი-ორი აღვნიშნოთ: „შოთას ვეფხისტყაოსანში ვხედავთ იმ საჭირობორტო კითხვას... რომელსაც ისტორიაც მოგვითხრობს: მოეწვიათ თუ არა ქართველებს უცხო ტომის კაცი თამარის მეუღლე. შოთას გული, როგორც მოწინავე კაცისა, ამ საკითხავით უნდა ყოფილიყო გამსჭვალული. მოწვევა უცხოელისა თამარის მეუღლედ ორნაირად შეურაცხყოფელი იყო შოთასი: ერთი, რომ ერისა, თავისი ქვეყნისათვის სასარგებლოდ არ მიიჩნევდა ამას მისი სალი გონება“ /639/.

მართალია, პოემის შესაბამისი საილუსტრაციო მაგალითი არ მოჰყავს ავტორს, მაგრამ გულისხმობს ტარიელის იმ მრისხანე სიტყვებს, ნესტანის მამას რომ განუცხადა:

„სხვა მეფე დაჯდეს ინდოეთს, მე მერტყას ჩემი ხრმალია?!“

და მეორეც:

„სხვას, მეშველსა გარეგანსა, მომკალ, ვისცა ვინატრიდე!“ თამარის „ისტორიებიდანაც“ კარგად ჩანს, რომ „მეშველი გარეგანის“ მოყვანის წინააღმდეგი საკმაოდ ბევრი ყოფილა.

ჩემი მხრივ დავუმატებ: ამ „მეშველმა გარეგანმა“ ბევრი ხიფათი შეჰყარა ქართულ სახელმწიფოს და ერთი ესეც გახლავთ: 1200 წელს გი-

ორგი რუსმა თითქმის მთელი დასავლეთი საქართველო მიიმხრო და თამარ მეფის წინააღმდეგ გამოილაშქრა; პოემა კი შექმნილია 1205-1207 წლებში. მაშასადამე, რუსთველს შეეძლო გაეთვალისწინებინა ისტორიული გამოცდილება, რომ „მეშველმა გარეგანმა“ ქვეყანას, ჭირის მეტი, არა მოუტანა რა.

ასე რომ, ვაჟა-ფშაველა ცამდე მართალია, როცა აცხადებს: პოემაში ბევრი ისეთი რამ არის ნაჩვენები, რაც ჩვენში მომხდარ ისტორიულ მოვლენებს გვაგონებსო.

მაშასადამე, შეუძლებელია ასეთი ამბავი უცხოური იყოს.

ლუკა რაზიკაშვილი პრობლემას მეორე სტატიაშიც უბრუნდება: „უნდა არაკი პოემისა თავიდან ბოლომდე სპარსულიც იყოს? განა ამის მთქმელი, თუ კი ის გულით ამბობს ამას, როგორც საკუთარს რწმენას, და არა განზრახ, _ შეიძლება ვიწამოთ ხელოვნურ ნაწარმოების დამფასებლად? არა და ათასჯერ არა!.. ერი რომ აგრე ადვილად აღმერთებდეს უბრალო მთარგმნელებს, როგორც შოთა ჰყავს გაღმერთებული ქართველ ერს, სათვალავი არ ექნებოდა, იმდენი გენიოსები და რუსთაველები ეყოლებოდა კაცობრიობას“ /713/.

ამ მართებულ მსჯელობას კი აგვირგვინებს ის მხატვრული ფიგურა, რომელიც დღეს ყველას ახსოვს და რომელში სიმართლევ გამოიხატა და მწერლის მხატვრულ-ესთეტიკური გამარჯვებაც: „რუსთაველი იგივე საქართველოა და საქართველო იგივე ვეფხისტყაოსანი“ /714/.

მაშ, საკითხის ძიებამ ლუკა რაზიკაშვილი უკვდავი აფორიზმის შექმნამდე მიიყვანა.

შემდეგ მწერალი ავითარებს ერთობ შორს მიმავალ მოსაზრებას, მოგვიანებით რომ ბევრმა გაიზიარა. ეს იდეა ერთობ საყურადღებოა: „კრიტიკოსებმა თავდაპირველად რატომ არ იფიქრეს, რომ, თუ „ვეფხისტყაოსნის“ არაკი მართლა სპარსულია, ამისთანა შინაარსიანს არაკს გამლექსავი, დამწერი, თვით სპარსეთშიც ბევრი აღმოუჩნდებოდა, რადგან მგონსები, პოეტები, როგორც მე-11 საუკუნეში, ისე 12-ში, სპარსეთს აუარებელი ჰყავდა. როგორ მოხდა, რომ ქართველმა საქართველოდან იპოვნა ეს ამბავი სპარსეთში, ხოლო სპარსელებმა კი ვეღარ თვის მშობელ ქვეყანა _ სპარსეთში? ნუთუ დიდებული ფირდოუსი... „შაჰნამეს“ ავტორი, ამგვარ არაკს გაუშვებდა ხელიდან? ან თუ სპარსელ ხალხში იყო ეს თქმულება, როგორ შეიძლება ასეთი შესანიშნავი ზღაპარი ისე ჩაკვდა, ისე დაიკარგა, რომ მისი ნატამალი აღარსად დარჩა? შეუძლებელია ყოვლად და, მაშასადამე, იმის პოვნა, რაც არ არსებობს, წარმოუდგენელია. არ ვიცი, ბ. მარრი და კომპ. საიდან იპოვნინან ამ არაარსებულს?“ /716-717/.

აქ ორი მომენტია ყურადსაღები.

პირველი, ვახტანგ მეექვსის დებულების _ სპარსეთში ასეთი ამბავი არ არსებობსო _ ძალიან ღრმავანოვანი და მართებული განვითარება; მეორე, პერსპექტივის უცთომელი დანახვა _ რაც არ არის, როგორ იპოვნინანო?!

ისტორიამ ორივე დაადასტურა.

ა/ სპარსეთში მსგავსი ამბავი არ აღმოჩნდა;

ბ/ მამა-შვილმა მარებმა და ჩაიკინმა მსგავსი ვერაფერი აღმოაჩინეს.

მაშასადამე, ყველაფერი სწორედ ისე გამოვიდა, როგორც ამას 1911 წელს დიდი მგოსანი ბრძანებდა!

მაგრამ ვაჟა-ფშაველას, რომელსაც არაერთი ხალხური არაკი გამოუყენებია საკუთარი ქმნილებების ლიბოდ, დიდად აინტერესებდა თეორიული საკითხის გარკვევა: რამდენად ორიგინალურია ხელოვნების ნაწარმოები, რომლის არაკიც /ვაზულა, ძირითადი ამბავი/ ნასესხებია.

მწერალი არაკის პრობლემაზე მსჯელობას ასე აღრმავებს: ვთქვათ, აღმოჩნდა რუსთველის პოემის მსგავსი სიუჟეტი სპარსეთში. ეს სრულებითაც ვერ დაამტკიცებს, რომ პოემა არ არის ორიგინალური; ორიგინალობას, მისი გაგებით, განსაზღვრავს არაკის მხატვრული დამუშავება. მართლაც, შესაძლოა, ორ მწერალს ერთი და იგივე არაკი მივცეთ დასამუშავებლად. ერთი გარდაქმნის უღიმდამოდ, უგერგილოდ, მეორე – გენიალურად. მწერალს მართლაც მოჰყავს საამრიგო მეტყველი მაგალითები, ბრძანებს: „რაც უნდა დიდებული იყოს ზღაპარი, თუ მან არ გაიარა პოეტის ფანტაზიის და გონების მანქანაში, თუ მას პოეტმა არ ჩაჰბერა უკვდავი სული, როგორც ღმერთმა თიხიდან შეზელილს ადამს, და იგი ზღაპარი თუ ლეგენდა არ შეუსისხლხორცა საკუთარს სულსა და გულს, არაფერი გამოვა“ /717/.

თავისი მეორე სტატიის ამ დებულებას ავტორი ასე აძლიერებს: „განა ლეგენდას ფაუსტზე ცოტა ავტორები ჰყვანდნენ? ცოტა კი არა, ძალიან ბევრი: ასობით იყვნენ მწერალნი ფაუსტის ლეგენდისა, მაგრამ იმათ ნაწერებზე მხოლოდ ის ვიცით, რომ დაწერდნენ და კითხვით კი აღარავინა კითხულობს, განაცამტვერდნენ, ჩაკვ-

დნენ“ /717/; „იმ ლეგენდისა, რომელიც ფაუსტზე იყო გავრცელებული გერმანელებში, ნამდვილი ბატონ-პატრონი შეიქმნა გიოტე. რის გამო? რადა? მადა, რომ ეს ლეგენდა ჩაუვარდა დიდის ნიჭის, დიდის გრძნობა-გონების პატრონს... ლეგენდაც, რა თქმა უნდა, როგორც მასალა, საჭირო იყო პოეტისათვის, მაგრამ რა უფლება გაქვთ, არ დამეთანხმოთ, რომ, თუ გიოტე არ ყოფილიყო, არც დღევანდელი „ფაუსტი“ ექნებოდა კაცობრიობას! მაშასადამე, თავი და თავი ავტორი ყოფილა და არა ლეგენდა. ეს ლეგენდაც რომ არ ყოფილიყო, ის აზრი და გრძნობა, რაც „ფაუსტშია“ გამოთქმულ-გამოსახული, მაინც გამოითქმებოდა გიოტეს კალმის წყალობით“ /718/.

როგორც ვნახეთ, ლუკა რაზიკაშვილი, როგორც ეპიკოსი ავტორი, მართებულ აზრს ავითარებს და თეორიულადაც კარგად ესმის ის, რაც პრაქტიკულად თავად გამოუცდია.

სხვათა შორის, უნდა შევნიშნოთ:

„ვეფხისტყაოსნის“ ვრცელტექსტს ყოველთვის მხარს უჭერდნენ ეპიკოსი, ვრცელი ტილოების, შემოქმედნი: ვაჟა-ფშაველა, მიხ. ჯავახიშვილი, კ. გამსახურდია...

რატომ?

იმიტომ, რომ მეცნიერ-პროფესორებზე უკეთ ესმოდათ ეპიკური თხზვის მექანიზმი, მხატვრული ტექსტის ლოგიკა, კომპოზიციის საიდუმლოებანი...

საბოლოოდ ვაჟა-ფშაველა ასეთ კატეგორიულ დასკვნას გვთავაზობს: „არავითარი ეჭვი არ უნდა გვქონდეს იმაში, რომ „ვეფხისტყაოსნის“ არაკი ნამდვილი ამბავია, მომხდარი საქართველოში; ტარიელი, ავთანდილი, ფრიდონი, ნესტანდარეჯანი, თი-

ნათინი... ისტორიული პირები არიან გადასხვაფერებულ სახელებით" /720/.

ზემორელე ჩვენ ვახსენეთ, რომ „ესე ამბავი სპარსული“ ტრადიციისადმი გაღებული ხარკი იყო. ეს ვითარება უკვე მაშინ ჰქონდა ვაჟა-ფშაველას გათვალისწინებული. აქაც მისი იდეა დღესაც ნათელი და მზის სხივით სწორია: „ამბის სპარსულად გასაღება სხვაფრივაც საჭირო იყო: რუსთაველის დროის არისტოკრატია დიდ გავლენას განიცდის სპარსულ ლიტერატურისას, გემოვნება საზოგადოების სპარსულ მწერლობაზე იყო აღზრდილი; თუ არა სპარსულ ყაიდაზე დაწერილ ან სპარსული ჩამომავლობის ამბავს არა, არც კი წაიკითხავდნენ...

რუსთაველის „ზღაპრის“ გარეგან ფორმის დაცვაში ეს გავლენა ჩანს, და არც შეიძლება უამისოდ... შოთას თითქოს ეშინიან, ვაი თუ ჩემი ნაწარმოები ბოლომდე არ წაიკითხონო, და იძულებული ხდება, რეკლამა გაუკეთოს პოემას: „აქამდის ამბად ნათქვამი, აწ მარგალიტი წყობილი“ /719/.

მაშასადამე, „ესე ამბავი სპარსული“, ლუკა რაზიკაშვილის აზრით, პირდაპირი გაგებით არაა ნათქვამი; ის გულისხმობს გარეგნულ ფორმას, თხრობის სპარსულ ყაიდას, სტილურ კომპონენტებს...

რუსთველური სტილის ერთ თავისებურებად მგოსანს სამართლიანად მიაჩნია შემდეგი: პროლოგ-ეპილოგში ავტორის სახელია ნახსენები. ეს ჩვეულება ხალხურ პოეზიაში იჩენს თავს და რუსთველი ქართულ სამყაროს ამითაც უკავშირდებაო: „განა მარტო მწერლებსა და გადამწერლებსა ჰქონდათ ჩვეულებად თავისი ვინაობა გამოემჟღავნებინათ?

არა, მდაბიო ხალხიდან გამოსული მოლექსეებიც ასე იქცოდნენ. ხალხურ ლექსებში ხშირად შეგხვდებით ასეთი უკანასიტიყვაობა, რომელიც თანაბარია წინასიტიყვაობისა – ემა ლექსისა მთქომი ესა და ესა ვარო“ /721/.

მომდევნო საკითხი, რომელსაც მთის მგოსანი აყენებს, გახლავთ ავტორის ცოდნა-განათლება. იცავს რა პროლოგს ვაიმკვლევართა ხელყოფისაგან, აჩვენებს, თუ რა დიდი განათლებისა და გაგების, შეგნების მქონეა რუსთველი: „ის კი ავიწყდებათ, რომ შოთა თავისი დროის შესაფერად ფრიად განათლებული კაცი იყო, ფრიად დახელოვებული ყველა დარგის მეცნიერებაში... იცის აგრეთვე მშვენივრად ხელოვნების თეორია; ამ თეორიის ლექციას თანამედროვე პოეტებსაც უკითხავს, რომელთაგანაც ის ფრიად გულნატკენია“ /721/.

ვაჟა-ფშაველა პროლოგში იმასაც ამჩნევს, რომ რუსთველი ეკამათება წვრილმანი თემისა და მცირე ფორმის მქონე შემოქმედთ, გვაწვდის საკუთარ მრწამსს მოლექსეობაზე, მიჯნურობაზე, მეგობრობაზე. იგი მიაჩნია რეფორმატორად და დემოკრატად /722/.

თავის პირველ წერილში „მთის არწივი“ კიდევ ერთ არსებით პრობლემაზე მსჯელობს.

ა. ხახანაშვილი, ისე როგორც მოგვიანებით ფოლკლორისტი პროფესორი მიხეილ ჩიქოვანი, მიიჩნევდა, რომ ხალხური „ტარიელიანი“ საფუძვლად დაედო ლიტერატურულ ძეგლს. ვაჟა-ფშაველა არ დაეთანხმა მკვლევარს და საწინააღმდეგო განაცხადა: ხალხური ტექსტი გამოძახილია რუსთველის პოემისაო. ლუკა

რაზიკაშვილს მოჰყავს რამდენიმე არსებითი საბუთი. ის მიუთითებს: „ვეფხის-ტყაოსნის ლიტერატურულს ჩამომავლობას ისიც ამტკიცებს, რომ სხვადასხვა ტაეპს სხვადასხვა რითმა /დაბოლოება/ აქვს და საერო ვეფხის-ტყაოსანშიც ამასვე ვხედავთ. ნამდვილს ეროვნულს ლექსებს ამ თვისებას ვერ ვამჩნევთ: რომელი დაბოლოებაცა აქვს ლექსის პირველს სტრიქონს, იგივე დაბოლოება რჩება ყველა სტრიქონს“ /639/.

მაშ, აქ პოეტმა, შესაძლოა ქართულ მეცნიერებაში პირველად, წამოჭრა ე.წ. „ყუვის“ საკითხი – ხალხურ ლექსს ხშირად, ოცსტროფიანიც რომ იყოს, ბოლომდე გაჰყვება ერთი ყ უ ვ ა _ ერთი და იგივე სართიმო კლაუზულა, ვთქვათ, ო ვ ა ნ ი ანდა ი ე რ ს ა. ამის კარგი ნიმუშია დავით გურამიშვილის ლექსი იესოზე. აქ თავიდან ბოლომდე ერთი რითმა გამოიყოფა – ი ე ს ო, მაშ, ყ უ ვ ა ერთია!

მეორე არგუმენტიც სწორია: ლუკა რაზიკაშვილის აზრით, ქართველი ხალხი ზღაპარს არ ლექსავს, ლექსად ხდის არაზღაპრულ ამბებს. „ვეფხის-ტყაოსანი“ კი, გარკვეული აზრით, ზღაპარია. მაშ, ის პიროვნებამ გალექსა და არა ხალხმაო. აქედან გამომდის დასკვნა: ხალხური „ტარიელიანი“ ვეფხისტყაოსნის გადამღერება /639/.

ესეც მართებული და საინტერესო საბუთია.

ამის შემდეგ მოაზროვნეს მოჰყავს ორივე ნაწარმოების შესატყვისი ადგილები და იოლად გვარწმუნებს, რომ ხალხს გადაუსხვაფერებია რუსთველის ქმნილება და არა პირიქით /642/. დასკვნა ასეთია: „ვეფხისტყაოსანი წინად ყოფილა გავრცელებული

ხალხში; ხალხს შეჰყვარებია პოემა და, რაც დაჰვიწყებია პოემიდან, ის თითონ უკეთებია და უმატებია“ /642/.

ვაჟა-ფშაველას მოჰყავს სხვა საამისო პარალელური მაგალითი, რითაც საკუთარ მსჯელობას სიცხადეს მატებს.

ფაქტობრივად ყველა ის საკითხი, რომლებიც მგოსანმა დააყენა, არსებითია, დღესაც აქტუალურია, რადგან, სამწუხაროდ, რუსთველოლოგია დარჩა იმავე დონეზე, რა დონეზეც იდგა ვაჟა-ფშაველას დროს.

ლუკა რაზიკაშვილი თავისუფლად შეგვიძლია მივიჩნიოთ ერთ გამოჩენილ რუსთველოლოგად.

აღნიშნულს დასტურყოფს შემდეგი ფაქტები:

მკვლევარი, პროფესორი ლევან მენაბდე იწონებს მგოსნის იდეას: ასე მშვენიერ არაკს, რომ ის სპარსეთში გაჩენილიყო, იქაური პოეტები დააცხრებოდნენო /ლ. მენაბდე, ვეფხისტყაოსანი და საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი, 1967, გვ. 158/. იგივე ავტორი გვამცნევს, რომ ეგ წარმატებული იდეა შეიწყნარეს ალ. ბარამიძემ, გ. ჯიბლაძემ, ალ. კიკვაძემ, გ. აბზიანიძემ /იქვე, 158/; ლ. მენაბდე იწონებს ხალხური „ტარიელიანი“ ვეფხისტყაოსნის წარმოშობის მგოსნისეულ კრიტიკას, როცა აცხადებს: „თავის წერილში ვაჟამ საგნებით დამაჯერებლად ცხადყო, რომ ხალხურ „ტარიელიანს“ რუსთველის პოემა დაედო საფუძვლად“ /163/; აღნიშნული საკითხი საგანგებოდ გამოიძია ალ. ბარამიძემ და დაადასტურა პოეტის სიმართლე /ალ. ბარამიძე, შოთა რუსთველი, გვ. 385-392/; ლ. მენაბდეს ასევე მოსწონს პოემის ქარ-

თულ ტიპაჟზე მგოსნის მსჯელობა /168-169/; მისივე აზრით, „ბახტრიონის“ ავტორმა მოგვცა პროლოგის მართებული გაგება /171/; პროფესორს ალ. სარაჯიშვილის იდეების მგოსნისეული კრიტიკაც სამართლიანად მიუჩნევია /იქვე/.

მკვლევარი ჯიბო ლომაშვილი იწონებს ალ. სარაჯიშვილის კრიტიკას /ჯ. ლომაშვილი, ვაჟა-ფშაველა და ვეფხისტყაოსნის საკითხები, 2003, გვ. 12/; ამ ავტორსაც რაზიკაშვილის დარად სწამს, რომ „შოთა არ იყო პირადად შეყვარებული თამარზე ისე, როგორც ეს ზოგიერთებს მიაჩნდათ და ახლაც მიაჩნიათ. შოთას, ცხადია, უყვარდა თამარ მეფე, როგორც თავისი სიუზერენი“ /15-16/. ეს მოაზროვნეც ეთანხმება მოსაზრებას, რომ ვეფხისტყაოსანი უფრო ძველია, ვიდრე „ტარიელიანი“ /19-20/; ისიც

დიდად იწონებს არაკის მგოსნისეულ იდეას /24-25/; თამამად იმეორებს უკვე ნათქვამს: ამ არაკს სპარსეთშივე თავს დააცხრებოდნენ, რომ ყოფილიყო /31-33/; საგულისხმოა ჯიბო ლომაშვილის შენიშვნა, რომელი ნიკო მარის სამართლიანობასა და დიდ კაცობაზე მიუთითებს. მას, თურმე, ცუდად არასოდეს მიუღია ვაჟა-ფშაველას კრიტიკა: მუდამ ამბობდა, დიდი პოეტის ქმნილებები რუსულად უნდა ითარგმნოსო; ჯეროვნად უპატრონა ვახტანგ რაზიკაშვილს, ამხნევებდა მას, ეკონომიურად ეხმარებოდა, ხოლო 1932 წელს ლენინგრადის ინსტიტუტში ჩაარიცხვინა და სტიპენდიაც დაანიშვნინა /61/.

ვხედავთ: დიდი მოაზროვნის შუქმა გააბრწყინა არა ოდენ რუსთველოლოგია, არამედ კაცობისა და ადამიანობის ასპარეზიც.



badri cxadaZe

ცისფერი' ქარგონი

შარშან, ერთ-ერთი ჩვენი კოლეგის, მხცოვანი მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ევსევი ეფსაიას გარდაცვალების შემდეგ მისი კაბინეტის უჯრაში ერთ-ერთი კოლეგასთან ერთად ამ ტექსტს გადავაწყდით (აწ გარდაცვლილი სწავლული მას სექსუალური უმცირესობის დამცველთა და „ცისფერების“ გამზრდელ დედებს უძღვნის, რადგან ავტორის აზრით, უმეტესად შვილებს დედა ზრდის და ბუნებრივი სექსუალური მდგომარეობიდან გადახრა, ზოგი გამონაკლისის გარდა, სწორედ დედის, ოჯახური გარემოს ბრალია), ქვემოთ უცვლელად ვაქვეყნებთ ღვაწლმოსილი მეცნიერის სიკვდილისწინა დროს დაწერილ ტექსტს.

ქართველებს ასეთი ანდაზა გვაქვს – „სიბერემდე სიქაჩლეო“. ცხოვრების მანძილზე რას არ გაიგონებს და მოესწრება დროული კაცი. ცნობიერი ინდივიდი დღეს სიცილითა და კისკისით, ფერებითაც და მოფერებითაც, ხველება-ჩახვევებითაც კი გამოიცნობს ადამიანს, მათ შორის სექსუალური გადახრა-ორიენტაციისასაც კი. რას ვიზამთ. მეცნიერება წინ მიდის!. „გამეცნიერდა გლებია“, – როგორც დიდი ვაჟა იტყოდა. თუ საბჭოთა პერიოდის ქართულ საზოგადოებაში ჭიმიაშვილი, მეტრაკე, მეპროჭე, (გვაპატიოს მკითხველმა ამ სიტყვების დაწერა-ხსენებისას) ქართულ ცოცხალ მეტყვე-

ლებაში „ჩუკენობისკენ მიდრეკილი“ მამაკაცის აღსანიშნავად აქა-იქ გვესმოდა (შდრ. „ქეთინო ტიპი“, „ქალაჩუნა“ – ბიჭის მიმართ თქმული, „ქალაბიჭა“ – ბიჭური მიდრეკილების მქონე გოგონა), სადღეისოდ „ჯერარშემდგარ“ ქართულ საზოგადოებაში, პრესაშიც... მოგვიმრავლდა ახალი, როგორც საკუთრივ ქართული და უცხოურ-ევროპული წარმომავლობისა და ევროპული ცხოვრების ბიძგით შექმნილი ტერმინები „მეტაკუნე“, გეი, გეიპარადი... სამოსიანი ფერების ტარებაც კი საფრთხილო გაგვიხდა. რომანტიკული ფერი – ცისფერი – რომანტიკული გრძნობის გამოხატვის ნაცვლად, ახლა „ურჯუკი“ შინაარსის ცნებად გვქცევია. ასე გაჩნდა და დამკვიდრდა ჩვენში სიტყვა-ტერმინი ცისფერი სრულიად ახალი მნიშვნელობით.

სხვათა შორის, წარმომოებით სპარსული, ზოროასტრული ეპოქის დროინდელი სურათების ამსახველი ფარხუდინ ჯორჯანელის რომანი „ვისრამიანი“, ჩვენში დიდი ხნით ადრე აპრობირებულ-გაქართულეული (8 საუკუნის წინათ რომ თარგმნა სარგის თმოგველმა), ფერების შესახებაც საინტერესო ცნობებს გვაწვდის. ამ რომანში ვისის ძიძის მიერ ვისის დედისადმი მიწერილი წერილი გვამცნობს:თქვენი ქალიშვილი ისე დამშვენდა, რომა.... „მრავლითა ნაზობითა გამიზრდია და აწ ჩვენი აღარცა ტანისამოსი მოეწონების, არ-

ცა სასუმად-საჭამადი. თუმცა ყველა თანაშეწევნითა ღმრთისაითა ჩვენ გვაქვს, გარნა ამის ნებიარობისა ჩვენი ძალი ვერ გასძლებს. რაზომცა უსწორო ტანისამოსი შეუკერო, სამოცსა ფერსა აუგსა დასდებს: ყვითელი თუ მივართო, ამას იტყვის – ეგე სწეულთა სამოსია; თუ წითელი მოვიღო – ესე საზოზოაო; ლურჯი – მგლოვიარეთა ჰვერობსო; თეთრსა ბერთა სამოსად იტყვის და ორფერსა – მწიგნობართად. რა დილასა გაიღვიძოს, მონათა და მხევალთა ითხოვს სამსახურად და ჰარირისა ტანისამოსსა (=„თხელი აბრეშუმის ქსოვილი“, ე. ე.). რა შუადღე იქმნას, ოქროქოვილსა ითხოვს, და საღამოდ – ოქსინოსა. წამსა და წამსა თვითოფერსა ითხოვს და ათასსა მანავსა ხარასა („მანავსა ხარასა = „ნაირგვარი სახის აბრეშუმი“). რა პურისა ჭამისა ჟამი იყოს, ჟამსა და უჟამოსა ოქროისა ჯამბაკათა მოითხოვს, მხევალთა კვკლუცთა და მონათა სამსახურად – ორმოცდაათ-ორმოცდაათსა, ოქროისა სარტყელითა და ატლას-ოქსინოითა მოსილსა. ნადიმად ოთხმოცი ქალი გვარიანი კვკლუცი მოუწოდებს – ამის უმცროსი არ მინდაო“.

აი, მაშინდელი ხელმწიფისდარი ასულის მოთხოვნა-მოთხოვნილება. სამოცი ფერის შერჩევა-დაწუნება რარიგად გვახსენებს დღევანდელ „მის-კულტურითა“ მსოფლიო შეჯიბრს: მის-საქართველოებს, მის-იმერეთს, მის-მსოფლიოს, მის # საჯარო სკოლას (ერთმა მოწაფე-გოგონას დედამ საკუთარი შვილი, თბილისის ერთ-ერთ სკოლაში (ყველაზე უშნო თანატოლებში), პირველ ადგილზე რომ გაიყვანა.... „გაიმასქნებით“)... გარდა ამისა, ეს რომანი ინცესტიტაც შეგვახსენებს თავს: ვისის დედა შაჰრო თავის ღვიძლ ქალიშვილს – ვისის საკუთარ ვაჟს – ვისის ღვიძლ ძმას მია-

თხოვებს – ღვიძლი და ღვიძლ ძმაზე თხოვდება. დღეს ამ რომანის ხსენებაზე სპარსელებს სირცხვილი სწვავთ – ადრე მათ წინაპრებს ასეთი თხოვაგათხოვების „შინაური“ წესი რომ ჰქონიათ...

რა ვითარება იყო ფერების მხრივ, ძველ საქართველოში? სამწუხაროდ, ჩვენ, ამ მხრივ, ბევრი არაფერი ვიცით; შავი და თეთრი, კონტრასტული ფერები (რომლებიც ფსიქოლოგთა მიერ სწორედ კონტრასტულობის გამო ფერებად არ მიიჩნევა), ანტონიმური ფერებია. შავი – გლოვის, თეთრი და სხვ. „ჭრელა-ჭრულანი“ მხიარულებისა.....

ესაა და ეს.

დღეს ჩვენში ლამის გენდერული თანასწორობის ტოლფას თემად და პრობლემად (თუ უფრო მეტად არა!) გაგვხდომია „სექსუალურ უმცირესობათა“ ერთიან საზოგადოებაში ინტეგრაცია. იწერება საგაზეთო სტატიები (დადებითი თუ უარყოფითი შინაარსის), იქმნება საბაკალავრო თუ სამაგისტრო ნაშრომები, ალბათ, მალე სადოქტორო დისერტაციებიც დაიწერება და მეცნიერების აღმნიშვნელ ნიშათა ნუსხას – კლასიფიკატორს ახალი სამეცნიერო დარგი შეემატება, ხოლო სამეცნიერო და საჯარო ბიბლიოთეკებს – ახალი კეტერი. აბა, როგორ გესახებათ, როგორ „ჟღერს“ ტერმინად და პროფესიად ექიმ-სექსოლოგის ნაცვლად: ექიმი-ასოთამწყობი, ასოთაგადამწყობი, ასოთმომრიგებელი, ასოთდამლაგებელი, ასოთმომწყობი, ასოთმონტიორი, ასოთმონიტორინგი, ასომკვეთი, ცისფეროლოგი, ცისფეროლოგიის აკადემიური დოქტორი მედიცინაში, დოქტორობის მამიებელი ცისფეროლოგიაში. მოკლედ, საქართველოში მეცნიერება აღმავლობის გზაზეა. ვინ თქვა, ჩვენში მეცნიერება კვდებაო....

შენიშვნა: ალბათ, არც ის უნდა გაგვიკვირდეს, მოკლე ხანში, ცისფეროლოგთა მოსამზადებლად სპეციალური სამედიცინო სპეციალობა და დაწესებულება, შემდგომ ფაკულტეტი და უნივერსიტეტი შეიქმნას. დაიწერება ახალი სილაბუსები, ახალი კურიკულუმები, მოდულები, კონკურსი მაშინ ნახეთ: ჩვენს ქვეყანაში რეგიონულად ჩაფიქრებული „ცისფერპალასი“ საერთაშორისო უნივერსიტეტად და „მეორე სინგაპურად“ რომ გადაიქცევა. აი, ეს იქნება ნადვილი თანამედროვე განათლება და... მსოფლიო ტურიზმი. ქართველები ხომ ყველაფერში ნიჭიერი ვართ...

* * *

თურმე ნუ იტყვით, და ჟარგონი, ჟარგონული გამონათქვამები ცისფერებსაც ჰქონიათ (ძირძველი სპეციალობის მქონე მემავეებსაც რომ ჰქონდათ, ადრევე იყო ცნობილი): საბჭოური ეპოქის საქართველოში, მთელ საზოგადოებაში, ვისიმეს დამდაბლების მისამართით, არაიშვიათად გაიგონებდით სიტყვებს: პედერასტი// პიდერასტი // ფედერასტი // ფიდერასტი, რომელთა შემოკლებულ ვარიანტად აქა-იქ ფიდო/ც იხმარებოდა (ფიდო < ფიდერასტი < ფედერასტი)... მკითხველს შევახსენებთ, რომ პედერა ძველი ბერძნული სიტყვაა და „ბავშვს“ ნიშნავს (შდრ. სამედიცინო ტერმინები პედიატრი, პედიატრია). „უცხო სიტყვათა ლექსიკონში“ ეს სიტყვა ასეა ახსნილი: „პედერასტია [ბერძნ. პაიდერასტია ბიჭების სიყვარული] სქესობრივი გარყვნილება – სქესობრივი ურთიერთობა მამაკაცებს შორის; მამათმავლობა“ (უცხო სიტყვათა ლექსიკონი, შეადგინა მ. ჭაბაშვილმა, მესამე შესწორებული და შევსებული გამოცემა, თბ., 1989, გვ. 376). ცისფერ-ლესბოსელთ

დღეს ტოლერანტულად „სექსუალური უმცირესობა“ ჰქვიათ; გაცილებით მეტი ტერმინი, გამოთქმა თუ გამონათქვამი დემოკრატიის დიდი ხნით გზაზე მავალ უცხოქვეყნელებს აქვთ, კერძოდ, ინგლისურენოვნებს.... სპეციალურ ლიტერატურაში ასეთ სიტყვა-ტერმინებს გეი-სლენგი (// ლესბ-სლენგი) ეწოდება, ალბათ, მას არ ჩამორჩება იტალიური და ფრანგულ-ესპანური ენების „გეილესბსლენგური“ სამეტყველო სამყარო. მსოფლიო მასშტაბით ამ ტერმინოლოგიურ „აბრაკადაბრას“ ლ/გ/ბ/ტ ადამიანის სალაპარაკო ენითაც გამოხატავენ. მაგ., „Butch“ („lipstick ან „femme“) ასე მიმართავენ ლესბოსელები ურთიერთს. ჩვენებურად, გადმოქართულებით, ქართულ-ქრისტიანულად, კი ეს... „ტუჩის საცხს“ ნიშნავს.

შენიშვნა 1: საბერძნეთის კუნძულ ლესბოსის მცხოვრებნი დღეს „სამართლიან აღშფოთებას“ გამოთქვამენ: საერთაშორისო მასშტაბით „ქალის ქალისადმი სექსუალურ მიდრეკას“ ლესბოსობით, ლესბოსელობით, „ლესბიანკად“ ნუ მოიხსენიებთო.

შენიშვნა 2: ტიცინ ტაბიძე, ცნობილი ქართველი კლასიკოსი, სიმბოლისტი პოეტი ერთგან „ეროვნული აღდგომის“ შესახებ მსჯელობისას წერს: „...უნდა მოხდეს ეროვნული აღდგომა. მაგრამ აღდგომა არა ორნაირი – ელიზინიზმზე ამდგარი ახალი საბერძნეთი სიკვდილზე უარესია, საქართველოს ყოველთვის ერჩია ცოცხალ ძაღლს მკვდარი ლომი და ამიტომ საქართველოს ეროვნული აღდგომა უნდა იქნეს აღდგომა ლომის ძველი ქართული იდეით“... (ტ. ტაბიძე, ცისფერი ყანწებით. იხ. ჟ. „ცისფერი ყანწები“. #2. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და ბოლოთქმა დაურთო ვლ. ყავლაშვილმა. გამომ-

ცემლობა „საქართველო“, ქუთაისის ვილიალი, 1990. გვ. 70).

დღეს კი რა გვემართება? 90 წლის წინანდელი შეხსენება დაგვევიწყნია – სოდომ-გომორული ელინურ-ლეს-ბოსური ცოდვა, ევრო-ამერიკულ ცივილიზაციად მონათლული, ჩვენში ინერგება!

ამით გვინდია ილიას გზით სიარული?

ასე გვინდა „ჩავწვდეთ ამერიკის სულს“?

ასე „უნდა ვსდიოთ ახლა სხვა ვარსკვლავს“?

* * *

ცისფეროსანთა კლუბებში, მათი თავშეყრის ადგილებში, თურმე, ხშირად გაისმის ასეთი გამოთქმა: „რა ლამაზი კალათაა“. აღმოჩნდა რომ, ეს ერთადერთი „ცისფერი“ ნეოლოგიური სიტყვაფორმაა... ჯერჯერობით..., რომელსაც თურმე ქართველი ცისფერები ხშირად ხმარობენ („კალათა“ მათი გაგებით, „სხეულს“ ნიშნავს). ერთ-ერთი ჟურნალისტის დასმულ შეკითხვაზე – ისინი ხმარობენ თუ არა ხშირად სიტყვა-ტერმინს „კალათას“, ხუთიდან სამ „სხეულევანს“ და „სხეულმზიანს“ (ეს უკანასკნელი გრიგოლ რობაქიძის ეპითეტური ტერმინია მშვენიერი „თმათაფლა“ ქალის აღსანიშნავად) დადებითი პასუხი გაუცია: „დიახ, ამ სიტყვით ერთმანეთს ვაგრძნობინებთ, რომ მოგვეწონა ერთმანეთი..., თუ ვინმეს უნდა ურთიერთობა, ამ სიტყვით მივახვედრებთო... ერთ-ერთი ქართველი გეის თქმით, „ზოგიერთი ისეთი გამოშტერებული გიყურებს, აშკარაა ვერ ხვდება“ [ამ სიტყვის შინაარსს]. ასე ესიტყვებიან ერთმანეთს ქართველი გეები და არ კი იციან ზუსტად, რას ნიშნავს ეს სიტყვა, სადაურია და როგორი წარმომავლობისაა (თუმცა

ეს მათ რაში ანტერესებთ!). გაირკვა, რომ ეს შესიტყვება „რა ლამაზი კალათაა“ – ინგლისურია და გვხვდება სლენგურ გამონათქვამში: Wov, he has a realy big basket!, რუსი ანუ რუსულენოვანი გეებიც ამდაგვარად ესიტყვებიან ერთმანეთს: „Ух, ты, какаяогромнаякарзина!“ ამრიგად, ეს სიტყვა-შესიტყვება ქართულსა და რუსულში ერთდროულად კალკირებული ფორმაცაა და სლენგიც. როგორც ჩანს, ის ორივე ენაში ინგლისურიდან შესულა და ფეხსაც იკიდებს ჩვენს ქართულ „ცისფერულ გარემოში“. ეს ფაქტი თუ მოვლენა, თუ... ერთიც და მეორეც, ალბათ, დღეს, ვისთვის სასაცილოა და ვისთვის – სატირალი. ასე ამიდრებენ ქართველი ცისფერები ინგლისური ენისა და უცხოეთის „დემოკრატიული ტალღის“ დახმარებით ძირძველი ქართული ენის ლექსიკურ ფონდს.

არაინკოგნიტოდ, 36 წლის ვინმე გია-გეკელო „ცისფერული სიამაყით ჟურნალისტს ეუბნება: „ჩვენ, ქართველი გეები, უცხოელებს არ ვბაძვითო, თუმცა იქვე, ჟურნალისტისეულ კვლავდასმულ კითხვაზე – „აბა საიდან გაჩნდა თქვენს გარემოში ეს სიტყვაო“, პასუხობს: „მასა ასე ამბობსო“. რამდენად გულწრფელია იგი, ძნელი სათქმელია, მაგრამ სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ქართველ ლ/გ/ბ/ტ ადამიანებს უცხოელებივით საკუთარი სლენგი შეუქმნიათ, უცხოელებს ბაძავენ, უცხო ცისფერთა გამონათქვამებს იმეორებენ, ზედმიწევნით თარგმნიან (// კალკირებას ახდენენ), ლამაზ-ლამაზი „კალათები“ მოსწონთ, ერთ ადგილსაც აცანცარებენ – „ეამაყებათ გეობა, შეჰმატებიათ მხნეობა“ და ახალ-ახალი კალათების ხელში ჩასაგდებად დღისით თუ მზისით, ღამით თუ ხანგამოშვებით, რას არ სჩადიან...

P.S. შარშან, თებერვლის შუა რიცხვებში, სტუდიაში მიწვეულმა ცნობილმა ექიმმა ი. კუზანოვმა მათ შესახებ ჩვეული პროფესიული ეთიკით იმსჯელა, რაც ქართველ გეებს ყურადღების მიღმა არ დარჩენიათ – არ მოეწონათ და ინტერნეტსივრცეში „შავი პიარი უგორეს“. ჩვენთვის უცხოელებს, ამდენი გეის ნაცვლად, მესედი თუ მეათასედი ნამდვილი რეფორმატორი თუ ეკონომიკა-პოლიტიკის საკითხებზე ჭკუის დამრიგებელი რომ მოემარებინათ ან გამოეზარდათ, დღეს ჩვენს ბედვრულ სამშობლოს გეების მხარდამჭერი „კაკა-ფონია და პარადი“ არ დაუდგებოდა; გიორგი სააკაძისა და მისი ხმლის სამშობლოს რომ ამდენი გეი ეყოლება, ის ქვეყანა მართლაც სამომავლოდ სასიცოცხლო ვერ იქნება. აკაკი წერეთელი რომ ახლა ჩვენს გვერდით იდგეს, დარწმუნებული ვართ, იმასვე იტყვოდა, რაც ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ აღმოხდა: „ფურთხის ღირსი ხარ, შენ, საქართველოვ!“... გეები არ ხუმრობენ: ვინ იცის, ქართველ თუ უცხოელ ცისფერებს რამდენი „ცისფერული“ ჰიპნო აქვთ შექმნილი (მაგალითად, „კალა-თა-ში, აბა, რა-ი-აააა... ან კიდევ:

„ცისფერების ქვეყანა,
ჩოქით შემოვიარე,
რომ დამპირდი მოვალე, გენაც-
ვა...“

რატომ დაიგვიანე.....“), რომლის მსგავსს არცთუ ჩურჩულით, არცთუ ნაკლებ გახელებით, არც ოდენ ხმამალა ლექს-სიმღერით „ჩრდილოეთით ამომავალი მზის ქვეყანაშიც“ ამბობენ:

«Городокнашничего,
Населеньетаково,
Сексуальниеменьшества,
Составляютбольшинство».

ლო/გ/ზ/ტ ადამიანების მიმართ ორად გაყოფილი ჯერარშემდგარი ქართული საზოგადოება სანამ გონს მოვიდოდეს, მანამდე „ყვავილების ქვეყანა“ „ცისფერების ქვეყნად“ იქცევა, მოკლედ, „რაც კარგები ვართ“... ესაა ჩვენი დემოკრატია, ამისთვის მოგვიწყვია თურმე ისტორიული თარიღები – ცხრა თუ თოთხმეტი აპრილები... „ცისა ფერს, ლურჯსა ფერს“... დედა არა გყავთ, თქვე ცისფერ ყინწ სიმბოლოები ან გეილესბ-ჩუკენიან მამათმავლიანებო?! ...იქნებ თქვენი ემბლემაც გაქვთ საკუთარი გამზრდელი დედის შიშველი სურათების ფონზე... თქვენს დედებს მართლა უნდა გაუმარჯვდეთ...

2011 წლის 3 თებერვალი, ქართველი დედის დღე

სულ ბოლო მინაწერი:

პატივცემული და აწ განსვენებული ევსევი ეფსაიას მსგავსად ასეთ საკითხსა თუ პრობლემაზე არაერთი უცხოელი რუსი, ებრაელი, ქართველი... სპეციალისტი წყუხს. მაგ., ჰიუსტონის უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის პროფესორი მარკ ზალცბერგი (რომლის ნაშრომები ეხება ზეგამტარობას, ზევაკუუმსა და კოსმიურ ტექნოლოგიებს) ერთ სტატიაში, „მოყვარეს პირში უძრახეს“ პოზიციიდან გულისტკივილით აღნიშნავს: „ამერიკის სახელმწიფო ჰომოსექსუალიზმის წახალისებით ანგრევს მორალს და ოჯახის ინსტიტუტს; განსაზღვრავს – რა შეიძლება ითქვას და რა – არა; მიუხედავად იმისა, რომ ამერიკა დღეს ჯერ კიდევ რჩება ცხოვრების დონით და შესაძლებლობებით საუკეთესო ქვეყნად დედამიწაზე, მისი და მთელი დასავლური ცივილიზაციის მომავალი სერიოზული საშიშროების წინაშე დგას“, რაშიც ავტორს ჩვენც ვეთანხმებით.

და... არათუ ამერიკა....

აი, სად არის სათავე „ცისფერყვავილოვნებისა“. სულ მალე, ალბათ, საფიქრებელია, საქართველოში გეიპარადს თან გეიქორწინებაც მოჰყვებს.... მამრმდედრერთქესიანებისა: თქვენ თვითონ განსაჯეთ, რა ზეიმი იქნება – როცა საქორწინო-საპატარძ-

ლო კაბის შეკერვისა და გაფაციცებული მზადების პროცესში, ახლო ნათესავს ან მეგობარს, ახლო ნათესავისაგან ან ახლო მეგობრისაგან ასეთი შინაარსის წერილი ან მოსაწვევი ბარათი მიუვა:

ძვირფასო ამბაკო!
გეპატივებით ჩვენი შვილების – ლანას (ლევანის) და კოკას (კეკელუცას) ქორწილში გეიპარადის გამართვის დღეს
თქვენი ბათუ რაკაია და ნანული იფიფამე' საღამოს 10 სთ.
რესტორანი „არტქორფასტუდიო“, მავანის ქ. 13

ვინ იქნება თამადად (ტასო თუ ტარიელი), თამადის მოადგილედ (ლექსო თუ სანდრა, ვიკა თუ ვიქტორი, მირიანი თუ მირანდა....) ან ხელისმომკიდედ და მაცრებად, სადღეგრძელოები? გადაცეკვება-გამოცეკვებას აღარ იკითხავთ?! – თავად გამოიცანით.

გამომქვეყნებლის მინაწერი: ახლა, როცა ტელეეკრანით წინასაარჩევნოდ ევროამერიკულ-ქართულ-რეფორმატორული ქართული ციხეების პატიმართა წამებისა და გაუპატიურების მამაკაცური „საქმენი საგმირონი“ ვიხილეთ, შოკირებული საზოგადოება, ვფიქრობთ, კიდევ ერთხელ უნდა დაფიქრდეს: რა გზით გვსურს სიარული, საით უნდა წავიდეთ: წინ – ფანტასტიკური ლაზიკის აშენებისაკენ, წინ – სინგაპურიზაციისაკენ, წინ – ევროპეიზაცია-ამერიკანიზაციისაკენ თუ უკან – საკუთრივ

თანამედროვე ქართული სახელმწიფოს აშენებისაკენ?

* * *

ედუარდ შევარდნაძე და მისი „მოქალაქეთა კავშირი „აბრეშუმის გზაზე“ სიარულს გვიჩვენდა, სინამდვილეში „აბრეშუმის გზა“ თავად დაისაკუთრეს, „ნაცმაცუნების“ მთავრობა და მათი ნაციონალური პოლიტიკა“ კი „ცისფერ ქვეყანას“ სთავაზობდა ქართველობას. „ვარდების რევოლუციის“ გზით მავალნი, „მთავრობისა და საზოგადოების თინეიჯერიზაციასთან ერთად ელიტურ-სვინგერიზაციასაც ნერგავდა, მაგრამ ურემი გადაუბრუნდათ – ტვინნალრძობთ ახლა ფეხიც ეღრძოთ, დრო მიდის, ახალი მოძრაობის ხანა მოვიდა. ყველას გვახსოვდეს გერმანული ანდაზა: Ende gut alles gut – „კარგია ის, რაც კარგად მთავრდება“. ჯერ კი მხოლოდ დასაწყისის დასაწყისია.



mariam gabunia

„ჰესპერია“ – „მუდმივი ვარსკვლავის ქვეყანა“

(დაუვიწყარი შთაბეჭდილებების კვალდაკვალ)


საქართველო-ესპანეთის რელიგიური და პოლიტიკური ურთიერთობების კვლევისადმი ჩემი მუშაობის სურვილი და ინტერესი ეყრდნობა იმ პირველ შთაბეჭდილებებს და შეგრძნებებს, რაც 2012 წლის ზაფხულში მივიღე ესპანეთში, სადაც ვილნიუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ, მაგისტრატურაში სწავლის პერიოდში, ერაზმუსის პროგრამით ვიყავი გაგზავნილი. სწორედ მაშინ გავეცანი ახლოს ამ ქვეყნის ისტორიას და კულტურას. მიმაჩნია, რომ საქართველო-ესპანეთის პოლიტიკური და რელიგიური ურთიერთობები საერთაშორისო კავშირების ჭრილში სუსტადაა შესწავლილი, თუ ქართულ საისტორიო სამეცნიერო კვლევებში ამ ურთიერთობების ცალკეული ეპიზოდები საგარეო პოლიტიკური კავშირების თვალსაზრისით ასე თუ ისე წარმოდგენილი, ამას ვერ ვიტყვით ესპანურ სპეციალურ ლიტერატურაზე. ჩემი ნაშრომის მეცნიერ-ხელმძღვანელის, თსუ პროფესორ მურმან პაპაშვილის რჩევითა და თანადგომით გადავწყვიტე დამეწყო XV-XVII საუკუნეების ესპანეთ-საქართველოს რელიგიურ-პოლიტიკური ურთიერთობების ამსახველი სამეცნიერო ნაშრომის შექმნა, რომელშიც ესპანეთთან საერთაშორისო ურთიერთობების ჭრილში შევისწავლიდი ქართულ-ესპანურ იმდროინდელ

გლობალურ და კონკრეტულ გეგმებს, რაც ამ ორ ქვეყანას შორის რეალპოლიტიკის პრინციპების გამოვლენის საშუალებას მომცემდა.

ჩემი უდიდესი სურვილი, კვლავ ჩავსულიყავი ესპანეთში, განხორციელდა 2015 წელს, როცა 23 ივნისიდან 27 ივლისამდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის (ხელ. პროფ. იგორ კვესელავა) მხარდაჭერითა და თანადგომით სამეცნიერო მივლინებით კვლავ ვეწვიე ამ ქვეყანას.



ჩვენს მიერ მადრიდისა და ბარსელონის ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივების ფონდებში დაცული მასალების გაცნობამ და ქალაქ ვალიადოლიდის მახლობლად მდებარე სიმანკას გენერალურ საისტორიო არქივში არსებული მნიშვნელოვანი დოკუმენტური მასალის შესწავლამ მოგვცა ჩვენი სამეცნიერო ნაშრომის „ქართულ-ესპანური რელიგიური და პოლიტიკური ურთიერთობები“ (XV-XVII სს.) წყარომცოდნეობითი ბაზის სრულყოფის საშუალება. მოძიებულმა მასალამ ერთი მხრივ დაადასტურა ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიერ უკვე გამოქვეყნებული და შესწავლილი ცნობებისა და ფაქტების უტყუარობა, ხოლო მეორე მხრივ, განაპირობა დაწვრილებით შეგვესწავლა იმ ხანის ევროპასა (კერძოდ, ესპანეთში) და საქართველოში, ასევე, ირანსა და ოსმალეთში განვითარებული მოვლენების მსვლელობის ცალკეული დეტალები. ჩვენს მიერ ესპანეთში შესწავლილმა დოკუმენტებმა და სამეცნიერო ლიტერატურამ ცხადი გახადა და ნათელი წარმოდგენა შეგვიქმნა იმ დიდ მხარდაჭერაზე, რომელსაც იმხანად საქართველოს მიმართ იჩენდნენ რომის პაპი და დასავლეთ ევროპის კათოლიკური ქვეყნები (კერძოდ, ესპანეთი). კვლევის შედეგად კიდევ ერთხელ წარმოჩინდა, რომ ესპანეთის სამეფო კარს, ანტიოსმალური პრობლემის გადაწყვეტაში ყველაზე საიმედო მოკავშირედ სწორედ საქართველო მიაჩნდა. ესპანეთი, როგორც XVI-XVII საუკუნეების საერთაშორისო წესრიგის წარმომადგენელი კათოლიკური ქვეყანა აღმოსავლეთში, სწორედ საქართველოს მიიჩნევდა



ძირითად რელიგიურ საყრდენად მსოფლიო კათოლიკური სამყაროს შექმნაში. მადრიდისა და ბარსელონას ბიბლიოთეკებში მუშაობის შედეგად, გავაანალიზეთ, თუ რა პრინციპები ედო საფუძვლად საქართველოს ევროპული პოლიტიკის პრევალირებას ევროპის ამა თუ იმ ქვეყანაზე მოკავშირის ძიებაში, დავინახეთ რომ საგარეო პოლიტიკური ინტერესების თანხვედრამ საქართველო და ესპანეთი თანამოზიარე ქვეყნებად აქცია, განაპირობა ერთად დაპირისპირებოდნენ უცხოურ აგრესიას და შეექმნათ საერთო სამხედრო პოლიტიკური კოალიცია. ჩვენს მიერ ესპანეთის წიგნთსაცავებში ჩატარებულმა კვლევებმა, ვფიქრობთ, მეტი

აქტუალობა შეიძინა სამეცნიერო ნაშრომს. ჩვენ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ მოპოვებული მასალები შეგვესწავლა ევროპასთან ინტეგრაციის მიმდინარე პროცესების ფონზე. ვიმედოვნებთ, ჩვენი ნაშრომი უცხოურ ენაზე არსებული წყაროების უფრო სრულყოფილად განხილვისა და ახლებურად გაშუქების შემდეგ მოგვეცემს ახალი სამეცნიერო დასკვნების გაკეთების საშუალებას. საარქივო მასალებისა და ლიტერატურის გაცნობა-შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ უაღრესად მნიშვნელოვანია საქართველოს რელიგიური ფაქტორის როლის განსაზღვრა ევროპის, როგორც ერთიანი გეოკულტურული სივრცის ფორმირებაში.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევების შედეგად, ნათლად გამოვლინდა საქართველოს ევროპაზე ორიენტაციის წარსული ისტორიული პერსპექტივები, რომლებმაც ახლებურად დაგვანახეს თანამედროვე საქართველოს მისწრაფებანი ევროპულ ოჯახში გაერთიანებისაკენ.

ამავე დროს, ესპანეთში სტაჟირებამ საშუალება მომცა ხელმეორედ გავცნობოდი ამ ქვეყნის ისტორიასა და კულტურას, არქიტექტურასა და სახვით ხელოვნებას, შესანიშნავი ესპანელი ხალხის ტრადიციებს, ყოფავხოვრებას.

მადლობა მინდა მოვახსენო ჟურნალ „პარალელების“ მთავარ რედაქტორს, ცნობილ მწერალს, კრიტიკოსსა და პუბლიცისტს, **პროფესორ რევაზ მიშველაძეს**, რომელმაც თავისი ჟურნალის ფურცლები ამჯერადაც დამითმო, რათა ამ ქვეყნით დაინტერესებული მკითხველის ყურადღება შემეჩერებინა ესპანეთის ღირსშესანიშნავ მატერიალური კულტურის

ძეგლებზე და მოკლედ გადმომეცა უშუალოდ ჩემს მიერ ნანახი და განცდილი შთაბეჭდილებები.

ესპანეთის ულამაზესი დედაქალაქი მადრიდი მდინარე მანსანარესის მარცხენა სანაპიროზე მდებარეობს. იგი IX საუკუნეში შეიქმნა როგორც არაბული ციხე-სიმაგრე მაჯორითი. მადრიდის მთავარი მოედანია **პუერტა-დელ-სოლი**, რაც „მზის კარიბჭეს“ ნიშნავს.

მოედნიდან რადიალურად 10 ქუჩა გამოდის. ქალაქის ყველაზე მნიშვნელოვანი არტერიაა **ალკალას პროსპექტი**. მეორე დიდი პროსპექტია **გრან-ვია**. ესპანეთის ლამაზ მოედანს **პლასა დე-ესპანიას** ამშვენებს მიგელ სერვანტესის მონუმენტური ალეგორიული ძეგლი. მადრიდის უძველეს ნაწილში მდებარეობს კამპო-დელ-მარო (მავრიტანული ბაღები), კათედრალური ტაძარი – **ალმუდენა**, ძველი იარაღის მუზეუმი და სხვ. ძველ და ახალ ქალაქს შორის საზღვარი გადის ლამაზ ბულვარებზე – **„პასეოზე“**. ქალაქში არის 1508 წელს დაარსებული მადრიდის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სადაც საშუალება მქონდა დავსწრებოდი ცნობილი ესპანელი პროფესორის სალვადორ ფერნანდესის ლექციას. დედაქალაქში ბევრი მუზეუმი, მოვინახულე მიგელ სერვანტესის, ქრისტეფორე კოლუმბის, მსოფლიოში ცნობილი **პრადოს** მუზეუმები. მადრიდის დასავლეთით მდებარეობს სახელგანთქმული სასახლემონასტერი **ესკორიალი**. ესკორიალში ინახება სახელგანთქმულ მხატვართა სურათების მდიდარი კოლექცია. აქ დაცულია ელ გრეკოს, ველასკესის, მურილიოს, ტიციანის, რუბენსის, ვერონეზეს და სხვათა შედეგები. ესკორიალს მისმა ამშენებელმა ესპანე-

თის მეფე ფელიპ II-მ უწოდა „სასახ-
ლე ღმერთისთვის და ქოხი მეფის-
თვის“. იგი მონარქმა 1557 წლის 10
აგვისტოს, წმინდა ლავრენტის ხე-
ნების დღეს ფრანგებთან უდიდესი
გამარჯვების ნიშნად ზეციურ ძალთა
პატივისცემის ნიშნად, ამ წმინდანის
სახელობაზე ააგო. მონარქის გადა-
წყვეტილების თანახმად, ესკორიალს
ესპანელ მეფეთა მაცხოვრებლის და-
ნიშნულებაც ეკისრებოდა.

ამ არაჩვეულებრივ ქვეყანასთან
უპირველეს ყოვლისა ასოცირდება
კორიდა – ორთაბრძოლა ადამიანსა
და ამ სანახაობისთვის გაზრდილ სა-
ბრძოლო ხარს შორის. ქვეყანაში 350-
მდე კორიდაა, ამ ძვირადღირებულ
სანახაობას დღემდე მრავალი მაცუ-
რებელი ჰყავს. ამ ტრაგედიაში მონა-
წილეობენ პიკადორი-ცხენოსანი შუ-
ბით, რომელიც აღიზიანებს ხარს,
ტორედორი, ადამიანი, რომელიც წე-
თელი მოსასხამის საშუალებით იწ-
ვევს ხარს, ბანდერილერო, კაცი, რო-
მელიც 70 სმ-ის სიგრძის ისრებს (ბან-
დერილებს) ასობს ხარს და მატადო-
რი, რომელიც კლავს ხარს.

გასაოცარია ესპანური სტილი –
დე მოდეხარი, რომელიც არის გოტი-
კისა და მავრიტანული სტილის ნა-
ზავი. ესპანეთში მრავლადაა ამ სტი-
ლით ნაგები შენობები.

მადრიდიდან დაახლოებით 160
კილომეტრის დაშორებით მდებარე-
ობს ქალაქი **ვალაიდოლიდი**, რომ-
ლის სახელი წარმოიქმნა ესპანური
„ვალე-დე-ლა ლიდისაგან“, რაც „ზე-
თისხილის ხეობას“ ნიშნავს. აქ ვიმ-
ყოფებოდი **სიმანკას** სასახლეში, სა-
დაც ინახება კასტილიის სამეფოს უმ-
დიდესი გენერალური არქივი. შეძ-
ლებისდაგვარად გავცვანი საისტო-
რიო არქივის რამდენიმე დოკუმენტს.

იშვიათია ალბათ მსოფლიოში
ისეთი ლამაზი ქალაქი, როგორც
ბარსელონა. იგი მდებარეობს მდინა-
რების ბოსონის, რაც ესპანურად
„კოცნას“ ნიშნავს და ლიბრეგატის
სანაპიროებზე. ვარაუდობენ, რომ
მისი სახელი დაკავშირებულია და-
სახლება ბარსინოსთან, რომელიც
დღევანდელი ბარსელონას ადგილზე
დააარსეს კართაგენელებმა ჩვ. ერამ-
დე III საუკუნეში. ქალაქის აღმოსავ-
ლეთით, ზღვასთან მდებარეობს კა-
ტალონიის პორტი, რომლის მახლობ-
ლად მსოფლიო კარიბჭის მოედანზე
აღმართულია ულამაზესი მონუმენ-
ტი **ქრაკოლთემზის** 60 მეტრიანი ძეგ-
ლი. ბარსელონაში მოვიხახულე XIII
საუკუნის გოტიკური კათედრალური
ტაძარი, გრაფისა და ეპისკოპოსის სა-
სახლეები, XIV საუკუნის ულამაზესი
გოტიკური სტილით ნაგები რატუშა.
ბარსელონას ყველაზე პოპულარული
პროსპექტია **ლას-რამბლარი**, სადაც
მდებარეობს ულამაზესი ოპერისა და
ბალეტის თეატრი **ელ-ლისეო**. კატა-
ლონიის მოედანი დამშვენებულია
შადრევნებით, ქანდაკებებით და შე-
სანიშნავი სკულპტურული ჯგუფე-
ბით. ლას-რამბლარის პროსპექტის
გაგრძელებაა **გრასიას** ბულვარი, ქა-
ლაქის ყველაზე არისტოკრატიული
რაიონი. გრანვიას პროსპექტის თავსა
და ბოლოში „კორიდას“ ორი სტადი-
ონი და უნივერსიტეტი მდებარეობს.
პროსპექტს სამხრეთით ესაზღვრება
მონუმენტური კომპლექსი – **მონტა-
ჟუჩი**, რომელიც მოიცავს ესპანეთის
მოედანს, ნაციონალურ სასახლეს,
ეროვნებათა სასახლეს, დამშვენებუ-
ლია შადრევნებითა და ბალებით.
მთის ფერდობზე განლაგებულია ეთ-
ნოგრაფიული მუზეუმის **პუებლო-
ესპანიოლას** მთელი კომპლექსი. ბარ-

სელონაში ყოფნისას ვცხოვრობდი „ენსანჩეს“ რაიონის ჩრდილოეთ ნაწილში, ცნობილი კატალონელი არქიტექტორ-მოდერნისტის **ანტონიო გაუდის** მიერ შექმნილ **გუელის ცნობილი პარკის** მახლობლად, ულამაზეს კოტეჯში. გუელის პარკი აღსანიშნავია თავისი არქიტექტურული ნაგებობებით, შადრევნებით, ყვავილნარებით.

ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა ანტონიო გაუდის **საგრადა ფამილიას** ცნობილმა ეკლესიამ.

ენსანჩეს რაიონს კვეთს ათვილო-მეტრიანი ლა-დიაგონალეს ქუჩა, ქალაქის არისტოკრატიული ზონა. ვიმყოფებოდი XV საუკუნეში დაარსებულ ბარსელონას ცნობილ უნივერსიტეტში, სადაც მონაწილეობა მივიღე „მრგვალი მაგიდის დებატებში“; იგი მიემდგვნა ესპანეთსა და ევროპას შორის საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებს, დავესწარი ცნობილი პროფესორების მორილო ველარდე სერანოს და ედიფიციო ლუიშ ვივესის ლექციებს, ვიმუშავე უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, გავეცანი ჩემთვის მნიშვნელოვან სამეცნიერო ნაშრომებს. ბარსელონაში მოვიწახლეთე მსოფლიოს შესანიშნავი მხატვრის პაბლო პიკასოს და ტისენ-ბორემიზას სურათების გალერეა-მუზეუმები.

ესპანეთში ყოფნისას შეუძლებელია არ მოინახულო მადრიდისა და ბარსელონას სტადიონები; ესპანეთში სულ 2880 სტადიონია. ბარსელონაში ყოფნის პერიოდში მსოფლიოს ერთ-ერთმა საუკეთესო საფეხბურთო გუნ-

დმა „ბარსელონამ“ ბერლინში გამართულ ევროპის ჩემპიონთა ლიგის ფინალურ მატჩში სძლია იტალიის „იუვენტუსს“ და მეხუთედ მოიპოვა ეს საპატიო ტიტული. მე, ჩემს ესპანელ მეგობრებთან ერთად გუელის პარკში დამონტაჟებულ მონიტორზე თვალს ვადევნებდი ამ შეხვედრას; გამარჯვების შემდეგ ბარსელონაში და სრულიად ესპანეთში გაიმართა ენით აუწერელი სახალხო ზეიმი და მეც, როგორც „ბარსას“ გულშემატკივარმა, სხვებთან ერთად ვიზეიმე კატალონელთა ეს დიდი გამარჯვება.

დასასრულ, მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, **აკადემიკოს არჩილ ფრანგიშვილს**, ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის დეკანს, **პროფესორ რუსუდან ქუთათელაძეს**, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელს, **პროფესორ იგორ კვესელავას**, და ჩემს მეცნიერ-ხელმძღვანელს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის **პროფესორს მურმან პაპაშვილს** იმ დიდი თანადგომისა და მხარდაჭერისათვის, რომელიც აღმომიჩინეს მათ, რათა მომცემოდა ესპანეთში გამგზავრებისა და იქ შემოქმედებითად მუშაობის საშუალება. ვფიქრობ, იქ ჩატარებული კვლევის შედეგად, ჩემს მოკრძალებულ წვლილს შევიტან ქართულ-ევროპული და კერძოდ, ქართულ-ესპანური ურთიერთობების შესწავლაში.

სექტემბერი, 2015 წელი





badri cxadaze

საიუბილეო გახსენება
იეთიმ-გურჯის დაბადებიდან
140 წლისთავის გამო

არიან ადამიანები, რომელთა დავიწყება არ შეიძლება. მით უმეტეს, საქართველოში, სადაც ყოველი გოჯი და თითოეული მტკაველი მიწა ისტორიული წიაღითაა დასერილი. ასეთად გვეგულება შესანიშნავი ქართველი სახალხო მოლექსე, მომღერალი, ძველი თბილისის „მონატრება“, აშული იეთიმ დაბლიშვილი, რომელსაც მთელი საქართველო მას დღეს იეთიმ-გურჯად იცნობს.

თბილისელი მეტყავის შვილი იეთიმ დაბლიშვილი 1875 წელს დაიბადა ღარიბი ხელოსნის ოჯახში.

იეთიმის ქართველობა იმით დასტურდება, რომ მისი წინაპრები ისტორიულად ქართველები ყოფილან, რომელნიც რუსეთ-თურქეთის ომის დროს ტყვედ ჩავარდნილან – ქრისტიანთ მაჰმადიანური სარწმუნოება მიუღიათ. გვარი გურჯი სწორედ ამიტომ შერქმევიათ. შემდგომ იეთიმის მამა იბრაჰიმი თბილისში დასახლებულა, ცოლად სოფელ მუხათის მკვიდრი სომხის ქალი სარა გირგოლის ასული შეურთავს. ცნობილია ისიც, რომ სიმამრს იგი სომხურად მოუნათლავს და თავისივე სახელი გრიგორი უწოდებია, გვარად კი ალაჯანა.

როდესაც იბრაჰიმ ალაჯანას ვაჟი შესძენია, შვილისთვის თურქული სახელი იეთიმი (რაც ოზოლს ნიშნავს) დაურქმევია, რადგან მისი ფიქრით, მისი სიკვდილის შემდეგ შვილსაც არავინ ეყოლებოდა თავისიანი, ნუგეშისმცემელი და ნამდვილი ოზოლი შეიქნებოდა.

15 წლის იყო იეთი, როცა მამა გარდაეცვალა.რა ექნა ჯერ კიდევ პატარას? როგორც იტყვიან, ადგა და შეგირდი გახდა მუსიკალური საკრავებისა. ასე რომ, მან ბავშვობიდანვე ჩინებულად შეისწავლა ეს პროფესია, პარალელურად წიგნებსაც ჰყიდა. 18 წლისას მოულოდნელად დედაც გარდაეცვალა. და ახდა მამის გულისთქმა – დაობლებული „თინეიჯერი-მართლაც იეთიმად იქცა. „ოზლის კვერის გამოცხოვა“ კი რაოდენ ძნელია ჩვენში, მთელმა ქვეყანამ იცის.

ამის შემდეგ იეთიმი საკუთარ და ანასთან ერთად ხარფუხში, მეტეხის ციხის მახლობლად გადმოსახლებულა ერთ მიწურ ბინაში, სადაც თავს იყრიდნენ ძველი ქართველების ნაწილი: არსენა ჯორჯიაშვილი და სხვ. (იხ. სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის ხელაწერთა ფონდი # 5986).

იეთიმმა ათაცხრაასიან წლებში მეფის ჯარში გაწვევაც იგემა და მისგან მიღებული უგემურობაც (ჯარიდან გამოპარვა და მეპურეებთან თავის შეხიზვნა, ასე გამხდარა იგი ხაბაზი), ხოლო როგორც რუსეთ-იაპონიის ომში მონაწილე, ფეხშიც დაჭრილა.

იეთიმს ლექსების წერა 1895 წლიდან დაუწყია. წერდა როგორც ქართულად ისე სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე, თუმცა არ სცოდნია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე წერა. ჰყავდა საკუთარი დასტა (მეზურნეთა ანსაბლი). იგი იყო საკუთარი სიმღერების სოლო შემსრულებელი.

იეთიმმა 1905-იან წლებში „ბუნტარ“ მუშებთან, ბაქოს სარეწებზე მომუშავემ, შემდეგ კი ციხეში გადასახლებულმა, შეისწავლა სხვადასხვა პროფესია: მძივების კეთება, ხატვა, მზარეულობა და სხვ. სწორედ ამ პერიოდში დაიბეჭდა მისი შესანიშნავი ლექსი „გამარჯობა, ჩემო თბილის-ქალაქო“.

იეთიმის ლექსები იბეჭდებოდა პატარა კრებულებად. განსაკუთრებით ცნობილია მისი პოემა თბილისელ ქალბატონზე – ანა ბაჯიაშილზე, „გმირი ანაბაჯის ლექსი“, რომელიც ბავშვებისათვის საყვარელი გასართობია.

იეთიმ გურჯი ქართველების სახალხო მთქმელი პოეტია. იგი უყვართ და აფასებენ მას სიკვდილის შემდეგაც. მაგალითად, მისი დასაფლავების დღეს, 65 წლის ასაკში მყოფ იეთიმს

(1940 წელს), მის წასვენებას დიდძალი ხალხი დასწრებია – ისნის უბნიდან ხელით წაუსვენებიათ ვაკის ახალ სასაფლაომდე. მრავალრიცხოვან პროცესიას მიაცილებდა აღმოსავლური საკრავების ანსამბლები, პოეტს მისივე სიტყვებით დამდეროდნენ: „ზედ კუბოზე დამაფარეთ ჩემი შავი ნაბადია“. სწორედ ეს პოეტური ფორმულა დაედო ახალ თბილის-ქალაქურ სიმღერას საქართველოში, კერძოდ, ქალაქ თბილისში, რომელსაც გაჰიტებულად გვამცნობს რესტორნებში, სატელევიზიო ეთერით... მომდერალი გიორგი წერეთელი და სხვ.

მართლაც: უკვდავია აშუღის გამოთქვამები:

„ჩემთვის კვირა არ თენდება,
ყოველი დღე შაბათია,
უპატრონოდ ვხეტიალობ,
ჩემი მოძმე ნაბადია.

ცოცხალი ვარ, ეკალს მესვრი,
მკვდარს ვარდს ნულარ და-
მასდვია.

ზედ კუბოზე დამაფარეთ
ჩემი შავი ნაბადია-.

იეთიმ გურჯი, როგორც „შავნაბადა“ ბედისწერა ახლაც გვანხნევებს თავისი აფორისტული თქმებით: „ყოველ დღე შაბათია“, „კაცი მისთვის დაიბადა, ნამუსის ქუდს ატარებდეს“, „ჟამნი სხვადასხვაგვარია“ და სხვ.

დიდ არს უფლის გზით სავალნი დღენი.

გურჯის გურჯობა არ მოშლოდეს სრულიად საქართველოს. დღეს, 2015 წელს, მას, ნათლით მავალს, დაბადებიდან 140 წელი შეუსრულდებოდა.

GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY
P A R A L L E L I
Literary-Scientific Journal

მთავარი რედაქტორი:

რევაზ მიშველაძე

სარედაქციო კოლეგია:

მერაბ ახოზაძე

გიორგი გაჩეჩილაძე

ჯემალ გახოკიძე

გიორგი კულდონაშვილი

ვახტანგ დავითაია

ივანე თვალავაძე

იგორ კვესელავა

ჰენრი კუპრაშვილი

შალვა ნაჭყებია

ვაჟა პაპასკირი

გიორგი სალუქვაძე

სოსო სიგუა

(რედაქტორის მოადგილე)

არჩილ ფრანგიშვილი

ქეთევან ქოქრაშვილი

რუსუდან ქუთათელაძე

ბადრი ცხადაძე

(პასუხისმგებელი მდივანი)

თემურ ჯაგოდნიშვილი

ანანია ჯაფარიძე

EDITOR:

REVAZ MISHVELADZE

EDITOR STAFF:

MERAB AKHOBADZE

GIOGRI GACHECHILADZE

JEMAL GAKHOKIDZE

GIORGI KULDONASHVILI

VAKHTANG DAVITAIA

IVANE TVALAVADZE

IGOR KVESELAVA

HANRY KUPRASHVILI

SHALVA NACHKEBIA

VAZHA PAPASKIRI

GIORGI SALUQVADZE

SOSO SIGUA

(DEPUTY EDITOR)

ARCHIL FRANGISHVILI

QETEVAN QOQRASHVILI

RUSUDAN QUTATELADZE

BADRI TSKHADADZE

(EXECUTIVE SECRETARY)

TEMUR JAGODNISHVILI

ANANIA JAPARIDZE

LITERARY-SCIENTIFIC MAGAZINE OF THE BUSINESS-ENGINEERING FACULTY

ყდის დიზაინერი ვახტანგ დავითაია

კომპიუტერული უზრუნველყოფა ნონა ცაბაძე

ჟურნალი ხელმძღვანელობს კანონით პრესის შესახებ.

გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.

დაარსდა 1984 წელს, 2000 წლამდე გამოდიოდა წყვეტილად,

აღდგა 2011 წელს.

მისამართი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

კოსტავას 77, VI კორპუსი, VI სართული, ოთახი 603ა

Editorial office address: GEORGIAN TECHNICAL UNIVERSITY

Tbilisi, kostava 77; E-mail: jurnali-paraleli@mail.ru